114
1955/3

საგანგებო ფონდი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

8

114/3

10

ოქტომბერი

1955

მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 32-ე № 10 ოქტომბერი, 1955 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

6902

შინაარსი

გვ.

კონსტანტინე გამსახურდია — ვაზის ყვავილობა, რომანი 3
ლადო ასათიანი — ორი ლექსი 73
სიმონ მთვარაძე — ფალავანი. მოთხრობა 75
არჩილ სულაკაური — ახალი ლექსები 128
ლევან გოთუა — სიბრძნე-სიკვდილისა. მოთხრობა 131
მიხეილ ემინესკუ — ლექსები. თარგმანი გრიგოლ აბაშიძისა 146
ხაჩატურ აბოვიანი — აღასი. ლექსი. თარგმანი ილია ხოშტარიასი 151

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ბ. სეირანიანი — დიდი სომეხი დემოკრატი-განმანათლებელი 152
გერონტი ქიქოძე — ჰონორე ბალზაკი 157
შოთა ძიძიგური — დავით გურამიშვილის ენა 163
ალეკო სანადირაძე — პანტელეიმონ ჩხიკვაძის შემოქმედება 170
თინათინ წერეთელი — აუცილებლობისა და თავისუფლების დიალექტიკა და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება 174

წიგნების მიმოხილვა

გიორგი ხუხაშვილი — ვიქტორ გაბესკირიას ლექსები 184
ნოდარ რუხაძე — ჰაინეს ლექსების ახალი თარგმანი 187
ვ. ბახტაძე — დეკაბრისტები საქართველოში 190
ვ. გოგიბერიშვილი, ნ. მახარაძე — წიგნი თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფიაზე . . 193

ახალი წიგნები 196

ბორჯომის სახ. საქ. სახელმწიფო
საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

სახელგამი ☆ თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

ვაზის ყვავილობა

★

რომანი

პროლოგითა და ეპილოგით

ბიჭინა

კორინთელი სამგზის ეწვია ჯანმრთელობის მოსაკითხავად სუსქიას. მაგრამ იგი არც ერთხელ შინ არ დახვდომია. დარაჯმა, მათემ, ამცნო: ექიმს სწრაფად მოეცილებინა თავიდან გრიპი და ყოველდღიურ საქმიანობაში ჩაბმულიყო.

ახლა უკვე მტკიცედ გადასწყვიტა, კორინთელმა მეტი აღარ შეევლო საექიმო პუნქტში, სანამ შემთხვევით არ შეხვდებოდა სუსქიას სადმე.

გულის სიღრმეში ღიმღამობდა ასეთი აზრიც: ეგებ მასთან შეყრის სურვილმა გადამიაროსო.

თავს ინუგეშებდა: „როგორც თვალი შორს, ისე გული შორს". ამასობაში შემოდგომაც მოაღწევს და შესაძლოა თელავს გადავიდე საცხოვრებლად... და..."

ასეთ ფიქრებში გართული დანაღვლიანდა, კორინთელი კარჩაკეტილ ცხოვრებას შეუდგა, დღისით ფიზიკურ შრომას ეწეოდა თავის ბაღში, ღამღამობით სამ საათამდის სწერდა თავგამეტებით.

მაიას კაბინეტში შემოჰქონდა მისთვის საუზმე და სადილი, მხოლოდ დერეფნებში თუ შეეფეთებოდა ხოლმე მედიკოსა და ვარას.

კორინთელმა რადიომიმღები დაიდგა, მთელს ქვეყანას მოწყვეტილს, მხოლოდ ეთერის საშუალებით ჰქონდა ცხოვრებასთან კავშირი. ეთერის გრძელსა და მოკლე ტალღებზე იჭერდა ამქვეყნიურ გრძელსა და მოკლე ამბებს.

ბობოქრობდა ევროპა, იმუქრებოდა ჰიტლერი, იარაღის ბედითი ჟღარუნი ისმოდა მრავალი ათასი კილომეტრის მანძილებიდან.

გველეთის ტყეთა სიჩუმეში იჯდა თავის პატარა კაბინეტში მშვიდობიანი მეცნიერი და გამალებული მუშაობდა შეღამებიდან გათენებამდის; შიშობდა: ვაჲ თუ ომი ატყდეს და ჩემი კაპიტალური შრომა მოუთავებელი დამრჩესო.

გვიანი ღამით, როცა ლონდონის, პარიზისა და ბერლინის რადიოსადგურები მოათავებდნენ მთავრობათა დეკლარაციებისა და ნოტების გადმოცემას, ბახის, ბეთჰოვენის და ბიზეს მუსიკა სცვლიდა მათ.

გათენებისას ქაიროდან მოისმოდა მოლას გამყივანი ხმა, ხოლო იერუსალიმიდან რაბინების გალობა როცა რადიოს გამორთავდა, ბნელში განრთხმულ ველს გასცქეროდა ღამეული შრომისგან დაქანცული კორინთელი და სტკბებოდა ალაზნის ხოხბების ერთობლივი ყივილით.

უცნაური ცხოვრება მიმდინარეობდა კორინთელიანთ ოჯახში. ეს ყოველივე პანტომიმას უფრო წააგავდა, ვიდრე დრამას.

ქალები იშვიათად გამოდიოდნენ სახლიდან, ასე რომ კორინთელი ბაღში ატარებდა თავისუფალ დროს, გულმოდგინედ უვლიდა ვაზებსა და ვარდებს. ხანაც გვერდს მოისვამდა თა-

---

იხ. „მნათობი" 1954 წ. № 6.

ვის ახილს და მას ესაუბრებოდა მოწყენის გასაქარვებლად. ღამღამობით ისევ შეებმოდა შრომას.

კვირა დილით ძია ნიკოს როხროხა ხმამ გამოაღვიძა კორინთელი. სტუმარს ძღვენი ჩამოეტანა გველეთის „პირველ მოსახლისათვის“, თან ჩამოეყვანა პროფესორი არადელი, რომელსაც ამჯერად გადაეწყვიტა თავისი შვებულების პირველი კვირა კორინთელიანთ ოჯახში გაეტარებინა.

მაია და შოფერი ანდრო ვეღარ აუდიოდნენ ძღვნად ჩამოტანილი ინდოურებისა და გოჭების პუტვას, „დედას-პურების“ თვლას და ღვინის ჩამოსხმას, სალხინოდ ყოველივე მზად იყო, მაგრამ მომლხენნი აღარსად სჩანდნენ.

კორინთელი განსაკუთრებით გაახარა ნიკოს მიერ ჩამოყვანილი შვლის ნუკრის დანახვამ. ეს მშვენიერი, უსუსური არსება მთათუშეთიდან მოეყვანათ ნიკოსთვის მონადირეებს.

ნაჩუქარ ნადირს ბიჟინა დაარქვა კორინთელმა (ერეკლე მეფის საყვარელი ნუკრის საალერსო სახელი).

ბიჟინას საჩიხე მოუწყო ახალმა პატრონმა ბაღში, მაგრამ მან არ ინდომა მისთვის მიჩენილი სამყოფლო. ადამიანის სიახლოეს არჩევდა, ძაღლივით უკან დასდევდა კორინთელს, შეღამებისას შიშველ იატაკზე წვებოდა, ყურებდაცქვეტილი შესცქეროდა საწერ მაგიდასთან მომუშავეს.

ბიჟინა არ ერიდებოდა თვით ძაღლს — ახილს, ამ უკანასკნელს სრულიადაც არ სიამოვნებდა უცხო სტუმრის შემომატება.

შეუღრინა კიდევაც ერთ-ორჯერ მას, მაგრამ როცა მაგრად დატუქსეს, აგრესიულ ზრახვებზე ხელი აიღო და საბოლოოდ შეეგუა ბიჟინას.

ძვირფასი სტუმრების ჩამოსვლამ სავსებით უმნიშვნელო ცვლილება შეიტანა კორინთელიანთ ოჯახის დაძაბულ ვითარებაში.

მედიკო ბოლოხანს ავადმყოფობდა, საძილო ოთახიდან იშვიათად გამოდიოდა. ახლა კნეინა ვარა მხოლოდ ცალყბად შეესიტყვებოდა ხოლმე კორინთელს.

უცნაური ის იყო, რომ ვარა, რომელიც ასე თუ ისე შეეგუა ოჯახურ საქმიანობას, სტუმრების ჩამოსვლის უმალვე განზე გადგა.

მთელი მეურნეობა მაიასა და შოფერს გადააპირა, მედიკოსეული ფარჩის კაბებში გამოპრანჭული, ამაყად დაბაკუნებდა ლაკის მაღალქუსლიან ტუფლებით, ომახიან განკარგულებებს იძლეოდა, პირიდან პაპიროზს არ იშორებდა, ხანაც როიალს მიუჯდებოდა.

„რამდენი ხანია ბახის ფუგები არ მომისმენია“, ეუბნება არადელი ვარას.

„ბიჭოს, თქვენ როგორ მიხვდით, რას ვუკრავდი, ჰა? თურმე ხოჭოების პროფესორსაც ჰქონია მუსიკისადმი ინტერესი, განა?“

„მე თქვენისთანა მუსიკალური არსება ვერა ვარ, სამწუხაროდ, მაგრამ ცოტა რამ მეც გამეგება, როგორც მუსიკის მოკრძალებულ მოტრფიალეს. ეგეც არ იყოს, დიდი ტალანტები უთუოდ უმწეონი იქნებოდით, თაყვანისმცემელთა მრევლი რომ არ გყოლოდათ“.

„მახლას, თქვენისთანა წითელი პროფესორები ვერ დამცინებდნენ, ცა რისხვით რომ არ მობრუნებულიყო ჩემს თავზე“.

წაიდუდუნა ვარამ და განაგრძო დაკვრა.

ძია ნიკო წამოდგა ამის გამგონე და კორინთელის კაბინეტს მიაშურა.

„როგორ მოგეწონათ, ძია ნიკო, გველეთის პირველი მოსახლის კარ-მიდამო, ჰა?“

შეეკითხა ვახტანგი, ნიკო მირიანიშვილს.

„ეჰ, ჩემო ვახტანგ, ყველაფერი ჩინებულია, მართლაც, რა ძლიერია თანამედროვე ტექნიკა! წინათ ვინ შესძლებდა ამოტოლა ხეების ამოღებას და მათ გადარგვას.

ამ შენს ბაღს რომ შეხედავს გამოუც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელი თვალი, აგრე ეგონება, ნახევარი საუკუნის წინ გაუშენებიათო.

ერთი სიტყვით, ყველაფერი რიგზეა.

ეს სახლი, ეს ბაღი და ეს ბაღჩა, მთელი შენი პატარა მეურნეობა დიდი გემოვნების გამოჩინებაა, მაგრამ რად გინდა, შენ ის გაკლია, რაც უმთავრესია ამ ცხოვრებაში: ოჯახური ბედნიერება.

არადელი აღტაცებაში მოვიდა, როცა ეს ყოველივე ნახა. უბედნიერესი კაციაო ვახტანგი. საუცხოო სახლ-კარი, ჩინებული სამეცნიერო კარიერა, ასეთივე რეპუტაცია მთავრობისა და ხალხის თვალში.

ქალთა შორის ულამაზესი ცოლად ჰყავს, ამაზე მეტს ვინ ინატრებსო, მხოლოდ ეგაა სამწუხარო, შვილი რომ არ გაუჩნდაო.

მე ვერაფერი მივუგე, მაგრამ გულმა რეჩხი მიყო. „ვაჲ ჩემს თავს, ნეტავი სმენა დამხშობოდა და ის არ გამეგონა, რაც იმ ღამეს მოვისმინე ლეღვიანში. ან არა და ის პაკეტი არ ჩამომეტანა შენთვის, იმ წყეული ეფემიას მიერ გამოგზავნილი“.

„ეჰ, ძია ნიკო, მე გულდამშვიდებით შევეგებე ყოველივე ამას“.

„ჰო, მაგრამ ნუთუ ერთხელაც არ გიცდია, ვახტანგ, გამოსაუბრებოდი ამ საქმეების გამო მედიკოს?“

„კრინტიც არ დამიძრავს. სიტყვები განა ყოველთვის ესაჭიროება ადამიანებს, ძია ნიკო? სიტყვამ უკვე დაჰკარგა თავისი ფუნქცია ჩვენ შორის“. ამის თქმა მოასწრო კორინთელმა და სასტუმრო ოთახში როიალის ხმა მისწყდა.

ნიკო წამოდგა, ღიჭედ დარჩენილ კარებში შეიხედა, ისევ თავის ალაგას დაჯდა და სთქვა:

„ინჟენერი ცეროდენაშვილი მოსულა. საიდან გაჩნდა ეს ოჯახქორი აქ?“

„ეს კაცი გველეთის ჰესის მთავარი ინჟენერია, ვარამ შემოგვაჩვია იგი. ერთი-ორჯერ შევეკითხე კიდევაც ცალყბად, რას დადის მეთქი ეს კაცი ჩვენსას? ანგელოზები დაიმოწმა: ალალი ბიძაშვილიაო ჩვენი“.

„ეს მეც გამიგონია, ვახტანგ, ცეროდენას დედა ჯორჯაძის ქალია“.

„საერთოდ, აღარ დავეძებ, ჭირსაც წაულია სამივენი“.

ორივენი სდუმდნენ, ბოლოს კორინთელმა დასძინა:

„ასეთი გაცინიკებული დიაცი ჯერ არ მინახავს. უტიფრად ჩამაცივდა: ევროპაში გაისეირნეთო შენ და მედიკომ. მთავრობა კარგად გიყურებს, არც საფრანგეთი დაგიკავებსო ვიზას. მოკლედ მრვუჭერი პასუხი: მე ჩემს ქვეყანაში უკეთ ვგრძნობ-მეთქი თავს.

ბოლო ხანს მოუხშირა ჩვენსას სიარულს მაგ ცეროდენამ.

იცი, რა მითხრა ამ ტუტუცმა დედაკაცმა ამას წინათ? ნათესავიც რომ არ იყოს, რა მოხდა მერმე?

ლამაზი ცოლის პატრონს მოთმინებაც უნდა ყოფნიდეს იმისთვის, რომ მისი ცოლის თაყვანისმცემელნი ოჯახში დადიოდნენო.

ამდენხანს საფრანგეთში გიცხოვრია, პიკანტური ფრანგული რომანები წაგიკითხავს და ნუთუ არ იცი, ლამაზ ქალებსა და რელიგიურ კერპებს თაყვანისმცემელნი ასულდგმულებენო მხოლოდ?

ფორნარინა, რაფაელ სანჩიოს ხასა, უბრალო მეფურნის ქალი იყო. პრაქსიტელესის მუზა—ფრინა—უწესო დიაცი, რომელმაც სახალხო დღესასწაულზე სამოსი შემოიძარცვა ზღვისპირად.

თქვენი ხელოვნებაც იმიტომაა მოსაწყენი, რომ იგი თავის უმთავრეს მიზნად ზნეობრივად უზადო ადამიანების ხატვას შესდგომიაო“.

ნიკო პრესპაპიერს ათამაშებდა ხელში და უკანასკნელი ფრაზის გაგონებაზე მაგიდაზე დაახალა იგი.

„ეჰ, ჩემო ვახტანგ, რაც არის, ეგ არის, ვისაც შენ არ უყვარხარ, მან კლდეს ახალოს თავი“.

„დარდი ნუ გაქვს, ძია ნიკო, არსე-

ბობს ასეთი ანდაზაც: ამოღებული ღვინო უნდა დაილიოსო.

მე მგონია, ბედნიერ დღეს ჩამოვსულვარ ამჯერად მედიკოსთან ერთად ბერმუხაში.

თბილისში, ან სხვა რომელიმე დიდ ქალაქში რომ დავსახლებულიყავით, ჩვენს შორის არსებული სხვაობანი ასე მალე ვერ იჩენდნენ თავს, რადგან დიდი ქალაქი შენიღბვის საშუალებას აძლევს ადამიანს, რომელსაც ასეთი რამ ესაჭიროება.

არსებითად ქალაქელების მიერაა გამოგონილი შუა საუკუნეთა მასკარადები. ქალაქელები, რომელთა ცხოვრება შენიღბვას მოითხოვს, ასეთ მასკარადებზე განგებისად ინიღბებოდნენ, რათა წელიწადში ერთხელ მაინც ეთქვათ ერთიმეორისათვის სიმართლე.

სოფელი არ იძლევა შენიღბვის საშუალებას, მანძილების სიმცირის მეოხებით, ყოველი კაცის საქციელი სააშკარაოზედაა გამოტანილი".

კნეინა ვარა კაბინეტში შემოვიდა და ფრანგულად უთხრა კორინთელს:

„თქვენს მეუღლეს უარესობა ეტყობა, სიცხსაზომი 39,5 უჩვენებს. დიასახლისობა მე გადამაპირა. გთხოვთ მობრძანდეთ სადილად".

როგორც კორინთელი, ისე ძია ნიკო მოწადინებულნი იყვნენ ზურაბ არადელს როგორმე არ შეეშჩნია ეს ოჯახი რღვევის ზღურბლამდის რომ იყო მისული. მიუხედავად ამისა, უგუნებობა ძნიად გასაფანტავი აღმოჩნდა.

ვარამ სთქვა:

„დღეს ჯვართ-ამაღლებაა, ბატონებო, ამ დღეს ბოდბელი ეპისკოპოზი სწირავდა ხოლმე სამების კარზე, გველეთში. ეკვნებიანი ეტლებითა და ცხენებით მოდიოდა აქ კახეთის მთელი თავადაზნაურობა.

თვალისმომჭრელი სილამაზის ადამიანები... აჰ, ღმერთო... მაგრამ ვაგლახ, უკვე დაცლილა წმინდა ტაძარი და არავის სურს მას თაყვანისცეს".

ზურაბ არადელმა ღვინო მოსვა და მის გვერდით მჯდარ ძია ნიკოს უთხრა:

„ამ უბედურებას როგორმე გავუძლებთ, ერთი ტყემალი მოგვერგოს, ნიკო ბატონო, და ეს უთუოდ აჯობებს ბოდბელი ეპისკოპოზის წირვას".

ცეროდენას რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ გოჭის ბარკალს ვეღარ მოეშვა და ხორხში გაეხირა ამიტომაც სათქმელი.

ზურაბ არადელიც მადიანად სჭამდა, ანტრაქტებში თავის აღტაცებას უზიარებდა კორინთელს.

„მე იშვიათად მინახავს ასეთი წარმტაცი პეიზაჟი, ვახტანგ, რა შეუდარებელია კახეთის კავკასიონი აქედან.

ბედნიერი ხარ ჩემო ვახტანგ, ბედნიერი, მსოფლიოს შემოვლა მოასწარი, გეყოფა ამდენი ხეტიალი გლობუსის გარშემო.

დაჯექი ძმაო, ტომები ტომებზე დაალაგე. შენსავით სვებედნიერად უნდა ცხოვრობდეს ყოველი მეცნიერი. ესაა მხოლოდ ერთი ორიოდე გოგო-ბიჭი გაკლია, ვახტანგ...

ამ კუთხეში უმდიდრესი ფლორაა, ეს ყოველივე დიდზე დიდი ასპარეზია. მკვლევარი აგრონომისათვის, ჩემმა მზემ".

ვარამ ნაღვლიანად შენიშნა:

„ეჰ, ჩემო ზურაბ, მე ჯერ არავინ მინახავს შვილებისაგან გაბედნიერებული. ჩვენს დროში, რათ უნდათ შვილი лишняя обуза — ჩვენმა სიძემ ყველაფერი საუკეთესოდ მოუწყო ჩემს დისწულს, მაგრამ სოფელი მაინც მოსაწყენი უდაბნოა, ბატონებო" — ესა სთქვა და რუსულად მიუბრუნდა არადელს: „Однако, мадам Арадели не пожелала в такой рай попасть, ее как видно, больше устраивает жить на проспекте Руставели"[1].

არადელი ჭამას მოეშვა, საკმაოდ უკმეხად მიუგო ვარას:

„ვინ მოგახსენათ, ქალბატონო, უკვე სამი თვეა, რაც თელავში გადმოვიყვანე ცოლშვილი. მე ერთ დღესაც არ ვი-

[1] მადამ არადელმა მაინც არ ისურვა ამ სამოთხეში მოხვედრა, როგორც სჩანს იგი რუსთაველის პროსპექტზე ცხოვრებას არჩევს.

ცხოვრებდი ისეთ ცოლთან, რომელიც იქ არ წამოვა, სადაც ამას ჩემი პროფესია მოითხოვს“.

ცეროდენამ გამოღრღნილი ბარკალი თეფშზე დასდო და სთქვა:

„ეგ სულ მეტაფიზიკური ლაპარაკია, ბატონებო, თანამედროვე სოფელი ჯერაც ვერ იძლევა ინტელიგენციისათვის საჭირო სულიერ საზრდოს.

„მე ვეთანხმები ჩემს ბიძაშვილს, სიტყვა ჩაურთო ვარამ, ყოველი კულტურული ადამიანის სამშობლო დიდი ქალაქია მხოლოდ. ევროპის არისტოკრატია ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში აიყარა სოფლებიდან, პარიზს, რომს, ბერლინსა და ლონდონს მიაშურეს ლორდებმა, გრაფებმა და ბარონებმა.

ქალაქმა შვა ევროპული კულტურა. ფობურგ სენ ჟერმენი რომ არ ყოფილიყო სტენდალი და ბალზაკი ვერ დასწერდნენ თავიანთ ბრწყინვალე რომანებს“.

კორინთელმა უგუნებოდ გაიღიმა, ვარას თვალი აარიდა და სთქვა:

„განა მარტო რომანების ამბავია ამ ქვეყნად? თქვენ, როგორცა სჩანს, არც რადიოს უსმენთ, არც გაზეთებს კითხულობთ.

ევროპისა და ამერიკის დიდ ქალაქებს დიდი წყევლაც მოაქვთ კაცობრიობისათვის. ისინი იმპერიალიზმის ციტადელები იყვნენ მუდამ.

რომს ანტიურ პერიოდში მეორე სახელიც ერქვა: „ურბს“, ე. ი. ქალაქი. ყოველი ქვეყნის მოსახლეობის სამ მეოთხედზე მეტი სოფლელებისაგან შესდგება, სოფლელებს მუდამ საკუთარი შრომით უცხოვრიათ.

ევროპისა და ამერიკის დიდი ქალაქების უფსკერო კუჭი ვერაფერმა გააძღო. სწორედ ამან შექმნა ჯერ კიდევ შუა-საუკუნეებში ევროპელი ხალხების „დრანგ ნახ ოსტენ“, აღმოსავლეთისაკენ სწრაფვა.

მანვე გამოიწვია ჯვაროსნული ომები და ყველა ომი იმ დღიდან ამ დღემდე.

თანამედროვე დიდ ქალაქს ეველარ აუდის საკუთარი ნაციონალური ნედლეულის ბაზარი და იგი ეძიებს ახალსა და ახალს, აურაცხელ კოლონიებში.

არსებითად ამ ნედლეულის ბაზრებისათვის იღვრებოდა სისხლის მდინარეები სამი თუ ოთხი ათასეული წლის მანძილზე.

გადარეული ჰიტლერის „ლებენს-რაუმს თეორიის“ — სასიცოცხლო სივრცის თეორიის, ფესვებს რომ მივსდიოთ, აშკარა გახდება რომ ბერლინის, ლაიპციგის, ჰამბურგის და მაუნხენის ქალაქური მოსახლეობის უძღები კუჭია ყოველივე ამის მიზეზი.

იანვარში ლონდონის მთავარ ქუჩებში გავლილს შუაზაფხული ეგონება, როცა იგი ინდოეთიდან, მალაკიდან ჩამოტანილ დურიონებს, კოკოსებს, ანანასებსა და ბანანებს თვალს მოჰკრავს.

ასე რომ არა მარტო დიდი ბრიტანეთის კუნძულები, მისივე კოლონიები და დომინიონები ვეღარ აუდიან ლონდონის გაუმაძღარი კუჭის გამოკვებას.

ბიბლიური ანალოგია რომ ვიხმაროთ, დიდმა ქალაქმა შვა იმპერიალიზმი, იმპერიალიზმმა რასსული თეორია და ნაციზმი, ხოლო ამ უკანასკნელმა ომი.

ომი ესაჭიროება ქალაქების პლუტოკრატიას და არა ხალხს, რადგან ევროპისა და ამერიკის ხალხებს პოლიტიკას ისე ეკითხებიან, როგორც დიფერენციული ინტეგრალების გამოყვანას.

შეიძლება ხელაღებით ითქვას: ახალი ატილა რომ მოევლინოს კაცობრიობას, ევროპისა და ამერიკის დიდ ქალაქებს ჩამოუაროს, არავითარი ომი არ იქნება ამ ქვეყნად, სანამ ეს ქალაქები კვლავ არ აღსდგებიან.

რაიცა შეეხება კრეტინიზმს, ის ადამიანები, რომელთაც ასეთი მიდრეკილება აქვთ, არსად მოიშლიან მას.

მოწყენილმა ბურჟუაზიამ გამოიგონა მონტე კარლო, ბანქოს თამაშის სატახტო ქალაქი. ახლა რამდენი მილიონი უსაქმური კლავს დროს ტოტალიზა-

ტორებზე, რამდენი ერთობა პინგ-პონგით, დერბით, ჰოკეით“.

ცეროდენამ თხილის სალეწი აიღო სუფრიდან და თხილის ლეწვას შეუდგა, ხარბად იღეჭებოდა და ამბობდა:

„სოფელი კარგია, როცა დიდი მამული და მისი მომვლელები გაგაჩნია. პაპაჩემს, თავად ჯორჯაძეს სამი ათასი ჰექტარი ჰქონდა და ათასზე მეტი ნაყმევი ჰყავდა.

იგი ჩემსავით თხილის ლეწვაში როდი ჰკარგავდა დროს. თხილის მლეწავები თავზე ადგნენ სადილობისას.

მთელი ეს არაშენდა-გველეთი ჩემი დედულეთი იყო. მარტო მუხისა და წაბლის ტევრების მოჭრაში შემოგვაძლია იტალიის ერთმა სააქციო საზოგადოებამ ორასი ათასი ოქროს მანეთი. არაფერი შემარჩინეს და ციხეში მიკრეს თავი.

ცეროდენა დადუმდა. ღვინო მოსვა, ახლა უფრო ენერგიულად შეუდგა თხილის ლეწვას. თანაც ამბობდა:

„არაშენდა-გველეთი მე რომ შემრჩენოდა, არასოდეს ვაზნარებს არ მოვაწყობდი აქ. ეს არარენტაბელური ამბავია. ტყეებს გავჩეხდი, ხოლო ახოებს საიალაღოდ მივცემდი თუშ-მეცხვარეებს.

საერთოდ თანამედროვე ტექნიკის შემოსვლა ჩვენს სოფელში არც ისე სახარბიელოა, როგორც ეს ბევრს ეოცნებება. ცივილიზაცია საბოლოოდ მოსპობს ეროვნებებსა და მათ ნაციონალურ თავისებურებას ნდუველირებას მოუწყობს. მხოლოდ პრიმიტიულმა სახალხო მეურნეობამ შეინახა ხალხთა ნაციონალური იერი. ინგლისურმა ენამ დაიპყრო, როგორც რკინიგზის, ისე გემების მეურნეობანი, ფრანგულმა — დიპლომატია და საერთაშორისო ამბები.

მე რომ ქუჩაში მამა ღმერთი შემეყაროს, ასი წლის შემდეგ ისევ აქ მოგიყვანო, რომ შემომთავაზოს, უარს მოვახსენებდი.

წარმომიდგენია როგორ გადათხრილი იქნება ჩვენი უტურფესი ალაზნის ველი გრეიდერებითა და ექსკავატორებით. სირენების ღრიალი აიკლებს აქაურობას, მილების კვამლი შერყვნის ამ საუცხოო ლანდშაფტებს, რკინის ხიდები და საბაგირო გზები დაამახინჯებენ კავკასიონის ზურმუხტ მთებს“.

„მაშ აგრე გამოდის, ფეოდალიზმის სიბნელეს უნდა მივუბრუნდეთ, უწიგნურობას და უგზაობას, არა?“ გესლიანად შენიშნა კორინთელმა.

„აგრე გამოდის, თქვენ ისტორიის ჩარხის უკუღმა დაბრუნებას მიელტვით?“ უთხრა ზურაბ არადელმა მოღუშულ ცეროდენას.

„ისტორია, ჰმ, კაცობრიობის ისტორია რაღაა? მართლაც ნამდვილი დომხალი, ძალადობისა და ველურობის დომხალი“.

კორინთელი აღშფოთდა ამის გამგონე, მაგრამ შეეცადა თავი შეეკავებინა. იდაყვების მოცაცუნებით ანიშნა მის გვერდით მსხდარ ძია ნიკოს და არადელს, ავდგეთო.

როცა სამივენი ბაღში გავიდნენ, ზურაბმა ვერ დამალა თავისი უკმაყოფილება:

„მაშ აგრე ამბობდი ვახტანგ, ეს კაცი ინჟენერია? უნდა გამოგიტყდეთ, იგი არცხვენს მრავალ პატიოსან ქართველ ინჟენერს. მე არ მესმის როგორ ბედავს იგი შენს სახლში ასეთი უხამსო აზრების გამოთქმას?“

„რა ვქნა ჩემო ზურაბ, ჩვენ ქართველებს, სხვათა შორის ერთი ცუდი ჩვეულებაც გვაქვს შემორჩენილი, სტუმარს ბევრ რამეს ვაპატიებთ ხოლმე. მაინც დარწმუნებული იყავი, ამიერიდან იგი ფეხს ვედარ შემოდგამს ჩემს სახლში?“

*

* *

ბაღში მოსაუბრეთ შემოესმათ: ვარამ გადასძახა საძილო ოთახში მწოლარე მედიკოს: ახლავე მოვალთო. შემდგომ ამისა კორინთელმა თვალი წა-

ატანა თუ როგორ გადაიარა კიბის თავი ორმა ლანდმა, ჭიშკარი გააღეს და შარაგზაზე გავიდნენ ხმადაბლა მოსაუბრენი.

კორინთელი მიხვდა: ვარა და ცეროდენა რომ წავიდნენ სადღაც...

ძია ნიკო და არადელი დიდხანს ეეედრნენ კორინთელს: მანქანაში ჩავსხდეთ, ექიმ კანდელაკის ოჯახში ვართ სამივენი მიწვეულნი. კორინთელი უარზე დადგა. ხვალ დილით მთავრობის კომისიას მოველითო მე და ციხისთავი.

როცა მანქანამ თან წაიყვანა სტუმრები, თემშარაზე უქუდოდ დარჩენილმა კორინთელმა დააპირა: საექიმო პუნქტისაკენ გავისეირნებ და სუსქიას გავუვლიო, მაგრამ ამჯერად დასძლია ეოძალებული წადილი და ეზოში შებრუნდა.

კიბეზე ასულიც არ იყო კორინთელი, როცა შემოესმა მედიკოს ძახილი: „მაია, მაია“... აღარსად სჩანდა იგი.

„მაია, წყალი მომიტანე“, ისევ შემოესმა კორინთელს.

კორინთელი ჩამოვიდა კიბიდან, მწვანე სკამზე ჩამოჯდა ქარაფის პირად. შესცქეროდა ვარსკვლავების ნელინელ გამოჩინებას ცაზე. ესმოდა მედიკოს ძახილი და ფიქრობდა თავისთვის:

„შენ იმის ღირსიც არა ხარ, რომ წყალი მოგაწოდოს კაცმა...“

„რა საოცარია ცხოვრება, — ფიქრობდა ვახტანგ კორინთელი. რა უცნაურად გამოეთიშები ხანდახან ისეთ ადამიანს, რომელიც შენი სულის მენახევრე იყო. ოდესღაც ამ ქალისათვის სიცოცხლესაც არ დავიშურებდი, ახლა იგი წევს დაბნელებულ ოთახში, დასიცხული წყალს ითხოვს ამაოდ...“

მედიკოს ძახილი შესწყდა. ვახტანგ კორინთელი იჯდა და კავკასიონს უყურებდა ახლა. მთვარე დაქათქათებდა ვერცხლის ტალღებით მოოჭვილ ქედს.

შორიდან, ძლიერ შორიდან მოისმოდა მარტოხელა წეროს ძახილი, ისეთი სევდიანი და უმწეო, კორინთელმა უნებურად ალაზნის ჭალებისკენ გაიხედა, უყურებდა სივრცეს, მაგრამ არსად სჩანდა წერო.

კორინთელს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, ახლოვდებაო ეს ძახილი; მიაშტერდა მოლიბრო ცას, ძახილი უფრო და უფრო მკაფიოდ მოისმოდა, მაგრამ თვით იგი არა სჩანდა, ვინც ასე გულისმომწყლულველად იძახოდა. უცნაურად აწრიალდა კორინთელი, უფრო ახლოს მივიდა ქარაფის კიდესთან, ახლა ცას მოარიდა მზერა, ეგებ ძირს გადაშლილ ტყეების კენწეროებზე მოფრინავდესო წერო, თვალსაწიერი გამსჭვირვალე იყო, მაგრამ მისი სილუეტი აღარსად სჩანდა.

ისევ სკამზე ჩამოჯდა კორინთელი და სწორედ ამ დროს მან თვალი მოჰკრა თალხი ლანდი მოჰქროდა სამხრეთიდან გამალებული. კორინთელის დაძაბული მზერა უკვე ამჩნევდა, თუ როგორ გამოეყო სიმრუმეს წინწაშვერილი თავკისერი ფრინველისა, მერმე მისი განიერი ფრთების მოხაზულობა. იგი მედგრად მოაპობდა ჰაერს და იძახოდა.

ეს იყო სასოწარკვეთილი ძახილი ზეცის თავანს შერჩენილი მარტოსულისა, ძახილი დაცალებული მიჯნურისა, რომელსაც გულის-ტოლი დაკარგვოდა, მიწაზე და ეთერის უფსკრულებში დაეძებდა მას...

წერო ჩრდილოეთისაკენ გაუჩინარებული არ იყო ჯერაც, კორინთელი ადგა, შინ შევიდა. მას ისევ შემოესმა მედიკოს ძახილი: „მაია, მაია“.

კორინთელმა ქუდი და ჯოხი აიღო, ბიჟინა უკან გამოუდგა, მან ხელში აიტაცა ცხოველი, კუთხეში დააწვინა და კარი მაგრად გამოიხურა.

ახალშენში ნელნელა ყუდებოდა გამვლელთა ჟრიამული. ელნათურები ოდნავ ბჟუტავდნენ, უსუსურ სინათლეს ჰფენდნენ ხარაჩოებიან ახალ ნაგებობებს, ახლად გაყვანილ შარებს, როჭელთა გასწვრივ დაზვინული ხრეშის

პირამიდები ირმის ტბამდის მრავალწერტილებად გაწკაპულიყვნენ.

სახლსუკან კარი ჭრიალებდა, ვიღაცეები სადღაც მიიჩქაროდნენ. შუკებიდან საქონლის ბღავილი ისმოდა. ტრაქტორები ბუბუნებდნენ შორს, ურმები მიჭრიალებდნენ ტაატით.

ფაფახიან კაცს თოხლი შეესვა მხარზე, ბავშვივით ეფერებოდა, საალერსო სიტყვებს ედუდუნებოდა, მას უკან მისდევდა თავშალიანი დედაკაცი, რომელსაც აკვანი მიჰქონდა ხელით.

მასწავლებელ ქალს პატარა გოგონების გუნდი მიჰყავდა გზაზე. ახლად შეღერებული ბიჭუნების რაზმეული ჩქარი ნაბიჯით მისდევდა ქოჩორა პიონერხელმძღვანელს.

„ერთი, ორი, ერთი, ორი“.

ისმოდა ნახევრად ბნელში, ფეხების რიტმიული ტკაპუნი რეფრენად მისდევდა ამ ხმებს. ნაბდისქუდიანი ბიჭუნა სახრით მიერეკებოდა კამეჩებს. ეს კამეჩები თუჯის ფიგურებს მიაგავდნენ, თხემიდან ტერფამდის ლაფში ამოსვრილნი.

ხმლიანი ხევსური თოკით მიათრევდა ზედ შუაგულ გზაზე შავ ღორს. გაავებული ცხოველი ენერგიულად ეურჩებოდა თავის პატრონს.

სჩანდა: ხმალ-დაშნიან რაინდს ერცხვინებოდა ეგზომ არარომანტიულ ცხოველთან მოგზაურობა, უშვერად ლანძღავდა ღრუტუნას.

გაჯიქდებოდა ღორი, მიეჭრებოდა ხევსური, უთავაზებდა პანღურს, ისტერიულ ყვირილს მორთავდა შეურაცხყოფილი. ბოლოს ხევსურმა დიდხანს ეძება ქვა და მოკირწყლულ გზაზე რაკი ვერ იპოვნა იგი, ქარქაშიანად მოიხსნა ხმალი და ხელტუკივით დასცხო ეგი ღორს.

ყალხზე შესდგა პირუტყვი, ბრაზმორეულმა გამოაჩინა თავისი თეთრი, ლაპლაპა ეშვები. კორინთელს გაეღიმა ხმლიანი რაინდისა და შავი ღორის ორთაბრძოლის შემყურეს.

საიდგანღაც ბავშვის გაბმული ტირილი მოისმოდა.

კორინთელი გზის პირად შესდგა. ახლადაგებულ სახლის ეივანზე ქალი გამოვიდა, მან რიკულებზე გადაკიდული ზეწარი აიღო და ისევ შინ შევიდა.

ბავშვი განაგრძობდა ტირილს. იგი ისეთი გულისმომწყლულველი იყო, კორინთელი იდგა გზაზე და მანამ ადგილიდან არ დაძრულა, სანამდის ტირილი არ შეწყდა.

კორინთელმა სუსქიას ოთახში მბჟუტავი სინათლე რა შენიშნა, გაიხარა, მას ისე მაგრად შემოსწოლოდა მარტოობისაგან მოგვრილი დარდი, დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ და მხოლოდ სუსქიასთან შეყრა თუ განკურნავდა ამ წუთში.

ხელების ფათურით მიჰყვა გრძელსა და ვიწრო დერეფანს.

ბობღია ლანდი წინ გადაეღობა დერეფნის ბოლოს:

ვინა გნებავთო, ბატონო?

„ექიმი მინდელი“.

კორინთელმა დარაჯი მათე შეიცნო.

„აგრე დამიბარა, შენ ხარ ჩემი ბატონი, თუ ვინმემ მიკითხოს, მომიცადოსო. ექიმი ავადმყოფთან იხმეს სასწრაფოდ. შებრძანდით მის ოთახში, საცაა მოვა ჩემი ბატონი“.

დარაჯმა გასაღები დაარაჩხუნა, კარი გააღო და სუსქიას ოთახში შეუძღვა სტუმარს. უცნაური სისუფთავე და წესრიგი დაემყარებინა ქალს ამ პატარა, დაბალჭერიან ოთახში, რომლის კარფანჯრებს საღებავების სუნი ადიოდა ჯერაც.

კედელზე ბალღიანი მადონას რეპროდუქცია ეკიდა, მაგიდაზე რამდენიმე ფლაკონის გვერდით ფაიფურის ვაზა იდგა, შიგ ოდნავ შემჭკნარი ყვავილები იდო.

მათე კარის ზღურბლთან იდგა და ნელი ხმით ესაუბრებოდა კორინთელს.

„ასეთი გამრჯელი ქალის მნახველი არა ვარ, შენ ხარ ჩემი ბატონი, მთელი დღე შრომობს, მუდამ ბავშვები ახვევია გარს. მისთვის არც ძილია და არც მოსვენება.

მთელს გველეთში ორად ორი ექი-

მია, ის მეორე, ქალაქს წავიდა, მთელი ახალშენის მცხოვრებნი ექიმი მინდელის კარზე დგანან.

ამ სამი დღის წინათ თევზი უჭამია ერთ ხევსურს და მოწამლულა ბედშავი, სიკვდილს ხელიდან გამოგლიჯა იგი. გუშინწინ თუშ მეცხვარეს ხანჯლით დაუჭრია გზადგავლილი მეველე".

რათაო? იკითხა კორინთელმა.

„რათა და თუშის ცხენს გზის პირას სიმინდი მოუჭამია, გაავებულა მეველე და დედა შეუგინებია იმ თუშისათვის. მოგეხსენება, რა გულფიცხებია თუშები, ხანჯლით დაუჭრია ი ბედშავი მეველე. მერე ის იყო სულთმობრძავი მეველე მიათრიეს საექიმოში, მინდელის ქალმა სასწრაფოდ ამოუკერა მუცელი. როგორც იყო, სიცოცხლე შეარჩინა.

აგეთი კაცთმოყვარე ქალის მნახველი არა ვარ, შენ ხარ ჩემი ბატონი. ლუკმას გაგიყოფს, ეგეთი ვინმეა ჩვენი ექიმი. შემევედრება ხოლმე, დამეწვიეთ სადილად, მათე, მარტო ჭამა შემძაგდაო, სულ ამას ჩივის".

ეს უკანასკნელი ფრაზა შაშარივით მისწვდა კორინთელის გულს, უცნაური სიბრალული აღეძრა ამ მარტოხელა ქალის მიმართ.

კორინთელმა საათს დახედა. უკვე ათს გადაცდენილიყო ისარი. კიდევ მოვიცდიო, ცოტა ხანს გაიფიქრა და ახლა მათეს დაუწყო გამოკითხვა მისი ცხოვრების ვითარებათა გამო.

როგორც ეს უბირ ადამიანებს სჩვევიათ, მათე ხალისიანად შეუდგა თავისი ბიოგრაფიის დაწვრილებით მოყოლას. ოდესღაც მეწაღე ყოფილა მათე, იმერეთიდან ზედსიძედ მოსულს სახლ-კარი ჰქონია ალაზნის გადაღმა.

ორი ვაჟი გერმანიასთან ომში დაღუპვია, მესამე თბილისში ზედსიძედ შესულა ერთი თერძის ოჯახში. ცოლი მოკვდომია მათეს. მხედველობა შესუსტებია დამწუხრებულს.

„ჩემი ხელობა პურს ვეღარ მაჭმევს, შენ ხარ ჩემი ბატონი, ძაფს ვერ ვხედავ ბნელ ნემსში, ვერც მახათს ვხმარობ ისე მიკანკალებს ხელი. დარაჯად ამიყვანეს და ვუცდი სიკვდილს ჩემს სადარაჯოზე".

ახლა ეს იკითხა მათემ: ომი თუ არისო მოსალოდნელი? ი მესამე ვაჟიც რომ ომში წაიყვანონ, ალაზანში უნდა დავიხრჩოო თავი.

კორინთელმა ანუგეშა მოხუცი. ფაშისტები ვერ გაბედავენო ომს.

როცა თავისი ბიოგრაფიის თხრობა მოათავა მათემ, თავი მოიფხანა და წაიღუღუნა:

„ი მეველეს თუ სიცხემ აუწია, შესაძლოა დილამდესაც არ მოვიდეს ექიმი".

კორინთელმა ხელახლა დახედა საათს, წამოდგა, მშვიდობა დაუბარა დარაჯს და დაბნელებულ თემშარას დაადგა.

უკვე ეძინათ გველეთის ახალმოსახლეებს, ალაზნის ჭალებიდან მოისმოდა მამალი ხოხბების გაბმული ყივილი. მამუკასეულ ციხესა და ეკლესიას ჩაუარა კორინთელმა, სიღამე და სიცარიელე იმზირებოდნენ შელეწილი ბასტიონების კარიბჭეებიდან, ჭოტი იძახოდა სადღაც...

კორინთელის გულში გადმოინთხა ნანგრევთა და ნატამალთაგან ამდგარი სევდა, ბნელში დანთქმულ ქამთაგან მონაბერი.

შინმიბრუნებულმა ფეხაკრეფით აიარა კიბე. მედიკოს ოთახში ჯერაც ბჟუტავდა სინათლე. სასადილოდან ვარას ხროტინი ისმოდა.

კაბინეტის კარი შეაღო თუ არა კორინთელმა, ბიჟინა შემოეგება კუნტრუშით. კორინთელმა ბალღივით აიტაცა ეს უმანკო პირუტყვი ხელში და აკოცა მის გიშრისფერ, მშვენიერ დრუნჩს. მას აგრე ეგონა: ამქვეყნად ეს ნუკრი ყოფილიყო მისთვის უახლოესი არსება ამ წუთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულბულების ორკესტრი

ინჟენერის, ცეროდენას, უკანასკნელმა სტუმრობამ ასე თუ ისე დააჩქარა გორდისეული კვანძის გახსნა. ამას ზედ დაერთო კიდევ ერთი გარემოება:

კორინთელმა მხოლოდ ორჯერ ინახულა ექიმი მინდელი და ამან იკმარა, საექიმო პუნქტის ექთანებმა მთელს ახალშენში მითქმა-მოთქმა შექმნეს ექიმისა და პროფესორის ურთიერთობათა გამო. ეს ჩურჩული დაუყოვნებლივ მისწვდა ვარას სმენას.

ერთ საღამოს ციხისთავმა გამოუარა კორინთელს, ყვარელს თან წაიყვანა სასწრაფოდ მოწვეულ თათბირზე. ნავარაუდევი იყო, თათბირი სამ დღეს უნდა გაგრძელებულიყო, ამიტომაც კორინთელმა მანქანიდან გადმოსძახა მაიას: მასზეგ მოვალო.

მოხდა ისე, რომ იმავე ღამეს, ციხისთავი თბილისს გაიძახეს მოულოდნელად და თათბირი გადაიდო, ასე რომ კორინთელი ღამის სამ საათზე მიბრუნდა გველეთში.

ახილმა ერთი შეუტია ბაღში შემოსულს. როგორც კი შეიცნო პატრონი, ალერსიანად გაუძღვა კოტეჯისკენ მიმავალს. წინა კარი დაგმანული დაუხვდა კორინთელს, კარის ალაგთან, საველე საწოლზე ხვრინავდა მაია.

კორინთელმა ერთ-ორჯერ დააკაკუნა ფრთხილად და რაკი არავინ გამოეხმიანა, შეებრალა მოხუცი, ირგვლივ შემოუარა სახლს იმ იმედით, ეგებ რომელიმე კარი დაკეტილი არ აღმოჩნდესო.

ამაო იყო ცდა, მხოლოდ მისი კაბინეტის ფანჯრისთვალი ღია დარჩენოდა მაიას. ფრთხილად აძვრა ფანჯრის რაფაზე, ხელი ჩაჰყო ფანჯრისთვალიდან, საკეტი გააღო და სულმოუთქმელად გადაძვრა თავის კაბინეტში.

ძილი არ მოეკიდა. ბოლოს, ის იყო თვლემა წაეპოტინა მის ქუთუთოებს, ხმადაბალი ორთა საუბარი მისწვდა საძილო ოთახიდან მის სმენას. ვარა ეუბნებოდა მედიკოს ფრანგულად:

...„შენი პროფესორი, როგორც იქნა, სწვევია საწადელს. ხომ ვამბობდი, „მა შერი“ [1], რა ხელი აქვს-მეთქი დიაკვნის-შვილიშვილს ვაჩნაძიანთ ქალთან. კანალია კანალიას [2] აჰკიდებია.

ხომ გაფრთხილებდი მედიკო, თელავში, როგორ მოილხინა, ნიკოსას, იმ ღამეს ვახტანგმა, თვალები უბზინავდა, როცა ლუკა მეთონის ქალს ელაპარაკებოდა სუფრაზე.

შენ ნამდვილი ცხვარი ხარ და არც კი გესმის, მამაკაცი რომ თევზსა ჰგავს ერთ რამეში: თუ ლაყუჩებში არ წაეტანე, უთუოდ გაგისხლტება ხელიდან.

შენ არც კი გაგიგია, ნავახშმევს თავათ რომ გააცილა შენმა პროფესორმა თავისი დამა.

მე სრულ ერთ საათს ვიცადე და მერმე წამძინებია.

რა იცი, იმ ღამეს ზოგი რამ რომ არ დასთქვეს. ახლა ჩემთვის ცხადია, ეს მან გადმოაყვანინა სუსქია საექიმო პუნქტის გამგედ. ამიტომაც ვერ დავძარით იგი ბერმუხიდან.

ხომ ფაქტია, ვახტანგს საზღვარგარეთ მივლინება შესთავაზეს, და მტკიცე უარი უთქვამს თურმე. ახლა ყოველივე გასაგებია ჩემთვის“.

„არა მგონია, დეიდა, მიუგო მედიკომ, მას მოყირჭებული აქვს ევროპული ცივილიზაცია, ამიტომაც სიამოვნებით ცხოვრობს დათვების ამ ბუნაგში“.

„ჰა, ჰა ცივილიზაცია მოსწყინდა გუდამშიერ დიაკვნის შვილიშვილს და ბერმუხის ნაკელის სუნი მონატრებია არა? ღმერთო რა სნობიზმია ეს ყოველივე!

ჭეშმარიტად სასაცილონი არიან ეს თანამედროვე ჩაილდ ჰაროლდები! ევროპის ცივილიზაციას ყოველ გზაჯვარედინზე ლანძღავენ, თანაც არხეინად დასეირნობენ მერსედეს ბენცის ფირმის მანქანებით.

---

[1] მა შერი — ჩემო ძვირფასო.

[2] კანალია — ძაღლების ხროვა, აგრე უწოდებდა ნაპოლეონი უბრალო ხალხს.

ინგლისურ კოსტიუმებს არ იშორებენ, ამერიკული ავტოკალმებით სწერენ. ჰა, ჰა, ჰა“.

ახლა ისევ მედიკოს ხმა მოესმა კორინთელს:

„სწორედ გითხრა, მე ის ამბები არა მჯერა, დეიდა“.

„ყველაფერი შენი ბრალია, ჩემო კარგო, როგორც გინდა, ისე იანგარიშე“, სთქვა ვარამ ქართულად და მერმე ისევ ფრანგულად განაგრძო:

„ლამაზ ქალებს და გაყოყოჩებულ მწერლებს ერთი და იგივე სენი სჭირთ: ყოველ თქვენგანს აგრე ჰგონია: ვერკინ შეგვცვლისო, ამიტომაც გეკარგებათ შესაძლებელი მეტოქის წინაშე სიფრთხილე“.

„არა, თქვენ სცდებით, დეიდაჩემო, მე ჩემს თავს არასოდეს ვთვლიდი მზეთუნახავად, მით უმეტეს ეხლა, როცა ჭაღარამ თავზე გადამათოვა.

არც იმას ვფიქრობ, რაიმე სერიოზული ურთიერთობა ჰქონდეს ვახტანგს მინდელის ქალთან. ეგეც რომ არ იყოს, აწი ჩემთვის ეს სულერთია. მე შემძულდა კიდევაც ჩემი ქმარი და ალარც მას ვუყვარვარ უკვე. „სე ტუ...“ [1].

ეზოდან ახილის ყეფა მოისმა. ვარამ თითქოს ხმამაღლა სთქვა:

„გაჩუმდი, ვგონებ მობრუნდა ვახტანგი“.

*

* *

ბნელში მონასმენმა დიალოგმა კორინთელი გააფრთხილა. უკვე მოგვიანებით, მაგრამ მაინც გადაწყვიტეს სუსქიამ და ვახტანგმა გველეთში არ შეხვედროდნენ ურთიერთს.

შაბათამდის ორივენი თავგამეტებით მუშაობდნენ, სამუშაო დღის ბოლოს ირმის ტბის გადაღმა უცდიდა მათ მანქანა, რამდენიმე კილომეტრის მანძილზე გასცდებოდნენ გველეთის სანახებს, ბოლოს მოსძებნიდნენ უკაცრიელ ადგილს, ხეობაში სადმე და მხოლოდ ნაშუადღევს ბრუნდებოდნენ შინ.

ერთხელ კორინთელი დაპირდა სუსქიას, ნაღვარევის ხევში წაგიყვან, ბულბულების ორკესტრი უნდა მოგასმენინოო.

ყვარლის გზაზე სულ ხუთიოდე კილომეტრიც არა ჰქონდათ გავლილი, სწორედ ვერხვებთან გაჭირვეულდა მანქანის მოტორი.

შემთხვევითობის უცნაურ ჭირვეულობას მოეწადინა აგრე: სწორედ იმ საღამოს გულის შემოტევა მოუვიდა მედიკოს. საექიმო პუნქტიდან მინდელის შემცვლელი ექიმი მოიყვანეს, მაგრამ ქაფურის ზეთი ვეღარსად იშოვნეს. ვარამ არ ითაკილა, გველეთიდან მომავალ სატვირთო მანქანას ჩაუჯდა კაბინაში და წამლის მოსატანად წავიდა ყვარელს.

სწორედ ვერხვებთან ასეთი რამ ნახეს მისმა ცნობისმოყვარე თვალებმა: ანდრო ახდილ კაპოტთან იდგა, ვახტანგი და სუსქია მანქანაში ისხდნენ. ორივენი ისე გართულიყვნენ საუბრით, მათ არც კი შეუმჩნევიათ სატვირთო მანქანიდან მოთვალთვალე ვარა.

*

* *

შოფერმა ანდრომ რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ აამუშავა მანქანა.

ალვები,

თუთები,

ატმები მიჰქროდნენ სივრცეში.

მოსიყვარულე თვალით გასცქეროდა კორინთელი კორდების კალთებზე შეფენილ ვაზნარების კვადრატებს, მარნების გვერდით პირდაბჩენილ ქვევრებს, პარიზის ხსნარში ამოთხვრილთ, წუმპეებში მონებივრე კამეჩებს, თხემებზე შეფენილ ფარებს.

ბოლოს დაიწყო უკაცრიელი ხეობა. ქარაფების კიდეს აღმართული ციხეები გოროზად გადასცქეროდნენ უფსკრულებს. ეთერში მორიალე ორბები ცაში ირაოს აკეთებდნენ.

კორდზე წამომჯდარი ბიჭი სალა-

[1] გათავდა — მორჩა.

მურს უკრავდა, სადღაც ტრაქტორი ბრდღვინავდა.

მეველე მეველეს გადასძახოდა მთის წოპზე გადამდგარი, მერმე დავარდებოდა სიჩუმე და ეს ძერასფერი კლდეები, ეს თვალჩაღამებული ხევები, ველური ყვავილებით მოჩითული კორდები, ზვარეში გაბრწყინვებული ალვები და ფიჭვები, ეს ყოველივე თხოულობდა აკვარელის დიდოსტატს.

კორინთელი ისე ჭაბუკურად აღტყინებული იყო სასურველთან მარტო ყოფნისგან, მას დიდხანს არ შეუმჩნევია, რომ შოფერი ანდრო მთვრალი იყო, ხოლო როცა მას მეორეჯერ აერია გზა, და შეეკითხა პროფესორს, მარჯვნივ ვიაროო თუ მარცხნით, ვახტანგმა ბოდიში მოიხადა სუსქიასთან და შოფერს მიუჯდა გვერდით.

როცა ანდრო მკვეთრად ამუხრუჭებდა, ან მანქანის თვალი ახლოს გაუვლიდა რომელიმე ქარაფს, კორინთელი თრთოდა და ცახცახებდა ისე, როგორც ავტოში პირველად ჩამსხდართ ემართებათ ხოლმე.

ბოლოს ველარ მოითმინა ვახტანგმა და უჩურჩულა შოფერს:

„მე შენ გუშინ გაგაფრთხილე, დღეისათვის მოგემზადებინა მანქანა, ამიტომაც არ უნდა დაგელია ღვინო“.

„არხეინად იყავი, ბატონო პროფესორო, სანამ ანდრო ცოცხალია, მას მკლავი არ უღალატებს. ღვინო მე რას მიზამს, ბატონო პროფესორო, მე ღვინო კი არა, სიკვდილიც ვერ მომერევა, ბატონო პროფესორო“.

კორინთელი გააცინა ანდროსგან ასეთი ქადილის მოსმენამ, უნაყოფოდ ჩასთვალა მთვრალ კაცთან კამათი.

მაინც არა ცხრებოდა ანდრო:

„მიკვირს, დღეს რა მოგდით, ბატონო პროფესორო, თელავიდან რომ მოვდიოდით იმ უკუნეთში, თვალს ძლივს ვახელდი, რულზე მეძინებოდა, თქვენ არხეინად იჯექით ჩემს გვერდით“.

ისევ დადუმება არჩია კორინთელმა მზერა ესროლა მეწყერებისა და ლაღუმებისგან შელეწილ კლდეებს. ისინი ფანქრით ჩანახაზებივით მოსჩანდნენ. ეს შრეების სიმეტრიული განლაგება, ეს ციხეებივით აზვინული ქორედ-ქორედები ამჟღავნებდნენ გოროზი ბუნების უცნაურს გულზვიადობას.

ხეობა უფრო და უფრო ვიწროვდებოდა, მზე ჯერაც ანათებდა კავკასიონის რილო-ჭრელოს, მაგრამ ამ ხეობაში უკვე წვებოდნენ პირამიდისებრ აზვინული მთების ჩრდილები.

გრეიდერი განუკითხავად დაეტოვებინათ გზის პირად. დაქანცულ შოფერს არხეინად ეძინა, თავის საჯდომზე პირქვედამხობილს.

სჩანდა: ლაღუმები დაუშენიათ კლდეებისათვის, ლოდები და გოროხები უწესრიგოდ ეყარნენ აქა-იქ, და ეს ყოველივე აძნელებდა მანქანის წინსვლას.

სუსქიამ შენიშნა: ვახტანგი ძლიერ ღელავდა, ბოლოს მთლად უცნაური ამბავი მოხდა. მსარმარცხნით გაუხვიეს ხევში, და ვახტანგმა თვალი წაატანა, თუ როგორ უსწორა მანქანამ მოსახვევში დაყენებულ გრეიდერს.

ეს შოფერმაც თავის დროზე შენიშნა, ამიტომაც მკვეთრად მოუხვია უფსკრულისაკენ.

იმდენი მაინც იმარჯვა ანდრომ, ქვევიდან ამომავალ საურმე გზაზე შეაყენა წინა თვლები და სწორედ ამ დროს მას უკვე ხელიდან გაუსხლტა საჭე და მთელი ინერციით დაეშვა მანქანა ხევისკენ. ყვირილი მორთეს ხევს გადაღმა მდგარმა მეცხვარეებმა.

სუსქიამ თვალი შეასწრო, თუ როგორ მოეშვა დამფრთხალი ანდრო საჭეს, ჰაუო—დაიძახა და გაასავსავა ზეაწეული ხელები. ვახტანგი ლანდის უსწრაფესად წამოიჭრა თავის ადგილიდან, ანდროს გადაეფოფრა ზედ, მარჯვენით საჭე გამოსტაცა ხელიდან, როგორც იქნა, შესძლო მანქანის ნებისმიერი ინერციის შესუსტება, ღვიის ბუჩქზე მიაგდო იგი და ხელის მუხრუჭი მოზიდა მკვეთრად.

კორინთელი გაფითრებული ჩამოხტა კაბინიდან, საკმაოდ უხეში ტონით უბრძანა ანდროს: ძირს ჩამოსულიყო. სუსქიას მიეშველა და მანქანიდან გადმოსვა.

კორდზე ავიდა, მოგვეშველეთო, გადასძახა მეცხვარეებს. თორმეტმა კაცმა ძლივს ამოათრია თემშარაზე უკუსვლით მანქანა.

ახლა თავათ კორინთელს მიჰყავდა მანქანა სულ აღმა და აღმა. ამჯერად უფრო და უფრო ფართოვდებოდა ხეობა, ლოდები და გორმახები მოხშირდნენ.

„ხომ არ დავბრუნდეთ, ვახტანგ?“ იკითხა სუსქიამ, თუმცა თავათ არამცდაარამც არ უნდოდა შინ მიბრუნება.

„არა, სთქვა კორინთელმა, მე არ მიყვარს გზიდან დაბრუნება“.

„ხომ არ გეშინია?“

ეკითხება ვახტანგი ქალს.

„მე სიკვდილისაც არ მეშინია, ვახტანგ“, მიუგო ქალმა, თავის გულშივე დასძინა: „მითუმეტეს შენთან“.

„სტოოპ, წამოიძახა ანდრომ“.

ხის ბოგირი გრეიდერებსა და ტრაქტორებს ჩაელეწათ.

კორინთელი მანქანიდან ჩამოვიდა. ბოგირის ქვეშ მოქლურტულე ხევის წყალს ჩაჰხედა და სთქვა:

„სამუხლე წყალია, სუსქია“.

სუსქიაც გადმოვიდა, წყალს დახედა.

დასთქვეს: ანდრო და მანქანა ბოგირს გამოღმა დაეტოვებინათ. როცა ბილიკი ჩაირბინეს, ვახტანგმა უთხრა ქალს:

„მე გადაგიყვან, ნუ გეშინია“.

სუსქია ოდნავ შეყოყმანდა. კორინთელმა ბალღივით აიტატა იგი და გაღმა გაიყვანა.

მამაკაცს ელექტრონის დენივით შემოენთო ქალის რბილი სხეულის სითბო.

სამშვიდობოს რა გავიდნენ, მომღიმარმა ქალმა სთქვა:

„ხიფათი ამშვენებს კიდევაც მგზავრობას“.

„არა მარტო მგზავრობას, ცხოვრებასაც ამშვენებს ხიფათი“, დასძინა კორინთელმა.

ისინი მცირე ხანს მდუმარედ მიჰყვებოდნენ ლოდებით დახერგილ გზას.

„ეს მეორედ შენ გადამარჩინე, ძვირფასო, სიკვდილს“.....

კორინთელი გამოკითხვას მოერიდა ამჯერად.

ერთბაშად გზისპირად აფრინდა კარაქისფერი ქორი. ორივემ თვალი შეასწრეს, თუ როგორ აიტაცა მტაცებელმა მახლობელ ჩირგვიდან გნოლი.

უნაზესი უდრტყვინველად მიწებებოდა უსასტიკესს.

„როგორი უგულოა ბუნება, სთქვა ვახტანგმა, ის გნოლი ჯერაც ცოცხალია, მაგრამ ისე გაოგნებულია, ძლიერის მიერ მონუსხული, კრიხტის დაძვრაც ვერ გაუბედავს.

ეს ყველაფერი ჰიპნოტიზმის ამბებია იცოდე“.

მხარმარცხნით გაუხვიეს თუ არა, ბულბულის გალობა შემოესმათ, მგზავრები შესდგნენ. ხმას გაკმინდავდა ერთი, ახლა მეორე შეეხმიანებოდა მას ხევს გადაღმიდან. მიდიოდნენ ორივენი და სულ ახალი და ახალი დასტა მგალობლებისა ებმებოდნენ ამ ხეობაში გამართულ ტურნირში. დასხდნენ და უსმინეს ბულბულების ორკესტრს.

„ვიაროთ“, სთქვა ვახტანგმა და გორის გადაღმიდან ამოსულ მთვარეს შეხედა. მთელი ხეობა გაანათა მოლიცლიცე შუქმა, ბულბულები არა სცხრებოდნენ და მდუმარედ მიმავალთ აცილებდნენ თავიანთი გალობით.

ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ზედ დაბჯენოდა ხეობის გარშემო მოჯარულ, ცაში აჭრილ მწვერვალებს, ხევის წყალი საამოდ ჩხრიალებდა, მთვარის შუქით გავსილი ხეობა სთვლემდა ნათლის შუქითა და ბულბულების გალობით დამტკბარი.

გზის ასაქცევთან გადმომდგარიყო უზარმაზარი ციხის შავი სილუეტი, მდუმარე, დიდებული და გრანდიოზული, მთვარის შუქზედაც ეტყობოდა

მას, ცალი კიდე ჩამოელეწა მიწისძვრებს.

გრანიტის კვადრატები ზედახორად შესხდომოდნენ ერთმანეთს, მათი ლტოლვა შეეჩერებინა კოლოსალურ ტრაპეციის მონაგვარ, ხავსმოდებულ ლოდს, რომელიც დევის სარეცელივით აზვინულიყო ამ ხეობის გავაკებაზე.

ვახტანგმა არც დახედა დევის სარეცელს, მის გარშემო ეყარნენ მომცრო ლოდები, გრანიტის კვადრატები.

„მოდი, აქ შევისვენოთ“, სთქვა კორინთელმა და სუსქიას მკლავში წაავლო ხელი. ლოდიდან ლოდზე, კვადრატიდან კვადრატზე, მარდად ავიდნენ ორივენი მაღლა და ამ ხავსმოდებულ ლოდზე დასხდნენ.

მცირე ხანს უპვრეტდნენ მთვარის შუქით განათებულ ხეობას, რომლის უბეებში გატვრინულიყო ღამე.

ზღვას მიაგავდა ხშირი ტყით დაბურული ხეობა. შორს, ძლიერ შორს, თვალსაწიერის დასასრულს, ირგვლივ მოჯარული მთის მწვერვალები იდგნენ თეთრად შესუდრულნი და მთელი ეს მანძილი მათ ქვემოთ ისე მოსჩანდა, როგორც მთვლემარე ზღვა.

ვახტანგმა თავი გადაუწია ქალს. მთვარისკენ მიაბრუნა იგი, ღრმად, ღრმად ჩახედა ნაღვლიან თვალებში. მერმე ხელი წაუცაცუნა მის გრუზა თმებს.

სულ ახლოს მიიტანა ტუჩპირი, ქალის მთრთოლვარე, შშვენიერ ტუჩებთან, თავი შეიკავა, აღელდა უცნაურად და მთელს სხეულზე შემოეგზნო ისეთი მხურვალება, როგორსაც მოჰგვრის ხოლმე ნასმურევს ძველთა ძველი ქინძმარაული...

და როცა ორივენი წააქცია ვნებამ ხავსმოდებულ ლოდზე, ვახტანგმა შენიშნა: პირაღმა მწოლარე თმებგაშლილი ქალი მთვარეს შესცქეროდა, უცნაური დარდი კიაფობდა მის მუქლურჯ, დიდრონ თვალის თეთრონებში.

„ეს რა სთქვი, სუსქია წეღან? მეორედ შენ გადამარჩინეო სიკვდილს. მე მაინტერესებს, პირველად ვინ გადაგარჩინა, ან რა გჭირდა მაინც სასიკვდილო?“

„ეს ამბავი პროვინციულ რომანებს მოგვაგონებს ოდნავ, მაგრამ ეს მოხდა იმ წელს, როცა შენ პარიზს გაემგზავრე პირველად, მე საწამლავი დავლიე შენგან განშორებით გულგასერილმა და ძია ნიკომ დროზე მიშველა“...

ვახტანგმა შეხედა ქალს უფრო მეტის დაკვირვებით. თითქოს მისი სახის ყოველ ნაკვთში კითხულობდა იგი, განვლილი სიმძიმილის ნაჩრდილევს.

პირაღმა მწოლარე ქალი განაგრძობდა ლაპარაკს, თითქოს ცას ეუბნებაო თავის აღსარებას.

„მამაკაცები უგულონი ხართ, ვახტანგ, მე აგრე მგონია, თქვენ ვერასოდეს ჩასწვდებით იმ იდუმალ მწუხარებას, რომელსაც აყენებთ ხოლმე ქალს.

თუ არა ვცდები, თქვენ გიხარიათ კიდევაც, ასეთნი რომა ხართ, თითქოს ეს უგულობა მამაკაცობის აქტივში შედიოდეს, არა?

ამიტომაც ხდება ალბათ, თანამედროვე ქალი არჩევს, მარტოკა შეებას ცხოვრებას, მარტოკა დარჩეს სიცოცხლისა და სიკვდილის პირისპირ.

გამოტეხილად გითხრა, მე გადამძალა ჯანგანმა, თორემ არ მინდოდა გველეთს წამოსვლა. არა, არ მიხდოდა-მეთქი რომ ვამბობ, ეს არაა მთლად სწორი...

ნდომით მინდოდა, მაგრამ გონების ძალით გადაწყვეტილი მქონდა: აღარ შეგხვედროდი ხელმეორედ სადმე. ჩემმა პროფესიამ და განვლილმა მწუხარებამ იმდენი ჯანი წამართვა, მეეჭვება, ახალი ტანჯვისთვის რომ მეყოს ძალა...

ეგეც არ იყოს, შენ ულამაზესი ქალი გყავს ცოლად, უბედნიერესი კაცი ხარ და რად გინდა, მე უარესად გამიმწარდეს ისედაც გამწარებული ცხოვრება ვახტანგ“?

კორინთელს ვაჟკაცური თავაზიანობა არ აძლევდა ნებას, აუგათ ეხსენე-

ბინა თავისი ცოლყოფილი, ეს-ღა წაიდუდუნა უარგუმენტოდ, უმწეოდ:

„შენ არც კი იცი, მე როგორი მარტოხელა ვარ, სუსქია... ან როგორი უბედური... საქმე ისაა, მე ამის მიზეზს ვეღარც გაგიმხელ. შენ მართალი ხარ: ჩვენ მამაკაცები ტლანქები ვართ და უგულონი. სამაგიეროდ, ჩვენ ვისჯებით კიდევაც. მეც მივიღე დამსახურებული სასჯელი...“

გულხმიერმა ქალმა ნათქვამის ქვეტექსტში ამოიკითხა ისიც, რისი გამჟღავნებაც ვერ იკადრა კორინთელმა, ბოლოს ეს-ღა უთხრა მას:

„სამაგიეროდ, თქვენ მეცნიერება გაქვთ ნუგეშინის მომგვრელად“.

„ეჰ, ჩემო სუსქია, მეცნიერის ცხოვრება ტანტალუსის ტანჯვას მოგვაგონებს. შენ განაგონი გექნება ალბათ, ფრიგიის მითიური მეფის, ტანტალუსის ამბავი. იგი ღმერთებმა დასაჯეს. ყელამდის წყალში იდგა და წყურვილი ახრჩობდა...

მეცნიერებაც აგრეა, მთელი ცხოვრება უნდა შეალიო მას, სულ ცოტა რამეს მიაღწევ თუ არა, სიბერე კარზე მომდგარია უკვე...

ეგეც არ იყოს, ადამიანს ცხოვრებაც უნდა... მე არც კი მიცხოვრია ნამდვილი ცხოვრებით. მობეზრებული მქონდა მუდამ სხვის ქვეყნებში ხეტიალი... საკუთარი ოჯახის სითბოს მოკლებულს.

მეც შენსავით ბავშვები მიყვარდა მუდამ. გენიოსი და ველური ერთ პუნქტში ხვდებიან ურთიერთს: ეს არის ბავშვისადმი სიყვარული. ამ ცხოვრების ყვავილია ბავშვი, მაგრამ ყველაფერი ისე მოეწყო, არც ოჯახი-მელისა და არც ბავშვი“...

„შენ როგორ ფიქრობ, ვახტანგ, შენ იმ წელს რომ არ წასულიყავი პარიზს, ხომ შესაძლო იყო, ჩვენ ორივენი ბედნიერნი რომ ვყოფილიყავით?“

„მე მეშინია, სუსქია, ეგებ სიყვარული მაშინ ჩნდებოდეს ორთა შორის, როცა ისინი ასცდებიან ხოლმე ერთმანეთს“.

განგებისად იხუმრა კორინთელმა, თვითონვე ინანა: რად ჩავიდინეო ეგ.

ამის გამგონეს ხმა არ ამოუღია ქალს. იგი ისევ პირაღმა იწვა ხავსიან ლოდზე და თავისი დიდრონი, განცვიფრებული თვალებით შესცქეროდა ვარსკვლავიან ცას და ყურს უგდებდა ბულბულების ორკესტრს...

ვაქკაცი ისევ წაეტანა მის გრუზა თმებს, რომელთაც მთვარის შუქზედაც ეტყობოდა ფერი იმ ალისა, რომელსაც ცეცხლმოდებული ვაზის წალამი გამოსცემს ხოლმე. არამიწიერი სილამაზით ბრწყინავდა ქალი... როცა ვნება დაუცხრა ორივეს, კორინთელი იდაყვებზე დაყრდნობილი დიდხანს იწვა მის გვერდით. ეს უზარმაზარი გრანიტის ლოდი გემის ჭვინტივით შეჭრილიყო ძირს გადაშლილ ხეობაში და ისეთი შთაბეჭდილება ჰქონდა კორინთელს: თითქოს ამ მთვარიან ღამეში გემით მიდიოდნენ გამიჯნურებულნი უსასრულო ოკეანეში...

მოუთავებელი სახლი

ისევ დაიწყო დაძაბული მუშაობის სეზონი. ციხისთავი და კორინთელი მოულოდნელად გაიწვიეს თბილისს. ერთი კვირის შემდეგ მათ თან ჩამოიყვანეს საკმაოდ მრავალრიცხოვანი კომისია, რომელშიაც შედიოდა რამდენიმე სახელმოხვეჭილი აგრონომი და ნიადაგმცოდნე. სამი ათასი ჰექტარი გამოჰყვეს არაშენდა-გველეთის ზეგანზე ვაზნარების მოსაწყობად. ძალოვანი მექანიზმები ჩამოიტანეს.

ოთხი ბრიგადა შეადგინეს როგორც ბერმუხის, ისე მახლობელი კოლმეურნეობებიდან. ამ ბრიგადების ხელმძღვანელად გოდერძი დანიშნა რაიკომმა, ასე რომ უთენია შინიდან გასული შეღამებამდის შინ ვერ ბრუნდებოდა გოდერძი.

6 1 0 2
საჯარო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გველეთის ზეგანიდან მოისმოდა მექანიზმების გრუხუნი და რაზრაზი. ტრაქტორები ღამღამობითაც განაგრძობდნენ ბორგვას, ასე რომ ეს გამუდმებული გუგუნი, რახრახი და რაზრაზიც მოწმობდა, რომ ადამიანებს სასტიკი ომი გაემართათ ბუნების უჯიათობასთან გველეთის ზეგანზე.

სწორედ ეგზომ უმარჯვო მომენტში ითავა თედო თარალაშვილმა გოდერძის პაპისეული სახლის გადაკეთების საქმე. გოდერძი შიშობდა კიდევაც, ვაჲ თუ ასეთ დროს საკუთარი სახლისათვის ზრუნვა აუგათ ჩამომართვანო, მაგრამ თეო თავისას არ იშლიდა: არ მიყვარსო გადადებული საქმე. ბოლოს მთლად გასახარელი ამბავი მოიტანა თედომ: ციხისთავი თავათ დაინტერესებულა ამ საქმით.

ოღონდ მაგ საწყალ ბიჭს რაიმე უშველეთ, ხე-ტყეს მე მოგცემთო საფონდო ფასებზე.

კვირა დღით შაბათობა მოაწყო თედომ. ოცდაათი ვაქკაცი ხალისიანად წამოეშველა გოდერძის ოჯახს. გაჭირდა პაპა მიქელას და მისი სულით ავადმყოფი ქალის მეზობლისას გახიზნვა.

განსაკუთრებით გაჯიქდა ბაბალე. მის დაბნელებულ გონებას ვერასგზით მიაწვდინეს მახლობლებმა ახალის ასაგებად ძველი სახლის დანგრევის აუცილებლობა.

როცა ძველის რღვევას შეუდგნენ, იგი აღშფოთდა, სავსე თუნგს ხელი წამოავლო, წყალი გადაასხა ხუროებსა და დურგლებს თავზე. როცა მეზობლისას წაყვანა დაუპირეს, შემცხადებულსავით აკივლდა: პაპისეული სახლ-კარი ამიწიოკეს და ახლა შინიდანაც მაგდებენო.

ბოლოს მოიყვანეს მისი სიყრმის მეგობარი, მეზობლიანთ დარო. ბევრი უჩიჩინა ამ უკანასკნელმა ბაბალეს: არავინ არაფერს არ არღვევს, ძველი იმისათვის უნდა დაანგრიონ, რომ ახალი ააგონ და გოდერძის ცოლი შერთონო. ამის გამგონე მთლად გაშმაგდა ბაბალე: გოდერძის ცოლი გარეთ გამაგდებსო.

ბოლოს ასეთ ხერხს მიმართა დარომ: დღეს ათენგენობაა, საკლავი წაუყვანოთ ქვაკაცას წ. გიორგის. ხატის ხსენებაზე ზეწამოიჭრა ბაბალე, ჩაცმა დაიწყო, მაგრამ ისევ შეყოყმანდა. ახლა თოხლი მოიყვანა დარომ.

თოხლს ხელი ჩასჭიდა სულით ავადმყოფმა, ბოლოს, როგორც იქნა, სამების კარის ნაცვლად, თავის სახლში წაიყვანა იგი დარომ.

ნუნუმ მეზობლიანთ ქალ-რძალნი ჰოიშველია, სადილებს უმზადებდა ხელოსნებს.

ყველაფერი ჩინებულად წარმართა, მაგრამ საქმე არც ისე იოლი აღმოჩნდა, როგორც ეს თედო თარალაშვილს ეოცნებებოდა. როცა გამოცდილმა ხუროებმა მიქელასეული სახლის კედელ-ყურე დაათვალიერეს, როგორც საძირკველი, ისე კოჭები და კაკუტები დამპალი აღმოჩნდა. ასე რომ გოდერძი იძულებული გახდა თავისი დანაზოგიდან ხე-ტყე შეეძინა, მაგრამ მაინც მიაკლდათ ხე-ტყე.

ჯერაც კედლები აყვანილი არ იყო, როცა ჭიშკართან მანქანა გაჩერდა. გოდერძიმ ცული ჯირკვზე დაარჭო და ეზო გადაიარა. გაოცდა, ეზოში შემოსული კორინთელი რა დაინახა.

„მშვიდობა ამ ოჯახს, სთქვა პროფესორმა ღიმილით. მე არ შემიძლია გულგრილად ჩავუარო რომელიმე ახალ მშენებლობას. მახარებს, სახლის ხელახლა აგება რომ განგიზრახავს, გოდერძი.

როცა მშენებლობას შევნიშნავ სადმე, ყმაწვილივით გავჩერდები და დიდხანს ვაკვირდები ხუროებისა და კალატოზების საქმიანობას“.

„მხოლოდ ერთი ოთახის მიშენებას ვაპირებ, ბატონო პროფესორო“, მოკრძალებით მიუგო გოდერძიმ.

„ერთი ოთახი რა ბედენაა, ბარე სამი მიაშენე, გოდერძი“.

„მოგეხსენებათ, ჭამა ქონებაზე ჰკიდიაო, ამხანაგო პროფესორო“.

„როგორც გავიგე, ამხანაგები უანგა-

როდ გშველიან, მაშ რა გაბრკოლებს, გოდერძი?“ სთქვა კორინთელმა და მის გარშემო მოგროვილ ხელოსნებს გადახედა.

თედომ სთქვა:

„მეც აგრე ვურჩევდი, ამხანაგო პროფესორო, გოდერძის. სადაცაა ცოლი უნდა შევრთოთ. მოხუცებსაც თავთავიანთი კუთხე ესაჭიროებათ“.

„დიდძალი ხე-ტყე დამჭირდება, ამხანაგო პროფესორო“.

„ხე-ტყეს მე მოგცემ გოდერძი. არ მეგონა, ფინური სახლი თუ მომივიდოდა, ამიტომაც იმდენი მოვიმარაგე, სამ ოთახსაც თამამად ეყოფა. როცა გინდა, წაიღე, გაყიდვით მე ხომ არ გავყიდი მთავრობის მოცემულ მასალას, მე ის უკვე არაფერში მესაჭიროება“.

გოდერძი ყმაწვილივით წამოწითლდა და მიუგო:

„არა, ეს თქვენ დაგჭირდებათ, ამხანაგო პროფესორო, ეგებ კიდევ მოგიხდეთ რაიმეს მიშენება“.

„არა, ჩემო გოდერძი, მე აწი აღარაფერს ავაშენებ. დღეს-ხვალ შესაძლოა თელავს, ან თბილისს გადავსახლდე და ალბათ იმ ჩემს ფინურ სახლსაც ბერმუხელებს დავუტოვებ ბიბლიოთეკისათვის“.

„ოღონდ თქვენ ნუ წაბრძანდებით ბერმუხიდან და ხე-ტყეს ციხისთავიც გვპირდება, ამხანაგო პროფესორო“, სიტყვა ჩაურთო თედომ.

„მე აქ დროებით ვარ ჩამოსული, ჩემო თედო, გველეთზე ვაზნარების მოშენება მოთავდება თუ არა, ალბათ წასვლა მომიხდება“...

თედომ იდაყვზე ხელი მოუცაცუნა პროფესორს, დარღვეული სახლის ბალავრისკენ წაიყვანა. კორინთელმა ნასახლარზე დარჩენილ დედაბოძს დაადგა თვალი.

„დიდად საინტერესო მოვლენაა ეს დედაბოძი“, ეუბნება პროფესორი თედოს და გოდერძის. სულ ახლოს მივიდა დედაბოძთან, ხელი შეახო და სთქვა:

„მუხაა“!

მუხაა, დაუმოწმა თედომ.

„ამ დედაბოძის მოშლა არ დამანება პაპაჩემმა. სანამ მე ცოცხალი ვარ, აგრე იყოსო“,

ამბობდა გოდერძი.

„კარგი უქნია“, სთქვა პროფესორმა.

„დროული კაცები აგრე ამბობენ, ეს სახლი ორასი წლის წინათ უნდა იყოს აშენებული, თუმცა პაპა მიქელა აგრე ამტკიცებს: სამასი წლისაო, მაგრამ ეგ საეჭვო უნდა იყოს. როცა ერეკლე მეფე ყვარლის ციხესთან ებრძოდა ლეკებს, ამ სახლში გაუთევია ღამე.

თხუთმეტი ოსტატი უჯდა ერთადერთ ვარცლს. მათ უკვე მოთავებული ჰქონდათ პურის ჭამა. კორინთელის დანახვაზე ისინი ფეხზე წამოდგნენ და მოკრძალებულად მიესალმენ მას.

თედომ ვარცლთან მიიყვანა კორინთელი და უთხრა:

„ეს თხილის ვარცლი მესამე თაობიდანაა ამ ოჯახში შემონახული“.

პროფესორმა რულეტი მოატანინა გოდერძის, გაზომა ვარცლის გაბარიტი და სთქვა:

„ერთი მეტრი და ორი სანტიმეტრია“.

„ამ ვარცლზე ოდესღაც მთელი გვარი სჭამდა პურს“, ღიმილით შენიშნა თედომ.

მესამე დღეს სამი, კიდემდის გავსილი მანქანით გამოგზავნა კორინთელმა ხე-ტყე...

*
* *

პროფესორ კორინთელის შემთხვევით გამოვლას მოჰყვა სახლის ბალავერის განვრცობა, საერთოდ, მთელი სახლის ხელახლა დაგეგმვა. თავდაპირველად გოდერძი და ნუნუ ყოყმანობდნენ, ისინი თავათაც მოწადინებულნი იყვნენ, ისეთი სახლი აეგოთ, რომელშიაც ოჯახის წევრებს საკუთარი კუთხე ექნებოდათ.

ამ ყოყმანის მიზეზი ხე-ტყის მასალის უკმარობა როდი იყო, კოლმეურნეობის თავმჯდომარესა და ბრიგა-

დირს არ უნდოდათ მეშურნეთათვის ჭორაობის საბაბი მიეცათ.

კორინთელის ავტორიტეტმა იკმარა და საბოლოოდ გადაწყდა: სამი პატარა ოთახი მიეშენებინათ ერთი დიდი დარბაზისათვის, რომელშიაც ხელუხლებელი დარჩებოდა დედაბოძი, შუა-ცეცხლი და სოფლური სოხანე.

როცა ეს ოთხთვალიანი სახლი ააგეს, საბოლოოდ გამოირკვა, რომ კიდევ ერთი ათასი კრამიტი უნდა შეეძინათ სახლის მთლიანად გადასახურავად.

პაპა მიქელა, ბაბალე და ბაბლია დედაბოძიან დარბაზში დასახლდნენ ისევ, დანარჩენი სამი ოთახი ჯერაც გადახურული არ იყო, ამიტომ გოდერძი იძულებული გახდა, ისევ იმავე ოთახში ეცხოვრა, სადაც პაპა მისი და სულით ავადმყოფი მამიდა იმყოფებოდნენ.

პაპა მიქელა დღენიადაგ ებუზღუნებოდა გოდერძის: ყვარელს წასულიყო და კრამიტი ჩამოეტანა, მაგრამ ეს უკანასკნელი მაცამაცათი აშოშმინებდა უსინათლოს.

არაშენდა-გველეთზე დაწყებულმა საქმემ შეიწირა გოდერძის მთელი ენერგია, იგი ქანცმილეული ბრუნდებოდა შინ, ყოველ შაბათს აპირებდა კრამიტის ჩამოსატანად წასვლას და ხელსაყრელი დრო ვერ მოეხელთებინა.

ბოლოს ისევ თედო ჩაერია საქმეში. ერთ საღამოს ასეთი რამ უთხრა გოდერძის თედომ:

„თუ შენი ნებაც იქნება გოდერძი, მე ჩავულაპარაკებ ციხისთავს: ეგებ გაგათავისუფლოს ორიოდე დღით, მეც წამოგყვები ყვარელს, დასასრული მივცეთ ამ საქმეს“.

პაპა მიქელა მდუმარედ ისმენდა თედოს სიტყვებს, თავჩაქინდრული ხვნეშოდა ჟამიდან ჟამზე.

„იცი, ძია თედო, სთქვა გოდერძიმ, სწორედ გითხრა, მე ჩემს პარტბილეთს ვერ გადავაყოლებ ამ სახლს. მთელი ჩვენი რაიონის მოწინავე ადამიანები დღენიადაგ იღწვიან საქვეყნო საქმისათვის, შენ თავათ განსაჯე, ძია თედო, აბა რას ემგვანება, ასეთ დროს მე ერთი გამოვეთიშო მათ, ყვარელს გავიქცე და ამ გზით საჭორაო საბაბი მივცე ჩემს მტერ-მოყვარეთა.

პირველი რიგის სამუშაოებს მოვათავებთ თუ არა გველეთში, გულარხეინად წავალ ყვარელს. ჩემდა ბედად, ჯერაც ჩინებული ამინდებია, წვიმაც რომ მოვიდეს, რა დაუშავდება ხის სახლს. დამტვრეულ ფიცრებს ჩამორეცხავს და ეგ იქნება“.

ნიორთავამ კარი შემოაღო, ერთი ყუთი ლურსმანი მოუტანა საჩუქრად ახალმოსახლეს.

„ეს ლურსმნები ამ სამი წლის წინათ ვიპოვნე ყვარლის გზაზე გოდერძი: სთქვა ნიორთავამ. ამაოდ ვეძიე მათი დამკარგველი. არ კი ვიცოდი, თუ ოდესმე გამომადგებოდა. თავი წამჭამეს მისმა მნახველებმა კითხვა-გამოკითხვითა. ყოველ კაცს ეგ აინტერესებდა, სად გიყიდიაო ეს ლურსმნები?

ბოლოს კანკრემ, ლალბაწამ და გაგრიამ მასხრად ამიგდეს, ნიორთავას ლურსმნები უყიდია, ახლა სახლი და ცოლშვილი აკლიაო. ავიღე და ხვიმრში ჩავაგდე ეს ყუთი, მთლად გადამავიწყდა მისი არსებობა, მხოლოდ დღეს გამახსენდა და მოგიტანე კიდევაც“.

„ეჰ, ჩემო სოლომონ, კვნესოდა პაპა მიქელა, ის დრო სჯობდა, როცა ულურსმნოდ ვაგებდით სახლებს. პაპა-ჩემისეულ სახლში არც ერთი ლურსმანი არ უპოვნიათ ოსტატებს“.

ახლა ნიორთავამ ასეთი რამ უთხრა გოდერძის:

„როგორც ყური გამეხვრიტა, კრამიტის შესაძენი ფული არა გქონია ასიოდე თუმანი მაქვს შავი დღისათვის შემონახული, მოდი, ეს ფული გაიხმარე და, როცა გექნება ჩამასესხე, გოდერძი“.

„გმადლობთ, ძია სოლომონ, შენი შეწუხება არ დამჭირდება ვგონებ, მაგრამ კრამიტის ჩამოტანას ორიოდე დღე მაინც უნდა და ამდენხანს ჯერ ვერ მოვცდები, როგორც სჩანს“.

ნიორთავამ თავი მოიღუნა და სთქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— „აბა მე ერთ რამეს გეტყვი ჩემის მოკლე ჭკუითა, გოდერძი, მე თავათ არამც თუ სახლი, ბოსელიც არასოდეს ამიშენებია, მაგრამ სხვათა მაგალითზე ერთ რამეს დავკვირვებივარ.

როგორც კი სახლის მშენებლობას ხელს ააცდენს კაცი, მერმე მირჩება და მირჩება საქმე.

ყვარელსა და თელავს შორის ხშირად გიმგზავრია, ალბათ გზაში შეგიმჩნევია, ერთი უსახურავო სახლი. უკანასკნელი ომის დროს წამოიწყო იგი მისმა პატრონმა.

შენს ოჯახში მუდამ მშვიდობა ქნას გამჩენმა და... ცოლის შერთვას აპირებდა ის კაცი, საცოლე მოუკვდა მოულოდნელად. აწ რა ჭირად მინდაო სახლი, თავი მიანება სახლის გადახურვას.

ახლა სხვა ქალი დანიშნა, ისევ შეუდგა საქმეს. ამასობაში ჯარში გაიწვიეს ის კაცი.

ფრონტიდან მობრუნებულს საცოლე გათხოვილი დაუხვდა, დიდხანს იყოყმანა და იჩალიჩა. ამასობაში სიბერე წამოეწია და დღესაც ცხოვრობს იგი პაპისეულ გომურში.

სდგას თემშარაზე ეს უსახურავო სახლი, როგორც ქუდმოხდილი მათხოვარი გზაჯვარედინზე, ზამთარ-ზაფხულ აწვიმს და ათოვს მის კედლებს“...

აბრია და მეზობლიანთ დარო შემოვიდნენ, მიესალმნენ დამხდურებს. აბრია მიქელას გვერდით დაჯდა. ჩიბუხს აბოლებდა, ყურს მიუგდებდა საუბარს. მიქელამ თავისი დავსილი თვალები მიაშტერა იმ ადგილს, საიდანაც ნიორთავას ხმა მოესმოდა და სთქვა:

„შაქარი შენს პირს, სოლომონ ჩემო, შეც ბევრი მინახამს მოუთავებელი სახლი და უნდა გითხრა, ამაზე უარესი საანახაობა ცოტაა ამ ქვეყნად, ებრაელებს წყევლა აქვთ ასეთი: სახლი დაგრჩესო დაუხურავი. უსახურავო სახლი საქვეყნოდ თავსა სჭრის თავის პატრონს.

თემშარაზე გამომდგარა და გაჰყვირის თავის ამშენებლის უთავჟამობის გამო. ამბობდეს თითქოს საქვეყნოდ: ხალხო, შემომხედეთ რა უნიჭო ბატონი მყამსო.

მეც ამას ვევედრებოდი დღენიადაგ გოდერძის. თავი მოაბი-მეთქი ამ საქმეს. მე როგორც უბედური ვარ და უსინათლო, ისე მენდობიან-მეთქი ას თუმანს.

ეგეც არ იყოს, ერთ დეკეულს გავიმეტებ, ან ათიოდე ჭედილას გავყიდი. ასეთი რა გაგჭირვებია მეშურნენი რომ გავახაროთ-მეთქი“.

გოდერძის გული ატკინა მიქელას ნათქვამმა:

„აქ ფულის ამბავი როდია, პაპაჩემო, ამდენ ფულს მეც მოვუყრიდი თავს, მაგრამ თქვენ ყველას გავიწყდებათ, რომ მე, როგორც კომუნისტი, ჩემს პირად საქმეებს საქვეყნოებს წინ ვერ დავუყენებ. ეგეც არ იყოს, მე კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვარ და მომეტებული პასუხისმგებლობა მომეთხოვება“.

ნიორთავამ მხრები აიჩეჩა:

„განა პარტია იმას მოითხოვს შენგან, რაკი შენ კომუნისტი ხარ და თავმჯდომარე, თავზე დაგაწვიმოს? მე რამდენ თავმჯდომარეს ვიცნობ, სახლიცა აქვთ და კარიცა.

„ზოგმა თავმჯდომარემ ჯიბეებიც გაისქელა ხალხის ნაამაგდარითა“, სიტყვა ჩააკერა აბრიამ და თავისი ყალიონი ააფშუკუნა.

„აგეთებს პროკურატურაში გაუჩნდებათ, ძია აბრია, საქმე“, მიუგო გოდერძიმ.

პროკურორის ხსენებაზე უსიამოდ შეიშმუშნა აბრია, ისევ ააფშუკუნა ჩიბუხი, დიდხანს ახველა, ბოლოს გასწიგამოსწია მუხლები და ხვავრიელად დაადუჟა სოხანეზე. ხოლო გოდერძიმ დასძინა:

„ყველაფერი იქნება, ყველაფერი თავის დროზე გაკეთდება, პაპა ჩემო, ოღონდ მოთმინებაა საჭირო“.

„მოთმინებაო, ჰი, ჰი, ხითხითებდა აბრია ავსიტყვა. ჩვენზე მეტი მოთმინება ვისა აქვს ამ ქვეყნად?

მე და მიქელას თუ მოთმინება გვაკლია, ალაზანს თევზი დაკლებია მაშინ.

მე და პაპაშენს რომ მოთმინება გვაქვს, იმდენი არც ერთ ლომა კამეჩს არ ექნება. არ ვარგიხართ ჩვენი ახალგაზრდები, ეგ არი.

სწორედ შენი ხნისამ ავიშენე მე სამთვალიანი სახლი და ცოლ-შვილს მოვეკიდე. საწყალ მამაჩემს ერთი დაფეხვილი გომურის მეტი არაფერი დაუტოვებია ჩემთვის. მე დედასა და ძმებს ვარჩენდი, ათასი ცხვარი მყამდა, შვიდი ფურკამეჩი და ამდენივე ცხენი.

შენ წიგნის ცოდნას იქადნი და პაპისეული სახლიც ვერ შეგიკეთებია. განა ეგაა საქმე?

ცხვირმოუხოცელმა გომბიომ გაჯობა, ჩემი ძმის შვილიშვილმა, ნუნუმ, მან მოახერხა სახლის შეკეთება და ხელახლა გადახურვა“.

ამ სიტყვებზე მეზობლიანთ დაროს გაეღიმა, რადგან მას დიახაც ეამა თავისი სქესის ხოტბის მოსმენა იმ კაცისაგან, ვინც დღენიადაგ დიაცების ძაგებით იყო გართული.

ხოლო გოდერძის ბრაზისაგან ღაწვისთავები შეუფაკლდა, ერთი კი დააპირა მაგრად გამოელანძღა ეს ავყია ბებერი, მაგრამ ვეღარაფერი შეჰკადრა სტუმარს.

ნიორთავა შეწუხდა მის მიერ წამოწყებულმა სიტყვამ ასეთი უსიამო საუბარი რომ გამოიწვია, მასპინძლებს დაემშვიდობა და წავიდა.

გოდერძის თავაზიანობით წახალისებულმა აბრიამ განაგრძო ქირდვა:

„თქვენისთანა მატრაბაზებს ან ცოლი რათ უნდათ ან სახლი, შვილოსან. თქვენ პროლეტარობა გენატრებოდათ მუდამ და გახდით კიდევაც პროლეტარები“ (ამ უკანასკნელ სიტყვას ისე მძაღედ წარმოსთქვამდა აბრია, თითქოს იგი მართლაც საძაგებელი რამ ყოფილიყო).

„აბა რა გეგონათ, შვილოსან, ეს მოყვება კრებებზე უთავჟამო სიარულს და ენის ჭარტალს, ცალიერ ენად რომ ხართ ქცეული დიდი და პატარა.

განა მარტო სახლის აგებისას, თქვენ ყველაფერში ანგრე გემართებათ, შვილოსან. ათასგვარ გეგმებს მოებლაუჭებით და ბოლოს ყველაფერი ბოლოთავებელი გრჩებათ.

ჯერ ბერმუხის ვაზნარების რთველი ვერ მოგიწევიათ და გველეთის ზეგანს წაეტანეთ. მანდ რომ თქვენ სოფელი ააშენოთ, იქ მე მამასახლისად ნუ დამნიშნავთ.

მე ვიცი, მოგეწევათ ქვაკაცას წ. გიორგის წყევლა. განა მარტო თქვენისთანებისათვის მოუგრეხია ქვაკაცას კისერი, მამუკა ერისთავის ამბავი არ მოგივიდეთ.

ის თქვენი პროფესორი შუშუტაა, მაგ ბედშავი, მან წამოიწყო ამ ვაზნარების მოშენების უთავჟამო საქმე, მაგას უკვე უწია ქვაკაცას წყევლამ.

გუშლამ ვნახე გზაზე მიდიოდა და თავის ძაღლს ესაუბრებოდა. ვერ გამიგია, რა პროფესორია ეგ კაცი, ნიორთავასთან ერთად ქეიფობს წისქვილში.

განა მარტო სოფლად მოგდით ეგეთი რამეები, ქალაქშიაც იგივე გემართებათ, შვილოსან, ამ დღეებში თბილისში ვიყავი, თქვენი ლოცვა-კურთხევით პროკურორს გადასცეს ჩემი საქმე“ (გოდერძის გაეღიმა, ამის გამგონეს, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა).

„ჰოდა, განაგრძო აბრიამ, ქალაქშიაც ანგრე გემართებათ, შვილოსან, მთელი დღე დავყიალობდი თბილისში.

ხიდი დაუწყიათ, თავი ვერ მოუბამთ, სახლის კედლები აუგიათ, სახურავი არსად სჩანს, ქუჩიდან რიყის ქვები აუყრიათ, ეგეც ვერ მოუთავებიათ.

მშვენიერი სახლი დაულეწიათ, ბაღს აშენებენო, აღარც ბაღი სჩანს სადმე და არც სახლი.

ანგრე ხართ შვილოსან თქვენ, დაუმთავრებელი საქმეების ოსტატები ხართ, თუ დამიჯერებთ“.

გოდერძის ბრაზი წაეკიდა, მიხვდა, რის გამო ავობდა აბრია. მაინც შეეცადა თავშეკავებულად ელაპარაკა:

„აბა მე ერთ რამეს გეტყვი, ძია აბრიავ, თუ იცი, რასა ჰქვია მოშაინე?“

„მოშაინე რა დოზანაა ბიჭავ?“

„მოშაინე იმ კაცსა ჰქვია, ძია აბრიავ, რომელიც სხვის მიერ წამოწყებულ საქმეზე ამ უკანასკნელის დასრულებამდის მსჯავრს გამოიტანს უმართებულოს.

ცნობილია: კაცს უნდა აცალო საქმის მოთავება და მერმე გამოიტანო მსჯავრი. გარდა ამისა, როგორც შენი ნათქვამიდან სჩანს, სხვა სიკეთის გარდა დაუკვირვებელიც ბრძანდები, ძია აბრიავ. ერთი მიბრძანე, ამ წლების მანძილზე რამდენგზის ყოფილხარ ქალაქში?“

„რამდენგზის და ერთ გზის“.

მე რა საქმე მაქვს მანდა. ძველ დროს დავდიოდი ქალაქში, ცხვარს ვყიდდი, კაი ფასსაც ვიღებდი, ახლა რა მინდა ქალაქში, იმ გარხრებულ მოსამართლეს რომ არ ვეხმე, არც ჩავიდოდი“.

„ოო, მეც ეგ მინდოდა გამეგო. შენ ერთი დღით ჩახვედი ქალაქში და მოუთავებელი მშენებლობანი გინახავს. ცხადია, ერთ დღეს ვერ მოათავებდნენ ხიდებს, სახლებსა და ბაღებს.

აბა ჩადი ერთი წლის შემდეგ, თუ ეს ყოველივე მოთავებული არ დაგიხვდეს. მე თითქმის ყოველ წელს, ყოველ თვეს დავდივარ ქალაქში და კარგად ვამჩნევ, თუ როგორ იწყებენ და ათავებენ სახლების, ქუჩების და ხიდების აგებას და როგორ ამთავრებენ მათ“.

აბრია თავათაც მიხვდა, ჩიხში რომ მოამწყვდიეს, მაინც არ იტეხდა იხტიბარს და დუდღუნებდა:

„აღდგომა და ხვალეო, ვნახოთ, შვილოსან, აგრე თუ იარე გარე-გარე, აბა როგორ მოითავებ ამ სახლს. შენ ამაოდ გგონია: ესაო და ხის სახლს ვერაფერს დააკლებენო წვიმები.

შენ ხის ბუნება არა გცოდნია, შვილოსან, საკმარისია ერთ თვეს დააწვიმოს უსახურავო სახლს, კოპები და კაკუტები ისე დაიმრიცებიან, ხელში შეგრჩება ვაგლახად დაჯღანული სახლი. გარეთ გაიხედე, ახლაც წვიმს, როგორც სჩანს, იწყება ივნისის წვიმები“.

ეს სიტყვები ტყვიასავით ეძგერნენ გოდერძის გულს. გარედან მართლაც მოისმოდა წვიმის ტლაშუნი, ჯერ ეგ ვერხვების და ალვების ფოთლებზე ტკაცუნებდა, როგორც ერთობლივი ტაში, მერმე სულ ახლოს, უსახურავო ოთახების მოგებულ იატაკზე ატლაშუნდა—გოდერძის ისე მოეჩვენა, თითქოს მას ესხმოდა ეს წვიმა თავზე.

კერის პირად მდუმარედ მჯდარი ბაბალე აკივლდა: სახლი დამიწვეს და ახალსაც არ მიშენებენო.

გოდერძი წამოდგა, სავსებით გაოგნებული, დიდხანს ამაოდ ეძია თავისი ქუდი, ბოლოს უქუდოდ გავიდა სახლიდან. უსიამოდ ჟინჟლავდა გარეთ.

აბრიას მოშაინურმა მოგონებებმა ისე მოწამლეს გოდერძი, იგი გზადშემოყრილ მეზობლებსაც ველარ ცნობილობდა. საშინელი მარტოობა და მწუხარება დაეუფლა მას. წვიმა შენელდა ოდნავ, მაინც თქორავდა უსიამოდ.

გზაჯვარედინზე მიღწეულს ვიღაც ახმახმა ხელი დაჰკრა მხარზე. ლალბაწა შეიცნო გოდერძიმ.

„შენსას მოვდიოდი ამ წუთში, გოდერძი, დღეს ჩემი ბიჭიკო გავატარე მმაჩში, იცი, რა ბიჭი მყამს, გოდერძი? მირონის ბიჭია იცოდე. ჰოდა, შენთან მოვდიოდი ამ წუთში, ვახშმად უნდა დამეპატიჟნე“.

გოდერძიმ ნახევრად ბნელშიაც შენიშნა, თუ როგორ უბრწყინავდა ლალბაწას სახე.

გმადლობთ, ჩემო სტეფანე, დღეს გადაუდებელი საქმე მაქვს ერთი“.

„შენ რომ იცოდე, რა ბედნიერი ვარ, გოდერძი, შენი კეთილი გულის ამბავი რომ ვიცი, უთუოდ მოიცლით ამ საღამოს ჩემთვის.

შენც მიგიძღვის წილი ჩემი ცხოვრების წალმა წარმართვაში გოდერძი. შენ კარგად იცი, მე მუდამ ღვინისა და უწესო დიაცების მოტრფიალე ვიყავი, ჩემი ახალგაზრდობა მათ შევალიე, არც კი მეგონა ღვინოზე და ქალზე უტკბესი თუ რაიმე იყო ამ ქვეყნად.

მაგრამ ჩემმა თეთრომ ისეთი ბედნიერება შემოიტანა ჩემს კარგამოკეტილ ოჯახში, მე სად შემწევს ამის

ნიჭი შენ გადმოგცე, თუ რა ბედნიერება ყოფილა შვილის ყოლა.

რომელი ქალი, რა ღვინო შეედრება ჩემს პატარა ირაკლის. იცოდე, შენც გირჩევ მალე მოაწერო ხელი. ხუთი დღე ვიმუშავე, ძმაო, შენს სახლში, ვინ შამაძაღლი, კიდევ ათ დღეს მოგეშველები ძმაო, ოღონდ ახლა წამო, თუ ჩემი ძმა ხარ“.

გოდერძი შესძრა ეგზომ გულითადმა მიპატიჟებამ, მაგრამ აგრე იფიქრა გუნებას გავუფუჭებო მასპინძელს. ისევ იფარა „გადაუდებელი საქმე“ და გზაჯვარედინზე გაეყარა ლალბაწას.

ახლა მისი ერთადერთი წადილი ის იყო: ნუნუს გადაყროდა სადმე, შინ წასულიყო მასთან? იცოდა, სამი დღის წინად გაცივდა ნუნუ. არ უნდოდა მწოლარეს წვევოდა აგრე მოგვიანებით.

ყურმოკვრით იცოდა იგიც, რომ გოდერძის პაპისეული სახლის გადაკეთებამ ფრიად გაართულა დედინაცვლისა და გერის ურთიერთობანი. ქეთუა დღენიადაგ ეჩიჩინებოდა ნუნუს: სახლი ხომ მოათავეთ, ეხლა მაინც მოაწერეთო ხელი. ერთი გარემოებაც ზედ დაერთო ყოველივე ამას.

ქეთუას კოოპერატივის ნოქარი აკიდებოდა, ვინმე უშვერიძე, ზედსიძედ აპირებდა ნუნუს მამისეულ ოჯახში მისვლას.

წინა ღამით ესიზმრა გოდერძის: ვითომ პაპისეული სახლის გადახურვა მოეთავებინათ, ნუნუ და გოდერძი ბუხრის პირას ისხდნენ და წაბლს სწვავდნენ. ყუმბარასავით გრიალებდა ღადარში ჩაყრილი წაბლი.

ცხოვრებაში ხშირად ხდება ასეთი რამეც: სასურველი ადამიანი დაგესიზმრება, მეორე დღეს გაიხედავ და წინ შემოგეყრება.

აგრე მოხდა იმ საღამოსაც. რამდენიმე ნაბიჯი გადასული არ იყო გზაჯვარედინიდან გოდერძი, ნუნუ მიდიოდა ნელი ნაბიჯით მისკენ. ელექტროს ძაბუნ სინათლეზედაც შეამჩნია გოდერძიმ ნაავადარი ნუნუს სახის ფერმკრთალობა.

მიდიოდნენ ტალახიან გზაზე. თქოლავდა დაყინებით და გადაულებლად. ტელეგრაფის მავთულებზე ცრემლებივით ეკიდნენ წვეთები. გოდერძი გამალებული გასცქეროდა დასავლეთისაკენ ოდნავ, სულ ოდნავ შეწითლებულ ცას. თავის გუნებაში ეევედრებოდა კიდევაც განგებას: ამ საღამოს მაინც გადაეკარა.

გოდერძის უგუნებობამ მთლად მოშხამა ნუნუ. იგი სულ რამდენიმე წუთის წინ წაჰკიდებია ქეთუას. უხმოდ მოჰყვებოდა გოდერძის, თანაც ათვალიერებდა თემშარის გაღმა-გამოღმა ჩამწკრივებულ ახალ სახლებს, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს პირველად ჰხედავდა მათ.

ლალბაწას სახლს ჩაუარეს.

ეს ბედშავი ლალბაწა, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ჩალით გადახურულ ქოხში ცხოვრობდა, როგორც იქნა, ეღირსა საკუთარ ოჯახს, ფიქრობდა ნუნუ.

მხოლოდ ნუნუ და გოდერძი დარჩნენ დღემდის აგრე უბინაონი და უშინაონი. და ბედნიერება ასე ახლოს იყო მოსული, რა ცოტა რამ აკლდათ მათ, ერთი ათასი ცალი კრამიტის ყვარლიდან გამოტანა.

„ვინ დაგვწყევლა ასე მწარედ? ვინ იცის, ეგებ ორ კვირასაც არ გადაიკაროს!“...

ამ წვიმიან დღეს მოჰყვებიან ორივენი ლაფიან თემშარას და არსად მთელს სოფელში ერთი გადახურული კუთხე არ ეგულებათ, დასხდნენ და დასტკბნენ ერთად ყოფნითა.

„ძია შიოსთან ხომ არ გავიაროთ?“ შეეკითხა გოდერძი ქალს.

„ამ ტალახში რა გაგვიყვანს ალაზანს გაღმა, ეგეც არ იყოს, ძია შიოს მე ვეღარ დავენახვები“.

ლალბაწას სახლიდან სიმღერა მოისმოდა. აივანზე გასულ ვაზების მწვანეში რიალებდა თეთრკაბიანი თეთროს სილუეტი, იგი ხელში ათამაშებდა პატარა ირაკლის. გაუმართავ სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტად ტიტინებდა ბალ-

ღი, ოთხახმით მიმავალ ცხენოსანივით ხტოდა იგი, შეჰხაროდა მწვანეში მოქათქათე ელექტროს ციმციმს.

გოდერძიმ თითქმის ჩურჩულით, უთხრა მის გვერდით მომავალ ქალს:

„ლალბაწამ დამპატიჟა წეღან, მაგრამ...“

„რად არ წახვედი მერე?“

„შენ დაგეძებდი, ამიტომაც არ ვინდომე წასვლა“.

მიუგო გოდერძიმ და მკლავში ხელი წაავლო ნუნუს.

„შენ შედი თუ გინდა, მე შინ წავალ“.

„თუ შენ წამოხვალ, ჰო“.

„არა, ამ წუთში შენს მეტს ვერავის ავიტან გოდერძი“.

ისევ გახედა თვალსაწიერს გოდერძიმ.

ქედანისფერ ღრუბლებიდან გამოკრთომას აპირებდნენ ძაბუნი სხივები ჩამავალი მზისა. ამ ღრუბლებს გადაღმა ენთებოდა ნელინელ ქარვის ფერების ათინათი, თითქოს შეიწყნარაო გამიჯნურებულთა აჯა და გაღიმებას ლამობდა ცა...

მართლაც წამოუქროლა ზენა ქარმა, აპარპაშდნენ გზის პირად ჩაწკაპული თუთები. ნუნუ და გოდერძი უკვე შინდნარში იყვნენ შესულნი, როცა ცარცისფერი ფორეჯები მოედო ცას და აქა-იქ აყვავდნენ ვარსკვლავები მოთეთრო ფრთილების ბლონდის გადაღმა.

განმარტოებული იდგა ღამის ნაბდით შებურვული ბერმუხა. მისი ვასვასა მწვანის შარიშური უკვე მკაფიოდ მოესმოდა ქალ-ვაჟს. ქედნები დაფრთხნენ ნაბიჯების ჩქამზე, ირგვლივ დავანებულ სიჩუმეში გახმიანდა მათი ფრთების საამური ფრთ... ფრთ...

ცაში ატყორცნილი მასსა მწვანისა ზღვისებრ შრიალებდა ბნელში. მალე ზენაქარი დასცხრა, მოჭარბდნენ მუქლურჯი ფერები ცაზე.

ნუნუმ სთქვა, თითქმის მავედრალი კილოთი:

„ბოლოს როდისღა მიდიხარ კრამიტის მოსატანად, გოდერძი?“

„ზეგ შაბათია, არა, ზეგ წავალ, თუ საქმემ გამიშვა. ერთი რამ არის კიდევ. კრამიტის ქარხანამდის ჯერაც არ დაუგიათ გუდრონი თუ წვიმა იქნა ვერავითარი მანქანა ვერ მიუდგება აგურ-კრამიტის ქარხანას...“

ისევ გაიხედა გოდერძიმ მზის დასავლისკენ, დასძინა:

„ვგონებ გადაიკარა, ალბათ ზეგ აღარ იქნება წვიმა“.

„იცოდე, მე შინ არ მედგომება გოდერძი. ის ლოთი უშვერიძე თუ ზედსიძედ მოიყვანა ქეთუამ, მე სახლიდან უნდა გავიქცე. მაგ ნოქარს ორი ცოლი ჰყოლია თურმე, ერთი თბილისში, მეორე თელავში, გუშინწინ ის თელაველი ცოლი მოუვარდა ქეთუას, თუ ჩემს ქმარს არ ჩამოსცილდები, სახლ-კარს გადაგიწვავო.

გუშინ უშვერიძე მოვიდა მთვრალი, გაბრანგული, ქეთუას წაეკიდა, ხელი მოვაწეროთ, ყველაფერი გავყიდოთ და ქალაქს წავიდეთო“.

„დარდი ნუ გაქვს, ნუნუ, მაგ ნოქარსაც მოვიყვანთ ჭკუაზე. ამდენ ხანს მოგვითმენია და ორიოდე კვირაც მაცალე“.

ეს უთხრა ნუნუს და ხელი მოხვია წელზე. ნუნუს მხნეობა მოჰგვარა ვაჟკაცის ძალოვანი მკლავის შემოჭდომამ. დიდხანს ისხდნენ ვნებისაგან გაოგნებულნი ბერმუხის ქვეშ.

კანტიკუნტად მოისმოდა, თუ როგორ ეცემოდნენ კენწეროდან დაძრული წვეთები წვიმისა ძირს, სართულებსავით განლაგებულ შტოებზე, რაღაც უჩინარ, მონოტონურ რიტმს აყოლილნი.

თრთოდა ვნებამოჭარბებული ნუნუ, ამ წუთში მან თავათაც არ იცოდა, თუ რას დაენამა მისი ღაწვები, კარზე მომდგარი ბედნიერების მიერ მოგვრილ ცრემლებს, თუ ბერმუხის მწვანიდან ჩამონაყონ შხეფებს წვიმისას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიალოგები

22 ივნისს სოფელი ბერმუხაც შეაშფოთა რადიოს ხმამ. შემცხადებულსავით წიოდა რადიო. ეს ის დრო იყო, როცა ბრიგადირებს სამუშაოდ გამოჰყავდათ კოლმეურნენი.

ვენახებიდან, ფერმებიდან, ფარეხებიდან გამოცვივდა ხალხი, ფართობებზე მიმავალი ტრაქტორები და სატვირთო მანქანები მიატოვეს შოფრებმა და ტრაქტორისტებმა, თემსაბჭოს მოედანზე მოგროვდნენ, აღელვებულნი მისჩერებოდნენ ხეებზე გატანილ რეპროდუქტორების ხახას...

*

* *

ვახტანგ კორინთელი გათენებამდის სწერდა. გამოძინებაც ვერ მოესწრო, ისე გამოაღვიძა რადიომ. დამდუღრულივით წამოიჭრა საწოლიდან და რადიომიმღებს მივარდა.

...„ჰალო, ჰალო, მოუსმინეთ ამხანაგ მოლოტოვს“...

კორინთელმა სასწრაფოდ ტანთ ჩაიცვა, არ კი იცოდა, სად წასულიყო, რა მოექმედა? კაბინეტის კართან ატუზულიყო ვარა, სჩანდა, რადიოს უსმენდა იგიცა.

მაია შემოფაცურდა. საუზმეს თუ ინებებო?

რა დროს საუზმეაო, თითქმის უკმეხად უპასუხა კორინთელმა მოხუცს, რომელსაც მუდამ თავაზიანად ექცეოდა ხოლმე. გაოგნებულმა მაიამ კარი გაიხურა.

კორინთელი წარამარა მიდიოდა მიმღებთან, გულისთრთოლვით უსმენდა, ბოლოს ადგებოდა და ბოლთას სცემდა ოთახში.

დერეფნიდან ვარას ომახიანი ხმა ისმოდა, ხანაც უხიაგი ჩხრიალი ჭურჭლისა, ისეთი როგორიც ან ძლიერ გახარებულს, ან ასევე გაბრაზებულს რომ გამოსდის ხელიდან.

„რა მოხდა, რა მოხდა, კნეინა ვარა?“ ეკითხებოდა მაია.

„ომია, ომი, ჩემო მაია“.

„ვინ გვებრძვის ნეტა, კნეინა ვარა?“

„გერმანია, გერმანია, ჩემო მაია“.

მარტოა მერე ის წყეული გერმანია?“

„მარტო როგორაა, თურქეთი მასთანაა, იტალია, რუმინეთი, მთელი ქვეყანა“.

„რას გვერჩიან მერე ის ოხრიშვილები? ვაი ჩემი შვილების ბრალი“. კვნესოდა მაია.

„შენს შვილებს რა უშავს, ჩემო მაია, ეგებ მათთვის უკეთესიც იყოს“.

„რა უკეთესი? ომი რა შავქვად გვინდა, კნეინა ვარა?“

„ჩვენ ვინა გვკითხავს, ქა, მთელს ქვეყანას უნდა ომი“.

„მაინც სადაა ის ტიალი გერმანია, კნეინა ვარა?“.

„რუსეთის მეზობლად, ახლოს, სულ ახლო.

შენ ჯერ რძე დაადგი, მედიკოს ახველებს, მერე გეტყვი, ჩემო მაია“.

„აბა, შვილებს გაფიცებ, მე რძეს დავადგამ, მაგრამ ახლავე მითხარი, ჩვენ მოვერევით თუ ისინი?“.

„შენ რძე დაადგი, ჩემო მაია, რა თქმა უნდა, ვინც გაიმარჯვებს, ის მოერევა მას, ვისაც დაამარცხებენ“.

„ვაი ჩვენი შვილების ბრალი“.

კორინთელი აღაშფოთა ვარას უტიფარმა ყბედობამ. იგი მზად იყო დერეფანში გასულიყო და პირდაპირ ქუჩაში გაეგდო ეს ყიამყრალი დიაცი. რადიომიმღები საზღვარზე შეტაკებების ამბავს გადმოსცემდა უკვე.

როცა ეს მოთავდა, კარი გააღო, დერეფანში აღარავინ იყო. სასადილო ოთახში შეიხედა და ასეთ სურათს წააწყდა:

ვარა როიალს მიჯდომოდა, გახარებული უკრავდა შოპენის სკერცოს. წელში მოდრეკილი, საცოდავი მაია დაბალ სკამზე დაკუნცხულიყო, ხელების

პეშვში ჩაერგო ტუჩ-პირი და ქვითინებდა: „ვაი ჩემი შვილების ბრალი“...

კორინთელის შემოსვლაზე ვარამ მაშინალურად შესწყვიტა დაკვრა, სულ ახლოს მიეჭრა კორინთელს და ფრანგულად უთხრა:

„თქვენი მეუღლე თავს კარგად გრძნობს, მონ შერ ჟანდრ, მე უკვე მზადა მაქვს შაშხიანი ომლეტი[1]“...

„მე პირადად ჭამის გუნებაზე არა ვარ ახლა, თქვენ მიირთვით შაშხიანი ომლეტი, ბატონო“. მიუგო კორინთელმა და ცხვირწინ გამოუხურა კარი სახტად დარჩენილ დედაკაცს.

ჭიშკართან შესდგა კორინთელი. ნეტავ სად არისო ანდრო? ეს გაიფიქრა და სწორედ ამ დროს გაიხშუილა მანქანამ და შესდგა.

კორინთელი მიესალმა შოფერს და გვერდით მოუჯდა. მყისვე შენიშნა, ნასვამი იყო იგი.

როგორა ხარო, ჩემო ანდრო?

„ყველაზე უკეთ, პროფესორო ბატონო. ჩვენ ყველანი ცოტას ვღელავთ, მაგრამ არა შიშის გამო, არა, ჩემი თავი მოგიკვდეს, თუ თქვენს ანდროს ვინმესი შეეშინდეს.

შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა. დაღრეჯილობას პატრონიც მოკვდომია.

ამ დილით ჩვენმა ბიჭებმა ფიცი დავდევით, ფაშისტებს იქ შევრეკავთ, საიდანაც გამოშქვრალან.

მე კომუნისტი არა ვარ, მაგრამ რა ვუყოთ, ქართველი ვაჟკაცი ხომა ვარ. ქიციც ვიცი და ქიცმაცურიც, ანდრო ცოცხლად გამოიტირეთ თქვენ თუ მაგ ფაშისტებმა რაიმეში მაჯობონ, დედის სულს მო... (აქ ანდრომ საკმაოდ უცენზურო სიტყვები იხმარა, მაგრამ კორინთელმა ყური აარიდა მათ).

„იგივ მხნე, იგივ მღერალი,
მებრძოლი შავი ბედისა“.

„ბიჭოს, მე არ მეგონა შენ გრიგოლ ორბელიანსაც თუ იცნობდი! ბარაქალა, ანდრო“.

„როგორ არ ვიცნობ, ზეპირად ვიცი მისი ლექსები, იმას ვენაცვალე, ის იყო არა მარტო დიდი პოეტი, დიდი ვაჟკაცია. ხომ დედა უტირა შამილსა და მის ლეკებს“.

„ყოჩაღ, ჩემო ანდრო, აბა შენ იცი, სირცხვილი არ გვაჭამო. გვასახელე, მე კი არა, შენი მშობლები, ჩვენი ქვეყანა“.

„რასა ბრძანებ, პროფესორო ბატონო, რა ვუყოთ, რომ შოფერი ვარ“...

„რას ჰქვია შოფერი, რითია შოფერი სხვა ხელობის კაცზე ნაკლები. განა თქვენ არ გესაჭიროებათ სამშობლო? მე არასოდეს ისე არ მინანია, ახალგაზრდა რომ არა ვარ, როგორც ახლა, ეგეც არაფერი, ეს ოხერი წნევა არ მაწუხებდეს, დღესვე წავიდოდი. თუ მისჭირდა საქმე, ჩვენც მოგყვებით, ბებრები“.

„მე ხვალამ მივდივარ ჩემო პროფესორო; ცუდად არ მახსენო, თუ მომკლეს, რა ვუყოთ, რომ ხანდახან გეურჩებოდით და ვსვამდი. საცოლე მამიკვდა ტიფით, იმიტომაც ვსვამდი. ახლა მე ის მაწუხებს, თქვენ როგორ მოუვლით ამ მანქანას უჩემოდ, აჰ, რა კარგი მანქანაა“.

„ყველაფერი მიპატიებია, ჩემო ანდრო შენთვის, გულთან ახლოსაც არ მიიკარო ეს ამბავი. რაც შეეხება მანქანას, მე მანქანიანად არ გამოვსულვარ დედის საშოდან. ცოტა ხანს თავათ ვაჩანჩალებ. რა დროს მანქანაა, ქვეყანა განსაცდელშია, მანქანა ჭირსაც წაუღია“.

გუდრონიან გზას გადასცდა მანქანა, იგი უკვე ხშირ-ხშირად ბუქსაობდა. კორინთელმა უთხრა ანდროს:

„შენ ალბათ ლევ ტოლსტოიც წაგიკითხავს, ჩემო ანდრო, არა?“.

„რატომაც არა, ჰაჯი ბურატი წავიკითხე ამას წინათ, ქართულად“.

„ჰოდა ჰაჯი მურატში აღწერილია როგორ გმირულად, უდრტვინველად კვდებოდნენ რუსი სალდათები შამილის წინააღმდეგ ბრძოლებში.

ვწუხვარ, ტოლსტოი არავინ დააინტერესა მაშინ, თორემ კავკასიის ომების ისტორიაში თვით რუს გენერლებსა და

[1] ერბოკვერცხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლკოვნიკებს აქვთ აღწერილი რამდენი ათეული ათასი ქართველი გლეხი კვდებოდა ღუნიბის და გერგებილის მისადგომებთან, რუს თანამოძმეებთან ერთად მხარდამხარ, განა მარტო დაღესტანში? ყარსთან, ბათუმთან, არლაგანს და ახალციხეში.

ბარე ორასი წლის მანძილზე რუსის ხალხთან ერთად გვიღვრია სისხლი, ჩემო ანდრო, საერთო მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში, და შენ იგიც გეცოდინება, არაფერი ისე არ აკავშირებს ადამიანებს, როგორც სისხლი...“

შოფერმა მოსხლეტილად შეაყენა მანქანა საექიმო პუნქტთან. სუსქია ღამის მორიგეობიდან უთენია მოსულა, ამიტომაც არაფერი სცოდნოდა. როცა ეს ახალი ამბავი გაიგო, გადაფითრდა. კარი მიხურა, სტუმარს სკამი გამოუტანა და სთქვა:

„იცი, ვახტანგ, მე ამ ბოლო ხანს ცუდი სიზმრები მქონდა, შენ არ გიმხელდი, სულ მუდამ რაღაც საშინელის მოლოდინში ვიყავი, მერმე ის იყო, როცა ავარია შეგვემთხვა ნაღვარევში თავი ვინუგეშე: ეს იყო და გაიარა-მეთქი.

ამ კვირია ისევ დამეწყო ცუდი სიზმრები, გუშლამ მესიზმრა, ვითომ გველეთის ჭაობებში დავტოპავდით მე და შენ ფეხშიშველა, გველები და წურბელები მეტმასნებოდნენ წვივებზე...

თუმცა სიზმარი რა ბედენაა, შენ ისე ბედნიერი გამხადე მე სვედამწვარი და გაუხარელი, ქვეშეცნეულად ვგრძნობდი, ეს ბედნიერება არ შემრჩება მეთქი. მე ვინ მომცა ბედი. ვინ იცის, რა მოგველის, ან ჩვენ, ან ჩვენს ქვეყანას. ვაჲ ჩვენ, ჟამთა ამ სიავის შემსწრეთ“...

„ნუ კრთიხარ, გულო, შენ რომ მამაცი ქალი ხარ, იმიტომაც შემიყვარდი. ერთი ჩინური ანდაზა მაქვს მინიშნებული: ვაჟკაცს რომ გაუჭირდება, მას სხვა გზა არ დარჩენია, გარდა ბრძოლისა. ხომ ჰგავს ეს ჩვენი რუსთველის „ჭირსა შიგან გამაგრება“-ს.

ეს უთხრა ვახტანგმა და ნაღვლიან თვალებში აკოცა ქალს...

* * *

მეწისქვილე ნიორთავა ამჩნევდა ამ ბოლოხანს ინჟენერი ცეროდენა, აბრია და კანკრე ხშირად პურმარილობდნენ და ჩურჩულებდნენ ერთად. ხან გველეთში ადიოდნენ ჰესის კონტორაში, საღამოობით, მერმე წისქვილში მოიტანდნენ კონიაკს, ღვინოს და სამწვადე ხორცს, როცა ნიორთავა წაუსწრებდა მათ, ხმადაბლა მოსაუბრეთა, დადუმდებოდნენ, ხუმრობას დაუწყებდნენ მასპინძელს.

სწორედ იმ ღამეს გვიან მოვიდნენ ცეროდენა და კანკრე, ღვინო და ყველი მოიტანეს. ნიორთავა უგუნებოდ იყო, რადგან კუჭის ტკივილი აწუხებდა.

ჩააცივდნენ, გვერდით მოისვეს, ბევრი ევედრნენ, მაგრამ ღვინოს არ დააკარა მასპინძელმა პირი, სუფრაზე ჩამოეძინა.

ბოლოს გაეცალა მათ და დაწვა. მოქეიფენი ჯერაც გამწე სმით იყვნენ გართულნი, როცა განთიადმა შემოიხედა ციხიწისქვილის ერთადერთ სარკმელში. კანკრემ ფეხში ხელი წაავლო მძინარე მასპინძელს, ანჯღრევდა, ეძახდა.

ნიორთავა დაფეთებული წამოვარდა.

„რა იყო, რა მოხდა?“

„არაფერი, მშვიდობა ქვეყანაზე და კაცთა შორის სათნოება. გული მოგვწყვიტა ცალიერმა ღვინომ, შენ სადღაც დაშაშხული ინდოური გიკიდია, ვერ მივაგენი, ძია სოლომონ“.

ვიდრე ნიორთავა თავის დაბებკილ ჯუბას გადაიცვამდა, ქუსლით დააბრახუნა ვიღაცამ კარზე. კანკრე წინ შეეგება ახლადმოსულს.

აბრია გაეხირა კარის ჩარჩოში, ცალ მკლავს ქვეშ ხელში სავსე ტიკი ჰქონდა გამოჩრილი, ცალშიაც ნახევარი თოხლი ეჭირა.

„ყველაფერ სიკეთეს შეესწარი, პაპა აბრია“, ახორხოცდა კანკრე.

აბრიამ კანკრეს შეაჩეჩა ხელში ეს ყოველივე, თავათ დაბალ სუფრასთან

ჩამოჯდა ჯირკვზე, გაცივებული კამეჩივით ქშინავდა და ამბობდა:

„მე არ ვაპირებდი მოსვლას, უქეიფოდ ვიყავი, იმიტომაც არ წამოგყევით წუხელ, მაგრამ ისეთი რამ გავიგე, ვეღარ გავძელი უთქვენოდ, ჯეელებო, ეგ არის და ეგ“.

ცეროდენასა და კანკრეს სული ყელში მოებჯინათ, თვალები აუციმციმდათ, ერთობლივად მიაძახეს:

„რა მოხდა, ჩქარა გვითხარი, პაპა აბრია?“...

სახეგაბრწყინებულმა აბრიამ ქიმუნჯი ჰკრა კანკრეს:

„ჯერ თქვენ მაღარიჩი ჩამოდით, შვილოსან“. ახლა ნიორთავაც დაინტერესდა:

„მაინც რა ამბავია, აბრიავ?“

„რა ამბავია და მათი განკითხვის დღე დადგა: ომია, შვილოსან, ომი“.

„ოჰო, ახორხოცდა ცეროდენა, რომელიც უკვე ძლივს-ღა აბრუნებდა ენას. „გაიხარენით, გაიხარენით. ეგეც შენ ნიორთავა, ხომ გეუბნებოდით, ფაშისტები მაგრად აურევენ-მეთქი“.

„თქვენ ისე გახარებული ხართ, ჩემის თვრამეტიანებო, თითქოს პირველი თოვლის მოსვლას შესწრებიხართო, ომიაო? მერე თქვენ რა გიხარიათ?“.

ესა სთქვა ნიორთავამ და შეშა დაუმატა ჩაღვლეფილ კერას.

„ეჰ, რა ჰქენი, შე კაი კაცო, ის ჩაღვლეფილი არა სჯობდა მწვადებისათვის“ დაიბრუხუნა აბრიამ.

„შე კაცო, მე თავში ამივარდა ეს უხიაგი ამბავი, თქვენ მწვადები გადარდებთ“.

„მემრე შენ რა გადარდებს შე სახეძაღლო, ერთბაშად გემები არ ჩაგიძირონ შავს ზღვაში, ან სავაჭროები არ დაგიბომბონ თბილისში“, იჯღანებოდა კანკრე.

„ეჰ, რა გელაპარაკოთ თქვენისთანა ქარაოცებს, ქვეყანა იქცეოდა და ტურა ჭორწილს შვრებოდაო“, ესა სთქვა ნიორთავამ, უზარმაზარი ტომარა წამოიკიდა და კოდში გადაუძახა. ბოლოს კარი გააღო და ღარის ასაშვებად წავიდა.

ცეროდენა თამადობას გახანგრძობდა. ჯამი აიღო, კარისკენ გაიხედა და სთქვა:

„დალიეთ, მოილხინეთ ძმებო, ქრისტე აღსდგა. შენ რაღად მოგიწყენია, პაპა აბრიავ, აგრემც გნახავ პაპიჩემისეულ იალაღებზე ათი ათასიან ფარას მიუძღოდე შენი კომბლით ხელში“.

„ეჰ, ჩემო ინჯილერო, ყველგან ის ტიალი ვაზი ჩასჩარეს, ამ ჩემს გახრეგილ ზურგზე ხომ ვერ მოვაძოვებ ცხვარს“.

„ჯერ მოიცა, ერთი ორი შავი ტუზი დაუჯდეს ჩვენს მტრებს და მაგ ზვრების სეირს გაჩვენებ ნავენახარად გადავაქცევ... მე და კანკრემ ვიცით ეს საიდუმლო“... სთქვა და კანკრეს ჩაუკრა თვალი.

აბრიამ თავი აიღო, შეეკითხა: როგორ მოახდენთო ასეთ სასწაულს?

ცეროდენას ასე ხელაღებით არ უნდოდა კარტების გაშლა და სიტყვა ბანზე აუგდო:

„მართლაც, სულ დამავიწყდა, დაპირებული შეგისრულე, გუშინწინ თბილისიდან ჩამოგიტანე ქორიკოზის წყევლა. შენ ერთი ადი ქვაკაცას წმ. გიორგის კარზე და შენურად დააქუხე ეს წყევლა, ნახე, რა სასწაული მოხდეს... ქვას აადუღებს, იცოდე, ისეთი წყევლაა, ახლა ამინდიც ხელს უწყობს ამ საქმეს“.

აბრია ისევ აპირებდა კითხვის მონაცვლებას: როგორ აპირებთო შენ და კანკრე „მაგ სასწაულის“ მოხდენას, მაგრამ ნიორთავა წისქვილში შემობრუნდა და აბრიამ ენის წვერზე დაიჭირა სათქმელი.

როცა ჯამმა შემოიარა, ხელახლა გაავსო იგი თამადამ და ეშმაკურად გაეხუმრა კანკრეს:

„შენ, რა თქმა უნდა, ხვალვე წახვალ ომში?“

„ომიო? ომი კი არა, ტოროლა. მე და ომი“, ყომარბაზობდა კანკრე, „მე მთელი ჩემი სიცოცხლე ორ რამეს ვეომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი, ჩემო ინჯინერო, ღვინოსა და ქალს. ამაღამ ერთ ლამაზმანს უნდა ვეომო, ან მე და ან ის...“

„კაი მოგეცა, კაი მეომარი ყოფილხარ, ერთი ასეთი ომი წააგე კიდევაც, ცხვირიდან ძმარი გადინეს“, უთხრა ნიორთავამ.

„წადი, შე გველიჭამია, შენ ის გირჩევნია, შენს ქვრივებს მიხედო, ნეკრესის ქარებიდან დახუთულ დედაკაცებს რომ დასდევ.

ერთი შენა მყავხარ დიდი სარდალი, შენ თუ ომში წახვედი, ერთბაშად დანავსავ ჰიტლერის ტანკებს. ჰე, ჰე, შენ ვინ წაგიყვანს ჯარში, უკანასკნელ მამალ ბატს როცა წაიყვანენ ფრონტზე, შემდეგ ჯერი შენი იქნება“.

„მე ყოველ ომში შენზე მეტ ვაჟკაცობას გამოვიჩენ, იცოდე, კანკრე“.

„არა, მე შენ უფრო ჭკვიანი კაცი მეგონე, ნიორთავა“. სიტყვა ჩააკერა ცეროდენამ.

ჭკუა ვინ მისცა მაგ ჩემონალას, თავკისერი ბატის ჭუკს მიუგავს“, იგესლებოდა კანკრე.

„შენ აბრიას ფურკამეჩივით გაგსივებია თავი, ამიტომაც სახვეტად გიყრია ჭკუა მაგ გოგრაში, შენმა მზემ“, მიუგო ნიორთავამ, ადგა და ისევ გავიდა გარედ.

ცეროდენამ დახურულ კარს მზერა ესროლა და უთხრა აბრიას:

„რაო, ის გაოხრებული ვარდოსანიძე მართლაც მორჩენილა?“

აბრიამაც ჯერ კარისკენ გაიხედა და ნაღვლიანად წაიდუდუნა: „ჯერ არა და ვგონებ გამომჯობინდეს ის მკვდარძაღლი, თუ ვარდოსანიძემ ყველაფერი დაფქვა, ჩვენ სამივემ უნდა ვუტიოთ აქაურობას, შვილოსან“.

„ფიქრი არაა, სთქვა კანკრემ, მე ხვალ ყვარელს მივდივარ, კაცს მივუგზავნი, თუ გაგიციხართ, ოთხში ამოგიღებთ-მეთქი. ეგეც არ იყოს, ახლა ბოლშევიკებს ჩვენთვის სადღა სცალიათ“.

„მაგას ნუ იტყვი, კანკრე, ვარდოსანიძემ თუ დაფქვა შენი მტერია...“ ჩურჩულით სთქვა ცეროდენამ, „საქმე ჭადრაკულად იქნება, იცოდე“.

„ფიქრი არაა, ფეხებსაც ვერ მოგვკამენ, თუ გაწყრა ღმერთი, მთათუშეთში გადაგიყვანთ მე და აბრია, ისეთ ორწოხებში, ჭინკა ვერ დაგვიჭერს“. რიხიანად ამბობდა კანკრე.

*

* *

გოდერძი ამაოდ ეძებდა ფართობზე იმ დილით ნუნუს. ბრიგადირი არსად სჩანდა. სხვა არა იყოს რა, იმ დღეს უნდა მოეთავებინათ მწვანე ოპერაციები დიდ ვენახში. უკვე შუადღე გადავიდა, ნუნუ აღარსად იყო. არც ამბის მომტანი სჩანდა ვინმე, შეშფოთდა გოდერძი: უბედურება რამ ხომ არ მოსწიესო საცოდავ ქალს იმ ლოთმა უშვერიძემ და ქეთუამ.

არასოდეს ასე არ მოსწყურვებია ნუნუს ნახვა გოდერძის, როგორც ამ განსაცდელის დღეს. ბოლოს შავსოფლელ გოგონებს გამოჰკითხავდა ფრთხილად, თქვენი ბრიგადირი ავად ხომ არ გამხდარაო?

ნუნუს მეზობელმა, თეონამ უჩურჩულა: კოოპერატივის ნოქარს, უშვერიძეს ქალაქს წაუყვანია ქეთუა, გაჭირვეულებული მალხაზი, ხიდან ჩამოვარდნილა და ფეხი მოუტეხია საცოდავს. ნუნუ ავადმყოფს უვლისო.

გოდერძი მოუსვენრად დაწრიალებდა ფართობზე. სამუშაო დღე მოთავდა, მაგრამ საშველი არ დაადგა დაღამებას. დღისით, მზისით არ უნდოდა შავსოფელში გავლა, მარტოხელა ქალთან შინ მისვლა.

საღამო ჟამს, როცა გოდერძიმ შეაღო კარი, ნუნუს ოთახში სანახევროდ ბნელოდა, კაჩხაზე დაკიდული გობრონისეული ფაფახი, ტყაპუჭი და ქამარხანჯალი თვალში მოხვდა ახალმოსულს, აგრე ეგონა, ფაფახიანი, ხანჯლიანი კაცი ატუზულაო კედელზე.

რამდენიმე ნაბიჯიც გადადგა სტუმარმა და შენიშნა: ლოგინზე მწოლარე მალხაზს ორივე ხელი მკერდზე დაეკრიფა, მის საწოლთან დაბალ სკამზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმჯდარ ნუნუს საკუთარ მკლავებზე დასძინებოდა პირქვედამხობილს.

ნაბიჯის ჩქამზე ზეწამოიჭრა ქალი: ვინა ხარო? წამოიძახა შემკრთალმა.

რა მოგივიდა, ქალო, მე ვარო.

გოდერძიმ ასანთს გაჰკრა და დაბოლილ ლამპას მოუკიდა. ახლა უკვე გარკვევით შენიშნა: დაწითლებული თვალები ჰქონდა ნუნუს.

„რა მოგსვლია, ნუნუ, გიტირია, როგორც სჩანს!“

„აბა გასახარელი რაღა გვაქვს, გოდერძი? ქვეყანა განსაცდელშია, ახლა საკუთარი უბედურებაც ზედ დაემატა“.

„ბიჭს რა მოსვლია, ნუნუ?

ნუნუმ მძინარეს გადახედა და ჩურჩულით მიუგო:

„გუშინ ის ოხერი უშვერიძე აუტყდა ქეთუას: ქალაქს წავიდეთ და იქაურ მმაჩში მოვაწეროთო ხელი. აქ რომ მოვაწეროთ, თელაველი ცოლი გაიგებს და მოგვივარდებაო.

მალხაზი გაჭირვეულდა, ეეედრა დედამისს, მამაჩემის მაგიერი არავინ მაჩვენოო.

თუ შინიდან წასულხარ, თავს მოვიკლავო, მართლაც ეზოდანაც არ იყვნენ გასული, მსხლის ხეზე ავარდა მალხაზი და იქიდან გადმოიგდო თავი.

გასაოცარია, ცოცხალი როგორღა გადარჩა? ქეთუა და უშვერიძე შემობრუნდნენ. ერთი აკოცა ქეთუამ ბავშვს, დამიბარა, მინდელის ქალი იხმეო, უშვერიძე აღარ მოეშვა, მატარებელზე ვიგვიანებთო, ავადმყოფი მე დამიტოვეს და წავიდნენ.

ექიმთან გასაგზავნი არავინ მყავდა, მთელი ღამე თეთრად გავათენეთ, ვაი დედას იძახოდა ბავშვი, დილით მეზობლიანთ მარუას მოვაყვანინე ექიმი მინდელი, მოტეხილობა აღმოაჩნდა მარცხენა წვივისა ბავშვს.

გაიხაროს მინდელის ქალმა, თაბაშირში ჩაუყენა ფეხი, მერმე ის იყო, როგორც იქნა, წაიძინა ყმაწვილმა“.

გოდერძი გვერდით მიუჯდა ნუნუს. ქალმა მარჯვენა ხელი გამოართვა ვაჟს, მუხლის თავზე დაიდო, ნაზად ხელს უსვამდა ზედ.

ნუნუმ სთქვა:

„შენ წასვლა მოგიწევს, გოდერძი, ალბათ?“

„რა სათქმელია, აბა ქალებთან და მოხუცებთან ერთად ხომ არ დავრჩები? დღეს ციხისთავმა გამოგვიარა, ჩაილაპარაკა: თუ გინდა, დაგჯავშნავო, შორს დავიჭირე ასეთი საქმე, რომელი ინვალიდი მე მნახეთ-მეთქი.

შენ რას იტყვი, კოლმეურნეობას რა ვუყოთო? ისევ თედოს ჩააბარეთ-მეთქი, თუ თქვენი ნებაც იქნება.

მე უკვე მზადა ვარ, ნუნუ, ამაღამ საქმეების გადაბარებას თუ მოვრჩი, გვიან მაინც გამოგივლი.

ჩემს ოჯახს შენ უნდა მიხედო, აბა საცოდავი ბაბლია რისი გამკეთებელია, მე მგონია, ყველაფერი რიგზე იქნება. შენ ყოჩაღი გოგონა ხარ, უჩემობა უფრო გაგაკაჟებს. შენი იმედი მაქვს, ნუნუ.

მე მხოლოდ ერთ რამეს ვწუხვარ: შენ ბევრს იდარდებ და თმები გაგიჭაღარავდება და მე ყველაფერზე მეტად შენი გრუზა ნაწნავები მიყვარდა, ნუნუ“.

გოდერძიმ შენიშნა: ნუნუმ თავი ძირს დახარა, ოდნავ შეუტოკდა მხრისთავები და ერთადერთი ცრემლი დაეცა გოდერძის მარჯვენას.

ბოლოს ისევ მაღლა ასწია ნუნუმ თავი და ქუთუთოებზე მომდგარ ცრემლების მოუწმენდელად ჩურჩულით უთხრა გოდერძის:

„თმების გაჭაღარავებას არ დავეძებ, გოდერძი, ოღონდ შენ დაგვიბრუნდი მშვიდობით. დღე და ღამეს გავასწორებ, იმ საწყლებს ლუკმას გავუყოფ. შენ ესა სთქვი, მე მარტო არა ვარ, გოდერძი...

შენს ჩამოსვლამდის მომიხდება ალბათ მოლოგინება, მაგრამ რა ვუყოთ ბავშვს, ამ საგიჟეთში ბავშვს კი არა, მე აღარ მედგომება, ხელიც არ მოუწერიათ და თავპირს ამტვრევენ ერთიმეორეს, წარმოგიდგენია, მერე რა მოხდება“.

გოდერძიმ მაჯის საათს დახედა, ათ საათზე პარტიული კრება იწყებაო, წაიდუდუნა და მძიმედ წამოდგა. ნუნუ ეეედრა: კიდევ დარჩიო ცოტა ხანს. როცა გოდერძი წასვლას დაადგა კვლავ, ნუნუმ უთხრა: თუ მთლად გვიან არ გათავდა კრება, მაინც გამოიარე, რას დავეძებ, ყიამყრალები რას იტყვიანო.

გოდერძიმ სთქვა:

თუ ამაღამ ვერ მოვედი, ხვალ გამოგივლიო და ხელიც მოვაწეროთო ბარეღამ მმაჩში. ზეადგომისას გარიხინდა გოდერძის სკამი, მალხაზმა გაიოვიქა, შუქი ჩააქვრეთო, მორთო ღნავილი.

როცა გოდერძის გაცილებას დაადგა ნუნუ, მალხაზი კაბაზე მისწვდა, აყვირდა: დედამ მიმატოვა, ახლა შენც უნდა მიმაგდოო?

ნუნუ გულშემოყრილი მიუჯდა ავადმყოფის საწოლს, მხოლოდ თვალი შეასწრო მხედრული ნაბიჯით კარისაკენ მიმავალ გოდერძის ზურგს.

მამისეული ხანჯალი

ნუნუმ ლამპა ჩააქრო, მაგრამ ავზნიანი ყმაწვილი მაინც არ ასვენებდა ღამისთევისგან გატანჯულ ქალს. ებუზღუნებოდა: დედა გამითხოვდა, ხვალ შენც გათხოვებას აპირებ, მე მარტო მტოვებთ, იცოდე, ისევ ავალო მსხლისხეზე და ახლა ნამდვილად მოვიკლავო თავს.

ნუნუ ანუგეშებდა: მე არასოდეს მიგატოვებ, არც ვთხოვდებიო, გოდერძი ომში მიდის, მე არც კი ვფიქრობო გათხოვებას, მაგრამ არავითარი შეგონება არა სწვდებოდა ყმაწვილის დაბნელებულ გონებას, როცა სიტყვები უმწეონი გახდნენ, ნუნუს გული ამოუჯდა, ქვითინებდა მისტიროდა თავის გაუხარებელ სვეს...

ბოლოს მარჯვენა წაართვა ყმაწვილმა ქალს, მკერდზე მიიხუტა და, როგორც იქნა, თვლემა მოერია ჭირვეულს.

დიდხანს უცადა ნუნუმ გოდერძის, მცირეოდენი ჩამიჩუმი მკაფიოდ სწვდებოდა მის სმენას, ეზოში თხა ახველებდა, ბოსლის კართან ძროხა ხვნეშოდა, კიბეზე მწოლარე ძაღლი იქექებოდა, არახუნებდა ფიცარზე კუდს.

უკვე დაიწყეს მამლებმა ყივილი, სახურავზე გაავებული კატები ჩხაოდნენ, ძაღლები ყეფდნენ სადღაც, აზვავდებოდნენ და მერმე ეს ერთობლივი ყეფა ჩაკვდებოდა ერთბაშად და ისევ ისმოდა თხის ხველება და ძროხის ქშენა.

ნუნუმ მარცხენა მკლავი ამოიდო თავქვეშ და ასე უმარჯვოდ პირქვედამხობილი მიეცა ფიქრს. ჯერ უცნაურ ბურანში იყო, ცხადლივ ესიტყვებოდა კიდევაც ფრონტზე მიმავალ საქმროს:

ათასი კრამიტი თუ ვიშოვნე, გადავსახლდეო თუ არა პაპა მიქელასთან? ბიჭი თუ მეყოლა, მართლაც მიქელას დავარქმევო შენი სურვილისამებრ. ოღონდ შენ ჩამოდი მშვიდობით, გოდერძი, დეე მე გამითეთრდეს თმები...

გახსოვს, გოდერძი, მე და შენ რომ ბერმუხის ქვეშ ვისხედით და რომანისტებს რომ ვაბრალებდით ავკაცობას?

ჩვენ აგრე გვეგონა თითქოს ისინი განგებისად აწყობენ მიჯნურთა საქმეს ისე, რომ ძალაუნებურად გაყრიან სასურველებს ერთიმეორისგან, რათა მკითხველებს გული დასწყვიტონო?

თურმე ვცდებოდით მე და შენ, ორივენი, გოდერძი, თავათ ცხოვრება ყოფილა თურმე უდიდესი გამთიშველი გულისსწორთა, უბოროტესი რომანისტი ამ ქვეყანაზე, აურაცხელი, დაუწერელი რომანების ავტორი.

მერმე რა ახლოს იყო ბედნიერება, სულ ერთი მტკაველის სიშორეზე და გულბოროტმა ცხოვრებამ გაგვყარა ერთმანეთს მე და შენ, გოდერძი.

ოღონდ შენ ჩამოდი მშვიდობით, დეე მე გამითეთრდეს თმები...“ ამას ცხადლივ ეუბნებოდა ნუნუ თავის სასურველს, თითქოს გოდერძი იქვე მჯდარიყოს მასთან.

. . . . . .

ძილი შემპარავად ეპოტინებოდა ნუ-

ნუს ქუთუთოებს, ნელ-ნელა აბამდა პოტიკებს ზედ. დიდხანს უცადა გოდერძის, როცა მისი მოსვლის იმედი დაჰკარგა, მოაგონდა: გოდერძის გასვლის შემდეგ კარი გადაურაზავი რომ დარჩა.

ფრთხილად გამოართვა მარჯვენა ავადმყოფს, ფეხაკრეფით გავიდა შრამელში, კარი გადარაზა, ისევ შემობრუნდა ოთახში.

საათი გაჩერებულიყო, ფანჯრიდან გაიხედა. ძროხა არხეინად იცოხნებოდა, ხბო ბოსლიდან გამოპარულიყო, საყვარლად მიხუტებოდა დედას და ტკბილად ეძინა, მიწაზე პირქვედამხობილ თხას ახველებდა. მთვარე ზედ წოპზე დაჯდომოდა გორაკს, თითქოს სადაცაა ძირს დაგორდებაო ეს ამოდენა ცეცხლოვანი ბურთი, ყვარლის მთებისკენ აგზავნიდა სხივებს, ახლადამოღებულ აბრეშუმისებრ ხასხასას. ბულბული უსტვენდა სადღაც...

მალხაზმა დაიკვნესა, ნუნუ ფანჯარას მოსცილდა ავადმყოფის საწოლთან დაემხო ისევ. ხელახლა წაართვა ავადმყოფმა მარჯვენა ნუნუს და მკერდში ჩაიბღუჯა.

ნუნუმ გადასწყვიტა აწ აღარ მოვაო გოდერძი, ამიტომაც მინებდა თვლემას...

უცნაური სიზმარი ნახა: უმთვარო ქარიან ღამეში მიგელავდნენ მაზუთში ამოგანგლული მაღალრქიანი ლოკომოტივები სტეპზე. ღია პლატფორმებზე სქელდრუნჩიანი ზარბაზნები მოჩანდნენ ლაფეტებზე შედგმული.

მათ კიდეებზე ბერმუხელი და ალაზანსგადაღმელი ბიჭები იდგნენ, ხელში ტყვიამფრქვევები და ხიშტებიანი თოფები ეჭირათ.

მიბღაოდნენ მაზუთით გაზინთული ლოკომოტივები, სქელდრუნჩიანი ზარბაზნები ცეცხლს ანთხევდნენ, მიწა ზანზარებდა, ცას ხანძარი ეკიდებოდა, გავარვარებულ ღრუბლებში შავფრთიანი არწივები დარიალებდნენ, სვასტიკები ჰქონდათ მიკერებული მკერდზე...

. . . . . .

გოდერძი და ნუნუ თვითმფრინავში სხედან, მრისხანედ ბუბუნებს მოტორი, პროპელერი ფხრეწს ცეცხლშეგზნებულ ღრუბლებს, გოდერძი ვეფხვივით დასტრიალებს თვითმფრინავის კრიალა, ბზრიალა აგრეგატებს, ხანაც ტყვიამფრქვევს მისწვდება და მოისმის ბედითი კაკანი ტყვიისა...

ახლა თვითმფრინავისკენ წამოვიდნენ შავფრთიანი, სვასტიკიანი არწივები.

„ნეტავ მართლაც არწივებია, თუ ფაშისტების ბომბდამშენები?“ ფიქრობს ნუნუ და გოდერძის მკერდზე ეკვრის ვაგლახად შემკრთალი.

სულ ახლოს, სულ ახლოს მიეჭრნენ არწივები თვითმფრინავს, ცეცხლოვან თვალებს უბრიალებდნენ, უკვე მოესმის ნუნუს, თუ როგორ უტლაშუნებენ თვითმფრინავს ფრთებს და ყივიან ბედითად.

გოდერძის ოფლი გადასდის შუბლზე, გააფთრებული თავს დასტრიალებს აგრეგატებს, პროპელერი თავბრუდამსხმელად ბრუნავს, ფხრეწს მგლისფერ ღრუბლებს.

უცებ ლიწინლიწინით დაიმსხვრა თვითმფრინავის ფანჯარა, სვასტიკიანი არწივი შემოიჭრა პილოტის კაბინაში და ზედ ყვრიმალზე მიაჯდა გოდერძის. ფრთებს აბარტყუნებს და კორტნის.

გოდერძიმ სატევარი გაიძრო და... სისხლით გაივსო პილოტის კაბინა... სასუნთქი ჰაერი აღარ ყოფნით ნუნუს და გოდერძის, სისხლის მორევი ყელამდის მისწვდა ორივეს. უნდა შეჰკივლოს ნუნუმ და ხმა აღარ ამოდის ხორხიდან.

ამ დროს მოისმა საშინელი რაჯგუნი შრამელის კარიდან, ნუნუ დაფეთებული ზეწამოიჭრა, ხელი წაართვა მძინარეს, შრამელისკენ წალასლასდა.

თავდაპირველად აგრე იფიქრა ნუნუმ: გოდერძი მოსულაო, ალბათ. შრამელში თავი გაჰყო და შეეხმიანა: რომელი ხარო?

ჯერ იყო და ხმა არ გაიღო არავინ. ქარი ხომ არ ამოსულაო, გაიფიქრა და ფანჯრიდან გაიხედა, ხის წვეროკინებ:

გარინდებულნი იყვნენ. ალბათ მომეჩვენაო, გაიფიქრა ქალმა და ისევ საწოლისკენ გაემართა.

ახლა სავსებით გარკვევით მოისმა კაკუნი. ისევ გავიდა შრამელში ნუნუ და კვლავ შესძახა: რომელი ხარო? კარს გადაღმა ვიღაცამ ჩაახველა. ისევ მოუნაცვლა ნუნუმ კარს უკან მდგომარეს კითხვა.

გოდერძი ვარო, მოისმა საკმაოდ მოკრძალებული ხმა.

ნუნუ დაეჭვდა, ეს უკვე აღარ ჰგავდა გოდერძის ხმას. კარის ჭუჭრუტანიდან გაიხედა: ვიღაც ახმახის ლანდი გამოჩნდა. კიდევ შეიჭვრიტა, მწყემსური, წილამურებიანი ქუდი ეხურა უცხოს და მხრებგანიერი მთიულური ნაბადი.

იგი უკვე აღარ იძლეოდა ხელმესამე შეკითხვაზე პასუხს, ქუშშემდგარი ცხენივით ხვნეშოდა და მაგრად აწვებოდა ვაგლახად აჭრიალებულ კარს შრამელისას.

ნუნუ გაოცდა: თუ ეგ კაცი უცხოთაგანია, ძაღლმა რად არ შეყეფაო მაინც? ისევ გაიხედა ფანჯრიდან, ძაღლი გომურის წინ იჯდა ახლა და იქექებოდა. ისევ შრამელში გაწრიალდა ნუნუ.

უკვე აღარ კრთოდა იგი და უთხრა საკმაოდ მტკიცედ კარს უკან მდგომარეს:

„გოდერძი, ასეთ დროს არასოდეს მოსულა ჩემთან, წადი ახლავე აქედან, ვინცა ხარ, თორემ განანებ, იცოდე“.

„ჰე, ჰე, შენ რა უნდა მიქნა ჭუკო?“

„გირჩევ შენს გზაზე წადი, კარს ნუ მიმტვრევ და ავადმყოფი არ გამიღვიძო“.

„მე კიდევ გირჩევ გამიღო კარი, თორემ ეს კარი მე ვერ დამაკავებს“.

ამის თქმა მოასწრო უცხომ და გამოქანებული ეძგერა კარს. ნუნუ ოთახში გაბრუნებას აპირებდა და ამ დროს მოძალებული ხელახლა მოეხალა კარს, სანახევროდ დამპალმა კარის ჩარჩომ რაზა ვერ დააკავა და კარი გაიღო ანაზდად.

კარის ადგილიდან ისკუპა ბობოლა ლანდმა და თავის ძალოვან მკლავებში ჩაბღუჯა ანაზდად ქალი, იქვე მდგარ ტახტამდის მიათრია იგი, ბალღივით დაისვა მუხლზე და უთხრა:

„გოდერძი, რომ ვყოფილიყავი, ხომ გამიღებდი, შე უნამუსო, კარს?“.

ნუნუს სახეში ეცა გახელებული მამაკაცის ტუჩპირიდან ამოსული ღვინის სუნი და მიუგო:

„უნამუსო და ბანდიტი შენა ხარ, კანკრე“.

„რაცა ვარ, ეგა ვარ, ნუნუ, გოდერძისა და მისი კომუნისტების აღსასრული კარზეა, ამაღამ ჩემი თუ არ გახდები, ჯერ შენ მოგახრჩობ, მერე მამისეულ ხანჯალს გამოვიტან შინიდან და გოდერძის ისე ავკეპავ, როგორც სამწვადე თოხლს აკეპავენ ხოლმე თუშები“.

ნუნუ ემუდარა: ხელი გამიშვი და ისე ვილაპარაკოთ, მუქარით არაფერი გამოგივაო.

„ნათიამ მიამბო, თურმე შენ დაგიკვეხნია, ჩემი გულისთვის ცხვირპირიდან სისხლი ადინაო გოდერძიმ კანკრეს“.

ამბობდა ბრაზისგან დუქმორეული ვაჟი.

„ყველაფერს გეფიცები, კანკრე, არაფერი ამის მსგავსი მე არსად მითქვამს“. გახელებული კანკრე მიხვდა, რომ ეს სიმართლე იყო. ეს მოეწონა ნუნუს ასეთი რამ რომ არ უთქვამს.

„შენ კარგი გოგო ხარ, ნუნუ, ამას არ იტყოდი, ამიტომაც მიყვარხარ. უთხრა კანკრემ, ძუძუების სრესა და კოცნა დაუწყო ქალს.

„კანკრე, ხელები დაიმოკლე, თორემ განანებ, იცოდე“.

„ჰე, ჰე, შენ რა უნდა მიქნა, ჭუკო“?

„რაც მოგივა, იმას მერმე ნახავ“.

„აბა ამას გეტყვი, ნუნუ, თუ ამაღამ ჩემი არ გახდები, მამის სულს გეფიცები, ახლავე გამოვიტან მამისეულ ხანჯალს შენ და გოდერძის ამაღამვე ხელს მოგითავებ და მერმე მეც მოვიკლავ თავს“.

ესა სთქვა კანკრემ და მუთაქამდის მიათრია ქალი. თავათ ტახტის წინ დაიჩოქა, ჯერ ემუდარა, ისევ მუქარაზე გადავიდა, ახლა მუქარიდან ხვეწნაზე გადავიდა, სიყრმიდანვე შენ მიყვარდი, ქალაქიდანაც შენთვის ჩამოვედიო.

შუბლზე ხელს უსვამდა, ხელებს წაართმევდა და უკოცნიდა.

ქალმა უთხრა საკმაოდ მშვიდად ღვინისა და ვნებისგან გონებააღრეულ ვაჟს:

„შენ უფრო შეგნებული კაცი მეგონე, კანკრე, ძალადობა რა საჭიროა? მოდი დავსხდეთ და ვილაპარაკოთ, ისე როგორც გონიერ ადამიანებს ესა სჩვეიათ“...

კანკრეს იმედი მოეცა, რაკი „მოლაპარაკებამდის“ მივიდა საქმე. ხელები შეუშვა ლოგინზე დაკრულს, წამოაყენა, ახლა თავათაც გვერდით მიუჯდა და თითქმის გაბზარული, შესაბრალისი ხმით დაიწყო:

„გამაგიჟა შენმა სიყვარულმა, ნუნუ, ნუთუ არ გეცოდები, მე და შენ სიყრმის მეგობრები ვართ, ერთად გვითამაშია, ერთად გაგვიტარებია ბავშვობა.

„ნუ ხარ უგულო, ქალო, თუნდაც ერთხელ დამნებდი, ვინ იცის, ეგებ გამომინელდეს შენი სიყვარული როგორმე და ჩემს სიცოცხლეს განაცვალებ, იცოდე.

ვინ გაიგებს ამას, მთელმა შავმა სოფელმა იცის, რომ შენ გოდერძისთან ნაცხოვრები ხარ, გოდერძი ამაღამ მიდის ფრონტზე, ეს ხომ იცი, ნუნუ?

შენ არც იმას აფასებ, მე შენი გულისთვის ლამის არ იყო ზედ შევასკდი კობერიძეს, მე რომ არა, შენი დედინაცვალი უთუოდ მიგათხოვებდა კობერიძეს, ხომა?“.

ნუნუმ მხრები აიჩეჩა:

„რაო ვითომ, მე საწვიმარა გუგაი ხომ არ ვიყავი, საითკენაც სურდა, იქითკენ გადავესროლე ჩემს დედინაცვალს?“ ნუნუ აქ შესდგა და ბოლოს განაგრძო:

„აბა, იცი რას გეტყვი, კანკრე, თითქმის ჩურჩულით უთხრა ქალმა, შენ ხომ არ მიდიხარ ომში, გოდერძი ამაღამ მიჰყავთ არა? კიდევ ერთი დღე მოიცადე. ახლა ბავშვი არ გამიღვიძო, იცოდე. დამშვიდდი ოღონდ, დავსხდეთ და ვილაპარაკოთ“.

„ომშიო? ჰო, ჰო, მე რა მინდა ომში? კომუნისტებმა იტეხონ თავი“, ახორხოცდა გახარებული კანკრე.

უცნაური ეს იყო, სწორედ ამ წუთში ატირდა მალხაზი.

„შენ აქ ჩამოჯექი და მე ახლავე მოვალ, მამისულს გეფიცები, ახლავე მოვალ, კანკრე“.

ვაჟი მოლბა, დათმობის გზას დაადგა, ხელი უშვა ქალს, რომელსაც კანკრესთან ბრძოლისგან მთლად დალილავებული ჰქონდა მაჯები და ყელი-სერი.

ახლა კანკრემ ერთი მიაძახა ოთახისკენ მიმავალს: მალე მოდი, იცოდე, თორემ სადაცაა გათენება მოგვისწრებსო.

როცა მარტო დარჩა, უცნაური მოთენთილობა იგრძნო იოგებში ღვინოსთან და ქალთან ნაბრძოლმა ვაჟმა. ახლა მისი აღრეული გონება და მოდუნებული სხეული მოსვენებასა და ძილს მოითხოვდა.

მხართეძოზე წამოწვა, მუთაქა მხრისთავის ქვეშ დაიდო... ქუთუთოები უმძიმდებოდნენ, მაგრამ მის გონებას ბურღავდა ქვეშეცნეული აზრი: არ დამეძინოს, გათენებამ არ მომისწროსო.

მოუხშირეს მამლებმა ყივილს.

მცირედი გაფაჩუნებაც კმაროდა და კანკრე წარამარა ზედწამოიჭრებოდა. ახლა ერთადერთი რამ აშინებდა: ვაჲ თუ ის ოხერი მარუა, რომელიც ყოველ წუთში დაწანწალებდა ხან შაქრის, ხან ფქვილის, ხან მარილის „სასესხებლად“ არ შემობორიალებულიყო და მთელი გეგმები არ ჩაეფუშა კანკრესათვის.

წარამარა თვალებს იფშვნეტდა ლოდინისაგან დაოსებული კანკრე, მოხუჭავდა თვალს, ისე შეიმართებოდა, გახედავდა ღიჭედ დარჩენილ კარს. ნაბი-

ჯების ჩქამის ნაცვლად, იქიდან მოისმოდა მალხაზის ბუზღუნი, ხანაც ნუნუს ალერსიანი ტკბილი ჩურჩული.

ახლა ტახტზე მწოლარე ნატრობდა: მის თავთით მჯდარიყო ნუნუ და ასეთი ალერსიანი ჩურჩული სმენოდა მისგან. ღვინისაგან ცნობამიხდილმა კრიალოსანის მძივებსავით გადასთვალა ნუნუს ტუჩებისაგან დაცდენილი საიმედო სიტყვები.

„შენ ხომ ომში არ მიდიხარ, კანკრე, გოდერძი ამაღამ მიდის, დავსხდეთ და მოვილაპარაკოთ“.

ახლა უკვე აყვედრიდა ოდნავ გამოფხიზლებული კანკრე თავის თავს: დროზე რომ მეპოვნა საერთო ენა ნუნუსთან, ახლა ჩემი იქნებოდაო იგი, ინანა: შარშანდელი თავდასხმა და ამაღამდელი ძალით შემოლეწვა კარისა.

სხვაგვარი იმედებიც გამოძვრნენ მისი სულის უაღრეს ჯურღმულიდან:

„ეგებ მართალი იყოს ნათია თარალაშვილი, გოდერძისა და ნუნუს შორის შავმა კატამ გაირბინაო„ რომ ამტკიცებდა?

გოდერძიმ განზრახ არ დაახურვინა სახლი, თორემ ათას ცალ კრამიტს როგორ ვერ იშოვნიდა, ეს ყოველივე იმისთვის მოსჩმახა გოდერძიმ, ნუნუსთან ხელისმოწერა გადაედო და ფეხი აეთრია როგორმე“.

ამასაც ნათია ამბობდა.

აა?!

იძალა რიჟრაჟმა. ჩიტების ერთობლივი ჟივილი ისმოდა ბოსტნიდან. ბულბული კვნესოდა სადღაც. საყვარელი არსების მოლოდინი და გალობა ბულბულისა, განუზომელ ნეტარებას ანიჭებდა ღვინისაგან დაოსებულსა და ვხებისგან გახელებულს.

კანკრე ტახტზე წამოჯდა, ჩექმა გაიხადა, რადგან უხიაგად უჭერდა ცალი. საკინძე გაიხსნა და საალერსოდ მოემზადა გამიჯნურებული...

ამ დროს მოისმა ნაბიჯების ჩქამი...

ზეწამოიჭრა კანკრე, ახლა თავათვე ესმოდა ძლიერი აჩქროლება საკუთარი გულისა.

კარი ფართედ გაიღო და ჰოდ საოცრებავ!

კარის ჩარჩოებში გახევებული იდგა ფაფახიანი, ტყაპუჭიანი მამაკაცის ლანდი.

სატევარი ბედითად ელავდა მის ხელში.

ხომ არ გაცოცხლდაო ის გაოხრებული გობრონ უჯირაული? ერთი გაიფიქრა კანკრემ, თვალები მოიფშვნიტა. არაერთგზის უნახავს კანკრეს გაბრანგული მთვრალი, გახელებული ხანჯალამოწვდილი რომ უტევდა დიდსა და მცირეს.

ეს ხანჯლიანი, ფაფახიანი კაცი ჯიქურ მიეჭრა ტახტზე მჯდომარეს და უყივლა:

„კანკრე, ადექი ახლავე და დასტოვე ჩემი სახლი, თორემ გაგაქრობ, იცოდე“. კანკრე შეცფუნდა, ტახტზე წამოიჭოტა და აქედან უნდოდა თავზე დახტომით იარაღი აერთმია ამის მთქმელისთვის, მაგრამ დაასწრო მომხვდურმა და ბაყვებში ჩასცა გავარვარებული ხანჯალი.

დაკოდილი ნადირივით ერთი დაიღმუვლა კანკრემ და როცა ცნობამიხდილი სოხანეზე დაეცა პირქვე, მალხაზის ღრიალი მოესმა ნუნუს, მან იქვე დააგდო ხანჯალი, რათა გასისხლიანებული იარაღი არ დაენახა ბავშვს...

*

* *

დილაადრიან მარუამ შემოირბინა ფქვილის სასესხებლად და როცა საკუთარ სისხლში პირქვემწოლარე კანკრე დაინახა, აბრია, ლუო და ფოცხვერი უჯირაულები მოიყვანა ნუნუს თხოვნისამებრ.

გვარის უხუცესების თვალწინ აიღო ნუნუმ მამისეული ხანჯალი ხელში, მზრუნველი ხელით გასწმინდა და ისევ თავის ადგილას დაბინავა. მერმე გამობრუნდა და უთხრა აბრიას:

„არ მომეშვა, პაპა აბრიავ, ეგ თქვენი კანკრე, ახლა ნახეთ, რა მოუვიდა“.

როცა მძიმედ დაჭრილ კანკრეს ნაბადში გახვეულს, მიათრევდნენ უჯირაულთა გვარის უხუცესები, აბრიამ ნაღვლიანად უთხრა ლუოს:

„მე ხომ გეუბნებოდი, ბიჭავ, ჯერ კიდევ შარშან, ქალი რომ დინამიტის აფეთქებას ისწავლის, მამაკაცსაც იოლად მოჰკლავს-მეთქი, ჰა...“

მიტინგი

მეორე დღე არანაკლებად მღელვარე იყო.

გოდერძის, უთენია შინიდან გასულს საუზმისთვისაც არ მოუცლია. ხან კოლმეურნეობის კონტორაში იჯდა, საქმეებს აბარებდა თედოს, ხანაც ნაკვეთებზე დარბოდა. ახლად გამოყოფილ ბრიგადირებს ქალთაგანთ, სამერმისო თადარიგსა და რჩევებს აძლევდა.

ნაშუადღევს ერთი საათით დაეთხოვა ყვარელს წასასვლელად თედოს:

„ვინ იცის, ეგებ ამაღამვე მომიხდეს, ძია თედო ფრონტზე წასვლა, ბარე წავალთ მე და ნუნუ და ხელს მოვაწერთ“.

თედოს სახე გაუბრწყინდა. წამოდგა, კადაკოცნა და მიულოცა.

„კარგს იზამ, შვილო, ხომ იცი, ყიამყრალი შავსოფლელების ამბავი. ეს ფორმალური მხარეა, მაგრამ მაინც საჭიროა“.

გოდერძიმ რამდენიმე წუთით შეირბინა ნუნუსთან. ნუნუ შეკრთა. ვაი თუ წუხანდელი ამბავი გაიგოვო. როცა კაემა უთხრა: ყვარელს წავიდეთ, ხელი მოვაწეროთო, დამშვიდდა. ნუნუმ სთქვა:

„კარგი იქნება, თუ შენ წახვალ და ამბავს გაიგებ წინასწარ“.

„რა ამბავს?“.

„რა და ჩემი ბიძაშვილი და მისი საცოლე ყოფილან გუშინ წინ, მმაჩის გამგე ეს ერთი კვირეა, რაც ავად გამხდარა, შემცვლელიც არა ჰყოლია თურმე მაგ ოჯახქორს“.

ერთ საათსაც არ გაუვლია, მანქანის სიგნალი შემოესმა ნუნუს, უკვე მარუას ეხვეწებოდა ნუნუ, ერთი საათით დარჩიო მალხაზთან.

გოდერძი შემოვიდა და ასეთი რამ სთქვა: სამ დღესაც ვეღარ ადგებაო ბმაჩის გამგე.

ნუნუს უსიამოდ გააჟრჟოლა ამის გამგონეს. მოაგონდა, რა შავი დღე დაეყენეს აბრიამ და მისმა ძმებმა თეთროს ხელისმოუწერლად შვილის გაჩენისათვის. ეს მღელვარება არ გაუმხილა გოდერძის, მცირეოდენი იმედი მაინც ღიმღამობდა ნუნუს გულში: შესაძლოა ამ რამდენიმე დღეში არ მოუწიოსო ფრონტზე წასვლა გოდერძის.

კოლმეურნეობის კონტორაში მიბრუნებულს ასეთი ამბავი დაახვედრეს გოდერძის: ციხისთავმა და კომკავშირის რაიკომის მდივანმა გამოიარეს და სთქვეს: შვიდი სოფლის ახალგაზრდობა ფრონტზე მიმავალი ბერმუხის ქვეშ მოგროვდნენ და აქ უცადონო სამხედრო კომისრისა და სატვირთო მანქანების მოსვლას. სახელდახელო მიტინგიც უნდა მოაწყოთო ამ საღამოს.

ჯერაც მზე არ იყო ჩასული, დიდძალმა ხალხმა მოიყარა ბერმუხის ქვეშ თავი. როგორც ხატიონებს სჩვეოდათ ძველად, ჯგუფ-ჯგუფად გარს უსხდნენ ირგვლივ გამართულ კოცონებს, მწვადებს სწვავდნენ, მასლაათობდნენ და მღეროდნენ.

აქა-იქ მამაკაცები უღიმღამოდ ცეკვავდნენ, რადგან ქალები ცეკვის გუნებაზე არ იყვნენ მაინცდამაინც.

დაჯოჯმანდა გველეთის ახალმოსახლე ხევსური ხირჩლა ოჩიაური გაშალა თავისი გრძელი მკლავები, ქორივით მოუარა, ქმრების, ძმებისა და საქმროების გასაცილებლად მოსულ ქალებს, მაგრამ არავის ეხალისებოდა ამ ვეება ვაჟკაცთან ცეკვა, თანაც თავისი ტანმორჩილობის გამოჩინება.

საქმე რა მისჭირდა, წამოდგა ლოყებლაჟღაჟა, ბრგე ვაჟკაცი მეღორე პოპოლა, წინამო და წინსაფარი გამოსტყუა რომელიღაც ხევსურ გოგონას

და ქალურად ჩამოუარა. პრანჭია სასძლოსავით იგრიხებოდა, ხან მწყაზარად დაგოგავდა, ხან კეკლუცად გადახრიდა თავს განზე, თითებს ათამაშებდა, იმანჭებოდა ეს უზარმაზარი დევკაცი და ეს შეუსაბამობა განგებისად გამოჩინებულ ქალურ კეკლუცობასა და მის დათვურ მიხვრა-მოხვრას შორის, ჰომერისეულ ხარხარს იწვევდა მოსეირეთა შორის.

რაკი ომში მიდიხართ, ბარე საომარი რამ ითამაშეთო, იფარიკავეთ, ან იჭიდავეთო, წამოიძახა გიგლა გაბედაიძემ.

შამილისა და შეთეს ომი ითამაშეთო — ბარემ, სთქვა ოთხმოცი წლის ბერიკაცმა ოთარ ხეცოძემ.

დიდხანს ეძიეს შეთე გულუხაიძის როლის შემსრულებელი, ბოლოს ნიორთავას დაადო ხელი ხეცოძემ.

მოიგონეთ შენი სახელოვანი დიდი პაპა.

ნიორთავა ნაღვინევი იყო და თავპატიჟის დადება არ დასჭირვებია, არც იმას მოერიდა, რომ მისი პარტნერი ასეთი გოლიათური ანაგობისა იყო. გველეთის ახალმოსახლე ხევსურებმა საიდგანღაც გამოსჩხრიკეს ხევსურელი ჯაჭვის პერანგი, მუზარადი, ფარი და ფრანგული.

ვის უნდა ეკისრა შამილობა? ამ როლის შესრულების მოწადინე არავინ აღმოჩნდა, ამიტომაც ისევ ხირჩლას დაადო ხეცოძემ ხელი. ხირჩლა მთვრალი იყო და ამიტომაც დათანხმდა, თუმცა ლეკები და ქისტები მაინცდამაინც არ უყვარდა მას.

იმამი შამილი თავისი ნაიბებითურთ დაბანაკდა ბერმუხის მხარმარცხნით, წნორის ჯირკვზე, ხოლო შეთე გულუხაიძე მისი ვაჟები და თუში ვაჟკაცები ბერმუხიდან მხარმარჯვნით დადგნენ.

შეთე გულუხაიძეს ეახლნენ შამილის მოციქულები და მოახსენეს:

როგორც ჩვენ, ისე თქვენც მთიელები ხართ, ხომ ხედავთ ბარი ებრძვის მთას, მოდი ფიცვერცხლი ვჭამოთ, ერთად, შევებრძოლოთო რუსების თეთრ ხელმწიფეს და მის ქვეშევრდომ ბარელებს.

თუ თქვენ ამას არ იზამთ, თუშების ციხე-კოშკებს გავტეხავ, მერმე კახეთს დავლაშქრავ, მერმე ქალაქში შევალო ჩემის თეთრი ცხენითა, მერმე ქართველებისა და რუსების სისხლით მტკვარს შევღებავო, ერეკლე მეფის გვირგვინს თავზე დავიდგამო, იმუქრებოდა იმამი შამილი.

უპასუხა შეთე გულუხაიძემ შამილს:

ჩვენ ერთმორწმუნე რუსებს არ ვუღალატებთ, არც თუ ფიცვერცხლის ჭამა გვინდაო თქვენთან, თუ მეფე ერეკლეს გვირგვინი მოგნატრებია, ერთ კუდა ვირს გამოგიგზავნით, ყველიერზე თბილისში გვეწვიე და ყეენად დაგვიდექიო, თუ საქმე შემოგლევია ყ...ები დაფხანეო ჩემს ვირს.

მაშინ განრისხდა იმამი შამილი, ხმალმა გაგვასწოროსო შემოუთვალა შეთეს.

ბერმუხის ქვეშ ხმალამოწვდილნი შეხვდნენ ერთმანეთს, შეთე და შამილი. უყივლეს ერთიმეორეს. შემოურბინეს წრეს და გაიელვეს გაიწკრიალეს, ჰაერში ხმლებმა.

გარსმოჯარული ხალხი გაოცებული შესცქეროდა სოლომონ გულუხაიძეს. მუზარადსა და ჯაჭვის პერანგს ომახიანი იერი მიეცა მისთვის, უზადო ოსტატობით ხმარობდა იგი ხმალს, წამოვიდოდა შარასავით აფხორილი გრძელმკლავებიანი შამილი, შეუძახებდა მრისხანედ მობუბუნე „მტერს“, მაგრამ არ შედრკებოდა ტანმორჩილი შეთე, თავს განზე გადასწევდა ზეაღმართულ ხმალქვეშ შეუვარდებოდა ამ გოლიათს, ზედიზედ შეუტევდა მოძალებულს და უკუაქცევდა.

განრისხდებოდა გულგოროზი შამილი, დააბრიალებდა ხარისებრ თვალებს, აგრე ეგონებოდა მაცქერალს ერთს კიდევ შეუბერავს ეს დევკაცი მოცოროზ შეთეს და ყინულზე დავარდნილ ნაპერწკალსავით გააქრობსო, მაგრამ შამილს ისევ შეუტევდა ხმალდახმალ შეთე, ისევ ატყდებოდა ხმლების წკრიალი და ფარების ჟღრიალი, ხმალამოწვდილნი უყივლებდნენ ერთი-

მეორეს და უკუქცევას დაადგებოდა გრძელმკლავიანი დევკაცი.

ახლა მოსეირენიც ატყობდნენ უკვე, ვაგლახად მოიქანცა ახმახი შამილი, მას წურწურით ჩამოდიოდა მუზარადიდან ოფლი. ქუშშეყრილი ცხენივით ქშინავდა, შეთემ ზედიზედ მიიტანა მასზე იერიში და ბერმუხისაკენ უკუაქცია იგი.

გაბოროტდა შამილი, შეუძახა და შეუტია შეთეს. მაყურებლებს უკვე ეგონათ სადაცაა ჩხუბად იქცევაო თამაში.

ელავდნენ ხმლები, ცეცხლს აფრქვევდნენ ფხიდან, ელრიალებდნენ სპილენძის ფარები.

„გამიმაგრდი ჯაბანო თუშო“ დაიღრიალა და გააფთრებული დაჯოჯმანდა შამილი, მარჯვენა მკერდი წინ წამოაგდო, მოუქნია მოპირდაპირეს თავისი გრძელი ხმალი, შუაში გაუპო ფარი.

ფარის ნამუსრევი გადააგდო შეთემ, ისედაც ტანმორჩილი ძირს დაიხარა, ხმალი ისაფრა რამდენჯერმე, ხმლის მოქნევა მოუცარა მოპირდაპირეს და ბერმუხისკენ მისრისა იგი.

როცა სიმაღლიდან ძირს დაეშვა გოროზი შამილი, შეთე დანდობილად მიეჭრა ელვისებრ სისწრაფით, ისევ მოუცარა ძლიერი მოქნევა ფრანგულისა, გაუძლო შამილის მედგარ შემოტევას და წრიულად შემოტრიალებული ხმლის წვერით ხელიდან გააგდებინა ლაპლაპა ფრანგული.

„ვაშა, ვაშა, სოლომონ“, შესძახეს თუშებმა გამარჯვებულს და ხელში აიყვანეს იგი.

„გაოცებული ვარ პროფესორო ბატონო, ეუბნება გოდერძი კორინთელს, ამდენი ხანია ვიცნობ ნიორთავას, ჩემს დღეში მოფარიკავე არ მინახავს იგი. დახეთ, რა ოსტატურად ხმარობდა ხმალს“.

„ასეა ჩემო გოდერძი, ვინ იცის რა და რა ნიჭი სთვლემს ხანდახან ადამიანში და გარემოება გამოაჩენს მხოლოდ ამ ნიჭს. უდიდესი და უმძიმესი საქმე მაინც ეგ არის ადამიანმა დროზე მიაგნოს თავის მოწოდებას. გუშინ დეპეშა გამაგზავნინა სოლომონმა შტაბში, მოხალისედ მიდის ფრონტზე“.

ამასობაში მიტინგი დაიწყო.

„აქლემის კუზზე“ შესდგა ციხისთავი და მოუწოდა პარტიულსა და უპარტიო ახალგაზრდობას, ჯეროვანი პასუხი გაეცათ გათავხედებულ ფაშისტებისათვის.

კომკავშირელები, პარტიულები და უპარტიონი ზედიზედ სცვლიდნენ ტრიბუნაზე ერთმანეთს. ხელაანთ ვანო, მეღორე პოპოლა, კოლა სოკოლოვი, ნიკა უჯირაული, ხეცოძეები, ტარკომაიძეები და მირიანიშვილები. ორატორები ფიცსა სდებდნენ ხალხის წინაშე ღირსეული პასუხი გაეცათ მტრისთვის.

სიტყვა აიღო მეწისქვილე სოლომონ ჯულუხაიძემ:

„ამხანაგებო, თქვენ არასოდეს ოხუნჯობის მეტი არაფერი გაგიგონიათ აქამდის ჩემგან. ახლა უკვე ხუმრობის დრო აღარაა. ჩვენ უნდა შევეცადოთ ისე ვიბრძოლოთ, სახუმარო მდგომარეობაში ჩაცვივდნენ ჩვენი ქვეყნის მტრები... აბა თქვენ იცით ჩვენო ქოჩორა ბიჭებო, ხომ გაგიგონიათ: წყალი წავა და ქვიშა დარჩება, ფული წავა და ქისა დარჩება, კაცი წავა და სახელი დარჩება. მალე ჩვენ ბებრებიც მოგყვებით. ეგებ გამართლდეს ანდაზა: ბებერი ხარის რქაცა ხნავსო. ახლა მოგაგონებთ ჩვენი ხალხის საყვარელ ლექსს:

„მთაში გაზრდილო ვაჟკაცო,
ხმალს როდი მოგიშივდება,
ომში შეხვალ და გამოხვალ,
გული არ შეგიშინდება“.

იგრიალა ერთობლივმა ტაშმა.

ბოლოს ტრიბუნაზე ავიდა პროფესორი კორინთელი და სთქვა:

„ამხანაგებო, ძმებო, დებო, მე ლაპარაკი არ მემარჯვება. აღარც დროა საამისოდ. ერთი არაბული ანდაზა გამიგონია: გრძელი თოკია კარგი, ხოლო სიტყვა — მოკლე.

ჩვენი ქვეყანა განსაცდელშია, ამიტომაც უდიდეს დაძაბვას ძალებისას

მოითხოვს იგი ჩვენგან როგორც ბრძოლის ველებზე, ისე შინ, ქარხნებსა და ფაბრიკებში, კოლმეურნეობათა ფართობებზე.

კახელებო, თუშებო, ფშაველებო და ხევსურებო, კახეთი საქართველოს მოწინავე პოსტი იყო მუდამ. ეს თქვენი შორეული წინაპრები, თქვენი პაპის პაპები ეკვეთებოდნენ პირველნი აღმოსავლეთიდან შემოჭრილ ბარბაროსებს.

თქვენ შვილთა შვილისშვილები ხართ ამ მამაცი მეომრებისა, ვინც ბაგრატ მეოთხის, დავით აღმაშენებლის, გიორგი ბრწყინვალისა და საქართველოს უკანასკნელი ლომის — ერეკლე მეფის დროშებს ქვეშ იბრძოდნენ.

ომში მიმავალნო ვაჟკაცებო, ძმებო, მუდამ გახსოვდეთ, რომ ჩვენ ქართველები კავკასიის მეკარეები ვიყავით, ვართ და ვიქნებით მუდამ. ჩვენი ხალხის გმირული ბრძოლების ამბავი ჯერაც ახსოვთ ყარსის, ბაიბურთის და არზრუმის შელეწილ ციხეებს. ისიც გახსოვდეთ ძმებო, ყველაზე სასტიკი ბრძოლის ველი ეს ჩვეულებრივი საწოლია, რამდენადაც კაცობრიობის სამ მეოთხედს საკუთარ ლოგინზე უხდება სიკვდილი.

ახლა თქვენი ვალია დასავლეთიდან მოვლენილ ცივილიზებულ ბარბაროსებს ისე მამაცურად შეებრძოლოთ, როგორც აღმოსავლეთელების წინააღმდეგ უქნია ჩვენს წინაპრებს".

მთვარე უკვე გამოსულიყო ღრუბლების მორევიდან, როცა მანქანებზე მოეწყვნენ ომში მიმავალნი. კორინთელი და ნიორთავა დიდხანს ისხდნენ ხმის ამოუღებლად ბერმუხის ქვეშ და ნაღვლიანად გასცქეროდნენ ალაზნისაკენ მიმავალ დაცალიერებულ გზას...

პანტოლმიმის დასასრული

მიტინგიდან შინმიბრუნებულს, ძია ნიკო დაუხვდა კორინთელს. იგიც საკმაოდ აღელვებული სჩანდა, მაგრამ მაინც სცდილობდა ეს მღელვარება არ შეემჩნია როგორმე. თავდახრილი იჯდა სავარძელში ძია ნიკო და ამბობდა:

„ამ განსაცდელის ჟამს, ისე მოგვენატრეთ მე და მამიდაშენს, სამსახურიდან გამოვიპარე. ხო იცი ასეთ დროს გინდა შენ უახლოეს ადამიანთან იყვე, გევედრება მამიდა შენი, ერთი ორი დღით მოგვეჩვენეო თელავში. ჩვენ ყველაზე მეტად ის გვაწუხებს ვახტანგ, ასეთ საშინელ დროს არეული რომა გაქვს ოჯახი.

ოდესღაც, სადღაც ამომიკითხავს ერთი ჭკვიანი კაცის ნათქვამი: ჩემი ოჯახი ჩემი ციხე-კოშკიაო.

თუ ადამიანს ეს ციხე მაგარი აქვს, იგი გარედაც კარგად იბრძოლებს. ახლა ჩვენ ყველას დიდი სულიერი მხნეობა გვმართებს ვახტანგ, რა თქმა უნდა, ეს შენ ჩემგან არ გესწავლება".

„იგიც უთქვამს, ძია ნიკო, ქართველ ხალხს, ციხე შიგნიდან გატყდებაო და ჩემდა ბედად გატეხილი ციხის პატრონი ეს მე ვარ. შენ რომ გუშინწინ მოგესმინა იმ წყეული ვარას და საცოდავი მაიას დიალოგი, უთუოდ აღშფოთდებოდი, საერთოდ გულდინჯი ვაჟკაცი. ხომ ხედავ რამდენ რამეს ვიტანთ".

„საერთოდ გამოტეხილად უნდა გითხრა ვახტანგ, ამჯერად ჩემი ჩამოსვლის ერთადერთი მიზანია, ეს გითხრა. ისეთი განსაცდელით სავსე ცხოვრება ჩამოდგა, ახლა უკვე ყოყმანის დრო აღარაა ვგონებ არც იმის მტკიცება დამჭირდება, რომ მე და მამიდაშენი უახლოესი ადამიანები ვართ შენთვის, რა თქმა უნდა".

„განა მარტო უახლოესი? უძვირფასესიცა, — ძია ნიკო, ვგონებ".

„თუ ეს აგრეა ვახტანგ, ნება უნდა მომცე ამ საღამოს სავსებით გულახდილი ვიყვე, რა სათქმელია".

დიდხანს ილაპარაკა ნიკო მირიანიშვილმა იგავური ენით თუხთუხებდა, ღელავდა, ქშინავდა, ენა უბორძიკებდა, გულით ეწადა შესაძლებლად თავაზია-

ნი ფორმა მოეძებნა სათქმელისათვის, მაგრამ ამას ვერ ახერხებდა, მიადგებოდა სათქმელს და ისევ უკან იხევდა, ანდაზებს იშველიებდა, და წარამარა იმეორებდა: „რა სათქმელია“, „რა თქმა უნდა“.

ბოლოს ვახტანგი მიხვდა რისი თქმაც ეწადა მოხუცს.

„თავისთავად ცხადია ძია ნიკო, გულახდილობა არა მარტო ამშვენებს მას, ვინც ასეთ ნიჭს იჩენს, იგი შველის მათაც, ვის მიმართაც გულახდილობას იჩენენ. რუსთაველი მოვიგონოთ: სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა მერმე სულსა. გენიოსურადაა ნათქვამი არა?

ძველი საზოგადოება იმიტომაც დაიშალა ჩვენში და იღუპება იქაც სადაც იგი კიდევ შერჩენილა, რომ მთელი ცხოვრება ამ საზოგადოებისა სიცრუესა და ფლიდობას ემყარებოდა.

ერთმა დიდმა კაცმა ურჩია თავის ეპოქის ადამიანებს: როცა შინიდან გადიხართ, გულისკლიტენი შინ დასტოვეთო. ერთი საუკუნის შემდეგ აგრეთვე დიდმა გულმეცნიერმა, რომელიც ზედმიწევნით იცნობდა ბურჟუაზიულ საზოგადოებას, თამამად განაცხადა:

„ჩვენს თანადროულ საზოგადოებას ერთი და უმთავრესი ბურჯი აქვს შედგმული, ეგ არის სიცრუე“.

მე დავსძენდი: დღეს ეს ბურჯი რომ გამოაცალო მას, დაინგრევიან ოჯახები, აიშლებიან ნათესავები და მეგობრები.

რაიცა შეეხება ნათესავებს, მე ამის გამო ჩემი პირადი შეხედულება მაქვს, რომელიც ღმერთმა იცოდეს არც ერთი დიდი მწერლისგან არ მისესხნია. ნათესავობა გადმონაშთია გვაროვნული წყობილებისა, რომელსაც მე მაინცდამაინც დიდად არ ვაფასებ.

როცა ჩვენი ცხოვრება კერძო საკუთრებას ემყარებოდა, ეს ინსტიტუტი მიუცილებელიც იყო ეგების, ახლა იგი დრომოჭმული რუდიმენტია, რამდენადაც ხანდახან არანათესავი უფრო მახლობელია შენთვის, მსოფლმხედველობისა და სულის ერთგვარობის მეოხებითა, ვიდრე ათასი ნათესავი.

მე მრავალი ნათესავი მყავს, რომელთაც შეგნებულად არა ვხვდები. შენ და მამიდა ჩემი მარტო ნათესავები როდი ხართ ჩემი, არამედ უძვირფასესი მეგობრებიცა, ამიტომაც შენ არ დაგჭირდება მობოდიშება და მოიარებით ჩემთან საუბარი, არა?“.

„რაკი ეს აგრეა, მე პირდაპირ გეტყვი ვახტანგ, ცხოველისა და ადამიანის სკელეტში ყველაზე მეტად მცირე მოცულობისა, თითქოს არც ისე მნიშვნელოვანი ძვალთა სისტემაში, ეს კბილია.

მოგეხსენება გასათხოვარ ქალსა და გასაყიდელ ცხენს ყველაზე ადრე კბილებს უსინჯავენ მათი მუშტრები.

სიბერე და სიკვდილი უპირველეს ყოვლისა ჩვენს პირის ღრუში შემოიჭრებიან ხოლმე და კბილებს შემუსრავენ.

ხომ ეგზომ საჭიროა და სანუკველი კბილი, მაგრამ როცა იგი დაჩირქდება და შეგვაწუხებს ჩვენ ძალით ამოვიგლეჯთ ხოლმე მას. ერთხელ მთა-თუშეთში ყოფნისას ნაშუალამევს ისე შემაწუხა კბილმა, ისეთი ჯოჯოხეთური ტკივილები მომაყენა, ალბათ დამცინებ, ჩემი სანადირო ბებუთი ჩავიყავი პირში და ორი კბილი მივლეწე. მე ასე თუ ისე მედიცინა შემისწავლია და წარმომიდგენია რა ბარბაროსული საქციელი ჩავიდინე, არა?“ ვახტანგმა გაიღიმა და სთქვა:

„ძია ნიკო, შენი იგავების გარეშეც, ჩემთვის ყოველივე ნათელია, საქმე ისაა, ის რისი თქმაც შენ გეძნელება, ჩემში უკვე მომწიფებულია. მე საკმაოდ გულფიცხი ვარ, მაგრამ სერიოზულ ამბებს დიდხანს ვწონავ და ვზომავ და თუ რაიმე გადაწყვეტილებას დავადექი, იქ უკვე ყოყმანი და ჭოჭმანი არ დამჭირდება არამც და არამც“.

„მაშ პირდაპირ უნდა გითხრა არა?“.

ამის თქმა მოასწრო ნიკომ და ვარამ შემოაღო კარი. კორინთელი გაოცდა, რადგან ამ შემთხვევის გარდა საკმაოდ თავხედ „ბიძია ვარას“, არასოდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუკაკუნებლად არ შემოუღია კარი იმ ოთახისა, რომელიც კორინთელისათვის კაბინეტიც იყო და საწოლიცა“.

ვახტანგი აიმღვრა, ხოლო ძია ნიკო სახტად დარჩა. ქალთა სქესის მიმართ მუდამ გალანტური ნიკო ჯერ უძრავად იჯდა, მერმე საკმაოდ მტრული მზერა ესროლა კარის ჩარჩოებში გახიდულს.

„ბატონებო, მედიკო გთხოვთ, ერთად ვივახშმოთ, ძაიამ სანაქებო ხაჭაპურები დაიცხო, საუკეთესო ტოლმა გვაქვს ვაზის ფოთოლში მოშუშული, რაც ასე უყვარს ჩემს ძვირფას სიძეს. ეე ვუ ზანპრი“ [1]. დასძინა ფრანგულად.

ნიკომ თავი ჩაღუნა, კორინთელი წამოდგა და უთხრა ახლადმოსულს:

„ჯერ მე რამდენიმე სიტყვა გითხრათ ქალბატონო, დაბრძანდით. კარგია, ძია ნიკოც აქ რომ ბრძანდება“.

ვარა გახევდა და გადაფითრდა, უსიტყვოდ დაემორჩილა მასპინძლის მიერ საკმაოდ კატეგორიულად ნათქვამს და სკამს წაეპოტინა. კორინთელმა იატაკს დახედა და სთქვა:

„მე რა თქმა უნდა, დიდად გმადლობთ, აგრე გულუხვ გამასპინძლებას რომ მპირდებით ჩემს სახლში. ერთი რამ მაკვირვებს ოღონდ, ეს რამდენი თვეა უკვე წარამარა მეპატიჟებით და ვერ ამჩნევთ, მე მუდამ რომ გავურბივარ თქვენთან სიახლოეს, მით უფრო ჭამას. განა მარტო თქვენთან, თქვენ დისწულთანაც“.

ვარამ წარბები აიწკიპა და ნიუგო:

„ჩემი დისწულიო რასა ბრძანებ მონ შერ ჟანდრ, ჩემი დისწული უწინარეს ყოვლისა კანონიერი მეუღლეა თქვენი“.

„აბა მე უნდა მოგახსენოთ ერთი ახალი ამბავი: დიდი ხანია რაც თქვენ დისწულს კანონიერ მეუღლედ არა ვთვლი და თქვენც ამაოდ მიწოდებთ წარამარა „ძვირფას სიძეს“, ფრანგულად. ალბათ ისიც ცხადია თქვენთვის, თუ ვინმეს თქვენი სიძეობა არა სურს, მას ფრანგულად კი არა, სანსკრიტულადაც რომ სიძე შეარქვა, იგი მაინც ვერ გახდება თქვენი სიძე, ხომა?“.

ვარა უკვე მაგრად შეცფუხდა, მაგრამ მაინც არ იმჩნევდა ამას:

„რასა ბრძანებთ, მუსიო კორინთელი, მე ასეთი ამბავი პირველად მესმის.

მე არ ვიცი თქვენ რა მოგეჩვენათ, ამდენ ხანსაც გაკვირვებული ვიყავი, მუდამ ამრეზილი რომ მიყურებდით, მე ამას თქვენს უგუნებობას, მივაწერდი ღამის მუშაობით გამოწვეულს.

ასეთი მკაცრი სიტყვების საბაბი არც ჩემს დისწულს და მით უმეტეს მე არასოდეს მოგვიცია თქვენთვის“.

„იცით ქალბატონო ვარა, მე მგონია უკვე დროა დასასრული მივცეთ ამ კურიოზულ პანტომიმას [1], რომლის მთავარი გმირები ვართ, თქვენი დისწული, თქვენ და თქვენი უმორჩილესი მონა — ვახტანგ კორინთელი. ახლა მაინც დაბეჯითებით იცოდეთ, მე არ გახლავართ თქვენი სიძე, თქვენთვის ძვირფასი სიძე, პარიზში ბრძანდება იტალიური მოგზაურობიდან მშვიდობით შინმიბრუნებული.

ვინძლო თქვენ და მედიკო მას ვერ მისწვდეთ, გასაგები მიზეზების გამო, სასიძოებს აქაც ბევრს იშოვნით, რამდენადაც თქვენი დისწული, როგორც თქვენ ამტკიცებთ, ცისფერ სისხლიანი ლამაზმანია. თუ არა ვცდები, თქვენ უკვე გყავთ ერთ-ერთი კანდიდატი, რომელსაც ცალი მხრიდან მაინც მოეპოვება თავადური სისხლი“.

„რასა ბრძანებთ მუსიო კორინთელი. მუსიო მარკუტიეს იტალიური მოგზაურობაო? ეს ამბავი პირველად მესმის“.

„თუ თქვენ ეს გადაგავიწყდათ, მოსძებნეთ თქვენს ალბომებში ის ფოტოსურათები, რომელიც ერთი თვის წინად პარიზიდან გამოგიგზავნათ, თქვენმა დამ, ეფემიამ“.

ვარა აილეწა.

„რომელი ფოტოსურათები? ვინ მი-

[1] გთხოვთ.

[1] პ ა ნ ტ ო მ ი მ ა (ბერძ. „პანტომიმოს“) ჟესტიკულირების საშუალებით უსიტყვოდ, მუნჯურად მობაძვა, დრამატული პიესა უსიტყვოდ წარმოებული.

ილო, ვინ ნახა? ვინ მოჭორა ასეთი გაუგონარი ამბები?“.

ძია ნიკომ თავი ასწია, ჯერ მოღუშული მზერა ესროლა ვარას და საკმაოდ ხმამაღლა უთხრა:

„იცით ქალბატონო, უნდა გამოგიტყდეთ, ამ საქმის გამორკვევაში მე მიმიძღვის ჩემდა უნებურად ბრალი. მე გავხსენი პირველად სავსებით შეგნებულად ის პაკეტი, რომელშიაც ეფემიას წერილი და შარკუტიეს ფოტოსურათები იყო და მევე გამოგიგზავნეთ იცით ვისი ხელით?“.

„ვისი ხელით, როდის?“.

„შოფერის ანდროს ხელით“.

„აფსუს, ის შოფერი რომ ფრონტზეა წასული, თორემ სიმართლე ახლავე გამოირკვევოდა“.

კორინთელმა მწარედ გაიღიმა და სთქვა:

„იცით ქალბატონო, მე უნდა დაგამშვიდოთ, ანდროს ფილტვების ანთება ჰქონდა და მხოლოდ ზეგ მიჰყავთ ფრონტზე, თუ თქვენ ასეთ უტიფრობას არ მოიშლით, მე ახლავე გამოვიძახებ და პირში წაგაყენებთ ჩემს შოფერყოფილს“.

ვარა გაშრა.

ახლა ნიკო მირიანიშვილმა, რომელიც აქამდის თავჩაქინდრული იჯდა, მზერა გაუსწორა წვეროსან დიაცს და უთხრა:

„იცით ქალბატონო, მე სამოცდაათი წელი ისე ვიცხოვრე ამ ქვეყნად, არც სხვისი პაკეტი გამიხსნია და არც სხვათა ჩურჩულისთვის დამიგდია შეგნებულად ყური. მე შემთხვევით ვისვენებდი ნაქეიფარი ჩემს ბაღში, იმ საბედისწერო ღამეს, როცა თქვენ არც მთლად ჭკვიანურ შეგონებებს უჩიჩინებდით მედიკოს.

მე ყველაფერი შევისმინე, გარდა რამდენიმე ფრანგული ფრაზისა, რომელსაც თქვენ და მედიკო მორიგეობით წამოისროდით ხოლმე. ამ საუბრის შინაარსი მე დავუმალე ვახტანგს, მე ძველი მორალის კაცი ვარ და ერთგვარი სიმხდალეც გამომაჩნდა ამ შემთხვევაში.

სამაგიეროდ ის პაკეტი მე გავხსენი და გადავეცი ვახტანგს. მე ვფიქრობ სხვაგვარად არ შემეძლო მოვქცეულიყავ. ახლა როგორც ჰხედავთ, ყველაფერი ნათელია ჩვენთვის“. ესა სთქვა და ვახტანგს გადახედა ნიკომ.

ვარა ზეწამოიჭრა, მაგრამ კორინთელმა მიაძახა, კარისკენ მიმავალს.

„კიდევ სამიოდე წუთი მოიცადეთ. შესაძლოა მე კიდევ ერთ ხანს მყოფნოდა მოთმინება თქვენი და თქვენი დისწულის ოინბაზობის ატანისა, მაგრამ ამ ფარსის დასასრული დააჩქარა თქვენმა უტაქტო დიალოგმა საცოდავ მაიასთან ამ დილას გამართულმა“.

„უნდა მოგახსენოთ, ბატონებო, ეს ყოველივე თითიდან გამოწოვილი ამბებია, მე თქვენ გარწმუნებთ“, ფრანგულად ჩაილაპარაკა ვარამ და კარისკენ გაემართა საკმაოდ წელში მოდრეკილი.

ვაზის ტირილი

„სტიროდნენ თუშის ქალები,
არ მოგვივიდნენ ქმარები“...

ახალგაზრდების ფრონტზე წასვლა სულ მალე დაეტყო კოლმეურნეობას. გეგმები შეუსრულებელი რჩებოდნენ. თოხები, ბარები და ცულები ქალებს შერჩათ ხელში. ურმებს ქალები უძღოდნენ, ტვირთს ისინი ეზიდებოდნენ, ქალები ხნავდნენ და ქალები სთესავდნენ, როგორც ამორძალების მითიურ სამყაროში.

არაშენდა-გველეთში მუშაობა შესწყდა, საბჭოური მეურნეობისათვის განკუთვნილი სამუშაონი დააკონსერვეს, იგივე მოუვიდა მშენებლობას იმ არხისას, რომელსაც ალაზანს გადაღმელ ურწყულ მიწებისათვის უნდა მიეწოდებინა წყალი, უკვე აღარ მოჰქონდათ თბილისიდან სტანდარტული სახლები არც ახალმოსახლენი მოჰყავდათ, სა-

ბავშვო ბაგის მშენებლობაც ველარ მოათავეს.

მ. ტ. ს. მანქანებსა და ტრაქტორებზე ქალები შესვეს.

ფრონტებიდან მხოლოდ კანტიკუნტად თუ ვინმეს მოუვიდოდა წერილი, ნუნუ როგორც კი ყურს მოჰკრავდა ასეთ რამეს, უთუოდ გამოსძებნიდა იმ ოჯახს, გამოჰკითხავდა: გოდერძის გამო ხომ არაფერი მოუწერიაო?

ბოლოს ზედიზედ მოვიდა ბერმუხაში ამბავი: ფაშისტების სატანკო ერთეულთან შეტაკებაში მოჰკლეს ტანკისტი ხელაანთ ვანო კერჩში, ავტომატით დაცხრილეს კორინთელის შოფერი ანდრო, რომელმაც ცხრა ტყვიას გაუძლო, ბოლოს ხელბომბით ააფეთქა ფაშისტების ბლინდაჟი.

ბერმუხელი ქალები მოუთმენლად მოელოდნენ ფოსტალიონის, გეოს გამოჩენას.

პირველი მსოფლიო ომის ინვალიდს, ცალი თვალი ტყვიისაგან ჰქონდა დავსილი გეოს. ამპუტირებულ მარჯვენა ფეხზე ტყავის ქოშიანი პროტეზი ჰქონდა. ორმოცდაათ წელს მიბჯენილ ნაომარ კაცს მაყვლისფერი თმაწვერი შემორჩენოდა, ცხენისებრ გრძელ თავზე თუშური ქუდი ეხურა, მუდამ შავი ბლუზა ეცვა საკინძე გაღეღილი.

ნიადაგ მწყემსური კომბალი ეჭირა ხელში, რადგან ძაღლები რატომღაც მტრობდნენ, ამ წვერგაბურძგვნილ, როხროხა გოლიათს.

მიადგებოდა რომელიმე ეზოს, დაიძახებდა თუ არა წერილის მიმღების სახელსა და გვარს, გამოენთებოდნენ მყეფარები.

ისინი, ვისაც დაჯილდოებისა და კარგად ყოფნის მაუწყებელ ბარათებს მოუტანდა გეო, სასტიკად დატუქსავდნენ, ზოგჯერ პურმარილზედაც მიიწვევდენ გეოს. მაგრამ ხანდახან ისიც ხდებოდა, მთელი ოჯახი აზრიალდებოდა, დიდი და მცირე მოთქმით გაერთობოდა, ვისღა ახსოვდა მაშინ ავისმაცნე ფოსტალიონი.

სწორედ ასეთ დროს გაიმართებოდა ხოლმე ბრძოლა კომბალშემართულ გეოსა და უბნის ძაღლებს შორის.

ომის დაწყების პირველ თვეებში კანტი კუნტად მოჰქონდა გეოს ცუდი ამბავი სოფელში. ამ უკანასკნელ ხანს გეომ უკვე ზედიზედ მოიტანა სამკუთხედად დაკეცილი, უმარკო წერილები, მათ ხელს აწერდა პოლკის უფროსი, რომელიც აუწყებდა ჭირისუფალთ ომში დაღუპულთა და უკვალოდ დაკარგულთა შესახებ.

როცა ერთეულები ათეულებმა შესცვალეს, ხოლო ათეულები ასეულებმა, გამოჩნდებოდა თუ არა სერზე ცალთვალა გეო, დედებს, ცოლებსა და დებს სისხლი ეყინებოდათ ძარღვებში, არვინ იცოდა თუ ვისი სიკვდილის ცნობა მოჰქონდა ფოსტალიონს თავისი შავი ჩანთით. ინდოურის მთაზე ფაშისტური ძოტების დაბომბვისას მოჰკლეს კოლმეურნეობის მოანგარიშეყოფილი ტანკისტი ავთანდილ ტარკოშაიძე, მევენახეყოფილი არტილერისტი ბლიაძე, საცხენე ფერმის გამგეყოფილი — სერჟანტი კოპეშავიძე, მეღვინე მახათაძე, მოლარე კვირიკაშვილი, ბუხჰალტერი — კევრიშვილი.

აგვისტოს პირველი კვირის განმავლობაში მოიტანა გეომ ოცდაჩვიდმეტი ბერმუხელი და ოცი გველეთელი მეომრის მოკვლის, დაჭრის და ლაზარეთებში, ოპერაციის დროს გარდაცვლილების ამბავი.

გეო ნიადაგ მთვრალი იყო, რადგან მარტოოდენ მოკლულთა და უკვალოდ დაკარგულთა ამბებს როდი აუწყებდა იგი ჭირისუფლებს. საამური ამბის მოტანისათვის ვინ არ შეასმევდა მას ღვინოს.

ბერმუხელთა შორის ყველაზე უკანასკნელად ნიორთავა წავიდა ფრონტზე.

ნუნუმ საგანგებოდ სთხოვა ნიორთავას გოდერძის გამო თუ სადმე რაიმეს ყური მოჰკრა, წამსვე მომწერეო. ეს იყო შემოდგომის დამდეგს. ნიორთავამ

მტკიცე პირობა მისცა. რამდენიმე თვე კავიდა და არც მისგან ისმოდა ბაიბური ამდენ ხანს.

ერთხელ თეთროს წამოსცდა: ფრონტიდან წერილი მომივიდაო. უნდოდა ეთქვა გოდერძის მსუბუქად დაჭრის ამბავი, მაგრამ თავი შეიკავა, ენის წვერზე დაიჭირა სათქმელი და წაიბუტბუტა: „აგრე იწერება კარგად არისო გოდერძი“.

კოლმეურნეობის აქტიური ბრიგადირის, ნუნუს წარმატებანი დიახაც შეზღუდა პატარა მიქელას დაბადებამ. უჯირაულთა გვარის უხუცესები ყალყზე შესდგნენ, განსაკუთრებით აბრია, ლუო და უთი.

გზაჯვარედინებზე ამას გაყვიროდნენ. ნუნუმ თავი მოგვჭრა ბუში ეყოლაო. მხოლოდ ფოცხვერი არ იზიარებდა დანარჩენი ძმების აღშფოთებას. რა მოხდა მერმე? ომში მიმავალმა ვაჟკაცმა ხელისმოწერა ვერ მოასწრო, ჩამოვა და ხელს მოაწერსო.

ქეთუა მოშაინობდა: ხომ არ მომეშველეთ როცა კობერიძეზე გათხოვება დავუპირე ნუნუს, ახლა თავათ იგემეთო ეს სამარცხვინო ამბავი.

საერთოდ ყველანი, ვისაც გოდერძი სძულდა, მტრულად შეხვდნენ პატარა მიქელას ამქვეყნად მოსვლას.

გაავებული ბრდღვინავდა აბრია-ავსიტყვა: უშვერად ლანძღავდა ნუნუს. „კახპას“, „გვარის შემრცხვენელს“ უწოდებდა მას.

ამ საქციელის საფანელიც გოდერძისადმი სიძულვილი იყო. აბრია და მისი არიფები ანგარიშში მოსტყუვდნენ, მათ აგრე ეგონათ, მთავრობა ომშია გახვეული, ჩვენთვის ვინ მოიცლისო ახლა, მაგრამ სწორედ 23 ივნისს აბრია პროკურორმა ხიდაშელმა დაიბარა. როცა ხიდაშელი შეეკითხა ბრიგადირს ვარდოსანიძეს, თუ იცნობო? მან კატეგორიული უარი სთქვა. როცა ვარდოსანიძე საავადმყოფოდან გამოიყვანეს და პირში წაუყენეს, აბრია გაშრა, დაიბნა და ესღა წაილუღლუღა: ამ კაცს კი ვიცნობ, მაგრამ მისი გვარი არ ვიცოდიო.

პროკურატურას სიგნალები ჰქონდა რომ აბრია უჯირაულს ნაბუშარი ბატკნებისა და კოლმეურნეობის ფარებიდან მოწყვეტილი არა ერთი ნოტო გაუყიდია. გაყიდვაში სხვებიც შველოდნენ, ვიღაც ვიღაცეები ამ მიტაცებულ ცხვრებს ჰკლავდნენ და მანქანებით აგზავნიდნენ თბილისში.

აბრია ჯერ „მაგრად“ იყო, „არ ვიცი“, „არ მინახამს“, „არავის ვიცნობო“ ამტკიცებდა.

პროკურორი დაემუქრა: თუ შენ არ დაგვისახელებ იმ პირებს, ვისაც შენ კოლმეურნეობის ფერმიდან გაყიდულ ცხვრების საფასს უზიარებდი, უეჭველად დაგაპატიმრებთო.

ვარდოსანიძეს გული შეუწუხდა დაკითხვისას, რადგან იგი ჯერაც განკურნებული არ იყო, აბრია შინ გამოისტუმრეს, ახლა მისი ერთადერთი იმედი იყო: ეგებ მოკვდესო ვარდოსანიძე.

აბრიამ კარგად იცოდა ეს საქმე გოდერძის თაოსნობით რომ გადაეცა პროკურატურას, გოდერძი შორს იყო, ახლა მან თავისი სიძულვილი გოდერძის ცოლ-შვილზე გადაიტანა. მის გულში სდუღდა შურისძიების ველური გრძნობა...

*
* *

როცა ნუნუს ვაჟი შეეძინა, პაპა მიქელა ცას ეწია სიხარულისაგან. უმთავრესად იმიტომ, რომ გოდერძის შვილს მოესწრო. იგიც ფრიად ახარებდა სიკვდილის ზღურბლთან მიღწეულს, რომ მისი სახელი და გვარი არ ჩაჰქრებოდა მის სიკვდილთან ერთად.

საბავშვო ბაგისათვის განკუთვნილი სახლის ვერ მოთავებამ განსაკუთრებით დააღონა ნუნუ. იგი იძულებული იყო პატარა მიქელა თავქარიანი მარუას და ბნედიანი მალხაზის ამარა დაეტოვებინა.

როგორც კი მოახელებდა ოდნავ თავისუფალ დროს, გულგახეთქილი შინ მოვარდებოდა ნუნუ, ძუძუს მოაწოვებდა პატარას და დამდუღრულსავით გარბოდა სამუშაოდ.

მარუა ჰხედავდა მის იქით გზა არა ჰქონდა ნუნუს ამიტომაც წარამარა წუწუნებდა, გასამრჯელოს მომატებასა სთხოვდა.

უშვერიძის ზედსიძედ შემოსვლამ მთლად არია ნუნუს ოჯახი. თავდაპირველად ნუნუს იმედი ჰქონდა ფრონტზე გაიწვევენო უშვერიძეს, მაგრამ ამ უკანასკნელს თიაქარი აღმოაჩნდა და ამის მეოხებით შინ დარჩა.

ნუნუ იძულებული გახდა ბავშვიანად შრამელში გადასახლებულიყო და ახლადშეუღლებულთათვის დაეთმო ერთადერთი ოთახი. შრამელს სიფრიფანა კედლები ჰქონდა, ამიტომაც წარამარა ცივდებოდა პატარა მიქელა.

ქეთუა და მისი ქმარი დღენიადაგ ჩხუბობდნენ, უშვერიძე ყოველ შაბათს მთვრალი მოდიოდა შინ, ხანაც გალეშილ ძმაკაცებსაც თან მოიყვანდა, სტუმრები ჭიშკრამდისაც არ იქნებოდნენ მისული, ცოლქმარს შორის იწყებოდა თავპირის მტვრევა და თეფშების სროლა.

უსიამოვნებათა მთავარი მიზეზი გობრონისეულ სახლკარის გაყიდვისა და თბილისს გადაბარგების საკითხი იყო. ამ შფოთს ასაზრდოებდა არა მარტო ქეთუას გამუდმებული ნატვრა თბილისში საცხოვრებლად გადასვლისა არამედ ის გარემოებაც, რომ უშვერიძის თელაველი ცოლი ნამეტნავად აგრესიული გახდა, იგი ყოველ კვირას ჩამოუვლიდა ქმარყოფილს, ემუქრებოდა ქეძაფის გადასხმას და სხვა ამგვარ „სასიამოვნო ამბებს“.

რა კი თბილისელი ცოლი უფრო მომთმენიანი აღმოჩნდა, ამიტომაც ქალაქს გადაბარგებას მიესწრაფოდა უშვერიძე.

სახლკარის მყიდველი არავინ სჩანდა, ეგეც არ იყოს, არც ის ამბავი მოსჩანდა იოლ საქმედ, რომ კოლმეურნეობის წარჩინებული ბრიგადირი, ისიც ბავშვიანი, ასე ხელაღებით რომ გაეყვანათ მამისეულ სახლიდან.

უშვერიძე არ იზიარებდა ქეთუას შიშს, იგი იმედს არა ჰკარგავდა რომ გამუდმებული სკანდალები და შევიწროება ნუნუს ბოლოს და ბოლოს აიძულებდნენ გოდერძის პაპის ოჯახს შეხიზვნოდა.

ქეთუას ნუნუზე უფრო მეტად სძაგდა გოდერძი. მას ომში წასულისათვისაც ვერ ეპატიებინა რომ გოდერძის კოლმეურნეობის ფართობზე გაჰყავდა „ავადმყოფი“ ქალი.

ეს ცხოველური სიძულვილი ქეთუამაც პატარა მიქელაზე გადაიტანა. მუდამ ამას ამტკიცებდა ქეთუა: პირწავარდნილი გოდერძიაო ეს ბავშვი. ნუნუს შინ არ ყოფნისას ტირილით რომ სული ამოხდომოდა ჩვილს, ქეთუა ხელს არ წამოსწევდა.

ავად გახდებოდა ბალღი, სწყევლიდა, ნატრობდა: ეგებ უწიოსო სიკვდილმა.

ერთ საღამოს ასეთი ამბავი მოხდა: რძის შემოსატანად გარედ გასულ მარუას ტახტზე მიეგდო პატარა მიქელა. შიმშილისაგან გააფთრებული ტახი შრამელში შემოვარდნილიყო. შემთხვევით შემოვიდა მალხაზი და ხედავს ტახი ბავშვის გასაგლეჯად მიიწევდა, ხოლო ქეთუა კერასთან იჯდა და ცომსა ზელდა სრულიად არხეინად.

მალხაზმა ურდული დაუშინა ღორს.

„რას ერჩი, შე გასაქრობო, მაგ ღორს?“ აჩხავლდა ქეთუა.

*
* *

პაპა მიქელას სმენასაც მისწვდა ეს ამბავი თუ როგორ სტანჯავდნენ ნუნუს ქეთუა და მისი ქმარი. ახლა მიქელას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი სულ მოკლე ხანში, მოკეთეების დახმარებით ჩამოეტანა საიდანმე ათასი ცალი კრამიტი, ისიც განაგონი ჰქონდა: მუშახელის ფრონტზე გაწვევის გამო შეწყდაო მუშაობა ყვარლის აგურ-კრამიტის ქარხანაში. მაგრამ სადაცაა ამუშავდებაო ეს ქარხანა.

თუ ეს არ გამართლდა, არწმუნებდა მიქელა ნუნუს, ჩალით მაინც გადავხურავო იმ სამ ოთახს, შენთვისა და გოდერძისათვის განკუთვნილთ.

როცა პატარა მიქელა ავად გახდებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, პაპა მიქელა უზომოდ ღელავდა, ლოგინიდან დგებოდა ჯოხის რაკუნით დადიოდა ოთახში, წარამარა ეკითხებოდა ბაბლიას: ერთი გაიხედე, ნუნუ თუ მოდისო? თუ საღამოს ნუნუს კრებაზე გაიწვევდნენ, ბაბლიას აგზავნიდა ბავშვის ჯანმრთელობის გამოსაკითხავად.

განუზომელად უყვარდა ბავშვი, თავს ინუგეშებდა ბერიკაკი: ეგებ გოდერძი მომიკლეს იმ მხეცებმა ომში, ეს ბალღი მაინც შემარჩინოსო ღმერთმა იმედად და გვარის გამგრძელებლად.

ერთ საღამოს აბრიამ და ფოცხვერიმ მოინახულეს პაპა მიქელა. მასპინძელმა გაუზიარა სტუმრებს თავისი გულისჭირი ამ ვითარებათა გამო:

„დამიბრიყვეს ჩემო აბრია უსინათლო და უბედური, თორემ ამას როგორ გამიბედავდნენ ის ცანცარა ქეთუა და მისი ლოთი ქმარი, აპოხტივით ავკეპავდი მაგ გარეწარებს ხანჯლით.

ქრისტიანები არ არიან, ღმერთი არა სწამთ მაგ ურჯულოებს? მამისეულ ოჯახში რომ არ აყენებენ ჩემს რძალსა და ჩემს შვილის-შვილის-შვილს! ცოტა დამაცადონ მაგ ღმერთძაღლებმა, თათრის ვალს ავიღებ, ამ სახლს გადავხურავ და გადმოვიყვან მაგ საწყლებს...“

აბრია მოღუშული იჯდა, აბოლებდა თავის ჩიბუხს და მდუმარე უსმენდა მიქელას. ერთბაშად ხველება აუტყდა, დიდხანს ახველა, მერმე გასწი-გამოსწია მუხლის თავები, სოხანეზე დაადუჟა და სთქვა:

„ჰე, რა უნდა გითხრა ჩემო მიქელა, მე მაინც მგონია შენ უფრო კარგად უნდა დაუკვირდე ამ საქმეს. ხომ იცი, შენ ჭკვიანი კაცი ხარ, მაგრამ უფრო მეტი სიფრთხილე გმართებს, ვიდრე ჩვენა, რადგან ავათ თუ კარგად, ჩვენ ვისაც თვალები ვერ დაგვივსეს ჯერამც, საკუთარი თვალით ვხედავთ კიდევ ადამიანების ავ-კარგსა.

შენ დღევანდელი ადამიანები ისე მიამიტი და გულმართალი არ გეგონოს, როგორიც გინახამს ხოლმე შენს ჯეელობაში, როცა კაცი კაცსა ჰგავდა და დედაკაცი — დედაკაცს, როცა ვაჟკაცი ნამუსიანად ატარებდა ფაფახს და დიაცი — მანდილს.

ღმერთმა ყოველივე სიკეთე მოგცეს და ხვალ რომ თვალის სინათლე დაგიბრუნდეს მიქელავ, იცოდე, შენ ვეღარ იცნობ ადამიანებს, ისე შესცვალა ამ წყეულმა დრომ კაცი და ქალი.

მე შენს ოჯახურ საქმეებში რა ხელი მაქვს, მაგრამ ერთ რამეს გეტყოდი მიქელავ, გოდერძის კანონიერ ცოლად რომ ნდომოდა ნუნუ, ხელის მოწერასაც მოახერხებდა როგორმე, თუნდაც ომში წასვლის დღეს, არა?“

მიქელამ თავი ჩაჰქინდრა და ხმა არ გაიღო.

ფოცხვერი თავის ძმაზე უფრო წესიერი კაცი იყო, ამიტომაც გული აემღვრა ამ სიტყვების გამგონეს და გაუბედავად წაიდუდუნა: „მე ენგრე მგონია, შენ სცდები აბრიავ, იმ დღეს კორინთელმა მანქანა ათხოვა გოდერძის, ყვარელს წავიდა წინასწარ, მაგრამ მმაჩის გამგე ლოგინად ჩავარდნილი აღმოჩნდა. ამიტომაც გაწბილებული დაბრუნდა, აქეთობას მე წამომიყვანა იმ მანქანითა ყვარლიდან და ეს ამბავი გზაში მიამბო“.

„აბა რეებს როშავ ბიჭავ, შეუღრინა აბრიამ უმცროს ძმას, შენ რა იცი ეს ამბავი მოწყობილი რომ არ იყო! ან ის თუ იცი შვილოსან ეს ჩვენი ნუნუ, ჩვენი გვარის შემარცხვენელი სათრეველა ხასად რომ ჰყავდა გოდერძის?

ეგეცაა: განა მარტო გოდერძი ყვარობდა ნუნუს? ხომ იცი, ჩვენი ბერმუხელი ბიჭების ამბავი, ისინი ულაყებივით დაედებიან ხოლმე ლამაზ ქალებს.

კობერიძე და კანკრეც ხომ ნუნუს გამო დაერიენ ერთმანეთს, მე გავაშველე თორემ ბებუთები მზად ჰქონდათ შვილოსან.

აბა შეეკითხე ქეთუას, თბილისში ყოფნის დროს კინოში თუ არ დაჰყავდა კობერიძეს ნუნუ. შენ დაბერდი და არც კი იცი კინოებში რას უშვრებიან ქალებს.

დიაცის ამბავს ვინ გაიგებს შვილოსან, ისიც დღევანდელი ქალისა, დღე-

ნიადაგ კინოებში, კრებებზე და სათიეებში რომ ხვდებიან მამაკაცს.

უფრო მეტს გეტყვი მიქელავ, ალბათ შენც გექნება განაგონი კანკრეს დაჭრის ამბავი“.

ყური მოვკარიო სთქვა მიქელამ და თავი ჩაჰქინდრა თითქოს მძიმე რამ ტვირთი დაადვესო თავზე.

„ზოგი სულელი ანგრე ფიქრობს, განაგრძო ავსიტყვამ, თითქოს ნუნუ დაეჭრას კანკრე. თვითონ განსაჯე მიქელავ, როდის იყო ხანჯლებს რომ ატრიალებდა ნუნუ. ჰე, ჰე.

თუ სიმართლე გინდა გაიგო, ჩემო მიქელავ, გოდერძიმ მიუსწრო იმ ღამეს კანკრეს და ხანჯლით დასჭრა. მე და ჩემმა ძმებმა მივუსწარით სულთმობრძავს. კანკრეს ნაბადი მოეხადა, ფეხშიშველი იყო და საკინძე გახსნილი.

როცა ჩვენ მივედით, სისხლიანი ხანჯალი კარს უკან ეგდო, იმავე ოთახში, კანკრე იცლებოდა სისხლისგან. გამოვიდა ნუნუ და ჩვენს თვალწინ გასწმინდა ხანჯალი. შენთვისაც ცხადია მიქელავ, ნუნუს რომ დაეჭრა კანკრე, თვითონვე გასწმენდდა თავის დროზე იმ ხანჯალს, როცა ასეთ რამეს ჩაიდენდა, ხომ ნათელია?

გოდერძიმ დასჭრა კანკრე, ხანჯლის გაწმენდა დაავიწყდა და ისე გაიქცა.

მე პროკურორთან დამაბეზღა შენმა გოდერძიმ, მაგრამ შენი ხათრით მე და ჩემმა ძმებმა მივაჩუმათეთ ეს ამბავი, თორემ გოდერძის უეჭველად დაიჭერდნენ“.

ეს უკანასკნელი საუბარი სავსებით მართებულად მიიჩნია მიქელამ, მისთვის ძნელად წარმოსადგენი იყო, რომ ეგზომ სათნო და გულნაზი ნუნუ თუ მოახერხებდა ხანჯლით დაეჭრა ვაჟკაცი, ისიც ისეთი ანგალი, როგორიცაა კანკრე.

აბრიას ისევ აუტყდა ხველება, ბაბლიას მიერ მიწოდებული წყალი მოსვა და განაგრძო:

„ეგეც არ იყოს, მე არა ერთხელ მყამს ის ბალღი ნანახი. ეგეც უნდა გითხრა მიქელავ ჩემო, სავსებით არა ჰგავს იგი გოდერძის...

მე აგრე მგონია და დანარჩენი შეხიცი, სიფრთხილე გმართებს ყოველ შემთხვევაში. ისე გამამაძღლდა ხალხი თვალხილულებს წამწამებს აძრობენ ქუთუთოდან.

გოდერძი მშვიდობით დაგვიბრუნოს ღმერთმა და დიაცების მეტს რას იშოვნის. ჰე, ვინ იცის რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე. არ მესმის სწორედ სხვისი ბუში რად უნდა არჩინო შენა“.

ბაბლიას გული აემღვრა ნუნუს ძაგებისაგან, სხვა ვერავითარი საბუთი მოიტანა და ეს-ღა წაიდუდუნა:

„ჰო, მაგრამ ძია აბრიავ, ეს ბავშვი თუ გოდერძის არ იყო, პაპა ჩემის სახელი რაღად დაარქვა ნუნუმ?“

აბრიამ დამცინავი ღიმილით მიუგო ბაბლიას:

„შენ რა გესმის ბღარო აბა რა ჭკუა აქვს სახელის დარქმევას? აბრია ჩვენი სოფლის ხუცესს ერქვა, მაგრამ მე მღვდლის შვილი, ან შვილიშვილი ხომ არა ვარ.

რა ვიცით, პაპიშენის სახელი ეგებ იმიტომაც დაარქვა თავის ბავშვს ნუნუმ, პაპა მიქელასთვის რომ შეეტყუებინა ბუში“.

პაპა მიქელამ შუბლზე შემოიკრა ხელი და დაიკვნესა: „ვაჲ ჩემს დღეს“...

*

* *

მიქელა გააოცა და დაამწუხრა ამ გაფრთხილებამ. მას ფრიად სათნო ადამიანად ჰყავდა მინიშნებული ნუნუ. ხომ ეგზომ გადატვირთული იყო ეს უბედური ქალი შინ და გარეგ, თითქმის ყოველ საღამოს შემოივლიდა გრდერძისას. თავგამეტებით შველოდა ბაბლიას უსინათლო პაპისა და სულით ავადმყოფი მამიდის მოვლაში.

თვეში ერთხელ თავის დანაზოგს მოუტანდა პაპა მიქელას, ყოველ შაბათს თავათ დაბანდა ხოლმე მოხუცებულს თავსა და ფეხს.

ახალი დარდი გაუჩნდა მიქელას. ყოველ კაცს ამას ეკითხებოდა უსინათლო: მართალი მითხარით თქვე ქრისტიანებო, ჰგავსო თუ არა ჰგავსო პატარა მიქელა გოდერძის?

ცნობილია: ძუძუთა ბალღების თავიანთ მშობლებთან მიმზგავსების ამბავი არც თუ ისე იოლად გამოსარკვევია.

ზოგი არწმუნებდა მიქელას: ნამდვილად ჰგავსო, ხოლო სხვანი ეტყოდნენ ხოლმე: სრულიადაც არა ჰგავსო და ეს ერთობლივი არ აღიარება მგზავსებისა, იქვის გესლს ანთხევდა უსინათლოს გულში. მთავარი ის იყო, მას თავათ არ შეეძლო ამის შემოწმება.

ნუნუმ შეამჩნია კიდევაც რომ პაპა მიქელამ თავისი გულთბილი დამოკიდებულება მისდამი, იძულებული თავაზიანობით შესცვალა, მაგრამ თავს იმითი ინუგეშებდა: ალბათ მე მეჩვენებაო.

ერთხელ ყვარლიდან ჩამოსულებმა აცნობეს ნუნუს: აგურკრამიტის ქარხანა როგორც იქნა აამუშავესო.

ნუნუმ ერთ საღამოს თავისი დანაზოგი შემოურბენია პაპა მიქელას და გახარებულმა ამცნო ეს ამბავი.

მიქელამ ხმაც არ გაიღო. ორივე ხელი წაივლო თმებში და როცა ბაბლია მიეჭრა, მთელი ბღუჯა ჭაღარა გამოაცალა თითებიდან უსინათლოს.

ფული უკან დაუბრუნა მიქელამ ნუნუს. სჯობს ეგ ფული შენს ბავშვს მოახმაროვო უთხრა მშრალად, ისევ დადუმდა და თავისი დავსილი თვალები დააშტერა სოხანეს...

ამ მუნჯურმა სცენამ საბოლოოდ დაარწმუნა ნუნუ, რომ ავისმომთხრობნი აქაც უგებდნენ მას თავიანთ მუხანათურ ხვანჯებს.

უსიტყვოდ გავიდა გარედ და თვალცრემლიანი მიჰყვა მამისეულ სახლისკენ მიმავალ ბნელ შუკას...

*
* *

ნუნუს სულიერ სიმძიმილს კიდევ ერთი ამბავი ზედ დაერთო: მას შემდეგ რაც აბრიამ და მისმა ძმებმა მძიმედ დაჭრილი კანკრე ნაბადში შეეხვეული სადღაც წაიყვანეს, კანკრეს სადაურობის გამო ბაიბური არ ისმოდა.

ეს საქმე როგორც იქნა მიჩქმალეს უჯირაულთა გვარის თავკაცებმა, რადგან კარგად იცოდნენ ნუნუ თავათ არ აღძრავდა საქმეს, ხოლო თვითონ მათ ხელისუფლებისათვის რომ ეცნობებინათ ეს, პროკურორი უცილოდ დაატუსაღებდა კანკრეს, ბოლოს მათაც არ მოაკლდებოდათ სასამართლოში წანწალი.

ნუნუ თავის მხრივ მოერიდა სისხლის სამართლის საქმის აღძვრას კანკრეს მიმართ, რადგან იგი დარწმუნებული იყო, გოდერძი ამჯერად უცილოდ მოჰკლავდა ამ ხელმეორე თავდასხმისათვის კანკრეს და თავათაც თავს დაიღუპავდა, ეგეც არ იყოს, შავსოფლელები ზღაპრულ ამბებს აჰკიდებდნენ ამ თავდასხმას და ეს ყოველივე მაინცდამაინც დიდად სასახელო არ იქნებოდა წესიერი ქალის პრესტიჟისათვის.

ერთხელ ასეთი ხმაც მისწვდა ნუნუს: დაჭრილი კანკრე მთათუშეთში გადახიზნესო აბრიამ და უთიმ. მარუა სულ სხვა რამეს ამტკიცებდა: კანკრე ისე დაასახიჩრა ჭრილობამ, იგი ყავარჯნებით დადისო, ქალაქში. იქადნებაო კიდევაც: როგორც კი ყავარჯნებს გადავაგდებ, ბერმუხას ჩავალ, გოდერძისა და ნუნუს საბოლოო ანგარიშს გავუსწორებო.

ახლა როცა გოდერძი გვერდით აღარ ჰყავდა ნუნუს, მას უკვე სერიოზული შიში ჰქონდა: ვაჲ თუ ერთ მშვენიერ დღეს მომივარდეს თავზე ხელაღებული კანკრე და შური იძიოსო. ამიტომაც ერიდებოდა საღამოობით შინიდან გასვლას. შრამელის კარები გააკეთებინა, ღამღამობით მძიმე ურდულებით ჰკეტავდა მათ.

იმაშიც დარწმუნებული იყო ნუნუ, გახულიგნებული კანკრე კიდევაც რომ მორჩენილიყო, არამც და არამც ფრონტზე არ წავიდოდა.

ერთ საღამოს თედო თარალაშვილი დაიმარტოხელა ნუნუმ და თითქმის

ყველაფერი წვრილად უამბო მას კანკრეს მიერ მოწყობილ თავდასხმისა და მისი დაჭრის გამო. მხოლოდ ერთი დეტალი არ გაუმხილა, სახელდობრ ისა, რომ უჯირაულთა უხუცესებმა ნაბდით შებურვილი კანკრე რომ გადამალეს სადღაც...

თედომ გულდასმით მოუსმინა ნუნუს და უთხრა:

როგორც კი ბერმუხაში გამოჩნდება კანკრე უცილოდ დავაჭერინებო მას. ეგეც იცოდე, ბრალად შენზე თავდასხმას როდი დავუდებ. გოდერძის თავის დროზე ნაამბობი ჰქონდა კანკრეს მიერ ირმის მოკვლის ამბავი, მაგრამ ჩვენ იმედი გვქონდა საბოლოოდ გამოსწორდებაო კანკრე.

არც ეს ამბავი იყო მაინცდამაინც სანუგეშო ნუნუსთვის. მან კარგად იცოდა ეს ყოველივე უარესად გააბოროტებდა აბრიასა და მის ძმებს...

...გოდერძის ფრონტზე წასვლიდან ერთი წელიც არ იყო გასული, ნუნუს სავსებით გაუთეთრდა თმები...

*

* *

ისედაც მცირერიცხოვანი სოფელი დაცალიერდა, დამწუხრდა. აღარ მოისმოდა სიმღერები ალაზნის ველიდან. საქონელი და ცხვარი სულს ღაფავდა ფარეხებსა და ბოსლებში. თითქოს იყნოსესო ვაჟკაცების ომში წასვლა, უცნაურად გაზულუქდა ნადირიც, ტურები შემოეჩვევნენ ვენახებს, დაცუცქდებოდნენ ვაზების ძირში და სძიძგნიდნენ ყურძენს. მთლად უცნაურ ამბავს წაესწრო ცალთვალა გაიოზი. დიდ ვენახში ოთხი მგელი შესულიყო, ისინიც შველოდნენ ტურებს.

ერთი მათგანი მოჰკლა გაიოზმა და სოფელში მოათრია თავათ. მგლის ხროვა ორგზის თავს დაესხა ცხვრის ფარეხებს. კავკასიონიდან ჩამობოტებული დათვები არხეინად დათარეშობდნენ სიმანდებში.

თოვლიანი და სუსხიანი ზამთარი ტირია გაზაფხულმა შესცვალა. მოხშირებულმა წვიმებმა არც ვენახების, საგაზაფხულო ბარვა დააცალა ხალხს, არც გასხვლა, არც შეყელვა.

მაისის ხუთმეტს სუსხიანი ქარწვიმა წამოიწყო, ნაშუადღევს ლეკიმთიდან წამოვიდნენ აფხორილი, შავლეგო ღრუბლები და ზუსტად ბერმუხის თავზე დაბანაკდნენ.

დროულმა კაცებმა მეხის ღრუბლები შეიცვნეს. დიდი და მცირე გულისთრთოლვით შესცქეროდა განრისხებულ ცას. ჯერ იყო და უცნაური ხივილი მოისმა, მერმე წამოვიდა მერეხი, ორ წუთსაც არ გაუვლია ალმასივით ციმციმა სეტყვამ გადაათეთრა მიწა. ხალხს ეგონა ამას გვაკმარებსო ბუნება, ამიტომაც ბრიგადები განაგრძობდნენ ფართობებზე მუშაობას.

ერთბაშად გაისმა ქუხილი, ახლა ცერცვის ოდენა სეტყვა დაუშინა, ვარდებისა და ვაზების ქვეყანას. იგი ყოველ წუთში ძლიერდებოდა, ბოლოს სანერგე ფარდულს მიაშურა ხალხმა.

ყველაზე ბოლოს მოაღწია ცალთვალა გაიოზმა, მას სამ ადგილას დაბეგვილი ჰქონდა კეფა. ჩიტის კვერცხის ოდენაო, ამტკიცებდა გაიოზი.

სანერგე ფარდულიდან ხედავდა ხალხი მელისხევს გადაღმა, სერზე ცხვარს მიერეკებოდნენ მწყემსები, სეტყვა ისე გაძლიერდა, ერთობლივად აბღავლდნენ ცხვრები, მწყემსებმა პანიურ ყვირილი მორთეს. ახლა უკვე მართლაც ჩიტის კვერცხის ოდენა სეტყვა სცვივოდა სანერგე ფარდულის ოლეში.

ადამიანები გულნაღვლიანად შესცქეროდნენ ამ სასტიკ სანახაობას, უმოწყალოდ რეჯგვავდა სეტყვა ეგზომ ხანგრძლივი და თავგამეტებული შრომის ნაყოფს.

როცა მეხის ღრუბელმა ადგილი გადაინაცვლა ცაზე, ნუნუმ და მისმა ბრიგადამ პირველ უბანს მიაშურეს. სეტყვას დაელეწნა არა მარტო ფაფუკი ყლორტები და უსუსური მტევნები, საკმაოდ რქათამამი ვაზებიცა.

ნუნუ გულშემოყრილი დადიოდა მწკრივებში, ყოველ ვაზთან ჩერდებო-

და ათვალიერებდა ყოველ მათგანის წყლულებს. მის ფერხთით ეფარნენ ნატყვიარივით დაფხრეწილი ფოთლები, მომსხვრეული ლერწმები და მტევნების ნამუსრევები.

ნაგვემი ვაზები სტიროდნენ, ნასეტყვარი ჭრილობებისგან იღვრებოდა სითხე. სტიროდა მრავალი ათასი ვაზი ალაზანს გაღმა-გამოღმა იმ დღეს...

და განა მარტო ვაზები?..

*
* *

სამუშაო დღე გათავდა, ნუნუ დიდხანს არ მიბრუნებულა სანერგე ფარდულში, იგი ფეხმორთხმული იჯდა მიწაზე, ორივე პეშვში ჩაებღუჯა თავი და მოსთქვამდა:

„მე უკვე გამითეთრდა თმები, გოდერძი. ოღონდ შენ დაგვიბრუნდი მშვიდობით და მე დამათოვოს ჭაღარამ თავზე. უგულო ბუნებამ დაგვსეტყვა და გააოხრა ჩვენი ნაამაგდარი ვენახი...

მე დავმარტოვდი, გავუბედურდი.

ოღონდ შენ დაგვიბრუნდი მშვიდობით და მე უარესად გამითეთრდეს თმები...“

. . . . . .

ფართობებიდან უკვე წასულნი იყვნენ კოლმეურნენი, როცა უქუდო, თავგაჩეჩილი მოხუცის სილუეტი გამოჩნდა მელისხევისკენ მიმავალ ბილიკზე. იგი წარამარა შესდგებოდა ხოლმე, გულდასმით ათვალიერებდა სეტყვისაგან დარეჯგვილ ვაზებს.

თავისი უხეში ფეხებით სთელავდა მიწაზე დაყრილ ნარტოალებს, ჩამოლეწილ ლერწებს, მტევნებზე შემჭკნარ რტოებს. მიაბოტებდა ახმახი მოხუცი და თავისთვის დუდუნებდა ლოცვას, თუ შელოცვას.

მან გადაიარა მელისხევი, მამუკასეული უბნის ხუთივე სექტორი, ბოლოს მიაღწია იმ ნახიდურამდის, სადაც შარშანწინ ირემი ზედგადაევლო ეკლიან ღობეს.

გადაიხედა ძირს, წყლით გავსილ ხრამში, მერმე გაუხვია მხარმარცხნივ. ნაბიჯი შეანელა, ახლადმოშენებულ ზვარს დაადგა თვალი. ამ ვაზების შეყელვა ვერ მოესწროთ კოლმეურნეებს, ისინი შტამიანად ძირს დაენარცხებინა სეტყვას და ისე უქეიფია, თითქოს კამეჩების ჯოგს გადაუთქერავსო.

გველეთის ჰესისკენ მიმავალ ბეტონის ხიდზე შესდგა ბერიკაცი ერთხელ კიდევ მიხედა განადგურებულ ზვარს და ხიდი გადაიარა.

გველეთის ახალშენში, მას ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს ახალშენის მკვიდრნი გახიზნულანო სადღაც. საექიმო პუნქტის შესავალთან რამდენიმე წითელ ყელსახვევიანი ბავშვი ჩალიჩობდა.

დარაჯმა მათემ მიაძახა მოხუცს: საითკენ გაგიწევიათ ძია აბრიავ? ქვაკაცას კარზე მივდივარო, სალოცავად. მიუგდო პასუხი მკითხავს.

აბრიამ ჩაუარა მამუკასეული სასახლის ნანგრევებს, მერმე ბეეებშელეწილ ტაძარში შეაბოტა, ქორიკოზის ფრესკის წინ დაიჩოქა. დიდხანს უჩუმრად ლოცულობდა. შესცქეროდა ყვითელ თორიან და ყვითელ ღაწვიან ქორიკოზს, დუდუნებდა მისივე სახელით ჩვენს დრომდის მოღწეულ ბნელ სიტყვებს:

...„წყეულიმც იყოს უკუნითი უკუნისამდე ვინც მამუკა ერისთავისეულ მამულში ამიერიდან ბალავარი ჩაჰყაროს, სასახლე, სახლი, ან მარანი ააგოს, წისქვილი, ხულა ან ქოლბაგი დადგას, ბაღი გაიშენოს, იფქლი დათესოს და ვაზი გაახაროს. ეს წყევლა ჩემი ქვაკაცას წ. კარზე წარმოთქმული, ეწიოს მას და მის ნათესავს თაობიდან თაობამდის და წარიხოცოს გასაგისი მისი ვითარცა ჯეჯილი მკალისაგან, ვითარცა ვენახი სეტყვისაგან, ჰამინ“...

ბერმუხასა და შავსოფელს უკვე თავზე გადაფოფრებოდა ღამე.

სტიროდნენ ახალშენი ვაზები ბნელში...

და განა მარტო ვაზები?..

ირეკი და ლამის დიქტატორი

დილის ათ საათზე ციხისთავმა მანქანა გამოუგზავნა კორინთელს, სასწრაფოდ ჩამოსვლა სთხოვა. ნიკო წამოდგა, თავათაც დააპირა ყვარელს წასვლა.

„არა, ძია ნიკო, დღეს მაინც კვირაა, ჩემს ჩამოსვლამდი დარჩი როგორმე, მინდოდა შენის თანდასწრებით ორიოდე სიტყვა მეთქვა მედიკოსთვის. დღეს საბოლოოდ უნდა გამოირკვეს ბევრი რამ“...

უთხრა კორინთელმა და ოთახიდან გავიდა აჩქარებული ნაბიჯით.

სასადილოს ღიჭედ დარჩენილ კარიდან თვალი მოჰკრა კორინთელმა: მედიკო და ვარა გახსნილ კოფრებისა და სკივრების წინ ისხდნენ, ქოთქოთობდნენ, ტუალეტებს ალაგებდნენ ვაშკარანებში. მაიას გაჰქონდა და გამოჰქონდა კაბები, მოსასხამები, ქურქები, ტუფლები და ქუდები. კეტავდნენ ისევ აღებდნენ კოფრებსა და სკივრებს, კრიახობდა ვარა, უხეშად უყვიროდა მაიას.

პარიზელ ბომონდის ქალის ტუალეტი ელავდა და ვარვარებდა ღიჭედ დარჩენილ კარებიდან. ამ ფაიდეშინების, კრეპდეშინების, კრეპჟორჟეტების ლივლივმა მოაგონა კორინთელს პარიზელი „საზოგადოების დამების“, დემიმონდენების[1] ლეგიონები, რომელნიც ბრილიანტებისა და აბრეშუმის მიერ მინიჭებული ბრწყინვალებით ჰფარავენ თავიანთ სულიერ სიცალიერეს.

კორინთელი წავიდა თუ არა, წინალამით უძილარს, თვლემა მოერია ნიკოს; აგრე იფიქრა: ცოტას წავწვები, თვალს მოვატყუებო, ის-ის იყო პიჯაკი გაიხადა, შეზლონგზე წამოწვა, ფრთხილად დააკაკუნა ვიღაცამ კარზე.

მოხუცი ზეწამოიჭრა და პიჯაკი ჩაიცვა ხელახლა.

მედიკო შემოვიდა აღელვებული, ფერმკრთალი. ჭაღარა მორეოდა მის მშვენიერ, ჯიშიან თავს. ნაოჭები შემატებოდა თვალის უპეებისა და ღაწვის თავების არეებში.

[1] დემიმონდენ — მსუბუქი ყოფაქცევის ქალი.

შავი მუსლიმის კაბა ეცვა, ერთადერთი მსხვილი მარგალიტი ელავდა ლოპოტის მარმარილოსებრ თეთრ მკერდზე. საერთოდ მგლოვიარე ქალს ჰგავდა ამ წუთში მედიკო, დამწუხრებული სახის იერითა და ჩაცმულობითაც.

ნიკო წამოდგა და სკამი მიაწოდა მანდილოსანს, ხელის ჩამორთმევა არც კი დაუპირებია. მედიკო სტუმარივით ჩამოჯდა სკამზე. შესაბრალისად წელში მოდრეკილი იჯდა ტანკენარი ქალი და შესჩივოდა მოხუცს:

„ხომ ხედავთ ძია ნიკო, როგორ დაგვენგრა ოჯახი, ღმერთი მყავს მოწმედ, მე არ მიმიძღვის ბრალი. ერთადერთი ბრალი ჩემი ეგ არის, გრძნობას რომ ავყევი და ვახტანგს...“ ეს წინადადება ვერ დაათავა მედიკომ, ენა წაუბორძიკდა მღელვარების გამო, თვალის თეთრონებში ცრემლმა გაიელვა, ბოლოს როგორც იყო მოერია თავს და განაგრძო:

„ვახტანგი მუდამ მისაყვედურებდა: შენი დანაშაული შენი საკუთარი თავის წინაშე ეგ არის, რომ შენ ანგარიშიანობას აყოლილი ცოლად გაჰყევიო შარკუტიეს. მე ახლა აღარც კი ვიცი ნიკო ბატონო, ბოლოს როგორ უნდა მოიქცეს ქალი, რომელ ერთს აჰყვეს, გრძნობას, თუ გონებას?

როცა ანგარიშიანობას ავყევი, ვთქვათ შევცდი, ახალგაზრდა ვიყავი და გამოუცდელი, როცა უკვე მოწიფულმა გრძნობებს გადავაყოლე ჩემი დაწყობილი ოჯახი, ბრწყინვალე მდგომარეობა და არც ისე საუგო პრესტიჟი, ხომ ხედავთ, ამ ჯერაც რომ შევცდი“.

ნიკომ მზერა გაუმართა ვაგლახად წელში მოდრეკილ ქალს, რაღაც უცნაური სიბრალული წაეკიდა გულზე, მაგრამ მაინც ეს უთხრა:

„მე რა უფლება მაქვს მედიკო ბატონო თქვენი საქციელის განსჯისა, მაგრამ რაკი მეკითხებით, ერთ რამეს მოგახსენებთ: ყველაზე დიდ შეცდომას ჩადის ხოლმე ყოველი ადამიანი, როცა იგი თავის პირად ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, მე აქ ვგულისხმობ ცოლ-ქმრულ

ცხოვრებას, მესამე პირს ჩარევს, სულ ერთია, ვინც არ უნდა იყოს იგი.

სხვისთვის დასარიგებელი ჭკუა მე ვინ მომცა, მაგრამ ცოტა რამ მეც ამომიკითხავს ჭკვიანი ადამიანების ნაწერებიდან და ჩემი საკმაოდ ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მცირეოდენი დაკვირვებანი მეც მომიხდენია.

ოჯახური ცხოვრების შესახებ იმდენი დაწერილა, ეს ყოველივე რომ მოაგროვოს კაცმა, ერთ ქალაქში არ დაეტევა, მაგრამ ჯერაც მრავალი რამ საკვირველია და უცნაური. ვინ იცის კიდევ რამდენს დასწერენ მწერლები.

მაპატიეთ გულახდილობა და თქვენი პირადული ცხოვრების კატასტროფაში თქვენს ორივე დეიდას მიუძღვის ბრალი. ასეთ რამეებში თუნდაც ასი კაცის რჩევა უნდა მოისმინო, მაგრამ საკუთარ გულისხმას უნდა მიენდო, რა თქმა უნდა".

ძია ნიკოს სმენას მანქანის ბუბუნი მისწვდა. მას აგრე ეგონა: ვახტანგი მობრუნდაო. ვარამ კარი შემოაღო, ოთახში შემოუსვლელად ფრანგულად უთხრა რაღაც მედიკოს. ნიკომ მიახლოებით გაიგო ეს ფრაზა: ბატონი ცეროდენაშვილი მობრძანდაო. ამ უკანასკნელის გვარის გაგონებაზე უსიამოდ შეიშმუშნა ნიკო, შეწუხდა: ვაჲ, თუ ვახტანგი მობრუნდესო ახლავე.

მედიკო მაშინალურად წამოდგა, წელში გაიმართა და სთქვა:

„მე ამიტომაც შემოვედი ძია ნიკო თქვენთან"... აქ კვლავინდებურად წაბორძიკდა მედიკოს ენა, ბოლოს ისევ მოერია მღელვარებას და განაგრძო:

...„ვახტანგმა ისეთი უხამსობა გამოიჩინა დეიდა ჩემის მიმართ, მე არ შემიძლია დღეიდან ამ სახლში დარჩენა. ეს ყოველივე არც ისე მოულოდნელი ყოფილა ჩემთვის. მე გულმართლად ვენდობოდი მის პატიოსნებას, მაგრამ აქაც შევცდი... მეუბნებოდნენ: მინდელის ქალთან რომანი აქვსო, არ ვიჯერებდი. ახლა უკვე ამეხილა თვალი.

მე არც ჩემი ოჯახის, არც ჩემი გვარის ტრადიციები ნებას არ მაძლევს დავრჩე დამცირებული, თავმოყვარეობა შელახული ქალის მდგომარეობაში. ჩვენ ახლავე მივდივართ და ვახტანგს შეუძლია არც მომიკითხოს".

სთქვა მედიკომ, თავი დაუქნია გამოსალმების ნიშნად ნიკოს და სწრაფი ნაბიჯით მიაშურა კარს.....

ნიკო გატვრინული იწვა შეზლონგზე პირაღმა. ესმოდა ცეროდენას მჭახე ხმა, ვიღაცეების ტლანქი ნაბიჯების ჩქამი, კოფრების, სკივრების იატაკზე თრევა, კარის ძგიდეებზე მიხლა და რაჯგუნი, მტვირთავების შეძახილი: „ერთად", ვარას კრიახი: „ფრთხილად", „ასწი, ასწი", „არ მიახალო".

ნიკო წამოდგა, ჯერ ნერვიულად ბოლთასა სცემდა ოთახში, მერმე კართან მივიდა, დერეფანში გასვლა დააპირა, მაგრამ უხერხულობა შეიცნო და ისევ შეზლონგზე წამოწვა, რადგან მღელვარებისაგან მუხლი მოეკვეთა.

როცა გაფითრებულმა მაიამ ამცნო: წავიდნენო, ნიკომ კარი გააღო. საოცარი უწესრიგობა სუფევდა ირგვლივ. ოთახებსა და დერეფნებში მიმოყრილი იყო თმები ქალისა, ნაგლეჯები ჯღანისა, კელნის წყლის ცალიერი ფლაკონები, ნამუსრევები ლამპის შუშებისა, ნახრჩოლები ნავთქურები, ჭვინტმოტეხილი გრაფინები.

კედლებს ზედმისრესილი ბაღლინჯოების იეროგლიფები აჩნდა, მინებჩალეწილ ფანჯრებში ოფლით გაზინთული ბალიშები გაეკვეტებინათ, იატაკზე ქონიანი ლაქები მოსჩანდნენ, რაზების არეში ცხიმით გაემურათ კარები.

ნიკოს შეეცოდა კორინთელი: როგორ უძლებდაო ამ ამბებს, სისუფთავის ეგზომ მოყვარული კაცი.

მოხუცმა კიბე ჩაირბინა, ბაღში გავიდა და ქარაფიდან გადაიხედა.

არაშენდა-ბერმუხის შოსეზე მიჩახჩახებდა დანჯღრეული სატვირთო მანქანა. ურთიერთზე ზედახორად შეწყობილ ჩემოდნებზე იჯდა გრძელკისერა, თმაგაჩეჩილი ვარა; კოფის ბოლოკიდეში ცეროდენა მობღაუჭებოდა კაცის სიმაღლე კოფრს, რომელიც თავათაც სკივრებზე იყო შეკოლიკებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

თათბირი რა მოთავდა ყვარელში, ციხისთავმა თავის კაბინეტში დაიმარტოხელა კორინთელი და ეუბნება:

„ახალი ამბავი ხომ იცით ვახტანგ?“

რაო? შეეკითხა კორინთელი.

„გუშინ რაიკომის ბიუროზე მოვხსენით ჰესის უფროსი ინჟენერი ცეროდენაშვილი. მისი საქმე პროკურატურას გადაეცა. ჰესის გამგედ დავნიშნეთ ინჟენერი ჯორჯაძე, საქმიანი კაცი სჩანს, ლენინის ორდენი აქვს მიღებული, რამდენიმე სასოფლო ჰესი აქვს გამართული“.

„ცეროდენაშვილი რად მოხსენით?“ შეეკითხა კორინთელი.

„ათასი ტონა ცემენტი დააკლდა. გარდა ამისა, აბრია უჯირაულთან და იმ ხულიგან კანკრესთან ჰქონია კავშირი. ნაბუშარ ბატკნებს იპარავდნენ თურმე სისტემატურად სხვადასხვა კოლმეურნეობათა ფარეხებიდან. გარდა ამისა, ჯორჯაძემ გულმოდგინედ შეისწავლა ჩვენი ჰესი, საავარიო მდგომარეობაშიაო, აგრე ამტკიცებს, დიდძალი ცემენტია, როგორც სჩანს, მოპარული.

ხომ დაჟინებით მოვითხოვდით მე და თქვენ სარეზერვო სიმკვრივე ათზე ნაკლები არ ყოფილიყო, ხსნარი ლაბორატორული წესით გაგვესინჯა წინასწარ... არ დაგვანება, სპეციალისტი მე ვარ და ჩემს საქმეში ნუ ერევიო. თბილისიდან კომისია ჩამოიყვანა, თუ გახსოვთ, როგორც სჩანს, მათთან მოსძებნა საერთო ენა, იპურმარილეს, ილოთეს და ეს საქმე მიაჩუმათეს.

მართალია, მე უფრო ენერგიულად უნდა ჩავრეულიყავი ამ საქმეში, მაგრამ რაიკომის მდივნის უფლებებიც შეზღუდულია. სხვა არ იყოს რა, მე უნივერსალურად განსწავლული კაცი ვერა ვარ. მახსოვს თქვენ სულ ამას მიჩიჩინებდით: ცემენტის ხსნარი ლაბორატორული წესით გავსინჯოთო. საქმე საშურო იყო, ხსნარის თბილისში წაღებას და გასინჯვას დრო უნდოდა და მე აქ დავუშვი უეჭველი შეცდომა“.

*
* *

საღამოხანს ყვარლიდან მობრუნებული ციხისთავის მანქანას თან მოჰყვა კორინთელი. სავსებით ჭაღარა შოფერი ჩამოიყვანა, იასე. ციხისთავის მანქანა გაისტუმრა, იასეს დაავალა: მერსედეს-ბენცი ფარდულიდან გამოეყვანა და ჭიშკართან მოეცადა.

როცა კიბეზე ამოდიოდა კორინთელი, დაინახა გრძელტარიანი ცოცხი ეჭირა ხელში მაიას, გულმოდგინედ ჰგვიდა ოთახებსა და დერეფნებს.

„აბა შენ იცი ჩემო მაია, კნეინა ვარას მოსაგონარად არაფერი დასტოვო აქ“. ძია ნიკო სავარძელში იჯდა და გაზეთს კითხულობდა. კორინთელმა ქუდი საკიდზე მიაგდო, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და სთქვა:

„როცა მაია მაგ გაოხრებული ვარას მეურნეობის ნამუსრევებს გარედ გაჰხვეტავს, საბოლოოდ ამოვისუნთქავ, ძია ნიკო. ისიც კარგია მედიკოსთან გასაუბრება რომ აღარ დამჭირდა. რა საჭიროა ლაპარაკი, როცა სიტყვებს ფუნქცია დაკარგული აქვთ უკვე.

წუხელ მთელი ღამე არ დამაძინა მათმა ქოქოთმა. კრუხივით კრიახობდა ვარა. ქაქანებდა, ალაგებდა სკივრებსა და კოფრებში მედიკოს ტუალეტებს.

სწორედ გითხრა შარკუტიეს მიერ ნაყიდი ჭინჭების სიახლოე ისე მაწუხებდა, როგორც ძირმაგარა ჯანსაღ სხეულს. რა და რა ტანსაცმელი არ ვუყიდე ამ წლების მანძილზე მედიკოს, მაინც არ იშლიდა პარიზული კაბების ჩაცმას. არა ერთხელ მიფიქრნია ბენზინს გადავასხამ და დავწვავ-მეთქი ამ კაბებს.

უწინარეს ყოვლისა შენი მადლობელი ვარ ძია ნიკო, თავის დროზე რომ მისიგნალე, თორემ გაპამპულებული მენელაოსის[1] მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი.

აგრე სამწუხაროდ დამთავრდა ჩემი გამწარებული და შრომით სავსე ცხოვრების ეს მონაკვეთი. შენ ხომ გახდი

[1] მ ე ნ ე ლ ა ო ს — ჰომეროსის პოემის გმირი, მშვენიერი ელენეს ქმარი.

ყოველივე ამის მოწმე. ახლა მანქანაში ჩავსხდეთ და მინდა დაგასწრო ჩემი ცხოვრების ნამდვილი გაზაფხულის დასაწყისს, რა თქმა უნდა მოგვიანებით ჩამომდგარს.

მე ჩემი ბაღიდან ხშირად ვჭვრეტ ხოლმე ბერმუხას. ეს მუხა სიმბოლიურ არსებად მყავს მინიშნებული. იგი თავის ხანდაზმულობის მიუხედავად ყოველ გაზაფხულზე ახალსა და ახალ ყლორტებს დაისხამს ხოლმე ნაძველარებზე. ეს არის სიცოცხლის მარადჟამული მიმოქცევის უკვდავი ინსტინქტი. ფრანგები „ელან ვიტალს“ ეტყვიან ამას.

მეც არა ვკარგავ იმედს, რომ ჩემი ტანჯული სიცოცხლე ხელახლა იფეთქებს როგორც ბერმუხის ნარტოალებზე განახლებული მორჩი[2], მით უმეტეს რომ სუსქია ფეხმძიმედაა...

ეგ შენი და მამიდა ჩემის დაჟინებული სურვილიც იყო ვგონებ...“

მაია შემოფათურდა.

„აბა შენ იცი მაია, კარგად დაალაგე და გაასუფთავე აქაურობა, სტუმრები მოდიან“.

„მე ყველაფერს კოხტად დაგილაგებთ პროფესორო ბატონო, ოღონდ ეგ მითხარი ახლავე: ჩვენ მოვერევით თუ ისინი?“.

„რა თქმა უნდა ჩვენ მოვერევით ჩვენს მტრებს, ჩემო მაია“.

„ღმერთმა გაცოცხლოს შვილო, ხუთი შვილიშვილი გავგზავნე ომში“. კორინთელმა ქუდი აიღო. ნიკო უსიტყვოდ თან გაჰყვა და მანქანაში ჩაუჯდა მას.

„მხარმარცხნით წადი ჩემო იასე“.

ეუბნება კორინთელი შოფერს.

მცირე ხანს მდუმარედ ისხდნენ მანქანაში, ახლა ნიკომ დაარღვია დუმილი:

„შინ დაგვხვდება ნეტავ სუსქია?“.

„დღეს ისვენებს, ალბათ შინ იქნება...“ კორინთელმა ასანთი გაჰკრა, პაპიროსს მოუკიდა და სთქვა:

„ახლა შენ ნახავ ძია ნიკო, რა ღარიბად ცხოვრობს ეს ქალი, მაგრამ ჩივილს ვერ გაიგონებ მისგან. ეს ზიარებ შეხედულებას იმ ადამიანებისას, რომელთაც პაუპერიზმი იდეალად აქვთ დასახული. სიღარიბე ხშირად სიზარმაცისა და ბედოვლათობის შედეგია, მაგრამ ერთი რამ უნდა ითქვას: სიღარიბე უდიდესი მასწავლებელია ამ ცხოვრებაში.

„მარჯვნით გაუხვიე ჩემო იასე“, მიაძახა კორინთელმა შოფერს და განაგრძო:

„ბაირონს გარდა, თითქმის ყველა გენიოსი სიღარიბესთანაა ნაბრძოლი, ბაირონი გალაღებული და მოყიჟებული ცხოვრების მსხვერპლი გახდა ბოლოს და ბოლოს. უბრალო ადამიანისთვისაც სიღარიბე ხასიათის გამომწრთობი ბრძმედია უთუოდ.

იმ ჭაობს მოერიდე იასე, მარჯვენით გაუხვიე და იმ მოუთავებელ სახლთან გაჩერდი“. უთხრა შოფერს კორინთელმა და ისევ ძია ნიკოს მიუბრუნდა:

„ვინც სიღარიბის უღელს უდრტვინველად ატარებს, ნამდვილი ადამიანი იგია“. დარაჯი მათე თავაზიანად შემოეგება სტუმრებს.

სუსქია შილიფად ჩაცმული იყო, ნიკოს დანახვაზე შეკრთა, ორივე ხელს იკიდებდა ხალათის ბორტებზე, ცდილობდა დავიწროებული სამოსით როგორმე დაეფარა თავისი ძუძუ-მკერდის სისავსე.

ძია ნიკომ შუბლზე აკოცა ქალს და საკმაოდ დანჯღრეულ სკამზე ჩამოჯდა. კარგა ხანია რაც სუსქია არ ენახა მას, ორსულობას დაემშვენებინა იგი. მის სახეზე ნატამალიც არა სჩანდა იმ ტალებისა, რომელნიც ზოგიერთ ფეხმძიმე ქალს შეუდგება ხოლმე. ისედაც გათქვირული თეძოები უფრო მეტად დასრულებოდა და ეს განსაკუთრებით მიმზიდველად ხდიდა მას.

ნაყოფიერების ღმერთქალის დახატვა თუ ვინმეს დასჭირდა, ეს ქალი უნდა აიყვანოსო თავის მოდელად, გაიფიქრა ძია ნიკომ.

[1] მორჩი — ნორჩი, ახალგაზრდა ყლორტი, ან შტო.

მასპინძელი დაფაცურდა.

„ეს რა უცხო სტუმარი მომიყვანე ასე გაუფრთხილებლად ვახტანგ. თუმცა ღვინო კი მაქვს კარგი, ახლავე ხაჭაპურებს დავაცხობ“, ესა სთქვა და ნავთქურას დაუწყო ძებნა.

ვახტანგმა დააშოშმინა.

„ნუ ღელავ, არაფერი არაა საჭირო, შენ ჩაიცვი, ბარგი შეჰკარი, ჩემი შოფერი და დარაჯი მათე გვიშველიან“.

„სად მივდივართ, რა მოხდა?“ იკითხა შეცფუნებულმა ქალმა.

„ჩემსას“.

კორინთელმა შეასწორა წელან ნათქვამი:

„ესე იგი ჩვენსას“.

ქალი გაოცდა.

„სადაა ეს ჩვენსას?“.

„ჩემსას“. ღიმილით დასძინა კორინთელმა.

სუსქიამ მზერა გაუმართა კორინთელს, ნაღვინევი ხომ არ არისო?

„როგორ? განა მე ახლაც აღარა მაქვს უფლება იქ წაგიყვანო, სადაც მე მინდა?“.

ნიკო ჩაერია საუბარში:

„შე კაიკაცო, ნუ დასტანჯე ეს ქალი, ბარე პირდაპირ უთხარი რისი თქმაც გინდა“.

როცა ეს სურვილი შეუსრულა ძია ნიკოს ვახტანგმა, ქალი ჯერ გაფითრდა, მერმე უეცრად სიწითლე შემოეგზნო სახეზე, მღელვარებისაგან ფეხზე ადგომა ვეღარ შესძლო და საწოლზე ჩამოჯდა... ბოლოს შეუდგა თავისი ღარიბი ტუალეტის მოგროვებას. ძია ნიკომ თვალი შეავლო ამ უბრალო ჩითის კაბებს, ქუსლმოქცეულ ტუფლებს, გახუნებულ ბერეტებს, ძგიდეშემოცვეთილ ჩემოდნებს. ბოლოს თვალი აარიდა მის საქმიანობას და მკლავში ხელი წაავლო კორინთელს:

გარედ გამოვიდეთ, დავაცალოთო ჩაცმა.

. . . . . .

გახარებული დაფაცურობდა მაია. მას მთელი ბინა დაეკრიალებინა, ყოველივე წესრიგზე მოეყვანა, ხაჭაპურები დაეცხო, ქათმები შეებრაწა.

სამნი გარს უსხდნენ საქორწინო სუფრას.

როცა სავალდებულო სადღეგრძელოები მოათავა ძია ნიკომ, სავსე ყანწი მიუშვირა პატარძალს და უთხრა:

„ნეტავ სად არის ახლა ის უცნობი მხატვარი, რომელმაც ჯერაც ქალწული დაგხატა სასკია. მე სად შემწევს ისეთი, ნიჭი შენი სილამაზე ავწერო ამ წუთში, ან მიახლოებით გამოვხატო ის სიხარული, რომელსაც ამჟამად განვიცდი.

შენ ახლა გაცილებით უფრო მშვენიერი ხარ, ვიდრე შენი ნათლიის მიერ დახატულ სურათში სჩანხარ, მე ჯერ მთვრალი არ გახლავარ, უფრო მეტს გეტყვი, ვიდრე რემბრანდის საყვარელი სასკია.

მე არ მესმის პოეტები და მხატვრები რად ერიდებიან ფეხმძიმე ქალების დახატვას და შექებას. ეს არის ისეთი მომენტი ქალის ცხოვრებაში, როგორიც ვარდისა ვარდობისთვეში, როცა იგი კოკორს დაისხამს, ან ვაზისა, როცა იგი ყვავილობს.

ამ ყანწით მინდა ვადღეგრძელო ამ ოჯახის მომავალი მემკვიდრე.

ჩვენ ქართველები მეომარი ხალხი ვიყავით მუდამ და ამიტომაც თოფისა და ხანჯლის მატარებელი გვესაჭიროებოდა და ამის გამო შემოგვრჩა ატავისტური სიყვარული ვაჟისადმი.

მე ერთი უბრალო, ტრადიციული ქართველი კაცი ვარ, რომელიც მუდამ ვერ უსწორებს ნაბიჯს საერთო აზროვნების პროგრესს. გისურვებთ ორივეს, ვაჟი იქნეს ამ ოჯახის მემკვიდრე და ის ვადღეგრძელოთ“.

ესა სთქვა ძია ნიკომ ადგა და ორივენი გადაკოცნა.

ბიჟინა შემოკუნტრუშდა, შუა ოთახში შესდგა. სუსქიამ ხილის ჭამა მიატოვა და შვლის ნუკრს წაეტანა.

„მოდი, მოდი ჩემო ლამაზო“.

უთხრა ბიჟინას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურებდაცქვეტილი ნუკრი სტუმართან მიბაკუნდა, სუსქიამ ხელი გადაუსვა ქედზე და საკოცნელად წაეტანა მის მშვენიერ დრუნჩს.

ძია ნიკოს ნაადრევად მოჰკიდებოდა რატომღაც თრობა, იგი გახარებული შესცქეროდა ბუნების ამ ორი ჯიშდასრულებული მშვენების პირისპირ ყოფნას.

. . . . . .

როცა ძია ნიკო წაიყვანა შოფერმა იასემ, კორინთელმა ბაღში ჩაიყვანა სუსქია. ვარდები მოუკრიფა და თავზე გადააყარა. სიცილით უთხრა თანაც:

სულტანები ოქროს გადააყრიდნენ ხოლმე ქორწილის დღეს თავიანთ საცოლეს თავზე. ასე მოიქცა სულტანი ყიას-ედდინი, მან ოქრო გადააყარა თამარის შვილის შვილს, თამარს.

რადგანაც მე არც სულტანი ვარ და არც ოქროები გამაჩნია, ჩემი ხელით გაზრდილი ვარდები უნდა გადაგაყარო თავზე".

ისხდნენ და გასცქეროდნენ კავკასიონის თვალისმომჭრელ რილოჭრელოს, ოფორტით მოხატული ციხე-კოშკებივით იდგნენ უღელტეხილს გადაღმა ღრუბლები წინკლდეებზე ქამიდან ქამზე ელავდა. ელვის ლეკური თავს წაჰკვეთდა რომელიმე მწვერვალს, ხანაც გაანათებდა მალახიტისფერ კორდებს, ისინი ისეთი საყვარელნი იყვნენ, ხელისმოსმა მოუნდებოდა მაცქერალს.

ახლა სულ ზევით, კავკასიონის მაღალ რეგიონებში დანავარდობდა ელვა, გაიელვებდა ერთს და გამოაჩნდებოდა სტავრისებრ ხასხასა ღრუბლებით მოგებული სვრელი, და იგი მოსჩანდა, როგორც ჰესპერიდების ბაღნარისკენ მიმავალი შარა, ვარდებით მოგებული.

კორინთელმა სთქვა:

„გახსოვს ნაღვარევის ხევი, ბულბულების ორკესტრი, ის გემისებური ხავსიანი ლოდი, რომელზედაც მე და შენ ვიწექით"...

„ჩემთვის უბედნიერესი დღე ამქვეყნად".

ჩუმად სთქვა სუსქიამ.

ახილმა შეუღრინა ბიჟინას.

ვახტანგმა ყვრიმალში უჩქმიტა ძაღლს.

„ნუ ხარ ფაშისტი, ახილ". ახლა სუსქიას მიუბრუნდა:

„სანამ ძია ნიკოს მიერ ნადღეგრძელევი ვაქკაცი არ დაიბადება, ჩვენ ოთხნი შევადგენთ ამ ოჯახს. შენ, ბიჟინა, ახილი და მე".

„მაია?" ღიმილით იკითხა სუსქიამ.

„ჰო, მართლაც საწყალი მაია".

. . . . . .

ჭოტის ხმა მოდიოდა შორიდან. სუსქია გასცქეროდა მთვარის შუქით განათებულ ვარდებსა და ვაზებს, ჩრდილის ქოლგებს ქვეშ მთვლემარე ნაყოფსავსე ხეებს.

ვახტანგმა სთქვა:

„მე რომ პოეტი ვიყვე, უთუოდ დავწერდი ხეთა ქებასა. როცა ეს კოშმარი სუფევდა ჩემს სახლში, დღისით ვუვლიდი ვაზებსა და ვარდებს, როგორც ყმა, როგორც მიჯნური, საღამოს დავჯდებოდი აქ და ვსტკბებოდი მათი სურნელებითა და დუმილით.

მე ვიტყოდი ხეები, საერთოდ მცენარეები, ცხოველებზე მეტად საყვარელნი არიან. ბუნებას არ მიუცია მათთვის ხმის გაღების ნიჭი, მშიას ვერ იტყვიან, ვერც მწყურიას; სიცოცხლეს ზრდას და ავადობას დუმილით განიცდიან, ზეზემდგარი ეგებებიან სიკვდილს, როგორც ანტიური ტრაგედიების გმირები.

სუსქიამ ბაღის ბოლოს გამართულ ბოსტნისკენ გაიხედა და სთქვა:

„რეჰანის სუნი მოდის ბოსტნიდან ვახტანგ. მე ძლიერ მიყვარს რეჰანის სუნი".

„შეხე კომბოსტოს თავებს სუსქია, ფოლადის მუზარადებივით ლაპლაპებენ მთვარის სინათლეზე, ხომა? მხოლოდ ეს სურათი მიწამლავს შენთან ყოფნის ბედნიერებას, რადგან ომს მაგონებს იგი".

ამის თქმა მოასწრო ვახტანგმა და უცნაური ლიწინლიწინი შემოესმა ბოსტანს გადაღმელ ძეძვის ღობიდან. ახი-

ლი წამოვარდა, ვახტანგი ყრონტში მისწვდა მას.

ირემმა გადმოანგრია ძეძვის ღობე და ბოსტანში შემოიჭრა. ირემსა და ბაღში მსხდართა შორის იასამნის ბუჩქი იყო.

თავი დახარეო, უჩურჩულა ვახტანგმა ქალს.

ირემი დასწვდა კომბოსტოს თავებს, ქარაფისკენ მიდიოდა, მოკბეჩდა კომბოსტოს, თავს ასწევდა, ისევ მოკბეჩდა.

ბოლოს მიადგა ქარაფს, ახლა იასამნის ბუჩქს მიფარებულნი სულ ახლოს ჰხედავდნენ მთვარის შუქზე განჩრდილულ ნადირს და ეს სიხარულით ავსებდა მათ გულებს.

სასოწარკვეთილი ყვიროდა ფურირემი, გადასცქეროდა ბერმუხას. თითქოს მანდ ეძებსო თავის შეუღლის მკვლელს. . . . . .

ორნი სულგანაბულნი შესცქეროდნენ ბუნების ამ იშვიათ აპოთეოზს, რომელიც თითქოს მოაგონებდა ფრონტზე წასული ვაჟკაცების მეუღლეებსა და სასძლოებს — ომს, გულისწორთა გამთიშველს.

ვახტანგი გველცემულივით წამოდგა, მკლავზე ხელი წაავლო თავის ცოლს და სახლისკენ წაიყვანა, მაგრამ შინმისულს უკვე მისწვდა რადიოს ხმები, ფრონტის უკანასკნელ ცნობებს გადმოსცემდა ღამის დიქტორი...

ამბავი შავი ზღვისა და ერთი თევზისა

ვახტანგ კორინთელს ბარათი მოუვიდა ფრონტიდან [1].

„ძვირფასო ამხანაგო პროფესორო! ვასრულებ შეპირებულს“, იწერებოდა სოლომონ გულუხაიძე. „შეძლებისამებრ მოგითხრობთ ჩვენს თავგადასავალს. მე ხომ გადაწყვეტილი მქონდა კალამი არასოდეს ამეღო ხელში, მაგრამ ისეთი გაუგონარი ამბები გადაგვხდა თავს, მოუცილებელი სურვილი აღმეძრა ზოგიერამ მაინც მომეწერა თქვენთვის.

გოდერძი ელანიძეს სოხუმში შევხვდი პირველად, იგი იქ უცდიდა საავიაციო პოლკში განწესებას. ამის შემდეგ იგი ნალჩიკში გადაუგზავნიათ, ოთხჯერ დაუჭრიათ, უფროსი ლეიტენანტის წოდება მიუღია. თებერვლის დამლევამდის ჩვენ კერჩში ვიბრძოდით ქართული დივიზიის რიგებში, აქ იყვნენ ტანკისტები: ხელაანთ ვანო, მარტიაშვილი სტეფანე, კოლა სოკოლოვი, როსტიაშვილი ნიკო, იგივე — მეღორე პოპოლა და ხირჩლა ოჩიაური, სწორედ ის ახმახი ხევსური, რომელიც ჩემთან ფარიკაობდა ბერმუხის ქვეშ. მარტში გოდერძიც აქ ჩამოიყვანეს.

მე არ შევუდგები დაწვრილებით თხრობას იმისას, რაც გადამხდა თავს ამ ერთი წლის მანძილზე, მე სად შემწევს იმის უნარი, თუნდაც მიახლოებით აგიწეროთ ბლინდაჟებში გამართული ბრძოლები და ღამეული იერიშები. მოგეცეს ლხენა, ვიჯერე ფაშისტ გველებზე ნადირობისაგან გული. ლესნერის მიერ ნაჩუქარი პისტოლეტიც აქ გამოვიყენე არა ერთგზის.

სამჯერ დამჭრეს. ნუღარ მკითხავთ რა წამება გადამხდა ამ ლაზარეთებშიც, სადაც ჯერაც ცოცხალი ადამიანი შესცქერი, როგორც საკუთარი, ისე შენივე ამხანაგების ხორცის თანდათან ლპობას. (უნდა გამოგიტყდეთ, ლაზარეთი ბრძოლის ველზე უფრო საშინელია).

როცა ფაშისტებმა თავისი შტურმბატალიონები ჩრდილო კავკასიას შეუსიეს და უკვე პარაშუტიდან დესანტებს და დივერსანტებს ყრიდნენ ჩვენს მთებში, საქართველოს დასალაშქრავად ემზადებოდნენ, მთიელები შეგვარჩიეს

[1] ლეიტენანტის სოლომონ გულუხაიძის ეს ბარათები, რომელნიც ვახტანგ კორინთელს ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ მე ჩამივარდა ხელში, ჩართულ ნოველებად გადავაკეთე. რა თქმა უნდა ისინი ენობრივად შესწორებულია და ალაგ ალაგ შეკვეცილი ჩემს მიერ, რადგან მე არ მიყვარს როცა ავტორები ურეგლამენტოდ ალაპარაკებენ ხოლმე თავიანთ გმირებს. — კ. გ.

და ტუაპსეში წარმოგზავნეს გენერალ ლესელიძის განკარგულებაში.

ოთხ მარტს, ღამის პირველ საათზე ქერჩში ჩამოდგა მომცრო გემი „ანაპა“.

ამ გემის ბორტზე მოგვათავსეს ჩვენ და ჩვენი საჭურველი. გემზე ერთადერთი საზენიტო ზარბაზანი გვქონდა და ოციოდე ტყვიამფრქვევი.

როგორც სჩანს, ანაპას, ჩვენი გადაყვანის გარდა, სხვა საიდუმლო დავალებანიც ჰქონდა. დღისით მგზავრობას ვერიდებოდით, ღამღამობით შევიპარებოდით ხოლმე სხვადასხვა პორტში, რეიდზე გაგვაჩერებდნენ და კატერებით გადაჰქონდათ რაღაც მძიმე ყუთები.

საოცარი ის იყო, როგორც კი მივადგებოდით რომელიმე ქალაქს, ცაზე გამოჩნდებოდნენ მესერშმიტები და დაგვიშენდნენ ბომბებს, მაგრამ გემის კაპიტანი სმირნოვი მუდამ ახერხებდა ხოლმე ხიფათის თავიდან აცდენას.

ისიც ხდებოდა ხანდახან, ისე გავიდოდით რომელიმე პორტიდან, არამც თუ სურსათის, წყლისა და ნახშირის აღებას ვერ ვასწრებდით. შიგ შუა ზღვაში ღუზას ჩაუშვებდა ანაპა, გემს დააბნელებდნენ და მთელი ღამე ვიდექით ბნელში. ჩვენ ნარებზე წამოვწვებით და ხევსურულ ზღაპრებს დაიწყებდა ხირჩლა: „იყო და არა იყო რა“...

მიგვიღებთ თუ არაო? შეეკითხებოდა ჩვენი რადისტი რომელიმე ქალაქს. გვიპასუხებდნენ ბომბავენო ქალაქს. ახლა სხვა პორტისკენ გავწევდით, იქ განგაში დაგვიხვდებოდა. ახლა მესამე ქალაქს მივადგებოდით, ვერ მიგიღებთ, თავდასხმას ველითო.

ასე განკიცხულივით დავყიალობდით ზღვაში, ღამისა და ნისლების იმედით. შეუდრეკელი ვაჟკაცი იყო გემის კაპიტანი სმირნოვი, „ზღვის მგელს“ ეძახდნენ მას ჩვენი ბიჭები. საკაპიტნო ხიდს არ სცილდებოდა მაშინაც, როცა ქარბორბალა დაგელავდა ზღვაზე, როცა შტორმი იძალებდა, ჩამოგვივლიდა პირქვე გაწოლილებს, გაგვეხუმრებოდა გაგვამხნევებდა.

ჩვენი „ანაპა“ ღამღამობით შტორმებს ებრძოდა, როცა ზღვა დაწყნარდებოდა, ჩვენ გვიხდებოდა შიმშილთან გამკლავება.

ღამღამობით მესიზმრებოდა: ვითომ ციხისწისქვილში ვზივართ, შიშხინა მწვადებსა და ცხელ დედასპურებს შევექცევით, ქინძმარეულს მივირთმევთ, უცებ გამომაღვიძებს რაჯგუნი და რაკუნი, ისევ ზღვის უდაბნოში მოყიალე გემზე ვართ და გვშია.

მე მგონია ყოველ სატკივარზე უარესია შიმშილთან ბრძოლა. ორ დღეს კარგი დარები იდგა, მესამე დღეს ქარბორბალა ამოვარდა და შიმშილი გამოგვინელეს შტორმებმა.

კოლა სოკოლოვისა და მეღორე პოპოლას გარდა თითქმის ყველას ზღვის ავადმყოფობამ დარია ხელი. ავად გაგვიხდა მაიორი შალამბერიძე, ჩვენი ეშელონის მეთაური. სიკვდილის პირზე მიაყენა ხირჩლა ოჩიაური.

გამოირკვა: ხირჩლას მხოლოდ დახატული თუ ენახა ზღვა. კელასაგან დაკბენილ დათვივით ბურდღუნებდა და ბორავდა ნარზე. როგორც კი იძალებდა ღელვა, გულისრევა აუტყდებოდა. ბრაგვანს გაადენდა ძირს. წელი მოგვწყდა ამ ვეება ვაჟკაცის ნარზე ათრევისაგან.

კაპიტანი სმირნოვი მოვიდა, დაგვხედა. გაიღიმა და სთქვა:

„რამ წაგახდინათ, ბიჭებო, ქართველი ვაჟკაცები არა ხართ?“.

„ქართველები ჩვენ მხოლოდ ხმელეთზე ვართ ვაჟკაცები ამხანაგო კაპიტანო“ მივუგე.

ისევ დამშვიდდა ზღვა. ახლა შიმშილმა მოგვიჭირა თავისი ჭანგები. კაპიტანი სმირნოვი მაინც არა სცხრებოდა, შევიპარებოდით რომელიმე პორტში, ატყდებოდა ზარბაზნების გრიალი და ისევ ზღვას შევაფარებდით თავს.

მიუხედავად ამ გაძაღლებული ყოფისა, დაუცხრომელი ბრძოლებისა და სისხლის წვიმების განმცდელნი ისე

ვგრძნობდით თავს, თითქოს მცურავ სამოთხეში ვიმყოფებოდით. განსაკუთრებით როცა ზღვა დაწყნარდებოდა და მუქლურჯი ტალღები ფიანდაზად ქვეშ გაეგებოდნენ გემს.

ხანდახან მთვარე გადმოგვხედავდა, მივცურავდით ხმელეთიდან გაძევებულნი, როგორც სიზმარეთს მიმავალი სტუმრები.

ხირჩლა ოჩიაურიც გამოცოცხლდა. ისევ დაიწყო თავისი ომახიანი ბუხუნი: კავკასიონის მთებში თუ მოვიგდე ლემენცები ხელში, ნამჯასავით გავჯეგავო მაგ ღორისდასმულებს. განა მარტო ქადილი იცოდა ხირჩლამ. მე ჩემის თვალით ვნახე, როცა ფაშისტების ბლინდაჟი ავიღეთ ერთი, ხირჩლა ხელჩართულ ბრძოლაში ესესელებთან. ტარიელისავით კაცი კაცს შესტყორცნა.

ეს იყო ოღონდ ვერაფრით ამოვყორეთ ბედშავი ხირჩლა. მშია მშიაო იძახდა ბალღივით. ყოველი ჩვენთაგანი იკლებდა ულუფას, მაგრამ ფარაონის ძროხასავით მუდამ მშიერი იყო იგი. ამიტომაც „ფარაონის ხარი“ დაარქვეს მას ბიჭებმა. ეს ამბავი არც ისე საკვირველია, ორი მეტრი სიმაღლისა იყო ხირჩლა. ერთხელ სამთოზარბაზნის გამწვევს მოტორი ჩაუქრა, მარტო ერთი ხირჩლა მივიდა ზედ და ტალახიდან გამოათრია ზარბაზანი.

არანაკლები უძღომელობა გამოიჩინეს მეღორე პოპოლამ და კოლა სოკოლოვმა. ქერჩიდან წამოსვლისას ჩვენ დაგვირიგეს ოც-ოცი კონსერვი და დაშაშხული ლოქო, თითო მეტრის სიგრძე იქნებოდა ყოველი მათგანი.

ხირჩლამ, პოპოლამ და სოკოლოვმა ოავიანთი კონსერვები და თევზები შესანსლეს, ჩემი და გოდერძის კონსერვები ზედ მიაყოლეს, ახლა ჩამომეკიდნენ: გინდა თუ არა შენი ლოქოც გვიწილადეო.

მე და გოდერძიმ მოვითათბირეთ, ეს ლოქო რომ გამოგვეჩინა, ჩიტის ულუფა შეხვდებოდა, ყოველ ჩვენგანს. ტუაპსეში რომ ჩავალთ, იქ შევექცეთო, ასე გადავწყვიტეთ.

მე ძლიერ მიყვარს თევზი, ბიჭები ისე დალესილნი მიძუგძუგებდნენ, ვგრძნობდი, ნებით ან ძალით წამგლეჯდნენ უცილოდ, ამიტომაც ჩვენს სქელ მზარეულს მივაბარე, ტიხონს. დავანამუსე: ჩვენ ბიჭებთან არ გამთქვა-მეთქი...

ჩვენს უძღომელებს აგრე ეგონათ, ის ლოქო მე სანივთე ტოპრაკში მქონდა გადამალული. მოვიდოდნენ, ჩამოჯდებოდნენ ჩემს ნარზე, ხოტბას ასხამდნენ ლოქოს როგორც „საუკეთესო თევზს“, ზუთხი, ან ორაგული ახლოს ვერ მივლენო ლოქოსთან. ლოქოსთან ერთად მეც მაქებდნენ. დიდი პურმარილიანი კაციაო ლეიტენანტი გულუხაიძე.

შიმშილს გვიორკეცებდა დამშეული ბიჭების ნატვრა.

მომიჯდებოდა რომელიმე მათგანი და ნატრობდა:

„ნეტავ მაჭამა კახურად, მრგვალად მოხარშული დედალი ნივრის წვენში ჩადებული, იფ, იფ“.

ახლა მეორე იტყოდა.

„ამას მე მირჩევნია კაი ბატკნის მწვადი, ვაზის წალამზე შემწვარი“.

„თოხლისას დამიწუნებ შენმა მზემ“. იტყოდა სხვა.

„არც ჩალაღაჯი გვატკენს კბილებს, ამბობს მეღორე პოპოლა.

„არა, ხაში, ლავაში და ჭაჭის არაყი უფრო მეტად მოგვიხდებოდა ამ დილით“, იჯღანებოდა კოლა სოკოლოვი.

„თონეში შემწვარ გოჭს რას უწუნებო ბიჭებო, ხელის შეხებისას რომ იმსხვრევა გატკიცინებული, წითელყვითლად დაბრაწული კანი. ჰაი, ჰაი, ოა გოჭები ჰყავს დედა ჩემს. ერთი ჭურის თავზე დაგვსვა ახლა“. ინატრა აფხაზეთელმა აფაქიძემ. სხვები სხვას ნატრობდნენ, ინდოურის საცივს, გელაქნურ ორაგულს, რიონის ზუთხს „ოჩხის თევზს, რომელსაც შავი ქონი და ქვირითი ჩალექილი აქვს მუცელში.

ხომ ასე ვიტანჯებოდით, მაგრამ ახალგაზრდული სული შეუმუსვრელია, მეც ავყევი ახალგაზრდებს. ას წელსაც რომ ვიცხოვრო ამ წუთისსოფელში, არ

გავამხელ: დავბერდი მეთქი, არც ხუმრობას მოვიშლი ოდესმე, თუნდაც ეშმაკებმა კაჩხაზე დამკიდონ ფეხით.

გარდა ამისა, ყოველ ბრძოლაში, ყოველ გასაჭირში მაგონდება ხოლმე თქვენი სიტყვები: უსასტიკესი ბრძოლის ველი ადამიანისა, საკუთარი საწოლიაო, რომ დააბარეთ ჩვენს მეომრებს.

ერთ დღეს გამომეჭიმნენ ნარზე მწოლარეს სერჟანტი კოლა სოკოლოვი და მეზარბაზნეები: ხირჩლა ოჩიაური, ნიკო როსტიაშვილი, სამხედრო სალამი მომცეს და მითხრეს.

„ნება გვიბოძე ამხანაგო ლეიტენანტო, სანამ ამ გემზე ვიმყოფებით ისევ ნიორთავა გიწოდოთო“.

მე მივხვდი თუ რა მუცლის გვრემა აწუხებდა მათ. როგორც მათ უფროსს ვერ მიბედავდნენ ლაზღანდარობას, თუ მე მივცემდი ნებას შერქმეული სახელის წოდებისას, მერმე ხელს გამოიღებდნენ და შეეცდებოდნენ თავიანთი საკბილო ძალით ან ნებით მიეტაცებინათ.

გამეცინა და ვუპასუხე: ნებას გაძლევთ-მეთქი.

თანაც აგრე ვფიქრობ ჩემთვის: რა დიდი ჩინები მე მაწუხებს, ნიორთავა დამიძახონ, გინდაც კიკო. ეს სახელი მე მაგონებს კახეთს, ჩვენს საყვარელ კავკასიონს, ყოველ თქვენთაგანს და ალაზნის ველს. რაც ბერმუხიდან წავედი მე ეს შერქმეული სახელი არც გამიგონია. თქვენ კარგად იცით, მე თავაზიანი ვარ ცხოვრებაში, მაგრამ სამხედრო სამსახურში აფთარივით ავი გავხდი. გაწურული მყავდა ჩვენი ბიჭები. ცხადია, აქ თამაშისა და ლაზღანდარობის დრო არ არის.

დაწინაურდა პუშკინი და მითხრა:

„ნიორთავავ, ჩვენო საყვარელო ძმაო, შენ ხომ იცი ფრიცების მესსერშმიტები კვალდაკვალ მოგვსდევენ, შესაძლოა ბომბები დაგვიშინონ და შენ თავათ გახდე ლოქოების საჭმელი, შენ ზღვამ გაწყინა და მადა არ მოგცა ღმერთმა, დაგვითმე შენი ლოქო თორემ ხომ იცი, როგორც ემიცალებულებს თმები, ისე ეზრდება დამშეულ ლოქოსაც ულვაშები და ბოლოს შენ სიგრძე გაუხდება“.

მე ვუთხარი.

„პუშკინ წადი ძმაო, მომცილდი თავიდან, ჩემი კონსერვები ხომ შესანსლეთ, ღმერთმა შეგარგოთ, თუ როგორც შენ ამბობ დამშეულ ლოქოსაც ულვაშები ეზრდება, როცა ტუალეტში ჩავალთ, ეს მსუქანი ულვაშები თქვენ მიირთვით“.

როგორც იქნა მოვიცილე თავიდან ეს უძღომელები.

ზღვა სავსებით დაწყნარდა, მესსერშმიტები აღარსად სჩანდნენ. ახლა მე და გოდერძიმ ერთი კედლის გაზეთიც მოვაფოხრიკეთ. მე ცოტა არ იყოს ხატვა მემარჯვება. უსაქმურობისგან კარიკატურების ხატვას მივყავი ხელი.

ხევსური ხირჩლა დავხატე, მუზარადიან, ჩოხიან დევკაცს იოანე მოციქულის მიბაძვით ხმალი გაურჭვია პირში. ქვევით წარწერა აქვს ასეთი: „ნეტავი ლოქოთ გაქცია ხმალო“.

მეორე დღეს ისევ ახალი კარიკატურა დავხატე. ხევსური ხირჩლა და მზარეული ტიხონი.

გაბრაზებული ხირჩლა ეჩხუბება ტიხონს: „შენ მე ნიორთავას ულუფით უნდა შემაჯერო, ნიორთავას ულუფა ჩემს მარჯვენა ფეხსაც ვერ გამოკვებავს“.

იქვე დაცუცქული პუშკინი ამბობს: „რა ეშველება მარცხენას, ტიხონ? ორი ულუფა მიართვი ხირჩლას“.

მესამე დღე აღინიშნა ასეთი კარიკატურით ჩვენს კედლის გაზეთში: პოეტი პუშკინი უზარმაზარ სვეტის თავზე დახატულია. ქვევით კოლა სოკოლოვი დაცუცქულა. დიდი პუშკინი ეუბნება პატარა პუშკინს“:

„თმაწვერით ნუ მბაძავ კოლა, გიჯობს ჭკუით მომბაძო“, ჩვენი მდგომარეობა არც ისე სასიხარულო იყო, მაგრამ მაინც ვლაღობდით და ვიცინოდით, და სიცილით ვებრძოდით შიშსა და სიმშილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ საღამოს დაიწყო საშინელი შტორმი. ისეთი კაკუნი და რაკუნი ატყდა კაიუტებში, გეგონებოდათ ჭინკები შემოსევიანო გემს.

ქარი ზედ ეხეოდა ანძებს შორს გაბმულ მავთულებზე, შემცხადებულსავით წივოდა, მე გემბანიდან ვხედავდი თუ როგორ გულისდებოდა ნელ-ნელა შავი ზღვა. ერთბაშად დაიმსხვრა ზღვის ზედაპირი, თითქოს ავმა სულებმა ამოხეთქესო უფსკრულებიდან, ამოძრავდნენ ტალღები, ერთიმეორეს ახტებოდნენ ისინი თავზე, თითქოს ოთურმას თამაშობენო, მერე ბორცვებად იქცეოდნენ გამოქანდებოდნენ, ზედახორად შეასხდებოდნენ ერთმანეთს, ნაფოტივით ათამაშებდნენ ჩვენს გემს.

მე მზარეულთან ჩავედი. ტიხონმა პიპილიანი არაყი დამალევინა. ზღვის ავადობის წამალიაო. თავი წავაჭრევინე ლოქოსთვის, ჩავედი ჩვენ ბიჭებთან, იატაკზე განრთხმული იწვნენ პოპოლა, პუშკინი და ხირჩლა.

„ა ბიჭებო, მე და გოდერძიმ ლოქო შევეამეთ, ეს თავი თქვენ დაგიტოვეთ“. კოლამ მწარედ გაიღიმა და წაიბუტბუტა:

„ახლა ბებიაშენს გაუგზავნე ლოქოს თავი ძუნწო ნიორთავა“.

ხირჩლამ მითხრა:

„ჰო მაგრამ შენ როგორ უძლებ ასეთ ღელვას ნიორთავა, ეშმაკის კერძო?“.

„აბა მე სიმართლეს გეტყვით ბიჭებო, მივუგე მე. ღორმუცელები რომა ხართ და სხვისი ულუფაც რომ არ გყოფნით, იმიტომ გემართებათ ეგ“.

მეორე დღეს ზღვა დაწყნარდა. მე მთელი დღე წიგნს ვკითხულობდი, ამიტომ გვიანამდის მეძინა. ერთბაშად უცნაური რყევა შევიცანი. რყევა და შეკავებული სიცილი. თვალი გავახილე. ხირჩლა და პოპოლა მომდგომოდნენ, ერთს თავკისერში წაევლო ხელი, მეორეს ფეხებზე, მარწევდნენ და მაქანავებდნენ, თანაც სიცილისგან იგუდებოდნენ.

კოლა სოკოლოვი ჩემს ტოპრაკას მისდგომოდა და გულიანად ჩხრეკდა.

„ამაოდ დაძვრები, მანდ ვერაფერს იპოვნი ჩემო კოლა!“

ვეუბნები პუშკინს.

„აბა მე გეტყვი ნიორთავა, სანამ არ გაგვიმხელ სად გადამალე ლოქო, იმდენს გაქანავებთ და გარყევთ, ზღვის ღელვა მოგენატრება იცოდე“.

არ გასჭრა არც ფიცმა, არც იმის მტკიცებამ რომ მე და გოდერძის შეჭმული გვაქვს-მეთქი ლოქო. ხირჩლამ ირწმუნა ჩემი ნათქვამი და გამეცალა, კოლამ და პოპოლამ განაგრძეს ჩხრეკა.

ყველაფერი გადმოაქოთეს და ლოქოს ნაცვლად იპოვნეს რევოლვერი „ვალტერის“ სისტემისა და ერთიც ელექტრო ფანარი „ხოჭო“. ეს უკანასკნელი მოყვანილობითა და განგებისად კრიალა შავი ფერით ძლიერ წააგავდა ნამდვილ ხოჭოს. ეს ნივთები მე ავართვი ჩემს მიერ მოკლულ გერმანელ ოფიცერს.

ახლა ამიხირდნენ: ესენი მაინც გვაჩუქეო.

ამ საჩუქრებმაც არ იკმარეს. ერთ ღამეს მოვიდა პოპოლა და გვეუბნება მე და პუშკინს: საიდუმლოდ გავიგე, ამაღამ განგაში იქნება, მესსერშმიტების თავდასხმას მოელისო მაიორი შავგულიძე.

პუშკინმა სერიოზული გამომეტყველებით მითხრა:

„მაინც ვიღუპებით ხომ ხედავ ნიორთავა, მოიტა შენი ლოქო, ერთი ლოთიანად გავძღეთ სიკვდილის წინ“. ისეთი დაშწუხრებული გამომეტყველება მიიღო სოკოლოვმა, მე მართლაც დავუჯერე მათ ნათქვამს, წამოვდექი და მზარეულთან ვაპირებდი წასვლას, გოდერძი მომღიმარი შემომეგება წინ:

„არ გაბრიყვდე სოლომონ, არავითარი განგაში არ იქნება, არ გამოაჩინო ლოქო“.

მეშვიდე დღეს ტუაპსეს ვუახლოვდებოდით, ჩვენ უკვე ბარგის შეკვრას შევუდექით. პუშკინი მეუბნება ჩურჩულით: განგაში იქნებაო ახლავე. მე მეგონა ისევ მატყუებდნენ, არხეინად ვიწექი მხართეძოზე. ამ დროს მართ-

ლაც ატყდა განგაში, გემბანზე გავედით თუ არა, ჩვენმა მეზენიტეებმა ასტეხეს სროლა. ვუთვალთვალებთ მოღრუბლულ ცას. ბოლოს შევნიშნეთ: ორი თვითმფრინავი გამოჩნდა ტალახისფერ ღრუბლებში. ისინი წამიერად გაიელვებდნენ, ისევ მიეფარებოდნენ თვალს.

ბოლოს ერთი მათგანი ჩამოაგდეს ჩვენმა მეზენიტეებმა, მეორე დასავლეთისკენ გაფრინდა. ტუაპსეს პორტამდის ორიოდე კილომეტრი გვიკლდა, ისევ ასტეხეს ჩვენმა მეზენიტეებმა სროლა, მაგრამ უცებ გაისმა საშინელი გრიალი, გემი „ანაპა“ შუაში გახლიჩა ბომბამ.

მე არცკი მახსოვს რა მოხდა მერმე, მე და რამდენიმე მეომარი ზღვაში აღმოვჩნდით, ერთ უზარმაზარ, შეღებილ ფიცარს ვებღაუჭებოდით. ჩემს გვერდით დაფორთხავდა ზღვაში ჩვენი სქელი მზარეული ტიხონი თავისი თეთრი ჩაჩით. ძალიან სასაცილო იყო ამ ღიპიანი კაცის ბაყაყური.

მე ძველი მეთევზე ვარ, მაგრამ რიგიანი ცურვა არც მისწავლია, ცხადი იყო ჩემთვის: ის საცოდავი „ძაღლური“, რომელიც ალაზანზე მყოფნიდა, შავ ზღვაზე არ გამომადგებოდა. ჩვენმა ბიჭებმა მხარული გაჰკრეს და პორტს მიაშურეს.

გოდერძი პირველი მოვიდა ჩემთან, მითხრა: მკლავში ხელს წაგავლებ, მეორე ხელით ვცურავ და ისე მიგიყვანო კატერებამდის. კატერები მართლაც მოდიოდნენ ჩვენსკენ. მე სავსებით გათოშილი ვიყავი, ხელფეხი წამერთვაო თითქოს, მაგრამ არ დავთანხმდი, მოვუცდი მეთქი კატერებს.

ახლა პოპოლა და პუშკინი მოვიდნენ.

„ჰა ნიორთავა, მეუბნება პუშკინი, იცოდე შენი სული ჩვენს ხელშია! ახლა მაინც გვითხარი სადა გქონდა გადამალული ის ლოქო?“.

მხოლოდ მაშინ გავთქვი ჩემი საიდუმლო.

პუშკინმა და პოპოლამ აქეთ-იქით გამიყარეს მკლავი, ცალ-ცალი ხელით ცურავდნენ ისე წამიყვანეს კატერებისკენ.

მაიორმა შალამბერიძემ სალდათები დაათვლევინა. ათი კაცი გვაკლდა. კატერებში ჩაგვსხა და წარგვგზავნა იქითკენ, სადაც გემი ანაპა დაინთქა ზღვაში.

ნიკო როსტიაშვილმა ხელი შუბლზე მიიჩრდილა, იყვირა: აგერ მოცურავენო ჩვენი ბიჭები. ათიოდე კაცის თავი მოსჩანდა ტალღებში. როცა მივეახლე, შევძრწუნდი, ტანს მოცილებული თავები ჩვენსკენ მოჰქონდა ზღვას. თურმე ნუ იტყვით, ადამიანის თავი არ იძირება ზღვაში.

როცა ხმელეთისკენ გავბრუნდით ვნახეთ ზღვას ზედ ნაპირზე მიერიყა ჩემი თავწაჭრილი ლოქო. ხირჩლა, პოპოლა და პუშკინი ისე დამწუხრებულნი იყვნენ, მათ უკვე კრინტი არ დაუძრავთ ლოქოს გამო.

ჩვენ ორ დღეს ვუცადეთ ტუაპსეში გენერალ ლესელიძის ბრძანებას, პოპოლამ ერთი მოხუცი ოქრომჭედელი ჩერქეზი გამოსჩხირკა, ჩემს მიერ ნაჩუქარ რევოლვერისა და ხოჭოს სახელურზე ამოატვიფრინა შერქმეული ჩემი სახელი „ნიორთავა“.

რევოლვერი და „ხოჭო“

გაზაფხული ბარს სწვევოდა უკვე, ხოლო კავკასიონის მთიანეთში ლელმა იწყებოდა მხოლოდ. სატანკო დივიზიის ერთ-ერთი ბატალიონი იცავდა ყუბანის ხეობის ყელს, სწორედ იმ ადგილას, სადაც ეს მდინარე მაღალმთიან რაიონებიდან გამოდის უკვე.

მძაფრად დახრამული მდინარის გალმა გორაკები წრიულად გაწკაპული იყო, ხოლო მის მოსახვევთან დელტა უმნიშვნელო, ამ დელტასთან ეს გორაკები ისე უახლოვდებოდნენ ურთიერთს, ორი უკანასკნელის წოპზე შემდგარი კაცი თამამად მიაწვდენს ხმას მეორეს. სწორედ ამ ადგილას შემოდის ხეობაში საკმაოდ განიერი ფემშარა.

ბატალიონის მეთაურს, მაიორს შალამბერიძეს ნაბრძანები ჰქონდა დივიზიის შტაბიდან: რათაც არ უნდა დაჯდომოდა, ეს გზა დაეცვა და ფაშისტების სატანკო ნაწილები ხეობაში არ შემოეშვა, თორემ ქართული დივიზიის მარცხენა ფლანგი მოჭრილი აღმოჩნდებოდა.

ამ გორაკებზე მიწური დაცვის ხაზი ჰქონდა მოწყობილი ბატალიონს. ბლინდაჟებს შენიღბვაც არა სჭირდებოდა, რადგან დათოვლილი ჩირგვები ფარავდნენ მათ.

ყოველ ბლინდაჟში საზენიტო ზარბაზანი იდგა თითო, ორ-ორი სამთო ზარბაზანი, პეტერებიც ჰქონდათ ტანკების შესამუსვრელი თოფები.

გორაკებს შორის უმაღლესზე საკომანდო პუნქტი იყო. მწყემსურ ფაფახსავით აწოწილი იყო ეს წოპი, წიწვიანი ტყით შემოსილი. ერთადერთი მძაფრად დაკლაკნილი შარა ადიოდა ზედ, მხოლოდ ჯორებით ამოჰქონდათ საჭურველი და სურსათი. სამიოდე საზენიტო იდგა საკომანდო პუნქტზე, რადგან ტანკებს გარდა მტრის ავიაციაც ხშირად ესხმოდა ამ ბატალიონს თავს.

შეუნელებელ ბრძოლებში ბატალიონი თითქმის განახევრდა, მაგრამ წინააღმდეგობის სული შეუმუსვრელი აღმოჩნდა. უკუაქცევდნენ რომელიმე საატაკო კოლონას, გამოხდებოდა მცირეოდენი ხანი, ახლა მეორე და მესამე საატაკო კოლონა მოადგებოდა ხეობის ყელს.

ვიდრე ყინვები იდგა ფაშისტები არა ცხრებოდნენ, დაიწყო თუ არა საგაზაფხულო წვიმები, ამოისუნთქა ბატალიონმა. ერთბაშად შენელდა ფაშისტების შემოტევა. კაპიტანი შალამბერიძე აფრთხილებდა მეომრებს: ეს სიჩუმე მეხთატეხის კვირაძალიაო. წარამარა უთვალთვალებდა ბარომეტრს. სწორედ ამიტომაც წარგზავნა მან მტრის პოზიციებს გადაღმა მზვერავები: ხირჩლა ოჩიაური, კოლა სოკოლოვი და ნიკო როსტიაშვილი, რომელთაც მთელს დივიზიაში გაითქვეს სახელი როგორც უმამაცესმა მზვერავებმა და მთასვლელებმა.

ზამთრის პირობებში თხილამურებით, წრიაპებით და ბანდურებით აღჭურვილნი კავკასიონისა და მის განაშტოებთა მწვერვალებზე ისე გადადიოდნენ ხოლმე, როგორც საკუთარ კარის ზღურბლზე გადადის ხოლმე კაცი.

მზვერავებს საგანგებოდ აცმევდნენ ხოლმე თეთრი ბატკნის ტყავისაგან გაკეთებულ ტყაპუჭებს და ეს უადვილებდა მათ დათოვლილ მიდამოებში მტერთან მიპარვას.

დაზვერვის გარდა ისინი სხვა დავალებებსაც ასრულებდნენ. მიპარვით ხოცავდნენ გუშაგებს, პონტონებსა და ბოგირებს აფეთქებდნენ, ხანაც მაგრად გაკოჭილ ენებსაც მოათრევდნენ ხოლმე ბატალიონში.

როცა დიდი მასშტაბის ოპერაციების ჩატარება დასჭირდებოდა ბატალიონს, საგანგებოდ არჩევდნენ სვანებს, თუშებს ხევსურებს, მოხევეებსა და ფშაველებს.

მხოლოდ ერთ რამეს უჩივოდა მაიორი შალამბერიძე: ხირჩლა ოჩიაური ნამეტნავად ავგული იყო, თუ ძალიან გაუძალიანდებოდა რომელიმე ფაშისტი სასტიკ დღეს დააყრიდა ხოლმე მას.

ამ სამი მზვერავის წასვლის შემდეგ ბარე ათი დღე გავიდა, ბაიბური არ ისმოდა მათგან. ბატალიონის ხელმძღვანელობა ნაღვლობდა უკვე: ვაჲ თუ დაგვიხოცესო ეს მამაცი ვაჟკაცები.

ერთ ღამეს ლეიტენანტი სოლომონ გულუხაიძე იყო მორიგედ საკომანდო პუნქტზე. ნაშუაღამევს ქარწვიმა დაიწყო, გათენებისას თოვლი მოვიდა. ლეიტენანტი გულუხაიძე ბლინდაჟიდან გამოდიოდა, ისე შემოესმა ახალი თოვლის ჭრაჭუნი და ჭშენა. პისტოლეტი შეწკიპა და ფანარი მიანათა ბილიკის თავს.

სამი კაცი თითქმის მუხლებით ამოდიოდა ბილიკზე, ნაბადში გახვეულ ტვირთს მოათრევდნენ.

რომელი ხარო? შესძახა გულუხაიძემ.

თეთრჭურჭიანი ახმახი წელში გაიმართა.

„არ გვესროლო, ჩვენა ვართ“ სთქვა ხმადაბლა. გულუხაიძემ ხირჩლა შეიცნო.

სამმა თეთრქურქიანმა პირველსავე ბლინდაჟში შეათრიეს ტვირთი და როცა ჩაბადი შემოხსნეს, ფაშისტი ოფიცრის ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი წამოჯდა მხრებგაკრული საწოლზე, ძლივს იმაგრებდა ეს თმებგაბურძგვნილი თავს, უკმაყოფილოდ ჯაჯღანებდა თანადამსწრეთა გაუგებარ ენაზე.

ლეიტენანტმა გულუხაიძემ უბრძანა სერჟანტებს:

გაუხსენითო მხარმკლავი ტყვეს.

მზვერავებს ისე მაგრა გაეკოჭათ იგი, ვიდრე თოკებს შემოხსნიდნენ უკვე ინათა. გულახაიძე თავზე წამოადგა პირქვე დამხობილს. ჩაბალახი მოხსნა თავპირიდან. მხარზე ხელი მოუცაცუნა:

ადექიო მიაძახა.

მიწაზე დამხობილმა წამოდგომა არ ინდომა. წამოჯდა უცნაურად სახედაღრეჯილი, მუხლის თავები მტკივაო, მუნჯურად ანიშნა ლეიტენანტს. ერთხანს ასე იყო ორივე ხელზე დაყრდნობილი. ისე უმარჯვოდ იჯდა, კაცს ეგონებოდა სადაცაა წამოიქცევაო. გულუხაიძემ უბრძანა სერჟანტებს: პირიდან ბამბები გამოუღეთო“.

„კიდევ არ დაგვერიოს და არ დაგვკბინოსო მაგ სახეძაღლმა“.

სთქვა როსტიაშვილმა და მუნჯურად ანიშნა შენ თავათ გამოიღეო პირიდან ბამბა. როცა ეს მოხდა, ტყვემ კბილები დააკნაწუნა, თითქოს უნდოდა თავათ დარწმუნებულიყო: კბილები თუ შემრჩაო მრთელი. დასცქეროდა მიწას და ბუტბუტებდა თანადამსწრეთათვის გაუგებარ ენაზე.

„გააღვიძეთ სერჟანტი წიკლაური და აქ მომგვარეთ“, ბრძანა ლეიტენანტმა გულუხაიძემ.

მზვერავებმა ქურქები გაიხადეს, სველ ბანდულებს იხსნიდნენ.

„ლამის არ იყო თავი არ შამომაკლა, მაგ ძწერელო ტყვემ!“ ბურდღუნებდა ხირჩლა ოჩიაური.

ნიკო როსტიაშვილი ეუბნებოდა გულუხაიძეს:

„ღვინის ქურდი თხლეზე შეისწრეს, აგრე მაუვიდა ამ ნემენცს. სოფელში ორი ბატი მოეპარა. ტყისპირად ჩვენ ჩირგვებში ვიჯექით სულგანაბულნი. როცა გაგვისწორდა, ხირჩლა გამაენთო, შემკრთალმა მოუქნია ბატი და თავში უთაქა ხირჩლას.

ოცი წუთი ებრძოდნენ ერთმანეთს. ბოლოს წამოიკიდა ხირჩლამ და მიწაზე გააპრტყელა. მე თოკი მზადა მქონდა, მხრები გავუკარი. კარგა ხანს იწვა პირქვე დამხობილი. მერმე მივედით, გადმობრუნება რა დავუპირეთ, მაჯებში გვეცა, დაგვერია და ძაღლივით დაგვკბინა.

გაცოფდა ხირჩლა: დავახრჩობო მაგ გველის მართვეს, შეგვეშინდა არ მოგუდოსო, ძლივს გამოვართვით ხელიდან. კოლამ ბამბებით გამოუტენა პირი, ბოლოს წამოაჯდა ხირჩლა და როგორც ცხენს ამოსდებენ ხოლმე პირზე თოფრას, ისე აუკრა ჩაბალახით პირი“.

ბლინდაჟში მოსეირენი შემოიჭრნენ, წითელარმიელები გულმოდგინედ ათვალიერებდნენ ტყვეს. ახალგაზრდა იყო, დათვის ბელივით ჩაკურატებული. ბატიბჟიტის ფერი, მეჩხერი წვერი ჰქონდა, მოკლე ნიკაპიანსა და ლოყებგაბუშტულ გერმანელს. სიმინდის ხაშარივით წითელ-ყვითელი კულულები უწესრიგოდ ჩამოშლოდა შუბლზე. მარჯვენა ლოყასა და ყვრიმალზე ხიშტისაგან მიყენებული შრამები აჩნდა.

ვიდრე სერჟანტი წიკლაური მოვიდოდა, გულუხაიძემ წითელარმიელებს უბრძანა გარედ გასულიყვნენ. არაყი და თევზის კონსერვი გამოუტანა გათოშილ მზვერავებს.

ნიკო როსტიაშვილმა სამი თითით ამოიღო თევზი კონსერვის კოლოფიდან, პური მოუტეხა და გამოშვერილ ხელებში ჩაუდო ტყვეს.

მან თევზი ახლოს მიიტანა ცხვირთან, უსუნა და თავი შეიკავა ჭამისაგან.

„ჭამე შე, ღმერთძაღლო“, მიაძახა კოლა სოკოლოვმა.

„მოეშვით მაგ ღორისდასმულს თუ არ ჩაცეცხლავს პაპა ჩემთანაც წასუ-

ლა". ბუზღუნებდა ხირჩლა და მადიანად ილუკმებოდა. როგორც კი შემოვიდა სერჟანტი წიკლაური ტყვემ თავი ასწია და თვალი გაუმართა მას.

„Nun Bursche, was haben Sie uns zu berichhen?" [1] შეეკითხა წიკლაური.

ესეც შენიშნა: ტყვეს ეამა მშობლიური ენის გაგონება. სახის მუსკულები აუთამაშდა, წამოძალებული სიხარულის ნატამალმა გამოაშუქა მუქლურჯ თვალებიდან. ზემო-ტუჩი ოდნავ, სულ ოდნავ შეუტოკდა, ისევ მიწას დააშტერდა და გაოცებულმა სთქვა:

„Berichten?! Was soll ich hier berichten, Herr Serjant? Als einem Soldat der Reichsarmee mir abliegt zu schweigen. Sie haben doch wahrscheinlich gehört, Schweigen ist Gold manchmal" [2].

„Nein, nein junger Mann, das Schweigen ist nicht immer Gold..." [3] მიუგო წიკლაურმა.

ბოლოს დახედა მის ხელებს და უთხრა:

ტყვემ ცხვირთან მიიტანა თევზი და წაიბუტბუტა:

მოწამლული ხომ არ არისო ეს კონსერვი?

„რატომ ამბობთ ამას"? შეეკითხა წიკლაური.

„არა, მე ისე ვთქვი, განაგონი მაქვს თქვენ თურმე საჭმლით წამლავთ ხოლმე სამხედრო ტყვეებს".

წიკლაურმა ნამუსრევი აიღო როგორც კონსერვისაგან, ისე პურისაგან და პირში ჩაიდო, დაღეჭა და ირონიულად მიუგო:

„ხომ ხედავთ, თუ როგორ ვწამლავთ სამხედრო ტყვეებს?"

გერმანელმა პასუხის გაცემაც ვერ მოასწრო, ისე გაისმა სამხედრო კომანდა: „სმენა".

კარავში მყოფნი წამოცვივდნენ და მხედრულად გაიჭიმნენ. სამხედრო ტყვეც წამოდგა, იგიც ასევე მოიქცა.

ბლინდაჟში შემოვიდნენ მაიორი შალამბერიძე, უფროსი ლეიტენანტი გოდერძი ელანიძე და პოლიტხელი ეჯიბია, მაიორმა ბრაზიანი მზერა ესროლა ტყვეს და ლეიტენანტ გულუხაიძესა და სერჟანტ წიკლაურს გადახედა და უთხრა:

„აჭამეთ მაგ ოხერს და მერმე მე მომგვარეთ მესამე ბლინდაჟში".

ესა სთქვა მაიორმა და სამივენი ბლინდაჟიდან გავიდნენ.

*
* *

მაიორი შალამბერიძე თავდაპირველად დივიზიის შტაბში აპირებდა ახლად შეპყრობილი ტყვის გადაგზავნას, მაგრამ შტაბი საკმაოდ შორს იყო. მაიორს შეუძლებლად არ მიაჩნდა ისეთი რამ დასცდენოდა მას, რაც უსწრაფესს რეაგირებას მოითხოვდა, ამიტომ აჩქარებდა პოლიტხელს ეჯიბიას და თარჯიმანს წიკლაურს, რაც შეიძლება მალე მოეთავებინათ მისი დაკითხვა.

სამ დღეს ამაოდ ეწვალა თარჯიმანი წიკლაური, მაგრამ სახელისა და გვარისა და სამხედრო წოდების მეტი ვერაფერი ათქმევინეს.

ემილ ცუგმაიერ ლეიტენანტი.

იმ დღეებში ხირჩლას ცუგმაიერისაგან დაკბენილი მკლავი დაუჩირქდა, იგი წინდაწინ დარწმუნებული იყო, ტყვე გაჯიქდება, ჩვენებებს არ მისცემს წიკლაურს და საბოლოოდ მე გადმომიგდებენო „დასამუშავებლად" ჩას. ამიტომაც მესამე ბლინდაჟის შესავალთან იყო ატუზული მუდამ.

მეოთხე დღესაც ბევრი უჩიჩინეს ცუგმაიერს ეჯიბიამ და წიკლაურმა, არაყი წინ დაუდგეს, პაპიროზები შესთავაზეს, არც ერთს ხელი არ ახლო, სთქვა: არაყი ჩემს დღეში არ დამილევია, პაპიროზის ბოლსაც კი ვერ ვიტანო.

„მე ვიცი მაგის წამალი" ირონიით ეუბნება ეჯიბია წიკლაურს.

---

[1] „ჰაბუკო, რას გვიამბობ, ჰა?"

[2] „გიამბოთ? რა უნდა გიამბოთ, ბატონო სერჟანტო? როგორც გერმანიის არმიის სოლდათს მე დაკისრებული მაქვს მხოლოდ დუმილი, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში. თქვენ ალბათ, გსმენიათ, ბატონო, დუმილი ოქროა, და მართლაც დუმილი ოქროა ზოგჯერ".

[3] არა ახალგაზრდავ დუმილი ყოველთვის როდია ოქრო.

„აბა ერთი ხირჩლა ოჩიაური მომგვარეთ აქ“.

როცა ხირჩლა გაიჯგიმა პოლიტხელის წინაშე, ეჯიბია მიუბრუნდა წიკლაურს და უთხრა:

„ერთი გადაუთარგმნე მაგ წვერძაღლს: რაკი ადამიანური სიტყვა არ ესმის, ამ სერჟანტს გაჰყვეს დივიზიის შტაბში და იქ უჩვენებენ თუ რა ოქროა დუმილი“.

ცუგმაიერმა ახედა ამ დევკაცს, უსიამოდ შეიშმუშნა და განაგრძო დუმილი.

„ისიც უნდა გითხრათ, დასძინა წიკლაურმა, თქვენ ისე დაგიკბენიათ ჩვენი სერჟანტი, გარანტიას ვერ გაძლევთ ცოცხლად თუ მიგიყვანს იგი შტაბში. ეს სერჟანტი ისეთი ბრაზიანია, ხანდახან ჩვენც გვეშინია მისი“. ყასიდათ უთხრა წიკლაურმა. ცუგმაიერმა კიდევ ერთხელ შეავლო თვალი ხირჩლას, ახლა უკვე გააჟრჟოლა ტანში და სთქვა:

„დაუძახეთ ბატალიონის უფროსს, ზოგიერთ ცნობას მაინც მოგცემთ“. ესა სთქვა ბორძიკით, მაგრამ იქვე დასძინა:

„რა თქმა უნდა რაც მე შემეხება“...

როცა შალამბერიძე ბლინდაჟში შემოვიდა, დაფეთებული წამოვარდა ტყვე, სამხედრო სალამი მისცა მაიორს. ისევ დაჯდა, ვაგლახად წელში მოდრეკილი, ყურს მიუგდებდა დაკითხვას, უხალისოდ და ყოყმანით პასუხობდა.

ცუგმაიერი მასწავლებელი აღმოჩნდა, ქრისტიან სოციალისტური პარტიის წევრყოფილი. უცოლო, მორწმუნე კათოლიკე.

როცა წიკლაური ყუბანის მხარეში მომქმედი დივიზიების განლაგების საკითხებს შეეხო ფრთხილად, მან ორივე ხელი ზეასწია და ჰაერში გაასავსავა.

„არა, არა, მაგ ამბებს ნუ მკითხავთ, ეს მე არ მეხება“.

წიკლაურმა შენიშნა ზომაზე მეტად გაღერვიულებული იყო ტყვე, ახლა ისევ დაუყვავა, მისი ოჯახური ვითარების გამოკითხვას შეუდგა.

მოხუცი დედა მყავსო, მამა ომში მომიკლესო რუსებმა, არმიაში ჩემი გაწვევის დღეს სამზარეულოს გაზით მოიწამლა დედა და დაბრმავდაო, ჩემს გარდა პატრონი არა ჰყავსთ, მეო, ომ აქ მომკლან, ალბათ სამადლო სახლში გადაიყვანენო დედას კეთილი მეზობლები. ამბობდა დამწუხრებული, ორივე ხელი საფეთქლებზე შემოეწყო, დაღონებული დასჩერებოდა საკუთარ მუხლებს.

დამკითხველნი დაკვირვებით უთვალთვალებდნენ ტყვეს. დედის ხსენებამ ოდნავ სულ ოდნავ აუწყალა თვალები მას. მღელვარების დასაოკებლად ერთი დაახველა, მის წინაშე დაყრილ პაპიროსებს დახედა, მოწევის ნება სთხოვა მაიორს, და როცა ნება დართეს, გააბოლა. (სულ დაავიწყდა პაპიროსს არ ვეწევიო, რომ ამბობდა წეღან).

„საერთოდ მე მერჩია მოვეკალი იმ საშინელ კაცს, რომელმაც დამიჭირა, ამოიკვნესა ტყვემ. ოჰ, რა ღონიერი ყოფილა ის სერჟანტი, საკრამენტ, საკრამენტ [1].

როცა ის თეთრჭურჭიანი სერჟანტი მეცა, აგრე მეგონა: ჩრდილოეთის თეთრი დათვი დამეძგერა მეთქი... მე ბოქსიორი ვიყავი სტუდენტობის დროს, ხუთი წუთის მანძილზე ძლივს გავუძელი. ლავიწები კინაღამ არ ჩამილეწა, ახლაც ყოველი სახსარი მტკივა მასთან ნაბრძოლს“.

„ბავარიელი ხარ?“ შეეკითხა წიკლაური.

ბავარიის ხსენებაზე სახე გაუბრწყინდა ცუგმაიერს.

„თქვენ როგორ მიხვდით მე ბავარიელი ვარ, ჰა? მაპატიეთ ცნობის წადილი და თქვენ სად ისწავლეთ გერმანული ენა? რა საქმის კაცი იყავით ომამდის?“ ზედიზედ მიაყარა კითხვები ტყვემ.

წიკლაურმა გაიცინა და უპასუხა, მოკლედ:

გერმანული ბავარიაში ვისწავლე. ბავარიაში იტყვიანო „საკრამენტს“. ომამდის დოცენტი ვიყავი თბილისის უნივერსიტეტში.

ცუგმაიერი გაოცდა:

[1] იტალიური წყევლა ბავარიულ ჟარგონში შესული.

„როგორ განა უნივერსიტეტიც გაქვთ თქვენ თბილისში? საერთოდ თქვენი ქვეყანა არც ისეთი ბნელი ყოფილა, როგორც გაზეთები სწერდნენ. მე აგრე მსმენია, კავკასიაში დათვები შეიპარებიან ხოლმე ქალაქში და შაქარს იპარავენო“.

როგორც კი გუნება გამოუკეთდა ტყვეს, წიკლაურმა სატანკო დივიზიების დისლოკაცია ახსენა ისევ. უცნაურად აიმღვრა და ათუხთუხდა ცუგმაიერი:

„ჰერრ, დოცენტ მართალია მე ფაშისტი არა ვარ, მაგრამ ფიცით ვარ შეკრული. გთხოვთ ჩვენი არმიის დისლოკაციის ამბავი მეტი აღარ მკითხოთ, მე მორწმუნე ვარ, ფიცი მაქვს მიცემული გესმით? სულ ერთია ვერაფერს დამაცდევინებთ“.

მაიორმა შალამბერიძემ სთქვა:

„ამხანაგო სერჟანტო, გადაუთარგმნეთ სამხედრო ტყვეს: როგორც თავათ ამბობს იგი მასწავლებელი ყოფილა და ქრისტიანი. ბატები მაინც მოუპარავს. როგორც ვიცით ქრისტე ქურდობას არ ჰქადაგებდა, არა?“

როცა ყოველივე ეს გადაუთარგმნეს ტყვეს. იგი ისევ ათუხთუხდა, ნერვიულად დააპარპალა თავისი მწითური წამწამები და თითქმის იყვირა:

„ოო, ეგ დარჩება ჩემი ცხოვრების უდიდეს სირცხვილად, მართალს ბრძანებს ბატონი მაიორი, მე მოვიპარე ორი ბატი, ისინი არც მიჭამია, როგორც იცით. მე ძლიერ მიყვარს ბატი მერმე რუსული ბატი, რუსულ ბატზე უფრო გემრიელი ქვეყანაზე არაფერია. ჩემო ბატონებო შიმშილი ისეთი აფთარია, თუ იგი ქეჩოზე დაგაჯდა რას არ ჩაგადენინებს.

მე ვამტკიცებ თუ კაცობრიობამ სიმშილს სძლია, დანაშაულები თუ სავსებით არა, სანახევროდ მაინც შემცირდებიან“.

წიკლაურს შეეშინდა ნამეტნავად განყენებულ საუბარზე არ გადავიდესო ტყვე, ისევ შეეკითხა სატანკო დივიზიის გამო, მაგრამ ცუგმაიერი გველცემულივით ზეწამოიჭრა და ისტერიული ხმით იყვირა:

„არა არ შემიძლია, მე ღმერთი მწამს, უსინათლო დედა მყავს სახლში, არ შემიძლია ფიცს ვერ გამატეხინებთ“.

მაშინ მაიორმა შალამბერიძემ ხელახლა ახმობინა ხირჩლა ოჩიაური, ცუგმაიერი გაიტვრინა ხირჩლას დანახვაზე და ასადგომად ვერ აკრიფა ძვლები.

შალამბერიძემ ხმამაღლა უთხრა სერჟანტს:

„წაიყვანე სამხედრო ტყვე ემილ ცუგმაიერი დივიზიის შტაბში ახლავე“.

ხირჩლამ მკლავში წაავლო ხელი ცუგმაიერს და ქართულად უთხრა: „ადექი შე ღორისდასმულო“.

ცუგმაიერმა კარგად გაარჩია მისთვის გაუგებარ ენაზე ნათქვამი თავისი სახელი და გვარი, „დივიზია და შტაბი“ ადგა და აცახცახებული მიჰყვა ბლინდაჟის გასასვლელამდის ოჩიაურს, მერმე გამობრუნდა, ისევ თავის ადგილზე დაჯდა და განაგრძო ჩვენება.

გამოირკვა: ფაშისტების სატანკო დივიზია მდგარა დელტის გადაღმა. ფაშისტების შემოტევა იმიტომაც შეწყვეტილა ადრიან გაზაფხულზე, რომ მათ ბენზინი და საარტილერიო საჭურველი შემოკლებიათ. ახლა ყოველივე მზადა აქვთ შემოტევის დასაწყებად, უგუდრონო თემშარაზე ტანკები ბუქსაობას დაიწყებენო.

ისიც ათქმევინეს ცუგმაიერს: როგორც კი ოდნავ მოყინავს გზებს, წამსვე შეტევაზე გადმოვაო ას მეხუთე სატანკო დივიზია. არც ის დაუმალავს ცუგმაიერს: ამ დივიზიამ გზა უნდა გაუხსნასო მის უკან მომდგარ შტურმბატალიონებს და ენჯუკის ხეობით საქართველოში აპირებენო შეჭრას.

ცუგმაიერისავე ჩვენებიდან გამოირკვა, რომ მარტის პირველ რიცხვებში ას მეხუთე დივიზიის შტაბს დივერსანტები გადაუსხამს თვითმფრინავით ენჯუკის ხეობაში, ამ დივერსანტებისათვის დაუვალებიათ ამ ხეობის ტოპოგრაფიული პირობებისა და გზების შესწავლა. დესანტის ხელმძღვანელი ყოფილა

კონტრდაზვერვის ჰაუპტმანი[1] რუდოლფ შტამლერ.

ბატალიონის ხელმძღვანელობამ დაუყოვნებლივ ტელეფონით აცნობა ეს ამბავი დივიზიის შტაბს და მაშველი ძალა ითხოვა. უპასუხეს დივიზიის შტაბიდან: როგორც კი ლეღმა მოთავდება და გზებს ოდნავ მოყინავს, წამსვე გამოგიგზავნითო მაშველ ძალას.

* * *

სამ დღეს კიდევ ყინყღლავდა მთებში, ბოლოს დასავლეთის ქარმა დაუბერა და ყინვები დაიწყო. პირველ ღამეს მთელი ბატალიონი ფეხზე იდგა. გათენებისას ჯერ კიდევ რიჟრაჟის ბურუსით იყო მოცული დელტის გადაღმა მთვლემარე ტყე და სწორედ აქედან მოისმა ტანკების ბუბუნი.

ბატალიონის კომანდირი შალამბერიძე, მისი შემცვლელი უფროსი ლეიტენანტი ელანიძე და პოლიტხელი ეჯიბია უკვე ბინოკლებიდან ხედავდნენ თუ როგორ გამოდიოდნენ ტანკები ტყიდან.

„გახსენით ცეცხლი“ იყვირა შალამბერიძემ და ლეიტენანტმა გულუხაიძემ ტელეფონით აცნობა ეს ბრძანება დანარჩენ ბლინდაჟებს.

როგორც საკომანდო პუნქტის ისე გორაკების ბატარეები აქუხდნენ. აკაკანდნენ ტყვიამფრქვევები.

მაიორი შალამბერიძე ხედავდა ორი ტანკი წყობიდან გამოიყვანა არტილერიის ცეცხლმა, მაგრამ დანარჩენებმა სისწრაფეს უმატეს და უკვე უახლოვდებოდნენ დელტას, ცეცხლის გრიგალის მიუხედავად მოისწრაფოდნენ ხეობის ყელისაკენ, თავათაც საპასუხო ცეცხლს უშენდნენ ბლინდაჟებს.

ცხადი იყო განსაცდელი ახლოვდებოდა. თუ ეს კოლონა ხეობაში შეიჭრებოდა, მერმე გაძნელდებოდა მისი უკან გამოყვანა. გარდა ამისა, მან არც კი იცოდა თუ რამდენი ტანკი, ან რამდენი სამარქაფო ბატალიონი მოყვებოდა ამ სატანკო კოლონას. ბრძანება გადააცემინა ბლინდაჟებისთვის, მომსახურე პერსონალი ზარბაზნებთან და საზენიტოებთან დარჩენილიყო, ხოლო დანარჩენებს პეტერები, გრანატები და ბოთლში გამზადილი საწვავით შეგებებოდნენ ტანკების კოლონას.

გამოღმელ ბლინდაჟებიდან გამოსულმა მეომრებმა ფერდობზე გაფენილი ტყე ისაფრეს, გაიფანტნენ, იდაყვებზე ხოხვით ჩამოსრიალდნენ დაღმართში და გაშლილ თემშარაზე გადაეღობნენ ტანკებს.

„იერიშზე — ურაა“! იყვირა შალამბერიძემ და ზედგომილად გაუძღვა მეომრებს წინ. პირველ ტანკს ესროლა გრანატა, ტანკი აფეთქდა, მაგრამ მის უკან მომავალი ტანკის ლუკიდან ამოძვრა ფაშისტი, ავტომატი ესროლა შალამბერიძეს. შალამბერიძე წაიქცა.

გოდერძი მიეჭრა მძიმედ დაჭრილს და იყვირა:

„თქვენი განკარგულება, ამხანაგო მაიორო“.

„იერიშზე წაიყვანე ბატალიონი“.

უბრძანა უფროს ლეიტენანტს სულთმობრძავმა შალამბერიძემ.

გოდერძი მიუბრუნდა მის უკან მომავალ მეომრებს და შესძახა:

„ისმინეთ ჩემი კომანდა!“ თავათაც ზედგომილად წაიყვანა ატაკაზე მის უკან გაფანტულად მომავალი მეომრები, მეთაურ ტანკს ესროლა გრანატა, უზარმაზარი ტანკი „ადოლფ ჰიტლერი“ აფეთქდა.

ახლა მის უკან მომავალი ტანკი დაწინაურდა, იგი ტყვიამფრქვევიდან ესროდა მთის ფერდობზე ხოხვით მომავალ მეომრებს. ვიღაცამ ფაუსტ პატრონა ესროლა ამ მეორე ტანკს, მას მუხლუხოები გაუფუჭდა და დადგა.

ლეიტენანტი გულუხაიძე იდაყვებზე ხოხვით შესრიალდა მის ქვეშ და გაინაბა, სამი ტანკისტი ზედიზედ დაცხრილა გულუხაიძემ.

ამ ტანკებს უკან კიდევ ორ ტანკს გაუფუჭეს მუხლუხოები სეტყვასავით წამოსულმა გრანატებმა. სერჟანტი ხირჩლა ოჩიაური ცალ მუხლზე დაჩო-

[1] ჰაუპტმანი — პოლკოვნიკი, მეთაური, თავკაცი.

ქილი ესროდა გაფუჭებულ ტანკებიდან გადმომხტარ ფაშისტებს, მერმე ერთი გაფუჭებული ტანკი ისაფრა, აგრე ხოცავდა ტანკებიდან გამოცვენილთ. ტყიდან სულ ახალი და ახლი ტანკები გამოდიოდნენ, ცეცხლის ქარბორბალას უშენდნენ თემშარას გაყოლებით გამოსულ ბატალიონს.

ფიქვნარში ჩასაფრული მეომრები პეტერებს ესროდნენ ტანკებს. წყობიდან გამოსული ტანკის ლუკიდან ამოძვრა თმებგაბურძგვნილი ტანკისტი. მისგან გასროლილმა ტყვიამ თავისქალა გაუხვრიტა ხელაანთ ვანოს. სამხრამდის გასტანა სისხლისღვრამ, ბოლოს უკუქცევას დაადგა ტანკების კოლონა და ტყეს შეაფარა თავი.

* * *

კარგა ხანს ეყოთ ფაშისტებს ეს სისხლიანი გაკვეთილი. ბატალიონიც საგრძნობლად დაზარალდა. მაიორი შალამბერიძე და ორასამდის მეომარი ყუბანის პირად გათხრილ ძმათა სასაფლაოზე დამარხეს.

შალამბერიძის შემცვლელად მაიორი თუხარელი გამოგზავნეს. მეორე დღეს მოვიდა დივიზიის შტაბიდან ბრძანება: დაუყოვნებლივ გაეგზავნათ გამოცდილი მზვერავი მთასვლელები და რათაც არ უნდა დასჯდომოდათ „დაევარცხნათ“ ენჯუკის ხეობის სექტორის მთათა მწვერვალები და დივერსანტები შეეპყრათ.

ბატალიონის ხელმძღვანელებმა მოითათბირეს და გადაწყვიტეს: ჯერ სამიოდე გამოცდილი მზვერავი წარეგზავნათ გზებისა და ვითარების შესასწავლად. ისინი გამოარკვევდნენ წინასწარ: თუ რითი წაეღოთ იარაღი, საჭურველი და სურსათი.

მოხალისენი თავათ გამოცხადნენ: ნიკო როსტიაშვილი და კოლა სოკოლოვი. ოღონდ ისინი ამას სთხოვდნენ ბატალიონის მეთაურს: ხირჩლა ოჩიაური და ერთი ჯორი გაგვატანეთო.

მზვერავები მზადებას შეუდგნენ, მაგრამ ცუგმაიერისაგან დაკბენილი ხირჩლას ინფექცია ჩასვლოდა ჭრილობაში და სიცხე მისცა გამგზავრების წინა ღამეს, თუმცა ხირჩლამ წასვლა დააჭირა, ბატალიონის ექიმმა ნება არ დართო.

როსტიაშვილმა და სოკოლოვმა უთენია აჰკიდეს ჯორს ერთი კარავი, საჭურველი და გზას დაადგნენ.

ათი დღე გავიდა და მზვერავები აღარსად სჩანდნენ. შეშფოთდა თუხარელი ბატალიონის კომანდირი: დივიზიის უფროსის ბრძანების შესრულება გვიანდებოდა, თანაც მათ აწუხებდა საუკეთესო მზვერავების აგრე უკვალოდ დაკარგვა.

პოლიტხელმა ეჯიბიამ წარდგინება გაუკეთა მაიორ თუხარელს: ნება მიბოძეთ ათი გამოცდილი მთასვლელი შევარჩიო, მე დავიჭერ დივერსანტებს, გზადაგზა ჩვენ მზვერავებსაც მოვძებნიო. ახლადდანიშნული ბატალიონის უფროსი ვერ შეელია გამოცდილ პოლიტხელს, უფროსი ლეიტენანტი გოდერძი ელანიძე ახმობინა და დაავალა: ათი საუკეთესო მთასვლელი, გამოცდილი მზვერავი შეერჩია და დაუყოვნებლივ წასულიყო მთებში.

გოდერძიმ მიუგო:

„თუ თქვენი ნებაც იქნება, ათი ბევრია ამხანაგო მაიორო, გაგვიჭირდება მათთვის საკმარისი სურსათის იმ ღრანტებში თრევა და ეს ნაკლებად მობილურს გახდის ჩასატარებელ ოპერაციებს. მე მინიშნებული მყავს ერთი თუში, ერთი ხევსური, ერთი მოხევე და ერთი სვანი, თუ კიდევ ერთ მოხევესაც გამატან, სავსებით საკმარისი იქნება“...

„რომელი ერთი?“

შეეკითხა მაიორი.

„სერჟანტი წიკლაური, შიოლა. იგიც საუკეთესო მთასვლელია და გულადი ვაჟკაცი... მოგეხსენებათ: დივერსანტს, ან „ენას“ რომ დაიჭერ, ძნელია მუნჯურად მისი წამოყვანა. ამას წინადაც ჩივოდნენ ჩვენი მზვერავები: თარჯიმანი წიკლაური რომ თან გვყოლოდა ცუგმაიერის ჩამოთრევა არც ისე გაგვიჭირდებოდაო. მართლაც და მოგეხსენებათ, ბანდახან სიტყვა თოკზე უკეთ დააბამს კაცს“.

მაიორს გაეცინა და სთქვა: საქმე ისაა, წიკლაური ჩვენ გვესაჭიროება აქ, უცხო

ენის მცოდნე ბატალიონსაც არ აწყენს, მაგრამ რა ვქნა, ოღონდ ის დივერსანტები დაიჭირე და ჩვენი ბიჭები გამოჩხრიკე, ჯანი გავარდეს წაიყვანე სერჟანტი წიკლაური“.

გოდერძიმ თან წაიყვანა ლეიტენანტი გულუხაიძე, სერჟანტები: შიოლა წიკლაური, გიგოლა აფხანაური, ეგნატე ბენდელიანი, ხირჩლა ოჩიაური, რომელსაც უკვე მორჩენილი ჰქონდა მკლავი. ორ ჯორს აჰკიდეს ერთი ტყვიამფრქვევი, ერთი კარავი, საჭურველი, სურსათი და შეუდგნენ აღმართებს.

ჩაიცვამდნენ თავიანთ ტყაპუჭებს, ივლიდნენ, ივლიდნენ ხევ-ხევ, ისევ მთას გადაივლიდნენ, ჩავიდოდნენ ბარში აქ გაზაფხული დაუხვდებოდათ მთელი თავისი ბრწყინვალებით გამოსხივებული. არა მარტო ია და იელი, ალაგ-ალაგ ტყემლებიც ჰყვაოდნენ.

ისევ შეუდგებოდნენ მთას, ხელახლა გადმოიღებდნენ თავიანთ ტყაპუჭებს, ივლიდნენ, ივლიდნენ აქ ზამთარი შეეყრებოდათ გაზაფხულის ალერსით გამთბარებს, თავისი დაუცხრომელი ქარწვიმითა და ქარბუქით. ზვავები უკეტავდნენ გზებს.

გაყინულ ბილიკზე ვეღარ დადიოდა ტვირთიანი ჯორი, ხირჩლა ოჩიაურსა და ეგნატე ბენდელიანს აკიდებდნენ ტყვიამფრქვევს, ხოლო ჯორი ორ-ორ კაცს მოჰყავდათ. ხანდახან გაურჩდებოდა ჯორი, სამნი ძლივს დასძრავდა ხოლმე ადგილიდან ჭირვეულ ცხოველს.

შევიდოდნენ აულში გამოჰკითხავდნენ დიდსა და მცირეს დივერსანტებისა და დაკარგული მზვერავების ამბავს, ისევ შეუდგებოდნენ დამრეცილ ბილიკებს...

ივლიდნენ, ივლიდნენ.....

ერთ დღეს ორი ოსი შემოეყარათ, ერთი მოხუცი და ერთიც ჟღალწვერიანი. ჯიხვი მოეკლათ და ღვლეჭით მოათრევდნენ ნადირს.

გოდერძიმ გამარჯვება უთხრა მგზავრებს, მათაც იგივე ჰკითხა რაც მრავალთათვის უკითხავს მრავალგზის.

მოხუცი ცხინვალელი აღმოჩნდა, ქართულსა და ოსურს ერთმანეთში ურევდა. და სთქვა ამ ოსმა ასეთი რამ:

„ამ ერთი კვირის წინ მე და ჩემი ქვისლი ჯიხვზე სანადიროდ მივდიოდით შუანას ხევისკენ. აი იმ მთას რომ გადახედავთ, ამის შემდეგ ნახევარ დღეს ივლით, ხევის წისქვილი შეგხვდებათ ერთი. ამ წისქვილთან სროლა იყო, ჩვენ ტყეში ვიყავით განაბულნი, და ვხედავდით თუ როგორ ესროდნენ ვიღაცეები ავტომატებსა და შაშხანებს ერთმანეთს.

აქეთობას ჩვენ გამოვკითხეთ მეწისქვილეს, მან აგრე გვითხრა. ორს ებრძოდნენო შვიდნი.

წისქვილს გამოვცდით ერთი საათის სავალზე, სამი მოხუცი ჩერქეზი შეგვხვდა. ისინი სანადიროდ მოდიოდნენ. იმ წისქვილის მახლობლად ერთი აულია კლდის პირად, იმ აულიდან ყოფილან ის ჩერქეზები. ისინი ამ ჩემი ქვისლის ნაცნობები აღმოჩნდნენ. გამოვკითხეთ წისქვილთან მომხდარი შეტაკების ამბავი. ერთმა მათგანმა ასეთი რამ გვითხრა, ალდარ: [1]

ჩვენ მთლად უცნაური ამბავი ვნახეთ. იმ წისქვილიდან ერთი დღის სავალზე, ულრანი ფიჭვნარია ერთი. ამ ფიჭვნარში საყდრის ნანგრევია ერთი, ქარაფის პირად, მის მახლობლად მუსულმანების სასაფლაო, სასაფლაოს ზევით დანგრეული მეჩეთი. იქ შველზე ვნადირობდით ამ სამი დღის წინად, ოთხმა იარაღიანმა ორი გაკოჭილი კაცი გამოათრია ნასაყდრალიდან, არ ვიცი ის ორნი ცოცხალი იყვნენ თუ მოკლული, აიღეს და ქარაფიდან გადაისროლეს.

ჩვენ შევშინდით და შორს მოვიარეთ, მეჩეთთან მოვედით, იქიდან ფრთხილად მივეპარეთ იმ ნასაყდრალს, ვიღაც მელოტი კაცი დაცუცქული იყო ეზოში, თხას წველავდა. ეს იყო და ეს სხვა ვერაფერი ვნახეთ. ბოლოს ის მელოტი კაცი სადღაც გაჰქრა. კარგა ხანს ვიცადეთ ფიჭვნარში. სხვა ადამიანის ჭაჭანება არსად იყო. აი, ეს არის ყველაფერი რაც ჩვენ გავიგონეთ, ალდარ. კარგია თქვენ რომ შეგხვდით, ჩემი ქვისლი

[1] ა ლ დ ა რ — ოსურად ბატონი.

დღეს თემსაბჭოში აპირებდა ამის განცხადებას“.

გოდერძი აიმღვრა ამის გამგონე. ოსებს მადლობა უთხრა ამ ცნობის მოწოდებისათვის. ვიჩქაროთო გადასძახა მეომრებს.

რამდენიმე ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრო გოდერძიმ, ისევ გამობრუნდა ცხინვალელი ოსი და მიაძახა:

„თქვენ თუ გგონიათ ამ ჯორს იქ აიყვანთ? იმ მთებში თხებიც ძლივს ადიან, ალდარ“.

„სად ცხოვრობ?“ შეეკითხა გოდერძი.

ოსმა მთის უბეში მიყუჟულ ქოხებზე ხელი მიაშვირა:

„ე, ის მეორე სახლია, ჩემი ქვისლისა, მე იქა ვცხოვრობ, ალდარ“.

„აბა, იცი რას, გეტყვი, ძია კაცო, ეს ჯორები თქვენ ჩაიბარეთ, თუ მშვიდობა იქნა გამოვივლით და თან წავიყვანთ“.

„მშვიდობა მოგცეს მამაღმერთმა, ალდარ“. სთქვა მოხუცმა და ორივენი მოასხდნენ ჯორებს.

ტყვიამფრქვევი ხირჩლამ და ბენდელიანმა აიკიდეს ახლა. ბილიკები ისევ მაღლა და მაღლა მიიწევდნენ. ისევ დაიწყო წიწვიანი ტყის საუფლო. იალბუზი იჯდა მარმარილოს ტახტზე, ზეცის თავნისათვის შეეშვირა თავი.

„მე არ ვიცი ჯოჯოხეთი მართლაც თუ არსებობს, მაგრამ თუ სადმეა იგი, ასეთი ბილიკები იქნება მანდაც“. გაიხუმრა ლეიტენანტმა გულუხაიძემ.

მხოლოდ მეორე დღეს მიაღწიეს ხევის წისქვილამდის. სამი ქალი კერასთან იჯდა, მეწისქვილე აულში წასულიყო. გოდერძიმ შეამოწმა ოსების ნათხრობი. სამივემ დაადასტურეს: ხანგრძლივი სროლა იყოვო იმ დღეს. ტყვიებით დაცხრილული კედლები უჩვენეს. შვიდი კაცი შეუსწრიათ ამ წისქვილში ორს... ჩვენ აულში ვიყავით, ეჰ, იმ მთის წოპზე, კაცები შინ არ იყვნენ, შიშისაგან ვთრთოდითო.

ბოლოს მეწისქვილეც მოვიდა. გოდერძიმ დაიმარტოხელა მოხუცი. თანამიმდევრულად, თავაზიანად ფრთხილად გამოჰკითხავდა უმცირეს დეტალებსაც. მეწისქვილემ ასეთი ჩვენება მიხა:

ეს ჩვენი წისქვილი შესაკეთებელი იყო, ოსტატები დააყენაო თემსაბჭომ. ისინი ჯარში გაიწვიეს. გელაზები დაზიანებულნი იყვნენ, მე საქმე არა მქონდა, ამიტომაც აულში გადავსახლდი. მოსულან შვიდნი, ბოქლომი გაუღიათ, ისევ დაუკეტიათ, უკანა კარიდან შედიოდნენ და გამოდიოდნენ ღამღამობით თურმე.

იმ ორს მიუკვლევიათ, სროლა აუტეხიათ შვიდ კაცს, სამნი მოკლეს მაგრამ დანარჩენები გამოცვივდნენ, დაჭრეს, გაკოჭეს ის ორი და სადღაც გაიტაცესო.

„მერმე ხალხი არ იყო ახლომახლოს?“ შეეკითხა ლეიტენანტი გულუხაიძე მოხუცს.

„რომელი ხალხი, ჩვენ აულში ხუთი მოსახლეა, ახალგაზრდები ჯარშია, ჩვენ ბებრებს ბრძოლის თავი სადა გვაქვს?“

„შენ როგორ ფიქრობ, ისინი ვინც წისქვილში იმალებოდნენ, ყაჩაღები იყვნენ, თუ ფაშისტები?“ შეეკითხა გოდერძი.

„მე რა ვიცი შვილო, თავათ არ მინახავს არც ერთი“. მიუგო მეწისქვილემ.

„რაიმე ხომ არ დარჩენიათ წისქვილში, აქ?“ შეეკითხა გოდერძი.

„იმ ორს, ვინც დაჭრეს და გათოკეს, ერთი ჯორი დარჩენიათ, ასე გვიამბეს ქალებმა და მთავრობას ჩააბარეს ის ჯორი.

გარდა ამისა, გუშინ ვიპოვნე ჩემს სასთუმალს ქვეშ ერთი რევოლვერი და ერთიც უცნაური ნივთი, რომლის დანიშნულება არ ვიცი“. სთქვა მეწისქვილემ და გოდერძის გადასცა ვალტერის სისტემის რევოლვერი და ელექტროფანარი „ხოჭო“.

როცა გოდერძიმ ამ საგნების სახელურებს დახედა, ამოიკითხა: „ნიორთავა“. ახლა ცხადი გახდა, რომ ნიკო როსტიაშვილი და კოლა სოკოლოვი უნდა ყოფილიყვნენ ის ორნი, რომელნიც ებრძოდნენ წისქვილში შვიდ კაცს.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლადო ასათიანი

ორი ლექსი

★

ისე გავიდა ეს გაზაფხული...
.მე ერთი სიტყვაც არ მახსოვს შენი,
მე სიყვარულით ვარ დაზაფრული,
კიდეც რომ გსურდეს, ველარ მიშველი,
ისე გავიდა ეს გაზაფხული,
მე ერთი სიტყვაც არ მახსოვს შენი.

რა დაგიშავე, მითხარი, ბარემ,
რად ამითრთოლე მგზნებარე გული,
რისთვის მომიკალ, რად გამიმწარე
ეს სიჭაბუკე და გაზაფხული.

მე სიყვარული ამიტანს უცებ,
დაგეძებ, დამდევს ფიქრთა კრებული
დავიარ თბილის ქალაქის ქუჩებს
და დავბრუნდები აცრემლებული.

ვაი, სად გნახო, საით იქნები
ვიცი, გარბიხარ და მემალები,
შენ დაგეძებენ ჩემი ფიქრები
და ამღვრეული ჩემი თვალები.

ჩემთვის ერთია, სადაც იქნები,
ჩემს სიყვარულში დაგაჯერებენ,
შემოგხვდებიან ჩემი ფიქრები
და ჩემს მაგივრად გაგაჩერებენ.

შენ შემომხედავ მწყრალი თვალებით
გაიცქრიალებ და შებრუნდები,
მე, ვნებიანი და ნამთვრალევი,
გეტყვი — აროდეს არ შემძულდები.

ნუ გაფრინდები, ჩემო ოცნებავ,
ნუ გაგიტაცებს თრთოლვა ქალური,
მე შენთვის მინდა ეს საოცრება,
ეს სიჭაბუკე და სიყვარული.

ნუ მათქმევინებ ამ გაზაფხულზე:
— ნეტავი მიწა მეყაროს გულზე,

ჰოდა, თუ მოხვალ ვარდებით ხელში,
(პოეტებს უყვართ ვარდის სურნელი),
ვიმღერებ მუდამ მე შენი ეშხით
და სიყვარულით განუკურნელი.

დავლევთ სიყვარულს, როგორც ტკბილ ღვინოს,
გეტყვი, რაც დამაქვს გულში ფარული.
მერე წავიდეთ, დავაგვირგვინოთ
ეს სიჭაბუკე და სიყვარული.

1938 წ. 26 ოქტომბერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაიფიქრებ და გაგიხარდება

★

თამარსა ვაშლოვანელსა
ვაშლი უდგია თავსაო,
რიგი მწიფს, რიგი ყვავილობს
მისი სამარის კარსაო

ხალხური.

გაიფიქრებ და გაგიხარდება,
რომ მისი ხმალი ახლაც კაშკაშებს
და საქართველოს მტრების სარბევად
უხმობს უშიშარ ქართველ ვაჟკაცებს.

ქალმა თუ ერთხელ მკლავი გაშალა,
ქალმა თუ მისი არ დაიშალა,
ვერ დააკავებს ჯვარი ლაშარის,
ვერც ცხრა უღელი კამეჩის ძალა.

მას არ ჰქონია ძალა კამეჩის
თათრების ურდო მაინც გათელა
და საქართველოს წყვდიად ღამეში
გაკვესა, როგორც ციცინათელამ.

მას არ ჰქონია კამეჩის ღონე,
ლეკების ურდო მაინც გათელა
და ვაშლოვანის ვაშლისფერ გორებს
გადაუარა ციცინათელად.

მას უფრო მეტი ჰქონდა სინაზე,
უფრო ნაკლები ღონე და ჯანი,
მაგრამ მას ჰყავდა მტრების ჯინაზე
ლეჩაქიანი ქალების ჯარი.

გაიფიქრებ და გაგიხარდება,
რომ ახლაც ელავს მისი ლეჩაქი
და საქართველოს მტრების სარბევად
ყველა გულმართალ პოეტს ეძახის.

და თუ პოეტის სახელი გქვია,
უნდა ემთხვიო სისხლიან ლეჩაქს,
უნდა უმღერო მთაწმინდის ნიავს
და ვაშლოვანის ვაშლისფერ ზეცას.

და თუ პოეტის სახელი გქვია,
დაჯექ, აანთე გული — საკირე,
უსმინე ვაშლის ხეების შრიალს
და საქართველოს მტრები აგინე.

გაიფიქრებ და გაგიხარდება,
რომ მისი ხმალი ახლაც კაშკაშებს
და საქართველოს მტრების სარბევად
უხმობს უშიშარ ქართველ ვაჟკაცებს.

1940 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმონ მთვარაძე

ფალავანი

★

თბილისის სადგურზე კახეთის მატარებელი ჩამოდგა და ვაგონიდან ტალიკ-ტალიკი ბიჭები გადმოხტნენ.

მათ ერთი გინგლდაყრილი ყმაწვილი გამოეყო.

— ლევან, შენ აქ რა გინდა? — შეჰყვირა ბაქანზე მდგომმა ახალგაზრდამ. ჩამოსული დამხვდურს გადაეხვია და ერთმანეთი გადაკოცნეს. ისინი ძმები იყვნენ. მათ სხვებიც შემოეხვივნენ და გაისმა აღტაცების შეძახილები:

— ირაკლის სალამი!

— ჩვენ დაგვხვდი თუ შენს ძმას?

— თქვენ დაგხვდით, მეგობრებო! ფიზკულტურის კომიტეტში მითხრეს, თქვენებურები დღეს ჩამოდიანო. მაგრამ ეს რაღაც წამოგიყვანიაო? ამას რაღა უნდა თქვენთან?

გუნდის მწრთვნელის ეშმაკურმა ღიმილმა და ორმა სიტყვამ — „გუნდის თვალიაო“ ირაკლი უფრო განაცვიფრა.

— რაო? — იკითხა მან დაბნეულად.

— წამოვიდა, რომ საქართველოს ფალავნობა მოიპოვოს. სიტყვა თუ არა გჯერა, ამას საქმით დაამტკიცებს! — მწრთვნელი კვლავ იღიმებოდა.

— ფალავნობა არც ისე იოლი საქმეა! განა მაგდენი შეუძლია?

— ნახავ, რაც არის! — შესძახა რამდენიმე ხმამ ერთად.

ირაკლიმ თავისი უმცროსი ძმა თავით ფეხებამდე აათვალიერა. არც ისე დიდი ხანი იყო გასული, რაც ძმა არ ენახა, მაგრამ ბევრი რამ ეუცნაურა; თითქოს უცებ გაზრდილიყო, დავაჟკაცებულიყო, ბეჭები განზე გასვლოდა, მკერდი წინ წამოსწეოდა, დამრგვალებული კუნთები ხალათში არ ეტეოდა, მოწაბლისფრო ქოჩორი შუბლზე გადმოშლოდა, ხოლო მშვიდ, თაფლისფერ თვალთაგან ბავშვური მოკრძალების შუქი უკრთოდა, იმავე დროს ვაჟკაცური გამბედაობა და შეუპოვრობაც გამოსჭვიოდა. მზისაგან შერუჯულ შუბლზე ნაოჭიც გასჩენოდა, რაც მისი მრისხანე ხასიათის გამოხატულებად მიიღო.

ამ წარმოსადეგ ვაჟკაცს, რომელსაც, შესაძლებელია, ჯერ კიდევ ჭაბუკი ეთქმოდა, გარეგნობაც ისეთი ჰქონდა, რომ მოწინააღმდეგეს ჩააფიქრებდა.

— ბიჭო, ლევან! — აღტაცებით შესძახა ირაკლიმ და კვლავ ხელი მოხვია. — ჩვენი რაიონის გუნდში ყოფნა ხუმრობა როდია! შენი ჭირიმე, შენი! — მან ერთხელ კიდევ აკოცა ძმას და ხმამაღლა თქვა: — წავიდეთ, ყველა ჩვენ შემოგვყურებს.

გასასვლელთან მეტისმეტი სიმჭიდროე იყო და მოჭიდავეები, აქამდე რომ გაფანტულად მოდიოდნენ, ახლა ერთად შეგროვილიყვნენ. ხელბარგიან ხალხს თავაზიანად დაუთმეს გზა.

— შეჯიბრება ხვალ იწყება, რა გვეჩქარება, ჯერ ხალხი გავიდეს! — შეაჩერა ისინი მაღალ-მაღალმა, ბრგე აღნაგობის ჭრელთვალა ვაჟკაცმა.

გუნდში იყო რვა ძირითადი მოჭიდავე, რომელთაც სწორედ ეს ბრგე ვაჟკაცი მეთაურობდა. ამიტომ იყო, რომ ყველა თვალ-წარბში შეჰყურებდა მას და მოკრძალებით ელოდა, როდის რას იტყოდა. მასთან ყველაზე თამამად ირაკლი იყო. დიდი ხანია იცნობდნენ ერთმანეთს. ვიდრე თავისი რაიონის გუნდში იყო, ყოველთვის ამ კაცის ხელმძღვანელობით გამოდიოდა შეჯიბრებებზე. გამარჯვების მრავალი სიხარულიც და წარუმატებლობის ორიოდე

მწუხარებაც ახსოვდა. ირაკლი ახლა თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, მაგრამ გული მაინც თავისი რაიონის ფალავნებისაკენ მიუწევდა. როგორც ყრმობის ჟამს, ახლაც მათი დამარცხება ერთობ დააძმარებდა ხოლმე, გამარჯვება კი ფრთებს ასხამდა, უზომოდ აღაფრთოვანებდა. ფალავნებს ის სწორედ იმ მიზნით დახვდა, რომ ზოგი რამ წინასწარ ეცნობებინა გუნდის მწვრთვნელ შაქროსათვის, მაგრამ უცნაურ ამბებს კი წააწყდა: სრულიად მოულოდნელად გუნდის შემადგენლობაში ჯერ თავისი უმცროსი ძმა ნახა, რამაც ჩააფიქრა, დაამუნჯა, შემდეგ კი გუნდში ზოგიერთი უცნობიც შენიშნა. როგორც გამოცდილი მოასპარეზე, ყოველი მათგანის აღნაგობას, მხარ-ბეჭს, წვივ-ბარძაყს და სიმარდეს გონების თვალით სწავლობდა. ასე დიდხანს ათვალიერა ისინი და, როდესაც კიბის თავში ძალაუნებურად შეჩერდნენ, შაქრო ოდნავ განზე გაიყვანა და ხმადაბლა ჰკითხა:

— ესენი ვინ წამოგიყვანია?

— ვინც გვასახელებს! — მოკლედ მიუგო შაქრომ.

— მერე-და, ენდობი? — შეშფოთდა ირაკლი.

— კირკიტები არიან, ჯავრი ნუ გაქვს! — დინჯად უპასუხა შაქრომ.

— ლევანი ხომ მთლად ბავშვია, როგორ გაბედე, კაცო? იცი, რა შეჯიბრებაა? ჯერ ამისთანა ჩვენს რესპუბლიკას არ ახსოვს.

— ყველაზე დიდი იმედი მაგ ბიჭისა მაქვს! — თქვა მან ისე მტკიცედ, მოსაუბრეს რომ ანიშნებენ, აღარ გაბედო კრინტის დაძვრა, მე შენზე უკეთ ვიცი! ირაკლი სახტად დარჩა, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ შაქრომ აღარ აცალა:

— ეს მითხარი, ფიზკულტურის კომიტეტში ხშირად დადიხარ, იცი რამე?

— ყოველდღე იქა ვარ! ძალიან მაგარი ბიჭები მოდიან! აკი გითხარი, ამისთანა შეჯიბრება ჯერ არ ყოფილა მეთქი!

ბიჭებმა ყური მოჰკრეს მობაასეფა ამ უკანასკნელ სიტყვებს, ერთმა მეორეს ანიშნა, მეორემ მესამეს და ყველანი მათ სალტესავით შემოერტყნენ. ისინი გაფაციცებით ისმენდნენ ირაკლის თითოეულ სიტყვას, გაფაციცებით, რადგან ირაკლი, როგორც ქართული ჭიდაობის სახელგანთქმული ოსტატი, მათთვის სათაყვანო პიროვნება იყო. სამი წელიწადია, რაც მას თავის წონაში საქართველოს ჩემპიონობა ვერავინ წაართვა. ყოველთვის ან სუფთად იმარჯვებდა ან ერთით სამზე და თავის მეტოქეებს უკან ტოვებდა.

ირაკლის კარგად ჩადგმული ვაჟკაცი ეთქმოდა, სიმაღლე როდი აკლდა, მაგრამ მხარ-ბეჭგაშლილს მორგვივით სქელი კისერი უფრო ამსხვილებდა და ყოველივე ამის გამო, ერთი შეხედვით, კაცს ტანმორჩილიც კი ეჩვენებოდა. მსრებთან შედარებით წელი ძალზე წვრილი ჰქონდა და მის ათლეტურ აღნაგობას ერთი-ორად უფრო ამშვენებდა. პირმრგვალ სახეზე წამონთებოდა შავი მეტყველი თვალები და ამ თვალებზე ყომრალი, წვრილად გაწოლილი კოკობი ულვაშები. ძმები გარეგნობით ოდნავ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. უმცროსს ხორცსავსე ტანი თავისუფლად აჰყროდა და, ვინ იცის, სადამდე წავიდოდა, უფროსის ზრდა კი თითქოს შეეჩერებინა ფართო მხარ-ბეჭს და მსხვილ კისერს. უმცროსი ხორბლისფერი იყო, უფროსი კი შავგვრემანი. მათ შორის სამწელიწადნახევარი არც იქნებოდა განსხვავება, მაგრამ ჭირდა იმის გარკვევა, რომელი დიდი იყო და რომელი პატარა. ერთადერთი ნიშანი, რითაც უმცროსი უფროსისაგან გამოირჩეოდა, ის იყო, რომ მას გვიან ამოსული ულვაშები ჯერაც ბუსუსად ეყარა, მკაფიოდ არ ემჩნეოდა. ძმები არც ხასიათით იყვნენ ერთნაირნი. უმცროსი მზეს, მთვარეს, და ლაჟვარდცას შეჰხაროდა, უფრო კი გაფურჩქვნილ ვარდ-ყვავილებს, ამწვანებულ კორდებს და მოყლურტულე ფრინველებს შესცინოდა. ამიტომ მისი თაფლა

თვალები ერთავად ოცნებით ანთებულნი გამოიყურებოდნენ, და სწორედ ამ ოცნების გამო თავის თავთან უფრო უყვარდა საუბარი, ვიდრე სხვებთან! ერთავად დუმდა, სიტყვაძვირი იყო. უფროსი კი ცხოვრების სიბრძნეს შესტრფოდა: უნდოდა რაც შეიძლება ბევრი სცოდნოდა, განათლებულიყო, სხვებს თუ რამეს ასწავლიდა, თვითონაც ხარბად სწავლობდა სხვებისაგან. როგორი უმნიშვნელო საგანიც არ უნდა ყოფილიყო, საკუთარ აზრს უთუოდ იტყოდა და თავს მხოლოდ მაშინ გრძნობდა ბედნიერად, როდესაც სხვებს არაფერში ჩამორჩებოდა.

ძმებს ერთმანეთი უზომოდ უყვარდათ!

და აი, ეს სიყვარული ამ შეხვედრის წუთებშიც აშკარავდებოდა. ირაკლი ირგვლივ შემოჯარებულ ვაჟკაცებს თავის აზრს რომ უზიარებდა, თვალს თავის ძმასაც ველარ აშორებდა, თითქოს ინას ეუბნებოდა სათქმელს, თითქოს იმას ასწავლიდა ჭკუას. ლევანი კი მას ისეთი მოწიწებითა და ალერსით შეჰყურებდა, კაცს ეგონებოდა, მზეს დაბარბებულა და ახლა იმის ამოსვლას შეხარისო. სხვები ამას ვერ ამჩნევდნენ, რადგან გატაცებით უსმენდნენ ირაკლის.

— მოიცა!—უცებ შეაჩერა იგი გუნდის ხელმძღვანელმა. — ეგ შეუძლებელია, შეჯიბრებაში თორმეტი გუნდი? დაიხოცებიან ბიჭები.

— სწორედ ამიტომ გითხარი, ასეთი შეჯიბრება ჯერ არ ყოფილა-მეთქი. წელს ისეთმა რაინებმაც წამოჰყვეს ლავი, რომელთა სახელები წინათ არც ვიცოდით!

— ვისაც ვიცნობ, იმათი არ მეშინია. შენ ისეთი დამისახელე, ვისაც არ ვიცნობ! — კვლავ მოუთმენლად შეაწყვეტინა სიტყვა გუნდის ხელმძღვანელმა.

— ყველა რაინს თითქმის ნახევარზე მეტი ახალი მოჭიდავე გამოჰყავს. ძნელია იმის თქმა, ვინ რას წარმოადგენს. ძალიან აქებდნენ ქუთაისსა და ონს, ზუგდიდსაც!

შაქროს ულვაშებში ჩაიცინა. მან ირაკლის ქამარში ხელი წაატანა, ოდნავ თავისკენ მოსწია და უდარდელი ადამიანის კილოთი მიუგო:

— შენც გჯერა რაღა! — ჩვენში აკვნიდანვე ყველა ჭიდაობის მოტრფიალეა, იქ კი ბევრი რამ ისეთი სანახაობა აქვთ, ჩვენ რომ ფიქრადაც არ მოგვივა. ჩვენსავით მარტო ჭიდაობით არ არიან გატაცებული. იმათ ვერ შეეედრებით ვერც ბურთაობაში, ვერც ცხენოსნობაში, ვერც ცურვაში, სამაგიეროდ — ჭიდაობა ჩვენია! თუ იმათ მეტი არავინ მეყოლა მეტოქე...

— სცდები, შაქრო! იქიდან გამოსულ საუკეთესო ფალავანს, რამდენსაც გინდა დაგისახელებ!

— ვიცი, არიან! — კვლავ უდარდელად მიუგო შაქრომ და ასევე განაგრძო. — ეგ ცალკეული შემთხვევებია, ჩვენში კი მთლიანად ხალხია გატაცებული ამ საქმით და ამიტომ საუკეთესო ფალავნების უშრეტი წყაროც ჩვენშია!

ირაკლიმ წარბები შეიჭმუხნა. მას ხელმძღვანელის ასეთი უდარდელობა და ფუქსავატი მოსაზრება არ მოეწონა.

— ყველას და ყველაფერს ანგარიში უნდა გაუწიო, გულარხეინი ფალავანიც კი დამარცხდება! ბრძოლაში სიფხიზლე ძალ-ღონეზე მეტად ფასობს!

ბიჭებმა ყურები ცქვიტეს და უფრო მჭიდროდ შემოერტყნენ მოკამათეთ, ირაკლი კი განაგრძობდა:

— მე იმათ მოჭიდავეებს არ ვიცნობ, მხოლოდ ვიცი ყველაზე მთავარი: ქუთაისსაც ზუგდიდსაც და ონსაც წრთვნის საუკეთესო პირობები ჰქონდათ, რაც მთავარია, ძალიან კარგი ხელმძღვანელები ჰყავთ, ისინი საქმეს არ წაახდენენ!

— კარგი, აგრე იყოს! როცა ხალიჩაზე გავალთ, ეგ მაშინ ვიკითხოთ! — კვლავ ღიმილით წარმოთქვა შაქრომ და უმალვე სხვა რამ ჰკითხა:

— ძველ მეტოქეებზე რას იტყვი?

ეს დაცინვის კილო ირაკლის არ გამოჰპარვია, შაქროს უდარდელობამაც ძალზე აღაშფოთა, მაგრამ მაინც თავი შეიკავა, შეიკავა იმიტომ, რომ მისგან დიდად იყო დავალებული. მისი პირველი მწვრთვნელი და შეჯიბრებებში გამომყვანი შაქრო იყო, მან გაუკვლია გზა ჩემპიონობისაკენ და ამიტომ მოკრძალებას იჩენდა მისდამი. შაქრო მძიმე წონაში არაერთხელ ყოფილა საქართველოს ჩემპიონი და ამით დაუმტკიცებია, რომ მისი მხარე ფალავნების ბუდე იყო და არის! ახლა იგი სპორტის ამ მშვენიერ სახეობაში უკვე „ბებრად“ ითვლებოდა, თუმცა, საერთოდ, ჯერ კიდევ ჯეელად გამოიყურებოდა. დიდი ძალის პატრონი იყო და ხასიათიც მეტისმეტად იმედიანი და უდარდელი ჰქონდა. ეს ერთი მხრით კარგი იყო, მაგრამ მეორე მხრით ცუდ შედეგსაც იძლეოდა: მისი გუნდის თითოეული წევრი ყოველთვის ჯიქურ მიდიოდა მოწინააღმდეგეზე, წინასწარ არ ფრთხილობდა, არ ითვალისწინებდა შესაძლებელ მოულოდნელობას და, მიუხედავად აშკარა ფიზიკური უპირატესობისა, გუნდური პირველობა ხშირად მაინც სხვებს რჩებოდათ. სხვები მათ წინააღმდეგ იმუშავებდნენ ბრძოლის ათასნაირ ხერხს, უცნაურ ფანდებს იყენებდნენ, ხშირად ეშმაკობასაც მიმართავდნენ და გულდაგულ მისულ ფალავნებს, თუ სუფთა გამარჯვებით არა, ქულებით მაინც უგებდნენ. ხელმძღვანელის ასეთი უდარდელობის შედეგი პირადად ირაკლიმაც არაერთხელ იწვნია, არაერთხელ დარჩა გულნაკლული და ამიტომ ახლა გადაწყვეტილი ჰქონდა, თუ შაქროს ვერ გატეხდა, მის გუნდის წევრებში მაინც გაეღვიძებინა სიფხიზლის გრძნობა, უეჭველი გამარჯვება რომ კვლავ ხელიდან არ გამოსცლოდათ. მშობლიური კუთხის წარუმატებლობა მასზე ყოველთვის მტკივნეულად მოქმედებდა. სწორედ ამიტომ დაიწყო მან ამ საგანზე ლაპარაკი, რომ სხვებს მაინც მოესმინათ, შაქროს კი ვერ გაუბედა „აკარა“ საყვედური და უკანასკნელ შეკითხვაზე დინჯად და მკვეთრად უპასუხა:

— როგორც ყოველთვის, გორი ქუხილით მოდის, კასპი არანაკლებად ხმაურობს, დუშეთი და მცხეთა იმედს არ კარგავს, ხოლო ახმეტა გულდაგულ მოაფრიალებს დროშას!

— რატომ თბილისზე არაფერს იტყვი? — შეაწყვეტინა შაქრომ სიტყვა.

— თბილისს ორი გუნდი გამოჰყავს. ორივესთან დიდი ბრძოლა დაგჭირდებათ!

— შენ რომელში ხარ?

— პირველში! — თქვა ირაკლიმ და ირგვლივ შემორტყმულ ბიჭებს გადაავლო თვალი, თითქოს წინასწარ უნდოდა გაეგო, ვისთან მოუხდებოდა შებრძოლება. თბილისის სახელით უნდა გამოსულიყო, მაგრამ მის ნებაზე რომ ყოფილიყო, მშობლიურ კუთხის არც ერთ ფალავანთან არ გავიდოდა. რატომღაც ძალზე სწყინდა, რომ თავისიანზე იმარჯვებდა, მაგრამ ის უფრო ცუდი იყო, რომ თვითონ დამარცხებულიყო. რაკი საასპარეზოდ გავიდოდა, ყოველთვის თავდაუზოგავად ებრძოდა როგორც თავისიანს, ისე სხვას. ამას მოითხოვდა საბჭოთა სპორტსმენის ღირსება და ქვეყნის ინტერესი, რომ ნამდვილად ძლიერი გამომჟღავნებულიყო და არა თვალთმაქცობით გამარჯვებული ან დამარცხებული. მას ძალზე უხაროდა, როდესაც თავისიანი მკლავს უსწორებდა, უმაგრდებოდა და ხალხის აღტაცებას იწვევდა. ახლაც, ყველა დაკვირვებით აათვალიერ-ჩაათვალიერა, რომ განეჭვრიტა, ვისთან მოუხდებოდა ბრძოლა, მაგრამ ჯერ ვერავინ შეიცნო თავის ღირსად და სინანულით თქვა:

— ეჰ, ბიჭებო! არც ერთ თქვენთაგანთან არ მინდა არც გამარჯვება, არც დამარცხება, მაგრამ უთუოდ რომელიმე თქვენთაგანთან მომიხდება ჩოხის ჩაცმა! იცოდეთ, საწყენად არ დაგრჩეთ,

უკან დახევა არ ვიცი, საკუთარ ძმასაც არ დავინდობ!

— ძმისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენც ჩვენსას ვეცდებით! — თამამად მიუგო ერთმა.

— ჭიდაობაა, ჩხუბი ხომ არა? დღეს ერთი გაიმარჯვებს, ხვალ მეორე, საწყენი რად უნდა იყოს? — გულღიად წამოიძახა მეორემ.

— მოიცათ, მოიცათ, ბიჭებო! — ყველა გააჩუმა შაქრომ. — მაგაზე ხვალ ვილაპარაკოთ, ახლა კი, რაც საქმე გვაქვს, იმაზე ვიზრუნოთ! — იგი უცებ კვლავ ირაკლის მიუბრუნდა. — როგორც შენ ამბობ, სასტიკი შეჯიბრება იქნება და ბევრი უცნაური ამბავი მოგველის, ხომ ასეა?

— სწორედ აგრეა! ფიზკულტურის კომიტეტში სულ ამაზეა ლაპარაკი!

— მაშ წავიდეთ, მაგ უცნაური ამბებისათვის ჩვენც მოვემზადოთ! — შაქრომ ყველას გადახედა და მრავალმნიშვნელოვნად შეათამაშა წარბები.

— სთქვი, გისმენთ! — წამოიძახა რამდენიმემ.

— წავიდეთ და გეტყვით!

კიბეს დაჰყვნენ. ძირს ჩავიდნენ. ცოტაოდენი გაიარეს და, როდესაც ტრამვაის ხაზს მიადგნენ, შაქრომ ყველანი გააჩერა.

— თუ პირობას მომცემთ, რომ მაგარ სასმელებს არ გაეკარებით, ნათესავებში გაგიშვებთ, თუ არა-და ამაღამ დინამოს სტადიონზე გაგათევინებთ!

— არა, არა, სიტყვას გაძლევთ! — აჩქარებით მიაძახა ყველამ.

— მაშ ხვალ დილის ათ საათზე დინამოს სტადიონზე მოიყრით თავს, მოჭიდავეების აწონვა იქ მოხდება.

ბიჭები ხელმძღვანელს დაემშვიდობნენ, ერთმანეთს სიტყვა მისცეს — ხვალ არ დავიგვიანოთო, და დაიშალნენ...

ძმებმა თავიანთი ჩემოდანი ტრამვაიში აიტანეს და შინისკენ გასწიეს.

ირაკლის ნათქვამმა ყველანი ღრმად ჩააფიქრა. გუნდის თითოეული წევრი ნათლად გრძნობდა, რომ უჩვეულო შეჯიბრების მონაწილე უნდა გამხდარიყო და შინისკენ მიმავალთ მღელვარე ფიქრები არ ასვენებდათ. „ვინ გაიმარჯვებს? ვინ დამარცხდება? ნუთუ გუნდი პირველობას ვერ აიღებს?“ — აი, კითხვები, რომლებიც მათ აწუხებდათ, მაგრამ ვერც ერთი ვერ მიმხვდარიყო, რომ სწორედ ამ შეჯიბრებაში თითოეული მათგანი მოწმე გაჩდებოდა ისეთი გაუგონარი ამბისა, ჯერ რომ არავის სმენოდა მას შემდეგ, რაც ქართველ ხალხს ჭიდაობა ულამაზეს სანახაობად შემოეღო.

*
* *

არ ვიცი, ყოფილხართ თუ არა ანჩისხატის უბანში — ეს გახლავთ თბილისის ერთ-ერთი უძველესი კუთხე, და ირაკლის სწორედ აქ ჰქონდა ოთახი დაქირავებული, მტკვრის პირას, იმ ისტორიულ შენობათა უკან, საიდანაც ქალაქის ამ ნაწილს ეს სახელი დარქმეოდა. აქ ერთმანეთზე მიშენებულია ორი ეკლესია, ერთი — მომცრო — მე-6 საუკუნის ძეგლი, ხოლო მეორე — უფრო მოზრდილი და მოხდენილი — მე-17 საუკუნისა. ძველისძველ მომცრო შენობას ქართული კრამიტის სახურავზე ხავსი მოსდებია და მისი გაუქმებული სამრეკლო დაობებულივით გამოიყურება. ანჩისხატის ეკლესიებს გვერდით, ჩრდილოეთიდანაც და სამხრეთიდანაც, ორი ქუჩა ჩასდევთ, მეტწილად ახალი სახლებით ჩამწკრივებულნი და ხეივნებით დამშვენებულნი. ამ ისტორიულ ძეგლებს აღმოსავლეთიდან მტკვარი ჩაუდის, დასავლეთიდან კი თავისივე სახელობის ქუჩა ერტყმის. გადასდგამთ ორიოდე ნაბიჯს და ამ ქუჩის მარჯვენა მხარეს, ჯერ მეფეთა ძველისძველი სასახლისა და მისი კარის ეკლესიის ნაშთებს წააწყდებით და შემდეგ კი ძველი თბილისის ერთ-ერთ თვალსაჩი-

ნო ადგილს — სალაყბოს, რაც ამჟამად ერეკლე მეორის სახელობის მოედნითა და ბაღით წარმოგვიდგება. ამ უბანში ბევრია ძველი ქალაქისათვის დამახასიათებელი ვიწრო და უსწორმასწორო ქუჩა, თანამედროვე პროსპექტებს რომ ვერ შეედრება მაგრამ თავისი გარკვეული ღირსება უთუოდ აქვთ. აქ ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით მემორიალურ დაფებს, რაც გაუწყებთ იმას, თუ სად უცხოვრიათ საქართველოს დიდებულ პოეტებს და მოღვაწეებს.

ირაკლი უკვე მესამე კურსის სტუდენტი იყო და კარგად ესმოდა, რომ ნამდვილ და შეუბღალავ პირად ბედნიერებას მხოლოდ მაშინ მიაღწევდა. თუკი გახდებოდა თავისი ქვეყნისთვის და თავისი მშობლიური ხალხისთვის საყვარელი ადამიანი. უმცროსი ძმის ჩამოსვლა ასეთ ძნელ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად მას სწორედ იმიტომ გაუხარდა, რომ არც ის მოსჭამდა წუთისოფელს უქმად. ხალხში გამოსვლა მას გზას ასწავლიდა უფრო დიდი, უფრო დიდებული საქმეებისაკენ და, შესაძლოა, სახელოვანი მოღვაწეც გამხდარიყო...

ირაკლიმ ვერ მოითმინა და გზაში ძმას ხელი მხარზე დაჰკრა.

— ძალიან მიხარია! — შესძახა მან.

— რა გიხარია, არ მესმის! — გულუბრყვილოდ მიუგო ლევანმა და თან ტრამვაის სკამის ქვეშ ჩემოდანი შეასწორა.

— იცი, რა! შეიძლება შენც ღაგეცეს ჩემი ბედი! საშუალო სასწავლებელი ხომ დაამთავრე, ახლა უმაღლესზედაც უნდა იფიქრო!

— ეჰ! — ამოიოხრა ლევანმა. — ერთი და იგივე ამბავი ყველაზე როდი მეორდება! — რაღაც ჩივილივით გამოუვიდა და აჩქარებით დაასკვნა: — მე შესასვლელი გამოცდებისათვის ვემზადები, ვნახოთ, რა გამოვა!

— შენი სურვილი მითხარ და ყველაფერი ადვილია!

— ჰმ! რაკი შენ ბედმა გაგიღიმა, სხვისთვისაც გეადვილება!

თავის დროზე მართლაც რომ „ბედმა გაუღიმა“ ირაკლის. ამ სამიოდე წლის წინათ პირველად მიიღო რესპუბლიკის პირველობაში მონაწილეობა. თავისი რაიონის სახელით გამოდიოდა. ისეთი წარმატებით იბრძოდა, რომ ყველა აღაფრთოვანა და ბოლოს თავის წონაში საქართველოს ჩემპიონიც გახდა. ის-იყო დაამთავრა საშუალო სასწავლებელი და მარტოოდენ ჭიდაობაზე როდი ამყარებდა მომავალს, სურდა უმაღლეს სასწავლებელში შესვლა და საამისოდაც ემზადებოდა. ორი თვე კიდევ წინ ჰქონდა სამეცადინოდ, ფიქრობდა, დღედაღამე გაესწორებინა, მაგრამ სრულიად მოულოდნელად სწორედ იმ ღამეს, რა ღამესაც საქართველოს ჩემპიონად გამოაცხადეს, ვიღაც მაღალ-მაღალმა, თავმოპარსულმა კაცმა ცალკე გაიხმო და დიდხანს ელაპარაკა.

უცნობი სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი აღმოჩნდა. ირაკლის გაგონილი ჰქონდა, რომ მას ფიზკულტურა უყვარდა და, სადაც კი საუკეთესო სპორტსმენებს ნახავდა, უთუოდ ეცდებოდა, უნივერსიტეტში მიეღო. ირაკლისაც სწორედ ამაზე ჩამოუგდო სიტყვა. ახალი ჩემპიონი კინაღამ გადაირია სიხარულით. მან გუნდის ხელმძღვანელი შაქრო თბილისში ჩამოყვანისათვის საქვეყნოდ გადაკოცნა!

ირაკლიმ გამოცდები დაიჭირა და ბიოლოგიური ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტად ჩარიცხეს.

სწორედ ამას ეძახდნენ ძმები „ბედს“, „ბედის გაღიმებას“...

ტრამვაი უკანასკნელ სადგურზე გაჩერდა. ძმებმა ჩემოდანი გადმოიტანეს და ბინისაკენ გასწიეს. მზე ჩასულიყო, მაგრამ მაინც ცხელოდა. ქუჩებში ისეთი შეხუთული ჰაერი იდგა, სუნთქვაც კი ჭირდა. სახლიდან შორს აღარ იყვნენ, მაგრამ ჩემოდნის ტარებაში ერთ-

მანეთს ხშირად ენაცვლებოდნენ, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ. როდისაც უზარმაზარი სახლის დიდი თაღის ქვეშ გაიარეს და ანჩისხატის ქუჩისკენ ჩაუხვიეს, ირაკლიმ ვეღარ მოითმინა და ძმას ჰკითხა:

— რა არის, ბიჭო, ასე მძიმე, ტყვია ხომ არ ჩაგისხამთ შიგ?

— არ ვიცი, დედამ ჩააწყო!

— ჰმ! გასაგებია! გაიღიმა ირაკლიმ.

— მე სულაც არ მომქონდა, სხვები ხელცარიელნი მიდიან, ხომ სასაცილოდ ამიგდებენ-მეთქი, მაგრამ დედაჩემი არ მომეშვა, ლამის იტირა, „სხვებსაც რომ შენისთანა ძმა ჰყავდეს თბილისში, აშაზე დიდ ბარგსაც მოიკიდებდნენო!“ — უარი ვეღარ ვუთხარი...

დედის ქებაზე ირაკლის სახეზე ალმურმა გადაუარა და გული უჩვეულო სიამით შეუტოკდა.

— ნეტავი თვითონაც წამოსულიყო! — ინატრა მან.

— სად სცალია! კოლმეურნეობის ბოსტნეული ლამის გვალვამ გაახმოს!

— ვიცი, მაგრამ დიდი ხანია არ მინახავს! მეცადინეობა, შეჯიბრებისათვის მზადება, და ლამის ექვსი თვე გადის... აქეთ, აი, ჩვენი კიბე!

ისინი ორსართულიანი სახლის პატარა ეზოში შევიდნენ. ირაკლიმ კიბეზე მიუთითა, კიბის სახურავი და ბოძები სულაც არ ჩანდა. იგი მთლიანად შეებურა ერთადერთი ვაზის ძალზე გაბარჯღულ ლერწმებს და თალარს მიაგავდა. ლევანმა ხარბად შეათვალიერა ყურძნის მტევნებით დაჟონჭლილი ხეივანი და სახე გაუნათდა. მწვანე ფოთლების დანახვაზე მან რატომღაც შეისუნთქა მშობლიური სოფლის მინდვრისა და ტყის სურნელება. ვაზით დაჩრდილული კიბე ხალისიანად აირბინეს. ირაკლიმ ძმა შეიყვანა ფართო და ნათელ ოთახში. ჩემოდანი იქვე კარებთან დატოვა და ფანჯარა გამოაღო. ლევანი ღია ფანჯარას ეცა, იქიდან მტკვრის გრილი სიო სცემდა. იგი ერთბაშად მოაჯადოვა ბარათაშვილის ალმართმა თავისი წყალმჟონავი და ხავსდაფენილი კლდეებით, ხოლო მხარმარჯვნივ — ამავე კლდეების გაგრძელებამ, მტკვრის შორეულმა ქარაფოვანმა ნაპირმა, ამ ქარაფების დასაწყისში — შემორკალულმა ციხე-გალავანმა და მის შუა — ცამდე ატყორცნილმა შეხუნებულმა ტაძრის გუმბათმა. ლევანი პირველად იყო ამ უბანში. დედაქალაქი სულ სხვა თვალზე ეჩვენებოდა.

ოცნებამ გაიტაცა.

— რაღას უყურებ, არა გცხელა? გავიხადოთ, ხელ-პირი დავიბანოთ, გავგრილდეთ!

ამ დროს ირაკლიმ კვლავ შენიშნა ის დიდი და ნაუცბათევი ცვლილება, რომელიც მის უმცროს ძმაში მომხდარიყო. ფოლადივით ჩამოქნილ-ჩამოძერწილ მკლავებში ისე უხტოდა კუნთები, თითქოს ბურთები დაგორავენო. მკერდი ამობურცვოდა, კისერთან ძარღვები დაბერვოდა და შუბლზე ვაკკაცური შეუდრეკელობის ნაოჭი გაჭკვროდა. ირაკლი ხედავდა უმცროსი ძმის თავისუფლად აყრილ ტანს, მსუბუქ მოძრაობას და უდარდელ გამომეტყველებას. ამ თვრამეტი წლის, ჯერ ზრდადაუმთავრებელ, ჭაბუკში აშკარად ჩანდა მომავალი ათლეტი. „რამდენიშე წლის შემდეგ იგი ალბათ ათეულ კილოგრამებს მოიმატებს და თამამად ჩადგება უმძიმესთა რიგებში. — გაიფიქრა ირაკლიმ და უცებ ძმას მხარზე ხელი დაჰკრა და ჰკითხა:

— ბიჭო, დიდი ხანია ვარჯიშობ?

— სოფელში მიწასთან ჭიდილი და ტრაქტორ-კომბაინზე ყოფნა უფრო დიდი ვარჯიშობაა, ვიდრე საწრთვნელ დარბაზებში, მაგრამ ის ვარჯიში, შენ რომ მეკითხები, სულ სამი თვე არც კი იქნება, რაც დამაწყებინა შაქრომ.

— მოიცა, რატომ მე არ ვიცოდი, შენ თუ შეჯიბრებისათვის ემზადებოდი?

— არავინ იცოდა, არც დედამ, არც სხვამ! უცებ მინდოდა გამოვჩენილიყავი! დამიწყებდნენ აჭია-ბაჭიას, ჯერ ნბრჩი ხარ, პატარა რა შენი საქმეაო... ჰოდა, ძალა თუ შეგწევს, არაფრისაც არ უნდა მოგერიდოს, ხოლო სხვები რომ დაარწმუნო, ძალა უნდა უჩვენოო.

— ყოჩაღ, ნამდვილი ვაჟკაცივით მსჯელობ! — ირაკლი გადაეხვია ძმას და კიდევ ერთხელ გადაკოცნა...

ოთახი მტკვრის სიომ გააგრილა, ძმებმა შიმშილი იგრძნეს. ირაკლიმ ხელი დასტაცა ჩემოდანს და მაგიდასთან მიათრია.

— რაც ამან ოფლი გვაღვრევინა, იმად ღირს? — თქვა მან და საკეტს თითით მიაწვა.

— გახსნი და ნახავ!

ლევანი ძმას მიეშველა, თუმცა ეს აღარც დასჭირდა, როგორც კი საკეტმა გაიწია, ისე იყო გატენილი, რომ ხუფი თავისთავად ახტა მაღლა. ყველაზე წინ ირაკლი წააწყდა გაზეთებში გულმოდგინედ შეხვეულ ნივთს, გაზეთები გადახსნა.

— ბიჭოს! — შეჰყვირა მან აღტაცებით. ლევანიც ახლოს მივიდა და ღიმილით შეეკითხა:

— მოგწონს?

მათ წინ სათუთად დაკეცილი აბრეშუმის ორი ძვირფასი ხალათი იდო. გულისპირზე, საყელოდან საქამრემდე ჩასდევდა ბრტყელ-ბრტყელი და ნაირფერი არშია, რომელიც ყელთან ალუბლისფერი ფოჩებიანი ზონრით იკვრებოდა. ირაკლიმ ერთ-ერთს დასტაცა ხელი და ბავშვური სულსწრაფვით გაშალა. იატაკზე დავარდა რაღაცა თეთრი და პაწაწინა. ირაკლიმ ხალათი მიაგდო და მას დასწვდა. იგი აღმოჩნდა ოთხად დაკეცილი ბარათი. როგორც ეტყობა, ამ ბარათის საიდუმლოება არც ლევანმა იცოდა. იგი თვალდაჭყეტილი მიუახლოვდა ძმას და ჰკითხა:

— რა არის?

ირაკლიმ ბარათი სწრაფად გახსნა და მსხვილი ასოებით ნაწერს თვალი გადაჰკრა. ლევანიც გვერდში ამოუდგა და ოდნავ პირდაღებული ჩააშტერდა წერილს, რომელშიც სულ რამდენიმე სიტყვა იყო. ორივემ უხმოდ წაიკითხა:

„ჩემს შვილებს. გამარჯვებას გისურვებთ. მეც მეხაროს თქვენის ბედნიერებით!“

— დედა, დედა! — მხოლოდ ეს სიტყვა წაიკითხეს ძმებმა ხმამაღლა და ერთსა და იმავე დროს. ერთხანს გაოგნებული შეჰყურებდნენ ერთმანეთს და უცებ ვერ მიმხვდარიყვნენ, თუ რა მოხდა? რატომ მოეჩვენათ ახლა დედის ალერსი და სიყვარული ყველაზე ძლიერად, ვიდრე ოდესმე განუცდიათ! რატომ ჩაუყენა თვალში ცრემლი ამ პაწაწინა ქაღალდის ნაგლეჯმა ორივეს?

ირაკლიმ წერილი დაკეცა, კომკავშირულ ბილეთში ჩადო და ხალათის უბეში სათუთად შეინახა.

— სიტყვით ხომ არაფერი დაგბარა? — ჰკითხა მან ძმას.

— თუ ორივე გაიმარჯვებთ და მასახელებთ, მაგ ხალათებს ჩაიცვამთ და ისე მოხვალთ სოფელშიო!

— მოდი და ნუ გაიმარჯვებ! მე ასეთი ხალათი დიდი ხანია მენატრებოდა, ეს იცოდა დედამ და, ხედავ, რა დროს მოჰგონებია? — თქვა განგებ უზრუნველი ხმით ირაკლიმ, რომ დედის წერილით გამოწვეული მღელვარება გაენელებინა. მან ორივე ხალათი ისევ ისე დაკეცა, როგორც იყო, სათუთად დააწყო საწოლზე და ისევ ჩემოდანს მიუბრუნდა.

— მანდ ბევრი რამ ისეთია, რომ ამ სიცხეში გაგვიფუჭდება, ამოვალაგოთ. — დაფაცურდა უმცროსი ძმაც. რა გინდა, სულო და გულო, რომ დედის მოყვარულ გულს იქ არ ჩაელაგებინა. უპირველეს ყოვლისა, წითლად ღაბრაწული და კომბოსტოს ფოთლებში გახვეული ვარიების ორი ტაბაკა ამოიღეს, შემდეგ მას მოჰყვა: მრგვალად მოხარშული ათი კვერცხი, ორი

ნაჭერი გუდის ყველი, ექვსი შოთი, ოთხი ნაზუქი, ორი კონა ქორფა მწვანილი, ცივად მოხარშული ცხვრის ხორცი, სიმსუქნისაგან თოვლივით რომ ქათქათებდა, და სულ ძირში ზაფხულის ტკბილი ვაშლი ხომარდული მოეფინა, ქორფა კიტრებით აევსო და აქეთ-იქით კარგად დაბეჭდილი ოთხი ბოთლი ღვინოც შემოეწყო.

მაგიდა გაივსო სანოვაგით. ბიჭებმა განსაკუთრებით მიაქციეს ყურადღება, რომ ყველაფერი შუაზე იყოფოდა, წყვილად იყო; ვაშლი რომ ვაშლია, ისიც კი ოცდაოთხი დაითვალეს. ჩემთვის ორივე ერთნი ხართო, ერთნაირად ლატკბით და გაიხარეთ, ერთნაირად თავს შემოგევლეთო!

ერთი ნამგზავრი იყო, მეორე ნავარჯიშევი და ხალისით შემოუსხდნენ სუფრას. როდესაც ერთი ბოთლი თავანკარი ღვინო გადაკრეს და თავთავისი წილი ტაბაკაც მიირთვეს, ცხვრის ხორციც და მწვანილიც, ირაკლი აჭიკჭიკდა. ძმების ხალისიან განწყობილებას ხელს ისიც უწყობდა, რომ საგრძნობლად აგრილდა. მზე დიდი ხნის ჩასული იყო და ღამით მტკვრიდან ძლიერი ნიავი ჰქროდა, ფანჯარაზე ჩამოკიდებულ ფარდის წვერს ერთავად ატყლაშუნებდა. ეზოში თითქმის არავინ იყო. დღის სიცხით და ბუღით შეწუხებულნი ბაღებში, პარკებში და მტკვრის სანაპიროზე გაკრეფილიყვნენ. ძმების ხან წყნარსა და ხან აღგზნებულ ლაპარაკს ხელს არავინ უშლიდა. როდესაც სოფლის ავკარგზე ლაპარაკით გული იჯერეს, ისევ იმ საგანს დაუბრუნდნენ, რომელმაც ისინი ასე ანაზღად ერთმანეთს შეჰყარა.

— წელან შაქროს ვერ ვკითხე და ალბათ შენც გეცოდინება, — ყველაზე საუკეთესო ვინც გყავდათ, რატომ ის არ წამოიყვანეთ? იკითხა ირაკლიმ და ქორფა კიტრის გაფცქვნა დაიწყო.

— ვისზე ამბობ? — თვალები სუფრა გაკვირვებულმა ლევანმა.

— მეც თქვენი კუთხის შვილი ვარ, შენზე ადრე და შენზე უკეთ ვიცნობ ყველას! დათია ქიტაშვილს ვერავინ ვაუმაგრდებოდა, უთუოდ ჩემპიონი გახდებოდა! ავად ხომ არ არის, ან ხომ არაფერი დაემართა?

ლევანის სახეზე რატომღაც ცუღლუტმა ღიმილმა იფეთქა და ასევე ცუღლუტი ადამიანის კილოთი მიუგო:

— არაფერიც არ მოსვლია, ძალიან კარგად არის!

— მაშ სოსო ტიგინაშვილი თუ აჯობებდა, მაგრამ ისიც რომ არა ჩანდა გუნდში?

— ტიგინაშვილი დათიამ სამ წუთში დასცა, სუფთა გამარჯვება ჰქონდა! — ლევანს თანდათან ერეოდა სიწითლე და რაღაც შეუცნობელი და ბევრის მთქმელი კვლავ იგივე ღიმილი. ირაკლი კი ძალზე გაოგნებული კითხვას კითხვაზე აყრიდა და თან აჩქარებით ფცქვნიდა კიტრს.

— მაშინ ჩაილურელს უნდა დაეჯაბნა!

— ჩაილურელი ერთ წუთში ისე დაარჭო მიწას, როგორც ორკაპი ჯოხი!

— ბიჭო, შენ მე გადამრევ! — გაცხარდა ირაკლი. — აბა, ვისთან დამარცხდა, რატომ გუნდს არ ჩამოჰყვამეთქი...

— ვისთან? — ლევანს ხმა უწყდებოდა. — ვისთან და... გამოჩნდა კაცი...

— ვინ კაცია, ვინ? — ლამის შეჰყვირა ირაკლიმ.

— ვინ და... ეჰ, რაღა დაგიმალო, ჩემთან დამარცხდა! — როგორც იყო ამოთქვა ლევანმა. პასუხი იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ირაკლი ზეზე წამოიჭრა.

— რა სთქვი? გაიმეორე!

— ჩემთან დამარცხდა!

— შენ დაამარცხე, შენც საშუალო წონა ხარ?

— ქვემძიმე წონას ცოტა დამაკლდა! ჰოდა, დათია სამჯერ მეჭიდავა, მერე კი თავი დამანება...

— როგორ თუ სამჯერ, რიგზე გამაგებინე! — ირაკლიმ სკამი მიითრია და ძმას გვერდში მიუჯდა.

— რაიონის პირველობას რომ ვატარებდით, ფინალში მე და დათია-ღა ღავრჩით. მეტი გზა აღარ იყო, ერთმანეთი უნდა გვესინჯა. ორწუთნახევარში სუფთა გამარჯვება დამრჩა... მესამე დღეს, საწრთვნელი ვარჯიშის დროს, შაქროს შეეხვეწა, შეჯიბრის გარეშე მაჭიდავე, ერთხელ კიდევ ვცადო, ლამის ბოღმით გავსივდეო...

— მერე, რაღას გაჩუმდი! — შეჰყვირა ირაკლიმ.

— ვიჭიდავეთ, კიდევ სუფთად დავაწვინე! — თქვა და სულისმოთქმის შემდეგ კვლავ განაგრძო: — მესამედ ბიჭები შეეყარნა და იმათთვის ეთქვა: „მაგ ლაწირაკს არ შევარჩენ, პირველად ბედმა გაუღიმა, მეორედ მე ვღელავდი და მაგას თავისი ვაჟკაცობა ჰგონია, სანაძლეოს ვდებ, ვენახში მეჭიდავოს, მოწმედ მარტო თქვენ დამესწარითო“... — ლევანს თითქოს ყელში რაღაცა მოედო და იმის ამოგდებას ცდილობსო, რამდენჯერმე ჩაახველა. ირაკლი მოუთმენლად შეტოკდა სკამზე.

— თქვი! დაასრულე, ნუ მომკალი!

— გაბრაზებული ვიყავი, ლაწირაკო — ეთქვა! ჰოდა, აღარ დავინდე, ერთ წუთში მოვიგე სანაძლეო... ხელი ეღრძო, ახლა კისერზე აქვს ჩამოკიდებული!

— ხელიც ეღრძო, მაგდენიც შესძღალი?

— ჩემი ბრალი არ იყო, გამაბრაზა! — მოიბოდიშა მან ძმის წინაშე, რადგან ირაკლის ხასიათი კარგად იცოდა: რაც ვაჟკაცური არ იყო, არც აპატიებდა. იგი თავჩაღუნული ელოდა ძმის მსჯავრს, მაგრამ ძმა ერთხანს გაშტერებული და გაოგნებული მისჩერებოდა, თვალს ვეღარ აშორებდა. ხუმრობა ხომ არ იყო, ისეთი ფალავნის, როგორიც დათია იყო, ეგზომ იოლი დამარცხება? თუ ამან ის ისე ადვილად დაამარცხა, სხვებს რაღას უზამსო, და ძმა ძმის წარმატებით წინასწარვე ზეიმობდა, ის აშკარად ხედავდა, თბილისის საზოგადოებაში ლევანის უცებ გამოჩენას, ზედიზედ გამარჯვებას, ჩემპიონად გახდომას და სახელის მოხვეჭას. იგი ერთსა და იმავე დროს აღფრთოვანებულიც იყო და ძალზე გაკვირვებულიც! ნუთუ ეს ის პატარა ბიჭია, რომელსაც ერთი ხელის წამოკვრით აბურთავებდა? ნუთუ ეს ის უმცროსი ძმა არის, რომელიც გუშინ ჩანთაში წიგნების ჩაწყობასაც ვერ ახერხებდა? ნუთუ ეს ის ლევანია, რომელსაც დედა ჯერ კიდევ ორიოდე წლის წინ თონეში კვერებს უკრავდა? სახის ნაკვთებით, ღიმილით და მეოცნებე თვალებით თითქოს ის არის, ისევ ის ბიჭი, მაგრამ ამას რაღაცა სხვაც ეტატება, რაღაც ცვლილებაა მის გარეგნობაშიც და სულიერ სამყაროშიც, რომ ესოდენ სხვად და, არა მარტო სხვად, მრისხანედაც გამოიყურება! მისი ყლორტივით აყრილი ტანი, წინწამოგდებული მკერდი, ვეებერთელა „თათები“ და, განსაკუთრებით, ფოლადივით მძიმე ბარძაყები კარგს არას უქადის მეტოქეს. ახლა ხედავს იგი თავის ძმას და სჯერა, რომ მხოლოდ მას შეეძლო დაემარცხებინა რაიონის ყველაზე უფრო მრისხანე ფალავანი — დათია ქიტაშვილი... მაგრამ ვერ მიხვდა, რატომ ჩავარდა იგი ასეთ საგონებელში! ეს ხომ ძმა არის და არა მეტოქე? მაშ რა აწუხებს სამი წლის განმავლობაში დაუმარცხებელს და საქართველოს შეუცვლელ ჩემპიონს? ეს წინათგრძნობაა, შური თუ შიში?! უამრავ ფალავანთან ჰქონია მწვავე და დაძაბული ბრძოლა, მაგრამ ამის მსგავსს არასოდეს შეხვედრია. უცხოებს, უცნობებს ერთი წუთითაც კი არ შეუხრევინებიათ მისთვის წარბი და აი, ეს, ვინც კი ამქვეყნად ყველაზე უფრო მახლობელი და ღვიძლი ნათესავია, ეს კი აშფოთებს და აწუხებს მას. რად? რისთვის? განა შეიძლება მშობლიური სახლ-კარის, ეზო-ყურეს, ვენახებისა და ველ-მინდვრების დავიწყება? განა ორივენი ერთად არ დახ-

ტოდნენ და დანავარდობდნენ იქ? ნუთუ მისმა უპირატესობამ უნდა დაავიწყოს ბავშვობის ტკბილი მოგონება? ნუთუ მის არსებაში გაიღვიძა შურმა, რომელიც „მე“-ს ჟინიანი ძახილით კაცს ჭკუას უბნევს?

ირაკლიმ სიძულვილი იგრძნო თავისი თავისადმი.

„ფუი! ძმის კარგი როგორ უნდა გეწყინოს?“ — გაიფიქრა მან და ქურდულად გადახედა ლევანს, რომელსაც ბავშვური გულუბრყვილობის სიამე და სიკეთე გადაშლოდა სახეზე.

მან კიტრის ერთი ნაჭერი ჩაახრამუნა და აღტაცებით წამოიძახა:

— უჰ, რა ქორფაა, რა სურნელოვანი!

მისმა გულუბრყვილო შეძახილმა, მისმა ღიმილმა და მოჭუტულმა ქუთუთოებმა ირაკლის თვალწინ დაუყენა ისევ ის პატარა ძმა, და წარსული გაახსენდა...

როცა ოჯახში ერთმანეთის მომყოლი ორი ბიჭი გაჩნდება, ვაი ხესა და ქვას! ვაი სახლსა და ავეჯს! ვაი ნათესსა და ნაგებობას! უფროსს პატარაობა უნდა, პატარას უფროსობა და, ვიდრე ქორფები არიან, ერთმანეთის კინკლაობაში აღამებენ და ათენებენ, ერთმანეთს არ უთმობენ არც საჭმელს, არც სათამაშოს, და არის განუწყვეტელი კნავილი და ღნავილი. ჭაბუკობის ხანაში კი ერთმანეთის ბღლარძუნს ეჩვევიან და ვაი ტანსაცმელს და მათ შემყურეს! პატარა შფოთავს, ჟინიანობს, დიდი არ უთმობს და ხშირად უბრალო ძიძგილი მუშტი-კრივით მთავრდება, როგორც წესი, პატარა ტირილით აგვირგვინებს ამ ყოველდღიურ „ვარჯიშს“, დიდი კი გაბუტვით. ყველა წესის დაცვით, ნამდვილი და ჟინიანი ჭიდაობა იმართებოდა ყველგან და ყველა დროს, როგორც კი მარტონი დარჩებოდნენ ჭიდაობდნენ სახლშიც, კარშიც, ეზოშიც, ვენახშიც, მინდორშიც და ტყეშიც, ივრის ნაპირები ხომ აკლებული ჰქონდათ! ვინ იცის, რამდენი ჯამ-ჭურჭელი ჩაუმტვრევიათ რამდენი ჭიგო წაუქცევიათ ვენახში და რამდენი ნათესი გაუქელიათ ბაღ-ბოსტნებში თუ მინდვრად. ვიდრე მცირე ხნისა იყვნენ, უფროსი ადვილად ერეოდა უმცროსს, მაგრამ რაც უფრო იზრდებოდნენ, იმდენად უძნელდებოდა მას ამ „წაბლა ეშმაკის“ დაძლევა. აქამდე თუ თვითონ ასწავლიდა ჭიდაობის მოხდენილ ილეთებს, ახლა თვითონაც სწავლობდა მისგან, ხოლო შარშან, ზაფხულში, როდესაც არდადეგებზე თავის მშობლიურ სოფელს ეწვია, საქართველოს ჩემპიონმა, ვითომდა ხუმრობით, რამდენჯერმე სცადა „წაბლა ეშმაკის“ მიწაზე დატყაპება, მაგრამ ერთი-ორჯერ ძლივს წააჩოქა. ეს იყო და ეს! სუფთა გამარჯვებას ვინ დაეძებს, შესამჩნევადაც ვეღარ დასძლია და... ყველაფერმა ხუმრობაში ჩაიარა. —

დიახ, ყველაფერი ეს მოხდა განვლილ ზაფხულში, ხოლო ახლა სულ სხვანაირი ძალა ჩანს ამ მოსხლეტილი ბიჭის კუნთებში. ახლა იგი შარშანდელთან შედარებით, ბუმბერაზს ჰგავს, რაღაც უძლეველ ურჩხულს და... ირაკლიმ ვეღარ მოითმინა. მასში უცებ აღზევდა გულმაგარი ფალავნის ცხარე და შეუპოვარი სურვილი — ძლიერზე ძლიერთან შებმისა. მან ხელი მოავლო ძმას და დასჭყივლა:

— ადექი ფეხზე!

— რა გინდა, ბიჭო? — თვალები დააჭყიტა უმცროსმა.

— ადექი-მეთქი! როგორიც ჩანხარ, ისეთი ხარ თუ არა! — ირაკლიმ ხელი ინაცვლა, იღლიაში სტაცა, რაც ძალი ღონე ჰქონდა, აჰკრა, რომ სკამიდან წამოეგდო, მაგრამ ძლივს ააყენა. ტყვიასავით მძიმე და ფოლადივით მაგარი ეჩვენა. შეკრთა, მაგრამ, რაკი ააყენა, უკან აღარ დაიხია. ლევანი ზანტად აჰყვა, ბავშვური ღიმილი დაიფინა სახეზე და იქვე სკამთან გაიბარჯღა.

— ცელქობისათვის ახლა ან დროა ან ადგილი? — ლევანი უხალისოდ იშორებდა ძმას და ცდილობდა ისევ დამჯდარიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, ისე, უბრალოდ! — თითქმის ეგედრებოდა ირაკლი და, რაკი შეატყო, ვერ დაიყოლიებდა, ანაზდად ცალი ხელით ქამარში მისწვდა, მეორით მის მხარზე მაისურა დაბღუჯა, მარცხენა თეძო „მოწინააღმდეგის“ მუცელს უსწორა და სცადა ჰაერში გადაეკოტრიალებინა. ლევანმა იმ გასაოცარი ალღოთი, რომელიც მოჭიდავეთა განსაკუთრებულ ნიჭს შეადგენს, მარჯვენა ხელი წინ გადაიქნია, იატაკს ძალუმად დაჰკრა, მარცხენა ხელით ძმას უბიძგა, გაეშვებინა და ელვისისწრაფით ფეხზე წამოიჭრა. ორი ვაჟკაცის ძიძგილში სახლმა ზანზარი დაიწყო. ირაკლი კვლავ გაშმაგებით მიიწია. ლევანი განზე გაუხტა და ძმა გააფრთხილა:

— არ ივარგებს, ყველაფერს ჩავლეწავთ! აი, გესმის? მეზობლები ყვირიან!

ეზოში მოხუცი დედაკაცი გამოსულიყო და გულგახეთქილი კიოდა:

— მიწისძვრაა, გამოდით, თავს უშველეთ, სახლი საძირკვლიანად შეირყა!

ირაკლი გონს მოვიდა, ბრაზი მოერია თავის მედიდურ ქცევაზე და ყველაფერი რომ გაექარწყლებინა, ხელი ჩაიქნია, ფანჯარას მივარდა და მოხუცს გადასძახა:

— არაფერია, დედი! ძმა მეწვია, იატაკზე ფეხი წაუსხლტა და...

— გეთაყვათ! დევი იყო, თუ ამირანი, ეგეთი რა ფეხი ჰქონდა?

— ჩამოხველ თუ არა, დევი გაგხადეს, მთელი სახლი შეაზანზარე! — ახლა კი გულწრფელი სიცილით უთხრა ირაკლიმ ძმას და ხელი მოხვია. — ივარგებ! დედა არ მომიკვდეს, ველარ გცნობ! შეჯიბრებაში ჩვენს რაიონს უთუოდ ასახელებ! მოდი, ერთხელ კიდევ უნდა დავლიო შენი სადღეგრძელო, მერე კი ხვალინდელ დღეზე ვიფიქროთ!

ისევ მაგიდას მიუსხდნენ და ვახშმობა განაგრძეს...

* * *

მეორე დღეს ძმები ყველაზე ადრე გამოცხადნენ „დინამოს“ სტადიონზე. სხვადასხვა რაიონის მოჭიდავეები აქ იყრიდნენ თავს. შეჯიბრების პირველი ღღე საღამოს იყო დანიშნული და მსაჯების თანდასწრებით თვითეული ფალავნის ზუსტი წონა უნდა დაედგინათ, რომ თანახმად წესისა, ყველა თავის ტოლსა და ცალს შეხვედროდა. როდესაც თვითეულის წონა გამოირკვევა, სხვადასხვა გუნდის მოჭიდავემ უკვე იცის, ვინ ვის შეხვდება, ვინ ვისთან იბრძოლებს და როგორი იმედი უნდა ჰქონდეს წარმატებისა. ამიტომ წონითი კატეგორიების დადგენა ფალავნებს შორის დიდ ინტერესს იწვევს იმ მხრივ, რომ წინანდელი შეჯიბრებებით ან პირადი ნაცნობობით, ან მეგობრების დახმარებით თითქმის ყველა მოჭიდავე ერთმანეთს იცნობს და, თუ დაინტერესებულ პირს წონიოს კატეგორიაში ძლიერი მოწინააღმდეგე აღმოაჩნდა, ცხადია, ეს იწვევს უსიამოვნო გრძნობას, ერთგვარ მოუსვენრობას. ეს იმიტომ, რომ ვინც შეჯიბრებაზე გადის, ყველას სურს პირველი გახდეს, ყველა თავისებური სიშმაგით ცდილობს დაიმკვიდროს ჩემპიონის სახელი!

როგორც უკვე ითქვა, დასკვნითს შეჯიბრებაში მონაწილეობდა თორმეტი გუნდი, თვითეულ გუნდში რვა ფალავანი შედიოდა, რადგან ჭიდაობის არსებული წესების თანახმად, მოჭიდავენი რვა კატეგორიად იყოფიან, ამრიგად, ამ შეჯიბრებაში ასოცზე მეტი მოჭიდავე მონაწილეობდა.

ზონათა შორის გამარჯვებული ასოცი კაცით მთელი საქართველო იყო წარმოდგენილი. ეს ასი კაცი იყო სპორტის ამ სახეობაში მშვენება და სიამაყე ქართველი ხალხის ვაჟკაცური შემართების გამოსამჟღავნებლად...

„დინამოს“ სტადიონზე იმ დღეს სიცოცხლე დუღდა, სხვადასხვა კუთხის შვილები ერთმანეთს ძმურად ესალმებოდნენ, ესაუბრებოდნენ, ოხუნჯობდ-

ნენ, მიუხედავად იმისა, რომ ორიოდე საათის შემდეგ ერთმანეთს პირისპირ უნდა შებრძოლებოდნენ.

იმ დღეს, როგორც ყოველთვის, ყველაზე დიდი ინტერესი იმ გუნდმა გამოიწვია, რომელსაც ლევანი ჩამოჰყვა. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან თაობიდან თაობამდე ამ რაიონს სახელი ჰქონდა გავარდნილი საუკეთესო ფალავნების სიმრავლით, და ამჟამადაც ითვლება იგი ქართული ჭიდაობის ერთ-ერთ ჭიბულ კუთხედ. რომ ეს ნამდვილად ასეა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ერთადერთი საჭიდაო სიმღერა აქ შექმნილია და დღესაც ასევე ჰქვია: „გარეკახური საჭიდაო“.

იმ დღეს ლევანს არავითარი წარმატება არ ჰქონია, ის ჩუმად მოვიდა და ასევე ჩუმად დარჩა. მას არ იცნობდნენ და ყველა ხელის ჩაქნევით გაიძახოდა: „ჯერ ბავშვია, ბევრი ოფლისღვრა დასჭირდება, რომ ჩვენ გაგვისწორდესო!“ სამაგიეროდ, ირაკლის სახელი ყველას აშინებდა. როდესაც მას ასაწონად გამოუძახეს, რაც კი ახლომახლო მოჭიდავეები იყვნენ, ყველა შემოეხვია. მწონავმა ექიმმა და მსაჯებმა კარგა ხანს აწვალეს საექიმო სასწორის ისარი, კარგა ხანს უყურეს სასწორის ციფერბლატს და ბოლოს, როდესაც აწონის ოქმში ჩაწერეს, ყველამ გაიგო ირაკლის ზუსტი წონა — ოთხმოცდასამი კილო და ასორმოცდაათი გრამი.

— ისევ ქვემძიმე წონაშია, მოემზადეთ, ვინც მისი ტოლი ხართ! — გაისმა ჩურჩული მთელ სტადიონზე, და არა მარტო ჩურჩული, გაკვირვების შეძახილებიც.

— რა მაცდური ტანი აქვს, გეგონება, საშუალოც არ იქნება და უცებ კი ქვემძიმე გამოდგა!

— ფოლადისაგანაა ჩამოსხმული და იმიტომ!

— არა, ძმაო, მაგას ჩემპიონობას ვერავინ წაართმევს! — ბევრს ნაღვლიანად გაეცინა, ბევრმა კი შეიჭმუხნა წარბი: „სულ მუდამ კოკა წყალს ვერ მოიტანსო“, და დაიშალნენ.

ირაკლის აწონამ თუ ასეთი ინტერესი და შეშფოთება გამოიწვია, სამაგიეროდ, ლევანისათვის სრულიადაც არ მიუქცევიათ ყურადღება. როდესაც მას გამოუძახეს და სასწორზე შედგა, ირგვლივ ერთი კაციც არ იყო, გარდა მწონავისა, მსაჯებისა და საკუთარი ძმისა.

ირაკლიმ იცოდა, რომ ლევანი ზონალურ შეჯიბრებებში საშუალო წონაში გამოდიოდა, თვითონ ყოველთვის ქვემიმე წონის ფალავნებთან ჰქონდა საქმე, და ამიტომ ადრე ამაზე არც ფიქრობდა, არხეინად იყო, ახლა კი... ახლა გულის ფანცქალით შეჰყურებდა ციფერბლატს. ის წინასწარ გრძნობდა იმ უჩვეულო და უხერხულ შებმას, რომელსაც სულ რამდენიმე დღეში უნდა აელაპარაკებინა ჯერ თბილისის საზოგადოება და შემდეგ ყველა, ვინც კი რესპუბლიკაში ჭიდაობის მოყვარულია. მწონავმა ხმამაღლა განაცხადა, ხოლო მსაჯებმა ლევანის წონა აწონის ოქმში შეიტანეს. იგი აღმოჩნდა ოთხმოცდაორი კილო და ორასორმოცდათერთმეტი გრამი. ირაკლის ლამის თვალთ დაუბნელდა. ერთხანს კრინტის დაძვრაც კი გაუჭირდა, მაგრამ შაქრო წამოეშველა — მიუახლოვდა, მხარზე ხელი დაჰკრა და კმაყოფილებით შესძახა:

— უჰ, შენი ჭირიმე, ძალზე გამეხარდა! ქვემძიმე წონაში, მაინცდამაინც საიმედო არა მყავდა, საშუალო წონაში კი თავის ნებით ისეთი ბიჭი გამომყვა, ლევანს არ ჩამოუვარდება! მთლად გაკეთდა ჩემი საქმე, ლევანი ქვემძიმეა, მაშასადამე, ყველა წონაში საიმედო ბიჭები მყვანან, მაგრამ ამას რა ეშველება, რომ ძმები ერთ წონაში ხართ, და ისიც სხვადასხვა გუნდში?

ლევანი ამ დროს ტანსაცმელს იცვამდა. მთლად გაოგნებულმა ირაკლიმ შაქრო განზე გაიყვანა.

— კაცო, შენ გიხარია, ზოგი მეც მკითხე, საშუალო წონაში გამომყავდაო, ასე არა სთქვი? — ჰკითხა აღელვებულმა.

— თვეზე მეტი გავიდა, რაც იქ შეჯიბრება დავამთავრეთ, მაშინაც ასორმოცდაათი გრამი დააკლდა ქვემძიმე წონაში! ოჰ, ნეტავ გენახა, ირაკლი! შეჯიბრების გარეშე ქვემძიმე და მძიმე წონის ფალავნებიც შემირცხვინა, ყველას ეჭიდავა! ნატრობდა მაღალ წონას და აჰა, მოუმატია კიდეც! ნამდვილი ამირანია, სხვა თუ წლობით იზრდება, ეგ საათობით! მის ტუჩებზე ერთ წუთს ღიმილმა იფეთქა, მაგრამ უცებ ისევ მოიშმუხნა. — შაქრო, ძალიან საჭოჭმანო საქმე გაგვიჩნდა, მოდი და ისე წავიდა საქმე, პირისპირ დავრჩით! სახალხოდ რომ ერთმანეთს გვცნეთ, რა გამოვა?

— არ ივარგებს, შენ მართალი ხარ! — მიუგო ახლა კი ღრმად ჩაფიქრებულმა შაქრომ. — ლევანი მოკვდება და მაგას არ იზამს. უარის თქმისთვის შეჯიბრებიდან მოხსნიან, გუნდი საჯარიმო ქულებს მოიმატებს, პირველობა საეჭვო გახდება... ფუი! ნეტავი ასე მცოდნოდა! რა ეშმაკად აყრიდა დედაშენი ამდენ ერბოკვერცხს და ტაბაკებს?

— დედა თავის საქმეს აკეთებდა, ჩვენ ჩვენსას ვუშველოთ!

— ჩვენსას? ჰოდა, უნდა მივხედოთ! ძმები რომ საჭიდაოდ გადახვიდეთ, თვითონ ხალხიც არ დაგიჯერებთ, დაიწყებენ ყვირილს: „ტყუილია“; „თვალთმაქცობენ!“ და კიდევ, ვინ იცის, რას არ იტყვიან. ჰო, იცი, რა? — უცებ სახე გაუბრწყინდა შაქროს. — მსაჯთა კოლეგიას მოველაპარაკები, იქნებ რაიმე გამოსავალზე მიგვითითონ!

— ჯერ ადრეა, ჯერ კენჭის ყრა არ მომხდარა, მაგრამ მაინც სჯობს. წინასწარვე ვიცოდეთ, თუ ერთ ჯგუფში მოვხვდით, მაშინ რა ვქნათ? — გამოცოცხლდა ირაკლი.

— თუ ფინალში მართლაც ერთმანეთის პირისპირ დარჩით — წონა წონაა, შეჯიბრების პირობებიც პირობებია! აბა, სხვა რა გამოსავალზე შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ მაინც ვცადოთ! საღამოს შეჯიბრების დაწყებამდე გეტყვი პასუხს!..

ძმებს მთელ დღეს ამაზე ჰქონდათ ლაპარაკი. ირაკლი თუ ცოტათი წუხდა, ლევანი აინუნშიაც არ იგდებდა: „რაც არ უნდა მოხდეს, საქმე ისე როგორ წავა, ძმები ერთმანეთის პირისპირ დავრჩეთ“, ან ამაზე ლაპარაკი როგორ შეიძლებაო, და სულაც არ ფიქრობდა ამ საკითხზე. იგი მოუთმენლად ელოდა შეჯიბრების დაწყებას, რომ, თუკი რაიმე შეეძლო, თავისი ვაჟკაცობა სხვებთან გამოეჩინა. ირაკლის კი სანუგეშოდ შაქროს შუამავლობა ჰქონდა, და ისიც მოუთმენლად ელოდა პასუხს.

მთელი ოთხი დღის განმავლობაში სტალინის სახელობის სანაპირო, ბარათაშვილის ხიდს ზემოთ, იქ, სადაც ჩოგბურთის მოედანია მოწყობილი, არაჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენდა. დაბინდებიდან შუაღამემდე აქ არ წყდებოდა ზურნის მყივანა ხმა.

მოედანი მოწყობილი იყო ორი მოპირდაპირე გორაკის ჩავაკებაში, გორაკთა კალთები დაესერათ ქვემოდან ზევით ამწკრივებული გრძელი სკამების ტერასებით. აღმოსავლეთ გორაკის თხემზე ოთხკუთხა შენობა წამოედგათ ფიზკულტურელთა გასახდელებით, საბაზანოებით და დასასვენებელი ოთახებით, ხოლო დასავლეთიდან მოედანს თავს დაჰყურებდა მთავრობის ლოჟა. მარჯვნივ და მარცხნივ, მოედნის მთელ სიგანეზე, რკინის მოაჯირები გაევლოთ, რაც ფეხზემდგომ მაყურებელთათვის განკუთვნილ ადგილს წარმოადგენდა. დასავლეთით სკამები მთლიანად გასდევდა მოედნის სიგრძეს, აღმოსავლეთით კი სწორედ შუა ადგილას გაეჭრათ, გაეკვეთათ და ამ ჭრილში შენობიდან მოედნამდე ეშვებოდა გრძელი და საკმაოდ განიერი კიბე; ამ კიბით უკავშირდებოდნენ ფიზკულტურელები მოედანს და იგი, როგორც წესი, რაგინდ ბევრი ხალხი არ მოსწყდომოდა, ყოველთვის თავისუფალი იყო. მთლიანად მოედანი შემოეღობათ მავ-

თულის ძალზე მაღალი ბადით. აი, ამ მოედანზე უნდა ჩატარებულიყო შეჯიბრება პირად-გუნდურ პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში.

პირველ დღეს მტკვრის სანაპიროს ამ ადგილს მხოლოდ ჭიდაობის მოყვარულნი მოაწყდნენ. მართალია, დასაჯდომი ადგილებიც აივსო და ფეხზე სადგომიც, მაგრამ შედარებით მაინც სიწყნარე იყო. ყველას თავისი ადგილი დაეჭირა. მაყურებელი პირველ ღამესვე აშკარად მოწმე გახდა ისეთი წარმტაცი ამბებისა, რომ მთელი თბილისი აფორიაქდა. ირაკლის, როგორც საქართველოს ჩემპიონს, თითქმის ყველა იცნობდა. მის გამოსვლას მოუთმენლად ელოდნენ, მისი „კოხტა ჭიდაობის“ ნახვა ყველას ენატრებოდა და, მართლაც ირაკლიმ ხალხს გაუმართლა ის ტაშის გრიალი, რომელიც მის გამოჩენას მოჰყვა. მან წუთნახევარში დასცა ფალავანი და კვლავ ტაშის გრიალით იქნა გაცილებული ხალიჩიდან გასახდელამდე.

ლევანს ცოტა გვიან გამოუძახეს. დასვენების წინ უკანასკნელად იჭიდავა და, უნდა ითქვას, ხალხის ყურადღება გამოსვლისთანავე მიიპყრო. მის გამოსვლაში რაღაც უდრეკი სითამამე და ვაჟკაცური გაბედულება გამოსჭვიოდა. როგორც კი ანიშნეს — შენი ჯერიაო, ფიცხლავ წამოიჭრა, ნახევრად შიშველი მოჭიდავეების ჯგუფი შუაზე გააპო, გრძელი კიბე ნიავქარივით ჩაირბინა, ასევე სირბილით გადაჭრა მოედანი და, ხალიჩას რომ მიუახლოვდა, მიწას ფეხი დაჭკრა, ჰაერში გაფრინდა და ხალიჩის კუთხეს ქორივით დააცხრა.

— ფახიფუხობს!

— ხამია ვიღაც, მაგას ჰგონია, საცეკვაოდ გამოვიდა!

— მალე დაამტვრევენ მაგ ფრთებს და ზოგი მაშინ იფაფხუროს! — წამოიძახეს აქეთ-იქიდან, ზოგმა სიცილიც კი დააყარა და ატყდა საერთო ხმაური. ის კი არც განძრეულა. ხალიჩაზე იდგა ღიინჯშემოყრილი და მოწინააღმდეგეს ელოდა. მტკვრის ხეობიდან ნიავმა დაბერა და ქოჩორი შეურხია. მკერდი თეთრად უქათქათებდა და მზით შერუჯულ მკლავებზე დამრგვალებული კუნთები უთრთოდა. ხალხი თვალებდაჭყეტილი შეჰყურებდა მის ლაღად აყრილ ტანს და ახლად გინგლღაყრილ ტუჩს. ამ ბიჭის ძალა და ძლიერება ოდნავ იგრძნობოდა განზე გაწეულ მის მხრებში და მაღალ სქელ კისერში, უფრო მეტად კი — მის ბავშვურ სახეზე აღბეჭდილ გულუბრყვილო ღიმილში, რომელიც მის სახეს აღარ მოსცილებია მას შემდეგ, რაც საჭიდაოდ გამოუძახეს, თითქოს დაძაბულ ბრძოლას კი არ მოელის, არამედ ლხინის სუფრას შეხარისო. მაშინ ვერავინ მიხვდა, რომ მისთვის მართლაც და ერთადერთი ლხინი და სიხარული სხვებთან შებრძოლება და მკლავის გამართვა იყო! მან ეს ღიმილი არც მაშინ წამალა, როდესაც მისი მოწინააღმდეგის გამოჩენაზე ხალხმა ტაშის გრიალი ატეხა. წინა წლებში სახელგანთქმული ბ-ლი ფალავანი მოდიოდა. მაყურებლებმა იცნეს იგი და თავიანთი აღტაცება ტაშის ცემით გამოხატეს, ზოგს სინანულის გმინვაც აღმოხდა, ამ თვრამეტ-ცხრამეტი წლის ჭაბუკმა როგორ უნდა გაუძლოს ასეთ ვეფხვსო!

— ჭიდაობა კი არა, საცოდაობა იქნება, ერთ წუთში მოუღებს ბოლოს! — წინა რიგში მჯდომმა მაყურებელმა გვერდზე მყოფს გადაუჩურჩულა, ხოლო ვიღაც გულსათუთმა ხმამაღლა შესძახა:

— ბიჭო, ფრთხილად იყავი, ეგ სიცილი არ დაგავიწყოს!

ლევანმა გაიგონა, რაც უთხრეს, მაგრამ ოდნავადაც არ შეიმჩნია, ისევ იღიმებოდა. არც მაშინ შესწყვიტა ეს ღიმილი, როდესაც ოდნავ ფეხებდაგრეხილი, მუხის ჯირკვივით ტანსავსე და წარბშეკრული შავტუხა მოწინააღმდეგე, მის მოპირდაპირე მხარეს დადგა და მრისხანედ გადახედა, თითქოს ეუბნება — „მაგ სიცილს და ღრეჭას განანებ, დამაცადეო!“

მაყურებელთა შორის ბევრმა ხელი ჩაიქნია, ეს რა უხეირო შერჩევაა, ამ პატარა ბიჭს მოაკვლევინებენო! ვერც ერთი ვერ მიხვდა, რომ ეს ბიჭი იზრდებოდა ისეთ გარემოცვაში და ისეთ ხალხში, სადაც ყველა თვალის ახელისთანავე ჭიდაობის მოტრფიალეა და ამიტომ სხვებზე უკეთ იყო გაწაფული! ვერც ის გაიხსენა ვერავინ, რომ ამ ბიჭს წინ უძღოდა გამოცდილება ისეთი ცნობილი ფალავნებისა, როგორიც იყვნენ: ძიხა ქურხული, ნიკა ბუზარიაშვილი, ლექსო პაპიაშვილი, შალვა გზირიშვილი, ხოლო უკანასკნელ ხანებში — მსოფლიოს რისხვად მოვლენილი არსენ მეკოკიშვილი! ყველაფერი ამას ვერ მიხვდნენ, ვერ გაიხსენეს და ჭაბუკი ფალავანი შეიცოდეს, შეიბრალეს.

ხალხმა შეხედულება ცოტაოდნად მხოლოდ მაშინ შეიცვალა, როდესაც მთავარმა მსაჯმა ამ ჭაბუკი ფალავნის გვარი და სახელი გამოაცხადა.

— ბიჭოს! თუ ირაკლის ნათესავია, ეგებ ივარგოს!? — აქეთ-იქიდან გადასახეს ერთმანეთს, მაგრამ, ვიდრე საბოლოო დასკვნას გამოიტანდნენ, ზურნა დაუკრეს. არბიტრმა ნიშანი მისცა და პირისპირ მდგომი ფალავნები ერთმანეთისკენ დაიძრნენ — ერთი კვლავ ღიმილით, მეორე ტუჩების კვნეტით. ჭ.ბუკმა უთუოდ ზრდილობა გამოიჩინა, რომ ადგილს თამამი სირბილით მოსწყდა, წინ შეეგება და მოწინააღმდეგეს ხელი გაუწოდა. იმან ხელი ჩამოართვა. ერთმანეთს გასცდნენ, შემობრუნდნენ და... ხალხი გაინაბა. დოლის ბრახუნმა იქაურობა გააყრუა. ლევანი მოწინააღმდეგეს ვაკაცურად წელგაშლილი მიეტია, მხარში ისე მედგრად დასტაცა ხელი, ლამის ჩააჩოქა და ასევე წელგაშლილი მოწინააღმდეგის ქამარს მისწვდა. ბ-ლმა, ალბათ, ან დიდი ძალა იგრძნო, ან რაღაც მოხდა, რომ ქამარზე ხელი არ წაავლებინა, ფეხები გაბარჯღა და მეტოქეს აეთრევინა. ხალხში აღშფოთების ხმაური ატყდა, მაგრამ, ეტყობა, ჭაბუკი ფალავანი უფრო აღშფოთდა, წარბები შეიქმუხნა, ღიმილი წაიშალა მოწინააღმდეგის ასეთ არავაკაცურ საქციელზე, და უმალ ისევ გაიღიმა, ხელი უშვა და განზე გადგა. მალე მან ორივე მკლავი მაღლა ასწია და ამით მოწინააღმდეგეს ანიშნა — „მოდი, შენ მეციო!“ ბ-ლმა აღარ დააყოვნა, უმალვე გოჯში ეცა, ორივე ხელი წელზე შემოუსალტა, სცადა ხალიჩიდან აეტაცა, თავისი მარჯვენა ფეხი ორივე ფეხში გამოეკრა და უკან გადაქნევით ბეჭებზე დაეხეთქებინა... მაგრამ მოხდა რაღაც საოცარი რამ. ლევანმა მარცხენა ხელი ელვის სისწრაფით უკან ქამარში დასტაცა, ხოლო მარჯვენა — ასევე ქამარში, მუცელთან, მარცხენა ფეხი კი მის მარჯვენას ჩაუგრიხა, აჰკრა, თვითონ ის მოსწყვიტა ხალიჩას, ჰაერშივე პირაღმა შეატრიალა და... ყველაფერი გათავდა. ბ-ლი ხალიჩაზე ბეჭებით იყო გართხმული, ხოლო თვითონ მთელი სხეულით ზედ დასწოლოდა...

ჩაცმული თუ ჩაუცმელი ფალავნები, რომელნიც გამოსასვლელთან შეგროვილიყვნენ, ხალხი თუ დამკვრელები, — ყველანი კისერწაგრძელებული და სულგანაბული შეჰყურებდნენ ამ ორთა ჭიდილს. ირაკლი გულის კანკალით შეჰყურებდა ამოდენა ხალხის წინაშე ძმის პირველ გამოსვლას. იგი ფიქრობდა, და არცთუ მთლად უსაფუძვლოდ, რომ ლევანი შეკრთებოდა, დაიბნეოდა და ეს მას ზიანს მოუტანდა, მაგრამ უფრო უარესის მოწმე გახდა: მან გულუბრყვილოდ ხელები მაღლა ასწია და ამან შეაკრთო, შეაშინა და გააოცა. კინაღამ გულგახეთქილმა შეჰყვირა კიდეც: „რას შვრები, ბიჭო, მაგასთან ფრთხილად იყავ!“ მაგრამ ვეღარ მოასწრო, სულ სხვა გამოვიდა. როგორც კი დაინახა, ფეხი ფეხში ჩაუგრიხა, მაღლა ასწია და ჰაერში ამოატრიალა, მოჭიდავეთა ჯგუფს გასცილდა და თავისდაუნებურად შეჰყვირა:

— შენი ჭირიმე, ლევან!

ახლა იგი მოუთმენლად ელოდა ლევანის გამობრუნებას გასახდელისაკენ,

რომ გადახვეოდა და მიელოცა მისთვის. მთავარმა მსაჯმა რადიოს მეშვეობით განაცხადა:

— ერთ წუთსა და ოცდათექვსმეტ წამში გაიმარჯვა ლევან ფანოზიშვილმა!

მოწინააღმდეგენი ისევ ხალიჩაზე იდგნენ ერთმანეთის პირდაპირ და ამ განცხადებას ელოდნენ. როდესაც ხალხში აქა-იქ ტაშის ცემა გაისმა, ბ-ლმა ბრაზიანად ჩაიქნია ხელი და გასასვლელისაკენ გაბრუნდა. იგი იმდენად გამწარებული იყო, რომ ქართული ჭიდაობის ყველაზე სასახელო წესი და კაცთმოყვარული ჩვეა სრულიად დაივიწყა. გამარჯვებულიც და დამარცხებულიც კვლავ შუა ხალიჩაზე უნდა გამოსულიყვნენ და თუ კოცნა არა, ხელი მაინც უნდა ჩამოერთმიათ ერთმანეთისათვის და ისე გასულიყვნენ. ბ-ლმა ეს დაივიწყა, მაგრამ ლევანმა მოაგონა: ხელი გაუწოდა. ბ-ლმა მას ზურგი შეაქცია და რაღაც წაიბუტბუტა. მსაჯმა შენიშვნა მისცა. ამ წესის დარღვევისათვის შეიძლებოდა შეჯიბრებიდან მოეხსნათ, და ხელი უგულოდ გაუწოდა. ლევანმა ხელი მაგრად ჩამოართვა, შემდეგ კი მარცხენა მკლავი მხარზეც მოხვია და თავისებური ტკბილი ღიმილით წასჩურჩულა:

— მომივიდა, არ გეწყინოს, მე შენი მომრევი არა ვარ!

ამ თავმდაბლობამ ისე იმოქმედა გაანჩხლებულ მოწინააღმდეგეზე, რომ იგი უცებ დაცხრა, თვითონაც მოხვია ხელი და გასახდელისაკენ წავიდნენ. ხალხს ძალზე მოეწონა ლევანის საქციელი, ყიჟინით და ტაშისცემით გააცილეს. ირაკლი წინ შეეგება ძმას, გადაეხვია და გამარჯვება მიულოცა.

— შენი ჭირისუ, ლევან! პირველადვე რომ ასე თამამად გახველ, მერე რაღას იზამ? — მან ძმა სახალხოდ გადაკოცნა და გასახდელისაკენ გაეშურნენ.

მაყურებლებს ირაკლის ქცევა არ გამოჰპარვიათ. მრავლისაგან მრავალს ძალზე აინტერესებდა გაეგო — რატომ კოცნიდა საქართველოს ჩემპიონი ვიღაც უცხო ბიჭს? მართალია, ყველამ იცოდა, რომ მათ ერთი გვარი ჰქონდათ, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ ისინი უთუოდ ღვიძლი ძმები იქნებოდნენ. შეიძლება გვარის უბრალო დამთხვევა იყოს ან გარეშე ბიძაშვილები იყვნენ, ანდა რაღაც ამგვარიო, ფიქრობდა ყველა და ამიტომ არცერთ მაყურებელზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, როდესაც ირაკლის გვარი ლევანის გვარს დაემთხვა. ახლა კი ჩემპიონის აღფრთოვანებამ ეჭვები დაბადა. შეიქმნა კვლევა-ძიება და ხუთი წუთის შემდეგ თითქმის ყველამ იცოდა მათი ვინაობა. მაყურებლებში გაფანტული და ჯერის მომლოდინე მოჭიდავეების წყალობით, იცოდნენ, რომ ისინი ღვიძლი ძმები იყვნენ, — ირაკლი უფროსი, ხოლო ლევანი სამწლინახევრით მასზე უმცროსი. რაკი ხალხში ხმა დაირხა, რომ ისინი ალალი ძმები იყვნენ, გაკვირვებას და განცვიფრებას საზღვარი აღარა ჰქონდა. ამჟამად მაინცდამაინც ლევანს არავინ სწყალობდა, რადგან მას ჯერ კიდევ კარგად არ იცნობდნენ. მის შეხვედრას და გაცილებას ისეთი ტაში არა ჰქონია, როგორიც ირაკლის ჰქონდა. რაც შეეხება სახელგანთქმული ფალავნის დამარცხებას, ეს ისე სწრაფად მოხდა, ისე იოლად, რომ ზოგმა საბედისწერო შემთხვევას და გაუგებრობას მიაწერა.

რა თქმა უნდა, ხალხმა ჯერ კიდევ არ იცოდა, თუ როგორი ფოლადი მოსდგამდა ამ უცნობ ბიჭს, მაგრამ, როდესაც იმავე ღამეს, შესვენების შემდეგ, ირაკლიმაც და ლევანმაც თავთავის ჯგუფში თითო ფალავანი კიდევ დასცეს, მთელი ხალხი ალაპარაკდა ამ ორ ჭაბუკზე! ალაპარაკდა იმიტომ, რომ ლევანმა მეორედ უფრო იოლად დაამარცხა თავისზე ახოვანი მოქიშპე, მასზე ძლიერი რომ მოჩანდა, დაამარცხა მეტად ლამაზი ხერხით — მისვლისთანავე თეძოზე შეისვა, ჰაერში ფეხები აუთამაშა და კისრით ხალიჩას დაარჭო. მაყურებლებმა თვალე-

ბი ჭყიტეს და განცვიფრებით მიაშტერდნენ ჭაბუკის ულორტივით აყრილ ტანს და მის გულუბრყვილოდ მოღიმარ ბავშვურ სახეს. როდესაც მთავარმა მსაჯმა ყველას გასაგონად კვლავ სუფთა გამარჯვება გამოაცხადა, მოედნის ორივე მხარეს მაყურებლები ფეხზე წამოიჭრნენ და მომღიმარე ჭაბუკი ტაშის გრიალით გააცილეს. ამ წუთიდან იგი ყველამ იწამა და სულ იმას ნატრობდნენ, ნეტავი ხშირად აჭიდავონო...

ორივე ძმის ვაჟკაცურმა გამარჯვებებმა ისე იმოქმედა ხალხზე, რომ საითაც კი გაიხედავდით, სულ მათზე ლაპარაკობდნენ, სულ ერთი და იგივე გაისმოდა: „ძმებიც ასეთი უნდა!“, „შვილები მაგათმა მშობლებმა უნდა დაიკვეხნონ“, „პატარა მალე გაუსწრებს უფროსს!“... და კიდევ ვინ მოსთვლის.

მაყურებელთა ასეთმა აღფრთოვანებამ თავისი შედეგი გამოიღო. მეორე დღეს, შეჯიბრების დაწყებამდე, ჯერ თვითონ მონაწილენიც არ მოსულიყვნენ, რომ მტკვრის სანაპირო ხალხით აივსო. სალაროს ისე მიხვეოდა ხალხი, როგორც ჭიანჭველა თავის ბუდეს. მზე მთაწმინდის თავზე ეკიდა და ისე დაახლოებოდა, თითქოს მარტო მისთვის ენთო და ანათებდა. ტანმაღალი ნაძვისა და ჭადრის ხეების ჩრდილები გაზონებში გაფურჩქვნილ წითელ-ყვითელ ყვავილნარებს გადაჭფენოდა და სიგრილით შვებამიცემულნი უფრო ჩამუქებულიყვნენ, უფრო მკვეთრ ფერებს გამოსცემდნენ. აგურის ფხვნილით გულმოდგინედ დატკეპნილი მიწა ნარგიზისფრად ღადღადებდა, ხოლო ტროტუარსა და მოედნებზე ნაირფერი ტანსაცმლით აჭრელებული ხალხი ყველა მისადგომს ავსებდა. მავთულის ბადის ირგვლივ, სანაპიროს განიერ ასფალტზე თუ მახლობელ ქუჩებში იმდენი მანქანა და ხალხი ირეოდა, რომ გავლა ჭირდა. ლაჟვარდი ცა და მზის ალმაცერი სხივები ყველას და ყველაფერს აფერმკრთალებდა და სიცხის ბუღით შეწუხებულ მოსახლეობას შვებას და ხალისს უმატებდა. თუ ვინმეს რაიმე აწუხებდა, მხოლოდ ეს იყო: ბილეთს თუ იშოვნიდნენ! ზოგიერთი გულს იმით იმშვიდებდა, რომ მავთულის თხელი ბადიდანაც კარგად დატკბებოდა ამ უჩვეულო შეჯიბრების მსვლელობით. ზოგან ხმამაღალი ლაპარაკი ისმოდა, ზოგან კი სიცილ-ხარხარი.

ძმების, იშვიათი ფალავნების, ხმა მთელ ქალაქს მოჰფენოდა და ახლა ყველა აქეთ მოისწრაფვოდა, რომ მათი ჭიდაობის ყურებით დამტკბარიყო. ამ ღამითაც ისე სუფთად და ლამაზად იჭიდავეს ძმებმა, ისეთი ხმა გაიგდეს, რომ მესამე დღეს ჭიდაობის მომწყობთ მილიციის გაძლიერებული რაზმის მოწვევა დასჭირდათ. ვინც კი იმ დღეს მტკვრის სანაპიროზე ჩაიარა, ყველას ეგონა, მთელი ქალაქი სადღესასწაულოდ გამოფენილაო. ზურნის ხმა და დოლის განუწყვეტელი ბრახუნი, მაყურებელთა გაბმული გუგუნი ამ ხალისიან განწყობილებას აასკეცებდა. სწორედ ამ დღეს თბილისის ერთ-ერთმა გაზეთმა საჭიდაო ჩოხებში გამოწყობილი ორივე ძმის სურათი მოათავსა და ქვეშ წარწერა გაუკეთა: „ქართული ჭიდაობის ფინალური შეხვედრა გრძელდება, ამ შეხვედრის მშვენებანი — ძმები ირ. და ლ. ფანოზიშვილები“.

გაზეთის ასეთმა რეკლამამაც იმოქმედა, და მესამე დღეს მაყურებელი ერთი-ათად უფრო მეტი მოაწყდა, ვიდრე ელოდნენ.

უმცროსი ძმა ყოველთვის არაჩვეულებრივი ხალისით გამოდიოდა მოედანზე. როგორც კი გამოუძახებდნენ, სიხარულით წამოხტებოდა ხოლმე. კიბეზე ისე ცოცხლად ჩამორბოდა, თითქოს მთის ბილიკზე დაეშვა და თავი ვეღარ შეუკავებია. თავის ადგილზე მისული ცალი ხელით დოინჯს შემოიყრიდა, მეორით ყოველთვის ხშირ ქოჩორს ისწორებდა და ღიმილით ელოდა მოწინააღმდეგეს. ხალხს ყო-

ველთვის სწორედ ეს ღიმილი და ხშირი ქოჩორი ხიბლავდა.

ლევანმა პირველი დღიდანვე ისეთი სახელი გაითქვა, რომ შემდეგ დღეებში მას ხალხი ტაშის ცემით ეგებებოდა ღა, რაკი ყოველთვის იმარჯვებდა, ასევე ტაშის გრიალით აცილებდნენ ბოედნიდან.

სულ სხვა იყო ირაკლის გამოსვლა და ასპარეზობა. იგი ყოველთვის ვაჟიოდიოდა დინჯი, მტკიცე ნაბიჯით, შუბლშეკრული, მაგრამ ლაღად წელგაშლილი და მკერდგადმოგდებული; მისი ცივი თუ უდარდელი გამომეტყველება, მისი განიერი მხარ-ბეჭი და უშფოთველი ქცევა ყველას აგრძნობინებდა ადამიანს, რომელსაც სწავს საკუთარი ძალა. წინააღმდეგ ძმისა, რომელსაც ხშირი თმა, ვერ იქნა და, თავის ჭიუაზე ვერ დაეყენებინა, მას ქოჩორი ყოველთვის მოვლილი და გულმოდგინედ გვერდზე გადავარცხნილი ჰქონდა. იგი ყოველთვის დინჯად გაივლიდა ხოლმე მოედანს, ასევე დინჯად მოძებნიდა თავის ადგილს ხალიჩაზე და, როგორც კი შედგებოდა, უმალვე მარცხენა ფეხს მოუშვებდა, ხელებს უკან გადაიჯვარედინებდა, სწორედ ისე, როგორც ეს სჩვევიათ ჯარისკაცებს თავისუფლად დგომის დროს. ერთი სიტყვით, მის ყოველ ქცევაში გამოსჭვივოდა უდიდესი ძალა და ნატიფი ზრდილობა. ლევანი თუ ცოცხალი მოქმედებისათვის უყვარდა მაყურებელს, ირაკლის კიდევ ყველა მოხიბლული ჰყავდა თავისი სიდინჯით და საზოგადოებისადმი აშკარად მეტყველი პატივისცემით...

ხალხს ორივემ მართლაც შეაყვარა თავი, ერთმა — სიმარდით, მეორემ — სიდინჯით, მაგრამ მაყურებლები მათ სხვა რამით უფრო ჰყავდათ მოხიბლული და აღფრთოვანებული, და ესეც უნდა ითქვას.

მიუხედავად იმისა, რომ ძმები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ, ზოგ რამეში მაინც ერთნი იყვნენ, ერთმანეთს არსად წაუვიდოდნენ. ჯერ-ერთი, ყველა აღტაცებაში მოჰყავდა მათ უზომო თავმდაბლობას. ორივეს წესად ჰქონდა, როგორც არ უნდა გამწყრალიყო დამარცხებული, უეიუოდ ხელს მოხვევდნენ, ბოდიშს მოუხდიდნენ და ისე გაჰყავდათ მოედნიდან! მეორე და მთავარი ის იყო, რომ ორივე ვაჟკაცურად, თამამად მიდიოდა მოწინააღმდეგეზე, როგორც არ უნდა გასჭირებოდათ, წელში არ მოიხრებოდნენ! ხელს მხოლოდ ქამარსა და ჩოხაში ჩაავლებდნენ ხოლმე! გოჯში მოგდებას ერიდებოდნენ, უკანიდან მივარდნას სამარცხვინოდ თვლიდნენ, კისერზე ხელის მოჭერას არავითან შემთხვევაში არ კადრულობდნენ! ეშმაკობის და ვერაგობის ნასახს მათ ჭიდაობაში ვერავინ ნახავდა, ვერც უწესრიგო ბღლარძუნს და ძიძგილს! ორივენი მიდიოდნენ ვაჟკაცური პირდაპირობით, გულდაგულ და უშიშრად! ხმარობდნენ მხოლოდ იმ ფანდებს, რომლებიც ქართველ ხალხს საუკუნეებით შეემუშავებინა, შემოენახა და, რაც მთავარია, არ სარგებლობდნენ მდგომარეობით, ნაუცბათევი მარცხით. მოწინააღმდეგე თუნდ ცალ მუხლზე ჩაჩოქილიყო, უმალვე ხელს უშვებდნენ, რომ წამომდგარიყო, წელში გამართულიყო და კვლავ ერთმანეთს დასტაკებოდნენ, ერთმანეთი რომ ესინჯათ ღონით და არა ცბიერებით...

ქართველმა ხალხმა თავის ყველაზე საყვარელ სპორტს — ჭიდაობას დასაბამიდანვე საფუძვლად დაუდო ერთი უსპეტაკესი მორალი: გულდაგულ წელგაშლით მისვლა და ვაჟკაცური პატიოსნებით ბრძოლა! ცხადია, საბჭოთა მაყურებელს ამ ორი ახალგაზრდის ასპარეზობაში ყველაზე მეტად ეს ხიბლავდა და ამიტომ ეგებებოდნენ და აცილებდნენ მათ ტაშის გრიალით და ვაშას ძახილით...

დიახ, ძმებმა სულ ადვილად მოხიბლეს დედაქალაქის მრავალრიცხოვანი მაყურებელი, მაგრამ მათი სიმარჯვე ყველასში ერთნაირად როდი იწვევდა აღფრთოვანებასა და სიყვარულს. იყვ-

ნენ ისეთებიც, რომელთაც ბევრი რამ გაუხდათ საფიქრალი და თავში საცემი. ესენი იყვნენ: მათი წონის ფალავნები და ამ ფალავნების მწრთვნელები, სხვადასხვა რაიონის და თვით თბილისის გუნდებიდან. ვინც უკვე შეხვდა მათ, თავბედს იწყევლიდა, ხოლო ვინც ჯერ არ შეხვედროდა, გუნებაში ლოცავდა თავის ბედს, რომ საშუალება მიეცა დაკვირვებოდა ძმების ფანდებს, შეესწავლა მათი ჭიდაობის სტილი და ისე შებრძოლებოდა. როგორც კი ირაკლი ან ლევანი გავიდოდა მორიგ ასპარეზობაზე, მწრთვნელებიც და მათი გაწრთვნილებიც უმალვე გამორბოდნენ გასახდელი ოთახიდან და გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს ძმების მოქმედებას, რომ კარგად შეესწავლათ, კარგად გაეგოთ მათი გამარჯვების საიდუმლოებანი. მწრთვნელებიც და ფალავნებიც ცოტაოდნად მხოლოდ მესამე დღეს მიხვდნენ მათი წარმატებების არსს, სახელდობრ: არც ერთი ძმა მომდევნო ფალავანზე არ მიდიოდა ერთი და იმავე ხერხით, და სწორედ ეს გარემოება აჭირებდა საქმეს: წინასწარ შეუძლებელი იყო იმის გაგება, თუ რომელი რა ხერხს გამოიყენებდა.

ხალხი აღტაცებაში მოჰყავდა ორივე ძმის ილეთებს. ისინი ყველა ხერხს ერთნაირი ოსტატობით იყენებდნენ: გარე სარმასაც, შუაკაურსაც კისრულსაც, ზურგულსაც, მხრულსაც, ორივე ფეძოსაც, ნამგლურსაც, თუ გაჭირდებოდა, ჯანდაჯანაც მოდიოდნენ და არც მაღლა ატაცებას ერიდებოდნენ. ბოლოსდაბოლოს, მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თავდაცვაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. ეს ისეთი მეტოქეები იყვნენ, რომლებთანაც მხოლოდ ბრძოლით თუ გაიტანდნენ ლელოს, თორემ თავდაცვით და სიფრთხილით აუცილებლად დამარცხდებოდნენ. მხოლოდ ძალა და მოხერხება გამოდგებოდა მათთან ბრძოლაში.

თითქმის ყველა გუნდის მწრთვნელიც და მოჭიდავეც დარწმუნდა, რომ ქვემძიმე წონაში ამაო იყო ბრძოლა, ჩემპიონი უთუოდ ერთ-ერთი ძმა გახდებოდა.

მათ წარმატებას სიხარულით და სიამაყის გრძნობით მხოლოდ შაქრო შეჰყურებდა. იგი ამჟამად ლევანის მწრთვნელი იყო, მაგრამ თავის დროზე ირაკლიც ხომ მან გამოზარდა? ახლა სხვა მწვრთნელების და ფალავნების შეშფოთებას რომ ხედავდა, გუნებაში ეცინებოდა. მის ჭკუას და გამჭრიახობას ვერავინ მიხვდა, ვერავინ გაიგო, რომ, როგორც ყველა მებრძოლს, ისე მოჭიდავესაც ყოველთვის ღუპავდა და ღუპავს ერთი და იმავე ხერხის გამეორება! შაქრო თავის შეგირდებს სულ იმას ჩასჩიჩინებდა, სულ იმას ასწავლიდა, რომ ყველა ფანდს ერთნაირად დაუფლებოდნენ. მოწინააღმდეგეს მუღამ სხვადასხვა ხერხით უნდა შეებრძოლო, რომ დაიბნეს და არ იცოდეს, რა ღონეს მიმართოს! თუ გამარჯვება გინდა, ეცადე საქმეში ხელოვანი იყო და არა ხელოსანი!

ამ სიბრძნის შედეგი შაქროს ახლაც თვალწინ ჰქონდა. მარტო ძმები კი არა, მისი გუნდის თითოეული წევრი ამ მძიმე შეჯიბრებაში თამამად მიიწევდა წინ, მიღწეული შედეგებითაც უკვე შეეძლო ეფიქრა, რომ მისი გუნდიდან ოთხი თუ არა, სამი მაინც გახდებოდა საქართველოს ჩემპიონი, ხოლო დანარჩენთ არ ასცდებოდათ მეორე და მესამე ადგილები. მარტო ის რად ღირდა, რომ მისი გუნდის ყველა წევრმა პირველი დღიდანვე დაიმსახურა ხალხის ყურადღება და სიყვარული.

მართალია, შაქროს ყველაფერი ეს ძალზე ახარებდა და ამაყობდა კიდეც, მაგრამ რამდენადაც შეჯიბრება დასასრულს უახლოვდებოდა, იმდენად უფრო შფოთავდა და წუხდა. ძმების წარმატება მას ყველაზე მეტად აღაფრთოვანებდა, რადგან ამაში მასაც ჰქონდა წვლილი შეტანილი, მაგრამ მისი შორსმჭვრეტელი თვალი აშკარად ხედავდა, რომ ამ წარმატებებს რაღაც დიდი და უჩვეულო ამბავი უნდა მოჰყოლოდა, ისეთი ამბავი, როგორიც არავის გაე-

ვონა მას შემდეგ, რაც ქართული ჭიდაობა წესად და ჩვეად შემოეღოთ, — არ ენახათ არც დღეობებში, არც სახელდახელო ლხინში, არც ცირკის არენაზე და არც ჩვენს დროს ეგზომ ხშირად მოწყობილ სპორტულ შეჯიბრებებში. ეს ეჭვები იმდენად უფრო ძლიერდებოდა, რამდენადაც ძმები ერთნაირი წარმატებებით იბრძოდნენ თავ-თავის ჯგუფში და ყოველთვის სუფთა გამარჯვებას იწერდნენ. ბოლომდის რომ ასე ევლოთ, პირისპირ დარჩებოდნენ და ძალაუნებურად ერთმანეთს შეხვდებოდნენ. და განა ხალხი დაიჯერებდა მათ გულწრფელობას? ან თვითონ მოინდომებდნენ ერთმანეთის საჯაროდ დამცირებას? მეორე მხრით, არ შეიძლებოდა ამ შეჯიბრებაში ნამდვილი ჩემპიონი არ გამომჟღავნებულიყო, ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც პირადი, ისე გუნდური პირველობისათვისაც. თუ მსაჯთა კოლეგია მათ შეხვედრაში რაიმე თაღლითობას შეამჩნევდა, ორივეს უმალვე მოხსნიდნენ შეჯიბრებიდან და სულ უარესი იქნებოდა: გუნდიც დაკარგავდა ქულებს და ამ წონაში ნამდვილი ჩემპიონი გამოურკვეველი დარჩებოდა.

სწორედ ეს აწუხებდა შაქროს და, რამდენადაც დღეები ილეოდა, იმდენად უფრო მეტს წუხდა. ერთადერთი პაწაწინა იმედი მესამე დღეს ჰქონდა: ძმები უნდა შეხვედროდნენ ერთ უ-ნელ მოჭიდავეს, ხოლო მეორე ხ-ზელს, რომლებთანაც ჩვეულებრივი იოლი გამარჯვების მოპოვება ძალიან ძნელი იყო. შაქროს ამის იმედი-ღა ჰქონდა. დღეს ან ირაკლი ან ლევანი ერთ-ერთთან დამარცხდება და მათი შეხვედრის შიშიც აღარ იქნებაო, უ-ნელ გუნდის მწრთვნელს, იმის შიშით, რომ ლევანთან მის ფალავანს სუფთად არ წაეგო, ასეთი დარიგება მიეცა:

— სულ თავდაცვაზე იყავი, არც ერთ ხერხზე არ მიუშვა! უ-ნელმა თავის მწრთვნელს დაუჯერა და ხალხი სიცილ-ხარხარით დახოცა. როგორც კი ერთმანეთს ხელი სტაცეს, უ-ნელი წელში მოიხარა, განზე გაუდგა, ფეხები გაჩაჩხა, ხოლო ხელებით საქამარეში ჩაებღაუჭა ლევანს, მკლავები გაფშიკა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, განზე სწევდა. თუ ლევანი ხელს წაიღებდა წასავლებად ან ფეხს აიქნევდა, იგი უმალვე ჩაიმუხლებდა ხოლმე და ლამის ხალიჩაზე წვებოდა. ასე გაფარჩხულს ვერც ფეხი მიუწვდინა, ვერც ხელი ჩაავლო, თეძოზე სულ ვერ მიიკარა და კისრულით წაღებაზე ხომ ფიქრიც არ შეიძლებოდა. უ-ნელმა კარგა ხანს იწვალა და ლევანიც გააწამა. ხალხი აღშფოთდა. შიგადაშიგ გაისმა შეძახილები: „გააგდეთ!“ ბოლოს სტვენაც ატეხეს, სიცილ-ხარხარიც დააყარეს. ლევანი გაცეცხლდა, ვაქკაცის ასეთი ლაჩრული საქციელი აბრაზებდა და სწყინდა კიდეც! მან დრო იხელთა და, როდესაც მოწინააღმდეგემ კვლავ ჩაიმუხლა და ლამის ხალიჩაზე დაჯდა, უკან ქამარში ორივე ხელი ჩაავლო. ძაღლა აიტაცა, ერთ ადგილზე დაატრიალა, უცებ ხელი უშვა და თითქოს ყურიანი ქვაბი ყოფილიყოს, ისე გააგორა ხალიჩაზე. ხალხმა სიცილ-ხარხარით და ტაშის გრიალით უპასუხა. ლევანი არბიტრთან მივარდა და აი, ხალხმა პირველად იხილა, რომ იგი აღარ იღიმებოდა.

— მე მაგას აღარ ვეჭიდავები, კამეჩი ხომ არა ვარ, ნალო ვათრიო! — უთხრა მან არბიტრს. მთავარმა მსაჯმა ხელით ანიშნა. მიუხედავად გაფრთხილებისა, უ-ნელმა თავისი განაგრძო, მოჭიდავეები ერთმანეთს გაჰყარეს. მეზურნეებმა დაკვრა შეწყვიტეს, გვერდით მსაჯები მაგიდასთან მსხდომ მსაჯთა კოლეგიასთან შეგროვდნენ და მცირე ხანს წაითათბირეს, რის შემდეგაც მთავარმა მსაჯმა ხმის გამაძლიერებელით ყველას გასაგონად განაცხადა:

— უ-ნელმა ფალავანმა უარყო ქართული ჭიდაობის უპირველესი ცნება — ვაქკაცურად, გულდაგულ და წელგაშლით მისვლა, ამიტომ მას ჩაეთვალა

დამარცხებად, ხოლო ლევანს სუფთა გამარჯვებად!

ხალხმა მთავარ მსაჯს არც კი დაამთავრებინა სათქმელი, მისი უკანასკნელი სიტყვები მოწონების ყიჟინით დაფარეს.

შესვენების შემდეგ ირაკლიმ იჭიდავა საკმაოდ მძლავრ კ-ნელ ვაჟკაცთან. შაქროს იმედი ჰქონდა, რომ ირაკლის სუფთა გამარჯვების მოპოება გაუჭირდებოდა და თუნდაც ერთით სამზე გაემარჯვნა, ესეც კმაროდა იმისთვის, რომ ლევანს უკან ჩამორჩენოდა. მაგრამ პირიქით მოხდა: როგორც კი მოჭიდავენი პირისპირ შებრუნდნენ, ირაკლიმ ამოსუნთქვაც კი არ აცალა, ელვისსისწრაფით მარცხენა ხელი წელზე მოხვია, მუცლით თეძოზე შეისვა და ჰაერში გადაკოტრიალებული ხალიჩას გააკრა.

ამრიგად არ გამართლდა შაქროს იმედები: ორივე ძმამ ამ ღამესაც სუფთა გამარჯვება მოიპოვა და კვლავ ერთნაირი წარმატებები ჩაეწერათ.

მაგრამ იმ ღამეს ფრიად საყურადღებო სხვა რამეც მოხდა და მასაც უნდა მიექცეს ყურადღება...

იმ კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სადაც მათი დედა მუშაობდა, ყოველ საღამოს ჩამოდიოდა საკუთარი „მოსკვიჩით“. იგი, ძმების ჭიდაობით მოხიბლული, შეჯიბრების დამთავრების შემდეგ უკანვე ბრუნდებოდა...

კოლმეურნეობის თავმჯდომარე უკვე ხანში შესული კაცი იყო, თავის დროზე ალბათ ბრგე, ახოვანი და გულმაგარი ფალავანიც. ახლა თვითონ რომ აღარ შეეძლო, სხვების ჭიდაობით ტკბებოდა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, ამ შეჯიბრების არც ერთი საღამო არ გაეცდინა. როგორც კი კოლმეურნეობის საქმეს მორჩებოდა და დღეც მიიწურებოდა, თანასოფლელებს ჩაისხმდა მანქანაში და თბილისისაკენ ისეთი სიხარულით გასწევდა, თითქოს ახალგაზრდა ვაჟკაცი სადედოფლოსკენ მიეშურებაო. წინასწარვე ყველაფერი აწყობილი ჰქონდა. ადგილები თავიდანვე შეარჩია და გუნდის მწრთვნელი შაქრო ყოველ საღამოს მის ჩამოსვლამდე წინასწარ ყიდულობდა ბილეთს. თავმჯდომარემ პირველი დღიდანვე შეარჩია თავისთვის ადგილები — მაღლა, სულ უკანასკნელი რიგი კიბის თავში, სწორედ იქ, სადაც ფალავნების გასახდელი ოთახი იყო და მოედანზე ჩასასვლელი იწყებოდა. ეს ადგილი იმით იყო მარჯვე და სახარბიელო, რომ სულ უკანა რიგს წარმოადგენდა, თავისუფლად წავიდოდა, საითაც სურდა, როცა მოესურვებოდა, ფეხზე ადგებოდა და, რაც მთავარია, რა წუთშიც უნდოდა, ნახავდა თავის საყვარელ ბიჭებს, მათთან ლაპარაკით დატკბებოდა, შეაქებდა, გაამხნევებდა და, როგორც ძველი მოჭიდავე, დაარიგებდა კიდევაც. ძმების მოხდენილმა ჭიდაობამ იგი პირველი დღიდანვე ზეცაში აფრინა და წესად შემოიღო: როგორც კი რომელიმე ძმა საჭიდაოდ გადიოდა, გასვლის წინაც და გამარჯვების შემდეგაც კიბის თავში ხვდებოდა და გულმხურვალედ, მამაშვილურად გადაკოცნიდა ხოლმე. თავმჯდომარემ შეჯიბრების დაწყებიდანვე ერთი რამ აიკვიატა და მას შემდეგ ამას ყოველღამ იმეორებდა, აი, რაში იყო საქმე. იმ ღამეს, როდესაც შეჯიბრების შემდეგ სოფელში დაბრუნდა მძღოლს მარცხნივ გაახვევინა და ფანოზიშვილების ეზო-ყურესთან გააჩერებინა. მან მანქანის კარი გამოაღო და ჩაბნელებულ აივანს შესძახა:

— პელო, გამოიხედე, სახლში არა ხარ თუ გძინავს?

— ვინ ბრძანდებით? — მოესმა დინჯი ხმა და კარმაც გაიჭრიალა.

— ჰმ! მე კი არ ვიცოდი, შვილებზე ფიქრი მაგას დააძინებდა? — წაეჩურჩულა თანამგზავრებს და შემდეგ ხმამაღლა და ომახიანად შესძახა: — მე ვარ, მე, თავმჯდომარე, თბილისიდან მოვდივარ!

— თბილისიდან? — აკანკალებული ხმით წამოიძახა პელომ და იმავე წუთს

მთვარის შუქით განათებულ აივანზე შავი აჩრდილი გამოსრიალდა.

— შენს დედობას ვენაცვალე! ბიჭები კი არა, ვეფხვები დაგიზრდია! — თავმჯდომარეს გადაწყვეტილი ჰქონდა შორიდან დაეწყო, მაგრამ ისე იყო აღგზნებული, რომ უცებ თქვა თავისი სათქმელი.

— თითომ ორი სუფთა გამარჯვება ჩაიწერა, ორი! გესმის, ადამიანო? მეხივით გავარდა მათი სახელი!

— ენაცვალოთ დედა! მტლად დაეღოთ ორივეს! — თავისთვის წაიბუტბუტა დედამ, ხოლო ხმამაღლა კი მიუგო:

— მაგით მორჩა ყველაფერი?

— ჯერ სად არის! — შესძახა თავმჯდომარემ. — შეჯიბრება ოთხ დღეს მაინც გაგრძელდება! ისეთ ვაჟკაცებს მოუყრიათ თავი, რკინის მკვნეტელებს ჰგვანან, მაგრამ პირველ დღესვე შენმა ბიჭებმა ყველას თავს დაჰკრეს, მთელი თბილისი აალაპარაკეს!

— ენაცვალოთ დედა! — წაიჩურჩულა დედამ და, თავისი ზღვა სიხარული რომ დაეფარა, უცებ მოსწყდა აივნის ბოლოს, მთვარის შუქზე გამოვიდა და გულგახსნილად მიიპატიჟა ყველანი. — ამობრძანდით, ახლავე შუქს ავანთებ. რაკი ასე აქებთ, თითო ჭიქით დამილოცეთ ვაჟები.

მართლაც, ავიდნენ, თითო ჭიქა რა სათქმელია, თითო ჩარექა გამოცალეს და წავიდნენ. ვიდრე შეჯიბრება მიმდინარეობდა, ასე ხდებოდა ყოველლამ. ღედას შვილების ამბავი მოსდიოდა ქალაქიდან, ხოლო შვილებს — დედის ლოცვა-კურთხევა სოფლიდან...

მესამე დღეს, დილით, მზის ამოსვლამდე, დედა თოხით ხელში კოლმეურნეობის კანტორას ეწვია და თავმჯდომარეს სთხოვა — თბილისში წასვლამდე გამოიარეთ, ჩემს ბიჭებთან ცოტაოდენ რამეს გაგატანთო. მართლაც, გაუარეს და ძალზე გულისამაჩუყებელი სურათის მოწმენი გახდნენ. დედას ღაბლა, დერეფნის ბუხარში, ცეცხლი დაენთო. ერთ ზედადგარზე ტაფა დაედგა, მეორეზე საშუალო სიდიდის ქვაბი. მისულთ შორიდანვე შეესმათ შიშინი. იგი ალბათ გემრიელ ვახშამს ამზადებდა, რომ ეზოში შემოსვლისთანავე ერბოს სუნი ეცათ. თვითონ დედა ტახტის წინ სამფეხა დაბალ სკამზე ჩამომჯდარიყო და მწვანილს ასუფთავებდა. შავი კაბის სველი და ლაფიანი კალთები ფილაქნის იატაკზე დაეფინა, უკან ჭაღარაშერთული კავები უჩანდა. ნორჩი მწვანილის გარჩევა-გასუფთავებით ისე იყო იგი გართული, რომ ეზოში შემოსულთა ფეხის ხმაური არც გაუგია.

თავმჯდომარე სულ ახლოს მიკიდა, ის-იყო, რაღაც უნდა ეთქვა, რომ ერთ ადგილზე გაშეშდა. მან დაინახა დედის წინ კედელს მიფენილი სწორედ ის გაზეთი, სადაც მისი შვილების სურათები დაებეჭდათ. იგი მწვანილს გამალებით არჩევდა, თანაც მალ-მალ სურათს შეჰყურებდა და თავისთვის ჩუმად ტიტინებდა:

— ჩემი შვილები, ჩემი მარგალიტები, ენაცვალოთ დედა! დიდ ბრძოლაში ჩაებნენ და მე კი იმათთან არა ვარ! — კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ლოყაზე დაყრილი ოფლი მოსახვევის წვერით მოიწმინდა და კვლავ სურათს დაეშტერდა. — არა, თქვენ შემოგევლოთ დედა! მე ისე არ გამიზრდიხართ, ლაღად გაშალეთ ფრთები, არწივივით იფრინეთ! დედის კალთა და საკუთარ კერაზე ძილი სახელს ვერ შეგძენთ! იფრინეთ, ჩემო მარგალიტებო, იფრინეთ, მხოლოდ ერთმანეთს უპატრონეთ, ერთმანეთი გიყვარდეთ და ყოველგვარ გასაჭირს დაგავიწყებთ! თქვენი სიყვარული ჩემი ნუგეშია, შვილებო!

თავმჯდომარეს ერთი სიტყვაც არ გამოჰპარვია. იგი უმალვე მიხვდა, რომ დედა მხოლოდდამხოლოდ შვილების სიყვარულით სულდგმულობდა და ცოცხლობდა. მარტოდ მყოფ დედის ალერსს რომ ისმენდა, რატომაც მასაც თვალებში ცრემლი ჩაუდგა, მაგრამ ეს ცრემლი არ იყო არც ძწუხა-

რებისა, არც სიბრალულისა და არც სიხარულისა. რაღაც სულ სხვა გრძნობით იყო გამოწვეული, თვითონაც ვერ აეხსნა, და, მეტისმეტი რომ არ მოსვლოდა, ამიტომ ჩაახველა. დედა უმალვე ფეხზე წამოიჭრა.

— უკვე მიდიხართ? — იკითხა მან აჩქარებით და ზედადგარზე შედგმულ ქვაბს ეცა.

— ასე უცებ ეგ გაზეთი ვინ მოგიტანა, ადამიანო? — თავისდაუნებურად წამოიძახა გაკვირვებულმა თავმჯდომარემ.

— უთენია ჩავედი, კოლმეურნეობის ბოსტანს ვრწყავდი. ფოსტალიონმა იქ ჩამომიტანა... სამახარობლოსა მთხოვს, თითქოს ასეთი სიხარული ერთ ხელადა ღვინოზე გაიცვლებოდეს!

— განა შენ ასე გიხარია შენი შვილების ფალავნობა? მე ბევრი დედა ვიცი, რომ შვილებს საჭიდაოდ არ უშვებენ, ეშინიათ, არ დასახიჩრდნენო!

— უქნარას და ქალაჩუნას მე დასახიჩრებული ვაქკაცი მირჩევნია! რკინა ცეცხლში .იწრთობა, ვაქკაცი კი ხიფათში! თუკი ქვეყანას ეგეც სჭირია, მე იმათ ბორკილად რად უნდა ვიქცე? — ამას რომ ამბობდა, თან ქვაბიდან ამოღებულ წითლად დაბრაწულ ვარიის ტაბაკას კომბოსტოს სუფთა ფოთლებში ახვევდა. თავმჯდომარეს არც კი მიხედა.

— შენ გენაცვალე! ისინი კიდეც იმიტომ დაზრდილან ვეფხვებად, რომ ასეთი დედა ჰყოლიათ! — აღტაცებით წამოიძახა თავმჯდომარემ.

დედას ლოყებზე ალმურმა გადაჰკრა. ალბათ მოერიდა გაზვიადებულ ქებას, რომ ისევ ბუხრისკენ შეტრიალდა, უკვე ჭინელებული ცეცხლიდან ტაფა გადმოიღო, დაბრაწული ხორცის ნაჭრები გოგრის ფოთლებზე გადმოჰყარა, კალათაში აწყობდა ფოთლებში სათუთად შეხვეულს, თან კი სხაპასხუპით ამბობდა:

— ენაცვალოს დედა ჩემს ბუთხუზას, ვარიის მეტი საჭმელი არა სწამს! ესეც ჩემს პატარა ღრეჭელას, შემწვარი ხორცი მისთვის თაფლიც არის და შაქარიც! მრგვალად მოხარშული კვერცხი, ქორფა მწვანილი, კიტრი და პამიდორი კი ორივეს ერთნაირად უყვართ! ჰო, მართლა, გუდის ყველი მავიწყდებოდა, ლავაშში გახვეული ორივესათვის ნუგბარი საჭმელია.

დედამ კალათა გაავსო, ზედ ფოთლები დააყარა და თავი წაუკრა წნელების გადახლართვით. თავმჯდომარე მოხიბლული იყო დედის მზრუნველობით, მაგრამ მეტისმეტ გულუხვობას რომ ხედავდა, ვეღარ მოისვენა და თქვა:

— კმარა, ადამიანო, თბილისში ისეღაც არ მოაკლებენ სასმელ-საჭმელს!

— ჰო, მაგრამ, რასაც სიყრმით მიჩვეულან, ამ ძნელ შეჯიბრებაში ის ყველაზე მეტად წაახალისებთ, დაატკბობთ! დედის ზრუნვა ფრთებს შეასხამთ.

თავმჯდომარემ სავსე კალათა ხელში აიტაცა და მანქანისაკენ გააქანა. როდესაც ყველანი ჩასხდნენ და მოტორი აგუგუნდა, მაშინ გაისმა ღობესთან მომდგარი დედის ხმა:

— არ დავიძინებ! რა დროც არ უნდა იყოს, მაცნობეთ ჩემი ბიჭების ამბავი!

*

* *

მესამე დღეს, ვიდრე შეჯიბრება დაიწყებოდა, თავმჯდომარე ძალით შევარდა მოჭიდავეთა გასახდელ ოთახში და ორივე ძმა გარეთ გამოიყვანა. ზღვა ხალხს აევსო მოედნის გაღმა და გამოღმა მხარე. მარჯვნივ და მარცხნივ, სადაც ხალხი ფეხზე იდგა, ნემსის ყუნწიც არ ჩავარდებოდა. იმ სახლის ირგვლივ კი, რომელიც კორტოხზე წამოდგმულს ჰგავდა, სრული ხალვათობა იყო. აქეთ მაყურებლებს არ უშვებდნენ, ქალაქის მილიციას ყველა მისასვლელი ჩაეკეტა. სახლის წინ, მაყურებელთა სკამებამდე ფართო არე იყო დატოვებული. აქ შეჯიბრებაში მონაწილე ფალავნები ირეოდნენ. თავმჯდომარემ ბიჭები განზე გაიყვანა და ერთხანს დუმდა, საიდან დაეწყო, ვერ მოეფიქ-

რებინა. ძმები გაშტერებული შეჰ-ყურებდნენ.

— ძია ანტონ, ისეთი რა მოხდა, რომ ვერც კი გითქვამს? — ირაკლის შიშნარევ ხმაზე ანტონიც გამოფხიზლდა.

— ცუდი არაფერია, ბიჭებო! — აჩქარებით მიაძახა მან და განაგრძო: — ისეთი სურათის მოწმე გავხდი, როგორ გადმოგცეთ, არ ვიცი!

— დედაჩემის რაიმე ოინი იქნება! — გულუბრყვილოდ წამოიძახა ლევანმა.

— არა! არავითარი ოინი, ბიჭებო! მხოლოდ აი, კაცს რომ მკერდში ყველაზე უნაზეს ძარღვებს შეგიტოკებს, ეს კი მართლაც იყო!

ძმებმა ერთმანეთს გადახედეს და მხრები აიჩეჩეს.

— ყური დამიგდეთ, აგერ ზურნა აჭყვიტინდა, დოლსაც აბრახუნებენ, ალბათ შეჯიბრება იწყება! ჰოდა, ძალიან მოკლედ გეტყვით! — აჩქარდა მთლად აჭარხლებული თავმჯდომარე და ძმებს დაწვრილებით უამბო ის, რაც მან ქალაქში წამოსვლის წინ ნახა. ჯერ მან გაზეთში გამოქვეყნებული სურათები და დედის ტკბილი ტიტინი აღწერა, შემდეგ კი ის, თუ დაღლილ-დაქანცული და ჯერ ისევ სველი და ტლაპოიანი დედა როგორ ხალისიანად ტრიალებდა ცეცხლის წინ და შვილებისათვის ნუგბარ საჭმელს ამზადებდა. თავმჯდომარემ თავისი სათქმელი სულ ორიოდე სიტყვით დაამთავრა: — ჭიდაობის შემდეგ უჩემოდ არსად წახვიდეთ, კალათას გადმოგცემთ!

— რა ადამიანია, ლევანის ჩამოტანილიც, ლამის არის, გაგვიფუჭდეს და კიდევ ახალს გზავნის! — ჯერ ირაკლიმ ამოიღო ხმა.

— იმას ჰგონია ყველა დიდი საქმე მხოლოდ და მხოლოდ ჭამით კეთდება! კიდევ კარგი, აქ არ არის, თორემ ყოველ ჭიდაობისას ნამდვილად ნაზუქსა და ტაბაკას მოგვაწვდიდა! — ოდნავ გამკილავი ხმით თქვა უმცროსმა ძმამ. ეტყობოდა, რომ ასეთი მზრუნველობით იგი საკმაოდ თავმობეზრებული იყო.

როგორც კი შეჯიბრება დამთავრდა და ხალხი გაიკრიფა, ძმებმა თავმჯდომარეს დაუწყეს ძებნა. იგი მათ გასასვლელში უცდიდა. სამივემ ანტონის მანქანას მიაშურეს. როდესაც სავსე კალათა ლევანმა ხელში აიტაცა, მხოლოდ ახლა იგრძნეს ძმებმა თავმჯდომარის საოცარი სახეცვლილება. რამდენადაც შეჯიბრების დაწყებამდე იგი აღფრთოვანებული იყო, ახლა ძალზე ჩაფიქრებული და დამუნჯებული გამოიყურებოდა. სახლი ახლოს ჰქონდათ და ამიტომ ირაკლიმ ისიც და მისი თანამგზავრებიც შინ მიიპატიჟა, მაგრამ გაურკვეველი უარი მიიღო: არც „ჰო“ იყო, არც „არა“! აშკარად ეტყობოდა, რომ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ ბედავდა. ირაკლიმ დაკვირვებით ათვალიერ-ჩაათვალიერა და წყნარად ჰკითხა:

— ძია ანტონ, არც მემშვიდობები, არც მომდევ, რა მოხდა?

თავმჯდომარე ერთბაშად წელში გასწორდა. თავის მძღოლს უბრძანა, მძიმედ მომყეო, ირაკლის ხელი გაუყარა და დინჯი ნაბიჯით წავიდნენ ბარათაშვილის ხიდის მიმართულებით. ლევანი მძიმე კალათით ხელში ოდნავ უკან ჩამორჩა მათ. როდესაც თავმჯდომარემ იგრძნო, რომ ირაკლი, ეს არის, დავიმარტოხელეო, წყნარად დაიწყო:

— ჭკვიანი ბიჭი ხარ და ამიტომ ვეტყვი შენთან ლაპარაკს, მით უმეტეს, რომ მეც ძველი მოჭიდავე ვარ და ზოგიერთ წესებს მეც კარგად ვიცნობ!

— როგორ, რაიმე უწესობა შეამჩნიე შეჯიბრებაში? — გაკვირვებით იკითხა ირაკლიმ.

— ძალიან დიდი, წარმოუდგენელი! დღემდე ანგარიში არ გამიწევია, არც კი მიფიქრია ამაზე, ნამდვილი სულელი ვარ...

— ძია ანტონ, რა არის ეგეთი, რომ საკუთარ თავსაც აღარ ინდობ? — ვეღარ მოითმინა ირაკლიმ და სიტყვა შეაწყვეტინა.

— ხვალ უკანასკნელი დღეა. ძმებს წაუქცეველი კიდევ დაგრჩათ ვინმე?

— დაგვრჩა, მე გ-ლი, ხოლო ლევანს მ-ელი ფალავანი!

— მერე?

— არ მესმის რაზე ამბობ, ძია ანტონ!

— განა შენ და ლევანი ერთ წონაში არ გამოდიხართ?

— სამწუხაროდ, აგრეა!

— რატომ სამწუხარო? — თითქოს დინაშაულზე წაასწროო, ისე ფიცხლად ჰკითხა თავმჯდომარემ. გულისპირში ხელი სტაცა და ერთ ადგილზე გააჩერა. ირაკლიმ თავისი კუნაპეტი თვალები განზე მდგომ ცაცხვის ოქროსფერ ყვავილს დააშტერა და, როგორც ბურანში მყოფმა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად წამოიძახა:

— არ ვიცი, რა იქნება... ასე თანაბარი წარმატებები ძნელად თუ ვინმეს ჰქონია... ამავე დროს კი, ნამდვილი ჩემპიონი ხომ უნდა გამოირკვეს? ჰოდა? ხვალ ერთ-ერთი ჩვენთაგანი თუ არ დამარცხდა, მაშინ ერთმანეთს უნდა შევხვდეთ, რომ ამ წონაში გამოირკვეს, ნამდვილად ვინ არის ღირსი ჩემპიონის სახელისა! მსაჯთა კოლეგია უთუოდ ორივეს მოგვთხოვს, რომ ერთმანეთს შევებათ, მაგრამ ან თვითონ ისინი ან ხალხი დაგვიჯერებს, რომ გულწრფელად ვიბრძვით?...

ეტყობოდა, რომ ირაკლის ეს საკითხი დიდი ხანია აწუხებდა, ბევრიც ეფიქრა და ვერავითარი გარკვეული გადაწყვეტილება ვერ მიეღო. მას სწყუროდა რჩევა-დარიგება, გზის გარკვევა და ძალზე ესიამოვნა, როდესაც თავმჯდომარემ ამ საგანზე ჩამოუგდო ლაპარაკი. ამიტომ იყო, რომ ასე ერთბაშად თქვა ყველაფერი. კალათით დატვირთული ლევანი მათ წამოეწია, თავმჯდომარემ ფეხი ინაცვლა და გზა განაგრძეს. როდესაც ლევანი კვლავ ჯარგა მანძილზე უკან ჩამოიტოვეს, ღრმა რწმენით და ვაჟკაცური პირდაპირობით განუცხადა ირაკლის:

— დარწმუნებული ვარ, ხვალინდელ მოწინააღმდეგეებსაც ორივენი დაამარცხებთ და... უთუოდ შეგაბრძოლებენ ერთმანეთს, სხვანაირად არაფერი გამოვა! ჰო, იცი, რა, ბიჭო? მეტი გზა არ არის, ამ შემთხვევაში ორივემ უნდა დაივიწყოთ, რომ ძმები ხართ!.. იფიქრე! ჭკვიანი ბიჭი ხარ და მიმიხვდები, თუ რატომ გაძლევ ასეთ რჩევას!

იგი სწრაფად ჩაჯდა გვერდზე ატორღიალებულ საკუთარ „მოსკვიჩში“, მძღოლს რაღაც უბრძანა, ბარათაშვილის ხიდისკენ შეუხვიეს და ქარივით სწრაფად გასწიეს სოფლისკენ, თითქოს დიდად სასიხარულო ამბავი მიაქვს ღა სამახარობლოს მოელისო.

ძმებმა სავსე კალათა სახლში მიიტანეს. დედის მიერ სათუთად ჩაწყობილი ხილი და სანოვაგე კვლავ მაგიდაზე გაფინეს და ივახშმეს. ლევანი მადიანად ილუკმებოდა, ხოლო ირაკლი ცოტ-ცოტას იკიკნებოდა.

ირაკლი, ჩაფიქრებული და თვალგაშტერებული, უხალისოდ ძიძგხიდა ვარიის ბარკალს. მას გონებიდან აღარ შორდებოდა და ერთავად ყურში ჩასწიოდა თავმჯდომარის მიერ ნათქვამი სიტყვები: „უნდა დაივიწყოთ, რომ ძმები ხართ!“

რა ადვილად ითქმის! ნეტავი შეიძლებოდეს ასე ადვილად ამის შესრულება! აი, რაზე ფიქრობდა, რა აწუხებდა, რატომ იყო იგი ასე უმადოდ და უხალისოდ.

რამდენჯერმე დააპირა ლაპარაკი ჩამოეგდო ამ საგანზე ძმასთან, მაგრამ ერიდებოდა. ერიდებოდა იმიტომ, რომ ლევანი ძალიან კარგ მადაზე იყო და არ უნდოდა მისთვის გუნება წაეხდინა. ერთი რამ ძალზე აკვირვებდა ირაკლის და ერთავად ამაზეც ფიქრობდა: „ნუთუ ლევანი ისეთი ხეპრეა და უსულგულო, რომ სულაც არ ფიქრობს იმაზე, რაც ხვალ მოგველის, რატომ არის ასე არხეინად? ამ ბიჭს ჭიდაობა თვითმიზნად ხომ არ ექცევა? ოღონდ იჭიდაოს, გაიმარჯვოს და, ვინც გინდა, იყოს! ეს საღაურია?“ — ეკითხებოდა თავის

თავს ირაკლი და ხანდახან, როგორც ეთნეს ალმური, ისე აჰკრავდა ხოლმე სიბრაზე...

ძალიან უყვარდა უმცროსი ძმა, მასზე უფრო მახლობელი ამქვეყნად არავინ ეგულებოდა და არ უნდოდა თავისი უხამსი წარმოდგენით ეს წმიდა და უებარი სიყვარული შეებღალა. ამ ორჭოფ ფიქრებში ჩაფლულს, აღარც ხალისი ჰქონდა, აღარც მადა და აღარც ლაპარაკის სურვილი. თითქოს შიშობდა, ჩემი წინასწარგრძნობა არ დადასტურდესო, ძმას ზედ აღარ უყურებდა...

იმ ღამეს ძმები ისე დაწვნენ დასაძინებლად, რომ ერთმანეთისათვის რიგზე არც კი გაუცია ხმა, მაგრამ ეს არც ერთს უკვირდა, არც მეორეს; ლევანი ამ უხალისობას თავის გუნებაში დაღლას აწერდა, ხოლო ირაკლი მის უდარდელ ბუნებას.

ლევანმა თავი მიდო თუ არა ბალიშზე, უმალვე წყნარი ფშვინვა ამოუშვა. ირაკლი კი მთელ ღამეს ბორგავდა.

განთიადისას, როდესაც მერცხლები ცას ჭყივილით მოეფინენ, ხოლო ჩიტებმა მტკვრის ხეობა შესძრეს, ირაკლი გამალებით წამოიჭრა ფეხზე, ფანჯარა ხმაურით გამოაღო და ტახტის ქვეშიდან ხუთკილოიანი სავარჯიშო გირები ბრაგაბრუგით გამოაგორა. შემდეგ გირები ხელში მოიმარჯვა და მაღლა-დაბლა აქნევ-ჩაქნევით ვარჯიში დაიწყო. იგი ყოველ დილით ვარჯიშობდა, მაგრამ ახლა სულ სხვანაირად იქცეოდა. თითქოს ვიღაცას თუ რაღაცას უწყრებოდა და განგებ ხმაურობდა. წარამარა ძმას გადახედავდა ხოლმე, და, ლოგინში არხეინად რომ ფშვინავდა, ბრაზი ერეოდა. ბოლოს-დაბოლოს, ვარჯიშმა ისე გაიტაცა, რომ ძმისკენ ერთხელაც აღარ მიუხედავს. როდესაც დაღლა იგრძნო, გირები მოურიდებლად დაჰყარა იატაკზე და ფანჯრიდან მტკვარს დააშტერდა.

— რა ამბავში ხარ, ბიჭო! აღარ დაიცდი გათენდეს? — ლევანი იდაყვით ბალიშს დაყრდნობოდა და გაშტერებული შეჰყურებდა ძმას.

— აღარ დამეძინა, მინდოდა, გაგღვიძებოდა! — წყნარად უპასუხა ირაკლიმ.

— განა ეგეთი რა მოხდა? — ლევანი ლოგინში წამოჯდა, ფეხები იატაკზე გადმოყარა და საბანი მუხლებზე გადაიფარა.

— ის მოხდა, რომ არც შენ უნდა დაგძინებოდა! — მიახალა ირაკლიმ, ძალზე მოღუშულმა და გამწყრალმა.

— რაო? — უმცროსი ძმა კინაღამ ფეხზე წამოიჭრა, მაგრამ მოაგონდა, რომ ჩაუცმელი იყო და ტახტის ქვეშ ფეხსაცმელებს დაუწყო ძებნა.

— ჰო, ეგრეა! — უფრო მკაცრად მიუგო ირაკლიმ. — ჯერ თუ ადამიანი არა ხარ, ვერც კარგი მოქალაქე იქნები, ვერც ძმა და ვერც მეგობარი!

— ჩემგან გეწყინა რამე, რაზე მლანძღავ? — გულუბრყვილოდ იკითხა ლევანმა და ფეხსაცმელების ჩაცმა დაიწყო.

— აი, გათენდა ყველაზე შარიანი დღე, გესმის? უნდა ვხედავდე, უნდა გატყობდე, რომ რაღაც გაწუხებს!

— მაინც რა?

— დღეს შეჯიბრების უკანასკნელი დღეა! მე ჩემს ჯგუფში და შენ შენს ჯგუფში ყველას შევხვდით, თითო ფალავანიც და კვლავ თუ ორივემ გავიმარჯვეთ, მერე მე და შენ-ღა ვრჩებით! ნუთუ ეს გარემოება არ გაფიქრებს?

— მერე-და, რა უნდა მაფიქრებდეს?

— როგორ თუ რა? განა ხალხის წინაშე ძმებმა რომ ერთმანეთი ამსხვრიონ და ამტვრიონ, ეს სასახელო ან სასიხარულოა? — ირაკლი გულხელდაკრეფილი მიუახლოვდა ჯერ ისევ საწოლზე მჯდომ ძმას და თვალებში ჩაეშტერდა.

— სწორედ იმიტომ, რომ არც სასახელო იქნება და არც სასიხარულო, ეგეთი რამ არც მოხდება! — მტკიცედ მიუგო ლევანმა.

— ამას მოითხოვს შეჯიბრების წესი. შეჯიბრების მთავარი პირობა: ერთ წონაში ვართ და, თუ ფინალში პირის-

პირ დავრჩით, უთუოდ უნდა შევებათ ერთმანეთს!

— როცა ეგ წესი წესად შემოუღია-თ, ძმები არ გაუთვალისწინებიათ, და აბიტომ არცა აქვს ფასი!

— ლევან, მე ხუმრობის გუნებაზე არა ვარ! — უცებ აფეთქდა დინჯი ირაკლი.

— არც მე ვარ! — მიუგო ლევანმა. — რაც აქამდის არ მომხდარა, ჩვენი მაგალითით წესად შემოიღებენ, რომ ეახლოესი ნათესავები, თუკი ასეთები დარჩებიან პირისპირ, ერთმანეთს არ შეახვედრონ, რადგან არ იქნება მართალი, სხვების მოსაჩვენებლად იბღლარძუნებენ და ჭიდაობის მაგიერ მასხრობა გამოვა!

— ჯერჯერობით ეგ წესი არ არსებობს! გაიგე, შეისმინე...

— ჩვენ დავაწესოთ! როგორც არ უნდა დამატანონ ძალა, მე შენს წინააღმდეგ არ გამოვალ და ამიტომ არც ვფიქრობ ამაზე! — ცხარედ მიაძახა ლევანმა.

— მოიცა, მოიცა, შენ ასეთი გადაწყვეტილება მიიღე და ამიტომ არ გაწუხებს არაფერი?

— სწორედ ეგრეა! გუშინ მოჭიდავეთა შორისაც ატყდა კამათი და ყველამ ერთ აზრს დაუჭირა მხარი: ჯერ არ მომხდარა, რომ ღვიძლ ძმებს სახალხოდ ერთმანეთთან ეჭიდავოთ!

— რაც არასოდეს არ მომხდარა, ვთქვათ ახლა მოინდომეს, რას იზამ შენ?

— უკვე გითხარი, მაშინ მე... — სულშეგუბებით დაიწყო ლევანმა და თანდათან თამამი კილო მისცა თავის ხმას, — მე არ მინდა არც დამარცხება, არც გამარჯვება, არც შეჯიბრება, არც სახელი და არც დიდება! უარს ვიტყვი, მე შენთან საჭიდაოდ არ გამოვალ! სახალხოდ შეგება? ეს არასოდეს არ მოხდება! ვინც გინდა დამატანოს ძალა, მე არ გამოვალ!

— ვთქვათ გამოხვედი, რა დაშავდება ამით?

— დაშავდება! — მისთვის უჩვეულო დინჯი კილოთი მიუგო ლევანმა. შენი გამარჯვებაც და შენი დამარცხებაც ჩემზე ისე მოქმედებს, როგორც საკუთარი, ალბათ შენც ასე ხარ, და რა გამოდის? გამოხვიდე და სახალხოდ შენს თავს ეჭიდავო, შენი თავი შეარცხვინო? ასეთი სისულელე ვის ჩაუდენია, რომ მე ჩავიდინო?

ირაკლი საბოლოოდ დარწმუნდა თავის ძმის კეთილშობილებაში, უანგარო ძმურ სიყვარულში და საკუთარ თავს აყვედრიდა აჩქარებას, როდესაც მან სულ სხვანაირად ახსნა მისი საქციელი... აყვედრიდა და ახლა ამ შეცდომის გამოსასწორებლად მზად იყო მოხვეოდა და გადაეკოცნა იგი, ძმის მსჯელობისა და მოსაზრების საფუძველი, მართლად ეჩვენა, უდავოდ კეთილშობილურად, ამიტომ საბოლოოდ დამშვიდდა და ტკბილად უთხრა:

— მოიცა, ლევან, ახლა მეც გულახდილად გეტყვი!

— რა უნდა მითხრა, რა? — უცებ ფეხზე წამოხტა უმცროსი ძმა, მთლად აჭარხლებული და გაცეცხლებული. — განა შენ ისეთი უსინდისო ხარ, რომ მე გამიმეტო და ხალხში შემარცხვინო?! მე რაღად მატან ძალას? შენს გულს დაეკითხე და ისე მომთხოვე პასუხი!

ირაკლიმ ძმას ხელი მოხვია, სკამზე დასვა და განაგრძო:

— საქმეც ეგაა, რომ შენ მხოლოდ გული გალაპარაკებს და მთავარი კი გავიწყდება!

— ეგ მთავარი რაღა ჯანაბაა?

— ის, რაც ადამიანს განასხვავებს ცხოველისაგან! ის, რასაც ადამიანთა ყოფიერებაში შეაქვს ნამდვილი სიკეთე და ბედნიერება — გონება!

— ჩემი გონებაც მაგას მირჩევს, მაგას მეუბნება!

— იმიტომ, რომ მას გული კარნახობს! მე კი მინდა, გონებამ უკარნახოს გულს და ისე გადაწყდეს საკითხი...

— რა უნდა უკარნახოს, ბიჭო რა? — თანდათან ცეცხლი ეკიდებოდა ლევანს.

— დამშვიდდი, ჯერ მომისმინე და მერე გაცეცხლდი და გაბრაზდი შენე-

ბურად... როცა სასწორზე შევდექით და ერთი წონისანი აღმოვჩნდით, მაშინ-ღე ვიგრძენი, რომ ერთმანეთს ვერ ავცდებოდით. მას შემდეგ სულ ამაზე ვფიქრობ. როგორც შენ თქვი, პირველ ხანებში მეც ისე ვფიქრობდი, მაგრამ ღრმად რომ ჩავუკვირდი, როცა კარგად ავწონ-დავწონე, იმ დასკვნამდე მივედი, რომ ცხოვრება გვცდის და ეს გამოცდა ორივემ უნდა მივიღოთ...

— შენ ნუ გამაგიჟებ! ძმას სახალხოდ ვეჭიდავო ან დავცე ან დამცეს, ეს არის გამოცდა? ეს არის ცხოვრება? ასეთი ცხოვრება რად მინდა?

— ბიჭო! გაიგე, შეისმინე: ჩვენ ძმები ვართ, მაგრამ საქვეყნო საქმეშიც ვართ ჩაბმულნი და ამასაც ანგარიში უნდა გავუწიოთ!

— რად მინდა ასეთი საქმე, თუკი ჩემს ღვიძლს და მახლობელს შემაძულებს?

— საქმეც სწორედ ის არის, რომ არ შეგაძულებს! ქვეყანას ჩვენი ძმობა რაში გამოადგება? ქვეყანამ ის უნდა გაიგოს, ვინ არის ნამდვილად ძლიერი, რომ სხვა ქვეყნებთან შეჯიბრებაში თავის დროშას ამაყად აფრიალებდეს! დაუფიქრდი, რა ხდება: ჩვენი რესპუბლიკა გზა არის საბჭოთა კავშირისაკენ, ხოლო საბჭოთა კავშირი გზა არის მსოფლიოსაკენ! ვთქვათ, მსოფლიო ასპარეზობა მოეწყო და ჭიდაობის რომელიმე სახის საბჭოთა კავშირის გუნდში შედარებით სუსტი მოხვდა, ძლიერი კი სახლში დარჩა, და ეს იმიტომ, რომ შმებმა ერთმანეთს ხათრი გაუწიეს და ეს ძლიერი არ გამომქღავნდა. საბოლოო ანგარიშით ამ მოკრძალების გამო ჩამორჩა საბჭოთა კავშირის გუნდი, რომელიც მეორე — მესამე ადგილზე გამოვიდა. აი, რა დიდი სახელი შეიბღალა მხოლოდ იმიტომ, რომ შენ, ან მე ძმასთან გასვლა ვითაკილეთ.

ყველაფერს წარმოიდგენდა ლევანი, ყველაფერს, მხოლოდ იმას კი ვერა, რომ თბილისში დაკრული ზურნის ხმა და დოლის ბრახუნი მსოფლიოს გადასწვდებოდა, — რომ აქ, მტკვრის ხეობაში, მებრძოლი ვაჟკაცები, შესაძლებელია, დიადი საბჭოთა კავშირის სახელისა და ღირსების დამცველნი ყოფილიყვნენ! ვერ წარმოიდგენდა იმ დღეს, იმ წუთს, რომ ცივ-გომბორის მთებიდან აფრენილი არწივი, სადღაც ინგლისში თუ ამერიკაში ფრთებს გაშლიდა, ვაჟკაცური შემართებით მსოფლიოს თავს აცნობებდა და ბობოქარ სახელს მოიხვეჭდა... დღემდე იგი თბილისში ჩამოსვლას და ასეთ სადღესასწაულო ვითარებაში ხალიჩაზე კოტრიალს უბრალო დროსტარებად და ხალხის გასართობად თვლიდა და ერთხელაც არ უფიქრია იმაზე, რომ მათი კუთხიდან წამოსულმა გოლიათმა, არსენ მეკოკიშვილმა, სწორედ აქედან დაიწყო — საგარეჯოში ფრთა შეისხა და, ბოლონ, ჰელსინკში და ტოკიოში მეხივით იჭექა.

იგი პირდაღებული შეჰყურებდა ძმას. მის გონებაში ყველაფერი აირ-დაირია, ათასნაირი ტკბილმწარე ფიქრი ერთნაირად აეშალა და სწორი, ჭეშმარიტი დასკვნის გამოტანა ძალზე გაუჭირდა... გაუჭირდა და ისევ სოფლურ გულუბრყვილობას დაუჯერა: „სად მსოფლიო და სად ივრის ხეობა! რაღაცას მატყუებს, ჩემი წაქეზება უნდაო“ — გაიფიქრა მან და ამ აზრს აღარ მოეშვა. ირაკლის პირდაპირ ვერ გაუბედა ამის თქმა და ამიტომ ბავშვური სითამამით წამოიძახა:

— თავი გამანებე, მაგაზე შემდეგ იყოს! აბა, გაიხედე, რა მშვენიერი დღე იქნება! რაც აქა ვარ, სულ მპირდები და იმ მხოხავი ტრამვაით მთაზე ვერ ამიყვანე, სტალინის სახელობის პარკი ვერ მაჩვენე! რა გავაკეთოთ საღამომდე?

ირაკლის ამჟამად მეტი არ უნდოდა. იგი მიხვდა, რომ ძმის მოსაზრებანი ასე თუ ისე შეარყია.

ძმებმა მთელი დღე მამადავითის მთაზე, სტალინის სახელობის პარკში, ფიჭვნარისა და ცაცხვნარის ხეივნებში გაატარეს. ირაკლიმ ერთხელ კიდევ სცადა, როგორც კი დრო იხელთა, ძმის

შეგნებაში ღრმად შთაენერგა ის აზრი, რომ ნათესაობა დროებით დაევიწყებინა, ეგონა თანხმობას მიიღებდა, მაგრამ სრულიად საწინააღმდეგოს წააწყდა...

დილით ცოტაოდენი იმედი მიეცა, რომ ძმის სიჯიუტეს, მის გულუბრყვილო წარმოდგენებს, რაც დაკავშირებული იყო უმცროს-უფროსობასთან, ხათრთან და ღვიძლი ძმის შერცხვენასთან, გატეხდა, მაგრამ ლევანმა ქვა შეისროლა და თავი შეუშვირა, სულ „არა“ „არას“ გაიძახოდა! მეტისმეტად შეწუხებულმა ბოლოს უფროს ძმას გადაჭრით განუცხადა:

— მაგაზე ნუღარ მელაპარაკები! თუკი მე ან შენ ძმის გვამზე გადავლით, უნდა მოვიპოვოთ ჩემპიონის სახელი, რა თავში ვიხლი მას? ბევრი-ბევრი ათიოდე წელიწადი შემრჩეს, შემდეგ ხომ ვიღაცა წამართმევს? რაც წამერთმევა, ე. ი. ჩემპიონის სახელი, რად გავცვალო მასში, რაც სიკვდილამდე არ წამერთმევა, ე. ი. ძმა?

გულის სიღრმეში ირაკლიც სწორედ იმას ფიქრობდა, რასაც ლევანი ეუბნებოდა, მაგრამ გონება და თვით საქმის ინტერესი სულ სხვას უკარნახებდა.

როდესაც სხვა კუთხით და სხვა მხრიდან შეხედა ამ საკითხს, მისი სინდისი დამშვიდდა, თავისი გადაწყვეტილება უფრო მტკიცედ, გარდუვალად და გამართლებულად მოეჩვენა. თუკი ლევანი მართლაც ყველაზე ძლიერი აღმოჩნდებოდა და გზა გაეხსნებოდა, შესაძლებელია, მსოფლიოს არენისაკენაც, განა ეს უფრო დიდი მზრუნველობა და სიკეთე არ იქნებოდა მისთვის, ვიდრე ხათრი და მორიდება იყო?

რა სახის სპორტული შეჯიბრებაც არ უნდა იყოს, ყველა იმ სპორტსმენს, რომელიც უარს იტყვის შეჯიბრების გაგრძელებაზე ან მოწინააღმდეგესთან შეხვედრაზე, ხსნიან შეჯიბრებიდან და დამარცხებულად თვლიან. სწორედ ამ გარემოებამ ჩააფიქრა ირაკლი. საქმე საქმეზე იყო მისული, ლევანი ხალხის საყვარელ ფალავნად იქცა. იგი პირველად იღებდა მონაწილეობას ასეთ ძნელ შეჯიბრებაში და პირველადვე ისეთი სახელი მოიხვეჭა, რომელიც ჯერ არ ღირსებოდა არც ერთ ფალავანს. სამი დღის ბრძოლის შემდეგ ის ყველა მონაწილეზე უფრო თვალსაჩინო და მომხიბლველი გახდა. სულ ერთი საღამოც და იგი უთუოდ მოიპოვებდა საქართველოს ჩემპიონის საპატიო სახელს. ამ სიჯიუტით ლევანი მოსალოდნელ დაფნის გვირგვინს უთუოდ დაკარგავდა. ყოველგვარი წესი და კანონი სასტიკი და ულმობელია. იგი არ დაგიდევს გულისამაჩუყებელ ნათესაურ გრძნობებს, არც მეგობრობას, არც ძმობას და არც ამხანაგობას! უპირატესი თუ ხარ, გვაჩვენე ეს უპირატესობა, თუ სუსტი ხარ, დადექი უკან, გზა მიეცი ძლიერს!

ყველა ამის გამო ირაკლიმ მშვენივრად იცოდა, რომ ასე სახელოვნად მავალი ლევანი მკაცრი უარისათვის გარიცხული იქნებოდა შეჯიბრებიდან და ის დიდი წარმატება, რომელიც მან სამ დღეში მოიპოვა, არარად იქცეოდა.

რა თქმა უნდა, ეს ისეთი რამ იყო, რაზედაც ღირდა დაფიქრება, მაგრამ იყო სხვა მიზეზიც, რაც შეუძლებელი ხდებოდა შემოწმებულიყო; ეს მიზეზი იმდენად უტიფრად გამოიყურებოდა, რომ ირაკლი მოკვდებოდა და სხვასთან ვერ იტყოდა... ვერ იტყოდა, რადგან დაკავშირებული იყო პირად თავმოყვარეობასთან, პირად ინტერესთან...

საქართველოს სამგზის ჩემპიონს, თავისი თავი უძლეველად მიაჩნდა. ამ საპატიო სახელის ვინმესთვის დათმობას არც მომავალში ფიქრობდა, მაგრამ აი, გამოჩნდა კაცი, მისი სისხლი-სისხლთაგანი და ხორცი-ხორცთაგანი, რომელიც მრისხანე მეტოქედ გამოიყურებოდა. იმ უქრობი ჟინით, რომელიც ყველა სპორტსმენს და, უფრო კი, ჭიდაობის მიმდევართ ახასიათებთ, განსაკუთრებული სიშმაგით სურდა გამოეცადა თავისი თავიც და მოწინააღმდეგეც. მას შემდეგ, რაც ლევანი გამოვიდა ასპარეზობაზე, საქართველოს ფალავნებს

შორის მითქმა-მოთქმა ატყდა. გამოცდილნი და ფხიზელი თვალის პატრონნი უმცროს ძმას ამჯობინებდნენ და, საკვირველიც არ უნდა იყოს, მართალია, თავისი ძმა ძალზე უყვარდა, მაგრამ მაინც სწყინდა, თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა. საკუთარი სიამაყე შელახულად ეჩვენებოდა. ირაკლი ყოველივე ამას გულისტკივილით განიცდიდა და ნატრობდა დამდგარიყო დღე და წუთი გამოცდისა, თუნდაც ისეთი გამოცდისა, როგორსაც ძმები ხშირად მიმართავდნენ: ეზოებში, ვენახებში, ხის ჩრდილებში, მინდვრად, ტყეში და ივრის ნაპირებზე...

ამრიგად, ლევანის უარის თქმას ბევრი ცუდი შედეგი მოჰყვებოდა. ჯერ-ერთი, ქვეყანა ვერ აღმოაჩენდა მჯობზე მჯობს, თვითონ ლევანი ფართო ასპარეზზე ვერ გავიდოდა, დაკარგავდა სამდღიან შეჯიბრებაში მოპოვებულ ბრწყინვალე წარმატებებს და თვით ირაკლის თავმოყვარეობაც შელახული დარჩებოდა; ამიტომ, რადაც უნდა დასჯდომოდა ლევანის სიჯიუტე უნდა გაეტეხა. ძმის უკანასკნელმა განცხადებამ კი, მისმა სასტიკმა უარმა და ბრაზიანმა კილომ ირაკლი დაარწმუნა, რომ მარტო ვერას გახდებოდა. იგი ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ საქმეში სხვებიც უნდა ჩაერია.

უწინარეს ყოვლისა, უნდა ენახა მთავარი მსაჯი და მისთვის ფრთხილად და მორიდებით ეცნობებინა ლევანის გადაწყვეტილების შესახებ; შემდეგ ეს უნდა ეცნობებინა გუნდის ხელმძღვანელ შაქროსათვის, ყველა გამოცდილი და სახელმოხვეჭილი ფალავნებისათვის და, ბოლოს, თანასოფლელნიც და, უფრო კი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ძია ანტონიც, შუაკაცად გაეხადა. ყველას ერთობლივად უნდა ემოქმედა და ლევანისათვის ჩოხის ჩაცმა გაებედვინებინათ.

ძმები შეჯიბრების დაწყებამდე ერთი საათით ადრე მივიდნენ მოედანზე. მთავარი მსაჯიც და მსაჯთა კოლეგიის მთელი შემადგენლობა უკვე აქ იყვნენ, უკანასკნელი დღის პროგრამას ამუშავებდნენ. ოთხკუთხედი შენობის ირგვლივ ფალავნები თითოოროლად ირეოდნენ. მათი რიცხვი თანდათან იზრდებოდა. მოედანი ცარიელი იყო, მხოლოდ მოსამსახურე პერსონალი აკეთებდა თავის საქმეს. ხალიჩას ფენდნენ, მსაჯებისათვის მაგიდა და სკამები გამოჰქონდათ, ელექტროგაყვანილობას ამოწმებდნენ, მოედანს რწყავდნენ და ასუფთავებდნენ. ირგვლივ სიჩუმე და სიწყნარე იყო. მთავრობის ლოჟის ჩრდილი მოედანს უწევდა და აგურის ფხვნილით მოფენილი მიწა კრიალებდა.

ირაკლის ხერხმა გასჭრა. მთავარმა მსაჯმა საშუალო ტანის, შავგვრემანმა, ჭაღარაშერთულმა და სათვალიანმა კაცმა ლევანი უმალ გამოიყვანა ოცნებიდან. მან ფიცხელი კამათი გაუმართა ჭაბუკს, შემდეგ რჩევა-დარიგებაც მისცა, მაგრამ ლევანი დუმდა. მთავარ მსაჯს შაქროც მიეშველა. შემდეგ ფალავნებიც ჩაერივნენ საქმეში. ლევანი მდუმარედ უსმენდა მათ. უზომო მღელვარება მხოლოდ იმით-ღა ეტყობოდა, რომ ჯერ ისევ პირტიტველა სახეზე ფერფური ხშირად ეცვლებოდა. ბოლოს ხმა ამოიღო, ყველა გაჩუმა და თქვა:

— არაფერი გამოვა! ხალხი არ დაიჯერებს, რომ ძმები გულწრფელად ცდილობენ ერთმანეთის დაძლევას!

— ეჭიდავე ნამდვილად და ხალხიც დაგიჯერებთ!

— განა მე კი არ მინდა, მაგრამ, ეს ოხერი, გული არ მიშვებს!

— უნდა მოინდომო! ამას მოითხოვს ქვეყნის ინტერესები. არის წუთები, როდესაც ადამიანი საკუთარ თავზე მაღლა უნდა დადგეს და ხალხს სცეს პატივი! — დინჯად განუმარტა მთავარმა მსაჯმა.

— ვერ გავიმეტებ! ირაკლი თქმით ამბობს, თორემ მოკვდება და ვერც თვითონ გამიმეტებს! — კვლავ აღშფოთებით წამოიძახა ლევანმა.

— უნდა დაივიწყოთ, რომ ძმები

ხართ! უნდა წარმოიდგინო, რომ ეჭიდავები ვიღაც გადამთიელს! — მხრებში ხელი დასტაცა და თავისკენ შეაბრუნა შაქრომ. — გესმის, ბიჭო? ჩვენი გუნდი არასოდეს არ შერცხვენილა და ახლა შენი წყალობით გინდა, რომ თავსლაფი დაგვესხას?

— არ შემიძლია, ვერ ვიზამ!—კვლავ გაიძახოდა ლევანი.

— შენი წარმატებები ქარს გაჰყვება! წესი წესია, ჩვენ იძულებული ვიქნებით უდისციპლინობისათვის მოგხსნათ, დამარცხება ჩაგიწეროთ! იფიქრე, ფინალამდე დრო ბევრი გაქვს! — უკანასკნელად უთხრა მთავარმა მსაჯმა და გაბრუნდა. სხვებმაც ურჩიეს იფიქრეო, და ჩამოშორდნენ...

ასეთი შფოთით იწყებოდა ძმებისათვის მეოთხე, შეჯიბრების უკანასკნელი დღე...

*

* *

ჩვეულებრივი ამბავი არასოდეს არ ხიბლავთ, არ იზიდავთ, არ აღელვებთ, არ აწუხებთ ადამიანებს. მხოლოდ არაჩვეულებრივ ამბავშია ის ჯადოსნური ძალა, რომელიც ადამიანებს თავისკენ იზიდავს, თავისკენ მიერეკება, ვით ფუტკარი ყვავილს, ვით დაღმართი წყალს, ვით დედამიწა წვიმის წვეთსა და თოვლის ფიფქს. ის ფაქტი, რომ ძმები ასპარეზობდნენ, რომ ისინი ერთ წონაში გამოდიოდნენ, რომ არაჩვეულებრივი ტრიუმფით მიიწევდნენ წინ და ამ შეჯიბრებაში ყველაზე მეტად ისახელეს თავი, სწორედ ეს გარემოება შეიცავდა ერთგვარ რომანტიკას და იწვევდა გულისამაჩუყებელ გრძნობებს. ორი ძმა ერთ წონაში, ისიც ასე სახელოვნად მებრძოლნი! მერე-და, რა მოხდება? რომელი რომელს აჯობებს? რომელი გახდება ჩემპიონი? ნუთუ დღეს ყველა იქნება მოწმე და მონაწილე მართლაც და უჩვეულო გაუგონარი ამბისა? ნუთუ ძმები ერთმანეთს დაეტაკებიან, რომ მსწრაფლ წარმავალი სახელი ჩემპიონისა რომელიმემ ბიიკუთვნოს?

ეს კითხვები მაყურებლებს მაშინვე დაებადათ როგორც კი ისინი გაიცნეს. სამი დღე ამ უჩვეულო ამბის ფინალს ელოდნენ და ვერ იქნა, ვერ ეღირსნენ ამას და აი, მეოთხე, უკანასკნელი დღეც...

უამრავი ხალხი მოაწყდა საჭიდაო მოედანს. ფეტვის მარცვალიც არ დაეარდებოდა ძირს. ბილეთიანებს დიდი წვალება სჭირდებოდათ, თავის ადგილამდე რომ მისულიყვნენ, ხმაური და აქეთ-იქიდან ხმამაღალი შეძახილები ერთი წუთითაც არ წყდებოდა. მილიციის გაძლიერებულმა რაზმმა იმდენი იმარჯვა, რომ მოედნის გარეთაც და შიგნითაც, როგორც იყო, წესრიგი დაამყარა და შესასვლელი გაათავისუფლა. ამ ხმაურსა და ალიაქოთში შეჯიბრების დროც მოახლოვდა. მილიციის მუშაკებს თავიდანვე ეზრუნათ და ერთ ადგილას მთავარი გზიდან შესასვლელამდე ჯებირად ამართულიყვნენ, ვიწრო ბილიკი დაეგოთ, მონაწილე ფალავნებს რომ თავისუფლად შეძლებოდათ გასახდელამდე მისვლა.

მაღალ ანძაზე ამაყად ფრიალებდა შეჯიბრების წითელ-ყვითელი დროშა, ხოლო რკინის სვეტებზე და ოთხკუთხი შენობის სახურავზე ნაირფერი ალმები ელვარებდნენ. ყველას და ყველაფერს საზეიმო ელფერი გადაჰკრავდა. ზაფხულის თაკარა სიცხეში, ლაჟვარდიცის ქვეშ თბილისი ნებივრობდა, ხოლო საღამოს სიგრილე ყველას აღავსებდა რაღაც შეუცნობელი სიხარულით და ხალისით...

ზურნის ომახიანი ხმა, ხალხის ლაღი მოძრაობა და ხმაური, ხალიჩით აჭრელებული მოედანი ისეთ განწყობილებას ქმნიდა, თითქოს დიდი სახალხო ღღესასწაულია და ყველა ზეიმობსო. ფალავნებიც და მაყურებლებიც მოუთმენლად ელოდნენ შეჯიბრების დაწყებას. ამ ზღვა ხალხში მხოლოდ ორი ადამიანი იყო ჩაფიქრებული. ისინი მოჭიდავეთაგან თავისუფალ ადგილზე გასულიყვნენ და ერთმანეთს ლაპარაკს აღარ აცდიღნენ. ორივენი ზემოდან დაჰ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურებდნენ ხალხით გაჭედილ მოედანს. დავა ისევ იმაზე ჰქონდათ, რაზედაც დილას დაიწყეს და საღამომდე ვერ მოათავეს. ის-იყო მსაჯთა კოლეგიის წევრები მაგიდას შემოუსხდნენ, გვერდითი მსაჯები ხალიჩას, ხოლო პირველი წყვილი კიბის თავში დადგა, რომ ირაკლიმ ერთხელ კიდევ სცადა ძმის დაჯერება, ცალკე გაიყვანა და უკანასკნელი პასუხი მოსთხოვა:

— რას იტყვი, კიდევ ჯიუტობ? — გულისფანცქალით შეეკითხა იგი ძმას.

— ვერ გეტყვი, ჯერ კიდევ არ გადამიწყვეტია!—წყნარად მიუგო ლევანმა. უფროს ძმას იმედი მიეცა, რაკი ასე ორჭოფობს, მაშასადამე, მთავარი მსაჯის და ფალავნების ნათქვამს უმოქმედიაო და აღარ მოეშვა.

— გადაწყვიტე! საცაა შეჯიბრება დაიწყება, ერთხელ კიდევ შეგეკითხებიან და, თუ უარი სთქვი, შეჯიბრებიდან მოგხსნიან! — უთხრა მან აჩქარებით. ლევანმა უცებ თმაზე ხელი გადაისვა, წელში გასწორდა და მტკიცე ხმით მიუგო:

— გამოვალ, მხოლოდ ერთი პირობით!

— რა პირობაა? — შიშნარევი ხმით შესძახა ირაკლიმ.

— მე ვერ გაგიმეტებ! ძალიან კარგად ვიცი, რომ ვერც შენ გამიმეტებ! თუ არ გავედით, შეჯიბრებიდან მოგვხსნიან, შენც ამაოდ ჩაგივლის ამდენი შრომა და მეც, ამიტომ გავიდეთ მოსაჩვენებლად, ვითომ მართლა ვჭიდაობთ! ეს იმიტომ, რომ არ მოგვხსნან!

— თაღლითობა დავიწყოთ? არასოდეს! ეგ ხომ უარესი გამოვა! გაგვიგებენ, ამას ჩვენი დისკვალიფიკაცია მოჰყვება, რამდენიმე წელიწადს ახლოსაც აღარ გაგვიკარებენ.

— მე სხვანაირად არ შემიძლია!

— ლევან, დაფიქრდი, ბიჭო! შენი სიჯიუტით ჩვენს საქმესაც ვაფუჭებთ და ქვეყნის საქმესაც, გესმის თუ არა?!

— არა-მეთქი! ვერც შენ გამიმეტებ, ვერც მე გაგიმეტებ! ვიცი, რომ მატყუებ! — დაიყვირა მან.

— მე არ დაგინდობ, ახლავე გიცხადებ!

— ჰო! ვიცი, რაც იქნება... კიდევ რაღაცა უნდა ეთქვა ლევანს, მაგრამ ენა სასაზე მიეკრა, გაოცებისაგან კინაღამ თვალები ბუდიდან წამოსცვივდა. ფერი ათასნაირად შეემღვრა და დაეწმინდა. მას თავისი მზერა იმ მხარეს ქონდა მიპყრობილი საიდანაც მილიციელებს ჯაჭვი ჩაებათ და დაგვიანებულ ფალავნებს თავისუფალი გზით ატარებდნენ. ირაკლიმაც მიიხედა და ელდანაცემი ერთ ადგილზე გახევდა...

მილიციელების წინ თამამად მოაბიჯებდა წელში გამართული შავკაბიანი დედაკაცი. მას უკან მოსდევდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე, შაქრო და ორიც სხვა, ალბათ, თანასოფლელები.

ჯერ უმცროსმა წარმოსთქვა: „დედა!“, მერე უფროსმა. „დედა!“ და ორივემ ისე გაიწოდეს მისკენ ხელები, როგორც ეს ხდებოდა წინათ, როდესაც სამუშაოდ დაბრუნებულს ქვრივ დედაკაცს თავისი მოჩიტული ბიჭები ეზოს კარიბჭესთან ყიჟინით შეეგებებოდნენ ხოლმე. ეს ის დრო იყო, როდესაც ზურნის ხმა მისწყდა, ხალხი გაინაბა და გაიტრუნა, რადგან მაგიდასთან ფეხზე წამომდგარ მთავარ მსაჯს შეჯიბრების დაწყება უნდა გამოეცხადებინა. აქ საღამოს მონაწილე მოჭიდავენი, ზოგი ჩოხებში გამოწყობილნი, ზოგიც მზად მყოფნი, შილიფად ჩაცმულნი, კიბის თავში იდგნენ. ძმების შეძახილზე წუთით ჩამოვარდნილ სიჩუმეში ხალხმა უკან გაიხედა.

მთავარმა მსაჯმა ხალიჩაზე გამოუძახა უმჩატესი წონის პირველ წყვილს, მაგრამ მათ არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ, იმდენად იყო ყველა მოხიბლული დედის ანაზდეული გამოჩენით. ვით ნელი სიო, ისე დაირხა ფალავანთა და უკან მსხდომ მაყურებელთა შორის ჩურჩულით ერთმანეთში გადასროლილი: „დედა ყოფილა!“ „დედაა, დედა!“

ის კი, შავკაბოსანი, თავისი ვაჟკაცებისაკენ მიიწევდა. რამდენადაც უფრო მიუახლოვდა, იმდენად უფრო აუჩქარა ფეხს. ხელები მათკენ გაიწოდა, შავი აბრეშუმის შალი წვერებით მკლავებზე დაეკიდა, შემდეგ გაშალა და თავისთვის წამოიძახა: — შვილებო, ჩემო მარგალიტებო!

ამ მოწოდებას რატომღაც უმცროსი უფრო ადრე მიუხვდა და მისკენ გაქანდა. ამან უფროსიც გამოაფხიზლა, მას დედა უფრო დიდი ხნის უნახავი ჰყავდა და გული დასწყდა, უმცროსმა რად დამასწროო. იგი ადგილს მოსწყდა, განიერი ნახტომით გაუსწრო და ისიც მიეგება. დედამ მარჯვენა ხელი უფროსს მოხვია, მარცხენა უმცროსს, ორივე მკერდში ჩაიკრა.

გულისამაჩუყებელი სურათი იყო. კოლმეურნეობის თავმჯდომარეც, შაქროც, თანასოფლელნიც, ფალავნებიცა და მაყურებლებიც სულგანაბულნი შეჰყურებდნენ დედაშვილთა ალერსს.

— აქ რამ ჩამოგიყვანა, დედა? — ჩურჩულით ჰკითხა ირაკლიმ.

დედამ ორივე შვილი მკერდიდან მოიცილა, განზე გადგა და მკაფიოდ მიუგო:

— თქვენზე ფიქრმა და მოულოდნელმა შიშმა ჩამომიყვანა, შვილებო!

— ხომ არავინ გაგაჯავრა, დედა?

— თქვენ გამაჯავრეთ! — მოკლედ მიუგო დედამ და ორივეს კვლავ დაამტერდა.

თითქოს რაღაცას მიხვდაო, ირაკლიმ გადახედა თავმჯდომარეს, რომელიც იქვე, თავჩაღუნული იდგა. შაქრო რაღაცას ანიშნებდა, მაგრამ ირაკლიმ ვერ გაუგო. მოჭიდავეებმა უფრო ახლო მიიწიეს, უფრო შეამჭიდროვეს რკალი. მაყურებლებს შორის კი ზოგიერთი ფეხზეც წამოდგა. ყველა გატაცებით შეჰყურებდა მხრებში ოდნავ მოხრილ წარმოსადეგ დედაკაცს. მზით შეწითლებული სახის თეთრი კანი ლოყის ძვლებზე გადატკეცოდა, შუბლზე ნათელი გადასდიოდა, დიდრონ კუნაპეტ თვალებში გულკეთილობისა და უბოროტო სიფიცხის სხივები უციმციმებდა. ოდნავ შეშმუხვნილი წარბებით ხასიათის სიმტკიცეს ამყღავნებდა, ხოლო დაკოჟრილ-დაშაშრული ხელის გულებით — შრომისმოყვარეობას. იგი პირმრგვალი, პირბადრი დედაკაცი გახლდათ და, მიუხედავად ხნოვანებისა, არაჩვეულებრივად მიმზიდველად და თვალწარმტაცად გამოიყურებოდა. მის თვალებში ულეველი სიკეთე გამოსჭვივოდა, მის ღაწვებს მორიდება-მორცხვობის ალმური დასთამაშებდა, მისი ჭაღარა თმები ცხოვრების სიმძიმეს მეტყველებდა. ეს თალხებში გამოწყობილი დედაკაცი თითქოს მკვდრეთით აღმდგარ იმ ქართველ დედას წარმოადგენდა, რომელსაც ასეთი გატაცებით უმღეროდნენ ილია და აკაკი!

აი, სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ყველა თანდათან ახლოს მიიწევდა. ყველაზე უწინარეს კი მას გარსშემორტყმოდნენ შეჯიბრებაში მონაწილე ფალავნები, რომელნიც განიცდიდნენ შეუცნობელ სიამეს, თითქოს ამ შავკაბოსანმა მათ მოუტანა საკუთარ დედების სითბო და ალერსი.

შვილები გაურკვევლობის ბურუსში იყვნენ გახვეულნი, დედა კი შეშფოთებულიყო.

— დედა! — ძლივს გაბედა ირაკლიმ თქმა. — არ მოგწონს, რომ შეჯიბრებაში ვმონაწილეობთ? ამიტომ ხარ გაჯავრებული?

— არა! — მიუგო დინჯად, — რაც ქვეყანაზე ვაჟკაცურ სახელს დაგიგდებთ, კარგად იცით, მე ის მახარებს... მხოლოდ... მხოლოდ, შვილებო... — მას გული აუჩუყდა და ცრემლი თვალებში ჩაუდგა. — თქვენ რომ ერთმანეთი შეიძულოთ, არ ვიცი, რას ვიზამ! თქვენ რომ ერთმანეთი გიყვართ, ეს მასულდგმულებს, თქვენის სიყვარულით ვსუნთქავ!

— ჩვენ შევიძულოთ ერთმანეთი? — შეჰყვირა ორივემ ერთად.

— ჯერ არა, მაგრამ ისე მიგყავთ საქმე, რომ შეიძულებთ!

ირაკლიმ ახლა ისევ გადახედა კოლ-

მეურნეობის თავმჯდომარეს. იგი უძრავად იდგა.

ზურნამ კვლავ ამოიღო ხმა, დოლის ხმაურმა მთელი მოედნის ხმაური დაფარა. მჩატე წონის ფალავნები ჭიდაობას იწყებდნენ. ირაკლის მოუსვენრობა დაეტყო. მას სურდა სწრაფად მიმხვდარიყო დედის აღშფოთების მიზეზს, რომ ხალიჩაზე გულდამშვიდებით გასულიყო.

— დედა, ნართაული ლაპარაკი არასოდეს არ გყვარებია, ახლა რა გემართება? რატომ შევიძულებთ ერთმანეთს, პირდაპირ გვითხარი!

— იმიტომ, რომ... — დედას ხმა უწყდებოდა. — ჭიდაობა ძალის გამოცდას ნიშნავს, რასაც მოსდევს შეურაცხყოფის გრძნობა, შური და მტრობა! თქვენ რომ ერთმანეთს შეხვდეთ, თქვენ რომ ხალხის წინაშე ერთმანეთი დაამციროთ, რა გამოვა, აბა, მითხარით? მე ვთხოვ, მე მივალ თქვენს უფროსებთან!

— დედი, ეგ არ მოხდება! — გაამხნევა ლევანმა.

ირაკლი მხოლოდ ახლა მიხვდა, რასაც გაემწარებინა შვილების მოყვარული დედა და რისთვისაც წამოსულიყო. „ეს სულ თავმჯდომარის ოინებია!“ — გაივლო მან გუნებაში. „ნამდვილად მან ჩაუტანა ამბავი, რომ ჩვენ ერთმანეთს უნდა ვეჭიდაოთ და ამიტომ წამოსულა. ალბათ შეეხვეწა, მეც წამიყვანეთ, სადაც ჩემი შვილების ბედი წყდებაო, და აი, წამოიყვანეს კიდეც!“ იგი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვულში უწყრებოდა, რომ ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა ყველანი. ჯერ იყო და ვერ სძლია ლევანის სიჯიუტეს, ახლა კიდევ რაკი დედაც წამოეშველა, ყოველგვარი ცდა ამაო იქნებოდა. რა უნდა ექნა? რა გზას დასდგომოდა? როგორ გაეტეხა ძმის სიჯიუტე და დედის შიში? რაღაც ნიშნები იყო იმისა, რომ ლევანი გაბედავდა გამოსვლას, ახლა კი, დედისაგან მხარმიცემული, კლდედ იქცეოდა, ადგილიდან დაუძვრელ ჯირკად!

ირაკლი დედის ხმამ გამოაფხიზლა:

— რატომ არაფერს მეტყვი, შვილო! ფერფური რად წაგივიდა?

— არაფერი. ისე!

— მითხარი, ყველაფერი უნდა ვიცოდე!

ირაკლის ერთბაშად ნათელი გადაეფინა სახეზე. მას რაღაც მოაგონდა ისეთი, რომ იფიქრა, საქმე ჯერ მთლად დაღუპული არ არისო. იგი კარგად იცნობდა თავის დედას. მართალია, კოლმეურნე ქალი იყო, ბავშვობიდან დღემდე მიწასთან მებრძოლი და საკუთარი ოჯახისათვის თავგადადებული, რის გამოც იმდენი ცოდნა თუ განათლება არა ჰქონდა, რომ ცხოვრების ურთულეს საკითხებში თავისუფლად გარკვეულიყო, მაგრამ გამჭრიახი გონება ჰქონდა. ირაკლიმ გადაწყვიტა, არაფერი დაემალა დედისთვის და მისთვისვე მიენდო სწორი დასკვნის გამოტანა.

— დედი! — მიმართა მან მტკიცედ. — შენ გინდა, ყველაფერი იცოდე, მაგრამ ჯერ მე მინდა ვიცოდე, რატომ გაშფოთებს ასე ჩვენი შეხვედრა?

— იმიტომ, რომ ძველთაგანვე ფალავნები საოცრად თავმოყვარენი ყოფილან და ალბათ ახლაც ასეთნი არიან. თითოეულს სძულს თავისი დამძლევი, უფრო ძლიერი. მე ისიც კი გამიგონია, რომ დამარცხებულს დანა ჩაუცია გამარჯვებულისათვის.

— დედი, მაშინ ჭიდაობა ბრძოლა იყო, ახლა კი შეჯიბრებაა! ბრძოლა დამორჩილებას გულისხმობს, შეჯიბრება კი — უკეთესის გამომძღავნებას!

დედამ შუბლი შეიჭმუხნა. შვილისკენ ერთი ნაბიჯი გადადგა. ხალათის გულისპირზე ხელი ნაზად მოჰკიდა და რაღაცნაირად შემკრთალმა აჩქარებით ჰკითხა:

— კარგად გამაგებინე, რასაც ამბობ, ვენაცვალოს დედა!

— ძველად ძალის გამოჩენა უნდოდათ სხვების დასამორჩილებლად ახლა კი ნამდვილად ძლიერის გამომჟღავნება გვინდა, იმისათვის, რომ სხვებ-

თან შეჯიბრებაში ყველგან და ყოველთვის, გამარჯვებულნი ვიყოთ!

დედამ უფრო შეიკრა წარბები, თითქოს რაღაცას მიხვდაო, თითქოს რაღაცა ენიშნაო, მაგრამ მთლად არ გატყდა, მაინც თავისი შეშფოთება გამოამჟღავნა:

— რაც სთქვი, ყველაფერი კარგად მესმის, მაგრამ თქვენ ხომ უნდა სძლიოთ ერთმანეთს? სიძულვილიც თქვენ შორის ჩამოვარდება, სხვებთან შეჯიბრება რა შუაშია?

— რატომ სიძულვილი? დღეს მე გავიმარჯვებ, მე გამოვადგები ქვეყანას, ხვალ შენ გექნება წარმატება და შენ გამოადგები ქვეყანას! არც ფულისთვის ვჭიდაობ და არც იმისთვის, რომ ვინმე შევაშინო ან დავიმორჩილო!

დედა ჩაფიქრდა, თვალი გაუშტერდა, მაგრამ მაინც თავისას არ იშლიდა:

— რომ არ გახვიდეთ? ნუთუ აუცილებელია, რომ ამოდენა ხალხის წინაშე ძმამ ძმას სძლიოს და შეარცხვინოს?!

— საჭიროა, დედა! სხვანაირად, აბა, როგორ გამომჟღავნდება ნამდვილად ძლიერი? — თანდათან გათამამდა და ხმას აუმაღლა ირაკლიმ. ირგვლივ შემოხვეულმა ფალავნებმაც მოკლე შეძახილებით — „მართალია!“ „ეგრეა!“ მხარი მისცეს, რამაც უფრო გაამხნევა იგი.

დედამ უმწეოდ მიმოიხედა ირგვლივ და თავი გაიქნია.

— რა მეშველება? როგორც ჩანს, დედის გულის კვნესა გაუგებარია მათთვის, ვინც ასეთ წესებს ადგენდა!

ირაკლის რაღაც შესანიშნავმა აზრმა გაუელვა. დედას სწრაფად მოხვია ხელი და, საბოლოოდ რომ გაეტეხა თამანი კილოთი უთხრა:

— დედა! განა თქვენთან, კოლმეურნეობაში ერთმანეთს არ ეჯიბრებიან ძმები, დები, ცოლ-ქმარნი და დედაშვილნიც კი? ნუთუ ისინი ერთმანეთის მტრები ხდებიან?

დედამ თავისი დიდრონი შავი თვალები შვილს დააშტერა. დიდხანს უყურა მას და ბოლოს ისე თქვა, თითქოს ოცნებობს, ხოლო ამას კი უპასუხებსო:

— არა! იქ შეჯიბრება ერთმანეთის წარმატებაა, საქმის სიკეთე და ბარაქაა!

— ჰოდა, ჭიდაობაში შეჯიბრებასაც იგივე აზრი აქვს!

დედა კვლავ კარგა ხანს იდგა ჩაფიქრებული, შემდეგ ანაზდად შეხედა უმცროს შვილს, რომელიც მის გვერდზე იდგა და ოცნებით ანთებული თვალებით სივრცეს გაჰყურებდა. დედა აკანკალებული ხელით მაჯაში დასწვდა მას, თავისკენ შემოატრიალა და საყვედურით უთხრა:

— შვილო, რატომ დგახარ განზე, შენ რატომ არაფერს მეტყვი? — ლევანს გაეღიმა.

— დედა, მეც შენი აზრისა ვარ, დღეს გავაფრთხილე კიდეც, არ გავალ!

— ჰო, მაგრამ, ხომ გაიგონე, შვილო! თურმე ეგ არავისთვის არ იქნება სასიკეთო, არც თქვენთვის, არც ქვეყნისთვის, თანაც შეჯიბრებიდან მოგხსნიან! — დედამ სიტყვას „ქვეყნისათვის“ განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი.

არც ახლა შეყოყმანებულა ლევანი, ღედას პასუხი უცებ მიაგება:

— მართალია, მოხსნა ცუდი საქმეა, მეც ამიტომ გადავწყვიტე — გავიდე, ისე კი ვიცი, ირაკლი მაქეზებს, თორემ არც თვითონ გამიმეტებს, მე კი სულაც არ გავუსწორებ მკლავს, ტყუილად, სხვების მოსაჩვენებლად, ვიგორავებთ ხალიჩაზე, მორჩა და გათავდა!

ირგვლივ შემოხვეულ ფალავნებს ლევანის სიჯიუტე იმდენად შეუფერებლად ეჩვენათ, რომ იმათაც ხმა ამოიღეს:

— გონს მოდი!

— არ ივარგებს, შენს წარმატებებს დაღუპავ! — მიაძახეს აქეთ-იქიდან.

— მეგობრებო! — წამოიძახა ირაკლიმ. — ნუ გეფიქრებათ, ყველაფერი რიგზე იქნება! მსაჯებს წინასწარვე ნუ დააფრთხობთ, ჩვენ თაღლითები არც ვყოფილვართ და არც ვიქნებით!

ლევანმა ცუღლუტი ღიმილით ხელი ჩაიქნია და თავისთვის წაიბუტბუტა:

— ბოდავს! ჯერ გული უნდა ამოიკრას და მერე ნამდვილად მეჭიდაოს! ჩემი წაქეზება უნდა...

დედა კიბის თავში უკანასკნელ რიგში დასვეს. აქედან მთელი მოედანი, ხალხი, მთავრობის ლოჟა თუ შემოსასვლელი კარი ისე მოჩანდა, როგორც, გაშლილი სუფრა იმისთვის, ვინც მაგიდას უზის... ზურნის ხმა ყველას და ყველაფერს აყრუებდა...

*

* *

მზე დიდი ხანია მთაწმინდას ამოეფარა, მოკრიალებულ ცაზე მიბნედილი ვარსკვლავები გამოიფინა და მტკვრის ხეობიდან წამოსულმა გრილმა ნიავმა მოედნის თავზე შემომწკრივებული ნაირფერი ალმები შეარხია. ზეცამ მთლიანად უკუნეთში გახვია თვალმისაწვდომი სივრცე. თბილისმა ელნათურების კაშკაშით დაიმშვენა თავი. სიცხით შეწუხებული ხალხი გაჩირაღდნებულ ქუჩებში გამოიფინა და ნაბეგით ამოისუნთქა. მოედნები, პროსპექტები, ხეივნები და პარკები მოსეირნეებით აივსო და გამოცოცხლდა. მაგრამ მთელ თბილისში ისეთი ხალისიანი ხმაური არსაიდან არ ისმოდა, არც ერთი კუთხე ისე არ იყო გაჩირაღდსებული, როგორც მტკვრის სანაპიროს ის ნაწილი, სადაც მიმდინარეობდა რესპუბლიკური შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. ათასსანთლიანი ელნათურა ხალიჩის თავზე ბრწყინავდა და, თითქოს მზე კაშკაშებსო, ისეთ სინათლეს აფრქვევდა. მთლიანად მოედანი კი განათებული იყო პროჟექტორების შუქით და მესერზე შემომწკრივებული ელნათურებით.

ზურნის ომახიანი ხმა და დოლის ბრახუნი, ფალავანთა ხალისიანი გადმოხტომა და მათი მოხდენილი ილეთები სიხარულის განწყობილებას ჰქმნიდა. ეს უამრავი ხალხი შუაღამემდე ისე გუგუნებდა, როგორც ფუტკარი სკაში...

საქვეყნოდ ქებული ვაჟკაცების დედა პირველად ესწრებოდა ასეთ სანახაობას, მაგრამ არად იმჩნევდა. იჯდა გამტკნარებული და ხალიჩას დაჰყურებდა. ხანდახან ჩუმად თუ შეჰკივლებდა, როდესაც რომელიმე ფალავანი უხერხულად დაეცემოდა, ეს იყო და ეს! ის დედა იყო და სხვისი შვილების ფათერაკიც მასზე მტკივნეულად მოქმედებდა. მართალია, აქ მყოფთა შორის ერთადერთმა მოსახვევიანმა და ჭაღარა დალალებით დამშვენებულმა ყველას ყურადღება მიიპყრო, მართალია, გაღმა მსხდომნიც და გამოღმელნიც მას შეჰყურებდნენ, მაგრამ ის ერთხელაც არ შერხეულა. მისი ფიქრი და გონება მხოლოდ ერთი აზრით იყო შეპყრობილი, ნეტავი ჩემი შვილების შეხვედრა რით დამთავრდებაო, და სხვას არაფერს აქცევდა ყურადღებას. ხალხი, ვით ჯეჯილი სიოს ქროლვაზე, ისე ირხეოდა და განუწყვეტლივ ისმოდა ხან ხმამაღალი შეძახილით, ხან ჩურჩულით: „დედა ყოფილა!“, „ჩამოსულა!“ „შვილების ვაჟკაცობას საკუთარი თვალით უყურებს, ბედნიერი!“

ათ წუთში მთელმა მოედანმა იცოდა, რომ ის იყო ირაკლისა და ლევანის დედა. ამ გარემოებამ ისეთი ინტერესი გამოიწვია, თავის დღეში რომ ვერავინ იფიქრებდა. თვით მსაჯთა კოლეგიის წევრებიც კი ფეხზე დგებოდნენ და მას შეჰყურებდნენ, რომ კარგად დაემახსოვრებინათ საოცარი ბიჭების აღზრდელი...

დედამ რამდენიმე წყვილის ჭიდაობას უყურა. მას თავის სიცოცხლეში ბევრი სმენოდა ჭიდაობაზე, ჯერ მისი ბიჭების კამათი და ჯაჯღანი რად ღირდა? მაგრამ არასოდეს არ ჰქონია შემთხვევა, გარდა დღეობებისა, რომ თავისი თვალით ენახა ჭიდაობა. ახლა პირველად ხედავდა, და ბევრი რამ იმ წესებში, რომელთაც მსაჯები ფალავნებისაგან მოითხოვდნენ, მისთვის გაუგებარი იყო. თანასოფლელნი, რომლებიც მას გვერდს უმშვენებდნენ, უხსნიდნენ, თუ რატომ ხდებოდა ასე და არა ისე. და აი, ბუნებით გამჭრიახი

ჭკუის პატრონს არ გასჭირებია, რომ რამდენიმე წყვილის ჭიდაობის შემდეგ უკვე ნათელი წარმოდგეხა ჰქონოდა ბასზე რასაც უყურებდა. ამ გარემოებამ მას ინტერესი ძალზე გაუცხოველა აქამდე თუ ქანდაკებასავით უძრავად იჯდა, ახლა ხშირად ერეოდა თანასოფლელთა კამათში, რა თქმა უნდა, ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით.

ქალის ნაადრევი დაქვრივება დიდი უბედურებაა, მაგრამ განსაცვიფრებელია სიყვარული შვილების მიმართ, მისი არსებობის მთელი შინაარსი მხოლოდ ერთშია: ქვრივ-ობლობით შეილები არ დაეჩაგროს! და იგი გაათკეცებული ენერგიით იბრძვის, ნამდვილ ძუ-ვეფხვად იქცევა, ვეფხვად, რომელსაც უმაღლეს ბედნიერებად მხოლოდ ის მიაჩნია, რომ შეეწიროს თავის ნაშიერთა სიკეთეს და სიხარულს. რა საკვირველიც არ უნდა იყოს, დედა ერთი ათად უფრო ფრთებს ასხამს თავის ობლებს, ვიდრე იმათ, ვისაც მამაც ჰყავს და დედაც... და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ შვილებს უშამობა არ შეეტყოთ, წელგამართულად და ამაყად იარონ ამ ქვეყანაზე, არავის დაუთმონ ვაჟკაცური პირველობა. თუ ქვრივმა დედამ ამას მიაღწია, იგი უზომო ბედნიერებას განიცდის.

ბედნიერების ასეთი წუთები ამ საღამოს დედამ ორჯერ განიცადა, როდესაც მისი შვილები გამოჩნდნენ საჭიდაო ხალიჩაზე; ლევანიც და ირაკლიც სხვა რაიონების თითო ფალავანს კიდევ უნდა შეხვედროდნენ, ვიდრე ფინალური წყვილი გამოირკვეოდა...

პირველად ლევანს და მ-ალელ ფალავანს გამოუძახეს. საჭიდაო ჩოხაში გამოწყობილმა ლევანმა ნიავქარივით ჩაიქროლა კიბეზე და ხალიჩას ქორივით დააცხრა. მან დინჯი შემოიყარა და მოწინააღმდეგის მოლოდინში ხალხს ღიმილით გადახედა. ამ შეჯიბრებაში ისეთი ხალისიანი გამოსვლა, როგორიც ლევანს ჰქონდა, არც ერთ ფალავანს არ ახასიათებდა, ამიტომ, როგორც კიბის თავში გამოჩნდა, ჯერ იქით, მოპირდაპირე მხარეს, ატყდა ტაშისცემა, რადგან ჯერ მათ დაინახეს, შემდეგ კი აქეთა მხარემაც მისცა ბანი და ხალიჩამდე საერთო ტაშის გრიალით მიაცილეს. გრძელ სკამებზე მოფენილი ხალხის მწკრივები გადაირწნენ და გადმოირწნენ. ლევანის გამოჩენამ საერთო ინტერესი გამოიწვია...

აქამდე უძრავად მყოფი დედაც შეტოკდა. მან მოსახვევში ჭაღარა თმა შეიკეცა, გაისწორა და შვილს დააცქერდა. ეს ის არის, მისი ნაშიერი, მისი გამოზრდილი, მისგან ფრთაშესხმული და გაკაჟებული, ასე ლაღად, ასე ცოცხლად და თამამად რომ დგას! წინ გადმოგდებული კამკამა მკერდი რომ უჩანს, ვით თეთრი ღრუბლის ნაგლეჯი! ყელი რომ გედივით მოუღერებია, მოწაბლისფერო ქოჩორი ლომის ფაფარივით რომ ერხევა ნიავზე და საამურად რომ იღიმება!

— ჩემი ნაბოლარა, ენაცვალოს დედა! რაში ეტყობა ობლობა? — ნეტარებამდე მისული სიამაყით გაიფიქრა მან, — რომელს შეხვდნენ ამდენი ტაშით? ამის წარმოდგენამ დედას თვალთა უპენი ცრემლით აუვსო. ტაშის გრიალმა, რომლითაც მის შვილს შეეგება ხალხი, უზომო ბედნიერება განაცდევინა და გუნებაში მადლობას უხდიდა დამბადებელს, რომ ამ წუთების მომსწრე გახადა...

მ-ელი ფალავანი გარეგნულად ლევანზე უფრო ძლიერიც კი ჩანდა. შავტუხა ბიჭი იყო, შავი გრუზა თმებით და მსხვილი მკლავებით. კანი ერთიანად სპილენძისფერი ჰქონდა, როგორც ეს სჩვევია იმ ხალხს, რომელიც ცხელ ზაფხულს წყალში ატარებს და მზის აბაზანები ჩვევად და წესად შემოუღია. მაგარი და მრისხანე ვაჟკაცი ჩანდა, მაგრამ დედას ოდნავადაც არ შეტოკებია გული, რადგან მისი ბოკვერი კელავ თამამად, ლაღად იდგა და გამოსულ მოწინააღმდეგეს გულკეთილად უღიმოდა. ეს გარემოება დედამ უშიშრობად მიიჩნია. იგი თავის მართვებს

აკვნიდანვე იმას ჩასჩიჩინებდა, როგორ განსაცდელშიც არ უნდა ჩავარდეთ, უთუოდ გაიმარჯვებთ, თუ არ შეკრთით და არ შეშინდითო.

დედის იმედი გამართლდა. მ-ელი ძალზე ფხიზლობდა. როგორც კი არბიტრმა ორივეს სასტვენით ანიშნა—დაიწყეთო, ლევანი ღიმილით დაიძრა ადგილიდან, მოწინააღმდეგეს თამამად ჩამოართვა ხელი, შემოტრიალდა და... გული დასწყდა! მ-ელი უკან-უკან იწევდა. ჯერ ხელი არ მოევლო, და ის უკვე თავდაცვას ცდილობდა, ლევანმა უფრო ფიცხლად მიიწია, მაგრამ უცებ შენიშნა, რომ ხალიჩის ნაპირს მისდგომოდნენ, ახლა რომ ხელი წაევლო, სულაც გასცდებოდნენ. წესით, ხალიჩის გარეთ თუნდაც სუფთად დაეცა მოწინააღმდეგე, მაინც არ ჩაეთვლებოდა. ამიტომ იგი უკან გამობრუნდა, რომ შუახალიჩამდე მიეყვანა. მ-ელმა სწორედ ამით ისარგებლა. იგი სწრაფად დაედევნა, უკანიდან ძალუმად დაეტაკა და პირქვე წააგდო დანდობილად მიმავალი ლევანი. ხალხში აქა-იქ აღშფოთების ხმაური გაისმა. არბიტრმა სასტვენს ჩაბერა და ამით ანიშნა მ-ელს, რომ ქართული ჭიდაობისათვის შეუფერებელ ხერხს მიმართა. ლევანს მუხლი არც კი დაუკრავს ხალიჩისათვის, ორივე ხელით ოდნავ შეეხო და ელვის სისწრაფით ისევ წელში გასწორდა, შემდეგ მოწინააღმდეგეს გაშმაგებით მიუტრიალდა და მარჯვენა ხელი მხარში დასტაცა. ახლა იგი მაგრად დაბღუჯა და ვეღარსად წაუვიდოდა... ხალხი სულგანაბული შეჰყურებდა — რა ხერხს იხმარს, როგორ დასცემსო, მაგრამ ლევანს რაღაც სხვა განზრახვა ჰქონდა. იგი ყოველთვის ახალ ფანდს ხმარობდა, და ახლაც ასე მოიქცა. აღარც გვერდულად წაიღო, აღარც გარე სარმით, აღარც თეძო იხმარა და აღარც კისერზე გადაიტარა.. ძალიან სწრაფად მოქმედებდა და მხოლოდ ფხიზელი თვალის პატრონებმა შენიშნეს, რომ მან მარცხენა ხელი გარედან შემოახვია მოწინააღმდეგის მარჯვენას, იღლიის ქვეშ გაუტარა, ჩოხის მარცხენა გულისპირი ჯაგრად დაუბღუჯა და ახლა მარჯვენა ხელით ცდილობდა ასევე დაებღუჯა მისი მარცხენა მკლავიც. მ-ელიც მართლა მაგარი ბიჭი იყო და, ამასთან, დიდად გამოცდილიც. მარჯვენა ხელი რომ მისცა, მარცხენა აღარ დაანება. რამდენჯერაც ლევანი წაეტანა, იმდენჯერვე მან გარეთ აქნევით აიცილა ლევანის ხელი. ბოლოს მაინც იმარჯვა ჭაბუკმა, მარცხენა მკლავიც შეუბოჭა და ახლა მისი ჩოხის ორივე გულისპირი გადაჯვარედინებული ხელებით მტკიცედ ჰქონდა ჩაბღუჯული, ხოლო მოწინააღმდეგის ხელები ამ ჯვარედინის რკალში იყო მოქცეული და შემოსალტული. რამდენს არ ეცადა მ-ელი, მაგრამ ვერ დაუსხლტა. დედა სულგანაბული შეჰყურებდა შვილის მკლავმაგარ შებმას. კოლმეურნეობის თავმჯდომარე და შაქრო აღტაცებით უხსნიდნენ, თუ რა ხდებოდა, და იგი აღარ ღელავდა. უკანა რიგებში მსხდომი მაყურებლები, რაღაც არაჩვეულებრივის მოლოდინში, ფეხზე წამომდგარიყვნენ და კისერდაძაგრულნი შეჰყურებდნენ — აცა, რა მოხდებაო!... მაინცდამაინც ადვილად ვერ სძლია ლევანმა მ-ელს. იგი მარჯვედ იცილებდა მის გარე სარმას, მაგრამ ხელები შებოჭილი ჰქონდა, მარტო ფეხებით კი ლულოს გატანა ქართულ ჭიდაობაში ძალიან ძნელი იყო. მ-ელის მთელი ენერგია ხელების განთავისუფლებას უნდებოდა, რომ მოწინააღმდეგეს გასცლოდა, მაგრამ ლევანმა აღარ აცალა, ღრო იხელთა, მარჯვენა ფეხი მ-ელს გარედან გადასდო, ძალუმად გადაჭკრა და თეძოზე ისე გადაიგორა, როგორც მუთაქა, და ასევე მუთაქასავით დაახეთქა ხალიჩაზე...

ჯერ არბიტრის სასტვენის ხმა გაიხმა, მერე ხალხის ყიჟინა და ტაშის გრიალი ატყდა. მთავარმა მსაჯმა როგორც იყო, ხმის გამაძლიერებლით გამოაცხადა ლევანის სუფთა გამარჯვება! ისე-

თი ხანგრძლივი და ძლიერი ტაშით და „ვაშას“ ძახილით არასოდეს არ დაუჯილდოებიათ ლევანი, როგორც ახლა. დედა ამას რომ ხედავდა, გარეგნულად ისევ მშვიდად გამოიყურებოდა, მაგრამ შინაგანად ისეთ მღელვარებას განიცდიდა, სულ ერთსა და იმავეს ბუტბუტებდა: „ჩემი ნაბოლარა, ენაცვალოს დედა!“ და თან ცრემლები სცვიოდა. ერთბაშად ვიღაცამ ყურში წასჩურჩულა:

— ადამიანო, შენც გეკუთვნის ეს ტაში!

დედამ დაფეთებული თვალებით მიიხედ-მოიხედა და მხოლოდ ახლა დაინახა, რომ მაყურებლები მართლაც ადგილიდან წამომდგარიყვნენ და მისკენ შემობრუნებულნი, მისსავე პატივსაცემად თან ტაშს უკრავდნენ, თან ერთმანეთს გადასძახოდნენ: „დედაა, დედა!“ მალე ახლოს მყოფთ შიგადაშიგ შორეულნიც შეუერთდნენ და მისკენ მიმართული ხელებით „ვაშას“ გაჰკიოდნენ... შეკრთა, შეიშმუშნა შავკაბოსანი, მას არასოდეს არ განუცდია ასეთი პატივისცემა, დაიბნა, არ იცოდა, რა გაეკეთებინა, მიწის ქვეშ ჩასვლას ნატრობდა. შვილებს რომ უქებდნენ, ეს ეამაყებოდა, ხოლო თვითონ მას თუ შეაქებდნენ, სწყინდა.

— რა მოხდა? ქალის სიხარული დედობაა და ამას რაღა ქება უნდაო!?

ახლაც ასეთივე გრძნობებით იყო გამსჭვალული და ცდილობდა ვინმეს ზურგს მოჰფარებოდა ან სკამებქვეშ ჩამძვრალიყო, რომ ეს გაბმული ტაშისცემა და ჩურჩული — „დედაა, დედა!“ — შემწყდარიყო.

რაღაც წარმოუდგენელი რამ ხდებოდა, რომ დედაქალაქის მცხოვრებნი ასეთი აღფრთოვანებით შეეგებნენ კოლმეურნე ქალს. მაგრამ არც დედამ იცოდა და არც ხალხმა, რომ სწორედ ამ საღამოს ეს აღფრთოვანება თავდავიწყებამდე მივიდოდა...

მთლად გაუგებარი არაფერი მომხდარა. შეჯიბრება ჩვეულებრივად მიმდინარეობდა, წყვილი წყვილს ცვლიდა. ისეთი არაფერი ხდებოდა, რომ მყურებლობა დარღვეულიყო, და დედა შვიდად ადევნებდა თვალყურს იმას, რაც ხალიჩაზე და მის ირგვლივ ხდებოდა. ამ საღამოს ერთხელ კიდევ მოიგონეს მაყურებლებმა კოლმეურნე დედაკაცი, და ეს მაშინ მოხდა, როდესაც მისი უფროსი შვილი საფალავნოდ გამოიძახეს...

ირაკლი გ-ელ ფალავანს შეახვედრეს საღამოს პირველი ნახევრის დასასრულს. უკანასკნელად მათ იჭიდავეს და შესვენება გამოცხადდა ათი წუთით. ყველაფერში იგივე განმეორდა, რაც ლევანის გამოსვლის და გასვლის დროს. დედამ კვლავ განიცადა იგივე ნეტარება, როდესაც მისი უფროსი შვილი, გულმოდგინედ გადავარცხნილი ყორნისფერი ქოჩრით ხალიჩისაკენ გაემართა, იგი მიდიოდა, დინჯი, მტკიცე ნაბიჯით და აღსავსე ვაჟკაცური სითამამით. ირაკლის უფრო ძლიერი ტაშისცემით შეხვდნენ, როგორც სამგზის ჩემპიონს, და დედამაც უფრო მეტი ცრემლი მოიწურა თვალთაგან, თანაც წაიბუტბუტა:

— ჩემი ჭკვიანი ბიჭი, ჩემი ბუთხუზა, ენაცვალოს დედა!

სამაგიეროდ, თვითონ უფროს შვილსაც მეტისმეტად მარჯვედ მოუბდა გ-ელთან ჭიდაობა. იცოდა მისი ეშმაკობა. — უკანიდან მივარდნა და — ამან უშველა. მისვლისთანავე თავის საყვარელ ხერხზე მოიგდო. მარჯვენა მხარში მარცხენა ხელი დასტაცა, ხოლო მარჯვენა ხელი ქამარში ჩაავლო, ენერგიის საოცარი დაძაბვით მაღლა ასწია, ერთი ჩახველების ხანს ჰაერში გააშეშა და შემდეგ იქიდანვე გადმოქნეული ხალიჩას ბეჭებით დააკრა. ხალხმა მის ასეთ იოლ გამარჯვებას მეტი აღტაცების ყიჟინა და ტაში შეაგება, მეტი ხმაურით გააცილა მოედნიდან, და თვით დედის პატივსაცემადაც მეტხანს იდგნენ ფეხზე.

მაგრამ ეს ხანმოკლე დასვენება დედისთვის ნამდვილ ტანჯვად იქცა. ვინც კი შეძლო და ახლოს გაუარა, სულ

ერთსა და იმავეს ჩურჩულებდა: „ძმები რომ ფალავნობენ, იმათი დედაა!“ — ერთი-ორჯერ ხმამაღლა წამოიძახეს — „ვეფხვების დედაო!“ მაგრამ ის იმდენად ჭკვიანი და დარბაისელი ადამიანი იყო, ოდნავადაც არ შეუმჩნევია მისკენ მიპყრობილი უამრავი თვალის ზემოქმედება. თავი ღირსეულად ეჭირა.

ირაკლის რჩევით, ძმები დასვენების დროს დედას არ მიჰკარებიან. მათ ყველაზე უკეთ ესმოდათ, რაც ხდებოდა, და მოერიდათ — ხალხი ზედმეტად არ აეღელვებინათ და უდროო დროს კვლავ არ გამოეწვიათ ტაში და ყიჟინა.

დასვენება დამთავრდა. მსაჯები კვლავ მაგიდას მიუსხდნენ, გვერდითი მსაჯებიც გაიფანტნენ, არბიტრიც ხალიჩაზე დატრიალდა და შეჯიბრება გაგრძელდა.

სულ ოთხი წყვილი-ღა იყო დარჩენილი და, ვიდრე სამი მოათავებდა თავის საქმეს, მსაჯთა კოლეგიაში დიდი შეშფოთება იგრძნობოდა. მთავარი მსაჯი, რომელიც ჭიდაობის მსვლელობას ფხიზლად ადევნებდა თვალყურს, გვერდზე მსხდომ კოლეგებს ფიცხლად ელაპარაკებოდა. ზოგიერთი უხერხულობის გამოსახატავად მხრებს იჩეჩდა, ზოგი დუმდა, ზოგიც თავის კანტურით ეთანხმებოდა. ეს მღელვარება უფრო ცხადი შეიქნა მაშინ, როდესაც მსჯელობაში სხვებიც გაირიეს. ჯერ თბილისის 1-ლი გუნდის მწრთვნელი გამოიხმეს, რაღაცას შეეკითხნენ და, როდესაც თავის კანტურით თანხმობა მიიღეს, ახლა შაქროს გამოუძახეს. მასთან ცოტა უფრო მეტ ხანს ჰქონდათ გამართული ჩუმი კამათი, მაგრამ აშკარად ჩანდა, არაფერი გამოდიოდა. მხრების წარამარა აწევ-დაწევა, ხან კი თავის კანტური „ჰოც“ გამოდიოდა და „არაც“. დაინტერესებული მაყურებლები დარწმუნდნენ, რომ შაქრომ მტკიცე თანხმობა ვერ მისცა. „მე ჩემსას ვეცდები და რა გამოვა, არ ვიცი!“ მისი თავის კანტური და მხრების თამაში ასე გაიგეს, მაგრამ მთავარი ამის მიხვედრა და გაგება კი არ იყო, არამედ ის, რომ თბილისის პირველი გუნდის სახელით ირაკლი გამოდიოდა, მხოლოდ იმ რაიონის გუნდის სახელით, სადაც შაქრო იყო მწრთვნელად — ლევანი. ახლა ყველა დარწმუნდა, რომ მსაჯების შეშფოთებაც, ეს გამოძიება-კამათიც უთუოდ ძმებს ეხებოდა, და მაყურებელთა უმრავლესობა მოუთმენლად ელოდა, რით დამთავრდებოდა ყოველივე ეს.

მაყურებელი თითქოს მიხვდა, რაც ხდებოდა, მაგრამ ვერც ერთი ვერ მიმხვდარიყო, რომ ყველაზე მეტად მწრთვნელები იყვნენ შეწუხებულნი. ამ ორი გუნდის პირველობა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ ვინ მიიღებდა უკანასკნელ ორ ქულას ან უკეთ: ვინ გაიმარჯვებდა, ირაკლი თუ ლევანი? მარტო გამარჯვება როდი იყო სანატრელი. ძმების სრულიად მოხსნა ან რომელიმეს დისკვალიფიკაცია ძალიან ცუდად იმოქმედებდა ყველაზე უფრო წარმატებულ გუნდებზე, და, ამრიგად, ირაკლის და ლევანის შეხვედრით თითქოს პირადი საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო, ნამდვილად კი გუნდის, მთელი კოლექტივის ღირსება და წარმატება ქრებოდა. ამიტომ იყო, რომ პირველი გუნდის მწრთვნელიც და შაქროც ძალზე დაძმარებულნი გამოვიდნენ მოედნიდან და, ერთმა რომ ირაკლის აუწყა, რაც ხდებოდა, მეორემ ლევანს აუტეხა ცხარე კამათი...

დიდხანს არ უკამათიათ. მესამე წყვილმაც მოათავა თავისი საქმე. დარჩა უკანასკნელი წყვილი, რომელსაც ეს შეჯიბრება უნდა დაემთავრებინა და ამით გაეხსნა ის ოთხდღიანი ნასკვი, რომელიც იწვევდა ხალხში უდიდეს ინტერესს, მსაჯებში — შფოთს, გუნდებში — მღელვარებას, მწრთვნელებში — მოუთმენლობას, დედაში — წუხილს და ძმებში კი მორიდებას. დიახ, ეს ნასკვი უნდა გახსნილიყო და...

დოლს დაჰკრეს, ზურნა ააჭყვიტინეს, მსაჯებმა თავისი ადგილები დაიკავეს, ხალხი გაინაბა. ყველამ თვალი მიაპყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო მაღალ კიბეს, საიდანაც ფალავნები გამოდიოდნენ.

ხალხს დიდხანს დასჭირდა ლოდინი, მეზურნეებს ლამის ლოყები დახეთქოდათ, მედოლეს, თბილისელთა საყვარელ მომღერალს ვარდოს, ლამის მალავები დასწყვეტოდა. აქეთ-იქიდან მსაჯთა კოლეგიას უკივლეს და უყვირეს:

— ვინ არიან, მორჩით, გამოიყვანეთ!

— თუ არავინ არის, თქვით, დავიშლებით!

ამ შეძახილებს კანტიკუნტი ტაშისკერაც მოჰყვა, რაც საერთო ღრიანცელად, სტვენად და ყიჟინად გადაიქცა. ასეთ ვითარებაში მთავარი მსაჯიც და გვერდითი მსაჯებიც ფეხზე წამოიჭრნენ და ერთ ადგილზე მოუსვენარი ტოკვით მოედნამდე ჩამოგრძელებულ კიბეს დააშტერდნენ. მთავარი მსაჯი გასახდელის წინ შეგროვილ ფალავნებს ხელით რაღაცას ანიშნებდა...

ერთბაშად კიბის თავთან შეგროვილი ფალავნების ჯგუფი შუაზე გაიპო და საჭიდაო ჩოხებში გამოწყობილი ორი ძმა გამოჩნდა. ხმაური და ტაშისცემა უცებ შეწყდა და საერთო მდუმარებამ მოიცვა ყველა და ყველაფერი, მხოლოდ მედოლე და მეზურნეები განაგრძობდნენ თავიანთ საქმეს. წესის თანახმად, მოჭიდავეები მათ ხალიჩამდე დაკვრით უნდა მიეცილებინათ. ეს ალბათ იმიტომ, რომ დაძაბული ბრძოლის წინ თითოეულ ფალავანში სულიერი აღტყინება, ხალისი და სიმხნე გამოეწვიათ.

წინ უფროსი ძმა ირაკლი მოდიოდა თავისებური მტკიცე ნაბიჯით, მხოლოდ უფრო ფიცხლად, ვიდრე ოდესმე ენახათ. უკან უმცროსი ძმა — ლევანი მოსდევდა, მხოლოდ არა ისე, როგორც იცოდა, ნიავ-ქარივით ხალისიანად რომ ჩაირბენდა კიბეს, არამედ წელმოწყვეტილად, ზანტად, როგორღაც ნაძალადევად და უღიმღამოდ. ირაკლი უკვე ხალიჩისკენ მიდიოდა და მას კი ჯერ ნახევარი კიბეც არ ჰქონდა ჩავლილი.

ხალხი ლევანის ასეთმა საქციელმა ერთობ გააოგნა და გააოცა. ვინ ეგ და ვინ ასეთი უსიცოცხლო გამოსვლა, ალად ხომ არ არის? — კითხულობდნენ ზოგიერთნი, მათ შორის ყველაზე გულისხმიერთ და გონებაგამჭრიახებს არ გასჭირებიათ სწორი დასკვნის გამოტანა: „ძმასთან შეხვედრა არ უნდა, ძალით გამოჰყავთ!“

ლევანის გამომეტყველებამ დედას გულში ტკივილი აგრძნობინა, ფერფური წაუვიდა და, აღელვებულმა გვერდზე მჯდომ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს წასჩურჩულა:

— ნეტავი შეიძლებოდეს უარი თქვან!

— რას ამბობ, ადამიანო, უკვე გავიდნენ ამოდენა ხალხის წინაშე და ახლა უარი? — მიუგო მან დაბალი ხმით.

— რატომ არ მოუკვდებათ დედა, მეც შევუწყე ხელი, ნეტავი სულ უარი მეთქვა! — აღარც ჩვენთვის ვივარგებთ, აღარც ქვეყნისთვისო და... რაღა მეშველება..., ერთმანეთი რომ შეიძულონ, ერთმანეთი რომ დაასახიჩრონ? რატომ მიწა არ გასკდება და შიგ არ ჩამიტანს, უმცროსს შეხედეთ, როგორ წელმოწყვეტილი მიდის... — ვეღარ ისვენებდა დედა და ლამის უკან დასდევნებოდა, ლამის მოედანზე ჩასულიყო, ორივესთვის ხელი მოეხვია და ეთქვა: „შვილებო! თქვენ ძმები ხართ! სად გაგონილა, რომ ძმა ძმას ეფალავნოს, საქვეყნოდ თავი მოსჭრას და შეარცხვინოს?! ნუ გინდათ სახელი, ნუ გინდათ ჩემპიონობა, დარჩით ისევ მოყვარულ ძმებად!“

ძმების გამოჩენისთანავე ხალხი გაოცებულ-გაკვირვებული გაინაბა, „რასაც ვხედავთ, ნამდვილად ხდება თუ გვეჩვენებაო?“ — თვალებით ეკითხებოდნენ ერთმანეთს და კრინტი ვერავის დაეძრა. მაგრამ შემდეგში რაც მოხდა, ყველაფერი გამოიწვია უმცროსი ძმის უჩვეულო საქციელმა, მის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა უხალისო, ზანტმა გამოსვლამ, განსაკუთრებით კი, მისი სახის გამომეტყველებამ. აი, ისინი უკვე ხალიჩაზე დგანან, ერთმანეთის პირდაპირ, უმცროსი ძმა აღმოსავლეთით, უფროსი დასავლეთით. ირაკლი ჩვეულებრივად მკერდგადმოგდებული, ამაყი, შეუპოვარი გამოხედვით, ხოლო ლევანი ქამარში ხელებჩაყოფილი, ტანმოშვებული და თითქოს წელში გაწყვეტილი. იგი კვლავ იღიმებოდა, მაგრამ ეს ღიმილი არ იყო ის ღიმილი, რითაც იგი გამოსვლისთანავე ხიბლავდა ხალხს. ეს ღიმილი არ იყო მეტყველება ვაკაცური უდარდელობისა, უშიშრობისა და შეუპოვრობისა, პირიქით, ახლა მის ღიმილში იგრძნობოდა რაღაც ცბიერება, რაღაც დაფარული ეშმაკობა და თაღლითობა. თითქოს ამით ეუბნება ყველას: „ვინც რა უნდა თქვას, წისქვილმა კი ფქვას, მე ჩემსას გავაკეთებო!“

საოცარია ხალხის გულისხმიერება. ვინც ყველაზე უფრო გამჭრიახი თვალისა და გონების პატრონი იყო, უმალვე წაიკითხა ლევანის ღიმილში ის დაფარული აზრი, რაც მას საამკარაოდ არავისთვის უთქვამს! წაიკითხეს და ამას მოჰყვა მთელი აურზაური. ჯერ ერთმა შეჰყვირა ძალზე ხმამაღლა, ისე ხმამაღლა, რომ მოედნის ირგვლივ კი არა, მავთულბადის გარეთ მყოფმა მაყურებლებმაც გაიგეს.

— ძმების ჭიდაობა სად გაგონილა, რას შვრებით?

მას მოედნის გაღმიდანაც აჰყვნენ, გამოღმიდანაც, მარცხნივ და მარჯვნივ ფეხზე მდგომნიც და გარეთ მყოფნიც. აღშფოთებული მაყურებლები ერთმანეთს აღარ აცლიდნენ:

— გაიყვანეთ! ეგენი მართლა არ იჭიდავებენ!

— მასხარობა გამოვა!

— ერთი მეორეს სჯობს, რაზე უტეხთ სახელს?

— გადით, არ იჭიდავოთ, ბიჭებო!

— ორივე ჩემპიონობის ღირსია, რაზე აწვალებთ?

— თაღლითობაა!

— გვატყუებთ!

მარტო შეძახილები რომ არ იკმარეს, ახლა სტვენა და ყიჟინა ატეხეს, რამაც მსაჯთა კოლეგიაში დიდი ალიაქოთი გამოიწვია. მაგიდასთან მსხდომნი ერთბაშად შეტოკდნენ, ამოძრავდნენ და ერთმანეთში ცხარე კამათი ატეხეს. ერთი წუთიც არ გასულიყო, რომ მთავარი მსაჯი ფეხზე წამოიჭრა და ხმის გამაძლიერებელით შეჰყვირა:

— ამხანაგებო!

ხალხის ყიჟინა მაინც არ დაცხრა.

— არ გამოვა! არ გვინდა! ორივე გაიყვანეთ! — გაიძახოდნენ ერთხმად, აღარ ცხრებოდნენ, მაგრამ თანდათან ხალხის ყიჟინა მიწყდა. მთავარი მსაჯის ხმა ძალზე მკაფიოდ და დამაჯერებლად ისმოდა:

— ამხანაგებო! — ამბობდა იგი. — ჩვენ, ყველანი, უჩვეულო ამბის მოწმენი გავხდით და, თუ ვართ საბჭოთა მოქალაქენი, ამ ამბავს უნდა შევხვდეთ ისე, როგორც შეშვენის ჩვენს სახელწოდებას...

— არ გამოვა, არ იჭიდავებენ, ძმები არიან! — შეჰყვირეს აქეთ-იქიდან.

მთავარ მსაჯს მათთვის ყურიც არ უგდია, კვლავ თავისი განაგრძო:

— ამხანაგებო, სადაც შეგნებაა, იქ აღარც გაკვირვებაა და აღარც დაბნეულობა. მაშ, ყური დამიგდეთ! ჩვენც, თქვენთან ერთად, აღფრთოვანებულნი ვართ ძმების ესოდენ სახელოვანი ფალავნობით! ჩვენც თქვენთან ერთად, გვახარებს მათი ტკბილი ძმობა და სიყვარული! ჩვენც მადლობას ვუხდით ასეთი შვილების აღმზრდელ დედას. — ვინც კი გაიხედა, ყველამ დაინახა, რომ დედა ერთ ადგილზე შეტოკდა. — ჩვენც გვაღელვებს და გვაშფოთებს მათი ძალაუნებური შეჯახება, მაგრამ სპორტში სხვა გამოსავალი არ არსებობს, ნამდვილად ძლიერი და მჯობზე მჯობი მხოლოდ და მხოლოდ პირისპირ ბრძოლაში, ნამდვილი და გულწრფელი შემართებით გამომჟღავნდება. მეგობრებო! — რაკი ხალხი სულგანაბული

უსმენდა, მთავარი მსაჯი ძალზე დატკბა და ასევე ტკბილად განაგრძო: — მეგობრებო, იქონიეთ მხედველობაში ყველაზე უფრო მთავარი, საგულისხმო გარემოება: მარტო მათი ძმობა და სიყვარული, ჩვენი მადლიერი თვალი და აღტაცება, ამ შემთხვევაში ქვეყანას რაში გამოადგება? რა თქმა უნდა, არაფერში! ქვეყანას მხოლოდ ის გამოადგება, თუ გვეცოდინება ნამდვილად ძლიერი ვინ არის! მხოლოდ ამით შეგვეძლება სხვა ქვეყნებთან შეჯიბრებაში და, შესაძლებელია, მსოფლიო ასპარეზზედაც ღირსეულად დავიცვათ ჩვენი რესპუბლიკის, და იქნებ საბჭოთა კავშირის, სახელი და დიდებაც! ამ დიდ და ყველაზე წმიდა მოწოდებას უნდა შეეხმატკბილოს მათი ნათესაური დამოკიდებულებაც, სიყვარულიც და აგრეთვე ჩვენი უნაზესი გრძნობებიც. ვიმეორებ, სხვა გამოსავალი არ არის! გთხოვთ ხელს ნუ შეგვიშლით, ჩვენ უნდა განვაგრძოთ ჩვენი საქმე, რომ იგი დაბოლოვდეს! ახლა კი, ნება მიბოძეთ, საჯაროდ მივმართო ძმებს...

რომ თქვა „ძმებსო“, ყველა შეტოკდა და შეიშმუშნა. მსაჯმა ეს იგრძნო და ყურადღების მისაპყრობად ხმას აუწია:

— მსაჯთა კოლეგია ვალდებულია ეაფრთხილოს მოჭიდავენი, რომ თუ ისინი რაიმე მზაკვრობას გამოიჩენენ, როგორც წესი, თუმცა დიდი გულისტკივილით, მაგრამ ყოველგვარი მორიდების გარეშე, მოხსნილნი იქნებიან შეჯიბრებიდან და არც მომდევნო შეჯიბრებებში მიეცემათ მონაწილეობის უფლება. ძმებს მივმართავ მსაჯთა კოლეგიის სახელით და ვთხოვ: ყოველგვარ პირად გრძნობებზე მაღლა ქვეყნის ინტერესი დააყენონ! ამრიგად, შეჯიბრება გრძელდება. ნახევრად მძიმე წონა — ირაკლი ფანოზიშვილი — მარჯვნივ. იგივე წონა — ლევან ფანოზიშვილი მარცხნივ! — ალბათ იმის შიშით, რომ ხალხმა კვლავ ყიჟინა და ხმაური არ ატეხოსო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დამკვრელებს შეჰყვირა: — თქვენ დაუკარით!

მედოლემ დაჰკრა დოლს. ზურნა გაბმული მკივანა ხმით აჰყვა. არბიტრმა სასტვენს ჩაბერა და ძმები ერთმანეთისაკენ დაიძრნენ. ხალხი ისე გაჩუმდა და გაყუჩდა, თითქოს მოჭიდავეებს ქანდაკებები შემოჰხვევიან საყურებლადო...

ირაკლი თამამად მოსწყდა ადგილს და შუაგული ხალიჩისაკენ წამოვიდა. ლევანმა ზანტად გადადგა ფეხი და ცუღლუტი ღიმილით გაემართა ძმის შესახვედრად. ირაკლიმ, თანახმად წესისა, ძმას ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად, მაგრამ მან ხელი არც ასწია, გვერდზე გაუარა და წაიბურტყუნა:

— შენც ერთი... თითქოს პირველად მხედავ!

ირაკლი ხელგაწვდილი ერთ წამს გახევდა. მთავარმა მსაჯმა არბიტრს შენიშვნა მისცა. მან სასტვენს ჩაჰბერა და ძმები შეაჩერა:

— წესი წესია! ერთმანეთს ხელი თქვენც უნდა ჩამოართვათ! არბიტრი მრავალმნიშვნელოვნად დააშტერდა ლევანს, თითქოს მხოლოდ მას ეუბნებაო. და ორივეს ხელით ანიშნა — თქვენს ადგილებზე დაბრუნდითო. ლევანი აღმოსავლეთით გაემართა, ირაკლი დასავლეთით. როდესაც ხალიჩის ერთ კუთხემდე ერთი მივიდა, ხოლო მეორე კუთხემდე მეორე, არბიტრმა კვლავ სასტვენს ჩაჰბერა, ისინი სწრაფად მოსწყდნენ თავიანთ ადგილს და თამამად გასწიეს ხალიჩის შუაგულისაკენ. ხალხი კვლავ სულგანაბული შეჰყურებდა ამ წყვილს.. დოლს გამალებით უტყაპუნებდნენ. ზურნა კვლავ გაჰკიოდა. მოჭიდავენი ხელის ჩამორთმევის შემდეგ შებრუნდნენ და ერთმანეთის პირდაპირ დადგნენ. ლევანმა წარუშლელი ცუღლუტი ღიმილით, მარჯვენა ხელი მაღლა ასწია, თითქოს ძმას მხარში უნდა დასტაცოსო, ხოლო მარცხენა მის საქამრეს დაუპირისპირა, მაგრამ ირაკლიმ აღარ აცალა, იგი ფოცხვერივით ეტაკა, მაღლა აშვერილ

მარჯვენა მკლავში ორივე ხელი სტაცა, ზურგი უჩვენა, ზედ შეიგდო, ცალი მუხლი ხალიჩას დაჰკრა და ლევანი კისრულზე წაიღო. ერთ წუთს უმცროსი ძმის ფეხები ჰაერში ათამაშდა. როდესაც იგი, ძმის კისერზე გადავლილი, ორივე ბეჭით ხალიჩისკენ დაეშვა, უამრავ ხალხს, როგორც ერთ კაცს, სინანულით აღმოხდა:

— ვუჰ!

მაგრამ მოხდა რაღაც უცნაური და ბევრისთვის გაუგებარი რამ! იმ შესანიშნავი ინსტიქტის წყალობით, რომლითაც დაჯილდოვებულნი არიან ფალავნები, ლევანი კატასავით ელასტიურად ჰაერშივე შეტრიალდა და ცალ ბეჭზე დაეცა... ირაკლიმ უმალვე ხელი უშვა, მთლიანად წელში გამართული თავს დაადგა, რომ წამომდგარიყო...

ლევანი როგორღაც გაშტერებულ-შეცბუნებული წამოჯდა. უკან ხალიჩაზე დაყრდნობილ ხელებს მთელი ტანი დაანდო და ერთი დამთქნარების ხანს კვლავ ცუღლუტი ღიმილით ძმას დააშტერდა, თითქოს რაიმეს ეკითხებოდა. ხალხში სიოსავით გაიქროლა ჩურჩულმა:

— არ უნდა, არ ჭიდაობს!

არბიტრმა კვლავ სასტვენს ჩაჰბერა და ამან მიახვედრა იგი, რომ დაყოვნება სახიფათო იქნებოდა. ლევანი ფიცხლად წამოიჭრა ფეხზე და ისევ იმავე ღიმილით ძმას წინ დაუდგა. ვიდრე მოიფიქრებდა, თუ რა უნდა გაეკეთებინა, მას ყურში ჩაესმა ირაკლის გაშმაგებული ჩურჩული:

— გამაგრდი! არ დაგინდობ, შენს სახელს ვფიცავ!

მართლაც რომ საკვირველი იყო. ასე საჯაროდ ერთიმეორე უნდა დაემცირებინათ უძლეველის სახელის წართმევით და მაინც ერთმანეთს ფიცულობდნენ!

ირაკლიმ სულის მოთქმის საშუალება აღარ მისცა ძმას, ალბათ იმიტომ, რომ გაებრაზებინა და ამით მასში გამოეგვია რისხვა, მან იგი აბუჩად აიგდო: მარცხენა ფეხი ლევანის ორივე ფეხს უკანიდან გამოჰკრა და იმავე წუთს მარჯვენა ხელი ძალუმად მკერდში ატაკა. ლევანი ისე გადაწვა უკან, როგორც მოჭრილი ხე. მაყურებლებმა სკამებიდან წამოიწიეს, რადგან ეგონათ, ვეღარ გადარჩებოდა, ორივე ბეჭით ხალიჩაზე ზღართანს მოიღებდა, მაგრამ სხვა მოხდა: ამ ხერხს, ქართულ ჭიდაობაში კარგად ცნობილს — „ნამგლურს“, სპილოც ვერ გადაურჩება, მასაც კი დასცემს მოცელილი ბალახივით, მაგრამ უთუოდ რაღაც დააკლდა ირაკლის, რომ ლევანი ერთბაშად არ ღაეცა. იმ დიდი ნიჭის თუ ალღოს წყალობით, რომელიც შეუმუშავდებათ ხოლმე საუკეთესო ფალავნებს, მან ენერგიის დაძაბვით თავი შეიკავა. უკან-უკან ბარბაცით და რწევით წავიდა და სწორედ ხალიჩის გარეთ ორივე ბეჭით დაეხეთქა აგურის ფხვნილით შეწითლებულ მიწაზე. ცხადია, ხალიჩის გარეთ წაქცევა დამარცხებად არ ჩაეთვლებოდა, მაგრამ მთლიანად სურათი იმდენად კომიკური იყო, რომ ხალხში აქა-იქ სიცილი ატყდა და ბოლოს ყველაფერმა ამან ერთბაშად გადაწყვიტა ბრძოლის ბედი...

ძმის დაუნდობლობამ და ხალხის დაცინვამ ჭაბუკი ფალავანი საშინლად გააცეცხლა. ხალხი ფალავანს რომელსაც ოთხი დღის განმავლობაში აღტაცებით და ტაშისგრიალით ხვდებოდა, ახლა დასცინოდა. ძმა, რომელიც აკვნიდანვე მას ეალერსებოდა და ყოველგვარ ხიფათში თავგანწირულ დარაჯად ედგა, ახლა მტრად ქცეოდა, მოურიდებლად ცდილობდა მისი სახელის შებღალვას. მის მკერდში გრიგალივით აბობოქრდა შეურაცხყოფის გრძნობა, მაგრამ იმაზე მეტი სხვა რამეც იგრძნო. რაიონულ შეჯიბრებაშიც და აქაც ვერავინ ერთხელაც ვერ დაარტყმევინა მუხლი ხალიჩაზე, აქ კი ცალ ბეჭზეც დასცეს, ზურგზე აგურის

ფხვნილიც ააკრეს და ხალხიც აცინეს ძის უძლურებასა და უმწეობაზე. ლევანი გაბრაზდა... რაკი ასეა, ახლა ნახავს ყველა, ვინ არის დასაცინი და ვინ ქების ღირსი! რაკი ასეა არავის დაინდობს, ერთხელ მაინც აჩვენებს ყველას თავის უნარს და მერე თუნდაც დამარცხდეს, აღარ ინაღვლებს! რაკი ასეა, გამაგრდი, თუ ვაჟკაცი ხარ! ვინც გინდა იყოს, ახლა მისთვის სულ ერთია...

ლევანი წამოიჭრა და გაშმაგებული გადახტა ძმისკენ. ახლა ყველამ დაინახა, რომ იგი აღარ იღიმებოდა, ლოყებზე ალმური ასდიოდა, თვალებიდან ნაპერწკლებს ყრიდა, წარბებშუა მრისხანების მეტყველი ნაოჭი გასჩენოდა. ფიცხლად მისწვდა მოწინააღმდეგეს, მაგრამ იგი განზე გაუხტა, გარესარმა გამოჰკრა ბრაზით გონდაკარგულს და ახლა წინ წააბარგანავა, ორივე ხელის ნები ხალიჩაზე დაარტყმევინა. ხალხში კვლავ სიცილი და ყრუ გუგუნი გაისმა. ამ მარცხმა ერთიანად გააცოფა და გააგიჟა ჭაბუკი. ელვისისწრაფით ფეხზე დადგა, წელში გასწორდა და, გამოცდილი ფალავნის ჩვეულების მიხედვით ჯერ შორიდან გახედა მოწინააღმდეგეს, შემდეგ ვაჟკაცური შეუპოვრობით გადახტა მისკენ. ამ წუთიდან მას უკვე აღარ ესმოდა, ღვიძლ ძმას ეჭიდავებოდა თუ სხვა რაიონის ანდა უცხო ქვეყნის ფალავანს. არ ესმოდა, რადგან ძმის სახეზე მან წაიკითხა გესლიანი და დამცინავი ღიმილი და ამ ღიმილში ფქმული: „აბა, ნამდვილად ნუ იჭიდავებ, გამასხარავდები!“

იგი დაჭრილი დათვივით, ბრმად და დაუნდობლად მივარდა ძმას, ორივე ხელი მკერდში ძალუმად ჰკრა, თან გარე სარმა გამოუსო და სამგზის ჩემპიონს კინაღამ ერთ წუთში მოუღო ბოლო. ირაკლიმ ამ საშინელ დაძგერებას ვერ გაუძლო, ბევრი იტორტმანა, იბარბაცა და ბოლოს ხალიჩის გარეთ აგურის ფხვნილიან მიწას ცალი მხარი წააგალა. ასეთი მძლავრი დატაკება და მაგარი ფეხი ჯერ მას არავისაგან ეგემა. იგი უმალვე მიხვდა, რომ რასაც ფიქრობდა, სწორედ იმას მიაღწია. ამ დაცინვით და განგებ გაბრაზებით ძმის სიჯიუტე გატეხა და ახლა იწყებოდა ნამდვილი ბრძოლა, რადგან შეურაცხყოფილი ადამიანი მანამდე აღარ დაცხრებოდა, ვიდრე თავისას არ გაიტანდა ან საბოლოოდ არ წახდებოდა...

ირაკლი სიხარულით აღსავსე წამოხტა ფეხზე, ხალიჩის შუაგულისკენ წავიდა და თან ფხიზელ თვალს არ აშორებდა ბრაზით სიგიჟემდე მისულ უმცროს ძმას, უკვე აღიარებულ უძლეველ ფალავანს...

ზურნა მთელი ხმით გაჰკიოდა, დოლის ბრახუნი ყველას და ყველაფერს აყრუებდა, ხოლო მაყურებლები გაფართოებული თვალებით, წაგრძელებული კისრებით და ლოდებივით დამუნჯებულნი შეჰყურებდნენ ძმების ასპარეზობას. სულ მალე სეირის მოყვარული ხალხი მართლაც გახდა მოწმე იშვიათი სანახაობისა...

ირაკლის უხაროდა, რომ ძმის სიჯიუტე გატეხა, ხალხი ტკბებოდა, რომ ამის შედეგს, ესოდენ მძაფრს და ვაჟკაცურს, უყურებდა, ხოლო ის კი, ვისაც გული ორად ეყოფოდა, ვინც ყველაზე მტკივნეულად განიცდიდა ძმების თავდაუზოგავ წვალებას, აღარავის აგონდებოდა...

დედა ახლა ბევრს ნანობდა, რომ თავის ჩამოსვლით ვერაფერი გააწყო და ძმების ეს თავდაუზოგავი შერკინება ვერ ჩაშალა. ელდანაცემს ეჭვი აღარ ასვენებდა — „ვაითუ სამუდამოდ შეიჯავრონ ერთმანეთი და ტკბილი სიყვარული, მე რომ მასულდგმულებს, დაივიწყონო!“ აღარ იცოდა, რა ექნა. საბრალო დედაკაცი ლამის მღელვარებამ ერთ ადგილზე გააქრო. იგი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს შვილების მოქმედებას და სულ იმას ცდილობდა, ისეთი რამე შეენიშნა, რაც მისი ეჭვების გასაქარვებლად გამოდგებოდა. მაშინ კი, როდესაც, პირიქით, აქის საწინააღმდეგოს შენიშნავდა, ვეღარ ისვენებდა, ერთავად შორიდან

ელაპარაკებოდა და ეხმაურებოდა ორივეს...

როდესაც ხალხის წინაშე წარდგნენ ძმები და ყველას გაოცება და გაკვირვება გამოიწვიეს, დედამ თავისთვის ამაყად წაილუღლუღა:

— ჩემი მარგალიტები, ენაცვალოთ დედა! მთელ ქვეყანას აცვიფრებენ!!

აი, დაუკრეს ზურნა, სასტვენის ხმაც გაისმა, ძმები ერთმანეთისაკენ დაიძრნენ და დედას გული ისე აუკანკალდა, რომ თავისდაუნებურად ხელი იტაცა, რომ შეეჩერებინა, „ვაითუ ჩემმა შვილებმა ისეთი რამ ჩაიდინონ, ამ ხალხის აღშფოთება გამოიწვიონო“. მაშინ კი, როდესაც ირაკლიმ კისრულზე წაიღო თავისი უმცროსი ძმა, დედას გული აუჩქროლდა და თვალში ცრემლი ჩაუდგა.

— პატარაა, ბიჭო, ასე უნდა გაიმეტო? ჰმ, ერთი უყურეთ! — დუდუნებდა თავისთვის და თან ცრემლით დანამულ თვალებს ხან ერთს მიაპყრობდა და ხან მეორეს. აი, ირაკლიმ კვლავ არ შეიბრალა ეს „პატარა“ და სარმის გამოკვრით ხალიჩაზე პირქვე წააგდო. დედამ კინაღამ შეჰკივლა, მარჯვენა ხელი წინ უმწეოდ გაიქნია და თავისდაუნებურად აღმოხდა:

— ოჰ, შვილო, შენ არ მოუკვდი დედას! ფრთხილად, შენი საყვარელი ძმა არის, რა ეშმაკმა დაგავიწყა?

აშ ათას, თუ ათი ათას ადამიანში დედამ ყველაზე ადრე იგრძნო უმცროსი შვილის აფეთქება და მრისხანება... იგრძნო და შიშმა თავზარი დასცა. ის, პატარა, თუ გალომდა, შესაძლებელია, ერთმანეთს მკლავი უღრძონ, ფეხი მოტეხონ, ან კისერი მოუგრიხონო. ქართულ ჭიდაობაში ასეთი რამ ხშირად ხდება, და დედამ ეს სხვების გადმოცემით კარგად იცოდა. როდესაც მისი შვილები საჭიდაოდ გადიოდნენ და თვითონაც ორივეს გზა დაულოცა, ფიქრობდა: „რაც არ უნდა იყოს, ძმები არიან, ისე როგორ გაიმეტებენ ერთმანეთს, რომ დასახიჩრდნენო, ცოტა ხანს გაითამაშებენ ხალხის მოსაჩვენებლად და კვლავ უვნებელნი დამიბრუნდებიანო“, ახლა კი აშკარად იგრძნო საფრთხე. აგერ, პატარა გაქანდა, ყოჩივით დაეტაკა უფროსს, ფეხიც მიაშველა და ხალიჩის გარეთ ლამის მხარი გადააცქვლიფა. დედამ დაიგმინა და ცრემლმორეული თვალებით ახლა უმცროსს დაუწყო ტუქსვა და დარიგება:

— ოჰ, შე ღრეჭელავ, შენ არ გეღირსოს ავი და ბოროტი! უფროსია, პატივი ეცი!

ირაკლი ცოცხლად, ხალისიანად წამოხტა ფეხზე და დედა ცოტაოდნავ ამან დაამშვიდა, თორემ, შესაძლებელია, უფრო მეტი და უფრო ხმამაღლა ისეთი რამეც ეთქვა, რომ ხალხის ყურადღება მიეპყრო.

ხალიჩაზე ყველაფერი ელვის სისწრაფით იცვლებოდა. ვერც კი მოასწრო დამშვიდება, რომ კვლავ თავზარი დასცა შვილების ერთმანეთზე დაუნდობელმა შეტევამ. აგერ ირაკლიმ მიირბინა ხალიჩის შუამდე. არბიტრმა სასტვენს ჩაჰბერა და უმცროსმა არც კი აცალა, მუხლში გამართულიყო, მარჯვენა მკლავში მისწვდა, ვეფხვის სისწრაფით ზურგზე მოიგდო, კისერზე გადაიტარა და თავი ხალიჩაზე დააკვრევინა, ხოლო ფეხები ერთ წამს ჰაერში გაუშეშა, თითქოს ჭიგო ყოფილიყო და არა ადამიანი.

— უჰ, შენი ჭირიმე! — ისე აღმოხდა ხალხს, როგორც ერთ კაცს. ირაკლის უთუოდ ფოცხვერის მოქნილობა მოსდგამდა, თორემ ასეთ უეცარ გადატანას ვერ გადაურჩებოდა. იგი თავზე ბზრიალასავით დატრიალდა, ხელის მიშველებით თითქოს შეხტა კიდეც და, ზურგის მაგიერ, მუცლით დაენარცხა ხალიჩას. ლევანმა, როგორც წესი, ულმალვე ხელი უშვა, განზე გადგა და მოუცადა, რომ ამდგარიყო, წელში გამართულიყო და ისე სცემოდა. ქართული ჭიდაობის ყველაზე რაინდული წესი, რომ უთუოდ ფეხზე მდგომს, წელში გამართულს და ყოველმხრივად მომზადებულს უნდა შებმოდა, მაინც არ დავიწყებოდა. თვალის დახამხამე-

ბაში მოხდა ყველაფერი, მაგრამ დედას ერაფერი გამოჰპარვია, როდესაც ირაკლი თავით ხალიჩას დაენარცხა, მან დაიგმინა და მძაფრად აღმოხდა:

— ოჰ, შვილო, შვილო, შენამც ნუ შეწყვეტიხარ მზეს! დიდ-პატარაობა ასე უნდა დაივიწყო?

ერთხანს უნდოდა წამომხტარიყო და მთელის ძალღონით ეკივლა: „ნუ მიღუპავთ შვილებს, გააშველეთო“ — მაგრამ ზურნის ხმამ და ხალხის გუგუნმა დროზე მოიყვანა გონს. უცებ მიხვდა, რომ ამ ვითარებაში მისი ჩარევა საქმეს ვერ უშველიდა და, სხვა რომ ვერაფერი გააწყო, ძალზე გულჩათუთქულმა თვალები მოსახვევის ყურით მოიწმინდა...

საბრალო ქალს სადღა ჰქონდა იმის თავი, რომ შვილების ამ თავდაუზოგავ ბრძოლაში დაენახა ის, რაც ყველასათვის ერთნაირად სასარგებლო იქნებოდა და არა მარტო მათთვის! მოხუც დედას საიდან შეეძლო გაეგო, რომ ამ მძაფრ ორთაჭიდილში იჭედებოდა თუ ისახებოდა ჩვენი ცხოვრების ამ დარგშიც სამშობლოს დიდება.

ყველა დარწმუნდა, რომ ძმები ნამდვილად და თავდაუზოგავად შეებნენ ერთმანეთს. აქამდე თუ ირაკლი იმას ცდილობდა, რომ უმცროსი ძმა გაეღიზიანებინა, მასში მრისხანება გამოეწვია, ახლა სულ სხვა გულისტკივილი გაუჩნდა — და თვითონ უარესად იფეთქა. ამას, რა თქმა უნდა, დიდად ანგარიშგასაწევი საფუძველი ჰქონდა. სამი წლის განმავლობაში, სხვადასხვა დროს, დაფნის გვირგვინისაკენ მიმავალ გზას ასზე მეტი ფალავანი უხერგავდა. იგი ყოველთვის თავგანწირულად იბრძოდა. ვეფხვივით ვაქკაცებს, ვით უძლეველი დევგმირი, ერთმანეთზე „აწყობდა“ და „ალაგებდა“, თამამად და სხარტად ყველა მათგანს ზურგზე მტვერს აკრავდა და ყოველთვის დამსახურებლად ინიჭებდა ჩემპიონის საამაყო სახელს. ბოლოსდაბოლოს, მასში შთაინერგა რწმენა თუ თვითდაჯერება უძლეველისა, და არც ახლა უფიქრია, რომ სხვისთვის დაეთმო ეს სახელი და დიდება, მაგრამ, როგორც კი თავის მიერვე გაღიზიანებული ძმა ნამდვილად დაეტაკა და კინაღამ ხალიჩაზე მხარი დაადებინა, უმალვე იგრძნო ისეთი ძალა, რომელიც მას ჯერ არ უგემია, არც საწრთვნელი ვარჯიშის დროს და არც ყველაზე ძნელ შეჯიბრებაში.

... და, აი, მასში აღზევდა შელახული თავმოყვარეობა და გაწკეპილი სიამაყე. ნუთუ ამ პირტიტველა ბიჭს იმდენი ძალა შესწევს, რომ სამგზის ჩემპიონს სირცხვილი აჭამოს? ნუთუ იმ ძუძუთი გაზრდილმა, რომელსაც თვითონაც სწოვდა, უნდა წაართვას დაფნის გვირგვინი? ნუთუ მართლა ისეთია, რომ ვერავინ გაუმართავს მკლავს? არა, დანდობა აღარ შეიძლება, ნამდვილად ძლიერი უნდა გამომჟღავნდეს!

ირაკლი გამეხებული დაიძრა შუაგული ხალიჩისაკენ და ქორივით დააცხრა ძმის ჩოხას მხრებთან. დასწია, თავისკენ დაიჭნია, მაგრამ უცებ თეძო ჰკრა და მაღლა აკოტრიალებული ხალიჩაზე დასცა. დასცა, მაგრამ ცალი გვერდით! ეს იმიტომ მოხდა, რომ, ვერ იქნა, და, ძმა წელში ვერ გატეხა, ვერ აითრია, თორემ ამ ხერხით ბევრად მძიმე ფალავნებისთვისაც უგემებია მარცხი. თავის მხრივ არც ლევანი წაუღია ვინმეს ასე ადვილად, და, ამან გაბრაზებასთან ერთად, ძალზე შეურაცხყო. გვერდი არც კი ჰქონდა დაკრული, რომ ისევ ფეხზე იდგა და უფროს ძმას ერთი ხელი მხარში დასტაცა, მეორე ქამარში მუცელთან და...

აქედან დაიწყო ნამდვილი და თავდაუზოგავი ბრძოლა. აქედან დაიწყო ხალხის ფეხზე წამოდგომა, ზურნის ჭყვიტინი, მსაჯთა აქოთქოთება და შიგადაშიგ აღტაცების შეძახილები:

— უუჰ, შენი ჭირიმე!

— ვაქკაცურია!

— შენ გენაცვალე, ბიჭი კი არა, ფოლადია!

ხალხის აღფრთოვანება გამოწვეული იყო ძმების ოსტატობით და იმის წარ-

მოდგენით, რომ ასეთი იშვიათი სილამაზის სპორტული სანახაობა ხალხს ეკუთვნოდა, მათი შექმნილი და დადგენილი იყო და, საუკუნიდან საუკუნემდე გადმოტანილი დღემდე ცოცხლობდა. ორივე ძმა ყოველნაირ ხერხს არაჩვეულებრივი სიმარჯვით იყენებდა. არც ერთი არ უშინდებოდა მეორეს! არც ერთი არ კადრულობდა თავდაცვას! ერთავად შეტევაზე იყვნენ! თუ რომელიმე წაიჩოქებდა ან პირქვე წავარდებოდა ან გვერდს დაჰკრავდა ან ცალ ბეჭზე დაეცემოდა. მიუხედავად იმისა, რომ ძალზე აღგზნებულნი, წარუმატებლობით გაცოფებულნიც იყვნენ, ქვეცნობიერად მაინც არ ივიწყებდნენ ქართული ჭიდაობის ვაჟკაცურ წესს, უმალვე ხელს უშვებდნენ ერთმანეთს და, წელში გამართულნი, ხელახლად იწყებდნენ ჭიდაობას. არც უმცროსი ზოგავდა ძალ-ღონეს, არც უფროსი, მაგრამ ვერაფერს ხდებოდნენ. ყველა ხერხს მიმართეს და გამოიყენეს: გარე სარმაც, შუაკაურიც, თეძოც, კისრულიც, ზურგულიც, ნამგლურიც, მაღლა ატაციც, მაგრამ ვერც ერთით ვერ მიაღწიეს სასურველ შედეგს, ვერც უფროსმა და ვერც უმცროსმა, ხალხის აღტაცებას კი იწვევდნენ...

მხოლოდ ერთი ადამიანი იყო, ხელებს რომ უხმოდ იმტვრევდა და გაოგნებული შეჰყურებდა თავისი მართვების დაუნდობლობას, გული შუაზე ეყოფოდა და გონებას ჰკარგავდა, ლამის ეკივლა და ეწივლა. მაგრამ იცოდა, ამ უამრავ ხალხთან ვერაფერს გახდებოდა, და იმას-ღა ნატრობდა, მალე და უხიფათოდ დამთავრებულიყო მისთვის საშინელი სანახაობა.

დრო მართლაც იწურებოდა. მალე დედის ტანჯვასაც მოეღებოდა ბოლო და ძმების წვალებასაც. ქართული ჭიდაობა, წესით, გრძელდებოდა ხუთ წუთს. ამ ხუთში ოთხი უკვე გადიოდა და...

ეს მოხდა უკანასკნელ წუთში. საკვირველი იყო, რომ ამდენი ხნის დაძაბულ ბრძოლაში ერც ერთს არ ეტყობოდა დაღლა და დაქანცვა, პირიქით, რაც დრო გადიოდა, იმდენად უფრო აღზევდა თითოეულში დაუცხრომელი ენერგია.

აი, ირაკლიმ გარე სარმით ერთხელ კიდევ წააბარგანავა უმცროსი ძმა. მან ცალი ხელი ოდნავ დაჰკრა ხალიჩას, უმალვე წამოდგა, წელში გასწორდა და ზედ შუა ხალიჩაზე ჯიქურ ეძგერა უფროსს; მარცხენა ხელი მხარზე გადაუტარა და წელთან ქამარში უტაცა, მარჯვენა კი ასევე ქამარში წინ, მუცელთან; მარცხენა ფეხი მის მარჯვენას ჩაუხლართა და მაგრად დაბღუჯა, მთელი ტანით ზედ აეკრა. ირაკლიმაც ორივე ხელი წელზე მოხვია და სალტესავით მოუჭირა, თან მკერდით ძალუმად მიაწვა, რომ გადაეტეხა, მაგრამ ვერც ერთმა ვერ გაიტანა თავისი. ერთხანს გაუნძრევლად იდგნენ, თითქოს ერთმანეთს შეეტყუპნენ და გაქვავდნენო... ასე ეგონათ შორიდან მაყურებლებს, თორემ მსაჯების ფხიზელ თვალს არ გამოჰპარვიათ, რაც ხდებოდა. ლევანი უფროდაუფრო მაგრად ბღუჯავდა ძმას, უფროდაუფრო მტკიცედ და ღრმად უხლართავდა მარცხენა ფეხს, ხოლო თავის მარჯვენა ფეხს, რომელიც განზე ჰქონდა გადგმული, თანდათან ახლოს სწევდა, თითქოს ხალიჩას ტკეპნის ან რაღაცას ჭყლეტსო... ერთბაშად შეინძრა იგი, შეტოკდა და ეს ყველამ დაინახა. მარჯვენა ფეხი გაბედულად დაჰკრა ხალიჩას, მაღლა შეხტა, ძმის სხეულიც მთლიანად თან აიტანა, ფეხებქვეშ ორივეს ქარმა გაუარა და... ყველაფერი დამთავრდა. ირაკლი ორივე ბეჭით ხალიჩაზე იყო გართხმული, ხოლო ლევანი ზემოდან დაჰფარვოდა მთელ მის ტანს, თითქოს ხის მორები ერთმანეთს დასცემიაო...

ამ შეჯიბრებაში არც ერთი წყვილის ბრძოლა არ ყოფილა ასე დაძაბული. მეზურნეებმა დაკვრა შეწყვიტეს და შეებით ამოისუნთქეს. ისინი ჭრელი ბაღდადებით შუბლიდან ოფლს იწმენდნენ, ხოლო სანაქებო მედოლე-მომღერალი ვარდო დაბეგვილ თითებს იზელ-

და. დაკვრა შეწყდა, სამაგიეროდ, ხალხი ისე ახმაურდა და აგუგუნდა, თითქოს დამბა გაირღვა და დაგუბებულმა მორევმა ხეილი მოიღოო. გამალებულმა ტაშის ხმამ და „ვაშას“ ძახილმა ყურთასმენა დაახშო. ყველა ერთნაირი აღფრთოვანებით შეეგება ჭაბუკი ფალავნის გამარჯვებას.

გარდა საერთო სიმპათიისა, ყველას თავისი საფუძველი ჰქონდა, რომ თავდავიწყებას მისცემოდა. ხალხი აღტაცებული იყო იმის გამო, რომ იშვიათი სანახაობის მოწმე გახდა; მსაჯები იმიტომ, რომ ეს თავსატეხი საკითხი, ბოლოსდაბოლოს, ასე უცებ გადაიჭრა, ფალავნები იმისთვის, რომ, როგორც იქნა, გამოჩნდა კაცი და ირაკლის დაფნის გვირგვინი წაგლიჯა, დამკვრელებს დასვენება გაუხარდათ, დედას — შვილების წვალების დასრულება, და საერთო აღფრთოვანებას კი იწვევდა ახალი ჩემპიონის გამოვლენა!

ყველაზე მეტად აღტაცებული იყო გუნდის მწრთვნელი შაქრო. ჯერ, როგორც აღმზრდელი და მწრთვნელი, და მერე — ამ გამარჯვებით გუნდურ პირველობაზე გასული. იგი ფეხზე ამდგარიყო, თავისი ვეებერთელა ტანით წინ მოედნისკენ წახრილიყო და, ვაშას მაგიერ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაჰყვიროდა:

— შენი ჭირიმე, ლევან, შენ გენაცვალე!

ერთ წუთში მოხდა ყველაფერი ეს, მხოლოდ წაქცეულს და წამქცევს არც ამის ნახევარი დასჭირდათ, რომ ხალიჩაზე ყოფილიყვნენ გართხმულნი. პირველად ლევანი მოვიდა გონს. ხალხის არაჩვეულებრივმა ხმაურმა იგი შეაკრთო და დაფეთებული წამოხტა ფეხზე... წამოხტა და იქვე, ერთ ადგილზე, გაქვავდა მკლავებდაშვებული და წელში გამწყდარი. შემკრთალი და თავზარდაცემული, გაფართოებული თვალებით დაჰყურებდა ხალიჩაზე გაშოტილ უფროს ძმას. ღრმად და აჩქარებით სუნთქავდა, ოფლით დამბალ ქოჩორზე კი წარამარა ხან ერთი ხელის ზურგს ისვამდა, ხან მეორეს, და ერთ ადგილზე ქანაობდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე ირაკლიც წამოჯდა. უკან შებრუნებული ხელებით ხალიჩას დაეყრდნო, ჯერ ხალხს გახედა, მერე არბიტრს, იქვე მდგომ ძმას, თითქოს კითხულობს — „ეს რა მოხდაო“, და შემდეგ კი თავი ჩაქინდრა, როგორც მგლოვიარემ და ღრმად შეწუხებულმა. არბიტრმა უკვე მესამედ ჩაჰბერა სასტვენს, რაც ნიშანი იყო იმისა, რომ ჭიდაობა დამთავრდა, ერთმანეთს განშორდითო. ირაკლიზე ისე ხალხის გუგუნმა არ იმოქმედა, როგორც სასტვენის ხმამ. მან რაღაც მოიფიქრა, რაღაცით აღფრთოვანდა, სწრაფად წამოიჭრა ხელები გაშალა, თითქოს ვინმეს უნდა მოეხვიოსო, და შეჰყვირა:

— ლევან, შენ უძლეველი ხარ! — იგი გულმხურვალედ გადაეხვია უმცროს ძმას და რამდენჯერმე გადაკოცნა. ლევანი კი იდგა კვლავ გაქვავებული, წელში გამწყდარი, ბეჭებში მოკუზული, ხელებდაშვებული და ერთიანად გათავებული. კვლავ სასტვენის ხმა გაისმა და ირაკლიმ ძმას კისერზე შემოჭდობილი ხელები მოხსნა, ერთი ნაბიჯით განზე გადგა და ლევანსაც ანიშნა, შენი კუთხისკენ წადი, რომ მთავარმა მსაჯმა შედეგი აცნობოს ხალხსო. მაგრამ მოხდა სულ სხვა რამ. ერთბაშად უმცროსი ძმა ადგილზე შეტორტმანდა, როგორც მოჭრილი ხე, ისე გადაწვა უფროსი ძმისკენ, ხელები უღონოდ მოხვია კისერზე, ლოყით მის მკერდს მიენდო და უცებ აქვითინდა:

— ეს რა გამაკეთებინე? რად გამიმეტე, ბიჭო, რად? — იგი ცრემლს აფრქვევდა, და თან, როგორც შერცხვენილი ბავშვი, ისე ცდილობდა მის უბეში თავის დამალვას. ირაკლის გაეღიმა, ცალი ხელი ბეჭებზე მოხვია, მეორე კი ირგვლივ შემოატარა და მტკიცედ უთხრა:

— აი, ამათთვის გაგიმეტე! ამ ხალხმა ახლა მშვენივრად იცის, ვინ არის ნამდვილად მჯობზე მჯობი და ვინ

დაიცავს ყველაზე უკეთ რესპუბლიკის სახელს!

ხალხს არ გაუგონია, რას ჩურჩულებდნენ ძმები, მაგრამ მათი ხვევნა-კოცნა და უმცროსი ძმის შეწუხება ყველამ აშკარად დაინახა. ამ გულამაჩუყებელმა სურათმა კვლავ ტაშისცემა და ყიჟინა გამოიწვია.

ამ უამრავ ხალხში მხოლოდ დედა იყო ერთადერთი, ტაშს რომ არ უკრავდა. იგი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს შვილების მოძრაობას და თვალთაგან ცრემლს აწვიმებდა, მაგრამ ეს ცრემლი ახლა უკვე იყო არა წუხილის, არამედ შინაგანი სიხარულისა და ნეტარებისა — შეჰყურებდა ხალიჩაზე მდგომ ორ ვეფხვს, რომელნიც მისი ნაშობ-აღზრდილნი იყვნენ, ისმენდა ხალხის აღფრთოვანებულ ხმაურს და უზომო სიამაყის გრძნობით შორიდან ენაცვლებოდა თავის გამოზრდილ ბოკვერებს! განა აკვნიდანვე თვითონ არ უნერგავდა თავის „მარგალიტებს“ შრომის სიყვარულს, უშიშრობას, ვაჟკაცურ პატიოსნებას, მაგარ მკლავს. სულიერ სიმტკიცეს, მხნეობას და ქვეყნისათვის თავდადებას? აი, ნაყოფიც თვალწინ აქვს: ოთხი დღე თავდაუზოგავად იბრძოლეს, არავის მოერიდნენ, ყველას შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს. და ეს მათი უშიშარი გულის შედეგი იყო! აგერ, ახლა, დამარცხებული გამარჯვებულს კოცნის, ულოცავს, ხოლო გამარჯვებული ცრემლს აფრქვევს, პატიებას სთხოვს, და სწორედ ამაშია მათი ვაჟკაცური პატიოსნებაც! ეს ამოდენა ხალხი მის შვილებს ტაშს უკრავს, „ვაშას“ შესძახის, დედა შორიდან ხედავს, ჭვრეტს, ყოველივე ამას და განიცდის დიდ ნეტარებას!

აგერ ხელახლა ატყდა ტაშის გრიალი, „ვაშას“ ძახილი და ყიჟინა. რა მოხდა? დედამ თვალები დააცეცა და ყველაზე უფრო საამურ სანახაობას წაწყდა. მთავარ მსაჯს გამოეცხადებინა ლევანის სუფთა გამარჯვება. უფროსი ძმა გულღია ღიმილით მივიდა, ჯერ ისევ წელში გადამწყდარ უმცროს ძმასთან, ხელი მოხვია და კიბისკენ წამოიყვანა. სწორედ ამან, ამ ძალზე მგრძნობიარე სურათმა, ერთხელ კიდევ გამოიწვია ხალხის აღფრთოვანებული ხმაური...

როდესაც მათ კიბეზე ფეხი შემოდგეს, დედამ ვეღარ მოითმინა, ფეხზე წამოხტა და ხელებგაწვდილი გრძელ, ხოლო ამჟამად მთლიანად თავისუფალ კიბეზე დაეშვა, შვილებს რომ მიჰგებებოდა. ძმებმა დედას თვალი მოჰკრეს და ფეხს აუჩქარეს. ირაკლიმ თითქმის ძალით აარბენინა ლევანი და სწორედ შუა კიბეზე შეხვდნენ ერთმანეთს...

დედის და შვილების მოძრაობა ხალხს არ გამოჰპარვია, ერთ წუთს ყველა გაინაბა და გაითანგა. ათასი წყვილი თვალი ახლა ამ სამ არსებას შეჰყურებდა და მოუთმენლად ელოდა, შემდეგ რა მოხდებოდა...

მოხდა კი ჩვეულებრივი ამბავი, ხალხი ერთიანად მოიხიბლა და მოჯადოვდა. დედა ზემოდანვე გადასწვდა შვილებს და ორივეს ერთსა და იმავე დროს მოხვია ხელი — უფროსს მარჯვენა, უმცროსს კი მარცხენა. ორივე გულს მიიკრა და ჯერ უფროსს აკოცა, შემდეგ კი უმცროსს...

— ჩემი ბრალი არ არის, მაპატიე, დედა!

გულამომჯდარი ლევანი თავით ეტმასნებოდა დედის მკერდს.

— დედა, მიულოცე ახალ ჩემპიონს! — მხიარულად შესძახა ირაკლიმ.

— თქვენ შემოგევლოთ ჩემი თავი! — მან აბრეშუმის შავი მანდილის ცალი ყურით შუბლიდან ჯერ უფროსს მოსწმინდა ოფლი, ხოლო მეორე ყურით—უმცროსს, ორივე კვლავ მკერდს მიიკრა და ასე, სამნი, ერთ არსებად ქცეულნი, ერთხანს შუა კიბეზე ქანდაკებასავით უძრავად იდგნენ...

ხალხს არ ესმოდა, თუ რას ლაპარაკობდნენ დედა-შვილნი, მაგრამ იგი რომ ვეფხვივით ვაჟკაც შვილებს შეეგება და მიუალერსა, ეს კარგად დაინახეს და ახლა დედის საპატივსაცემოდ

ატყდა ისეთი ტაშისცემა, ისეთი ყიჟინა და „ვაშას“ ძახილი, რომ ყურთასმენა ღარ იყო.

ტაშისცემა და „ვაშას“ ძახილი ყველაზე წინ მსაჯებმა ატეხეს. ისინი ფეხზე წამომდგარნი, კიბის ძირში მოგროვილიყვნენ და იქიდან უძღვნიდნენ სალამს სწორუპოვარ ფალავნების გამზრდელ დედას! ხალხი ამან აღაფრთოვანა და ვინ რას ამბობდა, რას ყვიროდა, რას აკეთებდა, ძნელი იყო ამის გაგება. ქუდებს, მანდილებს თუ ცხვირსახოცებს აფრიალებდნენ და ყველა ამით აჭრელებული მოედანი, ელნათურების მძაფრი შუქით გაჩირაღდნებული, მართლაც რომ სადღესასწაულო-საზეიმო განწყობილებას ქმნიდა...

დედა თავისი შვილებით ჯერ ისევ კიბეზე იდგა და ალბათ, ვიდრე მათ არ გააცილებდნენ ტაშისცემას და „ვაშას“ ძახილს, ხალხი არც შეწყვეტდა, მაგრამ უცებ მოხდა ისეთი ამბავი, რამაც ერთბაშად შეწყვიტა ხმაური და ყველა ერთ ადგილზე გააქვავა, როგორც მოჯადოებული...

ვინ მოიფიქრა, როდის და სად, ეს არავინ იცოდა. სრულიად მოულოდნელად გაისმა დუდუკის ტკბილი ხმა, ჯერ ძალიან ნაზად, შემდეგ კი თანდათან უფრო ძლიერად და ხალხის ხმაური და ყიჟინა ისე დააცხრო, როგორც წყალმა ცეცხლი. ჯერ წინა რიგებში გაჩუმდნენ, შემდეგ უკანა რიგებშიც და საერთო სიჩუმე ჩამოვარდა. დუდუკის ტკბილმა მელოდიამ ყველა ისე გაბრუა, თითქოს ანაზდად წარმტაც სიზმარში გაეხვივნენო, მაგრამ მაინც მიხვდნენ, თუ რა ხდებოდა.

მეზურნეები საჭიდაო ხალიჩაზე გამოსულიყვნენ, ზურნა დუდუკით შეეცვალათ და უკრავდნენ. ამ საერთო სიჩუმეში ერთი ადამიანის ხმა-ღა ისმოდა, და ეს ხმა გახლდათ თბილისელთა საყვარელი მომღერლის — ვარდოსი. მას მარჯვენა ხელი დედისკენ მიეპყრო და ძალზე მგრძნობიარე ხმით ამბობდა იმ სიმღერას, ურომლისოდაც საქართველოში არ გაზრდილა არც ერთი ბავშვი. დიახ, ვარდო მღეროდა „იავნანას“. მარჯვენა ხელით ხალხს ანიშნებდა — ასეთმა დედებმა გაგვზარდეს, ასე გვიმღეროდნენო, და საოცარი რამ ხდებოდა, ძალზე ტკბილი, მომჯადოებელი მელოდიის ხმაზე, ყველას ჟრუანტელი უვლიდა ტანში, ხოლო დედას რომ უყურებდნენ, მკერდზე მიხუტებული ვაჟკაცი შვილებით, იმდენად გულის ამაჩუყებელი სურათი იყო, რომ ყველას თვალთაგან ცრემლი სცვიოდა, ვარდო კი განაგრძობდა: „იავნანა, ვარდო ნანა, იავ ნანინაო!“

მომღერლის წინ გაწვდილი ხელი სხვა რამესაც ნიშნავდა და ამას უამრავ ხალხში ბევრი მიუხვდა. ასეთი ქებული ვაჟკაცების აღმზრდელი, ეს შავკაბიან-შავმოსახვევიანი და ჭაღარაშერთული დედაკაცი ახლა მოეჩვენათ მკვდრეთით აღმდგარ იმ ქართველ დედად, რომელიც ზრდიდა დიდგორის, საფურცლეთის, მარაბდის, ასპინძის, ხრესილის და კრწანისის ველის გმირებს! დიახ, ხალხისთვის იგი ამჟამად იყო ნამდვილად მკვდრეთით აღმდგარი ქართველი დედა და, ვით დიდი მოწოდება შვილების აღზრდისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში, მათ წინ იდგა, მათთან მოვიდა, ყველაზე უნაზესი და უწმინდესი გრძნობები რომ გამოეწვია.

დიდხანს ტკბებოდა ხალხი აკვნის მგრძნობიარე სიმღერით. აღარც დედის ალერსს უჩანდა დასასრული და აქ მყოფთა მეხსიერებაში ეს წუთები საუკუნოდ აღიბეჭდა...

*

* *

იმ ღამეს ერთი შესანიშნავი ამბავიც მოხდა და, შეუძლებელია, მას დუმილით გვერდი ავუაროთ. ის-იყო ლევანმა საჭიდაო ჩოხა გაიხადა, თავის ტანსაცმელში გამოეწყო და გასახდელი ოთახიდან გამოვიდა, რომ მაღალ-მაღალი, თავმოპარსული, პირხმელი და სახეწაგრძელებული კაცი წინ გადაუდგა.

— ჭაბუკო, შენ საშუალო სასწავლებელი დაამთავრე თუ არა? — ჰკითხა ბან.

— დიახ! — მიუგო გაოცებულმა. — ამ გაზაფხულზე, სულ ახლახანს...

— მერე? იცი თუ არა, რომ შენისთანა ფალავანს მსოფლიო ასპარეზიც კი ელის? — უცნობმა თვალი თვალში გაუყარა და მრავალმნიშვნელოვნად დააშტერდა. ლევანი დაიბნა.

— არ მესმის, რას ბრძანებთ? — იკითხა მან მოკრძალებით.

— იმას, რომ დიდ შარაზე დიდი ცოდნით უნდა გახვიდე. მარტო მკლავი ყველაფერში ვერ გიშველის. ადამიანს ადამიანად უწინარეს ყოვლისა, ცოდნა და განათლება ჰქმნის. მიმიხვდი თუ ვერა?

ვერ მიუხვდა. ლევანი პირდაღებული შეჰყურებდა.

— ჰო, ისეთს არაფერს გეუბნები, რომ მკითხავები დაგჭირდეს! — მოლბა უცებ უცნობი. — აგვისტოში ჩემთან მოხვალ, რომელი დარგიც გსურს, აირჩიე, კარგად მოემზადე და ვეცდები, გარეთ არ დაგტოვო! აი, ჩემი ვინაობა აქ სწერია და ამით გაიგებ ყველაფერს!

უცნობმა პაწაწინა ქაღალდი გაუწოდა, თვითონ კი სწრაფად გაბრუნდა და წავიდა. ლევანმა გაფაციცებით გადაავლო თვალი ქაღალდზე ნაწერს. უცნობი აღმოჩნდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. უზომოდ აღფრთოვანებული ლევანი ხან დედას ეხვეოდა, ხან ძმას და, თან, პაწაწინა ქაღალდს აჩვენებდა. ის ჩრდილი, წეღან ჭიდაობიდან რომ აჰყვა უფროსი ძმის დამარცხების გამო, თითქოს წაეშალა, დაივიწყა, რადგან „ბედის გაღიმება“ მანაც იგრძნო...

*

* *

მეორე დღეს, სისხამ დილით, ისაწში, სწორედ იმ ადგილას, სადაც მოედანი სახელდახელო ფიცრის ნაგებობას დაეკავებინა და ამით გზა შეეკიწროებინა, ერთი წამით მრავალი ავტომობილი შეჩერდა. მათ შორის ზოგი საბარგო იყო, ზოგიც სამგზავრო „მოსკვიჩი“ და „პობედა“. სულ უკანასკნელმა სახურავახდილმა „პობედამ“ ყველას ყურადღება მიიპყრო. შავკაბიან-შავნოსახვევიანი დედაკაცი შუაში ჩაესვათ ვაჟკაცებს, რომელთაც ეცვათ მშვენივრად მოგვირისტებულ-მოქარგული აბრეშუმის ხალათები და დინჯად ელოდნენ გზის გახსნას. რაღაც იერით თუ სხვა რამით ყველა მაშინვე მიხვდა, რომ ის, შავკაბიანი, დედა იყო, ხოლო აქეთ-იქიდან რომ უსხდნენ, შვილები. ალბათ მეტისმეტად წარმტაცი სანახაობა იყო, რომ, ვინც კი შეხედა, თვალი ველარ მოსწყვიტა მათ. გზის გახსნა დაგვიანდა და ხალხმაც ბლომად მოიყარა თავი. როგორც ჩანს, ამ ხალხში იყვნენ ისეთებიც, რომელნიც შეჯიბრებას დასწრებოდნენ. ეს არც იყო გასაკვირველი. თბილისელ მოქალაქეთა შორის ქართული ჭიდაობის ყველაზე დიდი მოყვარულნი და თაყვანისმცემელნი ისნელები არიან! რაკი ამ ხალხში მაყურებლებიც აღმოჩნდნენ, მალე ყველამ გაიგო, ვინ იყვნენ და ინტერესი ერთი-ათად გაუცხოველდათ. შეიქნა ჩურჩული, ხელების ქნევა და აღტაცების შეძახილები. ასე ანაზდად მათ თვალწინ გაჩნდნენ ძველი ჩემპიონიც, ახალიც და, მათთან ერთად, ორივეს აღმზრდელი დედაც. როდესაც გზა გახსნა და მანქანები დაიძრა, ხალხმა ძველავ ტაშისცემა და „ვაშას“ ძახილი ატეხა...

დედა თავისი „მარგალიტებით“ კახეთს, თავისი მშობლიური სოფლისაკენ მიჰქროდა, ხოლო დედაქალაქის მცხოვრებთა ტაშის ხმა და „ვაშას“ ძახილი ყურებში ისე გასწიოდა, როგორც ბედნიერების სიმღერა, როგორც უძვირფასესი ჯილდო, რასაც კი ქალი მოიპოვებს, უპირველეს ყოვლისა, დედობით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირჩილ სულაკაური

ახალი ლექსები

★

მოსკვა-რეკაზე ერთხელ საღამოს
ცა იყო ღრმა და დაუსაბამო.

მსუბუქი ფრთებით ქროდა ნიავი
და ელურტულებდნენ სადღაც ჩიტები,
ასეთ საღამოს ადამიანი
ზეცას გასცქერის გულდამშვიდებით.

ასეთ საღამოს.
ასეთ საღამოს
თვითონ ხარ ღრმა და დაუსაბამო.

მოსკვა-რეკაზე მთვარე მოჰქონდათ
ერთხელ საღამოს თეთრი აფრებით.
სწორედ ისეთი ვნახე გოგონა,
მე რომ ვიცნობდი რუსულ ზღაპრებით.

ზეცა თვალებზე გადავიხატე,
შიგ ციმციმებდა კრემლის ვარსკვლავი.
აქ გამითენდეს, აქ დამიღამდეს,
ვიყო უსაზღვრო რუსულ ცასავით.

* * *

მე ვღურცლავ ყვითელ,
ძველ რვეულს ხარბად
და გახუნებულ სტრიქონებს ვხედავ.
შიგ ჩემ ბავშვობას მოვნახავ ალბათ
ფიქრს თუ ოცნებას გარდასულ დღეთა.

მაგრამ ვინ არის ეს უცხო ბავშვი.
იქნებ ვიპოვე რვეული სხვისი?
ნუთუ ასეთი ვიყავი მაშინ,
ნუთუ მიყვარდა ღამე და ნისლი?

ლექსებში მხოლოდ:
ცა,
ვარსკვლავები,

მთები,
ნისლები,
ხრამი უძირო,
ვიღაც ასულის თეთრი მკლავები,
სევდა უსაზღვრო,
ღამე უძილო.

მე კი ვიცოდი ჯანსაღი ძილი,
ვიცი,
მიყვარდა უნისლო ზეცა,

მიყვარდა ჩვენი მდინარის პირი
და თბილი ტალღა პერანგად მეცვა.

მე არ ვიცოდი რა იყო სევდა,
ვაპყრობდი ზეცას უსიზმრო თვალებს,
ალგეთის ქარი ფეხდაფეხ მდევდა,
მიმოვირბენდით ატეხილ ჭალებს.

დავცქერი ჩემი ბავშვობის ლექსებს,
თვალები კითხვით გადამიღლია
და შიგ ამაოდ,
ამაოდ ვეძებ
მას, რაც მიყვარდა,
რაც მიფიქრია.

შიგ ვიღაც ბავშვი სხვა ხმაზე მღერის,
გაიშრიალეს ჩუმად ჩრდილებმა.
შიგ არის ძველი წიგნების მტვერი,
ძველი წიგნების შთაბეჭდილება.

შიგ ვერ ვპოულობ დღეებს წინანდელს,
დღეებს ღელვისა და დღეებს გზნების...
ამიტომ მინდა ვწერო სიმართლე,
გავიდეს წლები და სიბერისას
გადავიკითხო განვლილი გზები.

* * *

როდის არ ვიცი, ადრე თუ გვიან,
მაგრამ ოდესმე იქნება, ვიცი,

დაგრჩება გულის კარები ღია
და ჩაგაფიქრებს ტკივილი: რისთვის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისთვის ან ვისთვის ხარჯავდი ღიმილს,
წმინდა გრძნობები ვის დაანებე?
მოვა,
დარეკავს წვეთები წვიმის
და წაიშლება ღიმი თვალებზე.

ღირდა თუ არა იგი რაიმედ,
ვისაც ჯარივით გაუღე გული?
მოვა,
დარეკავს წვიმა, ვაიმე,
და გაგეხსნება ვარდივით ფულული.

როდის არ ვიცი, ადრე თუ გვიან,
მაგრამ ოდესმე იქნება ვიცი,
დაგრჩება გულის ეარები ღია,
როგორც ოდესღაც დატოვე სხვისი.

*
* *

მწვანე ზაფხული მიიწურა ვიწრო ქუჩებში,
ვიწრო ქუჩებში შეიპარა სიყვითლე მკრთალი.
ქარი.
შრიალი.
ჩვენ გავყუჩდებით
და ყვითელ ფოთლებს უკან მისდევს შრიალით ქარი.

რა უშავს მერე,
თუ ქარია და გზაც დიდია?
ჩვენ ამ დიდ გზაზე ერთად მივდივართ.

შენა ხარ იგი ვისთვისაც მე ვცოცხლობ და ვსუნთქავ,
შენა ხარ იგი...
ასე იცოდი:
მისმენდი უტყვად
და შენს თვალებში ჩანდა ჩემი მდუმარე ფიქრი.

ლამაზო ბავშვო,
მომე ნება და დრო მომეცი,
გამოვფხიზლდე და ვიგრძნო დიდი ბედნიერება,
შევიდე შენთა მშვენიერთა ფერთა მორევში
და გამიღიმონ შემოდგომის ცისა ფერებმაც.

*
* *

ახლაც ქუჩაში გაველ უდროოდ,
უხმოდ მწოლარე ჩრდილი შეირხა.
ეს შესახვევი ისე მყუდროა
და თან ისეთი მთვარის შუქია,
რომ უნებურად მომგონებიხარ.
არც საუბარი,
    არც მასლაათი
არ მინდა,
    ჩემთვის მივდივარ მძიმედ.
არის წუთები,
    არის საათი,
როს სუნთქავ მხოლოდ მოგონებებით
და მათში ხედავ მომავლის იმედს.
დავიწყებისთვის არ გაქვს მიზეზი
და ჩემი გზები ამაოდ დათმე.
მთვარის შუქია ახლა ისეთი,
რომ შენ გიგონებ და თან მგონია, —
ამ უდროო დროს შემხვდები სადმე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

იქნებ დაგვიანდა ან იქნებ ადრეა,
იქნებ დამკარგვიხარ და ამაოდ გეძებ?
ბევრჯერ მიფიქრია,
ბევრჯერ მინატრია,
ბევრჯერ დავძირულვარ მაგ
თვალების ფსკერზე.
გეძახი!
სადა ხარ?
არ ვიცი, წამოხვალ,
არ ვიცი, წამოხვალ თუ იქვე დარჩები.
გახსოვს?
ჩვენ დავშორდით, როგორც საღამო
ხანს
მთელი დღის თამაშით დაღლილი
ბავშვები.

*
* *

თოვამ იმატა უფრო და უფრო,
მივყვები ქუჩას კვლავ მდუმარებით.
ყველგან გაშლილი თეთრი სუფრაა,
ხეები დგანან, როგორც სტუმრები.

ვერ მოვუკიდე ცეცხლი პაპიროსს,
ხიდზე ქარია,
ხიდზე გავლა ისე ცუდია.
ამბობენ: ეურმე უნდა დაჰფინოს
თოვლი ქარებმა,
გამოდარება
ზამთარს ბოლოსთვის გადაუდვია.

თმებზე და მხრებზე თოვლი მეცემა
და თანაც ქარი მაყრის სახეში...
მგონი პაპიროსს ვიღაც ეწევა
ხიდის მახლობლად, შემოსახვევში.

ქარი ძველ ამბავს იმეორებს და
იმეორებს,
მოსაწყენია და მოსაბეზრი
და ცეცხლს აწოდებს ერთი მეორეს
ხიდის მახლობლად შემოსახვევში.

მოვიდეს,
ქარმა თოვლი დაჰფინოს,
მოვიდეს ისე, როგორც უღირდეს,
მე მოვუკიდე ცეცხლი პაპიროსს,
მოვა მეორე,
ბოდიშს მოიხდის და მოუკიდებს.

ცვივა და ცვივა ფანტელი ვერცხლის,
თოვამ იმატა,
მოთოვოს ისე, როგორც უღირდეს.
აი, მეორემ წაიღო ცეცხლი,
ალბათ მესამე მივა იმასთან,
მივა,
ბოდიშით ცეცხლს მოუკიდებს.

ცვივა და ცვივა ფანტელი ვერცხლის,
დაცვივდეს ისე, როგორც ნებავდეს,
მე სულ სხვას ვფიქრობ:
პატარა ცეცხლმა
იქნებ გასტანოს დაღამებამდე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან გოთუა

სიბრძნე-სიკვდილისა

★

სადღაც თრიალეთის თავზე დაიქუხა. ზენა ქარმა გაიბურთავა და გრგვინვა გაწამებული ქართლის თავს დაატეხა.

უფრო ჩამოცხა. სულ დაიხუთა ჰაერი.

ქუხილს ხმანამრავლი გრუხუნი მოება. ელვამ მანჭვა-გრეხით გადასერა ლიხის მხრიდან გადმოშლილი შავი ღრუბელი.

მეხიც გავარდა, გორის ციხის კიდეგანზე დაეცა... მაგრამ აღარაფერი დაუნგრევია...

შაჰ-თამაზს აღარაფერი დარჩენოდა შეუმუსრავი.

მას უკვე მეოთხეჯერ დაელაშქრა საქართველო. მართალია, ამჯერადაც ვერ მოედრიკა „გურჯობა“, ვერც მეფე ქართლისა ლუარსაბი ეგდო ხელთ... ვერც სხვა, თავისი გუმანი დაესვა გურჯების ხანად. ეს ამწარებდა და უაზეოდ ამოქმედებდა. ჯავრს ქვეყანაზე იყრიდა.

შიდა ქართლში კალოსავით ირგვლივი თარეში გაუშვა, მიმოლეწა შემოგარენი. გასტეხა გორის ციხე, აიღო წედისი, ვერე... ახლა ატენის ციცაბო-ციხეს შესდგომოდა, ალყა შემოერტყა.

ქვემოთ, ატენის სიონის ეზოში, დაედგა თავისი კარავი. აქედან გაჰყურებდა მაღლა მთაზე შემდგარ ციხეს.

ელოდა ციხის დაცემას, ჯიუტად ელოდა, გაავებით.

აქ უგებდა ლუარსაბს ახალ ფანდს. აქ ეგულებოდა „უტეხ გურჯის“ ყელმისაწვდომი... ატენის ციხეში მეფის დედე-მარიამ დედოფალი იყო შეხიზნული. თითქმის ხელში ჰყავდა „ძვირფასი ტყვე“, მაგრამ ციხე არ ნებდებოდა. ვერ იქნა, ვერ აიღო ჯიქურ იერიშით. გაზაფხული ხელში ჩააყამდა და ჩააბერდა, ახლა უკვე ზაფხულის მიწურული იყო. არ ჩააზამთრდეს?!

ლუარსაბიც „აწუხებდა“, ხან სად გაჰკრავდა კბილს, ხან სად. თავს არ უტყდებოდა შაჰ-თამაზს, თორემ ეს „შეწუხება“ მეტად ძვირად უჯდებოდა მას და „გამწარებას“ უფრო ჰგავდა.

ციცაბოზე პირქვე ჩამოწოლილი აუღებელი ციხის ჩრდილი მის თვალის ჩინს ხიწვად და ლიბრად ჩამოსდებოდა და ქარქაშის ბალთაზე უკვე შებმულ გამარჯვებას უბათილებდა.

...მაინც ჩვეული სიამაყით გაჰყურებდა მიდამოს და ჯიუტად, ავად ელოდა „საქმის კეთილ კბილზე მოგვირგვინებას“.

ცერად შემდგარი, წახნაგებალესილი სიმაგრე გარედან მდუმარე და უკაცრიელი ჩანდა... შიგ კი ერთი ორომტრიალი და გნიასი იდგა.

ქვედა ეზო და შიდა ციხე სავსე იყო შეხიზნულებით, საქონელ-ბარგით. მტრის ალყაში ჩამჯდარი ციხე შიგნიდან კლდეზე შეგდებულ აფორიაქებულ სკასა ჰგავდა. ჰოდა, ამ „სკასაც“ ჰყავდა თავისი „დედა-ჭირისუფალი“ — მარიამ-დიდი. მეტი რაღა „სასწაული“ მოიმოქმედოს ერთმა ღრმა მოხუცმა მანდილოსანმა?! თუნდაც დედამ და დედოფალმა, თუკი მის წინააღმდეგ მთელი ზენა და ქვენა ამხედრებულა?!

როდესაც მისი პირმშო — მეფე ლუარსაბი დამარცხდა და ქვედა ქართლისაკენ გაიჭრა — ახალი ჯარის საშოვნელად, მარიამ დედოფალმა თავად უთავა: მთელი გორის მხარე დახიზნა. მრავალი ლაშქარ-ჯალაბი აქ, ატენის ციხეში, შეაყენა. თავად უკანასკნელი შეატარეს ციხის კლდოვან ალაყაფში. თითქმის სასო და ღონემიხდილი ესვე-

ნა ტახტრევანზე, მაგრამ ვიდრე ყველა არ გაატარა, არ მოსცილდა ალაყაფს, მერმე კი ციხის თავს—ჯამარჯაისძეს—ალაყაფის დიდი გასაღები გამოართვა და გულზე დაიკიდა:

— არა იმიტომ, რომ არ ˙ გენდობი, არამედ იმიტომ, რომ მთელ ციხესა და ყველას სიცოცხლეს შენ გაბარებ! ამ გასაღებს კი, დაე, ჩემმა გულმა უდარაჯოს!

დედოფალმა მანდილი შეისწორა, პირჯვარი გადაისახა და საბა მღვდელს მიუბრუნდა.

— მოძღვარო! ფიცი მიიღე... ლუარსაბის მზეს ვფიცავ... დედოფლის მანდილსაც... არამც!.. — ჰაერი აღარ ეყო მოხუცს, ფარეში ხელებზე მიესვენა...

— გისმინოს უფალმა! — მიუგო კარის მოძღვარმა.

— ამინ! — ამოიოხრა ხალხმა.

...მედგრად იბრძოდნენ მეციხოვნენი. ფხიზლობდა ჯამარჯაისძე. ომის გამოცდილება და ჯანი ხელს უწყობდა. თეთრად ნატეხი ღამეები წითლად უფერავდნენ თვალთა ნუნებს, ხოლო მტრის შავი ზრახვები თეთრ ბეწვებს უმრავლებდნენ ძირს დაშვებულ ულვაშებში.

შეხიზნულებმაც მედგარი ხელი გამოიღეს. ძნელმისავალი ციცაბოც ხელს უმართავდა ციხეში შესულთ.

აზრიანად იყო ნაშენი ატენის ციხე. გალავან-ქონგურები, საფარ-სამალავები, საწყობ-ბეღლები გეგმითა და ბრძოლის ცოდნით იყო ნავარაუდევი.

დიდი მარანი და საგუბარიც იყო კლდეში ნაკვეთი.

მაგრამ მისი მთავარი მშვენება მაინც ქვიტკირის წყარო იყო ციხის ნიშში, ხატის ძირას, გამონადენი, შორი მთიდან ქედ-ქედ მალულად გამოყვანილი.

წყაროსაც ციხის მემარნე ბაკურაული განაგებდა, მაგრამ როცა მოაძალა მტერმა იერიშები, მამაკაცები ერთიანად მეციხოვნებად ჩადგნენ. წყაროს მერაბობა კი დედოფლის მესაწოლემ ითავა.

ჩუმი გამრჯე და ვეება შრომის შემძლე დედაკაცი იყო მდადე-მესაწოლე. თავსატეხიც ჭარბად გააჩნდა. ციხეში მრავლად იყვნენ უმწეოები — წვრილშვილნი და ხეიბარნი.

...მაგრამ სურსათი თავიდანვე იყო ნავარაუდევი ამგვარი დღისათვის, პურღვინო ბლომად ჰქონდათ, ცოცხალი საკლავიც საკმაოდ იყო მორეკილი. წყალი ხომ თევზის გუბისთვისაც ჰყოფნიდათ. ერთი სიტყვით, მთელ ქვეყანას მოწყვეტილი ციხე ცოცხლობდა, ცხოვრობდა, იბრძოდა, ლოცულობდა, ხანდახან ზეიმობდა კიდეც.

თავდაპირველად დიდი იყო მტრის მოძალება. მერმე ურთიერთს „მიეჩვივნენ“ მტერ-მოყვარენი, დამხვდურ-მოსულნი. თავიდანვე მიუხვდებოდნენ ხოლმე ურთიერთის საბრძოლო ფანდებს.

ციხისთავმა ერთხელ ჭადრაკის თამაშსაც კი შეადარა ფანდების ბრძოლა.

ქართველები ფარულ მაცნეებს ჰგზავნიდნენ მეფე ლუარსაბთან, მაგრამ უკან არ შემობრუნებულა არც ერთი.

სპარსნი ბრძოლებსშუა ჯაშუშ-მოციქულთ მოაყენებდნენ ხოლმე ციხის კარიბჭეს. მხცოვან დედოფლის ნახვას ლამობდნენ, დათათბირების იმედი ჰქონდათ.

ყელსაბამიდან არ ჩამოუხსნია დედოფალს გასაღები. იცოდა შაჰ-თამაზის ვერაგობა.

— ას წელიწადს გავძლებთ! ას წელიწადს! — ყოველ დილის თათბირზე იმეორებდა ჯამარჯაისძე, ძირს დაშვებულ „ღლავის ულვაშებზე“ ხელს ჩამოიფათურებდა.

„ას წელიწადს!“ გულის ხმაში გაიმეორებდა ღრმა სიბერეში გადასული მარიამ დედოფალი და ლამაზად მიმქრალ სახეზე სევდიანი ღიმილი გადაურბენდა. ვიწრო სარკმელს გახედავდა. დედოფალს ახალგაზრდული იერისა მხოლოდ თვალები შერჩენოდა. მხედველობას კი შორსმჭვრეტელობა დიდი ხანია შეჰპარვოდა... თავის ძალ-თვალით აღარ ძალუძს ლოცვანის კითხვა, სხვაფრივ კი ხედავს, კარგად ხედავს შიდა ციხის კედელზე მზის საათის მორგვალებულ

ჩუქურთმასაც. ამჩნევს ზედ გადასმულ ჩრდილის ხაზსაც. იქ კი, გალავნის მიღმა, ქვევით ხეობაში, მკაფიოდ ხედავს ატენის სიონსა და ვერცხლის ყაითანივით ასევადებულ ტანას ჩქერს.

უფრო შორს — აქლემის ფერის ქედები, ჩაჩრდილული ნოყიერი ხეობანი და ველები... თითქოს ლუარსაბის ქულაჯაზე — ღილ-კილოებად ამოქარგული შორეული სოფლები. რა ახლოს, ხელის გულზე, იყო ეს ყოველივე და, თან რა მიუწვდომელად შორს! მშობლიურ გარემოსთან ყოველივე სახილავი ძაფი გაწყვეტილი იყო, გარდა ერთადერთი ნუგეშისა და მესალბუნისა — ნიშის წყაროსი. იგი იყო ქართული მიწაგულის უშრეტი მახარობელი. ამჟამად იგი სიცოცხლის წყაროც იყო.

ლოცვის შემდგომ დიდხანს უჯდა ხოლმე დედოფალი და უსმენდა წყაროს ღუღუნს, თითქოს წყაროს ენა ეს-მოდა მოხუცს. ახალგაზრდობაში მეოცნებე ყოფილიყო მარიამ, მაგრამ წელმრავალმა და ხელმძიმე ცხოვრებამ საოცრად მკაფიო და შენივთულ ფიქრს მიაჩვია. ჰოდა, ამჟამად მისი ძირითადი ფიქრი „წყაროსა“ და „გასაღების“ სახით შენივთულიყო.

...უსიტყვოდ წყალს მოართმევდა მდადე-მესაწოლე და თავის საქმეს განაგრძობდა: ხან საგუბარისკენ მიუშვებდა ღარს, ხან საქონლის ავაზნებისაკენ, ხან კი საკუჭნაო-სამრეცხაოსაკენ. ყველგან ელოდნენ. ხალხი მრავლად იყო ციხეში და წყალის ყაირათობა იყო საჭირო.

მაინც ბავშვები არ აძლევდნენ მოსვენებას კეთილ დედაკაცს.

— წყარო დეიდა?! განა გასაწუწადაო... ცოტა კიდევ გვწყურიაო! — შემოესეოდნენ თაბუნ-თაბუნ, წამდაუწუმ კალთას უქიჩმაჩებდნენ შეტრუსული ხელებით...

აბა რა მათი საქმე იყო, რომ იქ, სადღაც ქვევით, „ყიზილბაში შაჰი“ იდგა და წყლის ნაცვლად „სისხლსა სვამდა“. უხმოდ მიაწოდებდა ბავშვებს სავსე ლიტრას, განა მუნჯი იყო, მაგრამ საქმის ვარაუდი და გულისხმიერება ადუმებდა...

...მაგრამ ერთხელ „წყარო-დედამაც“ ხმა ამოიდგა და მწარე ხმით შეჰკივლა. მდადეს ხმა ეზოში ქალებმა გაიგეს და შემზარავად აიტაცეს. კვილი გალავანს აეკიდა და ყველა ქონგურები და სამალავები მოირბინა, ბოლოს დედოფლის საწოლსაც მისწვდა.

შეძრწუნდა დედოფალი. დახუთული წელი ძლივს აიზიდა და ნიშისაკენ გაეშურა. კიბეზე ციხის თავი შეხვდა — ულვაშები ჩვეულებრივზე დაბლა დაშვებოდა. ნიშის წინ შეშფოთებული და ნირშეცვლილი ქალები მიჭრილიყვნენ. მრავლად, მეციხოვნენიც ჩამოსულიყვნენ გალავნიდან და თავჩაქინდრულები დუმდნენ.

ყველას ხმა გაეკმინდა, ერთი ბავშვი ტიროდა მხოლოდ.

— წყალო-დეიდა?! წყალი მინდა!

...იქნებ ის ტიროდა „ქვეყნის სატირალს“!

ქალებმა გზა უტიეს დედოფალს.

ნიშის კართან დედოფალი შედგა, უკან მოიხედა:

— რად ატირებ ბავშვს, დედაკაცო?!

ჩურჩულმა გადაირბინა ქალთა შორის.

უმალ მიწყდა ბავშვის ტირილი. დედოფალს სული შეეხუთა, თითქოს მასაც ვილაცამ პირი დაუხშო... კრიჭა შეუკრა... სასოწარკვეთილს... ტირილის უფლებასაც არ აძლევს... ეტირება კია, ჰოი, რარიგ ეტირება მოხუცს, გაწამებულს, მოუძლურებულ მანდილოსანს...

თავისაც და ქვეყნისაც ეტირება დედოფალს.

— მიხედეთ საქმეს! — მჭახედ მიუგო თავშეყრილთ.

...წადით, მალე წადით, თორემ ძალა აღარ არის.. ძალა! იცის, რა უბედურებაც დასტრიალებს თავს... არა, უკვე თავს დაატყდათ!.. ტყვილად კი არ უთრთის გულის არეზე გაკრული ეს ბძიმე გასაღები... ჰოი, რა მძიმეა, რარიგ დამძიმდა, თითქმის მთელი ციხე ჰკიდია კისერზე!

ალყადადებული, მოწყურებული ციხე!

...ნიშში რომ შევიდა, მაინც შეტოკდა, შეირხა დაქარულ წელში...

ხატის ქვეშ, წყაროს ქვიტკირში ამომშრალი ღარი უსულოდ იდო. ის-იყო და მეტი არაფერი შეცვლილიყო: ხატი ნიში, თაღები. ერთიც კიდევ: იქვე გატეხილი კოკა ეგდო. ამან უფრო შეაძრწუნა...

გატეხილი ციხის სახე ჰქონდა კოკის ნამსხვრევს...

. . . . . .

წყალზე სასტიკი ულუფა დაწესდა.

მსხვილფეხა საქონელი იმ ღამესვე დაჰკლეს, დანარჩენი — მეორე დღეს, წყურვილის გამო ზმუილი როგორც კი ასტეხეს.

მტერი არავითარ ნიშანს არ იძლეოდა, თითქოს არც კი გადუჭრიათ წყაროს თავი. ციხეში კი დუღჭირი დღითიდღე მატულობდა. დაკლული ხვადაგის ერთად დაზავებულმა ხორცმა გაფუჭება იწყო. დედოფალმა გადააყრევინა გალავნიდან. ლეშის სუნმა უამრავი ძერაყორანი მოიზიდა... აუგად თავს დასტრიალებდნენ ციხეს. მის ფერდოებს შეესივნენ.

მალე ატენის მენახირის ჭრელა ძაღლი გაცოფდა სხვა ძაღლებიც დაკბინა. ყმუილი შეიქნა საზარელი.

იძულებულნი გახდნენ, ყველა ძაღლი გალავნიდან გადაეყარათ. გამრავლდა ლეში... ლეშის მჭამელნიც. ახლა თითქოს ყორნის ფრთებზე იდგა ციხე.

ჯერი ადამიანებზე იყო მოჩიხული.

თავი მოუხსნეს-განთქმულ ატენურ ღვინით სავსე ქვევრებს. საყაირათოდ წყალ-ღვინოს ასმევდნენ ხალხს, განსაკუთრებით კი ბავშვებს — გასაყუჩებლად.

მაგრამ მარაგი მაინც ილეოდა... ხოლო საშველი არ იყო არსაით.

თანაც გვალვა ჩამოწვა... თითქოს მზემაც შემოუტია ატენის ციხეს.

გავარვარებულ, წყალამომშრალ ქვაბს დაემსგავსა ციხე-ბურჯი. გარედან ირან-მოციქულებმა უმატეს მოძალებას, მაგრამ მარიამის ყელდაბარდაძრულა გასაღები... ეს-ღა შერჩენოდა „შენივთულ ფიქრად". ციხის ქონგურებიდან გაეხმიანებოდნენ მოციქულთ, უკან დაითხოვდნენ.

სამჯერ შეამცირეს წყლის ულუფა. საწყაული სათითეს დაემსგავსა. სურსათ-სანოვაგე კიდევ იყო, მაგრამ ვერავინ ჭამდა.

წყურვილი ავი, დაუცხრომელი, დასიცხული წყურვილი წამოეშოტა ციხეს. საცავებში ნალექი წყალიც აშმორდა და გათბა. „სისველე" და სალბუნი დაკარგა... ჩვილშვილიან დედებს გაუშრათ ძუძუნი. ცრემლი დიდი ხანია შეაშრათ ქალებს. თითქოს ოფლიც დაიკარგა ციხეში. ოფლთან ერთად შრომაც და, ვგონებ, იმედიც.

ახლა სენიც გაჩნდა. თვალახელილი ბოდვა დასჩემდა მრავალს. დასიცხული და აღგზნებული ხალხი დაბორიალობდა ციხის ეზოში. არაქათმილეული მეციხოვნენი კი გალავნიდან გასცქეროდნენ ტანას ჩქერებს და სურვილით იდაგებოდნენ. ტანა კი ისევ ულმობელად და უსალბუნოდ დიოდა, როგორც დამარცხებული ერის დრო.

დედოფალი აღარ გამოდიოდა საწოლიდან.

ჯამარჯაისძე ისევ გალავანზე დაბორგავდა დღე-ღამ, ახლა სულ დაკარგა ძილი. მხოლოდ საბა-მოძღვარი დადიოდა ხალხში და ყველას ნუგეშსა სცემდა. თუმც აღარავინ უსმენდა მას: ჭაღარა წარბები უფრო და უფრო ეკუშტებოდა მოძღვარს. მარხვას ნაჩვევი იყო იგი, ხოლო უწყლობა უჭირდა მეტად, ხახა უშრებოდა პარაკლისის დროს. სიკვდილიანობა კი გახშირდა ციხეში. ქვედა ეზოში სასაფლაოც კი გააჭრევინა, წესს ეკვე უხმოდ უგებდა, ისევე როგორც უხმოდ ტიროდა ჭირისუფალი.

მთვარის დაცხრომისას სამი უფლისციხელი მებრძოლი, რომლებიც კლდეზე ცოცვას იყვნენ ჩვეულნი, საბელით გადაუშვეს ციხის ფრიალოზე.

ლუარსაბ მეფეს სწერდა დედა:

„შვილო, ციხის სიმტკიცე შემომითვლია. სარწმუნო კაცებს გაახლებ, თავად გეტყვიან დანაბარებს“.

გათენებისას ირან-ელჩები მოადგნენ ალაყაფს. ძახილი შეიქნა ქართულ-სპარსული.

შაჰ-თამაზ ძღვენს უგზავნიდა „ციხის დედოფალს“.

არც ახლა გაუღეს კარიბჭე. საბელით ამოზიდეს თავმოკრული ხურჯინი.

შიგ სამივე უფლისციხელის მოკვეთილი თავები იდო.

შაჰის ბრძანებით, მონაწერი ფირმანი ახლდა ხურჯინს“.

„ბრძანებისათა შაჰინშაჰისა: გურჯი დედოფალს უკან ვაახლებთ მის გაქცეულ ყმებს... მდინარის პირას შაჰის წყალს დასწაფებოდნენ ხარბები. კიდევ ბრძანა მზის სწორმა — ციხის დედოფალო, თქვენი ხათრი. ჯამობა და პატივით მიღება, უკეთუ მობრძანდებით თქვენის ამალით მის ფერხთა წინაშე და მოინანიებთ აუგობაში ყოფნას“.

პასუხს ამაოდ ელოდნენ ელჩები.

მეორე ღამეს ახალი ხერხი იღონა ჯამარჯაისძემ — ოთხმხრივ გადაუშვა მაცნენი.

გათენებისას თავად დედოფალი იდგა ალაყაფის ქონგურზე. ირან-ელჩები არა ჩანდნენ.

„იქნებ?!“ — იმედიანი სიტყვა შეეპარა ჯამარჯაისძეს.

„იქნებ ყველა? ჰოი, უფალო!“ — დაკარგული ხმით ჩურჩულებდა საბა.

„შაჰ-თამაზი ვერაგია! იქნებ მოგვერიოს, მაგრამ მოტყუებით კი ვერ მოგვატყუებს!“

ახალ ფანდს ველოდეთ!

ფრთხილობდა დედოფალი.

შუადღისას ქონგურის მზვერავმა კედლის ხვრელში ჩამოიძახა:

„ოციოდ კაცი მოდის ბილიკზე! ტვირთიც მოაქვთ!“

„ტვირთიც!?“ — გულზე შემოაწვა დედოფალს.

ჯამარჯაისძე კი თავისას ვარაუდობდა:

„ოციოდ?! საიერიშოდ ცოტაა, საელჩოდ — ბევრი?!“

ჯერ კიდევ შორს იყვნენ მომავალნი, ბორკილების ხმა კი მკაფიოდ მოისმოდა.

ელჩის სიტყვა მოახსენეს დედოფალს:

„ექვსი თავი მოგვაქვს, ექვსნი კი თავად მოდიან — დოქებით... თუ მიგვიღებს დედოფალი, შაჰინშაჰის მადლი მოგვიტანია, თუ არადა ამ ექვს დარჩენილ თავსაც აქვე დავაყრევინებთ ქართველებს“.

„ექვსი და ექვსი თორმეტია!“ — გაჰკიოდა სადღაც ქვევით, კედლის მიღმა, ელჩის მხლებელი.

დედოფალმა შემჭკნარ გულ-მკერდზე შეისვა ხელი — კარიბჭის ცივი და მძიმე გასაღები აებორკა... თითქოს ხელი გაკაწრაო, უმალ გააცალა და შეხედა ციხისთავს.

იგი კი თავისას ჩათხრობილად ანგარიშობდა:

„ოთხმხრივ სამ-სამი, ესეც თორმეტი! ეს ხელიც მოიგო წყეულმა!“

დედოფალი გალავანზე გაბრძანდა, თავად გახედა საფარიდან.

ჰე... აგერ სულ ახლოს დგანან განწირულნი.

ციხეს უმზერენ.. არა, კარიბჭეს.. არა, დედოფალს.. არა, დედოფლის გულ-მკერდზე ჯვარცმასავით გაკრულ გასაღებს.

აბა საიდან, საფარს უკან დგას დედოფალი... დინჯად დგას. ყველაფერს აკვირდება... საზრიანობს... ეს არის, დასიცხული აზრი ერთიმეორეს თავს უსწრებს და ბორკილის ჩხრიალივით ირევა.

ციხეში კი ყველანი თავჩაქინდრული დგანან. მათ კარგად არც ესმით, რა ხდება კარგალმა... ახლო, სულ ახლო კართან წუხელ წასულთა ცოლ-შვილნი თუ მახლობელნი დგანან... ეჰ, დედოფალი ყველას იცნობს. მეტად დიდხანს არიან აქ ერთად შეჩიხულნი... აი, ეგერ რომ ახალგაზრდა თვალ-ტანადი ქალია — ნუნუი ხელაური — მისი ქმარია

ის უბედური, იქ გარეთ — სახედალეწილი და მკერდსისხლიანი... ახლა სიკვდილს რომ ელის... ის კი—ჭარმაგი მოხუცი — მალმალ პირჯვარს რომ იწერს და უნებურად ბორკილს ახრიალებს. ჰე, მისი გოგი — ბიჭია, „მამიას“ დაპირების თანახმად, წყლის მოლოდინში—დოქები რომ მოუტანიათ... საიდან... გააჩინოს? როგორ უნდა ასვას, მათ წყალი დედოფალმა?! თავადაც ხომ სწყურია?! არა, არ არის მართალი, თავად არ სწყურია, არა სვამს წყალს... ველარ სვამს... წყლის შიში, სიძულვილი ჩაუვარდა... ჯავრით ველარც თვითონ დალია წვეთი, მაგრამ ამ გოგო-ბიჭს რაღა პასუხს აძლევს? წყალს თუ ვერ ასვამს, მამა მაინც შეუნარჩუნოს... ახლა მაინც... ეს კი მის ხელშია... მის კისერზეა!.. ჰოი, რა ვერაგულად უანგარიშია მტარვალს!

არა, არ ტყუვდება დედოფალი, მაგრამ ცივი განსჯა ერთია და დედის გული სხვაა კიდევ. რა თავში იხლის ცივ გარჯას, თავად როგორ „გაათორმეტოს ექვსი“!

მაინც არ ყოფილა საშველი... სხვა რამ უნდა იღონოს მერმე. მერმე... ახლა კი... გასაღებია საჭირო... მხოლოდ გასაღები! ტყვეების ხსნა, თუ მაინცადამაინც ელჩების მიღება?!

მაგრამ დედის გული ერთია, ხოლო დედოფლისგან ციხის გასაღების დაძვრა სხვა ყოფილა კიდევ. ორი გული როგორ ითავსოს?! მას ერთი გასაღებიც ეყოფა... აი ეს გასაღები, ხელით რომ სწვდება...

გარეთ კი ისევ გაკიოდა ელჩის მხლებელი:

„თქვენი ტყვეები ცოცხლები მოგვიყვანია, მათ წყალი მოაქვთ! წყალი!“ ახლა ტყვეებსაც დააძახებინეს: ხავილით, გმინვით, ლოცვით... უსასო წყევლა-კრულვითაც ალბათ?!

„წყალიო?!“—ეს სიტყვა კი მისწვდა ხალხს. ერთიანად შერია. ყალყზე შედგა წყალმოლოდინის ზვირთი, სმენად იქცა!

„იჩქარეთ! გასდის დოქს, ჟონავს წყალი!“ — კვინახემდე გამყინავი ხმით გაიძახოდა მხლებელი.

„გასდისო“?! — იღმუვლა ხალხმა და ალაყაფს მიაწყდა.

ვერა, ველარ უმზერს დედოფალი. თვალისჩინი მოუსხლტა. მხოლოდ გრძნობს: — თუ ერთხელ გაიღო ალაყაფი, მერმე მძიმე დასაკეტია! მაგრამ ძალა აღარ არის... აი, იგი დგას ხალხის წინაშე, რაღაც უნდა იმოქმედოს, უბრძანოს, ნება დართოს, ნუგეში სცეს ან სალბუნი მისცეს... განა ბევრი რამ? წყალი! წყალი და არა სიცოცხლე! წყალი და არა გამარჯვება! წყალი და არა სხვა რამ წყალობა!

აქ უკვე იკარგებოდა ადამიანური მოსაზრება და ყოველ ჭირმედგრობის საბუთი ისევე უსულო და უსასო ჩანდა, ვით ნიშის წყაროს დამშრალი ღარი.

...და როდესაც ციხის გასაღების მპყრობელს ისევ ჩაუდგა თვალში სინათლე, მან ციხისთავს შეხედა დაკვირვებით... მისნობამდე მისული გამჭრიახი თვალით... ჯამარჯაისძეს ულვაშები ჩაეკვნიტა, კისრისძარღვი უთამაშებდა, ხოლო ამოწითლებულ თვალის უპეში სიმწრის ცრემლი გაჰხიროდა.

დედოფალმა შენივთულად ამოიკითხა, რასაც ჰფარავდა ჩაკვნეტილი ულვაში.

ძნელმისავალი და ჯერ აუღები ატენის ციხე იძვროდა, ბარბაცებდა მათ ფეხთქვეშ.

„მოძღვარო!“ — თითქოს სამარიდან ამოტანილი ხმით ბრძანა დედოფალმა.

„აქ გახლავართ!“ — ხალხიდან ხმა მისცა საბამ და მძიმედ მიაშურა კიბეს.

„ფიცი ამხსენი! გასაღების ფიცი!“

კიბეზე შედგა საბა. იგი ოცი წელი იყო დედოფლის კარის მოძღვრად, მაგრამ ფიცი არაოდეს აუხსნია მისთვის.

„დედოფალო?!“ — ჭაღარა წარბები შუბლზე გაექცა საბას.

„ფიცი ახსენ! ფიცი!“—ერთხმად შეჰღმუვლა გაწამებულმა ხალხმა,—„ჟონავს“!

ახლა კი გაწყრა დედოფალი:

„კრინტი!“

მიწყდა ხმაური.

„ციხისთავო, წესრიგს მოვითხოვ, არც ერთი ადამიანი არ ვნახო ეზოში.

მებრძოლები შეამზადე ყველგან. ელჩებს დარბაზში მივიღებ... ჩემს გარდა, ყველანი მუნჯები ხართ! თუ არა და...“

ველარ დაამთავრა გამწყრალი მუქარა... ჩაეგუბა ხმა, მისნურ მუდარაზე გადავიდა:

„ჩემზე უფრო არვის გწყურიათ, მონური წყალი კი არამც გვისვამს!“ — მერმე მიუბრუნდა თავის მოძღვარს და მუხლებში ჩაიკეცა... სწორედ დროულად, რომ უძლურად არ დავარდნილიყო ხალხის წინაშე.

„უკეთუ კეთილ გონივრული განზრახვაა, იგი ფიცის საბაბიცაა და სიმტკიცეც... ამინ! ამინ! გისმინოს უფალმა!“

ღელვისაგან და წყურვილისაგან ენა ებორკებოდა საბას.

დედოფალმა ათრთოლებული ხელით შეიხსნა გასაღები და ციხისთავს გადასცა...

„თვალები აუხვიეთ ელჩებს!“

მეტი დედოფალს აღარაფერი ახსოვს. თავის საწოლში სარეცელზე რომ დაასვენეს, მხოლოდ მაშინ ჩაუდგა ბუნდი გუმანი.

შინა აქიმმა უკანასკნელი წვეთი ასხურა დავრდომილს.

დუბელა წყალ-ღვინო იგრძნო დედოფალმა. ავი სუნი ასდიოდა მდორე სითხეს და მაინც, გულის წინააღმდეგ, რაღაც სალბუნი ახლდა წყალწვეთის მსახვრალი სალბუნი.

„ციხისთავი!?“ — იკითხა მან და ხელი მოისვა გულ-მკერდზე. იქ გასაღები ველარ მოხელა. უმალ მოაგონდა ყველაფერი. ათასი გასაღების სიმძიმე შეეშიდა:

„ელჩები?!“

„ყარიბეე გამოვლეს.. დარბაზისაკენ მიჰყავთ!“ — უპასუხებდა სარკმელთან მდგარი მესაწოლე.

დედოფალმა წამოწევა დააპირა, მაგრამ სისუსტემ სძლია. ვერა, ვერ წავა დარბაზში, წესისამებრ ვერ გამოეჩვენება ელჩებს, სისუსტეს შეეჩვევა.

„შეაჩერონ! დარბაზის კართან ალოდინონ! ჯერ მე... ჯერ მე!!

...როდესაც ციხისთავი დარბაზში შეუძღვა ელჩებს და თვალსახვევები ახსნა, დედოფალი მარიამ რჩეული ამალით შემოგარსული, „მორჭმით მჯდარი“ დახვდა მათ სადედოფლოზე.

ელჩების უკან ბორკილდადებული ქართველები შეჰყვნენ. მათ ხურჯინები და დოქები ჰქონდათ ტვირთად. დოქების სისველე თვალში მოხვდა დედოფალს. არ შეიმჩნია. არც სისუსტეს იმჩნევდა თავს ძალას ატანდა, ძლივს უსმენდა ელჩის გაზეპირებულ თხრობას: „რარიგ, მზის სწორად, ამაღლებულა შაჰ-თამაზ... რარიგ დაუპყრია „მრავალნი მხარენი“... საქართველოს მიმართ რარიგ „კეთილ-გაწყობილი“ ყოფილა, მაგრამ არ უსმენია მისთვის მეფე ლუარსაბს“

სმენია შაჰს, რომ უძლურად არის წელთა სიმრავლის გამო „დედოფალი მარიამ-ხანუმ“.

ამაო ბრძოლას გადარჩენილ ტყვეებს ცოცხლივ უბრუნებს, ციხის შეპირებაც სმენია უწყლობის გამო და პირადად დედოფლისათვის წყაროს წყალი მოურთმევია.

სხვა მოსაკითხავი კი იქ შაჰის კარავში ელოდება „საპატიო სტუმარს“.

...და კიდევ... „შუამავლობასა“ სთხოვს ლუარსაბის წინაშე...

იცის დედოფალმა: ყოველი სიტყვა ცბიერი ზრახვაა... არ ტყუვდება მაგრამ ...რა ბედენაა?! რა იცვლება ამით?! როგორც შეჰფერის, დაახანა, ამალას მოავლო თვალი, „რა შთაბეჭდილება მოახდინა ელჩის ცბიერმა სიტყვამ“? მაგრამ ვერც ერთის თვალაზრი ვერ დაიჭირა.

არც მას. არც ელჩებს არავინ უმზერდა... ყველას თვალი და ყური ტყვეთა ჯგუფზე იყო მიჯაჭვული. დედოფალი კი, პირიქით, ვერც კი უმზერდა მათ...

მათი საცოდაობით იწოდა, გულის სიღრმეში ჯავრიც კი მოსდიოდა ამ

„ფიცის ტეხის უნებურ საბაბთა „ხილვაზე.

„შეხსენით ბორკილები! გაიყვანეთ!“

და როცა ნატყვევრები გაიყვანეს, დედოფალი მიხვდა, რომ მათ სრულიადაც არ უმზერდნენ მოდარბაზენი, არამედ მათ ხურჯინებს, უფრო სწორედ, დანამულ დოქებს, უბრალო თიხის დოქებს, რომელთა შავრუხ ხაოზე „წყლის ოფლის“ ღინღლი თვალისმომჭრელად კიაფობდა.

ერთი დოქი მართლადაც გაბზარული იყო. ჟონავდა წყალი, იატაკზეც დაეჩნია კვალი.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

დუმდნენ ელჩებიცა და დამხვდურებიც. დუმდა დედოფალი.

ფიქრობდა: საჭირო იყო ღირსეული და თავშეკავებული პასუხი. არც ჰო ყოფილიყო, არც არა...

„მესტუმრენო! პატივი ელჩებს“, — დაზომილი სიტყვით ბრძანა მან, მცირე სუფრა აქვე გაუშალეთ.. პური გასტეხონ! ხმელი ხილი იხილონ!“

ჯამარჯაისძემ უფრო ჩადრიკა თავი. საბა-მოძღვარმა ჭაღარა წვერში ჩამალული თითებით ჩუმი პირჯვარი გადაისახა.

დედოფლის თავაზი მოლაპარაკების დაწყებას ნიშნავდა.

დარბაზში მცირე მოძრაობა შეიქნა. მესტუმრენი გავიდნენ.

...და ყველას, ვგონებ, ყველას ფიქრი ისევ დოქებს დაუბრუნდა: „ჟონავს, მართლაც ჟონავს ერთი მათგანი!“

ელჩები გრძნობდნენ თავისი მდგომარეობის უპირატესობას და თავისუფლად ეჭირათ თავი. ელჩობის დაჩქარებას ეშურებოდნენ. უფრო წინ წარდგნენ. ისევ ისურვეს სიტყვის გაბმა, მაგრამ დედოფალმა დაასწრო.

„მესტუმრენო! მოემსახურეთ სტუმრებს. ხელები დააბანინეთ!“

ეს მოლაპარაკების გაჭიანურებას ნიშნავდა. არა დედოფალი ესაუბრებოდა მათ, არამედ დიასახლისი.

ისევ მოთმინება მოიკრიბეს ელჩებმა, სამაგიეროდ, მედარბაზენი შეშფოთდნენ. დაბნეული მესტუმრენი კი ცარიელ თუნგ-ტაშტებს ატრიალებდნენ ხელებში.

არ იცოდნენ, რა ემოქმედათ. არც ერთი წვეთი წყალი არ ჰქონდათ „მასპინძლებს“.

„შაჰის წყალობით, დააბანინეთ ხელები ელჩებს... ხოლო სასმელად, ქართულ წესისამებრ, ატენური ღვინო მიართვით სტუმრებს!“ — დინჯად ბრძანა დედოფალმა.

ბზრიალასავით დატრიალდნენ მესტუმრენი. ლაღად ამოისუნთქა ციხისთავმა. წვერი ჩამოისწორა საბამ.

სიტყვის კბილი და ირიბი იგრძნეს ელჩებმა, განძრახ გააჭიანურეს ხელის ბანა. წყალი რაკრაკით დიოდა დოქიდან. სული ეხუთებოდა მოდარბაზეთ.

ხახაში ჭიანჭველებად ღოღავდა ხრინწიანი სურვილი.

„ღვინისათვის კი მადლობა. მაჰმადის წესიც მოგეხსენებათ, თორემ მთელი საქართველოს ვენახები შაჰინ-შაჰის ხელთაა... ატენი რაღა ბედენაა!“

ფანდურ ნათქვამს ფანდურადვე უპასუხა სპარსმა.

„მართლაც რა ბედენაა ატენი!“ — ესუსხა ეს სიტყვა დედოფალს... ციხის საშველი რომ არ არის, ეს აშკარაა. ჰოდა, მემრე რა უნდა უთხრას ელჩებს? რა პასუხი გასცეს შაჰს... ან ჰო, ან არა!

არც ერთი არ იხსნის მათ! არც ერთი! რაღაც მესამეა საჭირო, მესამე! სასწაული!?

თითქოს ბედისწერას ებრძოდა ულ-ლური ადამიანი. თავისდაუნებურად სარკმლისაკენ გაიხედა დედოფალმა, მზის საათია იქ... ის თუ იზიდავს დედოფალს. ნუთუ უკვე დადგა „ჟამი გადამწყვეტი?!“ აკვირდება, მაგრამ რატომ ჩრდილს ვერა ხედავს საათზე? ნუთუ ჩრდილი დაეკარგა მზეს? ან თვალისჩინი ხომ არ წაერთვა ისევ? არა, დოქის ნაჟონს აკი შესანიშნავად ხედავს, ისე ხედავს რომ ლამის ავი ელჩობაც კი დააავიწყოს. წელში და სახსარში ისევ ზოზინა ტკივილი იგრძნო, „ისევ სიბერის . ქარებია!“ სადღაც

ძირითადი აზრის მიღმა გაირბინა ფიქრმა. ხოლო როცა წვივის ძვალმა და ტერფმაც წამოუწყო ყრუ ტკივილი, მაშინ კი მეხსიერებამ შეაგონა. „აკი დილითაც მტკიოდა?! ამინდის გამოცვლისა არის! ავდარი იქნება. „ავდარიო?!“ უეცრივ შეფრთქიალდა ფიქრი და ისევ მზის საათს მისწვდა ხარბი თვალით... სულ ნათლივ ახლა-ღა ინიშნა, რა ფიქრიც ქვეცნეულად დილიდანვე შესჭიდებოდა მას.

„არა ჩანს, არა! საათის ღერძს ჩრდილი დაჰკარგვია უთუოდ!“

„ეს რაღას ნიშნავ!?“ — ჩურჩულით შეეკითხა თავს, ჯერ სრული სახელიც ვერ შეერქვა ფიქრისათვის, ძირითადი რამ აკლდა შესანივთებად... „ნუთუ მესამე რამ შესაძლოა... მესამე?! სასწაული?!“

ჯამარჯაისძემ ჩაახველა, თავანის საგუშაგოდან ზარ-ნიშანის ხმა ჩამოესმა. უნდოდა მიახლებოდა დედოფალს, მაგრამ წესი არ იყო. თანაც შეამჩნია: დედოფალი სმენად იყო ქცეული. არა ფიქრად — არამედ სმენად.

მესტუმრეებმა ხმელი ხილიც ჩამოატარეს. მოდარბაზეთ ხელი არ უხლიათ. ელჩებმაც უგულოდ წაიხემსეს, „გასტეხეს პური“, რამდენადაც ამის ზრდილობა და პატივი მოითხოვდა.

„იქნებ გეამოთ კიდევ?! — ციხისთავმაც გამოიჩინა თავაზი. დრო არის საჭირო. და ახლად ჩასახული იმედის დასტურად ზედას მერცხალი შემოჭრიახდა სარკმელში, მართალია, უმალ უკუიქცა, მაგრამ ესეც საკმაო იყო განწირულთა შორის იმედი შთაესახა.

უკვე ყველანი სმენად იყვნენ ქცეულნი... გარდა ელჩებისა. მათ არც შეუმჩნევიათ, თუ რარიგ დაბლა ნავარდობდნენ მერცხლები!

„მადლობა უხვი პურადობისათვის!

ელჩებს ისევ დააბანინეს ხელები. ისევ იღვრებოდა წყალი. ისევ წინ წაჰოდგნენ ელჩები:

„ალბათ მზე გადაიხარა უკვე! ცათა სწორი შაჰინ-შაჰ პასუხს ელის! ქვეყნის დაშოშმინება თქვენს ხელთაა!“

თითქოს მძიმე ღრუბელი ჩამოწვა დარბაზში. გადამწყვეტი ჟამი ხარ!

ამ დროს ელჩებმაც და ასპინძლებმაც გარკვევით გაიგეს შორეული გრგვინვა.

„ცათა სწორს ცამ გასცეს პასუხი! ჩვენი კი მერმე იქნება, ნათათბირევს!“ დაასკვნა დედოფალმა.

ადამიანი ისევ შეებრძოლა ბედისწერას. ისევ იელვა ციხის შორიახლოს ზეცის დაფაზე, ვეება კამათელივით გაგორდა ქუხილი.

ციხისთავი ისევ წამოუძღვა ელჩებს.

თვალახვეულებს ესმოდათ ზარის ხმა, ტაშტ-თულუხების სამზადისი და ნამრავლი ქუხილ-სასწაული.

. . . . . .

როცა დედოფალი გამობრძანდა, ხალხი გალავანზე იყო გაკრული. სულწასულები, წვიმის მოლოდინში, ღრუბელს ადევნებდნენ თვალსა და გულისთქმას...

ბანებზე ტაშტები და ჯამ-ჭურჭელი მოემზადებინათ. ციხის წყალსაცავსაც ამომშრალი ხახა დაეღო, თითქოს ზეცას ღრუბლიანად უპირებდა ჩაყლაპვას.

და აჰა, მძიმე წვეთები დავარდნენ აქა-იქ. მეჩხერი ხოშკაკლები თეთრ კალიებად აცეკვდნენ ქვაფორეებზე.

ბავშვებმა შექმნეს ჟივილ-ხივილი და აედევნენ.

„ხოშკაკალდეიდო! გვწყურია, განა გვეწუწებაო?!“

დიდი შავღრუბელი გრუხუნით და შხუილით მოჰყვებოდა დასავლეთის მხარეს, დაბლა ჩამოფარცხული სეტყვის კუდი მოეთრეოდა მიწაზე. ვიწროდ და ირიბად მოდიოდა სეტყვის ზოლი, თითქოს სვრელი გაჰქონდა ყანაში.

ღრუბელი ჯერ არც იყო ატენს მიღწეული, რომ მოვარდა ტანა. მისი ზათქი და გუგუნი ციხეს სწვდებოდა.

...მაგრამ დედოფალი არ უმზერდა ტანას, არც გაღმა მხარეზე მოზღვავებულ მსხვილმარცვალა სეტყვას.

იგი მთას უმზერდა, ციხის უკან.

იქ მაღალი და მრავალფერი ცისარ-

ტყელა შესდგომოდა ზეცას. თითქოს ზემო ᲫᲮრიდანაც ალყა დაედო ციხისთვისა.

ყველაფერი სულ მალე ჩათავდა. სასწაული არ მოხდა. დიდმა სეტყვამ ჩაუარა ციხეს. ახლოს ჩაუარა, სულ ახლოს, მაგრამ განზე.

თან წაიღო იმედი და სიცოცხლის ძალა.

დატოვა ლამაზი ცისარტყელა ციხის თავზე და თავწასული სასოწარკვეთა განწირულ ციხეში.

. . . . . .

საღამოს პირას, ტანას გაღმა, ხეობის თავში ბრძოლა გაჩაღდა. ლუარსაბ მეფის რაზმები ცდილობდნენ ციხის გამოხსნას, მაგრამ, ციხეში ისე სასომიხდილი იყო ხალხი, რომ ამას უკვე დიდი შთაბეჭდილება აღარ მოუხდენია. მხოლოდ ციხისთავი ზვერავდა მტრის მოძრაობას და გრძნობდა: — ლუარსაბ მეფეს რომ ჰყოლოდა ფარდი ლაშქარი, ტანას გაღმა ხეობიდან არ შემოუტევდა მოალყეს...

ეს ბრძოლაც მალე მინელდა... და ირგვლივ, მძიმე, თუმცა ვარსკვლავებმოჭედილი, წყნარი ღამე დამკვიდრდა.

. . . . . .

დანარჩენი დიდი სისწრაფით განვითარდა.

საბა-მოძღვარი ვეღარ უთავდებოდა პარაკლისს... ქვედა ეზო კი ვეღარ იტევდა საფლავებს.

განსაკუთრებით მოხუცები და ბავშვები გაწყვიტა სენმა და წყურვილმა.

გამუდმებული, ხმადახშული გოდება იდგა ციხეში.

მოიშალა ძილი და შრომა, სიფრთხილე და ურთიერთრიდი.

კვირაძალს ვიღაც ხეიბარმა თავი ჩამოიხრჩო ალაყაფთან. ღამით კი ძუძუდამშრალი დედაკაცი გადახტა გალავნიდან, ძუძუმწოვარიც თან გადაიტანა.

ხეიბრები და დავრდომილები დარბაზს მიესივნენ, სადაც — ჭორების მიხედვით წყლის მარაგი იყო.

დედოფალმა ელჩების მოტანილ „მტრის ნაჩუქარ“ — სამ დოქს ყადაღა ახსნა. ბავშვთა შორის გაანაწილებინა. აბა რას გასწვდებოდა, და ხალხი სულ გადავიდა ცნებას.

დარბაზში კი ვიწრო თაობრი ᲛᲬᲘᲜᲓᲐ: დედოფალი, ციხისთავი, მოძღვარი.

„გახსენით ყველა მარანი, წყალსაცავი — ხალხი მიუშვით, დარწმუნდნენ!“

დარბაზში მძიმე სიჩუმე იდგა დარბაზგარეთ კი გონებადაკარგული ხალხი ციხის მარნებში და საცავებში დაძრწოდა, წყალს ამაოდ ეძებდა.

არც ერთი წვეთი არ იყო ატენის მიუვალ ციხეში!

„გათავდა ყველაფერი! გატყდა ციხე! არც შიგნიდან, არც გარედან — ზევიდან!“ დედოფალმა ხელი ასწია, მაგრამ ჩამოეშალა პირᲯვარი.

ყველას გააკრთოლა.

„ᲯᲐᲛᲐᲠᲯᲐᲘᲡᲫᲔᲕ, გული რას გეტყვის? ყველაფრის ნება მომიცია. ჩვენი გზები გაიყარა, გესმის?“

„არ მესმის, დედოფალო! პატიებას ვითხოᲯ!“ — დავარდნილი ხმით შეესიტყვა ციხისთავი.

„რა მოგსვლია. მიმხვდური იყავ?! ნუთუ მარტო წყალი გწყურია? წაიყვანე, ვისაც წასვლა შეუძლია... დარჩენილთ კი...“ — ვეღარ გაათავა, სანერწყვე გადაესკვნა.

ციხისთავსაც გული აევლვრა, დადრკა... აზრმა შეაბორძიკა. მუხლებში ტყვია ჩაესხა...

„მაპატიეთ, უფლებას ვითხოვ, დავᲯდე, დავიმუხლო. დაუღალავი ვიყავ, მეგონა?!“—სავარძელს წაეპოტინა ციხისთავი.

„არა! აქ არა, მხოლოდ ტანას გაღმა! იქ.. იქ.. არიან სადღაც...“

უეცრივ წამოდგა დედოფალი აიმართა, თავს წაადგა შემდრკალ ციხისთავს.

ᲰᲝᲘ, რარიგ მაღალი ყოფილა?! მაღალი და გამხდარი! საოცრად დიდი და მეტყველი თვალები ᲰᲥᲝᲜᲘᲐ... ᲮᲝᲚᲝ ერთი მუჭა, ერთი მუჭის ოდენა ნაᲭᲔᲑᲓᲐᲡᲔᲠᲘᲚᲘ სახე.

მანდილი შემოიძრო მოხუცმა:

„გადაეცი! ასე უთხარ: დედამისს უᲯვირგვინოდ შეუძლია ცხოვრება, ხოლო უმანდილოდ კი არა-თქო?“

...ჰოი, რა ჭაღარა ყოფილა?! რა გაწამებული?

ხედავს ციხისთავი და თითქოს პირველად ხედავს.

ესმის გულშეძრული მოხუცის უმანდილო-მანდილოსნის ჩუმი და უკვე დამცხრალი, ანდერძად ნათქვამი სიტყვა:

„დაგვიხსნის ტყვეობიდან, ხომ კარგი, ხოლო იმედს რომ გადავიწყვეტ... მერმე მიტიროს... სად? — თავის თავს შეეკითხა და პასუხიც გასცა:—პირველ უსახელო სამარესთან, ტყვეობის უპატიო გზას რომ დარჩება ქართულ მიჯნაზე...“

ძირა აზრს ვეღარ მოაბა თავი ციხისთავმა, უარად აღმართა ხელი.

„სიტყვა! მე ჯერ კიდევ დედოფალი ვარ! ყველა შემძლე და ჯანმრთელი ციხიდან დამითხოვია“ — სული ძლივს მოიბრუნა და ახლა საბა-მოძღვარს შეხედა. მიუხვდა მოძღვარი:

„აქ არის ჩემი ადგილი! ამინ! სიტყვა შეაგება, როგორც დაუმთავრებელი ლოცვა. დედოფალმა მას გადასცა ციხის გასაღები:

„მაშინ, დილით მოემზადე საელჩოდ... ვინძლო ამ გასაღების საფასურით საქართველოში თავისი წყალი მაინც ასვა იმ უბედურთ“ — ბოღმიანი ოხვრა ამოიღო გულის ძირიდან და შეძრული ნაბიჯით გაემართა საწოლისაკენ. ძგიდეში ერთიც შემობრუნდა:

„მანდილი არ დამიკარგო, მეომარო! მანდილი!“—და საწოლში შევიდა, კარი შეიკეტა.

. . . . . .

. გარიჟრაჟის წინ ხრიოკი ხევისაკენ, კედლიდან გადაუშვეს, რაც ციხეში. საბელი მოინახა და დაიგრიხა.

საშინელ სიჩუმეში . მოხვდა ორთავ გზის განწირულთა გაყრა. და სწორედ იმ დროს, როცა მოდიდებულ ტანას გალმა-გამოლმა გახვეწილთა თავზეხელაღებული ბრძოლა ბორიალობდა, ციხის ალაყაფიდან საბა-მოძღვარი, გასაღებითურთ, შაჰ-თამაზის ბანაკისაკენ მძიმე „საელჩოდ“ მიემართებოდა.

. . . . . .

დიდი პატივით მიიღეს ელჩი, სეფეკარავში აახლეს შაჰს. თავად ჩაიბარა გასაღები. შეწყნარებას შეჰპირდა—არა ტყვეობას. „საოცრად“ იწყინა დედოფლის ლოგინად ჩავარდნა. პირადი დოსტაქრები აახლა. ზედაც რჩეული სარანგები მიაყოლა, ციხის კარიბჭე არამცთუ გააღო, სრულიადაც მოაშლევინა წყურვილისაგან გაოგნებულ ხალხს კი გზა მისცა მდინარეზე ჩასასვლელად.

იგრიალა ხალხმა და თითქმის მთლიანად ტანას ნაპირზე ჩაიჭრა. დიდ-პატარა წყალს მიესია. დაწაფებით სვამდნენ... სულის ხუთვამდე... იბერებოდნენ და წყურვილს კი ვერ იკლავდნენ.

ბევრს ემლაშებოდა სისხლითა და ცრემლით ნამღვრევი წყალი. და ბოლოს, როცა გული იჯერეს და მოსაზრების უნარი აღუდგათ, უკან მობრუნდნენ, ციხისაკენ, მაგრამ შიგ აღარ შეუშვეს.. გარს შემოეწყვნენ ირან-სარანგები, დაატყვევეს და ყველანი განურჩევლად გორისაკენ გაირეკეს.

დედოფალმა არ მიიკარა შაჰის დოსტაქრები, არც ელჩი. არც წყალი შესვა. ყველა დაითხოვა, მდადე მესაწოლეს გარდა.

არც საბა-მოძღვრისათვის უთქვამს რაიმე, უბედური ელჩობის შედეგები რომ მოახსენა.

არც მაშინ ამოუღია ხმა, შაჰის ბრძანებით, ციხიდან რომ გაიყვანეს და ნაჩქარევად შორეული ირანის გზას გაუყენეს. ეს ყველაფერი უკვე გათვალისწინებული და გამოტირებული ჰქონდა.

მხოლოდ სადღაც, სიცოცხლის ძირში, ოდნავ ბჟუტავდა იმედი... უფრო სურვილი. იცოდა, გრძნობდა, შაჰის ლაშქარს თავს დასტრიალებდა მისი შვილი. ხან კბილს გაჰკრავდა თარეშად გასულთ, ხან აღალს აუშლიდა... ხან ტყვეებს გაიტაცებდა. ყველგან იგრძნობოდა იგი—მთის წვეროებზე ანთებულ კოცონებში, გზადაგზა ჩანგრეულ ხიდეებში... ტყის ხერგულებში, ფერდებიდან დაგორებულ შვავებში.

შაჰის ლაშქარი, დიდი ნადავლითა და ტყვეებით დამძიმებული, ქართველთა

იერიშებს იგერიებდა და ეშურებოდა სამშვიდობოზე გასვლას. იჩქაროდა გამარჯვების გადასარჩენად.

დედოფალი სანთელივით დნებოდა. განუყრელად მასთან იყვნენ საბა-მოძღვარი და მდადე მესაწოლე.

„წყალი ინებეთ, დედოფალო! ან ლუკმა რაიმე...“

გზადაგზა ემუდარებოდა ყოფილი „წყარო-დეიდო“.

ვერც მოძღვრის სიტყვამ გასჭრა, ვერ მოაშლევინა წყურვილის მარხვა, ყოვლის აღკვეთა.

ილეოდა თვალსა და ხელს შუა.

მხოლოდ მაშინ გამოცოცხლდებოდა, როცა მოახსენებდნენ ქართველ მდევართა მოძალებას.

...მაგრამ აი, შიდა ქართლი განვლეს, შემოიტოვეს ქვედაც და ყაზახ-შამშადილში გავიდნენ.

უკან კვალდაკვალ ტყვეთა გვამები და გადაფარცხული ქვეყანა რჩებოდათ. და როცა მდინარე არეზს მიაღწიეს, ერთხელ კიდევ აბორგდა დედოფალი, ეს მოსაზღვრე მდინარე მის დასიცხულ თვალებში უშუალოდ იჭრებოდა, აღგზნებას მატებდა... მიჯნის გრძნობას უმახვილებდა, წყურვილს უღვიძებდა, ხოლო იმედს უქრობდა. გაღმა უკვე მოუბრუნებელი ირანი იწყებოდა.

...იმ ღამეს მდინარის პირას დაბანაკდნენ, დილიდანვე იზრახებოდა გაღმა სვლა. ამას ნათლივ გრძნობდა დედოფალი.

არეზი გარდაუვალ ლარად ევლებოდა მის გულსა და ფიქრებს. აქ გაღმა, სიცოცხლის გაღმა იყო უკვე. ამას ისე მარტივად და ცხადლივ გრძნობდა, რომ არცთუ მაინცდამაინც ღელავდა. თითქოს უბრალო საქმის ვარაუდში იყო. რაც პირველ ახალგაზრდული ქამარი შემოაცვდა და ქართლის დედოფლობა იჭირისუფლა, ჭირმედგრობას შეუყენა გული. წვრილად და უშიშრად გაჰხილავდა ფიქრის ყველა კუნჭულს. ...ჰოდა, ვის არ უფიქრია სიკვდილზე!? მასაც ხშირად უფიქრია... სხვანაირად წარმოედგინა იგი... არა, არა ისე, როგორც უცხვირო ცელალმართული ჩონჩხი, ან ჩამოძაძული მაჩხი დედაკაცი... მაგრამ არც ასე ამ სანღომიანი და სწრაფი მიჯნის მდინარის სახით.. ანდა ცისარტყელის, დიახ, ატენის ციხის თავზე, მაშინ გასაღების დაძვრისას, ლამაზად გადმომდგარი ცისარტყელას სახით!

„ცისარტყელა და მდინარე“!, ახლა ასე შენივთდა ფიქრი. ოდესმე კი! ოდესმე „წყარო და გასაღები“ იყო. იქ იყო... მზე რომ ჩაესვენა, იქითა მხარეს.. „მაშ არეზი?!“

„დიახ!“ ამოიოხრა მოძღვარმაც და კარვის კალთა უფრო გასწია.

მარჯვნივ ძეძვიანი გორაკი ჩანდა, მის ტერფთან დაყრილიყვნენ ტყვეები... მარცხნივ ჩაბინდული აჩქარებული არეზი დიოდა. გაღმა კი უდაბურობა... იქით თვალი არ უჭრის არც დედოფალს, არც მოძღვარს....

„ბინდია თუ თვალს დამაკლდა?“

„ღამდება, დედოფალო!“

„ჰმ, დედოფალო?! სიკვდილის დედოფალო!?“ — თავი ჩახარა მწოლიარემ. უნებურად ხელებზე დაიხედა. როგორ გახდომია თითები?! აი ეს ორთვალა ბეჭედი, არათითზე რომ აქვს... დედოფლის ბეჭედი! ოდესმე ხორცში ჰქონდა ჩაჭრილი. ახლა კი, ახლა. როგორ მოფოლხვებულა?! ლამის წასძვრეს თითიდან! ლამის დაეკარგოს ბეჭედი!

...და შეშინდა დედოფალი... ხელი შეკუმშა. მეორე ხელიც შემოაჭდო. გულში... შემჭკნარ, მოწყურებულ გულში ჩაიკრა... ერთადერთი შერჩენილი სიყრმის მეგობარი და მესაიდუმლე

„აანთეთ“!

მდადემ სანთელი აანთო და კარვის კალთა ჩამოხურა.

„იქნებ. რაიმე ინებოთ, დედოფალო?!“ — კვლავ შეემუდარა იგი. რამდენჯერ შეჰკითხვია ასევე, მაგრამ უარი მიუღია, ცივი უარი.. ახლა კი — მით უფრო, რაღა თქმა უნდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბა ან თავად კი რა ლუკმა ჩაუვა პირში?! ან რა წყალ-წვეთი!

ამ დროს ბუკის ხმა მოისმა და შორეული ბრძოლის შეხმიანება მოსწვდა კარვის კალთასაც, სანთლის ალსაც, დედოფლის ბეჭედსაც, ერთ კილოზე აათრთოლა.

„მერმე, ბრძოლის შემდგომ!“—გვიანი პასუხი გასცა დედოფალმა. ჭირის მდადე ამ პასუხმა უფრო შეაშფოთა, ვიდრე ბრძოლის ხმამ.

საბამაც ლოცვას უტია და კარვის ზღურბლთან მიჯდა.

მთელი ღამე მძვინვარებდა ოდრიკალად შემომდგარი შორიახლო ბრძოლა.

ძეძვის გორაკთან, მთელი ღამე გული უკვდებოდა განწირულ ტყვეებს.

მთელი ღამე ბეჭდისათვის ხელი არ შეუშვია დედოფალს. ასევე დაათენდათ თავზე.

მზის ამოსვლისას ბრძოლა მიწყდა. ღამის იმედი თუ ჰქონდათ მდევრებს...

„გამახედეთ!“ — ძლივს ამოიდგა ენა დედოფალმა.

მდადემ ფარული ცრემლი მოიწმინდა და კალთა აუზიდა კარავს.

არეზი ისევ ისე დიოდა. ფონში უკვე გადიოდნენ ტყვეები.

მათ ცხენდაცხენ უწყალოდ ერეკებოდა ბადრაგი.

და უეცრივ... არა, არც უეცრივ—მოწყურდა დედოფალს.

არეზის წყალი მოწყურდა, აუტანლად, აზრგადასულად მოწყურდა...

„მასვით!“

მესაწოლე გახევდა... თუმცა რა გასაკვირია — ადამიანს წყალი არ უსვამს ატენის შემდგომ. ახლა თხოულობს. უკანასკნელად ცივ წყალს თხოულობს მწყურვალი, ჰოდა, რა?! და მაინც ქალური გუმანით შეეჭეჭმანდა მდადე, მოძღვარს შეხედა.

საბა მძიმედ, მეტად მძიმედ წამოიმართა. გულზე დაკრეფილი ხელები მძიმედ, მეტად მძიმედ ჩამოეშალა... და უსაშველო დასტურის ნიშნად თავი დახარა.

„ზიარებას თუ ინებებთ, წილუბედურო?

მაგრამ დედოფალი აზრს თუ ვეღარ ართმევდა სიტყვებს ან გუმანში წასული — „გარედან“ აღარ უსმენდა არავის, მდინარის შხუილის გარდა.

„წყალი, არეზის წყალი!“

მდადემ უმალ მოართვა ფიალა, თავად კი გული ვეღარ დაიოკა, კარვიდან გავარდა სულმოუთქმელად.

დედოფალი წამოიზიდა და თვალებში შეაჩერდა თავის მოძღვარს, მერმე გარეთ გაიხედა.

„იმ გორაკზე... ძეძვია, ვგონებ?! უპატრონო საფლავზე ხშირად ამოდის ხოლმე“.

უპატრონოთა, უმანდილოთა ჭირისუფალი...

„იქ მაინც მეგულებოდეს ჩემი საფლავი!“

ამ დროს ქარმა კარვის კალთა შეაბორიალა და ჩამოშალა. სანთელიც ჩაქრა. კარავში ჩამობნელდა.

„ამბავი გამიგეთ, წუხანდელი ამბავი!“

მოძღვარი მიხვდა, რომ დედოფალმა დაითხოვა იგი, თორემ აბა რა ამბავი გაიგოს! ყველაფერი ნათელია. ისიც იცის მოძღვარმა, რად იშორებს დედოფალი მას. იცის და ძალა არა აქვს აღუდგეს. იქნებ სცოდავს, მაგრამ.

ვინ იცის, სად არის აქ ცოდვა და მართალი?!

ბრძნული სათნოება და უებარი ნუგეში.

უსიტყვოდ ადგა და კარვის გარეთ გავიდა.

...ტყვეები უკვე გაერეკათ გალმა. ახლა ლაშქარი გადიოდა. შაჰ-თამაზის კარავს შემოხვეოდნენ სარდლები. შაჰისათვის ცხენი მოერთმიათ უკვე.

დედოფლის კარვის აყრის დროც იყო.

მობრუნდა მოძღვარი. მიმქრალ ნაღვერდალზე ძლივს აანთო სანთელი და დედოფლის კარავში შედგა ფეხი...

ჩუმად, თავდახრილად, როგორც მიცვალებულთან შესულა ხოლმე წესის ასაგებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწინდებურად სარეცელზე იწვა დედოფალი.

თვალები დახუჭული ჰქონდა, შუბლის ნაოჭები ოდნავ გაშლოდა, უმანდილო თეთრი უხვად ეხვია ბაიისფერ სახეს. იქვე დაცლილი ფიალა იდგა.

როდესაც ახლო დახედა მოძღვარმა ფიალაში დედოფლისეული ორთვალა ბეჭედი შეამჩნია. ორივე თვალი შეხსნილი ჰქონდა ბეჭედს...

სანთელი სასთუმალთან მიამაგრა. პირჯვარი გადასახა, მანდილის მაგიერ სუდარა გადააფარა სახეზე და გავიდა კარვიდან. კარი დახშო.

...იქვე, ჩარდახის უკან, უსიტყვოდ და უცრემლოდ ტიროდა მდადე-მესაწოლე.

...საბა ძეძვის გორაკისაკენ მიბრუნდა, მაგრამ ამ დროს ცხენების თქარუნი შემოესმა.

შემობრუნდა. შაჰ-თამაზი თავისი ამალით არეზისაკენ მიემართებოდა. აი ჩქარა საბამ, ჯვარი შეისწორა გულზე... შეეგება და ცხენოსნებს წინ გადაუდგა.

კინაღამ დათქერეს ცხენებმა.

არ შეეპუა, შაჰის წინ წარდგა.

„რასა მთხოვ, მოხუცო?“

„ძეძვის გორას!“ — და ხელი მარჯვნივ გაიშვირა.

შაჰმა გახედა იქით, გაიღიმა.. საოხუნჯოდ სცალოდა ბრძოლამოგებულს.

„რა სასახლე უნდა ააგო?“

„სასახლე, რომელიც ყველას გველოდება სიცოცხლის ბოლოს, დიდსა და პატარას, გამარჯვებულსაც მათ შორის.

წარბი შეიკრა შაჰმა:

„ვისთვის შეგჭირვებია?!“

„დედოფლისათვის“. — ჩაღუნა თავი მოხუცმა. შაჰმა ცხენს მოუღერა კისერი:

„ეეალაჰ! მისთვის ოქროს სასახლე მქონდა თეირანს!

„მან ძეძვის გორაკი ირჩია, არეზის პირას! ასეთი იყო მისი ნება!“

„ნებაც ჩემია და გამარჯვებაც!“ — უკვე გაწყრა შაჰი. ცხენიც კი დასძრა. მაგრამ არ დაცხრა საბა:

„გამარჯვება წაგიღია ძეძვის გორაკს ნუ დაიშურებ!“

უნაგირში შემობრუნდა შაჰი, დაფიქრებულად შეეკითხა:

„თავად ირჩია?! სიბრძნე ჰკლებია დედოფალს!“

„ვინ ამოიცნო, ვინ სიბრძნე-სიკვდილისა?!“

„სიბრძნე-სიკვდილისა?!“ — დაბნეულად გაიმეორა შაჰმა, უეცრად მოთმინება დაეკარგა:

„შენ ბევრი გცოდნია, მოხუცო! სახიფათოა, მეტი აღარ შემომხვდე, გზაზე გაგსრესს!“.

შაჰმა ფხიზელი თვალი გაჰკრა ამალას, გრძნობდა, ყველა შაჰინშაჰისგან ღირსეულ პასუხს მოელოდა, მისი ნათქვამი კი პასუხი არ იყო, არამედ მუქარა.

„ეგრე იყოს! უპატრონო საფლავი დარჩეს! უნიშნო! უსახელო — ეგეც სიბრძნეა! მარტო ეს მოხუცი მიუშვით, გურჯის წესი აუგოს. მერმე იქ მომგვარეთ თეირანს.. თუ მოაღწია?!“ — მნიშვნელოვნად დაასკვნა შაჰმა, თანაც დეზი ჰკრა ქურანს.

. . . . . .

...და როცა არეზის პირას მოსწვდა ლუარსაბის მცირე ლაშქარი, ნაბანაკარში აღარავინ დახვედრიათ. შორს, გაღმა, ბუქის კორიანტელი მიჰყვებოდა ცის კიდურს. ლუარსაბმა არეზში შეაგდო ცხენი, მაგრამ ატენელი ჯამარჯაისძე დაქვეითდა, აღვირში უტაცა ხელი.

„მეფეო, მომიტევეთ!“

სხვებიც მოსწვდნენ, შემოადგნენ... ხმა ამოიღეს.

...განა თავადმა ლუარსაბმა არ იცის, რომ აწ ყველაფერი ამაოა? გათავებულია. ვეღარ დაიხსნა ტყვეები... ვეღარც დედამისი — საქართველოს მხცოვანი დედოფალი.

წავიდა დედა, სადღაც იქით... არეზს გაღმა, უპატიურობაში... ულმანდილოდ წავიდა...

გამობრუნდა გულშემოყრილი, მაღლობზე ააჭენა ცხენი... აქედან გახედა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალმა მხარეს... სამგლოვიაროდ ქუდი მოიხადა, ძეძვნარში დაქვეითდა... მარტო ყოფნა სწადდა... იგრძნო ამალამ, ჩამორჩა.

მხოლოდ ჯამარჯაისძე მიჰყვა. მანვე პირველმა შეამჩნია ახალი სამარე ძეძვნარში.

ასეთები მრავლად მიჰყვებოდნენ ტყვეთა გზადუხჭირს. მოაგონდა ატენის ციხისთავს დედოფლის ბოლო სიტყვა. მიეწია ლუარსაბს.

„მეფეო, უკანასკნელ სამარესთან მიტიროსო! აქამდე ვერ გავბედე, მოხსენება... იმედი მქონდა“.

მეფემ იგიც დაითხოვა... ამოიღო დედის მანდილი და უპატრონო საფლავთან თავი დახარა.

აქ, ძეძვიან გორაკზე, არეზის პირას, გამოიტირა ლუარსაბმა თავის დედა...

ისე გამოიტირა, არც იცოდა, რომ უპატრონო სამარე დედამისისა იყო ფეშმარიტად.

...იქნებ აქაც იყო იდუმალი და გამოუცნობი სიბრძნე-სიკვდილისა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ ემინესკუ

უცხოეთიდან

★

როცა ლხინია ირგვლივ დამღლელი
და დროსტარება არის გაბმული,
გულს მიკლავს ტკბილი ჩუმი ნაღველი,
განუსაზღვრელი სევდა მამულის.

ჩემს ულამაზეს მშობელ კუთხეში
შორიდან ვხედავ მთელ დიდ სამყაროს,
მე უცხოეთში ვინ მცეს ნუგეში,
სამშობლოს გარეთ ვინ გამახაროს.

ჩემო მამულო, ო, როგორ მინდა,
კვლავ ვნახო შენი მწვანე მინდვრები,
მდინარეები ბროლივით წმინდა
და ტყეთა ბნელი ლაბირინტები.

მსურს მივესალმო შენს ქოხებს, ჩუმი
ძილით რომ სძინავთ კაეშნიანებს,
ჩურჩულს, სიწყნარეს, პოეტურ დუმილს
ფოთლებს, სიბნელეს რომ შეშრიალებს.

ნეტავ იქ მქონდეს პატარა სახლი,
გაბრწყინებული მზის ელვარებით,
და დამყურებდეს ყოველდღე მაღლით
ნისლმოხვეული მთის მწვერვალები.

ნეტავ მაჩვენა მინდვრები ჩვენი,
მათ ახსოვთ ჩემი რბენა ტრამალში,
მათ ახსოვთ ჩემი ბავშვობის დღენი
და უზრუნველი ჩემი თამაში.

მდინარის ოხვრა, ხმაური ხევთა,
ტკბილი გალობა ცაში ფრთოსნების,
ბავშვს მიწვეთებდა სულში ტკბილ
სევდას
და მიმაფრენდა მაღლა ოცნებით.

ნეტავ იქ ვიყო, შევკრავ კონებად
მინდვრის ყვავილებს, დავირბენ ახოს,
რომ დაქანცულმა ჩემმა გონებამ
კვლავ ის ბავშვური სიზმრები ნახოს.

იქ თვით სიკვდილიც იქნება ტკბილი,
არა სიცივე და დამიწება...
მოვა, წამიღებს საამო ძილით
ყრმობის ზმანება და დავიწყება.

დედა

★

დედავ! საფლავში სამუდამოდ თვალმიხუჭული
მიხმობ ფოთლების საიდუმლო, წყნარი ჩურჩულით.
შენს ბნელ საფლავზე უხმოდ ცვივა და წყნარად წვება
გაყვითლებული აკაციის ფოთლების წყება.

მე მათ შრიალში კვლავ შენი ხმა მომესმის ტკბილი,
მათ ჩუმ ჩურჩულში გერგო წილად მარადი ძილი.

მე რომ მოვკვდები, როს წამიღებს ძილი ნეტარი,
ან დაიტირო, სატრფოვ, ჩემი ცივი ცხედარი.

ჩემს სამარეზე ცაცხვის ნერგი დარგე პატარა
და დააფრქვიე ცხარე ცრემლის წყარო ანკარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცაცხვის ფოთლები იშრიალებს ჩურჩულით ნელა,
მე არ ვიქნები, ირგვლივ ისევ იცოცხლებს ყველა.

მაგრამ თუ ერთად მოგვეწევა ბედი მდევარი,
მინდა შენს გვერდით, ერთ კუბოში ვიყო მდებარი.

ერთად დაგვმარხონ ზღვის ნაპირას, ტყუპების დარად,
იქ, სადაც ზვირთნი შრიალებენ ღამეში წყნარად.
ასე, საფლავშიც განუყრელად ვიქნებით წყვილი,
ტალღებს სულ მოთქმა, ჩვენ მარადი გვექნება ძილი.

რამდენი ანძა

★

ქარში დატყდება ანძა რამდენი,
ზღვაზე რომ ჩქარობს გრძელი გზის
გავლას,
ბევრი ფრინველი, შორს გადამფრენი,
ზღვასა და გრიგალს დარჩება დავლად.

მაღალ მიზნისკენ ბევრი იჩქარის,
მღელვარე ზღვაში ქარი ბევრს
დანთქამს,
და შორს წაიღებს ისევ ის ქარი
ლამაზ სიმღერას, გრიგალში ნათქვამს.

მწვერვალებზე

★

მწვერვალებს მთვარის ანათებს შუქი,
შრიალა ტყეებს სიბნელე ჰფარავს,
სადღაც, შორიდან, გაფანტულ ფარას
მწყემსი თავისკენ მოუხმობს ბუკით.

ეს ხმა, ნაღვლით და სევდით ბურვილი,
თანდათან წყდება, ყრუვდება თითქოს,
და ჩემს ცივ სულში ჩუმად ღვრის
სითბოს
სავსე სიკვდილის ტკბილი სურვილით.
აღარ აქვს ამ თბილ ნაღველს ნაპირი,
ობოლ სულს ქვეყნად რა უხაროდეს!
ჩემს გულს რომ უხმობს, ნუთუ აროდეს
არ დაიძახებს იგი საყვირი?!

ვარსკვლავის შუქი

★

ზაფხულის ღამეს გასაოცარი
ვარსკვლავი მოჩანს ცაზე პაწია,
მისმა ნათელმა, ისე შორს არი,
დედამიწამდე ძლივს მიაღწია.

ის იქნებ უკვე ჩამქრალიც არი,
თუმც მოკაშკაშე მოჩანს შორიდან,
სხივი კი მისი, როგორც ისარი,
ჩვენამდის მხოლოდ ახლა მოვიდა.

მისი აჩრდილი მარადისს ერთვის,
ჩვენთვის უჩინრად, თუმც გზა გალია,
ცოცხალი იყო, არ ჩანდა ჩვენთვის,
მოკვდა და ვხედავთ, თუმც გამქრალია.

და ჩვენც ცოდვილი მიწის ბინადრებს,
როცა გზას მივსდევთ უკვე გათელილს,
სულ შუქით კიდევ დიდხანს გვინათებს
უკვე გამქრალი ტრფობის ნათელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყეო, რად გაგაქვს ზანზარი

★

არც წვიმა არი, არც ქარი,
ტყეო, რად გაგაქვს ზანზარი,
მიწამდე რად იზნიქები?
— მე მშვიდად როგორ ვიქნები,
ჩემი დრო, ჩემი დიდება
მიდის, ფოთლები ყვითლდება.
დღემ იკლო, ღამემ იმატა,
დრო დგება ქართა, წვიმათა.
მტოვებენ ჩემი მგოსნები,
ქარით დამფრთხალი ფრთოსნები.
ზაფხული ძლიერ შორს არი,
სუსხი კარს არი მომდგარი.
ვით არ გამქონდეს ზანზარი,
მიახლოვდება ზამთარი.
მეც ყინვით მოვივერცხლები,
უკვე მიფრენენ მერცხლები.
წავლენ, მტოვებენ გუნდებად,
წავა და არ დაბრუნდება
ჩემი სიცოცხლის მშვენებაც...
და ვფიქრობ, რა მეშველება!
თითქოს ცას ეკრას ბინდები,
გუნდი გუნდს მისდევს ჩიტების,
შორით გავცქერი, ოცნებით,
მზეს აბნელებენ ფრთოსნები.
ფრთას-ფრთას ურტყამენ ჩქარ-ჩქარა,
მარტო მტოვებენ აშკარად.
შემოძარცული ტოტებით
ვრჩები ობლად და ვღონდები.
და ცარიელი სრულებით
ჩემს სევდას ვეჩურჩულები.

ღ ა მ ე

★

ღამეა, ცეცხლის ალს შევყურებ ბუხართან მჯდარი
და ვიდრე თვალს არ მოერევა თვლემა და ბინდი,
ვუცქერ ნაკვერცხლებს კერაზე, რომ ღუღუნებს მშვიდი,
ქრება სანთელი... ძილი მოდის ჩუმი და წყნარი.

დავხუჭავ თვალს და შენ ღიმილით მიახლოვდები,
თოვლივით თეთრი, ზაფხულის დღის მსგავსად ნათელი,
ჩემს მუხლზე ჯდები საოცნებო და სანატრული
და შენნი მკლავნი მეხვევიან, როგორც ტოტები.

ყელს მომეჭდობი, მკერდს მომაყრდნობ თავს სასურველი,
თვალში ჩამყურებ სიყვარულით, ოდნავ შემკრთალი,
შენ გაგაცებს ჩემი სახე, ასე ფერმკრთალი,
მე გამაბრუებს შენთა თეთრთა მკლავთა სურნელი.

და მერე, თითქო გამოფხიზლდი ძილიდან უცებ,
შუბლიდან ქოჩორს გადამიყრი ნაზი თითებით,
მძინარედ ჩამთვლი, სურვილით რომ გავირინდები,
და ჩემს ფართო შუბლს დააკონებ მხურვალე ტუჩებს.

ო, მომეფერე, ვიდრე არ აქვს ჩემს შუბლს ღარები,
ვიდრე ნორჩი ხარ, ვით ახალი ვარდის ფურცელი,
ვიდრე ნამივით ბრწყინვალე ხარ და ფერუცვლელი
და ჩემი სახეც არ დაუხნავს წლებს მწუხარებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გინდი და პოეტი

★

ბინდი:

მარტო დადიხარ დევნილი და მიუსაფარი,
ნათელი აზრი სულს გინათებს, როგორც ლამპარი.
მოგდევს დაცინვა, გყინავს სუსხი, გატირებს დარდი
და მაინც მღერი, როგორც მკვდრეთით ამდგარი ლანდი.
გულქვაა ხალხი, რაღად უმღერ, იგი ყრუ არი,
დალეწე ქნარი, სამსახურზე უთხარ უარი.
შენ მაინც, თითქო ტალღა იყო და კლდეს კოცნიდე,
ფეხთ ჩავარდნიხარ, კვლავ ხალხს უმღერ, არ გსურს მოცილდე.
კლდე სულ იქნება, ტალღა წავა, კარგად გახსოვდეს,
წავა და აღარ დაბრუნდება აღარასოდეს.

პ ო ე ტ ი:

იქნებ გგონია, ჩემს არჩევანს არ ჰქონდა აზრი,
როცა ცხოვრება ავირჩიე ძნელი და მკაცრი.
მე ხომ ვარსკვლავად მხოლოდ მიტომ დავეშვი ღრუბლით,
რომ გავაბრწყინო ჩემი ერის მაღალი შუბლი.
მინდა ცხოვრებას ვუმღეროდე არა შორიდან,
სიტყვა და ჰანგი ავამღერო, როგორც ორი და.
მინდა ავავსო მათი თასი შუქით და ჩრდილით,
რომ მწარე ნაღველს შეერიოს შარბათი ტკბილი.
მსურს ჩემმა სიტყვამ, დროის ნისლით შემოგარსული,
კვლავ გააცოცხლოს ვაჟკაცური ჩვენი წარსული.
მინდა ჰანგები რუმინული გმირულად ვჭექო,
მთებში დაირხეს, ზეცას მისწვდეს სიმღერის ექო.
მინდა იმ ჰანგში გუგუნებდეს მძლე ქარიშხალი,
მღეროდეს ველი, ჟღურტულებდეს წყარო ცინცხალი.
მსურს, სიმღერად ვთქვა ჩემი ოხვრა მთათა და ხევთა,
გულის ტკივილი, სულის მწუხრი, მიმქრალი სევდა.
მინდა ვუმღერო ფესვებგადგმულ მუხას რტომრავალს,
რუმინელების დიდ წარსულს და დიად მომავალს.
შენ გინდა ვიყო ჩემს მამულში უბრალო მოწმე,
მხარში არ ვედგე, არ ვუმღერო რუმინელ მოძმეს?
არა! თითქო ზვირთს ზვირთი სდევდეს, რაღაც განგებით,
ფიქრი ფიქრს მოსდევს და ყველა ფიქრს ახლავს ჰანგები.
და თუმცა ვიცი, ნამდვილ ფერებს ვერ ვპოვებ ვერსად,
მინდა სამშობლოს სილამაზე დავხატო ლექსად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტბა

★

ლურჯია ტყის ტბა, ცა გეგონება,
სიო არ არხევს ზვირთთა ქარავნებს,
წრეებს ცახცახით ხაზავს რგოლებად
და ჩემს პატარა ნავს აქანავებს.

და მე მივცურავ, მივსდევ ოცნებას,
მწამს, ეს ოცნება წამით ახდება —
ლაქაშებს შორის ის გამოჩნდება
და ჩემთან ერთად ნავში ჩახტება.

წელს მომეხვევა სურვილით მკლავი,
ტკბილი ალერსით რომ განვისვენოთ,
რომ დამავიწყდეს საჭეც და ნავიც
და ნიჩბის მოსმაც არ გავიხსენო,

რომ მოვცურავდეთ და შუქი მთვარის
ციცინათელად კრთოდეს მის თმაში,
ლაქაშებს სიო არხევდეს წყნარი
და გვაცილებდეს ტალღების ტაში.

მაგრამ მე ისევ მარტოდმარტო ვარ,
ოცნება ქრება, როგორც ნამქერი,
ამაოდ ველი, იგი არ მოვა,
და მოწყენილი ლურჯ ტბას გავცქერი.

*
* *

დრო გარბის, სიკვდილს არ ეშველება,
სულ ახლო ზომავს სიბერე
ნახტომს...
მე ისევ მხიბლავს უცხო მშვენება,
არ ვიცი — რით და არ ვიცი — რატომ.
შორით მწვავს მისი თვალები ფართო,
მის ნაფეხურებს კვალდაკვალ მივსდევ,
იგი სიტურფით არ მხიბლავს მარტო,
მაგრამ არ ვიცი—რით მხიბლავს კიდევ.
სიცოცხლეს ავსებს თავის ქალობით,
იგი დღედაღამ ჩემი ფიქრია,
და თუმც მეძახის ტკბილი გალობით,
რატომ მეძახის, ვერ გამიგია.
გულს სევდა მაწვეს, როგორც ყინული,
გონდაკარგული დავდივარ მარტო,
და ისევ ისე ვარ მოხიბლული,
არ ვიცი — რით და არ ვიცი — რატომ.

თარგმანი **გრიგოლ აბაშიძისა.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხაჩაგურ აბოვიანი

ალასი

★

დავემშვიდობე მთებს, ხევებს ულევს,
ტურფა ყვავილებს და ლამაზ წყაროს,
შენით ვხარობდი, შენ მასულდგმულე,
სომხის ასულო, ტურფა მწყაზარო.

შორეულ მხარეს გადვიკარგები,
ვაი, ვერ განახოთ თქვენმა ალასმა,
მოვკვდები, დედის ტკბილი ჰანგები
ალარ მომწვდება გზებზე ალარსად.

ასე უთხარი: იყოს ალალი
მასზე ეს თქვენი შრომა-ამაგი,
სანამ ღია აქვს ნათელი თვალი,
მოაგონდებით ტოლ-ამხანაგი.

როს მაგონდება კრიალა ზეცა,
ეგ თქვენი სახე სინაზით ელავს,
რა იქნებოდა, ღმერთს რომ მოეცა:
სიტურფე თქვენი ჰქონოდა ყველას.

თქვენ, ჩემო რძლებო, არა ურჩებო,
არ დამივიწყებთ, ხომ ისევ მნახავთ,
და თქვენს ხსოვნაში ნუთუ, ბუჩქებო,
ამ ჩემს დაკოდილ გულს შეინახავთ.

გაჩნდი, ყვავილო, კაცის საქებად,
მოციაგე და ათასფერადო,
ნეტავი იმას, ვინაც თქვენ დაგკრეფთ,
გადაშლილებო ტურფა ველადო.

დაგყნოსავს კაცი, უბეს გაივსებს
და შეჰკრავს ფრთხილად ყვავილებს
კონად,
ისიც პირველად მას შესთავაზებს,
რომლის ბაგეზე ის დაეკონა.

ნუ დაივიწყებთ ცრემლების მორევს...
თუ გაგახსენდეთ თქვენ კიდევ ოდეს,
ასე ეტყვიან ერთიმეორეს:
ჰა, ეს ყვავილი სახსოვრად გქონდეს.

ჯერ კიდევ ვცხოვრობ, მაგრამ ახლა მეც
რომ მომაკვდავი ლოგინად ვიწვე,
ეს ჩემი თხოვნა ასე გადაეც,
არ დამივიწყონ, არც დავივიწყებ.

გულით ვატარებ სიყვარულს წმინდას,
საფლავშიც ასე ჩავიტან, ძმებო,
მე დღეგრძელობა გისურვოთ მინდა,
აწ ვერ გიხილავ, მშვიდობით, მთებო.

თარგმანი **ილია ხოშტარიასი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. სეირანიანი

★

დიდი სომეხი დემოკრატი-განმანათლებელი

(ხაჩატურ აბოვიანის დაბადების 150 წლისთავის გამო)

მარადიული თოვლით დაფარული ცათამბჯენი მთის მწვერვალი, რომელიც თეთრ იალქნისებრ კიაფობს სომხეთის ლაჟვარდოვანი ცის კაბადონზე, საუკუნეთა მანძილზე ხიბლავდა მგოსნებს, კომპოზიტორებს, მხატვრებს.

არარატი! რომელ სომეხს არ სწყუროდა რაღაც „ზეციური სასწაულით" ერთ წამს მაინც მოქცეოდა იმის სპეტაკ მწვერვალზე და იქიდან თვალი გადაევლო სამშობლო მხარისათვის! შთამომავალნი მოსულან და წასულან, მაგრამ არარატი საუკუნეების განმავლობაში მიუწვდომელი და ხელშეუხებელი დარჩა, ზღაპრებისა და ლეგენდების ბურუსში გახვეული.

სექტემბრის ერთ მშვენიერ დღეს არარატის მაღალ მწვერვალზე ხვნეშით აიკრა ჰაბუკი, რომლის ხუჭუჭ თმებში მედგარი ქარი თავისუფლად დანავარდობდა, ავიდა თოვლით დაფარულ უბიწო მწვერვალზე, ღრმად ამოისუნთქა და თვალი მიმოავლო ირგვლივ. მთაზე ასვლის დროს ძალზე მოქანცულს დაავიწყდა ქარიშხალი და თოვლის კორიანტელი, ყოველგვარი ტანჯვა-წამება და დაღლილობა; მან ღრმად შეისუნთქა სუფთა ჰაერი, რომელიც მანამდე ზეცაში მონავარდე არწივსაც კი არ ეგემა. მან აღტაცებით გაშალა თავისი მკლავები იქ, სადაც ფრინველთა მეფესაც კი არ გაეშალა არასოდეს თავისი ფრთები. ჰაბუკს არც ალპინისტის წვეტიანი ყავარჯენი ჰქონდა და არც დეზებიანი თხილამურები. ის არც მიუწვდომელ მწვერვალებზე ასვლის უნარით იყო დაჯილდოებული. მას ჰქონდა მხოლოდ სამშობლოს სიყვარულით აღგზნებული გული.

მის თვალწინ ხელისგულივით გადაშლილიყო თვალწარმტაცი სანახაობა. აქედან მოჩანდა მთებში მომწყვდეული სომხეთის მზეთუნახავი — სევანის ტბა. ნათლად მოჩანდა ვერცხლისფერ-ზოლად გაჭიმული წყნარი არაქსი. მთის ერთ მხარეს ერევანი იყო, მეორე მხარეს — ძველი ბაიაზეთი, რომელსაც გარს ერტყნენ მთაგრეხილები, მიუვალი უფსკრულები, ხეობები და შემოდგომის სიყვითლეშეპარებული ბაღ-ბოსტნები. შორიდან მოჩანდნენ კავკასიონის ბუმბერაზების — ყაზბეგისა და იალბუზის ღრუბლებით დაფარული ყინულოვანი მწვერვალები.

არარატის ცათამბჯენიდან გადაიხედა ჰაბუკმა და ერთი წამით ფიქრთა მორევში შეცურდა. მის თვალწინ გადაშლილი უძირო ხევები სამშობლოს ღრმა ჭრილობები ეგონა, გრანიტის კლდის ნაპრალები კი — დიდების სამარადისო ძეგლები იმ უკვდავი გმირებისა, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე სამშობლოს დამოუკიდებულობასა და თავისუფლებას შესწირეს.

ეს ახალგაზრდა სომეხი დიდი განმანათლებელი, მწერალი და პედაგოგი ხაჩატურ აბოვიანი იყო, რომელიც 1829 წლის სექტემბერში დორპატის (ახლა ტარტუ) უნივერსიტეტის პროფესორ ფრიდრიხ პაროტის ლაშქრობას შეუერთდა არარატის მთაზე ასვლის მიზნით.

ფიქრობენ, რომ აბოვიანს სწორედ აქ მოუვიდა აზრად დაეწერა თავისი უკვდავი რომანი „სომხეთის ჭრილობანი".

ვინ იცის, რამდენად მართალია ეს, მაგრამ ერთი კი ცხადია: არარატის მთის მწვერვალზე ახალგაზრდა აბოვიანმა თავისი გული გაუხსნა პროფესორ პაროტს, გაუმჟღავნა მას წლების განმავლობაში სანუკვარი წადილი სწავლის გაგრძელებისა. პაროტი შეჰპირდა მას ყოველგვარი დახმარების აღმოჩენას.

დღემდის ხაჩატურ აბოვიანის დაბადების წელი არავინ იცის, თვითონაც კი არა სცოდნია თავისი დაბადების ზუსტი თარიღი. დაახლოებით იგი მიუთითებს 1804-5 წელს. აბოვიანი დაიბადა ერევნის ახლოს მდებარე სოფელ ქანაქერში, მდიდარ ოჯახში.

დიდი გავლენა მოახდინა აბოვიანზე პატრიარქალური სოფლის ცხოვრებამ, სახალხო დღესასწაულებმა, სოფლის ახალგაზრდობის ცეკვა-თამაშმა, სიმღერამ, ჯირითმა. უდიდესი იყო მშობლიური მხარის წარმტაცი ბუნების გავლენაც პატარა ხაჩატურზე.

ჭკვიან, ყურადღებიან, მგრძნობიარე ბავშვზე დიდად იმოქმედა ხალხის მძიმე ცხოვრების სურათებმა. სპარსეთის ხანები საზარელი ძალმომრეობით ეპყრობოდნენ თავიანთ ქვეშევრდომებს სომხეთში. ყოველ ზაფხულს ხარკის ამკრეფი მოდიოდა ქანაქერში და სამი-ოთხი თვე რჩებოდა იქ. ამ ხნის განმავლობაში სოფლის ბატონ-პატრონი ის იყო. მისი სურვილი — განკარგუ-

ლება იყო, სიტყვა კი — ბრძანება. ყველა მისი მონა-მორჩილი იყო. ხარკის ამკრეფის მხლებელი კარიკარს დადიოდა და ვაი იმ გლეხს, რომელიც გაბედავდა და არ შეასრულებდა მის ბრძანებას. მხლებელი უმალვე შეიჭრებოდა სახლში, გაროზგავდა ყველას, ოჯახის ნივთებს დაამტვრევ-დაამსხვრევდა, ზოგჯერ სახლს ცეცხლს წაუკიდებდა.

ყოველივე ამის მოწმე იყო ხაჩატური.

აბოვიანმა ბავშვობიდანვე შეიძულა ძალმომრეობა. ფხიზელი გონების ბავშვი უსმენდა გლეხების საუბარს. იგი ხშირად ხედავდა, რომ გლეხები სუფრას შემოუსხდებოდნენ თუ არა, პირველივე სასმისით ნატრობდნენ იმ დღის მოსვლაზე როცა შორეულ ჩრდილოეთში მცხოვრები რუსი ხალხი მოვიდოდა სომეხი ხალხის გასათავისუფლებლად.

თუმცა ეს საუბრები წააგავდნენ აბოვიანის გაგონილ იმ ზღაპრებს, სადაც ქებით იხსენიებდნენ კეთილის ბრძოლას ბოროტის წინააღმდეგ, მაგრამ ყველაფერს ამას არ შეეძლო, თუგინდ ბუნდოვნად, გავლენა არ მოეხდინა ბავშვზე.

ჯერ ცხრა წლისა არ იყო იგი, რომ მშობლებმა მიაბარეს ეჩმიაძინის სასულიერო სკოლაში, სადაც მან დაჰყო დაახლოებით ხუთი წელი. ამ წლების შესახებ თითქო არაფერი ვიცით, მაგრამ ეს კი ნათელია, რომ სოფლად აღზრდილმა ბავშვმა ეჩმიაძინში თან წაიღო სოფლელის სულიერი სისადავე და უმწიკვლოება.

ახალ გარემოში, ეჩმიაძინში მას წილად ხვდა ბნელ სენაკებში ცხოვრება, ცემა და სასჯელი, მონური მორჩილება.

აბოვიანმა ვერ აიტანა მონასტრის მკაცრი კანონები, მან რამდენიმეჯერ სცადა გაქცეულიყო, მაგრამ ვერ მოახერხა. ვინც გაქცევას დააპირებდა, სასტიკად უმასპინძლდებოდნენ: მაღალ ბოძზე ჩამოჰკიდებდნენ, უწყალოდ სცემდნენ.

ხუთი წლის შემდეგ აბოვიანი ჰაღპატში გადავიდა, იქიდან კი თბილისში. ის აქ მოდის, რათა ცოდნის დონე აიმაღლოს. თბილისი — თავისი განსაკუთრებული ცხოვრებით — ახალი ქვეყანა იყო მისთვის.

გულღია, მხიარული ქალაქი სულ სხვა იყო, ვიდრე ეჩმიაძინის მონასტრული ერთფეროვანი, მოსაბეზრებელი ცხოვრება. დასაღამოვდებოდა თუ არა, ქუჩები ივსებოდა მხიარული ხალხით, მეტადრე მთვარიან ღამეებში, მომღერლები და დამკვრელები ქუჩიდან ქუჩაში, უბნიდან უბანში ვადადიოდნენ, ხალხი თავს იყრიდა დარბაზებთან, აივნებზე ან ბანებზე და სიამოვნებით ყურს უგდებდა მათ. კარგად აქვს ნათქვამი დიდ სომეხ პოეტს ოვანეს თუმანიანს, რომ, ვინც პირველად ფეხს შემოდგამს თბილისში, ისეთ შთაბეჭდილებას მიიღებს, თითქოს იგი მოხვდა დიდ ქორწილში, სადაც კავკასიის ყველა ერი და ტომი ღრეობაზეა მიპატიჟებულიო.

აბოვიანი ერთ წელიწადს სწავლობდა ყარაბაღელ პოღოს ბერის „სკოლაში", სადაც მოსწავლეებს უფრო ცემა-ტყეპით უმასპინძლდებოდნენ, ვიდრე ასწავლიდნენ.

1824 წელს თბილისში გაიხსნა ნერსესიანის სასულიერო სკოლა. დირექტორად მოსკოვიდან მოწვეულ იქნა პოეტი ჰარუთიუნ ალამდარიანი. სწავლა-აღზრდის საქმეში დიდი გარდატეხა მოხდა. ეს სკოლა პირველი საერო სკოლა იყო. აბოვიანი აქ მალე გადმოვიდა. აქვე გაიცნო მან ალამდარიანი, რამაც მის ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულა. ეჩმიაძინში ჭაბუკს ძალზე შეუყვარდა წიგნი, მაგრამ იქ საშუალება არ ჰქონდა ცოდნის წყურვილი დაეკმაყოფილებინა.

ალამდარიანი რუსული ორიენტაციის კაცი იყო. სომხეთის მომავალ ბედს, კულტურულ აყვავებას იგი უკავშირებდა რუსების მიერ ერევნის აღებას. ამ დროს კავკასიის უმეტესი ნაწილი უკვე რუსების ხელში იყო, მხოლოდ სომეხი ხალხი გმინავდა თურქებისა და სპარსელების უღელქვეშ. ალამდარიანი ამ საკითხის ირგვლივ ხშირად ესაუბრებოდა თავის მოსწავლეებს. მასწავლებლის საუბრებს უნაყოფოდ არ ჩაუვლია: აბოვიანი სერიოზულად დააფიქრა სამშობლოს მდგომარეობამ.

აბოვიანი აღტაცებული იყო მაშინდელი მოწინავე პოლიტიკური აზრებით. ალამდარიანივით მანაც სომხეთის განთავისუფლების იმედი რუსეთს დაუკავშირა.

1826 წელს აბოვიანმა დაამთავრა ნერსესიანის სკოლა, დიდი სურვილი ჰქონდა ვენეტიკში წასულიყო სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ ეს ფუჭი ოცნება იყო. რუსებსა და სპარსელებს შორის ამტყდარმა მოულოდნელმა ომმა ხელი შეუშალა მას შეესრულებინა გულის საწადელი.

აბოვიანი მოწმე იყო ომის მიმდინარეობისა, მან თავისი თვალით ნახა, რომ რუსეთის გამარჯვებით გაბოროტებული სპარსელები გაქცევის დროს ცეცხლსა და მახვილს არა ზოგავდნენ, აჩანაგებდნენ სომხების სოფლებს. გლეხკაცობა სევდით და ბოლმით სავსე გულით ეთხოვებოდა თავის მამულ-დედულს, სახლ-კარს და მთებსა და ტყეებში იხიზნებოდა. „ტირილ-გოდების ხმა ზეცას სწვდებოდა, გამგონსა და მნახველს გულსა და სულს უხუთავდა, ხალხი მთებსა და ხეობებში გახიზნულიყო, ერთმანეთზე ეყარა, არც სახლი ჰქონდათ, არც კარი, არც პური, არც საცხოვრებელი", ამბობს აბოვიანი.

სომხეთის ბევრი სამშობლოსმოყვარული ახალგაზრდა თავისი ნება-სურვილით შეუერთდა რუსეთის ჯარს. ამათგან ბევრმა სიმამაცით თავი ისახელა.

ომი ჯერ არ დამთავრებულიყო, რომ აბოვიანი სომხეთში წავიდა. ერევანში მან დაწერა ლექსი, რომელიც სამშობლოს განთავისუფლების პროგრამას წარმოადგენდა. ამ ლექსში მომავალმა ახალგაზრდა მწერალმა ის აზრი ჩააქსოვა, რომ სომეხი ხალხის მომავალი ბედი

მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის სახელმწიფოსთან არის დაკავშირებული.

1827 წლის ოქტომბერს რუსთა ჯარი ერევანში შევიდა, აღმოსავლეთი სომხეთი რუსეთს გადაეცა. თუ რა აღტაცებით მიიღო ხალხმა თავისი განმათავისუფლებელი, ეს კარგად ჩანს დეკაბრისტი ლაჩინოვის სიტყვებიდანაც: „მოხუცი და ბავშვი, კაცი თუ ქალი ეგებებოდნენ რუსის ჯარს მხიარული შეძახილებითო“.

1828 წელს აბოვიანი დაინიშნა მისი უწმინდესობის კათალიკოსის თარჯიმნად და საქმეთა მმართველად. მან ზედმიწევნით იცოდა გრაბარი და რუსული ენა, იცოდა, აგრეთვე, ლათინური, ქართული და სპარსული ენები. აბოვიანი მონასტრისთვის შეუდარებელი, ფრიად 'აჭირო და შეუცვლელი ადამიანი იყო; ყველა მას შენატროდა, ბედნიერად თვლიდა, თვითონ კი უკმაყოფილებას გამოთქვამდა. აბოვიანს სწავლის გაგრძელების სურვილი ჰქონდა. ბოლოს ბედმა გაუღიმა: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1829 წელს სომხეთში ჩამოდის პროფესორი ფრიდრიხ პაროტი არარატის მთაზე ასვლის მიზნით, აბოვიანი პაროტს გაიცნობს და დაუმეგობრდება, აცნობებს თავის გულისწადილს. პაროტი შეჰპირდა დახმარებოდა. ამ გარემოებამ ძალზე შეაძრწუნა ეჩმიაძინის სასულიერო წოდება, სინოდი წყევლა-კრულვას უგზავნიდა აბოვიანს და სასტიკად ილაშქრებდა მის წინააღმდეგ. აბოვიანმა გაწყვიტა ყოველგვარი კავშირი სასულიერო წოდებასთან და გაემგზავრა თბილისში.

1830 წელს აბოვიანი პაროტის წერილს ღებულობს და მიემგზავრება ესტონეთის ქალაქში — დორპატში, რომელიც განთქმული იყო უნივერსიტეტით. დორპატში იგი თარგმნის გოეთესა და შილერის ლექსებს, ეცნობა ლესინგს, ჰერდერს, ანტიკურ ლიტერატურას; წაიკითხა ჰომეროსის, სოფოკლეს, ვირგელიუსის, ჰორაციოსის, დანტეს, პეტრარქას ნაწარმოებები, ზოგი მათგანი თარგმნა კიდევაც, და სხვა. აბოვიანი გატაცებით ეცნობოდა რუსოს, შემდეგ თარგმნიდა ჯარამზინს, კრილოვს, გაიცნო ჟუკოვსკი, რომელიც იტალიიდან რუსეთში დაბრუნების დროს ცოტა ხნით შეჩერდა დორპატში უნივერსიტეტის ერთ-ერთ პროფესორთან.

შეიარაღდა რა სათანადო ცოდნით და დიდი კულტურით, ხაჩატურ აბოვიანი 1836 წლის ზამთარში დაბრუნდა სამშობლოში.

აბოვიანმა განიზრახა ეჩმიაძინში დაეარსებინა ახალი ტიპის სკოლა სახალხო მასწავლებლების მოსამზადებლად, მაგრამ ეს მან ვერ შეძლო.

ეჩმიაძინი (და, პირველ რიგში, კათალიკოსი ჰოვანეს კარბელი) გაცოფებული შეხვდა მას. აბოვიანის მოწინააღმდეგეებს კათალიკოსისათვის ჩაენერგათ ის აზრი, რომ აბოვიანი ათეისტია.

ჩამოსვლიდან ერთი წლის შემდეგ, თებერვალში, აბოვიანი ინიშნება თბილისის სამაზრო სკოლების ინსპექტორის თანამდებობაზე. იმ ხანებში თბილისი ამიერკავკასიის კულტურის ცენტრს წარმოადგენდა, მრავალი — ეროვნებით დასახლებული ქალაქი იყო. აქ ცხოვრობდნენ. ქართველები, სომხები, რუსები, აზერბაიჯანელები, გერმანელები, პოლონელები, ფრანგები. რუსი რევოლუციონერებისათვის თბილისი გადასახლების ადგილად გადაქცეულიყო. დეკაბრისტთა უმრავლესობის. დიდი ნაწილი აქ იმყოფებოდა.

აბოვიანმა თბილისში სამსახური დაიწყო. აქ გაეცნო აზერბაიჯანელ მწერალ-ფილოსოფოსს მირზა ფატალი ახუნდოვს, ისინი ერთად მუშაობდნენ 1840 წლამდე. ახუნდოვმა მალე, სამსახურს თავი დაანება, მის ადგილზე დაინიშნა სახელგანთქმული პოეტი მირზა შაფი. არქივში დაცული ცნობების მიხედვით, აბოვიანმა იშუამდგომლა უმაღლესი ორგანოების წინაშე შაფისათვის გაკვეთილების მიცემის შესახებ.

აბოვიანი ახლო იცნობდა ცნობილ ქართველ მოღვაწეს ზუბალაშვილს.

ზუბალაშვილს ევროპული განათლება ჰქონდა მიღებული, იცოდა რამდენიმე ენა, შემოვლილი ჰქონდა ბევრი ქალაქი.

თბილისში ყოფნის დროს აბოვიანი, აგრეთვე, გაეცნო გერმანელ პოეტს ფრიდრიხ ბოდენშტეტს, შეაგროვა ქართული და აზერბაიჯანული ხალხური სიმღერები. აბოვიანი იცნობდა უკრაინელ პოეტს ივანე როსკოვშენკოსაც.

ასეთი იყო თბილისში აბოვიანის გარემო. აბოვიანმა დააარსა კერძო სკოლა. შეკრიბა 25-მდე სომეხი, რუსი, ქართველი და აზერბაიჯანელი ბავშვები, რომლებსაც ასწავლიდა ახალი მეთოდებით. ამ მოწაფეებისათვის იგი მზრუნველი მამაც იყო. ბავარიელმა მეცნიერმა მორის ვაგნერმა, რომელიც ეწვია თბილისს, ინახულა აბოვიანის ახალი სკოლა. იგი წერს: „ათი-თოთხმეტი წლის ვაჟები კარგად კითხულობდნენ და წერდნენ სომხურად, ქართულად, თათრულად, რუსულად, გერმანულად და ფრანგულად. ძალიან გამიკვირდა, მოწაფეები თავისუფლად კითხულობდნენ გოეთესა და შილერს“.

თბილისში ყოფნის დროს აბოვიანი კარგად იცნობდა დიდ ქართველ პოეტს ალ. ჭავჭავაძესა და სხვებს. ირკვევა, რომ აბოვიანის მოწაფეთა შორის იყო ივანე კერესელიძე, რომელიც შემდეგში ქართულ ჟურნალს „ცისკარს“ რედაქტორობდა. კერესელიძე ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და მწერლის ალექსანდრე ორბელიანის ნათლული იყო. სწორედ მან შეიყვანა ივანე კერესელიძე აბოვიანის სკოლაში. აბოვიანის სიყვარული საქართველოსა და ქართველ მოღვაწეთა მიმართ მკაფიოდ გამოიხატა მთაწმინდისადმი მიძღვნილ ნაშრომში. აბოვიანის მოწაფეთა შორის იყო, აგრეთვე, სომხური რეალისტური დრამატურგიის ფუძემდებელი გაბრიელ სუნდუკიანი, რომელიც შემდეგში სიამოვნებით იგონებდა თავის მასწავლებელს.

ჯერ კიდევ 30-იან წლებში აბოვიანი წინადადებას იძლეოდა შეეკრიბათ ხალხური სიტყვიერება. ამ მიზნით იგი აგროვებდა და ამუშავებდა სათანადო მასალებს, ოგავ-არაკებს, ზღაპრებს, ამავე დროს, იგი სისტემატურად თარგმნიდა ფრანგულიდან და რუსულიდან, გერმანულიდან. ხალხური მოტივების საფუძველზე მან შეჰქმნა თავისი ბაიათების მთელი სერიები, ყოველივე ამას თავი მოუყარა ერთ წიგნში, რომელსაც „უსაქმო დროის გასართობი" უწოდა. გარდა ფოლკლორული მასალის შეგროვებისა, იგი მუშაობდა ლიტერატურის ყველა ჟანრში, მას ეკუთვნის რომანები, დრამები, ლექსები, რუბაიები, გამოქვეყნებული აქვს მიმოხილვები, და სხვ.

ამ წლებში იგი წერს მოთხრობებს — „თურქის ქალი", „პირველი სიყვარული", „ოვსანა", და სატირულ პოემას, — „აზარფეშა". ყველაზე ცნობილია მისი რომანი „სომხეთის ჭრილობა". იგი დაიწერა თბილისში ყოფნის დროს, როდესაც მას კერძო პანსიონი ჰქონდა.

რომანი ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა, იგი ხელიდან ხელში გადადიოდა, ასე გასინჯეთ, ლორპატშიაც კი მიაღწია.

„სომხეთის ჭრილობა" გამოიცა აბოვიანის გარდაცვალებიდან 10 წლის შემდეგ თბილისში იურისტ ჰ. ფონდოიანისა და აბოვიანის მოწაფის გ. აქიმიანის წყალობით. რომანს წილად ხვდა დიდი წარმატება, „სომხეთის ჭრილობა" სრულიად ახალი მოვლენა იყო სომხურ ლიტერატურაში.

აბოვიანის დროინდელ სომეხ მწერლებს — არსენ ბაგრატუნის, თაღიადიანს და სხვებს თავიანთი ნაწარმოებების გმირებად გამოჰყავდათ მეფეები, სასახლის მსახურნი, ეს ქმნილებანი სავსე იყო მითური, ზებუნებრივი ლაყბობით, წერდნენ ხალხისათვის გაუგებარ სომხურ ენაზე (გრაბარი). აბოვიანმა ფოლკლორიდან ისესხა ახალი საერო ლიტერატურის ფორმები. ამავე დროს, მისთვის დამახასიათებელია სისადავე, რასაც ხალხურ ზეპირსიტყვაობაში ძირითადი მნიშვნელობა აქვს. აბოვიანის მიერ ხალხური ღეღესასწაულების აღწერა ნამდვილი ლიტერატურული რევოლუცია იყო. აი სწორედ აქედან იწყება სომხური ლიტერატურის აბოვიანისეული ხანა, რომელიც ქრონოლოგიურად ემთხვევა რუსული ლიტერატურის პუშკინისეულ ხანას. „სომხეთის ჭრილობის" მასალა იმ ისტორიულ ეპოქას ეხება, როდესაც მთელი სომხეთი სპარსელების უღლის ქვეშ გმინავდა. „დრო ისე გადაღუნულიყო, რომ კაცმა არ იცოდა, თავი სად შეენახა", ამბობდა აბოვიანის გლეხი. „ჭრილობა" მისი აღშფოთებისა და დრტვინვის ფილოსოფია იყო. გლეხს არაფერი ჰქონდა, „არც სახლ-კარი იყო მისი, არც საქონელი, არც დოვლათი და ბარაქა, არც საკუთარი ჯანი, არც ცოლ-შვილი".

მოთმინებიდან გამოსულ ხალხს შეეძლო დაებადებინა მხნე, მამაცი და გამბედავი ადამიანები, რომლებიც ხალხის ინტერესებს დაიცავდნენ, იბრძოლებდნენ, სისხლს დაღვრიდნენ, ხალხის განმათავისუფლებელი სული აბოვიანმა გამოხატა რომანის მთავარი გმირის — აღასის სახით. აღასი სისხლსა ღვრის თავისუფლების მოსაპოვებლად.

აღასი გმირია და, ბუნებრივია, მისი აღწერა რომანში მოცემული უნდა იყოს მუქი ფერებით. აბოვიანის დახასიათებით, აღასი მარტო სოფლის გმირი კი არ იყო, არამედ ნამდვილი მებრძოლი და სამშობლოსათვის თავგანწირულიც: „ერთი, ჩვენი ქვეყანა, ჩვენი სარწმუნოება განთავისუფლებული ვნახო, მერე — რაც ღმერთს უნდოდეს, რაც შუბლზე მიწერია, ის გადამხდესო", გაიძახოდა აღასი.

რომანი ბოლოვდება რუსების გამარჯვებით სპარსელებზე. სომხეთი გადადის აღორძინების ახალ ხანაში: „იკურთხოს ის საათი, როცა რუსის ნაკურთხი ფეხი მოხვდა ჩვენს მიწა-წყალს და ყიზილბაშის დაწყევლილი ბოროტი სული შეწუყვიტა ჩვენი ქვეყნიდანო", წერს აბოვიანი.

რომანში რუსები სომხეთის მხსნელებად გამოდიან. აბოვიანის აზრით, სომეხ ხალხს ახლა დასაყრდენი აქვს, ესაა „რუსეთის მძლავრი, მარჯვენა". ავტორი დასძენს, რომ მდინარეები ზანგუ და ვოლგა ახლა დები არიან. ზანგუ იძახის, რომ ვოლგა ჩემი უფროსი და არისო. „ჩემი სევანის ლოცვა-კურთხევას, ჩემი მასისის მამობრივ სალამს მე ჩემს საყვარელ დას წავიღებ, მივართმევ. მისგანაც მოგიტანთ სამახარობლო მოკითხვას... გახსენით თქვენი შუბლები, იმხიარულეთ დიდხანს, — ყვირის ზანგუ, — ჩემი ტკბილი დაიკო ვოლგა მუდამ იზრუნებს თქვენთვის, მე მუდამ მისი ერთგული ვიქნები, ისიც თავის სიტკბოებას არ მოგაკლებთ, ჩემო შვილებო. ეს ურღვევი კავშირი, ეს წმინდა სიყვარული სამუდამოდ დარჩება ჩვენში. გამაგრდით, ადამიანის შვილებო, ერთმანეთთან ტკბილად და სიყვარულით იცხოვრეთ. სიყვარული და მშვიდობა ყველა ერს და ხალხს კეთილდღეობაში შეინახავს". აბოვიანის ეს სიყვარული რუსი ხალხისადმი, რუსული ლიტერატურისადმი გულწრფელი იყო. განა აბოვიანს ყველაფერი მოსწონდა, რასაც მეფის რუსეთის ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა? მაგალითად, მას ვერ აეტანა ბატონ-ყმობა, რის წინააღმდეგაც ის მედგრად ილაშქრებდა, ყმების დამცველის როლში გამოდიოდა. აბოვიანი თავისი მასწავლებლის — ალამდარიანის გარდაცვალების გამო დაწერილ სტატიაში შეეჯახა მეფის ჯაშუშს ბულგარინს, რომელიც პუშკინს სდევნიდა. დიდი დემოკრატი-განმანათლებელი ერთმანეთს ადარებდა ჟუკოვსკისა და ბულგარინის რუსეთს, ის სიმპათიით იხსენიებდა პირველს, მეორე საზარლად სძულდა.

„სომხეთის ჭრილობა" აბოვიანის ლიტერატურული შემოქმედების შედეგია და სომხური

ლიტერატურის მნიშვნელოვანი რომანი. ძნელად თუ მოიპოვება სომეხი მწერალი, რომელიც არ იყოს აღტაცებული ამ წიგნის წაკითხვით. აღაიანი, შაჰაზიზი, რაფი, ფაფაზიანი, ოვანესიანი, თუმანიანი, ნატურიანი, ვარუჟანი, ტერიანი, ისაჰაკიანი და სხვები უდიდესი სიამოვნებით იგონებდნენ რომანის — „სომხეთის ჭრილობის“ თვითეულ სტრიქონს, თვითეულ ეპიზოდს... ეს ნაწარმოები უაღრესად მოსწონდა, აგრეთვე, მგზნებარე რევოლუციონერს სტეფან შაუმიანს. იგი წერდა: „ეს რომანი მკითხველს წმინდა აღტაცებით უვსებს სულსა და გულსო“.

რა მოსწონდათ ამ წიგნში?

თვითონ ავტორი ორ მიზეზს ასახელებს. პირველია ის, რომ „სომხეთის ჭრილობა“ დაწერილია ბრწყინვალე ლიტერატურული ენით, და მეორე ის, რომ ამ რომანით „შეიძლება იმდროინდელი ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბლის გაგება“.

ამ რომანით ახალ სომხურ ლიტერატურას მტკიცე საძირკველი ჩაეყარა.

სომხური ლიტერატურის პირველი კლასიკოსის საგმირო რომანი სანიმუშოა შთამომავლობისათვის არა მარტო შინაარსით, არამედ მხატვრული ღირსებებითაც.

აბოვიანის ცხოვრების გზა ნარ-ეკლიანი იყო. იმდროინდელ სქოლასტიკურ გარემოში აბოვიანი ახალი მიმართულების მესვეური გახდა. ამით მან აიმხედრა რეაქციის ძალები. აბოვიანის „სომხეთის ჭრილობა“ ასაფეთქებელი ყუმბარა იყო მაშინდელი სასულიერო წოდების, აზროვნებისა და, მთავრობის წინააღმდეგ. რეაქციონერებს აღელვებდათ ის, რომ რომანში ამოტივტივდა ხალხი, რომ ხალხმა მტკიცე ადგილი დაიკავა ლიტერატურაში.

1843 წელს აბოვიანი თბილისიდან ერევანში გადასახლდა. სასწავლებლის დირექცია საიმედოთ ალალით არ უყურებდა მას. უმაღლესმა ორგანოებმა კარგად იცოდნენ, რომ აბოვიანი მკაცრ წერილებს უგზავნიდა სამინისტროებს. ფრენსადმი მიწერილ ერთ წერილში იგი ასეთ გადაწყვეტილებას გამოთქვამდა, რომ თავისი წერილების მინაარსი თბილისში ყველამ იცოდა. ერევანი თბილისი არ იყო. ერევანი უბრალო, საწყალ, პატარა სამაზრო ქალაქს წარმოადგენდა. აბოვიანი ამ ახალ გარემოს ვერასგზით ვერ შერიგებოდა. იგი აქ უცხო კაცი იყო. მისი ყოველნაირი ახალი წამოწყება წინააღმდეგობას ან გულგრილ უყურადღებობას იმსახურებდა. აბოვიანსა და მის გარემოს შორის უფსკრული იყო გავლებული. უეჭველია, მას ჰყავდა თავისი მომხრეები, განსაკუთრებით მოწაფეთა შორის, მაგრამ ისინი ძალზე მცირერიცხოვანი იყვნენ. მის მოწინააღმდეგეებს ეკუთვნოდნენ სასულიერო წოდება და მეფის მომხრეები.

იმედდაკარგულმა აბოვიანმა სცადა ერევნიდან თბილისში გადმოსვლა, ნერსესიანის სემინარიაში განცხადებაც შეიტანა, სამსახური მისცეს, მაგრამ მას არ ეღირსა თბილისში ჩამოსვლა.

1848 წლის გაზაფხულზე, დილაადრიან, გათენებისას, როცა ოჯახის წევრებს ეძინათ, იგი სახლიდან წავიდა და აღარ დაბრუნებულა.

სად წავიდა, რა შეემთხვა მას, — არავინ იცის. როდესაც აბოვიანი დაიკარგა, მაშინ არავინ იცოდა, რა კაცი იყო ან რა ღირსება ჰქონდა მას. ბევრი ფიქრობდა, რომ აბოვიანი იყო მხოლოდ უბრალო მასწავლებელი, სამაზრო სკოლების ინსპექტორი. ამბობენ, თითქოს იგი „შავი კარეტით“ ციმბირში გაგზავნეს, ან თავი მოიკლაო. იმასაც ამბობენ, რომ აბოვიანი დაკრძალულია იმ ბაღში, სადაც ამჟამად აღმართულია წიგნის სასახლე.

დღეს ჩვენი ხალხი მადლიერების გრძნობით იგონებს და აფასებს თავის სახელოვან შვილს, სომეხი ხალხის უკეთესი მომავლისათვის დაუცხრომელ მებრძოლს, დიდ დემოკრატ-განმანათლებელს ხაჩატურ აბოვიანს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გეორგი ქიქოძე

★

ჰონორე ბალზაკი

ჰონორე ბალზაკის წინაპრები გლეხები იყვნენ და პაპამისს თოხი ეჭირა ხელში; მაგრამ მწერალი დაიბადა 1799 წელს, რევოლუციის და ომების ეპოქაში, როდესაც ყოველ ფრანგ ჯარისკაცს ადვილად შეეძლო წარმოედგინა, რომ მარშლის კვერთხი ედო ზურგის ჩანთაში, ხოლო რომელიმე მეკარე ან მეჯინიბე შეიძლებოდა გრაფი და საფრანგეთის პერი გამხდარიყო. თუ თოხიდან უშუალოდ საწერ-კალამზე გადასვლა ძნელია, მწერალს, რომლის წინაპრებს თავიანთი ოფლით ხნულები ურწყვიათ, გარანტია აქვს, რომ მეტს ენერგიას გამოიჩენს, ვიდრე რომელიმე მისი თანამოძმე, რომლის წინაპრებს ხელში სხვა იარაღი არ სჭერიათ, გარდა ბატის ფრთისა.

ბალზაკის მამამ საკმაოდ დიდი ქონება შეიძინა, როგორც არმიის მოიჯარადრემ, და ბედნიერი კარიერა გააკეთა სახელმწიფოს სამსახურში. მაგრამ ნაპოლეონის დამხობის შემდეგ მან ყოველივე დაკარგა. ბალზაკის ოჯახი იძულებული გახდა ტურიდან პარიზში გადასახლებულიყო და იქ მძიმე ბრძოლა დაეწყო არსებობისათვის. დედ-მამის სურვილის მიხედვით, ბალზაკი ერთხანს ადვოკატის და ნოტარიუსის ბიუროებში მსახურებდა კლერკად, შემდეგ მან, მათი სურვილის წინააღმდეგ, უარი თქვა იურისტის სარბიელზე და ლიტერატურულ შრომას მოჰკიდა ხელი.

მწერლების და ჟურნალისტების ახლო გაცნობამ ბალზაკი დაარწმუნა, რომ, თუ მას უნდოდა სხვისი ხელების შემყურე არ ყოფილიყო და დამოუკიდებელი და ღირსეული მდგომარეობა მოეპოვებინა, სიმდიდრე უნდა შეეძინა. გამდიდრება მის ოცნებად იქცა, მაგრამ არა როგორც თვითმიზანი, არამედ როგორც საშუალება თავისუფალი შემოქმედების გასაშლელად და ლიტერატურული დიდების მოსახვეჭად.

ის ცხოვრება, რომელსაც ბალზაკი ამ პერიოდში ატარებდა, რამდენადმე მისი გმირების რაფაელ დე ვალანტენის და ეუენ რასტინიაკის ახალგაზრდობის წლებს მოგვაგონებს. ის იაფფასიან სასტუმროში ან სადმე მანსარდში ცხოვრობდა, ბევრს კითხულობდა, ამავე დროს ხელს ჰკიდებდა სხვადასხვა საქმეს, რაც მომგებიანად მიაჩნდა. ერთხელ სტამბა შეიძინა და კლასიკოსი მწერლების ერთტომეულების და იაფფასიანი წიგნების გამოცემა დაიწყო. მაგრამ ჩქარა გაკოტრდა და დიდი ვალი დაედო, ამ ვალმა შემდეგ მისი ლიტერატურული ჰონორარის უდიდესი ნაწილი ჩანთქა.

ბალზაკის ლიტერატურული დებიუტი სრულიადაც იმის იმედს არ იძლეოდა, რომ ის მომავალში ბრწყინვალე რომანისტი გახდებოდა: მის პირველ დრამებსა და რომანებს, უმეტეს შემთხვევაში ფსევდონიმებით ხელმოწერილებს, მისთვის არც სახელი მოუტანია, არც ფული. შემდეგ მწერალმა უარი თქვა ამ თავის ლიტერატურულ პირმშოებზე და ხელახლა აღარ გამოუცია ისინი. ბალზაკის პოპულარობა დაიწყო მხოლოდ 1829 წლიდან, როდესაც მან გამოაქვეყნა რომანი „უკანასკნელი შუანი“.

კიდევ უფრო დიდი წარმატება ხვდა ბალზაკის მეორე რომანს — „შაგრენის ტყავს“, რომელსაც მან ფილოსოფიური ეტიუდი უწოდა. ეს რომანი ავტორის სიცოცხლეში შვიდჯერ გამოიცა. ამის შემდეგ ბალზაკს კალამი ხელიდან არ გაუგდია თითქმის ოცი წლის განმავლობაში. იგი მწირივით ცხოვრობდა თავის ბინაში, რომელიც პირველ წლებში ალყაშემორტყმული იყო შეუბრალებელი და მოუთმენელი კრედიტორების მიერ; ამიტომ იგი მუშაობის დროს ხშირად კარებს კეტავდა და ბარიკადებს მართავდა, რათა თავი დაეცვა მათი თავდასხმისაგან. იგი საწერ მაგიდას უჯდა დომინიკელი ბერის ანაფორაში გახვეული, ხშირად თვრამეტ საათს მუშაობდა დღე და ღამეში; განუწყვეტლივ შავ ყავას სვამდა რათა სულიერი სიფხიზლე შეენარჩუნებინა. ამ პირობებში მან დაწერა 97 ნაწარმოები, რომელთა უდიდესი ნაწილი „ადამიანური კომედიის“ სახელწოდებით გაერთიანა. ეს სახელწოდება, ერთი მხრით, ნართაულად ანიშნებდა, რომ ამ მონუმენტალურ ლიტერატურულ ძეგლში ავტორი იძლეოდა თანამედროვე საზოგადოების ნიჭიერულ სინთეზს, როგორიც შუა საუკუნეების და რენესანსის მიჯნაზე დანტემ თავის „ღვთაებრივ კომედიაში“ მოგვცა; მეორე მხრით კი იგულისხმებოდა, რომ მისი გმირები ერთგვარი მსახიობები იყვნენ, ისინი თავისდაუნებურად სხვადასხვა როლებს ასრულებდნენ დიდ შეუცნობელ სოციალურ კომედიაში.

ამ ხნის განმავლობაში ბალზაკს თავი არ დაუნებებია თავისი ფანტასტიკური ფინანსური გეგმებისათვის. ის ოცნებობდა, ვერცხლის მადნები აღმოეჩინა სარდინიაში, ან ხე-ტყის შემოზიდვა დაეწყო პოლონეთიდან საფრან-

გეთში. ამავე დროს ის გატაცებული კოლექციონერი გახდა: დიდძალ თანხებს ხარჯავდა ბრწყინვალედ შეკინძული წიგნების, იშვიათი ხელნაწერების, რჩეული სურათების, ფაიფურის ჭურჭლის, ძველი სტილის ავეჯეულობის შესაძენად. ბოლოს მისი ბინა ნამდვილ მუზეუმად გადაიქცა.

ახალგაზრდობაში ბალზაკს სამეჯნურო კავშირი ჰქონდა რამდენიმე არისტოკრატ ქალთან, ისინი გამოუკლებლივ მასზე ხნიერები იყვნენ. 1832 წლიდან, მისი რომანის—„ოცდაათი წლის ქალის“ წაკითხვის შემდეგ მასთან რუსეთიდან მიწერ-მოწერა გამართა მისი ლიტერატურული ნიჭის თაყვანისმცემელმა ახალგაზრდა პოლონელმა არისტოკრატმა ქალმა ეველინა ჰანსკამ, რომელმაც თავის პირველ წერილს „უცხოელი ქალი“ მოაწერა. იმისდამიუხედავად, რომ მანძილის სიშორის გამო ბალზაკი იშვიათად ხვდებოდა თავის სატრფოს, მან ერთგულება შეინარჩუნა მისადმი. ბალზაკის და ეველინა ჰანსკას შეხვედრა პირველად შვეიცარიაში მოხდა, ქალაქ ნევშატელში. იქ ბალზაკი პარიზიდან ჩავიდა, მისი სატრფო უკრაინიდან. თავის დისადმი მიმართულ წერილში ბალზაკი აღტაცებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ეველინა არ დაერიდა საფოსტო ეტლით სამჯერ მეტი მანძილი გაევლო, ვიდრე თვით მან განვლო, რომ ის ნამდვილად არისტოკრატი ქალი იყო და, ამასთანავე, დიდი შეძლების პატრონი, რომ მას უმშვენიერესი შავი თმა, ნაზი კანის ფერი, მომხიბლავი ხელები ჰქონდა და ახალგაზრდული გიჟმაჟობა ახასიათებდა. მაგრამ მადამ ჰანსკას თან ჩამოჰყვა ხნიერი და ავადმყოფი ქმარი, რომელიც სწამლავდა მიჯნურთა პაემანების სიამოვნებას, ვინაიდან მხედველობის არიდან არ უშვებდა თავის ცოლს და „მისი ქვედატანის ცქერიდან ბალზაკის ჟილეტის დაკვირვებაზე გადადიოდა“. ამისდამიუხედავად, შეყვარებულებმა მოახერხეს რამდენჯერმე პირისპირ დარჩენილიყვნენ გარეშე აბეზარი მოწმეების დაუსწრებლად.

ამის შემდეგაც ბალზაკი და ეველინა ჰანსკა რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს შვეიცარიაში, დრეზდენში, ვენასა და რუსეთში. მათი მიწერ-მოწერა თვრამეტ წელიწადს გაგრძელდა. ბოლოს, როდესაც ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ ეველინა ჰანსკა ღაქვრივდა, ის უკვე ხანში შესული ქალი იყო, ხოლო თვით ბალზაკი — იმდენად დაღლილი და დაავადებული, რომ მას უფრო მომვლელი სჭირდებოდა, ვიდრე სატრფო. ამრიგად, ბალზაკის ცხოვრების რომანი საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს მისი თეორიისთვის ბედნიერების ილუზიებზე.

მთელი თავისი დაუკმაყოფილებელი სიყვარულის ენერგია ბალზაკმა, სხვათაშორის, სქესობრივი ურთიერთობის ასახვასაც შესწირა და ძეგლი დაუდგა სიყვარულის გრძნობასაც. მაგრამ არა აბსტრაქტულად და ზეისტორიულად გაგებულს, არამედ ისეთს, როგორსაც მას მეცხრამეტე საუკუნის ბურჟუაზიულ საზოგადოებაში განიცდიდნენ. როგორც რომანისტი, ის იმ სიმაღლეზე დგას, რომელზედაც სხვა დაუშრეტელი ენერგიის ოსტატები იდგნენ. „მე მხოლოდ სახელოვან მიცვალებულთ ვეჯიბრები, — სწერდა ის ეველინა ჰანსკას, — ბეთჰოვენს, მიქელ ანჯელოს, რაფაელს, პუსენს, მილტონს; ერთი სიტყვით, ჩემში მღელვარებას იწვევს მხოლოდ ის, ვინც დიდია, კეთილშობილი და განმარტოებული“.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ თავისი თანამედროვე საზოგადოების მთავარ მამოძრავებელ ძალას ბალზაკი ხედავდა არა სქესობრივ სიყვარულში, არამედ მატერიალური კეთილდღეობის ძიებაში, ოქროს სიყვარულში. და როგორც ცნობილია, რესტავრაციის ეპოქისა და ივლისის მონარქიის საფრანგეთის ეკონომიურ მდგომარეობაზე ის უფრო უხვ და მართებულ ცნობებს იძლევა, ვიდრე იმდროინდელი ეკონომისტები და სტატისტიკოსები.

გაიხსენეთ მისი რომანების ყველაზე რელიეფურად დახატული ტიპები, ეს რასტინიაკები, ტაიფერები, ვოტრენები, ნიუსინჟენები, ბიროტოები, გრანდეები, გობსეკები. ყველა ესენი ძლიერი ნებისყოფის ადამიანები არიან. მთელი მათი სულიერი ენერგია კარიერის გაკეთების, სიმდიდრის შეძენის, მატერიალური კეთილდღეობის მოპოებაში იხარჯება. მათ ძალა აღარ რჩებათ, სხვა უფრო მაღალი მიზნების მისაღწევად იზრუნონ. თვით სქესობრივი სიყვარული მათს შეგნებაში მატერიალურ ინტერესს ექვემდებარება, ასეთები არიან, უმეტეს შემთხვევაში ქალებიც. ისინი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში განსაკუთრებით აქტიურ როლს ასრულებენ; მაგრამ არა როგორც სათუთი რომანტიკული გრძნობების მატარებელნი, არამედ როგორც საინტერესო ვარიანტები იმ დიდი ბიოლოგიური სახისა, რომელსაც ადამიანი ეწოდება.

ეს ადამიანები ყოველთვის ვერ აღწევენ ბედნიერებას და სიმდიდრეს; ისინი ხშირად უბედურნი არიან სქესობრივი სიყვარულის განცდაშიც. ხშირად ხდება ფინანსური კრახი, კეთილდღეობის ჩაშვავება, მიჯნურთა ღალატი. და როგორც ანტიკური რომის ახალგაზრდა პატრიციები ტაშს უკრავდნენ გლადიატორს, რომელიც ცირკის არენაზე გაღიმებული სახით კვდებოდა, ისე თანამედროვე საზოგადოება აღტაცებულია ნებისყოფის სიძლიერით, რომელსაც, მაგალითად, ბანკირი გაკოტრების, ხოლო შეყვარებული ქალი ოცნებების კატასტროფის დროს ამჟღავნებს.

თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების გაბატონებულ ტიპს რაიმე მანიაკური იდეით გატაცებული ადამიანები წარმოადგენენ. ისინი ერთმანეთის გასწრებას ლამობენ ჰიპოდრომის

ცხენებივით, მაგრამ ხშირად ეცემიან და სულს ლევენ, სანამ ფინიშს მიაღწევდნენ. ყველაზე ხშირია ყვითელი ლითონის სიყვარულით გვემული ქალ-ვაჟები. მათ დახშული აქვთ ყოველივე ბუნებრივი ადამიანური გრძნობა და სათნოების შეგნება: მამაშვილური სიყვარული, ოლქმრული ერთგულება, მეგობრობა, სიბრალული. მაგრამ არსად ჩანს იუვენალი, რომელიც ასახავდა მთელს ამ სიბილწეს, დაფარულს ოქროთი და პატიოსანი ქვების ბრჭყვიალით.

„მათრახი ურტყით მარჯვნივ და მარცხნივ და თქვენ შიშის თრთოლვას გამოიწვევთ, — ასწავლის ვიკონტესა დე ბოსეანი თავის ახალგაზრდა ღარიბ ნათესავს ეუენ რასტინიაკს; — მამაკაცებს და დედაკაცებს ისე უცქირეთ, როგორც ფოსტის ცხენებს უცქერით. გარეკეთ ისინი, სანამ არ დაეცემიან, და თქვენ თქვენი სურვილების მწვერვალებს მიაღწევთ“.

ასეთივე გაკვეთილს იძლევა კატორღიდან გაქცეული ვოტრენი, რომლის მორალური ფილოსოფია მდიდარი და წარჩინებული მანდილონის დე ბოსეანის მსოფლმხედველობის სიმაღლეზე დგას: „როდესაც მე გავმდიდრდები, აღარავინ მკითხავს, ვინ ხარო. მე ვიქნები ბატონი ოთხი მილიონი, შეერთებული შტატების მოქალაქე. ვინც მდიდარია, ის აღარ არის დამნაშავე. თუ თქვენდა საუბედუროდ გროშის ფასი რამ მოიპარეთ, თქვენ მართლმსაჯულებისასახლის წინ გამოგაფენენ როგორც უცხო რამ სანახაობას. მოიპარეთ ერთი მილიონი და ყველა სალონში ისე მიგიღებენ, როგორც სათნოების განხორციელებას“. ეს შეგონებანი რასტინიაკზე უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენენ, ვიდრე იურიდიული ფაკულტეტის ლექციები: ის რწმუნდება, რომ მორალი და კანონი უძლურია სიმდიდრის წინაშე, „გონების კონდოტიერად“ იქცევა, დიდ ქონებას შეიძენს საყვარლების, ფინანსური მაქინაციების, მდიდარ ქალზე დაქორწინების წყალობით და, ბოლოს, მინისტრი, გრაფი და პერთა პალატის წევრი გახდება.

რა გასაოცარი მონუმენტური სიძლიერითაა დახატული ოქროს რელიგიის აღმსარებელის ძია გრანდეს სიკვდილი! დამბლადაცემული მომაკვდავი ბერიკაცი მხოლოდ ლუიდორების უაზრო ცქერის დროს ამეღვანებს სიცოცხლის ნიშანწყალს; ის თავის ქალს უანდერძებს ოქროს გაუფრთხილდეს, ის მას ემუქრება, პასუხს მოგთხოვ საიქიოშიო. როდესაც სულთმობრძავთან მღვდელი მოდის, რათა განტევების ლოცვა წაუკითხოს, მოხუცის მკვდარი თვალები უკანასკნელად გამოცოცხლდებიან, ხოლო მისი ხელები მოვარაყული ჯვრისკენ გაიწევიან, რათა მას დაეპატრონონ. ეს მოძრაობა მას სიცოცხლის ფასად უჯდება. ამრიგად, თვით ქრისტიანული რელიგია უძლური აღმოჩნდება ამ ახლადაღდგენილი ბაალის კერპთთაყვანისცემის წინაშე.

მაგრამ მართალია თუ არა, რომ ძია გრანდეების, მადამ დე ბოსეანების, ვოტრენების და რასტინიაკების საზოგადოებას არ ეყოფა თავისი იუვენალები? რასაკვირველია, ბალზაკი — ბურჟუაზიული საზოგადოების უდიდესი იუვენალი თვით ბალზაკი იყო. მასში სატირიკოსის მახვილი გონება ხშირად სჭარბობდა მიუკერძოებელი მემატიანის ობიექტურობას და ის უფრო რელიეფურად ხატავდა მანკიერ და ბიწიერ ადამიანებს, ვიდრე მათს რეალურ პროტოტიპებს შეეფერებოდა. და შეიძლება სწორედ ამაში მისი რომანების მხატვრული ზემოქმედების საიდუმლოება. იპოლიტ ტენმა თავის წერილში ბალზაკზე მოსწრებულად თქვა: მე მირჩევნია ტრიალ მინდორში ცხვარს შევხვდე, ვიდრე ლომს; მაგრამ რკინის გისოსში დამწყვდეული ცხვრის დანახვას იქ დამწყვდეული ლომის დანახვა მირჩევნიაო; ხელოვნება სწორედ ამგვარი გისოსია: ის გვათავისუფლებს შიშისაგან და გვინარჩუნებს ინტერესსო.

„ადამიანურ კომედიაში“ ონავარი ფინანსისტების, გაყიდული ჟურნალისტებისა, უგულო ქალების, უსინდისო კარიერისტებისა და ნახევრად ჭკუაზე შემცდარი მანიაკების გვერდით კეთილშობილი მოქმედი პირებიც არიან გამოყვანილი; ისინი ან არისტოკრატიას ეკუთვნიან ან იდეურ ინტელიგენციას, სწავლულების, ექიმების, იურისტების, იშვიათად ბურჟუაზიის წრეს. მაგრამ ყველა ამ მამა გორიოების, ეუენი გრანდეების, ბიანშონების, დერვილების, დესპარების, დეგრინიონების სახეები ვერ სცვლიან მთელი მონუმენტური ფრესკის პირქუშ შთაბეჭდილებას. რასაკვირველია, ბალზაკს სწამს, რომ თანამედროვე საზოგადოებაში არიან ადამიანები, რომელნიც უანგარო ბრძოლას აწარმოებენ ჭეშმარიტების, სიკეთის, მშვენიერების იდეალების სახელით; მაგრამ ისინი უფრო ხშირად სტატისტების როლებს ასრულებენ ადამიანურ კომედიაში. ერთი ასეთი სტატისტია წყლის მზიდავი ბურჟა, რომელიც თავის ღარიბ ლუკმას თავის მშიერ მეზობელ სტუდენტს უნაწილებს და მას შესაძლებლობას აძლევს მედიკური ფაკულტეტი დაასრულოს და სახელგანთქმული ქირურგი გახდეს („ათეისტის წირვა“)

„სათნოება მე სხვენზე აღმოვაჩინე, ამბობს ბალზაკი: — არსებობისათვის ბრძოლა ჩვეულებრივ უსამართლობით მთავრდება, ვინაიდან ცხოვრებაში ყველაფერი ხელს უწყობს პატიოსანი ადამიანის დაღუპვას და სარგებლობას აძლევს ვიგინდარას... თითქმის ყველა საზოგადოებრივ ფენაში ადამიანები მფარველობენ გაიძვერებსა და მდაბალი სულის კაცუნებს, რომელნიც მათ ეპირფერებიან, და მტრობენ ყველა იმათ, ვინც მათზე მაღლა დგას რაიმე მხრით“ („მეურვეობის საქმე“)

ეს პესიმისტური დასკვნები მარტოოდენ ემპირიული სინამდვილის დაკვირვების შედეგი არაა, ისინი თვით ბალზაკის ფილოსოფიური მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობენ.

ბალზაკი, უწინარეს ყოვლისა, დიდი მოაზროვნე მხატვარია. როგორც მოაზროვნეს მას ვკრავენ შეედრება მეცხრამეტე საუკუნის რომანისტებს შორის. ის კარგად იცნობს დიდ ფრანგ ბუნებისმეტყველებს — ბიუფონს, კიუვიეს, სენტილერს, ის თავის თავს მათ მოწაფედ თვლის; მას სწამს, რომ საბუნებისმეტყველო მეთოდი გადააქვს მხატვრულ პროზაში. სანამ ის თავის ფილოსოფიური რომანის „აბსოლუტის ძიების“ წერას შეუდგებოდეს, სადაც ცენტრალურ ფიგურას მეცნიერების ფანატიკოსი ბალტასარ კლაესი წარმოადგენს, ქიმიას სწავლობს აკადემიკოსებთან. ის ძალიან კარგად იცნობს მსოფლიო ისტორიას, მსოფლიო ლიტერატურის ძეგლებს. ბოლოს, როგორც მისი ფილოსოფიური რომანებიდან ჩანს, ის კარგად იცნობს აგრეთვე იდეალისტების, მატერიალისტების, მისტიკოსების, ვიტალისტების მოძღვრებათ. მაგრამ ადამიანს ფილოსოფიური აზროვნების ნიჭი თანდაყოლილი უნდა ჰქონდეს, ცოდნით შეიძლება მისი განვითარება, მაგრამ არ შეიძლება მისი შეძენა. ბალზაკის აზროვნების ძალა ჩანს არა მარტო მის ეთიკურ, ესთეტიკურ, მეტაფიზიკურ, ისტორიულ-ფილოსოფიურ მსჯელობებში, არამედ მისი მხატვრული ანსამბლების ლოგიკურ განლაგებაში, ადამიანების და მოვლენების შინაგანი არსის გახსნაში, მთელი თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების ფილოსოფიურ გააზრებასა და მორალურ დაფასებაში.

ბალზაკს კარგად ესმის, რომ მწერალი არ შეიძლება მარტოოდენ ფაქტებისა და მოვლენების რეგისტრატორი იყოს. „მწერლის არსი, ის, რაც მას მწერლად ხდის და, მე არ მეშინია ამის თქმა, სახელმწიფო მოღვაწეების დონეზე, შეიძლება მასზე მაღლაც აყენებს, ესაა მისი ვარკვეული შეხედულება ადამიანთა საქმეებზე, მისი სრული ერთგულება პრინციპებისადმი. მაკიაველიმ ჰობსმა, ბოსუემ, ლეიბნიცმა, კანტმა, მონტესქიემ მოგვცეს ცოდნა, რომელსაც სახელმწიფოს მოღვაწეები პრაქტიკაში ახორციელებენ“ („ადამიანური კომედიის“ წინასიტყვაობა).

გამოთქვა თუ არა ბალზაკმა ზოგადი პრინციპული შეხედულებანი, რომელნიც შეიძლება სახელმძღვანელოდ გაიხადონ სახელმწიფო მოღვაწეებმა? მისი მორალი ანტიინდივიდუალისტურია, ეგოცენტრიზმი მას საზოგადოების დამშლელ ძალად მიაჩნია. მას მიუღებლად მიაჩნია როგორც ბურჟუაზიის მიერ შექმნილი ზოოლოგიური პარკი, ისე სიძველეთა მუზეუმი, სადაც გადაგვარებული თავადაზნაურობის მუმიებია გამოფენილი. რა მორალი გამომდინარეობს, მაგალითად, მისი მთავარი ფილოსოფიური რომანის „შაგრენის ტყავისაგან?“ რაფაელ ვალანტენი უცაბედად მდიდარი და წარჩინებული ხდება მისტიკური ძალის შემწეობით. ის კანონებზე მაღლა დგება როგორც ექვსი მილიონის პატრონი, მას ყველაფერი შეუძლია იყიდოს — თვით ხელოვნებაც, თვით უმშვენიერესი ქალის სიყვარული, — მას შეუძლია, ერთი შეხედვით, განგმიროს თავისი მოწინააღმდეგე; მაგრამ ბედნიერებას მაინც ვერ აღწევს. ის ეთიშება საზოგადოებას, რაღაც ზეკაცად ან უკეთ, არაკაცად იქცევა, მას ეჩვენება, რომ სამყარო აღარ არსებობს, რომ ის აორთქლდა, მის არსებაში ჩაინთქა; სიცოცხლე მისთვის მოსაწყენი ხდება, როგორც ის მოსაწყენი უნდა იყოს განმარტოებული ბიბლიური იეჰოვასთვის, მაგრამ მოსაწყენი არაა ოლიმპის ღმერთებისთვის, რომელნიც ერთმანეთს ებრძვიან და უთანხმდებიან, სიყვარულს და სიძულვილს განიცდიან და საერთოდ ძალიან მხიარულად ცხოვრობენ სათნოებისა და ბიწიერების ატმოსფეროში. რით მთავრდება ბოლოს ამ ეგოცენტრისტ სოლიფსისტის რაფაელ ვალანტენის ცხოვრება? ის საპმელ-სასმელის მამღებ და მომნელებელ მანქანად იქცევა, იგი სულიერი ჭვიძარებიდან ნახევარ ძილში გადადის, ნახევარ ძილიდან — სიკვდილში.

* * *

ბალზაკის შემოქმედებასთან დაკავშირებით შეიძლება ერთი პრობლემა დაისვას. ეს პრობლემა განსაკუთრებით საინტერესოა შემოქმედების ფსიქოლოგიის თვალსაზრისით. თავისი „ადამიანური კომედიის“ შესაქმნელად ბალზაკმა ჭეშმარიტად არაადამიანური შრომა შეასრულა. ესაა ერთ-ერთი უნაყოფიერესი გენია, რომელიც კაცობრიობის ისტორიას ახსოვს ხელოვნების დარგში. სიკვდილის წინ ის ნანობდა, რომ მან ხორცი ვერ შეასხა ყველა თავის ხილვასა და იდეას და თითქმის იმდენივე დარჩა დასაწერი, რაც უკვე დაწერა. თავის რომანებსა და ნოველებში მან გამოიყვანა ორი ათასამდე მოქმედი პირი, თვითეულ მათგანს მკვეთრად მოხაზული კონტური აქვს, თვითეული მათგანი ინტენსიური სიცოცხლით ცხოვრობს. მკითხველს ხშირად ისეთი შთაბეჭდილება ექმნება. თითქოს ეს მხატვრული სამყარო უფრო რეალური იყოს, ვიდრე ემპირიული სინამდვილეა. ყოველ შემთხვევაში, თვით ბალზაკს ეს ასე ჰგონია. „ჩემს ნაწარმოებს, — ამბობს ის თავისი „ადამიანური კომედიის“ წინასიტყვაობაში, — თავისი გეოგრაფია აქვს, თავისი გენეოლოგია, თავისი ადგილები და თავისი საგნები, თავისი ადამიანები და თავისი ღერბები; მას თავისი დიდკაცები და თავისი ბურჟუები ჰყავს, თავისი ხელოსნები და გლეხები, თავისი პოლიტიკოსები და დენდები, თავისი არმია, ერთი სიტყვით, ეს მთელი სამყაროა“; „იცი თუ არა, — სწერს ის თავის დას, — რომ ვანდენესი ჯვარს იწერს? დიახ, ის ირთავს დემუაზელ დე გრანვილს. ოჰ, ეს მდიდრული ქორწინებაა!“. ვანდენესიც და მისი საცოლეც მხოლოდ ბალზაკის

ფანტაზიის ნაყოფია, ეს მას თითქოს ავიწყდება.

როგორ შეძლო მწერალმა ამ გრანდიოზული სამყაროს შექმნა? თავისი შეგნებული სიცოცხლის პირველი ნაწილი მან ვანდომის კოლეჟში, სორბონის აუდიტორიებში, ნოტარიუსის და ვექილის ბიუროებში, მანსარდში გაატარა, სახელმძღვანელოებზე, იურიდიულ საბუთებზე და აქტებზე, წიგნებზე თავდახრილმა. ეს ასკეტური ცხოვრება მას აწერილი აქვს „შაგრენის ტყავში“ და „გაფანტულ ილუზიებში“. თავისი სიცოცხლის უკანასკნელი ოცი-ოცდახუთი წელი ის ჩაკეტილი იყო თავის კაბინეტში, რათა თავისი წიგნები ეწერა და დაუსრულებლივ მათი კორექტურები ესწორებინა. საქმე ისაა, რომ მისი ხელნაწერი საბოლოოდ დამუშავებული არ მიდიოდა სტამბაში: ის თავდაპირველად რაღაც ჩინური იეროგლიფებით დაწერილს ჰგავდა, და ბალზაკი ხშირად შვიდ-რვა ანაბეჭდს ასწორებდა, რათა მისთვის დასრულებული სახე მიეცა.

მთელი თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის მანძილზე მას ბრძოლა უხდებოდა გამომცემლებთან, ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებთან; და რასაც ეტიენი „გაფანტულ ილუზიებში“ ლუსიენს ეუბნება, არსებითად ბალზაკის მდგომარეობას გამოხატავდა: „ის, რაც ჩვენ ცხოვრების ფასად გვიჯდება, სიუჟეტი, რომელიც ღამის განმავლობაში ჩვენს ტვინს ანადგურებდა, მთელი ეს ხეტიალი აზრის სფეროებში, ეს ჩვენი სისხლით აგებული ძეგლი, გამომცემლისათვის მომგებიანი ან წამგებიანი საქმე ხდება. მთელი საკითხი გამომცემლებისათვის იმაში მდგომარეობს, გამოისყიდის თუ ვერ გამოისყიდის ჩვენი ხელნაწერი თავის თავს. რაც უფრო მშვენიერია წიგნი, მით უფრო ნაკლებია იმედი, რომ ის გაიყიდება“.

რამდენი დრო რჩებოდა ამის შემდეგ ბალზაკს, რომ საზოგადოებაში ეტრიალა, ყოველი მისი წრის ცხოვრებას დაკვირვებოდა, პარიზის და პროვინციის ბურჟუაზიას და არისტოკრატიას, მხედრობას, ინტელიგენციას, გლეხკაცობას, პრესას, ბირჟას, ბუდუარს, თეატრს, ქუჩას? რასაკვირველია, ბალზაკი ფაქტების დიდი კოლექციონერია, მაგრამ არა ისეთი, რომელიც პედანტი ჰერბარისტის გულმოდგინებით აგროვებს ცოცხალ და დამჭკნარ ფოთლებს. მას აქვს შერჩევის ნიჭი; მას შეუძლია სახის ერთ ნაოჭში, ერთ ალმაცერ გამოხედვაში ადამიანის მთელი ტრაგედია დაინახოს, ნიჟარის ხმაურში ოკეანეების ქარიშხლის ღმუილი ნოისმინოს, ერთ ყვავილში ბუნების სტიქიონური ძალა იგრძნოს. ის შედარებით იშვიათად გამოდის პარიზის ქუჩებში, იშვიათად მოგზაურობს საფრანგეთის პროვინციაში, მით უმეტეს, იშვიათად ტოვებს სამშობლოს საზღვრებს. მაგრამ მის თვალს, მის შინაგან ხილვას არ ეპარება ის, რაც სხვებისთვის შეუმჩნეველი რჩება. „რაც უფრო მკვიანია ადამიანი, მით უფრო მეტ ორიგინალურ ადამიანებს არჩევს ის, — სთქვა პასკალმა: — ჩვეულებრივი ადამიანები კი განსხვავებას ვერ ხედავს მათ შორის“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩენილი ფრანგი ფერადმწერალი და გრაფიკოსი ალექსანდრ დეკანის სურათების მაგალითზე ბალზაკი საუცხოოდ განმარტავს თავის ძირითად ესთეტიკურ პრინციპს. ის ამბობს, რომ „დეკანს ერთნაირად შეუძლია დაგვაინტერესოს როგორც ადამიანის, ისე ქვის ასახვით. ის დახატავს ცარიელ ოთახს, იქ კედელზე ცოცხს მიაყუდებს და, თუ მოისურვა, თქვენ შიშის ერუანტელს მოგგვრის. თქვენ მოგეჩვენებათ, რომ ეს ცოცხი დანაშაულის იარაღი იყო, რომ ის სისხლითაა გასვრილი, ვინაიდან ქვრივმა დედაკაცმა ბანკალმა იმით დაგავა ოთახი, სადაც ფუალდესი იქნა მოკლული.[1] დიახ, მხატვარი ისე აბურძგნის ცოცხის ღეროებს, თითქოს ეს ყალყზე ამდგარი თმა იყოს, ის მას შემაერთებელ რგოლად აქცევს თავის ფანტაზიის იდუმალ პოეზიასა და თქვენს ფანტაზიაში გაღვიძებულ პოეზიას შორის. მეორე დღეს ის სხვა ცოცხს დაგიხატავს; მის გვერდით საიდუმლოებით აღსავსე მძინარე კატა იქნება მოთავსებული. და თქვენ მხატვარს დაუჯერებთ, რომ ეს სწორედ ის ცოცხია, რომელზედაც გერმანელი მეწაღის ცოლი ჯდება, რათა კუდიანობა ღამეს გაფრინდეს. ბოლოს ის სრულიად უწყინარ ცოცხს დახატავს, მასზე ხაზინის მოხელის სერთუკი იქნება ჩამოკიდებული. დეკანის ფუნჯს, ისევე როგორც პაგანინის ქამანს, ჰიპნოზის ძალა აქვს“.

თუ ბალზაკმა ასეთი მდიდარი, მოძრავი და მღელვარე სამყარო შექმნა, ეს მარტო იმიტომ კი არ მოხდა, რომ მისი დროის სინამდვილე მას უხვ ემპირიულ მასალას სთავაზობდა, არამედ იმიტომაც, რომ მას მდიდარი სულიერი ცხოვრება ჰქონდა; ის უტყუარი ინტუიციით გრძნობდა, რა იყო ჯერსებითი და რა იყო შემთხვევითი ადამიანებსა და საგნებში, და მის ლოგიკურ გონებას წესრიგი შეჰქონდა გარეგანი მოვლენების ქაოსში. ერთი სიტყვით, ბალზაკი გენიოსი შემოქმედი იყო, რომელიც ქვის ზოლში ცოცხალი სხეულის ნაკვთებს ხედავს, ხოლო თაბაშირსა და თიხაში ცხოველმყოფელ სულს ჰბერავს.

ბალზაკის „გამოუცნობელი შედევრი“ საუკეთესო მასალებს იძლევა მისი შემოქმედებითი გენიის გასაგებად. „დიდი პოეტი რომ გახდეთ, საკმაო არაა სავსებით დაეუფლოთ სინტაქსს და შეცდომები არ დაუშვათ ენაში, — ეუბნება უცნობი მოხუცი გამოჩენილ ფლამანდიელ მხატვარს: — ხელოვნების ამოცანა იმაში კი არაა, რომ ბუნების ასლი გადავიღოთ, არამედ იმაშია, რომ ის გამოვხატოთ. შენ ბეჩავი კოპისტი კი არ

[1] იგულისხმება მოხუცი პროკურორის ფუალდესის მოკვლა პარიზის ერთ საროსკიპო სახლში, რომლის პატრონი ქვრივი დედაკაცი ბანკალი იყო (1817 წ.), ამ მკვლელობამ ღიდი მითქმა-მოთქმა და სენსაციური პროცესი გამოიწვია.

ხარ, არამედ — პოეტი! ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მოქანდაკე თავის სამუშაოს შეასრულებდა იმით, რომ თაბაშირის ფორმას გადაიღებდა ქალისაგან. მერე რა! სცადე, გადაიღე შენი სატრფოს ხელის თაბაშირის ფორმა და წინ დაიდე: შენ დაინახავ საზარელ ცხედარს, რომელიც მოკლებული იქნება ყოველ მსგავსებას, და იძულებული გახდები საკრისი და ხელოვანი მოძებნო, ის ზუსტ ასლს კი არ მოგცემს, არამედ სიცოცხლის მოძრაობას. ჩვენ უნდა დავიჭიროთ საგანთა და არსებათა გონება, აზრი, გამოსახულება. შთაბეჭდილებანი, შთაბეჭდილებანი! ისინი შემთხვევითნი არიან ცხოვრებაში, ისინი თვით ცხოვრებას არ წარმოადგენენ. ხელი მარტოოდენ სხეულზე მიმაგრებული ასო კი არაა, ის აზრის გამოხატულება და გაგრძელებაა. არც ფერადმწერალმა, არც პოეტმა, არც მოქანდაკემ არ უნდა გათიშოს შთაბეჭდილება და მისი მიზეზი: ისინი განუყოფელნი არიან. მშვენიერება მკაცრი და ენერგიანია: საჭიროა მას შესაფერი დრო შევურჩიოთ, ვუთვალთვალოთ და მაგრად დავიჭიროთ, რათა ვაიძულოთ, რომ დაგვნებდეს".

თუ ცხადია, რომ ბალზაკი თავის მიზანს იმაში კი არ ხედავდა, რომ ემპირიულ მოვლენათა ასლები გადაეღო ან ოქმები ეწერა, არამედ იმაში, რომ ბრძოლა ეწარმოებინა მშვენიერების დასაპყრობად და ახალი მხატვრული სამყაროს შესაქმნელად, განსაკუთრებით გასაოცარ გამარჯვებებს მან ქალთა სქესის ასახვაში მიაღწია. მეცხრამეტე საუკუნეში, როდესაც ქალმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა, ქვეყანაში, სადაც ის ჯერ კიდევ ახალი ეპოქის გარიჟრაჟზე თითქოს მადონას მიერ დაცლილ ტახტზე დაჯდა, წარმოიშვა მწერალი, რომელიც ქალის გულის უდიდეს მესაიდუმლედ შეიძლება ჩაითვალოს. მასში თითქოს თავი მოიყარა ყველა იმ პოეტმა და მხატვართა გენიამ, რომელნიც ქალს ადნიერად ატივტვლებდნენ ან შარავანდედით მოსავდნენ, სერენადებს უგალობდნენ ან კოცონზე სწვავდნენ, ღმერთების გვერდით სვამდნენ ან კუდიანების ფერხულში აბამდნენ. თავის ერთ ნოველაში — „ალქაჯი", რომელიც ბალზაკის „ცელქ მოთხრობებშია" მოთავსებული, მან ქალურობის მეტაფიზიკა მოგვცა; ასეთი მეტაფიზიკის შექმნა შეეძლო მხოლოდ მწერალს, კარგად გაცნობილს ყოველივე იმასთან, რაც ქალზე ანტიკურმა პოეტებმა, შუა საუკუნეების საეკლესიო მამებმა და მისტიკოსებმა, ფრანგმა ნოველისტებმა და პროვანსალელმა ტრუბადურებმა, ბოლოს დანტემ და პეტრარკამ, ბოკაჩიომ, აბატ პრევომ და სხვებმა თქვეს.

რაც შეეხება ეგრეთწოდებულ „ბალზაკის ასაკის ქალს", ის სრულიად ახალი ტიპია მსოფლიო ლიტერატურაში. რომანისტი იძლევა მის დაუსრულებელ ვარიანტებს, გასაოცარს თავიანთი რელიეფურობით და ფსიქოლოგიური დახასიათების სიღრმით. გაკვირვებული მკითხველის თვალწინ დაუსრულებელი პროცესია მოძრაობს: უბიწო ქალებს მეძავები მოსდევენ, ავანტიურისტებს — შრომისა და ვალდებულების გმირები, ფართო და გრძნობიარე გულის მფლობელებს — ცივი და დამცინავი გონების მფლობელები. ეს მით უფრო გასაოცარია, რომ მან არსებითად მხოლოდ ერთი ნამდვილი რომანი გაანიცადა ცხოვრებაში. მაგრამ შეიძლება ეს მისთვის, როგორც რომანისტისთვის, ბედნიერება იყო: შეიძლება მას თავისი პოლინების და კორალიების, თავისი მადამ ბოსეანების და მადამ ლანჟეების, თავისი ეეენი გრანდეების და ესფირების მაღალმხატვრული პორტრეტები ვერ შეექმნა, ერთის ნაცვლად — რამდენიმე ეველინა ჰანსკა რომ ჰყოლოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შოთა ძიძიგური

★

დავით გურამიშვილის ენა

ძველი ქართული სალიტერატურო ენის სტრუქტურის რღვევა, საეკლესიო-დოგმატური სტილის კანონზომიერების რყევა დაახლოებით მე-12 საუკუნიდან იწყება. ამ გარემოებას საგრძნობლად შეუწყო ხელი საერო მწერლობის აღმოცენებამ და განვითარებამ.

მეთორმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი განმსაზღვრელი ნიშანი ხალხურობაა. ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებამ გამოიწვია გრამატიკულ ფორმათა ნაირნაირობა, სიჭრელე ლექსიკაში, ახალი ლიტერატურული ნორმები კი თანდათანობით ინერგებოდა. ამ პერიოდის ენაში შესამჩნევია ჭიდილი ძველი, მწიგნობრული ფორმებისა საერთო-სახალხო ენის სტრუქტურიდან მომდინარე ენობრივ მასალასთან. თუ შევადარებთ საერო ლიტერატურის კლასიკური პერიოდის ძეგლების („ვეფხისტყაოსნის", „ვისრამიანის", „ამირანდარეჯანიანის") ენას ე. წ. აღორძინების ხანის სალიტერატურო ძეგლების ენასთან, დავრწმუნდებით, რომ მწერლობაში საბოლოოდ გზას იკაფავს საერთოეროვნული ენის სტრუქტურული ელემენტები და მრავალსაუკუნოვანი ქართული სამწერლო ენა გაბედულად ადგება დემოკრატიზაციის გზას. ასე მაგალითად, „რუსუდანიანის", „სიბრძნე-სიცრუის", „თიმსარიანის", თეიმურაზ პირველის, არჩილის, თეიმურაზ მეორის ენაში ძირითადად დაძლეულია ძველი ქართულის საეკლესიო-დოგმატური ტრაფარეტი და ქართულ-კახური მეტყველების საფუძველზე ფართო გზა აქვს გახსნილი დიალექტების მასალას. მიუხედავად ამისა, სალიტერატურო ენის შედგენილობაში ჯერ კიდევ სავსებით უკუგდებული არ არის არქაული მწიგნობრული ენის ელემენტები როგორც გრამატიკის დარგებში, ისე ლექსიკაში.

დ. გურამიშვილის უბრწყინვალესი ნაწარმოები „დავითიანი" დაფუძნებულია ქართული საერთო-სახალხო ენის ძირითად სტრუქტურულ თავისებურებებზე, იგი არსებითად ადრინდელი პერიოდის ახალი სალიტერატურო ენის ყველაზე დასრულებულ და სრულყოფილ სახეობას წარმოგვიდგენს. დ. გურამიშვილმა თამამად გაარღვია არქაიზებული ენის შაბლონი და სათავე დაუდო ახალი სამწერლო ენის განვითარებას. ამდენად, გურამიშვილის, როგორც ენის დიდი რეფორმატორის, როლი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში განუზომელია.

ახალი სალიტერატურო ქართულის ბუნებრივ განვითარებას გზა გადაუღობა მეთვრამეტე საუკუნის მოღვაწის ანტონ კათალიკოსის გრამატიკულმა სკოლამ. ახალი ენის ნორმალიზაციის გაწყვეტილი ხაზი აღდგა გასული საუკუნის 50-იან წლებში.

დ. გურამიშვილის ნაწერები საზოგადოებისათვის არ იყო ცნობილი მეცხრამეტე საუკუნის 50-60-იან წლებამდის. ამდენად, ქართული სამწერლო ენის განვითარებაზე გურამიშვილს მანამდის გავლენა არ მოუხდენია. ამ დროიდან „დავითიანი" შედის ქართული მწერლობის აქტიურ ფონდში. 60-იანი წლებიდანვე სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის ქართული ლიტერატურის ახალი თაობა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთელის მეთაურობით. ილია-აკაკის დიდი წინამორბედის — გურამიშვილის ენის სტრუქტურა თავის არსებით ნაწილში ექცევა სამწერლო ენის განვითარების იმავე მაგისტრალში, რომელზედაც იდგნენ ი. ჭავჭავაძე და ა. წერეთელი. როგორც ითქვა, ქრონოლოგიურადაც გურამიშვილი — ჭავჭავაძე — წერეთლის მხატვრული ქმნილებების გავრცელება საქართველოში დაახლოებით ერთ ეპოქას მოიცავს.[1] ამდენად, ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრების ფუძემდებლებად უნდა მივიჩნიოთ დავით გურამიშვილი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი.

როგორია დ. გურამიშვილის ნაწარმოების ორთოგრაფია?

ცნობილია, რომ ძველ ქართულს ახალი ქართულისაგან განსხვავებით მოეპოვება რამდენიმე ასო-ბგერა, რომლებიც დიდხანს შემორჩნენ ქართულ ორთოგრაფიას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი აღარ შეესაბამებოდნენ ახალი ქართული ენის ფონეტიკურ სისტემას. ანტონ პირველის გრამატიკულმა სკოლამ ხელი შეუწყო ჰაეთ შენარჩუნებას, და ეს სავსებით ეგუებოდა ამ სკოლის გრამატიკულ კონცეფციას: ანტონი ხომ არქაული ენის თავგამოდებული დამცველი

---

1. „დავითიანის" ისტორიული ნაწილის ნაწყვეტები პირველად დაიბეჭდა 1852 წელს „ცისკარში", „ქაცვია მწყემსის" ნაწილი კი — „ცისკრის" 1861 წლის ნომრებში; ზოგი ლექსი დავით ჩუბინაშვილმაც შეიტანა თავისი ქრესტომათიის მეორე გამოცემაში 1863 წელს. „დავითიანის" პირველი წიგნი ცალკე დაიბეჭდა 1870 წელს. შემდგომი გამოცემა 1881 წელს განხორციელდა.

იყო. გაცილებით გვიან, მე-19 საუკუნის 60-იან წლებში, დასაბუთდა ამ ძველი, დრომოჭმული ასოების უკუგდების აუცილებლობა. ილია ჭავჭავაძემ თეორიულად დაამტკიცა, რომ ამ ასოების შესაბამისი ბგერები ახალ ქართულ საერთოსახალხო ენას არ ახასიათებს და, მაშასადამე, სალიტერატურო ორთოგრაფიას ზედმეტ ტვირთად აწევს ასოები, რომელთაც ენაში რეალური საყრდენი არა აქვთ. ილ. ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების ლიტერატურულმა პრაქტიკამ გაამარტივა ქართული ორთოგრაფია, გაათავისუფლა იგი ახალი ქართული ორთოგრაფიისათვის შეუფერებელი ასოებისაგან.

ორთოგრაფიული ტრადიციის რღვევა დაიწყო ჯერ კიდევ ე. წ. აღორძინების ხანის ენაში. ასე მაგალითად, „შაჰნამეში", „ქილილა და დამანაში", „რუსუდანიანში", „თიმსარიანში", ვახტანგ მეექვსის ნაწერებში ზემოაღნიშნული ასოები მხოლოდ სპორადულად იჩენს თავს, დ. გურამიშვილთან კი ისინი არ გვხვდება, გარდა ხარისა, რაც, ჩვენი აზრით, აიხსნება იმით, რომ მას ხალხურ მეტყველებაში რეალური საფუძველი ჰქონდა, იხმარებოდა იმ კილოებში, რომელთა გავლენასაც განიცდიდა პოეტი. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ ასოს გამოყენებაში გურამიშვილი თანმიმდევრობას არ იცავს: მთელ რიგ სიტყვებში იგი ხ-თი არის შეცვლილი.

ბრუნება გურამიშვილთან ახალი ქართულისებურია, მაგრამ ავტორი ყოველთვის არ იცავს ახალ ნორმებს. „დავითიანში" არაიშვიათია არქაული ფორმებიც. სახელობითი ბრუნვის ნიშანი ბოლოხმოვნიან სახელებს დაერთვის სიტყვაში „ყველა", ე. ი. გვხვდება „ყველაი" (149 და სხვაგან).[1] უნდა აღინიშნოს, რომ, მაგალითად, „ვეფხვრამიანსა" და „შაჰნამეს" პროზაულ ტექსტში „ყველა", ე. ი. გვხვდება „ყველაი" (149 და ბრუნვაში ი-ს ხმარების უმეტესი ნაწილი „ყველა" ნაცვალსახელზე მოდის, „ვეფხისტყაოსანშიც" ხშირად სწორედ ეს ნაცვალსახელი დაირთვის ი-ს. ამ შემთხვევაში ჩვენი პოეტი ტრადიციას მისდევს.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ გურამიშვილთან თითქმის სისტემატურად იხმარება მოთხრობითი ბრუნვის არქაული ფორმა: ღმერთმან (42), რომელმან (10), რიტორმან (4), ქალმან (316), ალმან (87) და სხვ.

ვამე თუ, ხორციც შეჭამოს **მგელმან**,
ანუ მიწაში მატლმა და **გველმან**,
რად ვქენ **საძაგელმან**,
საწვავ-სადაგელმან,
არ გავყევ სულსა! (322).

იშვიათად მიმართავს პოეტი „მან"-ის გამარტივებულ სახეობას. იმის ნათელსაყოფად, რომ გურამიშვილი ძველი და ახალი დაბოლოების გამოყენებაში არათანმიმდევარია, საკმარისია დავიმოწმოთ სტროფები, სადაც ერთმანეთის გვერდით, პარალელურად იხმარება „მან-მა" დაბოლოებები:

ქალმან გაშინჯა, არ იყო ავი:
წამოდგა, მწყემსსა დაუკრა თავი.
მწყემსმა პირს აკოცა,
კარგ სიტყვით დალოცა
და გაისტუმრა (317).

ან კიდევ:

ვამე თუ, ხორციც შეჭამოს **მგელმან**,
ანუ მიწაში **მატლმა** და **გველმან** (322)

ასეთივე მდგომარეობაა მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმებაშიც: „კაცმან ჯაბანმა" (29).

შეიძლება ითქვას, რომ არქაულ გრამატიკულ მოვლენათაგან „მან" დაბოლოებანი მოთხრობითი თითქმის ერთადერთია, რომელიც ასე ფართოდ არის წარმოდგენილი გურამიშვილის ენაში. რით უნდა აიხსნას ეს გარემოება? ამის მიზეზი გურამიშვილის ლექსის მუსიკალურობაში უნდა ვეძიოთ. დავით გურამიშვილის ლექსი ქართულ პოეზიაში მელოდიკურობით გამოირჩევა და, სავარაუდებელია, ავტორი „მან" დაბოლოებიან ფორმას უპირატესობას ანიჭებს მის გამარტივებულ სახეობასთან შედარებით კეთილხმოვნობის გამო.

აქვე აღსანიშნავია, რომ ძალიან იშვიათად პოეტი საკუთარ სახელებს მოთხრობით ბრუნვაში ფუძის სახით წარმოგვიდგენს: „ბაჭარ თქვა: ეჯ შემიტყვია" (162), „ადამ მიუგო" (189), „ქალქალწულმან **მარიამ** წმინდად თავი ატარა" (185). ეს არქაიზმები უმთავრესად სასულიერო ხასიათის ლექსებში გვხვდება.

მოძრაობა იქედან აქით ძველ ქართულში—„ით" ნიშნით გამოიხატებოდა, ე. ი. გამოყენებული იყო მოქმედებითი ბრუნვის ფორმა: „სოფლით" ნიშნავდა „სოფლიდან", „ქუთაისით ჩამოვედი"—ქუთაისიდან, და ა. შ. ახალ ქართულში ეს ბრუნვა გვხვდება მხოლოდ გარკვეულ კონტექსტებში. მაგალ., „**მაღლით** წვიმა მოდიოდა", „**თავით** ფეხებამდის", „**მთით** მონაბერი ჰაერი" და სხვ. თანამედროვე ქართულ პოეზიაში ამგვარი ფორმები აქა-იქ შეიძლება შეგვხვდეს. მაგალითები გურამიშვილის ნაწერებიდან:

კახ-ბატონსა კახთ აყვედრეს:
ულლით ტოლი გამოგეშო (77);
მოთხარის მკვდარნი **საფლავით**,
ცოცხალიც ბევრი ხოცისა (41);
ქართლს ისევ ჩვენვე გვანებებს,
კახეთით გვაძლევს სალამსა (71).

„ვეფხისტყაოსანში" იხმარება „ისი" ნაცვალსახელი, რომელიც კანონიერი ვარიანტია „**იგი**" ნაცვალსახელისა. ახალმა ქართულმა ი-დართული ფორმა არ განვითარა, ამჟამად კილოებს ახასიათებს (ზემოიმერულს, რაჭულს). „დავითიანში" „ისი" არაიშვიათია (152, 157, 186 და

---

1 ციტატები მოგვყავს „დავითიანის" „საბჭოთა მწერლისეული" გამოცემიდან (1955 წ.). ფრჩხილებში მითითებულია წიგნის გვერდი.

სხვ.). გვხვდება „იგი“-ს გამარტივებული ფორმაც: „იგ“ (108, 164).

ძალიან საინტერესოა პრევერბების გამოყენების შემთხვევები „დავითიანში“. ჩვენი პოეტის ნაწერებში ჩვეულებრივია „დან“, „ჩან“, „წან“, პრევერბები, რომლებიც არ იცის არც ძველმა, არც საშუალო და არც ახალმა ქართულმა სალიტერატურო ენამ; ისინი არც დიალექტებში გვხვდება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ნ“ ამ „და-ჩა-წა“ პრევერბებში გაჩენილია იმ პრევერბის ანალოგიით, რომელსაც ის ახასიათებს. ესაა „განˮ პრევერბი. მაგალითები: დანაწვინა (315), დანაწყებინა (95), დანასვეს (325), დანარტყა (256), დანამარცხეს (90), წანაყვირა (315), ჩანაგო (252), ჩანაცვეს (325).

შემონახულია ხოლმეობითის ფორმები:

უცხო რამ აქვნდის მას მხეცსა
ხერხი და მეცნიერობა,
საცხოვარს არას აწყენდის,
ვერ ვსცნი, რა აქვნდის ფერობა,
საცა რომ კაცსა შემოხვდის,
მედგრად იხმარის მტერობა,
ანაზდად ეცის, დაფლითის,
მოსლის და შექმნის სერობა (41).

ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ხშირად იხმარებოდა ასეთი ფორმები: „ცა“ და სხვა ნაწილაკები გაჰკვეთდნენ ზმნას და მოექცეოდნენ პრევერბსა და ზმნის ფუძეს შორის; ეს მოვლენა, რომელსაც ტმესი ეწოდება, ძალიან ეყვარს შოთა რუსთაველსაც. მაგალ.,

ცხენი მომგვარეს, შე-ცა-ვჯე, მეფე ჩემთანა
მვლელია (356,4);
თავსა გადავჰკარ, მო-ცა-ვკალ, დავჰხსენ
სოფლისა თმობასა (910,5);
ესე სიტყვა დაასრულა, ყმამან სულთქნა,
ა-ცა-ტირდა (913,4).

დ. გურამიშვილის დროს ტმესი არ არის ენისათვის ნიშანდობლივი, მაგრამ ჩვენი პოეტი მას ხშირად მიმართავს. მაგალითები:

ვით თქვენ ბრძანეთ: „ვართ დამდნარნი“,
მაგით უფრო **დაცავდნებით** (66);
შავ თვალ-წარბას, პირად თეთრსა ასხდა შავი
ხალი,
მისმან ეშხმან **დაცამლეწა**, შემიმუსრა ძვალი
(212);

დაცაივიწყეს მათ მისი
ურიცხვი მოწყალებანი (36);
ღირს მყო და მე მიმაჩნია
დაცადგინებდა, მფლობელად (183).

იშვიათად, მაგრამ მაინც შეიძლება შეგვხვდეს ზმნის საწყისი ფორმის დასმა ვითარებით ბრუნვაში მიზნის გარემოების ფუნქციით (მასდარული კონსტრუქციის ერთ-ერთი სახეობა):

სიზმრად ვიხილე, კარს გარეთ ვრეკდი,
ქორწილში **შესვლად** შიგნით ვიწევდი (197);
ვინც ეს წიგნი განაწიგნა
კითხვად შესაქცევლად ჩვენდა (19).

გურამიშვილის ენაში სპორადულად გვხვდება აგრეთვე არქაული კავშირები: გინა (23, 25, 165), უკეთუ (280), ვითარცა (120), მაგრამე (236), რომე (65) და სხვ.

დ. გურამიშვილის პოეტურ ენაში ძველი ქართულის ელემენტები, არქაიზმები, სტილური კომპონენტის როლს ასრულებენ. ერთი მხრით, მის ნაწერებში ძველი ფორმები გვხვდება რელიგიური ხასიათის ლექსებში, რომელთა ენობრივი ქსოვილის სათანადო არქაიზაცია ბუნებრივი ჩანს (ამგვარ ლექსებში ჩვეულებრივია ძველი ფორმები: მოვედინ, იყავნ, ძნიად, დუბნ, მეოხმეყავ და სხვ.). მეორე მხრით, პოეტი სავსებით შეგნებულად ხმარობს ზოგიერთ არქაულ ფორმას ჩვეულებრივს საყოფაცხოვრებო ლექსებშიც. ასეთ ენობრივ მოვლენებს გურამიშვილი **სინონიმურ ფორმებად** მიიჩნევს და, მისი აზრით, მათი გამოყენება ახალ პოეტურ ენაში სავსებით დასაშვებია. სხვანაირად რომ ვთქვათ, გურამიშვილის განკარგულებაშია ერთი და იმავე ცნების გამომხატველი, ვთქვათ, ორი სიტყვა—ერთი არქაული, გადაშენებული და მეორე ახალი, მისი დროის ენისათვის დამახასიათებელი, ცოცხალი. ავტორი მათ ეპყრობა ისე, როგორც სინონიმებს, არჩევანი ზოგჯერ ვერსიფიკატორული მოთხოვნილებებით არის გამოწვეული. ამით აიხსნება არქაული და თანამედროვე ფორმების პარალელური გამოყენება, ხშირად ერთმანეთის გვერდითაც, ერთსა და იმავე სტროფში. გავიხსენოთ სტროფი:

დაჯდა სატყებრად, გოდებად,
თავთა ხლად ხე-ქვა ლოდებად,
გულსა სახმილის მოდებად,
შესაბრალ-**შესაცოდებლად** (205).

აქ ერთმანეთის გვერდითაა არქაული ფორმები — „გოდებად“, „მოდებად“ და ახალი ფორმები — „სატყებრად“, „შესაცოდებლად“. სადაც სამართალია, „გოდებად-მოდებად“ ფორმების გვერდით უნდა ყოფილიყო: „ტყებად, შეცოდებად“ (თუ თანმიმდევრობას დავიცავდით ძველი ქართულის მიხედვით), ხოლო „სატყებრად-შესაცოდებლად“ ფორმების გვერდით — „საგოდებლად-მოსადებად“ (თუ თანმიმდევრობას დავიცავდით ახალი ქართულის მიხედვით).

დავიმოწმოთ მრავალთაგან კიდევ ერთი მაგალითი:

მე ყინვისაგან დამძრალი
გენუკვი დასათბობელად,
გემუდარები, ნუ გამხდი
ცეცხლზედა დასართობელად (105).

„გენუკვი-გემუდარები“ სინონიმებია: ერთი—ძველი, მეორე — ახალი. საქმე ისაა, რომ ლექსი. საიდანაც მაგალითი მოგვყავს („ოდეს დავითს ტყვეობასა შინა სციოდა და მზე ღრუბლის გამო თვალით არა ჩნდა, იმაზე თქმული“) ჰიმნური ხასიათისაა და არქაიზაცია აქ გამოწვეულია თემატური აუცილებლობით.

დ. გურამიშვილის „დავითიანში“ დაცულ არქაულ ფორმათა უმრავლესობის ფესვები პოეტის დედაკილოში ძევს, ხალხურ მეტყველებაში შემონახული ცოცხალი მოვლენების შედეგია. გარკვეული ნაწილი არქაიზმებისა საეკლესიო ქართული ენის ძეგლებიდან მომდინარეობს; ესინი მწიგნობრული წარმოშობისაა და გვხვდება გურამიშვილის ისეთ ლექსებში, რომლებიც ჰიმნურ-საგალობლების წასაითისაა.

რაკი გურამიშვილმა თავისი ნაწარმოებების ენა დააფუძნა ხალხურ მეტყველებას, ბუნებრივია, იგი ვერ ასცდებოდა დიალექტურ მასალას, დიალექტიზმებს, რომლებიც არ ეგუებოდნენ სალიტერატურო ენის განვითარების საერთო გეზს და რამდენადმე წარმოადგენდნენ საერთო-სახალხო ენის სტრუქტურიდან გადახვევას.

ვიდრე განვიხილავდეთ გურამიშვილის ენაში დიალექტიზმებს, უნდა გავარკვიოთ: რომელ დიალექტს ეყრდნობა დიდი ქართველი პოეტი?

პოეტის დედაკილოა არაგვის ხეობის ქართლური, რომლის შედგენილობაში არამცირედი ადგილი უჭირავს ეგრეთწოდებული მთის კილოების, პირველ რიგში, მთიულურის (ამასთანავე კახური მეტყველების) ელემენტებს. „დავითიანში“ თვალნათლივ გამოიყოფა ისეთი ენობრივი მოვლენები, რომლებიც ქართლური დიალექტის საფუძველზე არ აიხსნებიან და, კერძოდ, მთიულურ-კახურ მეტყველებას განეკუთვნებიან.

„არაგვის ხეობის ქართლური“ არაგვის ხეობის მარცხენა მხარეზე მდებარე სოფლების მეტყველებაა. ეს სოფლებია: საგურამო, ბიწმენდი, არაშენდა, წინამძღვრიანთკარი, ახატაანი, დავათი და სხვ. აქ ძირითადად ქართლელები ბინადრობენ, მაგრამ მკვიდრ ქართლელებთან ერთად არიან მოსულებიც (მთიულეთიდან, ფშავ-ხევსურეთიდან, ყაზბეგიდან და დასავლეთ საქართველოდანაც). ამრიგად, ამ სოფლების ახლანდელი მოსახლეობის წინაპართაგან ბლოვად იყვნენ სხვადასხვა დიალექტის წარმომადგენლები. მათი მეტყველება დროთა ვითარებაში გათქვეფილა ქართლურ დიალექტში. მართალია, ხალხის დიდი ნაკადი უმთავრესად ბატონყმობის დროსაა გადმოსული,[1] მაგრამ, უეჭველია, მთიელთა ბარად ჩამოსვლა უფრო ძველი ამბავია. ამით აიხსნება, რომ არაგვის ხეობის ქართლურ დიალექტს თავისებური ადგილი უჭირავს ქართულ დიალექტთა შორის, მას ემჩნევა მთის კილოების ძლიერი გავლენა.

დ. გურამიშვილის ენაში გამოიყოფა გარკვეული ფენა, რომელიც აიხსნება მთის ქართული კილოების ნიადაგზე და, მაშასადამე, ჩვენი პოეტი კარგად ასახავს იმ კუთხის ენობრივ თავისებურებებს, სადაც მან გაატარა თავისი ცხოვრების ჭაბუკობის წლები, ვიდრე მას გაეტაცებდნენ სამშობლოდან.

ჩამოვთვალოთ ის ენობრივი მოვლენები, რომლებიც გურამიშვილის ენას აახლოებენ მთის ქართულ კილოებთან.[1]

1. გვხვდება „ვა“ კომპლექსის „ო“-დ ქცევის ისეთი ფაქტები, როგორიცაა: სხო (250), მწოდი (294), გამწოებული (282), აყოებული (218), წამიყონენ (230), და სხვ. გვხვდება მთიულურში და მოხეურში (აგრეთვე ინგილოურში და ფერეიდნულში); 2. „ც-ს“ მონაცვლეობა: ვერცად, არცად (მოვლენა ცნობილია კახურშიც); 3. „ვ“-ს დაკარგვა ფორმებში: სხიო (190), თაო (191). შეადარე ალ. ყაზბეგი („საბჭოთა მწერლის“ გამოცემა, 1955, გვ. 125); 4. „ვ“-ს ჩართვის ასეთი ნიმუშები: ცრუვი (241), ღრძუვი (193), და სხვ. გვხვდება მთიულურში და კახურში; 5. „კე“ თანდებული: უღლისაკე (180), რუსეთისაკე (84), ყიზლარისაკე (154). გვხვდება ფშაურ-ხევსურულ-მთიულურში; 6. ამავე ფუნქციით გამოყენებულია „ყე“: უკეთურთაყე (28). გვხვდება კახურში და სხვაგან; 7. „თვი“ თანდებული. გვხვდება უმთავრესად მთიულურში; 8. „იარ-იალ“ სუფიქსები, ნაცვლად „იერ-იელ“-ისა: განიარი (8), აგანიარეო (194), აღონიარეო (194), ათვალიარეო (195), აშვენიარეო (195), ცარიალი (196, 232, 397). გვხვდება უმთავრესად ხევსურულში, მთიულურში, მოხეურში; 9. აწმყოს ფუძის საწარმოებელი „ავ“, „ამ“ იცვლება „ევ“, „ემ“ სუფიქსით: იზიდევდა (61), ხედევდა (56), სწნევდა (296), სძრახევდენ (59), იბემდი (180), სვემდესა (25), მოვსთქვემდი (133); 10. „ევ“ სუფიქსიან ფუძედრეკად ზმნებს წყვეტილში „ვ“ შემონახული აქვთ: სძლიევეს (38), დაიქნივა (75), დაახიევ (80), დაულივა (143), გავერივე (173). არის ხევსურულში, კახურში, ქიზიყურში და სხვაგანაც; 11. ხოლმეობითის ფორმები; 12. გვხვდება „ჩირდილი“ (101, 314), სადაც „ი“ ჩართულია. დამახასიათებელია მთის კილოებისათვის; 13. დაცულია ფორმა „ერთმანერთი“ (323), რომელიც შენახულია მთიულურში (და სხვაგანაც); 14. „ყე“ ნაწილაკი ზმნაში, და სხვ.

მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომელ დიალექტურ წრეს უკავშირდება დ. გურამიშვილი, ვიკითხოთ: გარდა ზემოაღნიშნული ფონეტიკურ-მორფოლოგიური მოვლენებისა, ხალხური მეტყველების რა ნიშნებია წარმოდგენილი ჩვენი პოეტის ნაწერებში? აქ მივუთითებთ მხოლოდ უმთავრეს ენობრივ მოვლენებზე.

---

[1] იხ. გრ. იმნაიშვილის წერილი „იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში“, IV, 1953.

[1] მთის კილოების გავლენაზე პირველად მიუთითა ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე მ (გურამიშვილს გამოყენებული აქვს „ქართულ ლიტერატურაში ხალხური, კერძოდ მთიური კილო“. „იხ. „დავითიანი“, 1931, გვ. XXIII), მაგრამ, სამწუხაროდ. აეტორს არ მოჰყავს ამ დებულების დამამტკიცებელი საბუთები.

გურამიშვილის ენაში მეტად პროდუქციულია „დამ“ თანდებული, რომელიც ნიშანდობლივია აღმოსავლური კილოებისათვის: ქართლიდამ (156), პირიდამ (136), უბიდამ (131) და სხვ. ამ თანდებულის თავდაპირველი სახეა „დაღმე (დაღმა)“. გურამიშვილის ნაწერებში ეს ძველი სახეობაც წარმოდგენილია: აქადაღმე (131); ვხვდებით გარდამავალ სახეობასაც: თერგიდამე (139), მანდედამე (178). ფორმათა ფაკულტატურობა კარგად ჩანს ერთი და იმავე სტროფიდანაც:

შევამოკლო, აწ რა მერგო,
რაც ვიუბენ ამდენს ხანსა,
თერგიდამე სოლაღს წაველ,
სოლაღიდამ აშტრახანსა (139),

„დავითიანში“ ჩვეულებრივია აღმოსავლური დიალექტებისათვის დამახასიათებელი: 1. „მა“, „შა“, „წამა“ პრევერბები: მაგიარ (325), მაეკიღება (33), შაებრალდეო (110), წამაიჩოქეს (158) და სხვ.; 2. „მდინ“, „თვინ“ თანდებულები: ყელამდინ (192), მზისათვინ (183), და მრავალი სხვა; 3. „ვი“-ს დართვა წყვეტილში ე-ზე: მოიმკევით (201), მიგდევით (199) და სხვა; 4. „შტ“ კომპლექსის ცვლა „სტ“ კომპლექსად: სტერი (217), გასასტერები (37), გაგასტერა (304).

საინტერესოა, რომ სახელებს ერთვის „ა“ ნაწილაკი, რომელიც კნინობითობას არ გამოხატავს: დარაჯა (88), შიშველა (142), ეკალა (285), ბარგა (182) და მისთანანი.

როგორც ცნობილია, აღმოსავლურ კილოებს (განსაკუთრებით ქიზიყურს, კახურს) ახასიათებს სიტყვათა შეხამებაში „ს“-ს მოკვეცა ნათესაობით ბრუნვაში. გურამიშვილთან ორგან გვხვდება ასეთი შეხამება: საქმი ხმარება (31), დანი სადარი (102), ე. ი. „საქმის ხმარება“, „დანის სადარი“. „დავითიანის“ კრიტიკულ გამოცემაში (1931 წ: ალ. ბარამიძის და ს. ინორდანიშვილის რედაქციით, 1955 წ.: „საბჭოთა მწერალის“ გამოცემა. 1955 წ. სახელგამის გამოცემა) „ს“ აღდგენილია ამ კონტექსტებში კვადრატულ ფრჩხილებში, და ეს იმის მაჩვენებელია, რომ, რედაქციის აზრით, საქმე გვაქვს ავტორის კალმის შეცდომასთან. აი ეს ადგილებიც:

ჭკუვა პურია სახითა
მჭამველთა შესარგებელი,
ცოდნა და საქმი[ს] ხმარება
— მარილი დასაწებელი (31).
გულს მიკოდს სევდის ლახვარი
ალმასის დანი[ს] სადარი,
დედ-მამა, ძმანი დავკარგე,
არ ვიცი, დანი სად არი (102).

ეს რედაქციული ცვლილება სადავოა: „ს“ აქ უბრალოდ გამოტოვებული კი არ არის პოეტის ავტოგრაფში, არამედ არც უნდა ყოფილიყო, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გამარტივებულ ფორმებს (დანი სადარი, საქმი ხმარება) რეალური საყრდენი აქვს ხალხურ მეტყველებაში, და აქ გურამიშვილი იცავს დიალექტიზმს (ისევე როგორც სხვა შემთხვევებში). სხვა არა იყოს რა, ვერსიფიკატორული თვალსაზრისითაც აქ რედაქტორის მიერ „ს“-ს ჩამატება გაუმართლებელია. შეადარე მაჯამური რითმები:

ვაი თუ ქვეყნის გამსტრობად
ვითა ძე **დანი სადარი**,
მზეს ღრუბლის გამო ვერ ვხედავ,
აწ ბურმან **დანისა დარი**;
გულს მიკოდს სევდის ლახვარი,
ალმასის **დანი სადარი**,
დედ-მამა, ძმანი დავკარგე,
არ ვიცი, **დანი სად არი**.

ამ შემთხვევაში პოეტმა მაჯამის საჭიროებისათვის გამოიყენა ენაში (დიალექტში, ხალხურ მეტყველებაში) არსებული შესაძლებლობა „ს“-ს მოკვეცისა ნათესაობით ბრუნვაში: „დანი სად არი“, ნაცვლად ამისა: „დანის სადარი“.

გურამიშვილის ენაში დადასტურებული დიალექტიზმები მეტ-ნაკლებად ახასიათებდა მეთორმეტე-მეთვრამეტე (განსაკუთრებით მეთექვსმეტე-მეთვრამეტე) საუკუნეების სალიტერატურო ენას.

გურამიშვილის ლექსის ხალხურობის დასახასიათებლად მნიშვნელოვანია ერთი გარემოებაც. როგორც ა. შანიძემ გამოარკვია, ქართულში გვხვდება ხმოვნები ა და ო, რომლებიც არც ფუძეს ეკუთვნიან და არც რაიმე გრამატიკულ ფუნქციას ასრულებენ. ეს ხმოვნები არის მხოლოდ ლექსში, სიტყვის ბოლოს, უფრო ცეზურის შემდეგ და ტაპის დაბოლოებისას — მარცვალთა რაოდენობის შესავსებად. რადგან ეს ხმოვნები მარტოოდენ პოეზიაში იხმარება და მეტრიკის მიზნებისათვის, ამიტომ ა. შანიძე მათ „პროსოდიულ ხმოვნებს“ უწოდებს („ქართ. გრამატიკის საფუძვლები“, I, 1953, გვ. 632). გამორკვეულია, რომ პროსოდიული ხმოვნები გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“ და მომდევნო ხანის ლექსებსა და პოემებში, მაგრამ ისინი ნ ი შ ა ნ დ ო ბ ლ ი ვ ი ა ხალხური პოეზიისათვის და ამდენად ამ ხანის მწერლობაში ეგ მოვლენა ხალხური პოეზიის გავლენას უნდა მიეწეროს. გურამიშვილის შემოქმედებაში პროსოდიული ხმოვნები ყველაზე ჭარბად არის წარმოდგენილი, შეიძლება ითქვას, რომ დიდმა პოეტმა ამ მოვლენას ყველაზე მეტი გასაქანი მისცა და ამით ქართული ლექსი მაქსიმალურად დაუახლოვა ხალხურ მეტყველებას. იგულისხმება ისეთი მაგალითები, როგორიცაა:

წყალს გამიყვანეს ნავითა,
საყდარში შ ე მ ი ყ ვ ა ნ ე ს ო,
დამაწერინეს პირჯვარი,
ხატებსა მ ა თ ა ყ ვ ა ნ ე ს ო;
კვლავ მიხმეს სამდივნოშია,
მაყვირეს მ ა ყ ა ყ ა ნ ე ს ო,
მკითხეს: „ვინა ხარ, სად მიხვალ,
რად იყავ ლ ა მ ი ს-ყ ა ნ ე ს ო“ (139),

ან კიდევ:

ავის მქნელსა ავის საქმით
ღმერთი საქმეს მ ო უ რ თ ა ვ ს ა (148),
რუსთ ხელმწიფეს მისწერა:
— „გამეცა, ბაქოს ნუ ხ ა რ ა“ (153).

როგორც ა. შანიძე ფიქრობს, პროსოდიული ხმოვნების წარმოშობის მიზეზი უნდა ვეძიოთ სარწმუნოებრივისა და სხვა სახის გალობა-სიმღერათა სიტყვების გაგრძობილად წარმოთქმის ჩვეულებაში. ამაზე მიგვითითებს გადმონაშთის სახით დღემდე შემონახული გაგრძელება სიტყვებისა ქართულსა და სვანურ ხალხურ სიმღერებში (აგრეთვე ძველ ქართულ საეკლესიო საგალობლებში) მარცვლების ჩართვით და დართვით.

დ. გურამიშვილი სიტყვის დიდი ოსტატია. მის ნაწერებში არაიშვიათად გვხვდება ახალი ენობრივი ფორმები, ნეოლოგიზმები, გამომუშავებული საერთოერრნული ენის შინაგანი ბუნების შესაბამისად. პოეტის სიტყვათ შემოქმედებითს ძიებებში ბევრი რამ უთუოდ საყურადღებოა.

გავეცნოთ ნიმუშებს.

გურამიშვილს ძალიან უყვარს სახელებისაგან ზმნების წარმოება. ამ შემთხვევაში პოეტი მარჯვედ იყენებს ქართული ზმნის მდიდარ შინაგან შესაძლებლობებს. მაგალითად, ნაცვლად ამისა— „სვეტ-ბოძად გაგვიხდაო“, პოეტი აკეთებს ზმნურ კომპოზიტს: **მისვეტ-მებოძე, გვესვეტ-გვებოძა:**

მამავ, შენი ძეო, ვითხოვ, მიბოძეო,
ვიქცევი ქვესკნეთს ვარდები, მ ი ს ვ ე ტ-
მ ი ბ ო ძ ე ო (131).

ძე მოგვებოძა, **გვესვეტ-გვებოძა,**
მე დაქცეული მისგან ავშენდი,
დავითს, დავითო, მიხამდა ვითო,
ეგრეთ ნუგეშმცა და მად ვაქებდი (181).

ასევე გაზმნურებულია „თვისტომი“: **ითვისიტომა:**

ითვის-იტომა დავითის შტომა,
რქად აღამორჩა თვისი გამრქედი;
მოება ზედა, აღზარდა ძედ:
მან მზრდელი თვისი, მით მიხვდ:
ბედი (180).

რთული ფუძისაგან „კაცისმკვლელი“ მიღებულია ზმნა: **იკაცისმკვლელა:**

თვისი ცხოვრება ხორცზედ გარდაგო,
არა მომეცა რა სულს საფარსაგო,
ი კ ა ც ი ს მ კ ვ ლ ე ლ ა, იქურდ-იბოზა,
ყოვლის სიბილწით მთხუნა, განმგოზა
(365).

კომპოზიტური ფორმისაგან „თვალტვინი“ ნაწარმოებია ზმნა **ითვალტვინოს,** რაც ნიშნავს: „თვალტვინი ამოაცალოს“:

იტყვის: ვაი, თუ გაფრინდეს შორსა,
თავისის ნებით მიეცეს ქორსა;
იმან ი თ ვ ა ლ ტ ვ ი ნ ო ს, მე კი
ამადრტვინოს
მისის ნაღვლითა! (342).

სიტყვისაგან „ხ.ოტბა“ მიღებულია ზმნური ფორმა **ვიხოტბე:**

ამად ვ ი ხ ო ტ ბ ე, შევკრიბ
ცრუის საწუთროს ყბედობა (6).

სიტყვისაგან „წიგნი“ გამომუშავებულია **იწიგნებს,** რაც ნიშნავს: „წაიკითხავს, წიგნად მიიჩნევს:“

მეფე ვახტანგ ამ რაყამსა
არც ისმენს და არც ი წ ი გ ნ ე ბ ს (65).

„დუქან-ბაზარი“ კომპოზიტური სიტყვა გაზმნურებულია ამგვარად:

მოდუქან — მობაზარობენ,

რაც ნიშნავს: „ვაჭრობენ“:

მითვე ლაშქრობენ, ვაჭრობენ,
მ ო დ უ ქ ა ნ-მ ო ბ ა ზ ა რ ო ბ ე ნ (52).

ნასახელარი ზმნაა, აგრეთვე, განგიადლა სიტყვისაგან „ადლი“, რაც ნიშნავს: „ადლით მოგიზომა“:

მღვრდელო, რაც ღმერთმან მადლი
მოგმადლა,
არც აგიწონა, არც გ ა ნ გ ი ა დ ლ ა (362).

ზმნა მიღებულია რიცხვითი სახელისაგანაც: **განახუთოს** (ხუთად გახადოს):

ამისთანა ბატონს ვაქებ,
მან ერთი ყმა გ ა ნ ა ხ უ თ ო ს (45).

გავიხსენოთ რიცხვითი სახელების გაზმნავების შემთხვევები „ვეფხისტყაოსანში“. მაგალ.,

თავთა ჭირი უ ა თ ა ს ე თ, რაც უ შ ვ ი დ ე თ,
რადცა ურ ვ ე თ,
უმართლეა, ვერ მ ჭ ვ რ ე ტ ე ლ მ ან, თუ პ ა ტ ი ე ნ ი
ი ა ს ო ც ნ ე ს;
იგი ჭირი დაღრეჯილსა უ ა თ ა ს დ ა, არ
უ ა თ დ ა.

გარდა ნასახელარი ზმნებისა, გურამიშვილის სიტყვათშემოქმედებითს ძიებებში აღსანიშნავია ახალი სიტყვათწარმოებითი ფორმების, ახალი მიმღეობების ფართოდ გამოყენება.

ესენია: **გამრქედი** (რქად გამზიდველი, რქად გამხდელი), **თავზვითქებული** (თავზე ოფლგადადენილი — საპნის ქაფივით), **მყვარი** (საყვარელი, სატრფო), **განწყრთეული** (წყრთით გაზომილი), **გარეობა** (გარეყოფნა, ლაშქრობა), **მლოთავი** (ლოთი, ღვინის მსმელი), **წუთმიჯნური** (წამიერი სატრფო); საინტერესოა, აგრეთვე, **შრტო,** რომელიც მიღებულია „რტო“ და „შტო“ სახეობების შერწყმით (კონტამინაციის წესით). **მძმობელი** (ძმად გამხდომი), **მდობელი** (დად გამხდომი), **გიდობს** დობას გაგიწევს: „ნუ მაინდომებ სამოყვროდ, არც გიძმობს, არცა გ ი დ ო ბ ს; 248. ნაწარმოებია ანალოგიით ფორმისა: გიძმობს“), **დაყვირილი** (დაყვირება: „ვერ გამაცოცხლებს თავს დ ა ყ ვ ი რ ი ლ ი“: 361), **მამაობა** (მამად მიიჩნევს: „რუსთ ხელმწიფესთან მ ა მ ა ო ბ ს“: 59), **ენაობა** (ენის მიტან-მოტანა: „ე ნ ა ო ბ თ და ჩხუბსა სთესავთ“: 87), **სამართლოვანი** (სამართლიანი), **თავმდაბლოვანი** (თავმდაბალი), **მბაქველი** (ბაქია: „დასაბაქველ

მბაქველმან არც აგრე უნდა ბაქოსა“: 152), **წაუხდომარე, საყნოსარე, მწადე,** და სხვ.

გურამიშვილის ენაში არქაული (ძველი ქართული სალიტერატურო ენის) ლექსიკიდან გვხვდება შემდეგი სიტყვები: **მორჩი, მტილი, მუქაფა, მუშკი, მქრქალი, უგბილი, უდები, ხლდომა, ხორშაკი,** და სხვ.

ცოცხალი მეტყველებიდან პოეტს აღებული აქვს შემდეგი სიტყვები: **აბუჩი** (დაუპატიჟებელი სტუმარი), **ალაბულა** (ჩალანარევი ბეწვი), **ანძალა** (ენძელა), **ბაბანი** (ყანკალი სიცივისაგან), **ბაკანი** (ხის ჯამი), **ბალა-ჩალა** (ჩალა), **ბარჯა** (კაპიანი ჯოხი), **ბერა** (შუაგასავლელი მეწველთა შუა), **გალი** (უშტოო ხე), **გოზაური** (დიდი საღვინე), **გოლი** (გამოუწურავი თაფლი), **გულყო** (ყელზე გადასაცმელი მახე), **დაყმედილი** (მომშეული), **თბილთაჯა** (ჯავახური პური), **კაბდო** (საფარცხე ფიცარი), **ლილო** (თოვლმჭრელი, აქა-იქ გამდნარ-აღებული), **მანგალი** (ნამგალი), **მარი** (გამშორდი, გამეცალე), **მაწაწური** (ქვევრის ამოსახოცელი), **ტორუა** (ტოროლა), **ჩირდილი** (ჩრდილი), **წინწკალი** (ნაპერწკალი), **ხალი** (მოხალული მარცვალი), **ხიდილი** (გახიდული), **ხნარცვი,** და სხვ.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ დიალექტური ლექსიკის ზემომოყვანილი ნიმუშებიდან ზოგი სიტყვა არქაული სალიტერატურო ლექსიკის კუთვნილებაცაა, მაგრამ აქ ჩვენთვის ხაზგასასმელია, რომ ეგ სიტყვები ცოცხალი იყო (ამჟამადაც იხმარება) იმ დიალექტებში, საიდანაც ისრუტავდა ჩვენი პოეტი სიტყვობრივ მასალას და ამით ამდიდრებდა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკონს.

ასეთია დ. გურამიშვილის ენის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები. დიდი პოეტი ქართული ენის ღრმა მცოდნეა. მდიდარია მისი ლექსიკონი, მთელი სიგრძე-სიგანითაა გადაშლილი „დავითიანში“, ქართული ენის ამ უბრწყინვალეს ძეგლში, ჩვენი მეტყველების გრამატიკული ფორმები, დახვეწილი და ლაპიდარულია სტილი, დიდი შემოქმედებითი ძალით გამოვლენილია ენის შინაგანი შესაძლებლობანი როგორც გრამატიკის, ისე ლექსიკის დარგებში; გურამიშვილი არ ღალატობს ქართული საერთო-სახალხო ენის კანონზომიერებას, მის მიერ გამოყენებული ენობრივი ინვენტარი დაფუძნებულია საერთოეროვნული ენის სტრუქტურაზე.

დ. გურამიშვილმა თავისი უკვდავი „დავითიანი“ სამართლიანად დაიმკვიდრა განსაკუთრებული ადგილი მრავალსაუკუნოვანი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალეკო სანაღირაძე

★

პანტელეიმონ ჩხიკვაძის შემოქმედება

(თხზულებათა ერთტომეულის გამოცემის გამო)

მიმდინარე წლის აპრილში შესრულდა თხუთმეტი წელი ცნობილი ქართველი პროზაიკოსის პანტელეიმონ ჩხიკვაძის გარდაცვალებიდან. ახლახან კი „სახელგამმა" გამოსცა მისი ნაწარმოებების ერთტომეული, რომელშიაც შეტანილია ხუთი მოთხრობა და ორი რომანი.

ამ წერილში შეეცდებით მოკლედ გადმოვცეთ პანტელეიმონ ჩხიკვაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ფაქტები (მით უმეტეს, რომ ერთტომეულს არ ახლავს არავითარი წინასიტყვაობა, რაც აუცილებლად ნაკლად უნდა ჩაითვალოს) და შეძლებისდაგვარად გავარჩიოთ არა მარტო ამ წიგნში შესული ნაწარმოებები, არამედ საერთოდ მწერლის შემოქმედება.

„დედის ნანა და მშობლიური ალერსი ერთხელაც არ მსმენია ჩემს ცხოვრებაში. სამაგიეროდ „მარსელიოზას" მქუხარე ხმა ჩვენს ჭვარტლიან ფაცხამდეც აღწევდა. კიდევ მეტი: ენა რომ ამოვიდგი, ჩემი პირველი სასიმღერო ენის გასატეხი იყო: — იქნება, რა იქნება?! ძირს ხელმწიფე, მაღლა მუშა უსათუოდ იქნება!"[1] — წერდა მწერალი თავის მოგონებაში და მართლაც რა სიხარული უნდა ენახა ღარიბი გლეხის ოჯახში დაბადებულს.

პატარა გურიის ლამაზ სოფელ ბუკისციხეში გაახილა თვალი მომავალმა მწერალმა 1903 წელს. ეს იყო რევოლუციური აღმავლობის გარიჟრაჟი, რასაც მოჰყვა ცხრაასხუთის ბობოქარი დღეები, აჯანყებულთა ვაჟკაცური ბრძოლა შავრაზმელების წინააღმდეგ და შემდეგ ცეცხლი და მახვილი, ჯალათ ალიხანოვ-ავარსკის მიერ აწიოკებული ოჯახები და გადაბუგული სოფლები.

უკვე წამოჩიტულ პანტელეიმონს ბავშვობის ერთადერთი მეგობარი, საყვარელი ბაბუა უამბობდა ბატონყმობის დროს თავისუფლებისათვის ტყეში გაპრილ ვაჟკაცებზე და მხარიღლივ საწიგნეგადაკიდებული შავტუხა ბიჭის მგრძნობიარე გული შურისძიების ცეცხლით ივსებოდა.

სოფლის ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 12 წლის პანტელეიმონი, რომელსაც არ ჰქონდა სწავლის გაგრძელების საშუალება, თბილისში მიემგზავრება „ფულის საშოვნელად". აქ რამდენიმე ხანს აუტანელ პირობებში მუშაობს ჭურჭლის მრეცხავად ერთ-ერთ დიდ რესტორანში. დედაქალაქში ხანგრძლივად ყოფნამ ბევრ რამეზე აუხილა თვალი ცოდნასმოწყურებულ ცნობისმოყვარე მოზარდს. არალეგალურ ლიტერატურაზე ხარბად დაწაფებამ, პროფესიონალ რევოლუციონერებთან გულთბილმა საუბრებმა გამოიწვია ის ამბავი, რომ მწერლისავე სიტყვებით, მისი „პოლიტიკური სიმპათიები ბოლშევიკებისაკენ იხრებოდა".

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იატაკქვეშა კომკავშირის წევრი, უკვე საკმაოდ გათვითცნობიერებული პანტელეიმონი, აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ მუშაობაში. ის იყო რაიონის კომკავშირის ინსტრუქტორი, რევკომის მდივანი, თემის კომუჯრედის მდივანი... 1922 წელს, ჩოხატაურის გიმნაზიის დამთავრებისთანავე იგი ისევ თბილისს უბრუნდება, სადაც მუშაობა უხდება მრავალ სხვადასხვა ადგილას: მტვირთავად საბარგო სადგურში, ადგილკომის მდივნად და თავმჯდომარედ, დატვირთვა-გადმოტვირთვის უბნის რწმუნებულად, სახელმწიფო-საფინანსო ინსპექტორად, აღმასკომის რევიზორად.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ ცხოვრების მკაცრ სკოლაში გამოწრთობილი პანტელეიმონი 1929 წელს მიღებულ იქნა კომუნისტური პარტიის რიგებში. იმავე წლიდან იგი გაზეთ „კომუნისტის" აქტიური მუშაკორია.

მრავალრიცხოვანი კორესპონდენციებისა და პატარა ნარკვევების გამოქვეყნების შემდეგ, 1929 წელს, ჟურნალ „პროლეტარულ მწერლობაში" დაიბეჭდა პანტელეიმონ ჩხიკვაძის პირველი მოთხრობა „დაბინდებიდან გათენებამდე".

1930 წელს გამოქვეყნებული რომანით—„სართულები" პანტ. ჩხიკვაძე მტკიცედ ჩადგა ქართველ პროლეტარულ მწერალთა მოწინავე რიგებში. ამის შემდეგ იგი ზედიზედ წერს მხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებიც თანდათან იმსახურებენ ფართო საზოგადოებრიობის ყურადღებასა და სიყვარულს.

პანტ. ჩხიკვაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს მწერალთა საზოგადოებრივ და ორგანიზაციულ ცხოვრებაში. იგი სხვადასხვა დროს იყო ჟურნალ „მნათობისა" და „ლიტერატურული გაზეთის" რედკოლეგიების წევრი, საქართველოს მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი და პრეზიდიუმის წევრი. 1934 წელს, სხვა მოწინავე მწერლებთან ერთად, არჩეულ იქ-

[1] პანტ. ჩხიკვაძე, მწერლის გზა: „ლიტერატურული საქართველო", 1936, № 1.

ნა საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობის დელეგატად.

თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ძძმე სენით დაავადებული მწერალი ვეღარ მუშაობდა ჩვეულებრივი ენერგიით. აბასთუმნისა და ზღვისპირა კურორტების ხშირი სტუმარი, ტუბერკულოზის ულმობელ კლანჭებში მოქცეული პანტელეიმონი მაინც ვაჟკაცური მხნეობით ებრძოდა ავადმყოფობას და, როგორც კომუნისტ მწერალს, ერთი წუთითაც არ უფიქრია თავისი საბრძოლო იარაღის — კალმის ხელიდან გაგდება. აბასთუმნიდან მოწერილი მისი ბარათები გაჟღენთილია ოპტიმიზმითა და სულიერი სიმტკიცით.

პანტ. ჩხიკვაძე სულ რაღაც ათიოდე წელი მოღვაწეობდა ლიტერატურულ სარბიელზე და თითქოს გრძნობდა თავისი სიცოცხლის ნაადრევ დამთავრებას, საოცარი შრომისმოყვარეობით მუშაობდა ეს უკურნებელი სენით დაავადებული ადამიანი. მას თითქოს ეჩქარებოდა მოესწრო დაწერა ყველაფერსა და ყველაზე. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მას სამი რომანი დარჩა დაუმთავრებელი.

პანტ. ჩხიკვაძე ყოველთვის წერდა თემატიკურად აქტუალურ საკითხებზე, იმ საკითხებზე, რომლებიც დღის წესრიგში იდგა სოციალიზმის მშენებელ ხალხისა და პარტიის წინ, იქნებოდა ეს სოფლის კოლექტივიზაცია თუ ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, ბრძოლა კლასობრივ მტრებთან თუ ახლის დანერგვა, ადამიანებში ბურჟუაზიულ გადმონაშთებთან გალაშქრება თუ საბჭოთა ადამიანის ფორმირება, რევოლუციის გმირული წარსული თუ ხვალინდელი დღის ბრწყინვალება.

პანტ. ჩხიკვაძის ნაწარმოებებს ამავე დროს ახასიათებდა თემატიკური მრავალფეროვნება. მას შეეძლო სიუჟეტის ლოგიკური გაშლა და მოვლენების დამაინტერესებლად განვითარება. საკმაო ოსტატობას იჩენდა მწერალი პეიზაჟების დახატვასა და მთავარ გმირთა ხასიათების გამოკვეთაში. ცოცხალია და ლაკონიური მისი დიალოგები. პანტ. ჩხიკვაძე წერდა რეალისტურად, მის რომანებსა და მოთხრობებში იშვიათად შეიმჩნევა ბუნდოვანი, სტრიქონები.

პანტ. ჩხიკვაძის ნაწარმოებებს აქვს ნაკლოვანებებიც. ხშირად მწერლის ჩანაფიქრს აკლდა მხატვრული ხორკშესხმა. საკმაოდ სცოდავდა იგი, აგრეთვე, ენობრივად — ხმარობდა პროვინციალიზმებს (განსაკუთრებით გურული დიალექტიდან). მაგრამ დიდი მონდომებით მუშაობდა თავისი სტილის დახვეწაზე.

როგორც ვთქვით, პანტ. ჩხიკვაძის პირველი სერიოზული ნაწარმოები იყო რომანი „სართულები", რომელიც საერთოდ პირველი რომანია საწარმოო თემაზე შექმნილი ქართულ ლიტერატურაში. მიუხედავად მთელი რიგი სიძნელეებისა, მწერალმა ძირითადში დადებითად გადაჭრა რთული ამოცანა, — დაწერა სრულიად ახალი თემატიკის ნაწარმოები. „სართულებში" ავტორი შეეხო სოციალისტური მშენებლობის, კლასობრივი მტრის წინააღმდეგ ბრძოლისა — და ახალი ოჯახის საკითხებს. ამაგე — რომანში ერთ-ერთი პირველთაგანი ქართულ საბჭოთა პროზაში, შეეცადა დაეხატა ხელმძღვანელი ბოლშევიკის სახე; — „სართულების" მთავარი გმირი გრიგოლ გიგაური პირველი ცდაა ამ მხრივ. რომანში დამაჯერებლადაა ასახული ის წინააღმდეგობანი, რომელთაც ადგილი ჰქონდათ პირველი ხუთწლედის დროს. განსაკუთრებული სიმკაცრით ამხელს ავტორი ხალხის მტრების შავბნელ საქმიანობას და გვიხატავს პატიოსანი მშრომელების ზიზღს მათ მიმართ.

„სართულებში" პანტ. ჩხიკვაძემ დადებითი და უარყოფითი სახეების მთელი გალერეა შექმნა. რა თქმა უნდა, ისინი ყველა არაა დასრულებული, მაგრამ ზოგი მათგანი მაინც გამოირჩევა მკვეთრი ინდივიდუალური თვისებებით. მათ შორისაა მშენებლობის ხელმძღვანელი გრიგოლ გიგაური, მისი მეშჩანი მეუღლე ლუარა, მავნებლები ლევან გიგაური, მელიქოვი, ვაინბერგი, უბრალო ადამიანები, ფაბრიკის ენთუზიასტი მუშები სულაკაური, ტატე და სხვ.

„სართულებს" თავის დროისათვის დიდი გამოძახილი ჰქონდა. ამ რომანს მიეძღვნა ათეულობით კრიტიკული წერილი და რეცენზია რუსულ-ქართულ პრესაში. „სართულები" ითარგმნა რუსულ და სომხურ ენებზე.

გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე პანტ. ჩხიკვაძემ ჟურნალ „მნათობში" დაბეჭდა თავისი უკანასკნელი რომანის — „ახალი ხმელეთის" პირველი ნაწილი. „ახალ ხმელეთში" მწერალი შეეხო ჩვენს ქვეყანაში მომხდარი გრანდიოზული ძვრის — სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაციის თემას. მართალია, ეს რომანი არ დგას ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ამავე თემაზე შექმნილი გამოჩენილი ნაწარმოებების („გვადი ბიგვა", „კოლხეთის ციცკარი", „ლელო") სიმაღლეზე, მაგრამ ავტორმა მაინც შეძლო საინტერესოდ გადმოეცა ახალი ეტაპის დაწყება სოფლად და გლეხთა სხვადასხვა წრეების დამოკიდებულება კოლმეურნეობისადმი. ამავე რომანში ჰქონდა განზრახული მწერალს ავსახა ის დიდი სამუშაოები, რომლებიც გაიშალა კოლხეთის დაჭაობებული ველების ამოსაშრობად.

„ახალ ხმელეთში" მწერალი სამეგრელოს, მეგრელი გლეხების ცხოვრების კარგ ცოდნას ამჟღავნებს. ნათელი რეალისტური ფერებით ასახავს მწერალი ამ კუთხისათვის დამახასიათებელ მოვლენებს, ახალი სხივის შემოჭრას მშრომელი გლეხკაცობის ცხოვრებაში, პირველ დაბრკოლებებსა და შეცდომებს.

„ახალ ხმელეთში" მთელი წყებაა დასამახსოვრებელი სახეებისა, მათ შორის გამოირჩევა: შეშისმჭრელი ღარიბი იორდანე ღვამიჩავა, სოფლის წურბელა კულაკი უტუ ბერულავა, კოლექტივისათვის თავდადებული ბონდო ოჩიგავა, აშკარა მავნებელი პაპუ ხორავა, რაიკომის ინს-

ტრუქტორი ტიტე ვაშალომიძე, ცხენის ქურდი ხიტი მალანია და სხვები.

„ერთტომეულში" შეტანილ მოთხრობებში და საერთოდ პანტ. ჩხიკვაძის მთელ შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „რომანტიულ ამბავს". მწერალი თავის შემოქმედებაში არა მარტო წარსულის დუხჭირ და, ამავე დროს, გმირულ დღეებს აცოცხლებდა, ან დღევანდელობის სისხლსავსე ცხოვრებას აღწერდა, — ის ხვალინდელ დღესაც ხედავდა და სწამდა მისი, სწამდა გიგანტური შესაძლებლობანი უძლეველი იდეით შთაგონებული ხალხისა და აი, სწორედ ამ რწმენით არის გამსჭვალული ეს ვრცელი მოთხრობა. „რომანტიული ამბავი" ფანტასტიკური მოთხრობაა, მაგრამ ფანტასტიკა ისე მოხდენილათაა შერწყმული სინამდვილესთან, რომ ორავითარი დაუჯერებლობა არ იგრძნობა. „რომანტიული ამბავის" მთავარი გმირი ინჟინერი ხანდაველი მეტად მიმზიდველი სახეა საბჭოთა ადამიანისა, რომელიც შეუდრეკელად მიდის წინ თავისი თითქოსდა განუხორციელებელი მიზნის შესრულებისაკენ. ტრანს-კავკასიონის გვირაბის გაჭრა! — აი, მისი ოცნება ბავშვობიდანვე და მიუხედავად დიდი დაბრკოლებებისა, ხანდაველი პარტიისა და მთავრობის, მშრომელი ხალხის დახმარებით მაინც აღწევს თავის სანუკვარ მიზანს. ხანდაველი ტიპიური სახეა პროლეტარული წრიდან გამოსული ინტელიგენტისა, რომელიც ებრძვის დრომოჭმულ, ყალბ შეხედულებებს და გაბედულად აყენებს ახალ საკითხებს.

საკმაოდ გახმაურებულ მოთხრობაში „ამხანაგი ბუთხუზი" მწერალი ერთხელ კიდევ დაუბრუნდა საწარმოო თემას. მოთხრობაში დამაჯერებლადაა ნაჩვენები სოციალისტური ქარხნის ცხოვრება და შრომის ახალი კულტურის დამკვიდრება. „ამხანაგ ბუთხუზში" ავტორი შეეხო ადამიანის შეგნებაში ბურჟუაზიული გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლას და კოლექტივის როლს ადამიანის სულიერ გარდაქმნაში. ბორია ბუთხუზი მოწინავე მუშა და აქტიური პარტმუშაკი ფუქსავატი მეუღლის ქეთოს მეშჩანურ წუმპეში ჩაეფლო, მოლიპულ გზაზე დაქანდა, მაგრამ ამხანაგების მკაცრი კრიტიკისა და მეგობრული დახმარების შემდეგ ისევ გამოსწორდება.

მეტად აქტუალურ თემებზეა დაწერილი მოთხრობები „მეცხრე ცაზე" და „შეძლებულ ცხოვრებისაკენ". პირველში ასახულია ერთ-ერთი პირველი ქართველი მფრინავი ქალის ცხოვრება, მეორეში კი რეალისტურადაა გადმოცემული სოფლის კოლექტივიზაცია.

მენშევიკური მთავრობის უსუსურობისა და მათ მიერ ძმათა შორის სისხლისღვრის გაჩაღების მკაფიო სურათებია მოცემული მოთხრობაში „De jure".

ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში არა ერთი და ორი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები შეიქმნა 1905 წლის რევოლუციის თემაზე. მათ შორის, აღსანიშნავია პანტ. ჩხიკვაძის მიერ ჩაფიქრებული ტრილოგიის „ნაბიჯების" პირველი წიგნი, რომელიც 1933 წელს გამოქვეყნდა. „ნაბიჯები" მწერლის ყველაზე უფრო პოპულარული ნაწარმოებია. ამ რომანის უმთავრესი ლირსება ზუსტ მხატვრულ სიმართლეში მდგომარეობს, რაც გამომდინარეობს ავტორის მიერ ისტორიული ფაქტების სწორი შეფასებისაგან. „ნაბიჯები" ფართო ეპიური ტილოა, რომელშიაც აისახა 1903 — 1905 წლების რევოლუციის მღელვარე დღეები გურია-სამეგრელოში. ამ ორი კუთხის კონკრეტულ მაგალითზე მწერალმა კარგად გვიჩვენა მთელი იმდროინდელი საქართველოს საერთო მდგომარეობა. რომანი დაწერილია ნათელი რეალისტური ფერებით და იკითხება შეუნელებელი ინტერესით.

სამწუხაროდ, ეს რომანი არ არის შეტანილი „ერთტომეულში", კარგი იყო 1905 წლის რევოლუციის იუბილესთან დაკავშირებით მისი ხელახლა გამოქვეყნება.

„ნაბიჯებში" დაპირისპირებულია ორი სამყარო — ძმების ძიგუების სახით. ერთ მხარეზეა ბეგლარ — ღარიბი მეგრელი ახალგაზრდა, ვაჟკაცური მკლავის და ალალ-მართალი გულის პატრონი. ბეგლარი თავიდანვე შეებრძოლება უსამართლობას და ეს შეუგნებელი, სტიქიური წინააღმდეგობა თანდათან გადაიქცევა გათვითცნობიერებული, ჩამოყალიბებული რევოლუციონერის ბრძოლად მეფის თვითმპყრობელური რეჟიმის დამხობისათვის. მეორე მხარეს კი მოჩანს ძიკი — ბეგლარის უმცროსი ძმა. სულმდაბალია და ლაჩარი ძიკი, იგი ძმასაც კი არ ინდობს კარიერისა და ფულისათვის. ძიკისთვის არაფერი წმინდა არ არსებობს, ძიკი მტერია ყოველივე ახალის, პროგრესულის. ღვიძლი ძმების დაპირისპირებით მწერალი გვიჩვენებს იმ ღრმა უფსკრულს, რომელიც გაითხარა საქართველოს მშრომელ ხალხსა და მეფის დამქაშებს შორის. ძიგუების ქალარა დედა სალომე წყევლა-კრულვით გააგდებს სახლიდან სახელოვანი ოჯახის ლაფდამსხმელ ძიკის და მკითხველს სჯერა, რომ ეს სალომე კი არა, მთელი საქართველოა, რომელმაც ასევე შეაჩვენა და გარიყა თავისი უღირსი შვილები.

„ნაბიჯებში" რეალისტი მწერლის უტყუარი ალღოთია მიგნებული და აღწერილი მშრომელი ხალხის პოლიტიკური გამოფხიზლება, მათი თავდადებული ბრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ... მიუხედავად ოჯანყების დამარცხებისა, რომანის გმირები სულიერად არიან გამარჯვებულნი, გამობრძმედილნი, დავაჟკაცებულნი. ამიტომ ეღერს ნათელი ოპტიმიზმით რომანის ფინალი.

„ნაბიჯები" გაშლილია ისტორიული ფაქტების ქარგაზე, იმ ფაქტებისა, რომლებსაც ბავშვობიდანვე იცნობდა მწერალი. რომანის მთელი რიგი ეპიზოდები მართლაც რეალური ამბებია: ინგლისელი მილიონერის ჯონ ელიოტის კონცესია სურების ტყეებში, „ყოვლისშემძლე" ლომისკარელის ხატის გატაცება, ნიკო ბლაღოჩინის მკვლელობა და სხვა, რომ აღარაფერი ვთქვათ

ისეთ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებზე, როგორიცაა: ახალგაზრდა სტალინის გამოსვლები გურიაში, მეფის ნაცვლის მოადგილის კრიმგირეის „მისია“ გურიაში, ნასაკირალზე შეტაკება კრილოვისა და ლაზარენკოს პლასტუნებთან...

ბეგლარზე უფრო ხორცშესხმულია ცნობილი გურული ფირალის, რევოლუციის მგზნებარე რაინდის დათიკო შევარდნაძის მიმზიდველი სახე. ავტორმა განსაკუთრებული სითბოთი და სისრულით გამოძერწა ეს გურიის არსენა.

მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან ყველაზე მკვეთრად ძიკი ძიგუაა დახატული. კაცი, რომელმაც ძმას უღალატა, დედა გასწირა, ცოლი სხვას წაართვა, თავისსავე თანასოფლელებს ტყვიითა და მათრახით უმასპინძლდება, მლიქვნელობს, მექრთამეობს, კარიერისტობს... ავტორმა ძიკის სახეში გადაგვიშალა სულით ხორცამდე გადაგვარებული ადამიანის საზიზღარი ბუნება.

ძიკის „ღირსეული პარტნიორები“ არიან გაიძვერა აზნაური ქიშვარდი შერვაშიძე, მენშევიკი გვარამაძე, ჯაშუში ელიშულ რამიშვილი და სხვები.

პანტ. ჩხიკვაძის ისტორიულ რომანში — „მურზაყან დადეშქელიანი“ დახატულია მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ცხოვრება. ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით მწერალმა მკითხველის თვალწინ გააცოცხლა მეფის მსხვილი მოხელეების თაღლითობა და ქართველი თავად-აზნაურობის გადაგვარება. ერთნაირი მხატვრული სიძლიერით აღწერს ავტორი მეფისნაცვალ ვორონცოვის სასახლეში გამართულ ბრწყინვალე ბალ-მასკარადებსა და პირქუში სვანეთის მთებში მცხოვრები მშრომელების გაჭირვებას. ამ რომანის მხოლოდ რამდენიმე თავი გამოქვეყნდა.

ოთხი რომანის გარდა, პანტ. ჩხიკვაძემ გამოაქვეყნა მთელი რიგი მოთხრობები, რომელთა ცენტრში თითქმის ყოველთვის დგას თავისი დროის მოწინავე ადამიანი, ადამიანი, რომელიც შრომობს და იბრძვის ახალი ცხოვრებისათვის. ასეთებია: ბატონყმური ჩაგვრის წინააღმდეგ სტიქიურად, ჯერ კიდევ შეუგნებლად მებრძოლი ყმაგლეხი ალმასხან, უდღეური მენშევიკური მთავრობის დასამხობად აჯანყებულთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი ბენია ბერიძე, კოლექტივიზაციის ერთგული მომხრე რუხულა და სხვები.

ი. ბ. სტალინის დაბადების სამოცი წლისთავზე პანტ. ჩხიკვაძემ დასწერა მოთხრობა „სწორუპოვარი“, რომელიც ავტორისავე სიტყვებით იყო „ერთი სიმღერა ბელადის ცხოვრებიდან“. მართლაც, სიყვარულით შექმნილ ამ მოთხრობაში მწერალმა გვიჩვენა ახალგაზრდა სტალინის მიერ ქ. ბათუმში 1902 — 1903 წლებში რევოლუციური წრეების ჩამოყალიბება.

პანტ. ჩხიკვაძემ საგრძნობი წვლილი შეიტანა საბავშვო ლიტერატურის ჟანრშიაც, — იგი წლების მანძილზე თანამშრომლობდა ჟურნალ „პიონერში“, სადაც მოათავსა რამდენიმე კარგი საბავშვო მოთხრობა.

ყურადღების ღირსია პანტ. ჩხიკვაძის ნაყოფიერი მუშაობა ნარკვევის ჟანრში. მწერალი თავის ნარკვევებში ყოველთვის ხმარობდა დაპირისპირების ხერხს, — რა იყო, რა არის, რა იქნება, — რათა უფრო რელიეფურად დაენახა მკითხველს ის გრანდიოზული სამუშაოები, რაც შესრულდა საბჭოთა ეპოქაში.

პანტელეიმონ ჩხიკვაძე სიკვდილის უკანასკნელ წუთებამდე სიტყვითა და საქმით ერთგულად ემსახურებოდა თავის მშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა ხალხს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროფ. თინათინ ნერეთელი

★

აუცილებლობისა და თავისუფლების დიალექტიკა და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება მჭიდროდ არის დაკავშირებული ნებისყოფის თავისუფლების საკითხთან, აუცილებლობისა და თავისუფლების ურთიერთობის საკითხთან. სწორედ აქ, ამ საკითხში, საბჭოთა სისხლის სამართალი გადაჯაჭვულია საბჭოთა მორალთან, ვინაიდან სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფესვები და ზნეობრივი პასუხისმგებლობის ფესვები ერთიდაიმავე საწყისებიდან გამომდინარეობს.

საკითხი პასუხისმგებლობის საფუძვლის შესახებ ბურჟუაზიულ იურისპრუდენციასაც აინტერესებს. ბურჟუაზიული იურისტებიც ცდილობენ დაუკავშირონ ეს საკითხი ეთიკის პრობლემებს, ნებისყოფის თავისუფლების პრობლემას. მაგრამ ბურჟუაზიულმა კრიმინალისტებმა ვერ შესძლეს მისი გადაწყვეტა იმ ყალბი ფილოსოფიური წინამძღვრების გამო, რომლებსაც ისინი ემყარებიან.

ბურჟუაზიული იურისტები, რომელნიც პასუხისმგებლობის საკითხის გადაჭრას ცდილობდნენ, ჩვეულებრივად აღნიშნავდნენ იმ წინააღმდეგობას, იმ კონფლიქტს, რომელიც თითქოს არსებობს, ერთი მხრივ, დეტერმინიზმსა, ხოლო, მეორე მხრივ, სამართალსა და ზნეობას შორის. ამ კონფლიქტის არსი მათ ასე აქვთ წარმოდგენილი:

პირველ ყოვლისა, „თეორიული გონების" სფეროში ბურჟუაზიული იურისტები მზად არიან იცნონ მიზეზობრიობის კანონის საყოველთაო მნიშვნელობა. ამ კანონს ადამიანის ნებისყოფაც ემორჩილება. ადამიანის ყოველი მოქმედება ისეთივე აუცილებლობით არის გამოწვეული წინაპირობათა ერთობლიობით, როგორც, მაგალითად, ჰაერში ნატყორცნი ქვა მიზიდულობის კანონის თანახმად აუცილებლად ძირს უნდა ჩამოვარდეს. აქედან გამომდინარეობს დასკვნა: თუ ადამიანმა ჩაიდინა რაიმე მოქმედება, მაგალითად, დანაშაულებრივი მოქმედება, მას აუცილებლობის კანონის თანახმად არ შეეძლო არ ჩაედინა იგი. აუცილებლობა გამორიცხავს სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობას.

მაშინ რაღა მნიშვნელობა აქვს ნორმას, რომელსაც აწესებს სახელმწიფო და რომელიც მის დამრღვევს სისხლის სამართლებრივი ან სხვა პასუხისმგებლობით ემუქრება?

თუ ადამიანს არ შეეძლო სხვაგვარად ემოქმედა, მაშინ ასეთი ნორმა მკვდარი, უაზრო, ხოლო პასუხისმგებლობა უმიზნო და უსამართლო ყოფილა. ხოლო თუ ადამიანი, ნორმის მიუხედავად, მაინც სწორად იმოქმედებდა, მაშინ ნორმა ზედმეტი, უსარგებლო ყოფილა.

ასეთია ის კონფლიქტი, რომელიც, ბურჟუაზიული იურისტების აზრით, არსებობს დეტერმინიზმსა და პასუხისმგებლობას შორის, ადამიანის მოქმედების აუცილებლობასა და სახელმწიფოს ნორმის შემქმნელ და დამსჯელ საქმიანობას შორის.

ბურჟუაზიული კრიმინალისტების ერთი, საკმაოდ დიდი ჯგუფი ცდილობს გადაწყვიტოს ეს კონფლიქტი კანტის ფილოსოფიური მოძღვრების საფუძველზე. როდესაც ისინი მსჯელობენ ადამიანზე, როგორც მოვლენაზე, როგორც ემპირიულ არსებაზე, მაშინ ისინი აღიარებენ ადამიანის მოქმედების დამორჩილებას მიზეზობრიობის კანონისადმი. ამასთან, მიზეზობრივი კავშირის ცნება მათ ესმით როგორც მხოლოდ ჩვენი აზროვნების, ჩვენი ცნობიერების აპრიორული კატეგორია, რომელიც შესაძლებლად ხდის ცდას, და არა როგორც ბუნებაში, გარემო სამყაროში არსებული რეალური კავშირი თვით ნივთთა შორის. მაგრამ როდესაც ეს იურისტები ადამიანის მოქმედებას ზნეობის ან სამართლის მსჯელობის ობიექტად ხდიან, მაშინ ისინი აღიარებენ ადამიანის ნებისყოფის თავისუფლებას. ნებისყოფის თავისუფლების უარყოფა, აცხადებს ნეოკანტიანელი იურისტი, — ჩვენი თეორიული გონების აქსიომაა, ხოლო ნებისყოფის თავისუფლების აღიარება — პრაქტიკული გონების პოსტულატი. შეფასებითი მეცნიერებანი (სამართლის, ისევე როგორც ეთიკის სფეროს ნეოკანტიანელი იურისტები შეფასებით მეცნიერებათა დარგს აკუთვნებენ) ნებისყოფის თავისუფლების აღიარებიდან უნდა გამომდინარეობდნენ. „ეს არის თვალსაზრისი პრაქტიკული ცხოვრებისა, მოქმედი და არა მოაზროვნე ადამიანისა".

ამგვარად, ბურჟუაზიული ნეოკანტიანელი იურისტები საკითხის მეცნიერულად გადაჭრის მაგივრად მეტად იოლ ხერხს მიმართავენ: ისინი ხელოვნურად ყოფენ თეორიული მეცნიერებისა და პრაქტიკული საქმიანობის სფეროს და, აღიარებენ — რა პირველ სფეროში დეტერმინიზმის მნიშვნელობას, მეორე სფეროში, ყოველგვარი მტკიცების გარეშე, უშვებენ ნებისყოფის თავისუფლებას, როგორც პოსტულატს. ამ „მეც-

ნიერებს" კარგად შეესაბამება ვ. ი. ლენინის სიტყვები, ნათქვამი მაზის შესახებ:

„განა ეს ობსკურანტიზმი არ არის, როცა წმინდა თეორია მზრუნველობით ემიჯნება პრაქტიკას? როცა დეტერმინიზმი იფარგლება „კვლევაძიების" სფეროთი, ხოლო მორალის, საზოგადოებრივი მოღვაწეობის და ყველა სხვა სფეროში, გარდა „კვლევაძიებისა", საკითხი „სუბიექტური" შეფასების სფეროს მიეკუთვნება? ჩემს კაბინეტში, ამბობს სწავლული პედანტი, მე დეტერმინისტი ვარ, ხოლო ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ფილოსოფოსმა იზრუნოს მთლიან მსოფლმხედველობაზე, რომელიც დეტერმინიზმზე იქნება აგებული და თეორიასაც მოიცავს და პრაქტიკასაც" [1].

აცხადებენ-რა სამართლისა და ზნეობის სფეროს ისეთ სფეროდ, სადაც ადამიანი ნებისყოფის თავისუფლებით დაჯილდოებულ არსებას წარმოადგენს, ბურჟუაზიული კრიმინალისტები განმარტავენ ნებისყოფის თავისუფლებას, როგორც „თვითგანსაზღვრას", „განთავისუფლებას ნამდვილ სამყაროსაგან", როგორც მხოლოდ „სულის მოჩვენებით თავისუფლებას"... [2]

ამგვარად, ბურჟუაზიული ინდეტერმინისტი კრიმინალისტების აზრით, ადამიანის ნებისყოფა არაფრით არ არის განსაზღვრული და განპირობებული, იგი თვით პოულობს თავის შინაარსს და თვით განსაზღვრავს თავის თავს გარეშე სამყაროსაგან დამოუკიდებლად. ნებისყოფის თავისუფლება, ინდეტერმინისტული შეხედულების თანახმად, არის „სიცარიელის თავისუფლება", მიზეზობრიობის კანონისადმი დაუმორჩილებლობა, აბსოლუტური შემთხვევითობა.

ნებისყოფის თავისუფლებით დაჯილდოებული ადამიანი, ინდეტერმინისტების აზრით, უნდა დაისაჯოს თავისუფალი ნებისყოფის გადაწყვეტილებისათვის, რომლის შედეგადაც „ბოროტება" იქნა ჩადენილი. სახელმწიფო გამოდის როგორც შურისმაძიებელი ამ ბოროტებისათვის, სასჯელი კი სამაგიეროს მიზღვაა, რომელიც თავისი სიმკაცრით მიყენებულ ზიანს უნდა შეესაბამებოდეს.

ასეთია ის დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს ბურჟუაზიული კრიმინალისტების ინდეტერმინისტული შეხედულებიდან და რომელიც პრიმიტიული სამართლის სამაგიეროს მიზღვის იდეას ვერ სცილდება.

პასუხისმგებლობის ინდეტერმინისტულად დასაბუთების უბადრუკობა და პრიმიტიულობა თავისთავად აშკარაა.

თუ ადამიანის ნებისყოფა სავსებით თავისუფალია ყოველგვარი გარეშე გავლენისაგან, თუ მის გადაწყვეტილებას ვერაფერი განაპირობებს და იგი აბსოლუტურ შემთხვევითობას წარმოადგენს, როგორ შეიძლება სასჯელის მიზანშეწონილება დასაბუთდეს? პირიქით, სასჯელი უმიზნო ხდება, იგი ვერ მოახდენს ვერც დამაშინებელსა და ვერც აღმზრდელობითი ზეგავლენას, ვინაიდან ვერ შექმნის მოტივებს, რომ ადამიანმა ნორმის შესაბამისად იმოქმედოს. მისი მეთხებით არ შეიძლება განხორციელდეს არც ზოგადი და არც კერძო პრევენციის ამოცანები.

ინდეტერმინისტული შეხედულება არათუ სასჯელის მიზანშეწონილების დასაბუთების შეუძლებლობას არ იძლევა, იგი ამავე დროს ულოგიკობასაც წარმოადგენს. თუ ადამიანის ნებისყოფა მიზეზობრიობის კანონს არ ემორჩილება, მაშასადამე, მისი გადაწყვეტილება თვით ადამიანის პიროვნებასთანაც, მისი ხასიათის თვისებებთანაც არ არის დაკავშირებული. ამავე დროს სასჯელი პიროვნების მარტო ერთ მხარეს კი არ შეეხება — მის ნებისყოფას, არამედ მთელ პიროვნებას — ყველა მისი ფიზიკური და ფსიქიკური თვისებებით. მაგრამ განა შეიძლება, რომ ინტელიგენციელური ადამიანისათვის, რომლის ნებისყოფის გადაწყვეტილება არ არის განპირობებული არც რაიმე გარეშე ზეგავლენით და არც პიროვნების თვისებებით, პასუხი აგოს ემპირიულმა არსებამ, რომელიც მისგან ჯაუვალი უფსკრულით არის დაშორებული? ბურჟუაზიული ნეოკანტიანელი იურისტები არც კი ცდილობენ რითიმე ამოავსონ ეს უფსკრული, მათ პრინციპულად არ სურთ ხიდი გასდონ არსისა და ჯერარსის, თეორიული გონებისა და პრაქტიკული გონების სფეროთა შორის. ხოლო ამ პირობებში მათ არც იმის დასაბუთება შეუძლიათ, თუ რატომ უნდა აგოს პიროვნებამ პასუხი იმისათვის, რაც მისი ნებისყოფის აბსოლუტურად შემთხვევითი გადაწყვეტილების პროდუქტს წარმოადგენს.

სამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდეტერმინისტულად დასაბუთების კლასობრივი არსი სავსებით ნათელია. ბურჟუაზიულ იურისტებს ამით სურთ დაფარონ დანაშაულის კლასობრივი ბუნება, სურთ დაფარონ, რომ დანაშაული კაპიტალისტური საზოგადოების ურთიერთობათა აუცილებელი ნაყოფია. დანაშაულის ეკონომიური პირობების მისაჩქმალავად და კლასობრივი რეპრესიის განსახორციელებლად ბურჟუაზიული ინდეტერმინისტი იურისტები მოხერხებულად იყენებენ „ნებისყოფის თავისუფლების" იდეას, რომელიც მათ შესაძლებლობას აძლევს დასაბუთონ და გაამართლონ სამაგიეროს მიზღვა გაბატონებული კლასის ინტერესთა დამრღვევი პირებისადმი.

იმპერიალიზმის პერიოდის სისხლის სამართალს უკვე აღარ აკმაყოფილებს „ნებისყოფის თავისუფლების" იდეა და მისგან გამოყვანილი სასჯელი — სამაგიეროს მიზღვა. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასეთი გაგება გულისხმობს, რომ პიროვნება ისჯება უკვე ჩადენილი კლასობრივად მავნე ქმედებისათვის

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 14, გვ. 237.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 4, стр. 281, примеч. 1.

და რომ სასჯელი ამ მოქმედების საშიშროების ხარისხს უნდა შეესაბამებოდეს. კაპიტალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ყველა წინააღმდეგობის გამწვავებისა და, ამასთან დაკავშირებით, კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში ექსპლოატატორული კლასები მიმართავენ რეპრესიის გაძლიერებას მუშათა კლასის წინააღმდეგ, მკაცრ და ულმობელ ბრძოლას რევოლუციური მოძრაობისა და თვით რევოლუციური იდეების წინააღმდეგ. ამის გასამართლებლად დეტერმინიზმი, როგორც იგი ბურჟუაზიულ მეცნიერებას ესმის, უფრო გამოსადეგი აღმოჩნდა, ვიდრე ინდეტერმინიზმი, ვინაიდან იგი საშუალებას იძლევა უკუგდებულ იქნას არა მარტო მიყენებული ზიანისა და სასჯელის პროპორციულობის იდეა, არამედ თვით ის იდეაც, რომ სასჯელის შეფარდების საფუძველი მოქმედება უნდა იყოს. ამრიგად, მოქმედების, როგორც სასჯელის შეფარდების საფუძვლის, ადგილს იკავებს პიროვნების „სოციალური საშიშროება“.

ბურჟუაზიული დეტერმინისტი იურისტები აღიარებენ ადამიანის ნებისყოფის დამორჩილებას მიზეზობრიობის კანონისადმი და უარყოფენ ადამიანის უნარს სხვაგვარად იმოქმედოს, მაგრამ ისინი სრულიადაც არ თვლიან ასეთ უნარს პასუხისმგებლობის წინაპირობად. ეს უნარი საჭირო იქნებოდა პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის რაიმე ზნეობრივი საწყისების თვალსაზრისით, ხოლო, მათი აზრით, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ასეთ დასაბუთებასა და გამართლებას სულაც არ მოითხოვს. ერთადერთი პრინციპი, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს სახელმწიფო სასჯელის შეფარდების დროს, დეტერმინისტების აზრით, სახელმწიფოებრივი აუცილებლობისა და მიზანშეწონილების პრინციპია; სახელმწიფო ვერ შეინარჩუნებს თავის არსებობას, თუ არ მიიღებს ზომებს იმ პირების წინააღმდეგ, ვინც მის სიმტკიცეს ემუქრება; სასჯელი — სამაგიეროს მიზღვა კი არ არის წარსულში ჩადენილი ბოროტებისათვის, არამედ მომავალში შესაძლებელი საშიში მოქმედებისაგან თავდაცვის საშუალებაა.

ამგვარად, ბურჟუაზიული დეტერმინისტი იურისტები არც კი ცდილობენ როგორმე მოხსნან ის კონფლიქტი, რომელიც, მათი აზრით, დეტერმინიზმსა და სამართალს შორის არსებობს. ისინი აღიარებენ, რომ პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტის დროს პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის შეურიგებელი წინააღმდეგობაა. ერთი მხრით დგას კერძო პირი, რომელსაც არა აქვს უნარი სხვაგვარად იმოქმედოს, ხოლო, მეორე მხრით, დგას სახელმწიფო — ლევიათანი, რომელიც ვერ იარსებებს, თუ რეპრესიის მახვილს არ აღმართავს. ეს კონფლიქტი პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის კერძო პირის ინტერესების გათელვითა და სახელმწიფოს ინტერესების გამარჯვებით უნდა გათავდეს. შეიძლება ეს უსამართლობა ბურჟუაზიული კრიმინალისტები, რომ ბურჟუაზიული კრიმინალისტები, რომ პიროვნება ვალდებულია მოითმინოს ეს უსამართლობა და ამ ლევიათანს მსხვერპლად შეეწიროს.

ამ შეხედულების კლასობრივი არსი სრულიად აშკარაა. აცხადებენ რა სახელმწიფოებრივ აუცილებლობასა და მიზანშეწონილობას იმ საფუძვლად, რომელსაც მთელი სისხლის სამართალი უნდა ემყარებოდეს, ბურჟუაზიული კრიმინალისტები ამით ამართლებენ ყოველგვარ რეპრესიას, რომელიც ნაკარნახევი იქნება ეგზპლოატატორული კლასის ინტერესებით.

პასუხისმგებლობის ამაზე უფრო ამორალური დასაბუთება — თითქოს შეუძლებელი უნდა იყოს. მაგრამ ბურჟუაზიული კრიმინალისტები ამასაც არ სჯერდებიან. ისინი პასუხისმგებლობის ისეთ დასაბუთებას იძლევიან, რომელიც არსებითად არა მარტო ბურჟუაზიული ზნეობის, არამედ თვით ბურჟუაზიული სამართლის ელემენტარულ პრინციპებსაც კი უარყოფს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ე. წ. ანთროპოლოგიური მიმართულება, რომელმაც მეტაფიზიკური დეტერმინიზმი თავის ლოგიკურ უკიდურესობამდე მიიყვანა და რეპრესიის კლასობრივი ფესვები სრულიად გააშიშვლა.

მემკვიდრეობის ვეისმანისტურ-მორგანისტული სწავლების ყალბ ბიოლოგიურ საფუძვლებზე დამყარებით ანთროპოლოგიური და თანამედროვე ამერიკული ნეოანთროპოლოგიური მიმართულების წარმომადგენლები დანაშაულს ადამიანის ბიოლოგიური თვისებების გამოკლინებად თვლიან. მათი აზრით ადამიანი იბადება დამნაშავედ. მასში მოცემულია მთელი ის წარსული, რომელიც მისმა შორეულმა წინაპრებმა განიცადეს. იგი ბიოლოგიურად არასრულფასოვანი პიროვნებაა. მისი ჩანასახოვანი პლაზმა ბინძურ ნალექს წარმოადგენს. ადამიანის ეს თანდაყოლილი ბიოლოგიური თვისებები ბუნებრივი აუცილებლობით განაპირობებენ, რომ მან დანაშაული უნდა ჩაიდინოს.

ცხადია, თუ დანაშაული ადამიანის განსაკუთრებული ბიოლოგიური თვისებების პროდუქტია, სასჯელი ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს. მას არ შეუძლია არავითარი ზეგავლენა მოახდინოს არც თვით დამნაშავეზე და არც სხვა პირებზე, ვინაიდან ვერ შეცვლის „ბინძურ პლაზმას“, რომელიც „საუკუნეთა გარიჟრაჟზე“ შექმნილი და უცვლელად გადადის შთამომავლობიდან შთამომავლობაზე.

აქედან კი დასკვნა: სასჯელის ცნება სრულიად გასაძევებელია და მისი ადგილი უნდა დაიჭიროს საზოგადოებრივი თავდაცვის ღონისძიებამ, რომელსაც მიზნად ექნება დაიფაროს კაპიტალისტური საზოგადოება ადამიანთა არასრულფასოვანი ჯიშისაგან, რაც ფიზიკურად განადგურების, კასტრაციის, სტერილიზაციის ან სამუ-

ლამო იზოლაციის მეშვეობით განხორციელდება. „სულ უფრო ცხადი ხდება ის უნუგეშო ჭეშმარიტება, — ლაპარაკობს თანამედროვე ამერიკელი ბიო-კრიმინოლოგი, — რომ ეშჯაკს ცეცხლით უნდა ვებრძოლოთ და არა წმინდა წყლით... კმარა თავის მოტყუება იმ იმედებით, ვითომ სოციალური კიბო შეიძლება ტაბლეტებითა და ჰოსპიტალიზაციით განიკურნოს. აქ საჭიროა დანა!“.

მაგრამ ანთროპოლოგიური და ნეოანთროპოლოგიური მიმართულება კიდევ უფრო შორს მიდის: თუ ადამიანი ფატალური აუცილებლობით იძულებულია დანაშაული ჩაიდინოს, მაშ რაღად უნდა ელოდოს საზოგადოება დანაშაულის ჩადენას? განა არ აჯობებს, როგორც კი დადგენილი იქნება, რომ ესა თუ ის პირი ბიოლოგიურად არასრულფასოვან ტიპს ეკუთვნის, მის წინააღმდეგ მიღებულ იქნას ღონისძიებანი წინასწარვე, ვიდრე იგი მოასწრებდეს საზოგადოებას ზიანი მიაყენოს. ამ გზით ანთროპოლოგებს გამოჰყავთ დასკვნა: სასჯელთან ერთად, გასაძევებელია თვით დანაშაულის ცნებაც და მის ნაცვლად შემოღებულ უნდა იქნას ცნება „სოციალურად საშიში პირისა“.

ყოველივე აღნიშნული ნათლად გვიჩვენებს, რომ თანამედროვე ბიოკრიმინოლოგია უარს ამბობს არა მარტო პასუხისმგებლობის ზნეობრივად დასაბუთებაზე, არამედ თვით სამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნებაზე. იგი უარყოფს იმ ელემენტარულ დემოკრატიულ პრინციპებს, რომელნიც გამოაცხადა ბურჟუაზიამ თავისი ბატონობის დასაწყისში, და ქადაგებს რეპრესიას სამართლის გარეშე. ასრულებს რა რეაქციული იმპერიალისტური წრეების შეკვეთას, ბურჟუაზიული სისხლის სამართლის ასეთი „მეცნიერება“ აძლევს კაპიტალისტურ სახელმწიფოს მეტად მოქნილ და მოხერხებულ იარაღს კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენელთა განადგურებისათვის. ეს არის არა მარტო სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის იდეის, არამედ ყოველგვარი სამართლისა და ყოველგვარი კანონიერების ლიკვიდაცია.

*
* *

როგორ უნდა დავასაბუთოთ პასუხისმგებლობა საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით?

ამ საკითხის, ისევე როგორც სხვა საკითხების გადაჭრისას, საბჭოთა კრიმინალისტები ემყარებიან დიალექტიკური მატერიალიზმის ღებულებებს. ხოლო დიალექტიკური მატერიალიზმი გადაჭრით უარყოფს საკითხის იმგვარ დაყენებას, როგორც ამას ბურჟუაზიული კრიმინალისტები აკეთებენ. ლენინი თავის გენიალურ შრომაში „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ებრძვიან ისინი სოციალ-დემოკრატებს“ აღნიშნავს, რომ სუბიექტურ სოციოლოგებს მეტად უყვართ იდეა კონფლიქტისა ტერორისა და ზნეობას შორის, ისტორიულ-აუცილებლობასა და პიროვნების მნიშვნელობას შორის. „ნამდვილად კი, — ამბობს ვ. ი. ლენინი, — აქ არავითარი კონფლიქტი არ არის: ის მოგონილია ბ-ნ მიხაილოვსკის მიერ, რომელსაც ეშინოდა (არც თუ უსაფუძვლოდ), რომ დეტერმინიზმი ნიადაგს გამოაცლიდა მისთვის ესოდენ საყვარელ მეშჩანურ მორალს“.[1]

დიალექტიკური მატერიალიზმი ცნობს, რომ ადამიანის ნება მიზეზობრიობის კანონს ემორჩილება, რომ იგი განპირობებულია ობიექტური სამყაროს ზეგავლენით.

ადამიანთა მთელი საზოგადოებრივი საქმიანობა განისაზღვრება მათი მატერიალური ცხოვრების პირობებით. მარქსიზმი გვასწავლის, რომ „მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი განაპირობებს საერთოდ ცხოვრების სოციალურ, პოლიტიკურ და გონებრივ პროცესებს. ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათ ყოფიერებას, არამედ პირიქით, მათი საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათ ცნობიერებას“.[2] ასეთივე, ობიექტური სამყაროს რეალობით განპირობებული ხასიათი აქვს ადამიანის ნებისმიერი მოქმედების ცალკეულ აქტსაც. ადამიანის მოქმედების ცალკეული მიზნებიც წარმოშობილია გარეშე სამყაროდან, მით განისაზღვრება, მისგან ღებულობს კონკრეტულ შინაარსს. ის გარემოება, რომ ადამიანს წინასწარ აქვს წარმოდგენილი თავისი მოქმედების მიზნები და ცვლილებები, რომელსაც ის გამოიწვევს გარეშე სამყაროში, სრულიად არ ხდის მას დამოუკიდებლად ამ გარეშე სამყაროსაგან.

„სინამდვილეში, — ამბობს ვ. ი. ლენინი, — ადამიანის მიზნები წარმოშობილია ობიექტური სამყაროს მიერ და მას გულისხმობენ, — ჰპოულობენ მას როგორც მოცემულს, არსებულს. მაგრამ ეჩვენება ადამიანს, თითქოს მისი მიზნები სამყაროს გარეთ არიან აღებულნი, სამყაროსაგან დამოუკიდებელი არიან („თავისუფლება“).[3] ლენინის ამ სიტყვებში შესანიშნავად არის გამოხატული ადამიანის ნებისყოფის, ადამიანის მიზნობრივი საქმიანობის განპირობება გარეშე სამყაროს მიერ და უარყოფილია ის უსაფუძვლო შეხედულება, რომელიც „თავისუფლების შეგრძნებას“, ადამიანის სუბიექტურ განცდებს იმოწმებს და ამით ლამობს დაასაბუთოს, ვითომ ადამიანის ნებისყოფა გარეშე სამყაროს არ ემორჩილებოდეს.

როგორ შეიძლება შეეუთავსოთ დეტერმინიზმი ნებისყოფის თავისუფლებას? ან საერთოდ,

---

1. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 176.
2. კ. მარქსი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953, გვ. 10.
3. В. И. Ленин, Философские тетради, 1947, стр. 162—163.

შეიძლება თუ არა შეთავსებულ იქნეს ეს ორი ცნება, რომელნიც, ბურჟუაზიული კრიმინალისტების აზრით, შეურიგებელ წინააღმდეგობაში იმყოფებიან?

მარქსიზმის კლასიკოსები იძლევიან თავისუფლებისა და აუცილებლობის დიალექტიკის ერთადერთ სწორ გადაწყვეტას.

ადამიანის მოქმედების მიზეზობრიობა, მისი დეტერმინირებულობა, დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით, სრულიადაც არ ნიშნავს ფატალიზმს, სრულიადაც არ გამორიცხავს ადამიანის მოქმედების აქტიურ ხასიათს, მის უნარს ზემოქმედება მოახდინოს გარეშე ბუნებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ადამიანი უძლურია აუცილებლობის წინაშე, მისი მონაა მხოლოდ მანამდე, ვიდრე მას შეცნობილი არა აქვს ეს აუცილებლობა, შეცნობილი არა აქვს გარეშე ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონები. „აუცილებლობა ბრმაა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი არ არის შეცნობილი". სწორედ ამიტომ დიალექტიკური მატერიალიზმი განსაზღვრავს თავისუფლებას არა როგორც დამოუკიდებლობას ბუნების კანონებისაგან, არამედ როგორც „შეცნობილ აუცილებლობას", როგორც „საქმის ცოდნით გადაწყვეტილების მიღებას". „თავისუფლება, — ამბობს ფ. ენგელსი — მდგომარეობს არა ცოდნებით წარმოდგენილ დამოუკიდებლობაში ბუნების კანონებისაგან, არამედ ამ კანონების შემეცნებაში და ამით მოცემულ შესაძლებლობაში, რათა ბუნების კანონები ვაიძულოთ გეგმიანად მოქმედებდნენ გარკვეული მიზნებისათვის". [1]

ვ. ი. ლენინი „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში" მიუთითებს ენგელსის მსჯელობის გნოსეოლოგიურ მნიშვნელობაზე. იგი აღნიშნავს, რომ ენგელსის დებულებანი თავისუფლებისა და აუცილებლობის შესახებ წარმოადგენს კერძო დასკვნას მატერიალიზმის იმ ძირითადი დებულებიდან, რომ ბუნება პირველადია, ხოლო ცნობიერება — მეორადი.

ავითარებს რა ენგელსის დებულებებს, ვ. ი. ლენინი გენიალური სისადავით და სიღრმით აყალიბებს მარქსისტულ თეორიას აუცილებლობისა და თავისუფლების შესახებ. ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონები არსებობენ და მოქმედებენ ჩვენი შემეცნების გარეშე. რამდენადაც ჩვენ მათ არ ვიცნობთ, ჩვენ იძულებული ვართ დავემორჩილოთ ამ „ბრმა აუცილებლობას". მაგრამ მათი შეცნობა შესაძლებლობას გვაძლევს ვიბატონოთ ბუნებაზე.

რა თქმა უნდა, ბუნებისა და საზოგადოების კანონებზე ბატონობა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქო ადამიანს შეუძლია შეცვალოს ან შეაჩეროს აუცილებლობის განვითარება. ი. სტალინი თავის შრომაში „სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში" ილაშქრებს იმათ წინააღმდეგ, ვინც ფიქრობს, რომ საბჭოთა სახელმწიფოს და მის ხელმძღვანელებს შეუძლიათ გააუქმონ პოლიტიკური-ეკონომიური კანონები და ნებისმიერად შექმნან, ჩამოაყალიბონ ახალი კანონები. ადამიანებს შეუძლიათ მხოლოდ „გაითვალისწინონ ისინი თავიანთ მოქმედებაში, გამოიყენონ ისინი საზოგადოების ინტერესებისათვის".[1])

ზოგიერთ საბჭოთა კრიმინალისტს სათანადო სიზუსტით როდი ესმის ენგელსის მითითება, რომ თავისუფლება არის უნარი საქმის ცოდნით გადაწყვეტილების მიღებისა. ამ კრიმინალისტების აზრით, თავისუფლად მოქმედობს ყოველი ადამიანი, რომელსაც ესმის კანონები, ესმის აუცილებლობა, თუნდაც მისი მოქმედება ამ აუცილებლობას ეწინააღმდეგებოდეს. აქედან გამოტანილი იქნა დასკვნა, რომ დამნაშავე, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროება, შეგნებული აქვს, რომ მის მოქმედებას შეუძლია ზიანი მიაყენოს სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, მოქმედებს „საქმის ცოდნით", ე. ი. მოქმედებს „თავისუფლად".

მაგალითად, პროფ. ა. პიონტკოვსკი თავის წიგნში ჰეგელის სისხლის სამართლებრივი მოძღვრების შესახებ წერს: „...მარქსიზმის თვალსაზრისით დანაშაულის ჩადენა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც პიროვნების ინდივიდუალური თავისუფლების გამოვლინება, რამდენადაც იგი საქმის ცოდნით ხდება".[2]) ასეთივე აზრი პროფ. პიონტკოვსკის გამოთქმული აქვს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელოშიც, სადაც იგი წერს: „ადამიანის უნარი საქმის ცოდნით იმოქმედოს იწვევს ადამიანის პასუხისმგებლობას ჩადენილი მოქმედებისათვის, წარმოადგენს ჩადენილი ქმედების მისთვის ბრალად შერაცხვის სუბიექტურ საფუძველს. საქმის რაც უფრო მეტი ცოდნით და თავისი მოქმედების შედეგების საზოგადოებრივი მნიშვნელობის რაც უფრო მეტი შეგნებით მოქმედებს ადამიანი, მით უფრო მეტადაა იგი პასუხისმგებელი ჩადენილი ქმედებისათვის, მით უფრო მეტია მისი ბრალი დანაშაულის ჩადენაში".[3])

დიალექტიკური მატერიალიზმის აღნიშნული დებულება ანალოგიურად ესმის აგრეთვე პროფ. ბ. მანკოვსკის. ეკამათება-რა პროფ. უტევსკის ენგელსის ფორმულის გაგებაში, პროფ. ბ. მანკოვსკი ფიქრობს, რომ „საქმის ცოდნით"

---

[1] ფ. ენგელსი. ანტი-დიურინგი, 1952, გვ. 135.

[1] ი. ბ. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, 1952, გვ. 4.

[2] А. А. Пионтковский, Уголовно-правовая теория Гегеля в связи с его учением о праве и государстве, 1948, стр. 81—82.

[3] Уголовное право, часть общая, изд. 4-е. 1948, стр. 335—336.

ე. ი. თავისუფლად მოქმედებენ დამნაშავენიც, რომელნიც ხელყოფენ პროლეტარული რევოლუციის მონაპოვართ. მისი აზრითაც, საქმის ცოდნით მოქმედება მხოლოდ საკუთარი ყოფაქცევის საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეგნებით მოქმედებას ნიშნავს.[1])

თავისუფლებისა და აუცილებლობის ამგვარი გაგება არ შეესაბამება ამ ცნებათა ნამდვილ არსს. აუცილებლობის შეგნება, ბუნებისა და საზოგადოებრივი განვითარების კანონების შემეცნება აუცილებლად გულისხმობს თავისუფლებას, მაგრამ თავისუფლება ამ შემეცნებით არ ამოიწურება. მარქსიზმის კლასიკოსები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ობიექტურ გარეშე სამყაროზე ბატონობისათვის საკმარისი არ არის მარტოოდენ ცოდნა, არამედ აუცილებელია აქტიური პრაქტიკული საქმიანობა. „მარტოოდენ შემეცნება, თუნდაც იგი უფრო ფართო და ღრმა იყოს, ვიდრე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის შემეცნება, საკმაო არ არის იმისათვის, რომ საზოგადოებრივი ძალები საზოგადოების ბატონობას დაემორჩილონ. ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოებრივი მოქმედებაა საჭირო".[2]

შეხედულება, რომელიც თავისუფლებაში მარტოოდენ აუცილებლობის შემეცნებას ამჩნევს, დამახასიათებელია მექანისტური და არა დიალექტიკური მატერიალიზმისათვის.

ის, რაც ნათქვამი იყო საზოგადოებრივ მოქმედებაზე, შეეხება აგრეთვე ადამიანის ქცევის ცალკეულ აქტსაც. ადამიანის ქცევის ცალკეული აქტი რომ თავისუფლად ჩავთვალოთ, ამისათვის საკმარისი არ არის ადამიანის მიერ თავისი ქცევის საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეგნება. თავისუფლება არ ამოიწურება აუცილებლობის პასიური ცოდნით, არამედ გულისხმობს ამ ცოდნაზე დამყარებულ ბატონობას თავის თავზე და გარეშე ბუნებაზე. აქედან ნათელია, რომ ადამიანი თავისუფალია მაშინ, როდესაც იგი, ემყარება რა ბუნებისა და საზოგადოების კანონების ცოდნას, მოქმედებს ამ კანონების შესაბამისად და არა მათ წინააღმდეგ. მაშასადამე თავისუფლება მარქსისტული გაგებით სრულიადაც არ ნიშნავს თავისუფალ არჩევანს სხვადასხვა შესაძლებელ მოქმედებათა შორის, როგორც სამართლიანად მიუთითებს პროფ. ბ. უტევსკი, ენგელსს „მხედველობაში აქვს არა უნარი ადამიანისა აირჩიოს გადაწყვეტილება საერთოდ, არამედ მისი უნარი აირჩიოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების კანონებს შეესაბამება, რომელიც ნიშნავს ბატონობას გარემოებებზე და ურთიერთობებზე".[1])

გაგება თავისუფლებისა, როგორც არჩევანისა სხვადასხვა გადაწყვეტილებებს ან მსჯელობებს შორის, პირდაპირ ეწინააღმდეგება ფ. ენგელსის შემდეგ სიტყვებს: „ამგვარად ,რაც უფრო თავისუფალია ამა თუ იმ ადამიანის მსჯელობა განსაზღვრული საკითხის მიმართ, მით უფრო მეტი აუცილებლობით განისაზღვრება ამ მსჯელობის შინაარსი; მაშინ როდესაც უცოდინარობაზე დაყრდნობილი დაურწმუნებლობა, რომელიც თითქო თვითნებურ არჩევანს ახდენს მრავალ სხვადასხვა და ერთმეორის საწინააღმდეგო შესაძლებელ გადაწყვეტილებას შორის, ამით სწორედ თავის არათავისუფლებას ამტკიცებს, თავის დამორჩილებას იმ საგნისადმი, რომელიც სწორედ მას უნდა დაემორჩილებინა. მაშასადამე, თავისუფლება მდგომარეობს ბუნებრივ აუცილებლობათა (Naturnotwendigkeiten) შემეცნებაზე დაყრდნობილ ბატონობაში თვით ჩვენს თავზე და გარეგან ბუნებაზე."[2]

აქედან ცხადია, რომ დამნაშავის მოქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს თავისუფალ მოქმედებად დიალექტიკური მატერიალიზმის გაგებით.

განვიხილოთ ამ თვალსაზრისით დამნაშავის მოქმედება კაპიტალისტურ და სოციალისტურ საზოგადოებაში.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში პრინციპულად უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან საერთო სისხლის სამართლებრივი დანაშაული და პოლიტიკური „დანაშაული". ენგელსი ქურდობას უწოდებს „შეუგნებელ პროტესტს" გაბატონებულ ეკონომიურ ურთიერთობათა წინააღმდეგ. ეს პროტესტი შეუგნებელია იმის გამო, რომ ქურდს კაპიტალისტურ საზოგადოებაში არა აქვს შეცნობილი საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერება. იგი „საქმის ცოდნით" კი არ მოქმედობს, არამედ ბრმად ემონება კაპიტალისტურ ეკონომიურ ურთიერთობათა გარემოებებს, იგი ამ ურთიერთობათა პროდუქტი და მსხვერპლია. სულ სხვაა ე. წ. პოლიტიკური „დამნაშავე", რომელსაც შეცნობილი აქვს საზოგადოებრივი აუცილებლობა, რომელიც შეიარაღებულია რევოლუციური თეორიით და ამის საფუძველზე შეგნებულად იბრძვის კაპიტალისტური წყობილების დამხობისა და სოციალიზმის დამყარებისათვის. ასეთი პირები — რევოლუციური მოძრაობის აქტიური წევრები — მოქმედებენ „საქმის ცოდნით", მოქმედებენ „შეცნობილი აუცილებლობის" შესაბამისად. ისინი ბატონობენ თავის თავზე, ვინაიდან უმორჩილებენ თავის მოქმედებას არა პირად, ეგოისტურ ინტერესებს, არამედ

---

[1] Б. С. Маньковский, Против извращений обоснования ответственности в советском уголовном праве, «Вопросы философии», 1951, № 6, стр. 205.

[2] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1952, გვ. 380.

[1] Б. С. Утевский, Вина в советском уголовном праве, 1951, стр. 35.

[2] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 136.

„შეცნობილ აუცილებლობას“, რომელიც ამავე დროს მათი საკუთარი არსის შინაგან აუცილებლობასაც წარმოადგენს. ამიტომ ე. წ. „პოლიტიკური დანაშაული“ დანაშაულს კი არ წარმოადგენს, არამედ იგი შეგნებული რევოლუციური ბრძოლაა ძველის, დრომოჭმულის წინააღმდეგ.

შეიძლება თუ არა ვილაპარაკოთ დამნაშავის თავისუფლებაზე სოციალისტურ საზოგადოებაში?

საბჭოთა სამართალი და კომუნისტური ზნეობა სოციალისტური ბაზისის განმტკიცებას და განვითარებას ემსახურებიან. სოციალისტური საზოგადოების მოქალაქეებს მტკიცედ აქვთ შეგნებული ჩვენი სამართლისა და ზნეობის ნორმების საზოგადოებრივი მნიშვნელობა, მათი სამსახურებრივი როლი. გასაგებია ამიტომ, რომ საბჭოთა მოქალაქეების დიდი უმრავლესობა სრული შეგნებით და კეთილი ნებით ასრულებს ჩვენი სახელმწიფოს კანონებს. სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმების სავალდებულო ხასიათი გარედან ძალდატანებით კი არა აქვთ საბჭოთა მოქალაქეებს თავზე მოხვეული, არამედ იგი მათი საკუთარი არსების შინაგან აუცილებლობად არის გადაქცეული. სოციალისტურ საზოგადოების მოქალაქეთა ქცევა როგორც საერთო წესი არ არის დამოკიდებული რაიმე შემთხვევითობაზე, პირად და ეგოისტურ მისწრაფებებზე და გარეშე ზეგავლენაზე, რომელმაც შეიძლება გადაიცდინოს ეს მოქალაქენი სწორი გზიდან, არამედ ნამდვილად თავისუფალ ქცევას წარმოადგენს. „ჩვენს საუკუნეში, — ამბობს მ. როზენტალი, — ასეთ ისტორიულ აუცილებლობას წარმოადგენს კომუნიზმი, ბრძოლა ცხოვრების კომუნისტური წყობისათვის. და ნამდვილად თავისუფალნი თავის საქმიანობაში ის კლასები და პარტიები, ის ადამიანები არიან, რომელნიც მთელ თავის ძალღონეს ამ ბრძოლას სწირავენ“.[1]

პირიქით, თავისუფალი არ არიან ის პირები, რომელნიც სოციალისტური საზოგადოების ნორმების წინააღმდეგ მოქმედებენ, ძირს უთხრიან სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკურ, ეკონომიურ და საზოგადოებრივ მონაპოვართ და ცდილობენ უკან შემოაბრუნონ ისტორიის ჩარხი. ასეთი პირები თავისი მოქმედების დროს სოციალისტური საზოგადოების მიერ გასაკიცხ მოტივებს და გრძნობებს ემორჩილებიან. ისინი კი არ ბატონობენ თავის თავზე, არამედ თვითონ მათზე ბატონობს კაპიტალიზმის გადმონაშთები, მათი პირადი ვნებანი და ეგოისტური გრძნობები.

ნამდვილი თავისუფლება, როგორც დიალექტიკური მატერიალიზმი გვასწავლის, ისტორიული განვითარების პროდუქტია. ადამიანი, რომელიც განვითარების პრიმიტიულ საფეხურზე დგას, ბრმად ემორჩილება ბუნების ძალთა მოქმედებას და უძლურია მათ წინაშე. საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარების ყოველი ახალი ეტაპი ამავე დროს ბუნების ძალთა ბატონობისაგან ადამიანის განთავისუფლების ახალ ეტაპსაც მოასწავებს. ასეთივე ისტორიული განვითარების პროდუქტია „საკუთარ თავზე ბატონობაც“. საზოგადოებრივი განვითარების რაც უფრო ზაღალ საფეხურზე დგას ადამიანი, მით უფრო მეტი უნარი აქვს მას წინააღუდგეს პირად ვნებებს და თავისი მოქმედება საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნებს დაუმორჩილოს.

სოციალისტურ საზოგადოებაში, სადაც მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, სადაც ადამიანები დაუფლებული არიან საწარმოო იარაღებსა და საშუალებებს და თვითონვე არიან თავისი ბედის ბატონ-პატრონნი, სადაც მოსპობილია უმუშევრობა და სიღატაკე და უზრუნველყოფილია პიროვნების მუდმივად მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილება, ასეთ საზოგადოებაში შექმნილია „საკუთარ თავზე“ ბატონობის ყოველგვარი შესაძლებლობა და აღმოფხვრილია ეკონომიური ფესვები, რომლებიც დანაშაულს წარმოშობენ. გასაგებია ამიტომ, რომ საბჭოთა მოქალაქეების უდიდესი უმრავლესობა თავის ზნეობრივ მოვალეობად თვლის სოციალისტურ საზოგადოებას ემსახუროს და საბჭოთა სახელმწიფოს კანონებს სრული შეგნებით და ნებაყოფლობით ასრულებს.

მაგრამ, როგორც მარქსიზმის კლასიკოსები გვასწავლიან, ადამიანთა შეგნების განვითარება ჩამორჩება მათ ეკონომიურ მდგომარეობას. ამიტომ ბურჟუაზიულ შეხედულებათა, ბურჟუაზიულ ჩვევათა გადმონაშთები ჯერ კიდევ დარჩენილია ზოგიერთი ჩამორჩენილი ადამიანის შეგნებაში. ამ გადმონაშთების არსებობას ხელს უწყობს კაპიტალისტური გარემოცვა. კაპიტალისტური გარემოცვა და ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების არსებობა წარმოადგენს დანაშაულის წარმომშობ წყაროს სოციალისტურ საზოგადოებაში.

ნამდვილად სრული თავისუფლება, საზოგადოების ყველა წევრის სრული „ბატონობა საკუთარ თავზე“ შესაძლებელია მხოლოდ კომუნიზმის დროს, როდესაც ადამიანთა საზოგადოებრივი მოქმედების კანონები, რომლებიც აქამდე მოქმედებდნენ როგორც მათზე გაბატონებული კანონები, უკვე დამორჩილებული და საქმის ცოდნით გამოყენებული იქნება საზოგადოების მიერ. ენგელსი ამას უწოდებს ნახტომს აუცილებლობის სფეროდან თავისუფლების სფეროში.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უკვე დღეს, სოციალიზმის პირობებში, საზოგადოება არ უნდა მიისწრაფოდეს, რომ ყოველმა მისმა წევრმა საქმის ცოდნით იმოქმედოს. თუ ნებისყოფის თავისუფლება ისტორიული განვითარების პროდუქტია, ცხადია, საზოგადოებას შესაძლებლობა აქვს ზემოქმედება მოახდინოს ჩამორჩენილ ადა-

[1] М. М. Розенталь, Марксистский диалектический матер. 1952, стр. 84.

ნიანებზე, რომელნიც ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულან ბნელი წარსულის ზეგავლენისაგან, და უფრო სრულყოფილი, უფრო თავისუფალი გახადოს ისინი.

სოციალისტური საზოგადოება ყოველდღიურად ზრუნავს საბჭოთა ადამიანის კომუნისტურად აღზრდისა და სრულყოფისათვის. კომუნიზმის მშენებლობის წინსვლასთან ერთად, კაპიტალიზმის გადმონაშთები თანდათანობით აღმოიფხვრება ადამიანთა შეგნებიდან. საზოგადოებაში, სადაც სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონი მოქმედებს, ყოველი ახალი ნაბიჯი, გადადგმული საზოგადოების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისაკენ, წარმოადგენს აგრეთვე ნაბიჯს ამ გადმონაშთებისაგან განთავისუფლებისაკენ.

მოქალაქეთა შეგნებიდან კაპიტალიზმის გადმონაშთების აღმოფხვრის საქმეში გარკვეულ როლს სისხლის სამართალიც ასრულებს. სისხლის სამართლის როლი გაუგებარი და დაუსაბუთებელი იქნებოდა, თუ ჩვენ ნებისყოფის თავისუფლებას გავიგებდით არა დიალექტიკურად, არამედ მეტაფიზიკურად. „დეტერმინიზმის იდეა, — ამბობს ვ. ი. ლენინი, — ამტკიცებს ადამიანის მოქმედების აუცილებლობას, უარყოფს უაზრო ზღაპარს ნებისყოფის თავისუფლების შესახებ, მაგრამ სრულიადაც არ სპობს არც ადამიანის გონებას, არც სინდისს, არც მისი მოქმედების შეფასებას. სრულიად პირიქით, სწორედ დეტერმინისტული შეხედულების დროსაა შესაძლებელი მკაცრი და სწორი შეფასება და არა ყველაფრის თავზე მოხვევა თავისუფალი ნებისყოფისათვის“.[1]

სოციალისტური სახელმწიფო, აცხადებს რა ამათუიმ მოქმედებას დანაშაულად, ამით ფსიქიკურ ზემოქმედებას ახდენს მოქალაქეებზე. ჯერ-ერთი, ამათუიმ ქმედობის დანაშაულად გამოცხადება ნიშნავს იმას, რომ ეს ქმედობა შეფასებულია სოციალისტური სახელმწიფოს მიერ როგორც საზოგადოებრივად საშიში. უკვე თავისთავად ამ ფაქტმა უნდა მოახდინოს ზეგავლენა საბჭოთა მოქალაქეებზე, რომელთაც ამგვარად უნდა მიიღონ სოციალისტური სამართლის ნორმა როგორც თავისი ყოფაქცევის მოტივი და არ ჩაიდინონ მისი საწინააღმდეგო მოქმედება. ამავე დროს სოციალისტური სისხლის სამართლის ნორმას თან ერთვის სასჯელის მუქარა. სასჯელი მოტივაციურ ზეგავლენას ახდენს როგორც ხალხის მტრებზე, რომელნიც ლამობენ ძირი გამოუთხარონ სოციალისტურ სახელმწიფოს, ისე ცალკეულ მერყევ ელემენტებზე მშრომელთა წრიდან, რომელნიც ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულან კაპიტალიზმის გადმონაშთებისაგან და ამიტომ შეიძლება დანაშაულებრივ გზას დაადგნენ. სასჯელის მკაცრი მუქარა აფრთხილებს საბჭოთა ხალხის ვერაგ მტრებს, რომ სოციალისტური საზოგადოება ულმობლად გაუსწორდება მათ, თუ კი ისინი გაბედავენ ხელყოფენ მის მონაპოვართ. ეს — შეეხება მშრომელთა წრიდან გამოსულ მერყევ ელემენტებს, სასჯელის მუქარა აღმზრდელობით ზეგავლენას ახდენს ასეთ პირებზე: იგი განუშარტავს მათ ამათუიმ მოქმედების გასაიცხ ხასიათს და მიუთითებს იმ არასასურველ შედეგზე, რომელიც მათთვის ასეთი მოქმედების ჩადენას მოჰყვება.

ასეთივე მოტივაციური ზეგავლენა აქვს სასჯელს, როდესაც იგი შეეფარდება დანაშაულის ჩამდენს, რომელზედაც ნორმაში მოცემულმა სასჯელის მუქარამ სათანადო ზემოქმედება ვერ მოახდინა. სასჯელის შეფარდებით სახელმწიფოს სურს აღზარდოს დანაშაულის ჩამდენი, ჩაუნერგოს მას შრომითი ჩვევები, დაუბრუნოს იგი, კომუნისტურად აღზრდილი, სოციალისტურ საზოგადოებას. ამავე დროს სასჯელის შეფარდება მოტივაციურ ზეგავლენას ახდენს საზოგადოების დანარჩენ მერყევ წევრებზე, რომელნიც ხედავენ, რომ სასჯელი მარტო კანონში აღნიშნული მუქარა კი არ არის, არამედ სინამდვილეშიც ხორციელდება, როგორც კი სოციალისტური კანონი ვისგანმე დაირღვევა.

ამაზეა აგებული დანაშაულთა ზოგადი და კერძო გაფრთხილების ამოცანები, რომელთაც ხაზს უსვამენ საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსები. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 7 მუხლისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლების თანახმად, სასჯელის მიზანია: ა) საერთოდ დანაშაულის წინასწარ აცდენა, ბ) საზოგადოებრივად საშიშ ელემენტებისათვის ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის მოსპობა და გ) მსჯავრდადებულის გამოსწორება შრომა-გასწორების ზეგავლენით და შეგუება მშრომელთა სახელმწიფოს საერთო ცხოვრების პირობებისათვის. სასჯელის მოტივაციურ ზეგავლენაზე უთითებს აგრეთვე სასამართლო წყობილების კანონის 3 მუხლიც: „საბჭოთა სასამართლო, უფარდებს რა სისხლის სამართლის სასჯელის ღონისძიებას, არა მარტო სჯის დამნაშავეებს, არამედ აგრეთვე მიზნად ისახავს დამნაშავეთა გამოსწორებას და ხელმეორედ აღზრდას“.

ცხადია, სასჯელის ზოგადი და სპეციალური პრევენციის ამოცანები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს, თუ ადამიანის მოქმედება მიზეზობრიობის კანონს ემორჩილება, თუ ადამიანის ნება შეიძლება დეტერმინირებულ იქნას გარეშე ზემოქმედებით. სახელმწიფოს დასჯითი საქმიანობა სწორედ ამ იდეას ემყარება, როდესაც უქმნის პიროვნებას ნორმის შესაბამისად მოქმედების მოტივებს.

მაგრამ სისხლის სამართლის სასჯელი საზოგადოებრივი უშიშროების უზრუნველყოფის განსაკუთრებულ ღონისძიებას წარმოადგენს. იგი

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 1, გვ. 176.

გულისხმობს დამნაშავისადმი განსაზღვრული ტანჯვის მიყენებას. იგი მიმართულია თვით დამნაშავის პიროვნების წინააღმდეგ და მიზნად მის ერთგვარ შეზღუდვას ისახავს. ღონისძიება, რომელიც მოკლებულია ამ მომენტს, თუნდაც იგი დანაშაულისათვის ხელისშემშლელ ღონისძიებას წარმოადგენდეს, სასჯელი არ არის. სწორედ ამ შეზღუდვით, რომელიც სასჯელს განუყოფელ თვისებას წარმოადგენს, სახელმწიფო ჩადენილი დანაშაულისა და მისი ჩამდენის უარყოფით მორალურ-პოლიტიკურ შეფასებას, სამართლებრივსა და ზნეობრივ გაკიცხვას გამოჰხატავს.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება შეგვეკითხონ: განა დანაშაულისა და დამნაშავის სამართლებრივი და ზნეობრივი გაკიცხვა შეიძლება დეტერმინისტულ შეხედულებას შეუთავსდეს: განა სამართლიანი იქნება გავკიცხოთ პიროვნება, თუ კი იგი თავისი მოქმედების დროს არ იყო თავისუფალი, თუ ის კი არ ბატონობდა თავის თავზე, არამედ თვითონ მასზე კაპიტალიზმის გადმონაშთები ბატონობდნენ?

ამ კითხვაზე დადებითად უნდა ვუპასუხოთ. დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით, ადამიანის ნებისყოფის დეტერმინირება სრულიადაც არ გულისხმობს ფატალიზმს, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანის ესა თუ ის მოქმედება ულმობელი აუცილებლობით უნდა ყოფილიყო ჩადენილი და არავითარი სხვაგვარი მოქმედების შესაძლებლობა ადამიანს არ ჰქონდა. დეტერმინიზმი არ გამორიცხავს სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობას, თუ კი ეს ცნება სწორად იქნება გაგებული.

ადამიანის ნებელობითი მოქმედება შეგნებული მოქმედებაა. ადამიანის მოქმედების შეგნებული ხასიათი განასხვავებს მას ბუნების ძალთა მოქმედებისაგან და განსაკუთრებულ ელფერს აძლევს მის მიზეზობრიობას.

ურთიერთობა, რომელიც არსებობს მიზეზსა და შედეგს შორის არაორგანულ ბუნებაში, გაცილებით უფრო მარტივია, ვიდრე ურთიერთობა მოტივად გადაქცეულ წარმოდგენასა და ადამიანის ყოფაქცევას შორის. იქ, არაორგანულ ბუნებაში, მიზეზი უშუალოდ იწვევს ცვლილებას გარეშე სამყაროში. ორგანულ ბუნებაში მიზეზობრივი კავშირი უფრო რთულდება, რადგან ერთი სხეულის მექანიკურ ზემოქმედებას მეორე სხეულზე ემატება ორგანიზმის წარმოშობის, განვითარებისა და მოსპობის კანონები. მაგრამ აქაც კავშირი გარეშე გაღიზიანებასა და მდგომარეობის შეცვლას შორის შედარებით მარტივია, ვინაიდან ეს ცვლილება ხდება უშუალოდ გარეშე სიტუაციის ზეგავლენით. იგივე უნდა ითქვას თვით ადამიანის იმპულსიური მოქმედების შესახებ. აქაც ყოველ კერძო შემთხვევაში არსებული აქტუალური მოთხოვნილება უშუალოდ გადადის სხეულებრივ მოძრაობაში და ნების მომენტი ამ მოძრაობაში არავითარ მონაწილეობას არ იღებს.

სულ სხვაა ადამიანის ნებელობითი მოქმედება. ენგელსი თავის წერილში „შრომის როლი მაიმუნის გაადამიანების პროცესში" წერდა: „...ვერავითარი ცხოველის ვერავითარმა გეგმაზომიერმა მოქმედებამ ვერ შესძლო დედამიწისათვის თავისი ნებისყოფის დაღი დაეჩნია. ეს მხოლოდ ადამიანმა შესძლო".[1]

ადამიანის ნებითი მოქმედების ასეთი ბუნება სრულ შესაძლებლობას გვაძლევს ვალიაროთ, რომ ნების დამორჩილება მიზეზობრივი კანონისადმი არ გამორიცხავს ადამიანის უნარს თვითეულ კონკრეტულ შემთხვევაში იმოქმედოს სხვაგვარად, ვიდრე იგი მოქმედებდა, არ გამორიცხავს მის უნარს იმოქმედოს შეგნებულად დასახული მიზნის შესაბამისად.

თუ ადამიანს უნარი აქვს არ დაემორჩილოს უშუალო სიტუაციას და თავისი მოქმედება შეგნებულად დასახული მიზნის მიღწევას შეუფარდოს, მაშასადამე, მას შესაძლებლობა ეძლევა დაუმორჩილოს თავისი მოქმედება საზოგადოებრივი ინტერესებისაგან წარმოშდგარ მოტივებს და არა იმ ქვენა გრძნობებს, რომელნიც მას დანაშაულის ჩადენისაკენ ეწევიან.

ის პირები, რომელნიც ადამიანის სხვანაირად მოქმედების უნარს უარყოფენ, ლოგიკური აუცილებლობით უნდა მივიდნენ დასკვნამდე, რომ ადამიანს არათუ თავის თავზე ზემოქმედების უნარი არა აქვს, არამედ სხვასაც არ შეუძლია მასზე ზემოქმედება. სინამდვილეში როგორც საკუთარ თავზე, საკუთარ ნებაზე, საკუთარ ფსიქიკაზე ზემოქმედების უნარი, ისე სხვის პიროვნებაზე ზემოქმედების უნარი ფსიქიკური მოტივაციის ერთსა და იმავე პროცესს ემორჩილება: ნებისყოფისა და, მაშასადამე, ქცევის დამორჩილებას შეგნებულად დაყენებული მიზნისათვის. არსებითად ჩვენ ვერ მოვნახავთ პრინციპულ განსხვავებას ზემოქმედების პროცესის ხასიათში იმ შემთხვევას შორის, როდესაც სუბიექტს გარედან უყენებენ მიზნებს, და იმ შემთხვევას შორის, როდესაც იგი თავის თავს მიზნებს თვით უყენებს. საწინააღმდეგო შეხედულება მიგვიყვანდა როგორც საკუთარი თავის, ისე სხვა ადამიანის აღზრდის შესაძლებლობის უარყოფამდე.

ზემოთ ჩვენ საუბარი გექონდა იმაზე, თუ როგორ მოქმედებს საზოგადოებაზე და თვით დამნაშავეზე სასჯელის მუქარა და ამ მუქარის ფაქტიურად შესრულება. ცხადია, დამნაშავის აღზრდა და გამოსწორება, ისევე როგორც დანარჩენი ადამიანების გაფრთხილება სწორედ იმიტომ არის შესაძლებელი, რომ სახელმწიფო ადამიანს მისი მოქმედების მიზნებს უყენებს და ამით მის ნებისყოფაზე მოტივაციურ ზეგავლე-

[1]. ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1950 გვ. 182.

ნას ახდენს. ადამიანს რომ შეგნებული, მიზანდასახული მოქმედების უნარი არ ჰქონდეს, ცხადია, ვერც სასჯელის მუქარა და ვერც მისი შეფარდება მასზე ვერავითარ მოტივაციურ ზეგავლენას ვერ მოახდენდა.

როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ადამიანს აქვს უნარი დაისახოს განსაზღვრული მიზნები და ამ მიზნების განსახორციელებლად შეგნებულად ამოქმედდოს, ამით სრულიადაც არ გვინდა ვთქვათ, ვითომ ეს მიზნები სიცარიელიდან არის აღებული, ვითომ სუბიექტის ნებისყოფას თვით შეუძლია თავისი თავისაგან შეჰქმნას თავისი შინაარსი. სუბიექტის მიზნები, ისევე როგორც მისი მოქმედების მოტივები საბოლოო ანგარიშში ყოველთვის გარეშე სამყაროდანაა აღებული და მითვე განისაზღვრება. მაგრამ გარეშე სამყარო სუბიექტს მრავალ სხვადასხვაგვარ შესაძლებლობებს გადაუშლის და ამ შესაძლებლობათა შორის სუბიექტი თვითონვე ახდენს არჩევანს თავისი საკუთარი შეხედულებებისა და თვისებების შესაბამისად. სწორედ იმის გამო, რომ სუბიექტს აქვს უნარი არ დაემორჩილოს უშუალო სიტუაციას და ასწონ-დასწონოს თავისი მოქმედების მოტივები, ნებისყოფის აქტი მთელი პიროვნების გამოვლინებას წარმოადგენს, მისი ფსიქიკის, მისი აზროვნების და მისი განცდების შეგნებული გამოხატულებაა. და სწორედ ეს გარემოება ამართლებს სასჯელს, რომელიც მთელ პიროვნებას შეეხება და არა მის ერთ-ერთ ფუნქციას ან უნარს.

დაბოლოს, ადამიანის მოქმედების მიზეზობრივი ხასიათის განხილვის დროს ყურადღება უნდა მიექცეს კიდევ ერთ გარემოებას. როგორც უკვე აღნიშნული იყო, ადამიანის მიზნები გარემო ბუნებით არის წარმოშობილი. გარემო სამყაროდან არის აღებული. მაგრამ ადამიანის მიზნობრივი მოქმედების მეორე მომენტს იმ იარაღის არჩევა წარმოადგენს, რომელიც მიზნის მისაღწევ საშუალებად გამოდგება. დასახული მიზნის განხორციელება შეგნებულად არჩეული საშუალებით წარმოადგენს ადამიანის პრაქტიკულ საქმიანობას, ე. ი. გადატანას გარეშე სამყაროში იმ მიზნისა, რომელიც მანამდე ჰხოლოდ სუბიექტში არსებობდა. თავისი მიზნების განსახორციელებლად ადამიანი გარეშე სამყაროს კანონებს, მექანიკურ, ქიმიურ, ბიოლოგიურ და სხვა მიზეზობრიობას იყენებს. საკუთარი მიზნების მისაღწევად გარეშე სამყაროს კანონთა გამოყენების დროს ადამიანი გამოდის როგორც აქტიური, ქმედითი ძალა. სწორედ ეს აქტიური მომენტი აძლევს ადამიანს შესაძლებლობას თავისი შეგნების მეშვეობით „არა მარტო ასახოს ობიექტური სამყარო, არამედ შექმნას იგი“.[1]

[1] В. И. Ленин, Философские тетради, 1947, стр. 184.

ვ. ი. ლენინი განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს საშუალების ამორჩევის უნარს ადამიანის პრაქტიკულ საქმიანობის დახასიათებისათვის. თავის „ფილოსოფიურ რვეულებში“ მას ამოწერილი აქვს ჰეგელის შემდეგი სიტყვები: „თავის იარაღებში ადამიანს აქვს ძალა გარეშე ბუნებაზე, მაშინ როდესაც თავის მიზნებში ის უფრო ემორჩილება მას“. ეს სიტყვები ლენინს ორჯერ აქვს ხაზგასმული და გვერდზე მიწერილია „ჰეგელი და ისტორიული მატერიალიზმი“.[1] მაშასადამე ის დებულება, რომ ადამიანი თავისი იარაღით, ე. ი. საშუალებებით, ბატონობს ბუნებაზე, ლენინს მატერიალისტურ დებულებად მიაჩნია. ეს დებულება ნათელს ჰფენს ერთევე იმ საკითხსაც, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ.

ადამიანისათვის დანაშაული ყოველთვის წარმოადგენს საშუალებას რაიმე მიზნის მისაღწევად. მაგრამ ადამიანს სრული უნარი აქვს თავისი მიზნების განსახორციელებლად ისეთი საშუალება აირჩიოს, რომელიც სოციალისტური ყოფაცხოვრების წესებს, სოციალისტური ზნეობისა და სამართლის ნორმებს შეესაბამება. ადამიანი სრულიადაც არ არის იძულებული, რომ თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ფატალური აუცილებლობით მიმართოს, მაგალითად, დანაშაულებრივ გზას. პირიქით, მის ხელთ არის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მრავალ კანონიერ და საზოგადოებისათვის უვნებელ საშუალებათა არჩევანი. და თუ ადამიანი მაინც დანაშაულის გზას დაადგა, იგი გაკიცხვის ღირსია, ღირსია, რომ სოციალისტურმა საზოგადოებამ მას მსჯავრი დასდოს. ამიტომ სასჯელი, რომელსაც მიმართავს საბჭოთა სახელმწიფო ასეთი პირის წინააღმდეგ, არა მარტო მიზანშეწონილია, არამედ ზნეობრივადაც გამართლებულია.

სოციალისტური საზოგადოება ყოველ თავის წევრს უქმნის სრულ შესაძლებლობას აღზარდოს და განამტკიცოს თავისი ფსიქიკური ძალები, მოიპოვოს „ბატონობა თავის თავზე“. იგი უზრუნველყოფს საბჭოთა ადამიანებში ისეთი თვისებების გამომუშავებას, რომ ყველა მათგანი საქმის სრული ცოდნით მოქმედებდეს, ყოველი მოქალაქე იყენებდეს თავის ცოდნას და წარმართავდეს თავის ქცევას საზოგადოებრივი ინტერესებისა და არა თავისი კერძო, ვიწრო ეგოისტური ინტერესების სასარგებლოდ. მაგრამ ამავე დროს სოციალისტური საზოგადოება ულმობელია იმ ნაძირალების მიმართ, რომელთაც სურთ ხელი შეუშალონ კომუნიზმის დიად მშენებლობას და სოციალისტური საზოგადოების განვითარების ურყევი კანონზომიერება შეაფერხონ.

[1] იქვე გვ. 163.

წიგნების მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიქტორ გაბესკირიას ლექსები

★

ქართულ საბჭოთა პოეზიაში თავისებური ლირიკული ინტონაციით და წერის ორიგინალური მანერით გამოირჩევა ვიქტორ გაბესკირია. რაშია მისი პოეზიის თავისებურება და როგორაა გამომჟღავნებული იგი პოეტის შემოქმედებაში? ვიქტორ გაბესკირია, ისე როგორც ყველა რეალისტი საბჭოთა პოეტი, ჩვენს სინამდვილეზე წერს, და თავის პოეზიაში გამოხატავს ხალხის ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს. ამ მხრივ რაიმე განსაკუთრებული ვ. გაბესკირიას შემოქმედებას არ ახასიათებს. მისი ლირიკული გმირი ჩვენი ეროის მოქალაქეა, მაგრამ რაღაც საყოველთაო, ზოგადი თვისებების მქონე კი არაა, არამედ თავისებური ხასიათის ადამიანია. როდესაც მთლიანად წაიკითხავთ ვ. გაბესკირიას ლექსებს კრებულს, გაეცნობით ჩვენი დროის თავისებურ და საინტერესო ადამიანს. იგი სულიან-ხორციანად ეპოქის ღვიძლი შვილია, მაგრამ ადამიანებზე, საგნებზე, ბუნებაზე თავისებური წარმოდგენა აქვს და სწორედ ამითაა მისი პოეზია საყურადღებო. მსოფლმხედველობით, ბიოგრაფიით ვ. გაბესკირიას ლირიკული გმირი ჩვენი ეპოქის ადამიანია, მაგრამ მას საკუთარი ცხოვრების გამოცდილების, განცდებისა და განწყობილებებიდან ბევრი რამ მოაქვს ინდივიდუალური. სწორედ პოეტის პიროვნებიდან, ხასიათიდან მომდინარე თავისებურებანი განსაზღვრავენ გაბესკირიას პოეზიის მთელ შინაარსს.

ვ. გაბესკირიას პოეტური სტილისთვის დამახასიათებელია ფაქიზად შერჩეული მხატვრული დეტალები, რითაც იგი გადმოსცემს განწყობილებას, განცდას ან იდეას. ვ. გაბესკირიას ლექსებში თემა ხშირად დეტალების სიშუალებით არის გახსნილი. ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ფაქტში პოეტი ცდილობს ღიდი შინაარსის დანახვას. მის ლექსისათვის დამახასიათებელი არ არის პათეტიკური ტონი. განცდის უშუალობა და აზრის სიღრმე ვ. გაბესკირიას ლირიკული ლექსების ძირითადი თვისებაა. მცირე მოცულობის ლექსში ბევრის თქმა, წვეთში ზღვის დანახვა — ასეთია ვ. გაბესკირიას მხატვრული სტილი. ავიღოთ ლექსი „ქარხანას აგებენ". სოციალისტური ინდუსტრიის თემა აქ ორ ტაეპშია თავისებურად გახსნილი, მაგრამ როგორ? ლექსში სრულიად არ არის მშენებლობის პროცესის აღწერა; თემა იწვევს ავტორში განსაზღვრულ განწყობილებას, რასაც თავისებური ფორმა აქვს მონახული და მკითხველი განიცდის პატრიოტი მოქალაქის სულისკვეთებას, როდესაც კითხულობს ასეთ სტრიქონებს:

> უკვე სახურავს ახურავენ... უკაკუნებენ
> მზეში, მის თუნუქს, კომუნიზმის ოქრომჭედ-
> ლები.

ვ. გაბესკირიას ლექსების უმრავლესობა მცირე მოცულობისაა, ზოგჯერ ორ-სამ ტაეპს არ აღემატება, მაგრამ პოეტი ახერხებს თემის სიუჟეტურად განვითარებას ერთ დასრულებულ კომპოზიციაში. იგი ძირითადად ლაკონიურად გამოთქმის და ხატვის პრინციპს მისდევს. გარდა ამისა, ვ. გაბესკირიას არ უყვარს გაჭიანურებული მსჯელობა, ერთგვარი „ფილოსოფიურობის" პრეტენზიებით გამოთქმული სენტენციები. მისი ლირიკული გმირი სიტყვაძვირი, მოკრძალებული, თავმდაბალი და უპრეტენზიო უბრალო ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, ადამიანისა, რომელსაც ცხოვრების პრინციპად აურჩევია ცოტა ლაპარაკი და ბევრის კეთება. სწორედ უბრალო ადამიანების ხასიათები, მათი განცდები, ყოფაცხოვრებითი სურათებია გახსნილი და გადმოცემული ვ. გაბესკირიას ლექსებში. სწორედ ეს უბრალო ადამიანები შეჰღიმიან სოფსაბჭოს ეზოში მდგარ „პალტოწამოსხმულ ლენინის ძეგლს", რომელიც „ვით წესია ქანდაკებისა", „დგას ქვის კვარცხლბეკზე ერთგვარი და სახეუცვლელი"; და როდესაც კოლმეურნენი გამარჯვების ზეიმობენ, და ძეგლს შეჰყურებენ, „შეუმჩნევიათ, თურმე, იმ ძეგლს გაეღიმება". გაიხსენეთ თუნდაც უბრალო მოხუცი ქალები ამავე სათაურის ლექსიდან, აი ისინი, რომელთა ცხოვრება „ტყეში შემალულ მინდორივით" შეუმჩნეველია, რა ღრმად, ადამიანურად განიცდიან ბელადის გარდაცვალებას. უბრალო, ჩუმი ადამიანი, დიდი საქმეების შემოქმედი ამ ლექსებში ჩანს არა მარტო საკოლმეურნეო მინდვრებ-

---

ვ. გაბესკირია. ერთტომეული (ლექსები და პოემები) სახელგამი. 1955.

ზე ან მარტენის ღუმელთან, არამედ ბუნების წიაღში, ზღვის პირას, გემის ბაქანზე ან მატარებლის ფანჯარასთან მიმდგარი, ბუნების სილამაზით აღტაცებული, მორიდებულად რომ გვესაუბრება ცხოვრების სილამაზესა და სიხარულზე. და ეს ლირიკული გმირი უაღრესად გულთბილი და ალალ-მართალი კაცია, რომელიც იმთავითვე მიგიზიდავთ და სიმპათიით განგაწყობთ. („მოაგარაკე", „შენ ჩამოსულხარ", „მატარებლიდან"). ამ ლექსებში დახატული პეიზაჟები და ლირიკული გმირის სულიერი განცდა ერთმანეთს ჰარმონიულად ეხამებიან. პოეტი დეტალების მეშვეობით აღწევს მცირეში ბევრის ჩატევას, ზოგჯერ მის მიერ დახატული დღევანდელი სოფლის კოლორიტული სურათი რომანტიზებულია, ნახატი ფაქიზადაა შესრულებული, როგორც მინიატურა, („სოფელს ეხვევა თავთავთთა და მზის სხივთა ჩარჩო"; „მწვანე ბუჩქებში შრიალებენ ფოთლები სველი, მოსჩანს შტოებში სხივები ვით ობობას ქსელი"), თანაც ყოველთვის ცოცხალია და ცხადად წარმოსადგენი. ვ. გაბესკირია ძუნწად, მაგრამ მოხდენილად, იყენებს შედარებებს; ზოგჯერ მხატვრულ სახეს მწიგნობრული ელფერიც გადაჰკრავს, მაგრამ შედარება მის ლექსებში იშვიათადაა ტრაფარეტული („ძველი დღეები ისე დამეკნარა, ვით ჩარჩენილი წიგნში ყვავილი", „დაეშვა ღამე, სხივები მზისა ტბის ფრინველივით ბუდეში მიაქვს", „და უცნაური გამოსვლა იწყეს ჩრდილებმა, — ბალის მსახიობებმა"). ზოგ ლექსში პოეტი თავის სულიერ მდგომარეობას რაიმე ფაქტთან აკავშირებს: „ვეტრფი ყველაფერს, რაც მახარებს, რასაც შევზრდილვარ; ოთხს და თოვაში ვით დარბაზში ისე შევდივარ" („გზაზე გაფიქრებული"), ზოგჯერ კი მხოლოდ ერთგვარ ნატურ-მორტს ხატავს („მონადირე"). ამ შემთხვევაშიც დეტალებს ყოფაცხოვრებითი სიმართლე ახასიათებს: „მზიან სოფელში შეუმჩნევლად ის შემოვიდა და მოქანცული მოსდევდა ძაღლი"; „მოეხვევიან ბავშვები და აკვირდებიან ტყავის ჩანთაზე დაკიდებულს ჩიტებს, ტყის ქათმებს"; „ჩიტებს კი ფრთებში ჩაუყვიათ გრძელი ნისკარტი და თვალები დახუჭული აქვთ" („მონადირე").

თითქმის მთლიანად პეიზაჟურია ლექსების ციკლი „ღღეები ზღვასთან". ზღვის სილამაზე რომანტიკულადაა განცდილი და გადმოცემული ამ ლექსებში.

მზე ჩადის. მალე ზღვის სილურჯეში
დადგამენ ჩუმად ანთებულ შანდლებს...
...მნათობს ტალღები უკვე ასველებს.
და ღელვაც (როგორც ყოველდღე ამ დროს),
დადის ღრუბელი ცის დასავალთან
და ოდნავ მბეუტავ სინათლეს აქრობს.
(„საღამო ზღვაზე").

როდესაც ლერმონტოვი ლექსში „Белеет парус одинокий" ხატავს ზღვის პეიზაჟს ერთადერთი იალქნით, იგი გვანიშნებს გალაკვეულ განწყობილებას (განმარტოება). ზღვის ციკლის ზოგიერთი პეიზაჟური ხასიათის ლექსში ვ. გაბესკირიას ვერ შეაქვს რაიმე აზრი, ამიტომ ლექსი დაუმთავრებელი ჩანახატების შთაბეჭდილებას ტოვებს. („შემოდგომის საღამო", „გემიდან"). დეტალი ამ სურათებში თვითმიზნურია და არ ეხმარება აზრის გამოხატვას: „სჩანან სახლები მრავალგვარნი, ვით სურათები გაშლილ ალბომში უწესრიგოდ ჩაწყობილები"; „მზე ჩადის ჩუმად, შემოდგომის დღე დამსგავსებია იალქანს დახრილს". სულ სხვაა ლექსი „ამოგდებული ხომალდი". აქ თითქმის არ არის ლაპარაკი ომზე, გმირულ ბრძოლებზე. და მაინც ანძაგადამტვრეული ხომალდი სწორედ იმ მრისხანე დღეებს აცოცხლებს მკითხველის ფანტაზიაში. „კვლავ ვერ ჩაუვლის ამ მზიან სივრცეს, არ გაჰყვებიან ზღვაზე ქარები", წერს პოეტი და ამ სინანულში იგრძნობა სიძულვილი ომისადმი. ორიოდე ფერწერულ დეტალში ამოგდებული ხომალდი ხელშესახებადაა დახატული:

...მის გაყვითლებულ, დაჩრჩილულ ფიცრებს
თეთრად მიკვრია ზღვის ნიჟარები.
ღუზა მღელვარე ზღვაში გამყოლი
დაჟანგულია, ფსკერზე გდებულა.
მის ახლოს მჭკნარი გდია ფოთოლი
და წვიმის წყალი დაგუბებულა.

პოეტი უბრალო, ერთი შეხედვით უმნიშვნელო საგნებზე ამახვილებს ყურადღებას, იგი წერს კედელზე გაკრულ ფოტოსურათებზე, მდუმარე ტყეში ჩაკარგულ ხეებზე, კედლის საათზე, ლექსების ალბომზე, სათამაშოების მაღაზიაზე, ძველი ხელთნაწერების რვეულზე, ძველ დანგრეულ სახლზე, მანეკენზე; ავტორი, ერთი შეხედვით, შეუმჩნეველ საგნებში ღრმა აზრს პოულობს; ზოგჯერ გააზრება ამა თუ იმ საგნისა, მისი არსებობისა და დანიშნულების პოეტური ინტერპრეტაცია აშკარად უცნაურია („მანეკენი"). ვის არ შეუნიშნავს ოთახის კედლებზე ფოტოსურათები; რამდენ რამეზე მეტყველებენ ჩოხიანი მოხუცები, ძველი სამხედრო პირნი, ოჯახის ახლობელნი და ნათესავნი. გიგრძვნიათ კიდეც, როგორ მეღავნდება ძველი და ახალი დრო ამ ფოტოსურათებზე გამოხატულ ადამიანთა გარეგნობასა და გამომეტყველებაში. და აი, პოეტი ხელახლა იწვევს თქვენში ერთხელ ნაგრძნობს. ლექსში „სურათები" სურათების ერთი ნაწილი ძველი დროის, მწარე წარსულის მოგონებებს აღძრავენ პოეტში, ახალი დროის ფოტოსურათები კი — საბჭოთა ადამიანთა საბედნიერო საქმეებზე, სიხარულსა და სილამაზეზე მეტყველებენ. ასევეა გააზრებული ლექსი „კედლის საათი". აი ძველებური კედლის საათი, რომელიც ოდესღაც ვიღაც პავლე ბურეს გაუკეთებია და ახალ ოჯახში ითვლის ბედნიერ წუთებს:

წინათ ის, ალბათ, მდიდარ კაცის სახლში
ეკიდა,
უცხო სურათებშორის, ალბათ, თავს
გრძნობდა ობლად.
მძიმედ მოხურულ კარებს შორის ის ცივად
რეკდა,
იდგა მთელ სახლში წვიმიან დღის
მოწყენილობა.

ასე იღებს უბრალო საგანი ვ. გაბესკირიას ბევრ ლექსში მაღალ მნიშვნელობას; ასე იქცევა პოეტურ გააზრებაში უბრალო ნივთი გარკვეული სოციალური შინაარსის შემცველ ფაქტად.

კამერულობა და სახეთა ბუნდოვანება ახასიათებს ლექსებს — „აი ზღვის პირი“, „თქვენდამი“, „მგელი“, „ზოგჯერ“, „ჩვენ ამ მინდორზე მოვდიოდით“. ეს ლექსები სატრფოსადმია მიძღვნილი. აქ უდავოდ იგრძნობა ფაქიზი, მოკრძალებული სიყვარული, ეპვი არ გეპარებათ ლირიკული გმირის კეთილშობილებაში. მაგრამ მაინც ამ ლექსებში აქა-იქ შეხვდებით ბუნდოვან სახეებს და გამოთქმებს:

დავშორდით მას და ჩვენ ხომ მუდამ ასე
ვიქნებით
ერთმანეთისგან შორს წასულნი, მიმალულნი,
მაგრამ ჩვენს ნაცვლად გამოდიან ჩვენი
ფიქრები
და ამ მინდორზე დგებიან ვით ნისლის
ქულები.

ადამიანის გონება ძნელად თუ წარმოიდგენს „მინდორზე გამოსულ ფიქრებს“, რომლებიც „ნისლის ქულებს“ ჰგვანან. პოეტის ეს სტრიქონები მოვლენის რეალისტურ სურათს არ ქმნიან. ასეთივეა სტრიქონები:

თქვენს წყვილად ჯდომას, წითელ ფეხებს
მაგონებს ის ხე,
აქ მარტო რომ დგას ფიქრთაღმძვრელად და
საოცნებოდ.
ის დღეა, ის მზე, ის ქარია! ნეტავ
აქ ისხდეთ,
ჩემგან მოკლულო ანგელოსებო.

ძნელად თუ გაიგებს ვინმე, რისი თქმა უნდა პოეტს ასეთი სტრიქონებით: „ცხოვრება შემრჩა მე ბზის ტოტივით და გაყვითლებულს ვაგროვებ დღეებს“ („თქვენდამი“). კრისტალური გამჭვირვალობა აზრისა, ნათელი და საღი განცდა აქ ბუნდოვანი და უცნაური სახეებითაა შეცვლილი. ცხადია, ეს არ არის პოეტის ჭეშმარიტი გზა. ზოგჯერ ვ. გაბესკირიას ლექსში არ იგრძნობა ნათელი გააზრება, იდეა, ქვეტექსტი. რა თქმა უნდა, ცუდია ის ლექსი, რომლის შინაარსი პირველი სტრიქონიდანვე იცი, მაგრამ არც ის ლექსი ვარგა, რომლის თავსა და ბოლოს ათჯერ წაკითხვითაც ვერ გაიგებ.

ვ. გაბესკირიას პოეზიის საერთო ტონი მინორულია; დაფიქრების, ჭვრეტის, შთაბეჭდილებების ადამიანია მისი ლირიკული გმირი. ძლიერი აღტაცება, პათოსი ვ. გაბესკირიას ლექსებში თითქოს განგებაა განელებული, „პოეტი თითქოს განგებ მღერის ხმადაბლა“ ... ...

მაგრამ არც ისეთი სტროფებია იშვიათი, სადაც პოეტს სმენა ღალატობს, როდესაც ლექსში სტრიქონთა ჰარმონიული წყობა უეცრად იცვლება დაუდევრად შერითმული სტრიქონებით, სადაც არც პოეტური ფრაზა და არც რითმაა მუსიკალური. ვ. გაბესკირია ხშირად მიმართავს ორმარცვლიანი სიტყვის სამმარცვლიანთან შერითმვას, რაც თანამედროვე პოეტური კულტურისათვის განვლილი საფეხურია, ერთგვარი ანაქრონიზმია (განსაკუთრებით ათმარცვლიან ლექსში). მეორეც: იშვიათი არაა მის ლექსებში მრავალსიტყვიანი სტრიქონები, რაც უეჭველად მოქმედებს მელოდიურობაზე. ვ. გაბესკირია ხშირად ასეთ რითმებს ხმარობს: დაბრუნდებიან — მაგონდებიან; თავიგულით — გული; ზოგში — ეზოში; სოფლებს — საფერფლეს; ხშირად — პირად; დასჩემდა — ჩემგან; მოვსულვარ — სურათს; აქეს — ანთებს; შეეხებიან — ირხევიან; ირთვება — გაემართება; ჩაფიქრებულს — კრებულს; მხარეს — მახარებს; შეერთებიხარ — შეყვარებიხარ. რითმა როდია ლექსის მეორეხარისხოვანი ელემენტი. რითმა ამყარებს ერთგვარ შინაგან კავშირს სტრიქონთა შორის, მთლიან სახეს აძლევს პოეტურ გააზრებას, განცდას ან გაფიქრებულებას. ლექსის მელოდიურობაზეა ხშირად დამოკიდებული არა მარტო ერთი ლექსის, არამედ პოეტის მთელი შემოქმედების პოპულარობა. ლექსის მუსიკალობაში, მის შინაგან ჰარმონიაში უდავოდ ჩამარხულია — მაღალ აზრთან და განცდასთან ერთად — მისი პოპულარობის საფუძველიც. ჩვენ აქ ვლაპარაკობთ მაღალი, ნათელი აზრისა და მელოდიის შერწყმაზე, რითაც ყოველი ჭეშმარიტი პოეტური ქმნილება უძლებდა დროს და ფესვს იდგამდა ხალხის გულში.

ვ. გაბესკირიას ჯერ კიდევ ბევრი აქვს სათქმელი პოეზიაში. მისი პოეტური ტალანტი და თავისებური ინტონაცია ბევრს ამბობს ამ ორიგინალური შემოქმედის მრავალმხრივ შესაძლებლობებზე. კარგი იქნება, თუ პოეტი ამ შენიშვნებს ანგარიშს გაუწევს, კრიტიკულად მოეკიდება თავის შემოქმედებას, რადგან, ცნობილია, რომ რაგინდ ნიჭიერი არ უნდა იყოს მხატვარი, მისთვის ძნელია ყოველთვის ობიექტური და შეუმცდარი იყოს საკუთარი ნაწარმოების შეფასებაში.

გიორგი ხუხაშვილი.

ჰაინეს ლექსების ახალი თარგმანი

ჰაინეს ლექსების თარგმნას საქართველოში დიდი ტრადიცია აქვს. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ ჟურნალ-გაზეთებში მრავლად ქვეყნდებოდა ჰაინეს ცალკეული ლექსების თარგმანები. ჰაინეს ლექსებს თარგმნიდნენ ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: ნ. ავალიშვილი, კირიღე ლორთქიფანიძე, ანტონ ფურცელაძე, იოსებ ბაქრაძე, შ. მღვიმელი, ს. შაწშიაშვილი და სხვ. 1913 წელს გამოიცა ჰაინეს ლექსების ცალკე კრებული ჭოლა ლომთათიძის თარგმანით. უნდა ითქვას, რომ ჭ. ლომთათიძის მიერ თარგმნილი ჰაინეს ლექსები გამოირჩეოდა მაღალი მხატვრული ღირსებით, ორიგინალთან სიახლოვით და ლექსის შინაგანი ბუნების გადმოცემით.

ჰაინეს საბჭოთა დროის მთარგმნელთაგან აღსანიშნავია ხ. ვარდოშვილი, რომელმაც რამდენჯერმე გამოაქვეყნა ჰაინეს ლირიკული ლექსების კრებული.

„სიმღერათა წიგნი" ჰაინეს პირველი პოეტური კრებული იყო. აქ უშუალოდ აისახა მე-19 საუკუნის პირველი მეოთხედის გერმანიის როგორც საზოგადოებრივი, ასევე ახალგაზრდა ჰაინეს პირადი ცხოვრების ამბები. უფრო სწორი იქნება ვთქვათ რომ ამ კრებულში ეპოქის სოციალ-პოლიტიკური მოვლენები პოეტის ლირიკულ-ინტიმურ „მე"-ში გადაიტეხა.

ამიტომ არ იქნება მართებული გავიზიაროთ ის მოსაზრება, თითქოს ჰაინეს „სიმღერათა წიგნი" წმინდა რომანტიკული კრებულია. ამ კრებულში შეიმჩნევა მძლავრი რეალისტური ნაკადი, რომელიც ბევრ ლექსებში წამყვანია; ამასთანავე აქ იგრძნობა პოლიტიკური სატირისა და სოციალურად გამიზნული ირონიის ოსტატური პოეტური გამოყენება, რაც როგორც ცნობილია დამახასიათებელია შემდგომი პერიოდის ჰაინეს შემოქმედებისათვის.

ჰაინეს ლექსების ახალი თარგმანი რომელიც აკ. ჭკადუას ეკუთვნის იმით განსხვავდება უკვე არსებული კრებულებისაგან, რომ აქ მრავლადაა წარმოდგენილი ჰაინეს მძაფრი პოლიტიკური სატირის ნიმუშები. მთარგმნელს გარკვეული შრომა გაუწევია, რათა გადმოეცა ორიგინალის შინაარსი და მხატვრული ხერხები, ჰაინეს ლირიკის მომხიბლავი თავისებურებანი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ბევრი კარგად თარგმნილი ლექსის გვერდით გვხვდება მთელი რიგი ლექსებისა სადაც მთარგმნელი არა სწორად გადმოცემს ლექსის შინაარს, ან თვითნებურად უმატებს ისეთ სახეებსა და ეპიტეტებს, რომელიც სრულიათ უცხოა ჰაინესათვის.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი.

ჰაინრიხ ჰაინე. რჩეული ლირიკა. თარგმანი აკ. ჭკადუასი, სახელგამი, 1955.

წიგნის პირველივე ლექსში („გულზე ხელი დამადევი", გვ. 9) მთარგმნელს ვერ გაუგია პოეტის აზრი. ამ ლექსში ჰაინე ნატრულობს საუკუნო ძილს, ესე იგი, სიკვდილს და მიმართავს მეკუბოვეს, რომელიც კუბოს ჭედავს. იჩქარე ოსტატო, რათა მალე მოსვენება შევძლო. ჰაინე გარკვევით წერს:

Ach, sputet euch, Meister Zimmermann
Damit ich balde schlafen kann!

მთარგმნელი კი ასე წარმოგვიდგენს ამ სტრიქონების აზრს:

ეჰ, ოსტატო, თქვენ **მოწამლეთ ჩემი სიკაბუკე, ცოტა ხანი გამეცალეთ ძილი, მინდა უკვე.**

ისე გამოდის თითქოს პოეტს არ ეძინება, იმიტომ რომ დურგალი დღედაღამე აკაკუნებს და მიმართავს მას, გამეცალე აქედან, ძილი მინდაო, რაც პოეტის აზრს სრულიათ ვერ გამოხატავს. აქ ფიზიოლოგიურ ძილზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ სიკვდილზე.

ლექსში „ქარიშხალი შფოთავს ზღვაზე" (გვ. 21) პოეტი ზღვაზე მძვინვარე ქარიშხლის სურათს გვიხატავს: გემი ცეკვავს, ზღვა ბორგავს და ყველას შიშისაგან გული უწუხს:

Der Sturm spielt auf zum Tanze
Er pfeift und saust und brüllt.

მთარგმნელი აქ რატომღაც ახსენებს „ნიავქარს", რომელიც არც პოეტს აქვს მოყვანილი, და საერთოდ ანელებს გამძვინვარებული ქარიშხლის სურათს, ჰაინეს მიერ გადმოცემულ განწყობილებას. ცხადია „ნიავქარი" ამ კონტექსტში სრულიად უადგილოა:

ქარიშხალი შფოთავს ზღვაზე
სტვენს და წივის **ნიავქარი...**

ლექსში „გულო რატომ იტანჯები" (გვ. 29) პოეტი ინუგეშებს თავს, რომ რაც მისთვის „ზამთარს" წაურთმევია „ახალი გაზაფხული" დაუბრუნებს, გარდა ამისა

Und wie viel ist dir geblieben
Und wie schön ist noch die Welt!

ესე იგი ბევრი რამ (კარგი) შეგრჩენია და ეს ქვეყანაც ჯერ ხომ კიდევ მშვენიერია, ეუბნება თავის თავს პოეტი. როგორც ვხედავთ აქ ლაპარაკია ქვეყანაზე (die Welt) და არა „ჩემ მხარეზე" როგორც ეს მოყავს მთარგმნელს. პოეტი არ იტყოდა „წარმტაცია ჩვენი მხარე", რადგან იმდროინდელი გერმანია პოეტს „სუსხიან ზამთრად" აქვს წარმოდგენილი. ცხადია, ასეთი „შესწორების" შეტანა ჰაინეს ლექსში დაუშვებელია.

ლექსში „მესიზმრება: უფალი ვარ" (გვ. 30) აგრეთვეა დამახინჯებული პოეტის აზრი. ჰაინე ამბობს:

Und Kuchen eß ich und Konfekt
Für manchen lieben Gulden,

რაც ნიშნავს, რომ ნამცხვრებში და კონფეტებში ცოტაოდენ გულდენებს ეხდეს. მთარგმნელი კი წერს: **„უსასყიდლოდ — შეექცევი** კონფეტებს და ხაჭაპურებს". თანაც Kuchen ნამცხვარია და არ შეიძლება ითარგმნოს ქართულ „ხაჭაპურად".

გარდა ამისა, ლექსში გამოყვანილი ჰაინეს პოლონელი მეგობარი გრაფი ევგენი ფონ ბრეზა, რომელიც ტოკაურ ღვინოს შეექცევა, ეკლესიაში არ დადის და მამზელ მაიერის ხშირი სტუმარია, უცებ გვევლინება „ცელქ და გიჟმაჟ ბავშვად". გერმანული სიტყვა der Bengel კონტექსტის შესაბამისად ნიშნავს აქ ბოთეს, რეგვენს, რასაც ჰაინე დაცინვით ეუბნება მეგობარს, და არავითარ შემთხვევაში „ცელქ და გიჟმაჟ ბავშვს".

ლექსში „ჩიოდნენ საჭურისები" (გვ. 36) ჰაინე ახსენებს თავის მტრებს, რომლებიც მის სიმღერას „სიტლანქეს" სწამებენ, და დაცინის მათი „რაკრაკა", „ნაზი" და „პაწაწინა" ხმებს. მთარგმნელს კი „საჭურისთა" ამ ხმებს რატომღაც კრიმანჭულს უწოდებს, რაც სხვა რომ არა ვთქვათ რა, გასაოცარია („ახლა იმათი-ე. ი. საჭურისების — ნაზი ხმა კრიმანჭულივით გაისმა").

ლექსში „ვზივარ ზღვასთან წმინდა ქვაზე" (გვ. 56) ჰაინე წერს:

Jch habe geliebt manch schönes Kind
Und manchen guten Gesellen.

მართალია ჰაინე აქ წერს Kind, ესე იგი, ბავშვიო, მაგრამ უნდა ვიცოდეთ რომ პოეტი აქ გულისხმობს ქალს. მთარგმნელი კი ამ სტროფს ასე თარგმნის:

მე მიყვარდა ბევრი კარგი მეგობარი
და რამდენი კარგი ბავშვი მყვარებია!

ვინც ჰაინეს პოეზიას კარგად იცნობს, მას ისიც ეცოდინება, რომ პოეტი ჩვეულებრივ „Schönes Kind"-ს ქალს უწოდებს. ეს ძველ რუსულ თარგმანშიაც კი უგრძვნიათ უკვე: „Знавал друзей я и ласковых дев (ა. კ. ტოლსტოი).

მთარგმნელი ხშირად ხმარობს სრულიად უადგილოდ სიტყვას „ლამის" ალბათ რითმისათვის. მაგალითად, ერთ-ერთ თავის შესანიშნავ ლექსში „გავიქცეთ ერთად და იყავი ჩემი მეუღლე" (გვ. 71) ჰაინე ეუბნება სატრფოს, თუ ჩემთან არ წამოხვალ, მოკვდები და შენ დარჩები მარტოდ-**მარტო: und du bist einsam und allein.** მთარგმნელი წერს: „და შენ დარჩები ქვეყნად **მარტო, ლ ა მ ი ს ე უ ლ ი**". „ლამის ეული" აქ სრულიად ზედმეტია, და მოტანილია მხოლოდ რითმისათვის „მამისეული".

ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ლექსში „ცხოვრების გზა" (გვ. 84). ორიგინალში წერია „ბრწყინავენ და ციმციმებენ მზის **სხივები" (Es blitzen und gaukeln die Son-**

nenlichter). თარგმანში გკითხულობთ „მზე მოცინარობს, ლ ა მ ი ს (?) სხივებად გ ა დ ა დ ნ ე ს (!) და ჩამოიღვაროს“. როგორც ზემოდ მოყვანილ ორგინალის ტექსტიდან ჩანს, ჰაინე სრულიად არ ხმარობს ასეთ იაფფასიან პოეტურ სახეებს: „მზე... ლამის სხივებად გადადნეს“ და სხვ.

სიტყვა „ლამის“ უადგილოდ სხვა ლექსების თარგმანებშიაც გვხვდება. ლექსში „ღამის ფიქრები“ (გვ. 102) პოეტი გარკვევით ამბობს, რომ Die alte Frau hat mich behext ე. ი. მოხუცმა ქალმა მომაჯადოვაო, მთარგმნელი კი წერს „ლ ა მ ი ს მომაჯადოვაო“.

ლექსში „გეორგ ჰერვეგისადმი“ (გვ. 85) აზრობრივ დამახინჯებასთან გვაქვს საქმე. აქ ჰაინე ასე ხატავს იმდროინდელ გერმანიას ალეგორიულად: მთვრალ ფილისტერს ხელში უჭირავს ლუდით სავსე კათხა და პირში გარჭობილი აქვს ფოჩებიანი ჩიბუხი. (ჰაინე გულისხმობს, რომ მკითხველისათვის ეს ალეგორია გასაგებია და მხოლოდ მინიშნებას იძლევა; „ჩიბუხის თავი“, „მოშავო-მოწითალო-მოოქროსფერო ფოჩები“ და სხვა...)

ჰაინე წერს:

„Mein Deutschland trank sich einen Zopf,
Und du, du glaubtest den To-asten!
Du glaubtest jedem Pfeifenkopf
Und seinen schwarz-rot-goldnen Quasten“.

ქართულად ასე იქნება: „ჩემი გერმანია ითვრებოდა ჩამორჩენილობით, შენ კი გჯეროდა სადღეგრძელოების, შენ გჯეროდა ყოველი ჩიბუხის თავის და ჩიბუხის მოშავო-მოწითალო-მოოქროსფერო ფოჩების“. ამ სტროფის აზრი ასეთია: გერმანიაში გაბატონებულია ჩამორჩენილობა, შენ კი შეგრჩენია ილუზიები და ერთგვარ რომანტიკულ სამოსელში ახვევ ჩამორჩენილ გერმანიასო, — ეუბნება პოეტი ჰერვეგს.

მთარგმნელი კი ასე წერს:

ჩემს გერმანიას ძალად ასმევდნენ
და მტრის მახეში ასე გაები;
შენცა გჯეროდა, რასაც გასმევდნენ
შავ-წითელ-ყვითელ საღებავებით.

აშკარაა, რომ ამ თარგმანის არც-ერთ სიტყვას არაფერი აქვს საერთო დედანთან. რა შუაშია აქ „მახეები“ და „საღებავები“? არაფერს ვამბობთ სხვა სტროფის ორიგინალიდან დაშორების შესახებ, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ თარგმანის მესამე სტროფში მთარგმნელი პოლიციისაგან დევნილ ჰერვეგს უწოდებს „საწყალ ბავშვს“. ორიგინალში ამის მაგვარი არაფერია და არც შეიძლება ყოფილიყო, რადგან რევოლუციონერ პოეტს გეორგ ჰერვეგს, ჰაინე არ უწოდებდა „საწყალ ბავშვს“.

ლექსი „1849 წლის ოქტომბერში“ (გვ. 176) შეეხება 1848 წლის რევოლუციის შემდგომ გამეფებულ რეაქციის დროს. აქ სატირიკულად არის მინიშნება იმისა, რომ ფილისტერულ გერმანიაში სრული სიწყნარეა, არ იგრძნობა რევოლუციური მღელვარება; ეს ხატოვნად გამოხატულია აღნიშნულ ლექსში შემდეგი სტრიქონით: თბილ ქვეყნებიდან ისევ მოფრინდა მერცხალი, რომელმაც ბუდე გაიკეთა ჩვენს სახლზე. ჰაინე ამ მერცხალს „მშვიდობის მერცხალს“ უწოდებს. „მშვიდობის მერცხალი“ აქ ირონიული მნიშვნელობითაა ნახმარი. „მშვიდობაში“ აქ „უშფოთველობა“, „უძრაობა“, „დახავსებულობა“ იგულისხმება, რაც რეაქციულ გერმანიაში სუფევდა, და არა ის ომის საწინააღმდეგო ანტიმილიტარისტული მოძრაობა, რომელიც დღეს მოიცავს პროგრესულ კაცობრიობას. მტრედი კი სწორედ ასეთი მშვიდობის სიმბოლოა. მთარგმნელს არასწორად გაუგია ლექსის ეს ადგილი და „მშვიდობის მერცხალი“ მოუნათლია „მშვიდობის მტრედად“. დედანში ასეა: Die Friedenschwalbe kehrt zurück („მშვიდობის მერცხალი დაბრუნდა უკან“).

მეორე სერიოზული ნაკლი თარგმანისა ის არის, რომ მთარგმნელს თვითნებურად შეაქვს ჰაინეს ლექსში ისეთი სახეები, გამოთქმები და ცნებები, რომელნიც ორგანიულად უცხოა ჰაინეს შემოქმედებისათვის და რომელნიც ქმნიან არა ჰაინესებურ განწყობილებასა და კოლორიტს. ამის ნათელი დადასტურებაა კრებულში წარმოდგენილი მთელი რიგი ლექსები. მაგალითად ლექსში „მტრედი, მზე, სოსანი“... (გვ. 14) მთარგმნელი არღვევს ჰაინეს სახეების სისტემას, როდესაც შეაქვს საკუთარი და ისიც ძალიან ბუნდოვანი „ნიუანსი“: გული „ლამპრად დამწვარა, გაბზარა პატარამ“ (?!). ასევე ჰაინესებური არაა და არღვევს ლექსის ძირითად ტონს მთარგმნელის მიერ შეტანილი „საღებავები“ ლექსში „რად არის ასე ფერმკრთალი ვარდი“ (გვ. 16) როგორიცაა მაგალითად, მზე „მორთული ფლასით“, „ვინღა უშველის ამ სიმარტოვეს“ და სხვა. მთარგმნელი მიაწერს ჰაინეს, თითქოს იგი ამბობდეს, რომ ანგელოსებს ფრთები აქვთ „ნაზი როგორც გარიჟრაჟი“ (გვ. 31), თითქოს პოეტი თავის გულს ეუბნებოდეს „დაკრეფ ახალ თაიგულებს“ (გვ. 29). ყოველივე ეს ვერ გამოხატავს ჰაინეს პოეტურ განწყობილებას და სრულიად ზედმეტია. ასევე ზედმეტია „შავი გველი“ ლექსში „შავი ქალი მომეხვია ვნებით“ (გვ. 211). ჰაინე საერთოდ არ ახსენებს გველს ამ ლექსში და ისიც ქალის მიმართ: „შავი ქალი მომეხვია ვნებით, შავი ქალი, რ ო გ ო რ ც შ ა ვ ი გ ვ ე ლ ი“ — ასეთი აშკარად დეკადენტური სახე ჰაინესათვის ორგანიულად უცხო და შეუფერებელია.

ლექსში „ზღვაზე ჩამოწვა ნისლი დაისის“ (გვ. 22) მთარგმნელი ჰაინეს სახეების ქსოვილს არღვევს, როდესაც ლექსში შეაქვს გამოთქმა „ცრემლად გადაგეღვარე“, რაც წარმოადგენს გარკვეულ რემინისცენციას ი. გრიშაშვილის პოეზიიდან.

ორგინალისადმი ძალიან თავისუფალი დამოკიდებულება შეიმჩნევა ლექსში „ვიდექი ფიქრით

გაოგნებული“ (გვ. 24). აქ მთარგმნელს თვითნებურად შეაქვს ახალი სახეები, როგორიცაა, „რაღაც მგესლავი“ — ღიმილი, „აკვნესდა გული ლახვარდაკრული“ და სხვა.

ლექსში „თუმცა ინდოეთს ფლობს ვისვამიტრა“ (გვ. 28) სრულიად ზედმეტია „თუმცა“. გერმანულ დედანში ის არ გვაქვს და ქართულადაც თავისთავად გაუგებარია. ლექსში „მეგობარო, შენ სხვა გიყვარს“ (გვ. 33) მთარგმნელს შეაქვს თავისი გამოთქმა „თავში ბინდი ჩაგიდგება“, რომელიც ქართულადაც განმარტებას საჭიროებს.

ლექსში „და ასე ივლი თავისუფალი“ (გვ. 66) ზედმეტია სიტყვები „თავისუფალი“ და „ვნებული“ და საერთოდ ამ ლექსში ჰაინესებური ტემპი და რიტმი მთლიანად დარღვეულია.

ასევე ჰაინესათვის უცხო, არადამახასიათებელი ნიუანსებით და სახეებით „ავსებს“ მთარგმნელი ლექსებს „დამშვიდებისათვის“ (გვ. 94) და „ღამის ფიქრები“ (გვ. 102)

ლექსში „შესხმა ლუდვიგ მეფისა“ (გვ. 105) სრულებით არ არის ლაპარაკი „ვნებებზე“ და „მცვედანზე“, რაც მთარგმნელს თვითნებურად შეაქვს. ასეთივე თავისუფალ თარგმანს წარმოადგენს ლექსი „მიხელი მარტის შემდეგ“ (გვ. 147), „ამომრჩეველი ვირები“ (გვ. 119), — „გაზეთი პირველი“ (გვ. 160) და სხვა. ლექსში „ამომრჩეველი ვირები“ მთარგმნელი რაშს „ზოზინას“ უწოდებს, მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის რომ ბოლოში რითმისათვის მას სჭირდება სიტყვა „დაიყროყინა“.

აღსანიშნავია, რომ სქოლიოებში მოტანილი შენიშვნები ხშირად თვითონ მოითხოვენ განმარტებას. მაგალითად, „არენდტი — მემარჯვენე მწერალი, იანი — რეაქციონერი, შოვინისტი“ (გვ. 118). და სხვ.

გარდა ამისა ჰაინეს ტექსტში გვხვდება ისეთი სიტყვები, რომლებიც სრულიად არ არის განმარტებული, მაგალითად: „წმინდა ქვა“ (გვ. 56), „ლუდვიგ მეფე“ (გვ. 105), „მეფე რიჩარდი“ (გვ. 162), „ბაბილონის მიწა“ (გვ. 167) და სხვ.

იმედია, მთარგმნელი გაითვალისწინებს ზემოთაღნიშნულ შენიშვნებს, რათა ჯეროვნად წარმოგვიდგინოს ჰაინეს შესანიშნავი პოეტური მემკვიდრეობა.

ნოდარ რუხაძე

დეკაბრისტები საქართველოში

დეკაბრისტების მოძრაობა აღმოცენდა 1812 წლის სამამულო ომის შემდეგ. მის უმაღლეს გამოხატულებას წარმოადგენს 1825 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება პეტერბურგში, სენატის მოედანზე, და სამხრეთში — კიევის გუბერნიაში. დეკაბრისტების რევოლუციური გამოსვლით დაიწყო რუსეთში განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორია. ვ. ი. ლენინი წერდა: „განმათავისუფლებელმა მოძრაობამ რუსეთში სამი მთავარი ეტაპი განვლო, შესაბამისად რუსი საზოგადოების სამი მთავარი კლასისა, რომლებიც მოძრაობას თავიანთ ბეჭედს ასვამდნენ: 1) თავადაზნაურული პერიოდი, დაახლოებით 1825-დან 1861 წლამდე; 2) რაზნოჩინცული ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, დაახლოებით 1861-დან 1895 წლამდე; 3) პროლეტარული — 1895 წლიდან დღემდე.

თავადაზნაურული პერიოდის ყველაზე გამოჩენილი მოღვაწეები იყვნენ დეკაბრისტები და გერცენი“ (ვ. ი. ლენინი, ტომი 20, გვ. 292).

თავადაზნაურული რევოლუციონერების დამახასიათებელი იყო ამ რევოლუციონერთა ვიწრო წრე, ძალიან შორს ყოფნა ხალხისაგან. ვ. ი. ლენინს მოყავს გერცენის სიტყვები რომ დეკაბრისტები „იყვნენ რაღაც დევგმირები, თავით ფეხამდე წმინდა ფოლადისაგან გამოჭედილნი, თანამებრძოლნი, რომლებმაც შეგნებულად გასწირეს თავი, არ მოერიდნენ უეჭველ სიკვდილს, რათა ახალი ცხოვრებისათვის გაეღვიძებინათ ახალი თაობა და განეწმინდათ ჯალათობისა და მონური ქედმოხრილობის წრეში შობილნი“. ვ. ი. ლენინის თქმით: „ასეთ ახალგაზრდათა რიცხვს ეკუთვნოდა გერცენი. დეკაბრისტების აჯანყებამ გამოაღვიძა და „გაწმინდა“ იგი“ (ვ. ი. ლენინი, ტ. 18, გვ. 11-12).

ვ. ი. ლენინი ამბობს, რომ დეკაბრისტებმა გააღვიძეს გერცენი, გერცენმა გაშალა რევოლუციური აგიტაცია. შემდეგ ეს რევოლუციური აგიტაცია გაფართოვეს, განამტკიცეს რევოლუციონერ-რაზნოჩინცებმა ნ. ჩერნიშევსკიდან დაწყებული — „ნაროდნაია ვოლიას“ გმირებით დამთავრებული. მებრძოლთა წრე გაფართოვდა, უფრო ახლო მივიდნენ ისინი ხალხთან.

დეკაბრისტების მოძრაობა უაღრესად ნაციონალური ხასიათისა იყო. რა თქმა უნდა, მათზე გავლენა მოახდინა უცხოეთისა და საკუთარი ქვეყნის მოწინავე იდეებმა, მეცნიერების განვითარების მიღწეულმა დონემ. მაგრამ გადამწყვეტ ფაქტორს, რომელმაც განსაზღვრა დეკაბრისტების იდეოლოგია, წარმოადგენდა რუსეთის სინამდვილე. ყველა დეკაბრისტების წმინდა მოელოლეობას შეადგენდა ბრძოლა ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში დეკაბრისტებს ჰყავდათ წინამორბედი: ეს იყო

ლ. ბარამია. დეკაბრისტები საქართველოში. სახელგამი. 1955.

რადიშჩევი, მისმა მიმდევრებმა დეკაბრისტებმა გააგრძელეს და გააფართოვეს ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლა. დეკაბრისტები თავისი პოლიტიკური, იურიდიული, მხატვრული და ფილოსოფიური თეორიებით, არყევდნენ ფეოდალური საზოგადოების ბაზისს, ისინი იბრძოდნენ ამ ძველი ბაზისის მოსპობისათვის და ახალი ბაზისის შექმნისათვის, რაც შეეფარდებოდა რუსეთის იმდროინდელი განვითარების მოთხოვნილებებს. მართალია, დეკაბრისტებს შორის არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ ყველანი შეთანხმებული იყვნენ იმაში, რომ ბატონყმობა და თვითმპყრობელობა უნდა მოისპოს და რუსეთი დადგეს მოწინავე ერების მწყობრში.

დეკაბრისტების რევოლუციურ მოძრაობას ქართველი ხალხისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ თვალსაზრისით უნდა იქნეს განხილული ლ. ბარამიას წიგნი: „დეკაბრისტები საქართველოში". ავტორი სამართლიანად წერს: „რუსეთის მოწინავე იდეებით გამსჭვალული ადამიანების საქართველოში ჩამოსვლით ხორციელდება რუსეთის მოწინავე კულტურის გავლენა ქართველ ხალხზე; ასევე ქართული კულტურა, საქართველოს თვალწარმტაცი ბუნება და მამაცი ქართველი ხალხი თავის მხრივ საკმაოდ ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა რუსეთის პროგრესულ მოაზროვნეებზე. დიდი რუსი მწერალი და კრიტიკოსი ბელინსკი კავკასიას სამართლიანად უწოდებდა პოეტურ ტალანტების აკვანს, მათი მუზის შთამაგონებელსა და გამზრდელს, პოეტურ სამშობლოს". აქ შეიძლება მხოლოდ შევნიშნოთ, რომ რუსეთის მოწინავე კულტურის გავლენა ქართველ ხალხზე ხორციელდებოდა არა მხოლოდ დეკაბრისტების გადმოსახლებით საქართველოში, არამედ არსებობდა კულტურული ურთიერთობის სხვა გზებიც.

საქართველოში დეკაბრისტების მოღვაწეობა მეტად რთულ ვითარებაში მიმდინარეობდა. დეკაბრისტების საქართველოში მოღვაწეობის შესწავლა შეუძლებელია რუსული რევოლუციური მოძრაობის მთელი რიგი საკითხების განუხილველად. შეუძლებელია მთლიანი შრომის დაწერა, თუ არ არის განხილული მე-19 საუკუნის პირველი მეოთხედის რუსეთ-საქართველოს ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის საკითხები. ავტორმა გამოიყენა მდიდარი საარქივო მასალა, სპეციალური ვამოკვლევანი. მან ძირითადად შეძლო წარმოედგინა დეკაბრისტების მოღვაწეობა საქართველოში. განსაკუთრებით საყურადღებოა შრომის ის ნაწილი, რომელიც დეკაბრისტ ალექსანდრე განგებლოვს (განგებლიძე) შეეხება. აქ ვრცლადაა მოცემული ამ ქართველი დეკაბრისტის ბიოგრაფია.

ავტორი ცდილა შესავალში მოეცა დეკაბრისტული მოძრაობის მნიშვნელობის დახასიათება. იგი სამართლიანად შენიშნავს, რომ „დეკაბრისტების მოძრაობა, მიუხედავად იმისა, რომ თავადაზნაურულ ოფიცრებს აერთიანებდა, პროგრესული იყო, რადგან თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ იყო მიმართული" (გვ. 5). უნდა შევნიშნოთ, რომ დეკაბრისტების მოძრაობა იმიტომაც იყო პროგრესული, რომ იგი ანტიბატონყმურ მოძრაობას წარმოადგენდა. ამ მოძრაობის თითქმის ყველა წარმომადგენელი სასტიკი მტერი იყო ბატონყმობისა. თვითეული მათგანი კარგად ხედავდა, რომ რუსეთის ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის მიზეზი ბატონყმური ურთიერთობაა. დეკაბრისტული მოძრაობის ეს ანტიფეოდალური ხასიათი ნაკლებად ჩანს შრომაში.

არ არის შრომაში ხაზგასმული ის აზრიც, რომ დეკაბრისტების რევოლუციურ მოძრაობაზე გავლენა მოახდინა ნაპოლეონის ბატონობის მოსპობამ ევროპაში. 1812 წლის სამამულო ომმა გააძლიერა პატრიოტული გრძნობები, აამაღლა რუს ხალხში საკუთარი ნაციონალური ღირსების გრძნობა, ამდენად ამ ომმა ობიექტურად ხელი შეუწყო დეკაბრისტების რევოლუციური მოძრაობის განვითარებას. სამწუხაროდ, დეკაბრისტული მოძრაობის ეს მხარე მკრთალად არის წიგნში წარმოდგენილი.

შედარებით კარგად არის დაწერილი პირველი თავი: საქართველოს მდგომარეობა XIX საუკუნის ოცდაათიან წლებში, თუმცა არსებული მასალების მიხედვით შეიძლებოდა საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის უკეთ წარმოდგენა. ამ თავში განხილულია გლეხობის ექსპლოატაცია და მისი ფორმები, ადამიანებით ვაჭრობა, გლეხთა აჯანყებანი, კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარება, კულტურული დონე სწავლა-განათლების ზრდა. ავტორი ასკვნის: „ქართველი ხალხი, თავისი მოწინავე წარმომადგენლების სახით, აშკარად ხედავდა, რომ საქართველოს ხსნა შექმნილ ისტორიულ პირობებში მხოლოდ რუსეთთან შეერთება იყო. ასეთი ორიენტაცია ისტორიულად გამართლდა და ქართველი ხალხი გადაურჩა გადაგვარებას და ჯიზიკურად მოსპობას. ბოლო მოეღო რა საქართველოში ფეოდალურ შინა-ომებს და სპარსეთ-თურქეთის ჯარების შემოსევებს, რუსეთმა საქართველო კაპიტალისტური განვითარების გზაზე დააყენა და ნაყოფიერი გავლენა მოახდინა ქართველი ხალხის კულტურისა და მეცნიერების განვითარებაზე" (გვ. 35). ეს სწორი დასკვნაა, მაგრამ შრომის ნაკლი ისაა, რომ საქართველოს ეკონომიური ვითარების განხილვა არ არის დაკავშირებული დეკაბრისტების მოღვაწეობასთან საქართველოში 1825 წლის 14 დეკემბრის აჯანყებამდე.

საინტერესოდ არის დაწერილი ნაწილები შრომისა „დეკაბრისტები საქართველოში 1825 წლის 14 დეკემბრის აჯანყებამდე" და „დეკაბრისტები საქართველოში 1825 წლის 14 დეკემბრის აჯანყების შემდეგ". ავტორს აქ საარქივო მასალა აქვს გამოყენებული. აჯანყებამდე საქართველო-

ში იყვნენ: პ. კახოვსკი, კუხელბეკერი, პ. მუხანოვი, ა. იაკუბოვიჩი, პ. უსტიმოვიჩი, ა. ავენარიუსი, ა. არისტოვი და მ. რადულოვი. აჯანყების შემდეგ 1826 წლიდან სხვადასხვა დროს კავკასიაში გადმოსახლებული იყვნენ დეკაბრისტები: ა. ბესტუჟევი, ა. ოდოევსკი, პ. ბესტუჟევი, ა. ვედენიაპინი, ა. განგებლოვი, ვიშნევსკი, ნ. კოქევნიკოვი; 1827 წლიდან — აკულოვი, პ. კონოვნიცინი, მ. პუშჩინი, ლაპა, ფოკი, ცებრიკოვი, ე. მუსინ-პუშკინი, ა. ლაჩინოვი, 1828 წლიდან: ბურცევი, ვ. ტოლსტოი, ნ. რაევსკი, ვ. გოლიცინი, ზ. ჩერნიშევი, კორნილოვიჩი, კრავცოვი, სუხორუკოვი, ლიხაჩევი, ლორერი, ნაზიმოვი, ნარიშკინი, ა. როზენი, ბელიაევი და სხვა. სულ კავკასიაში გადმოსახლებული იყო 54 კაცი. დიდი გულისხმიერებითა და მასალის კარგი ცოდნით აქვს გადმოცემული ავტორს დეკაბრისტების ბიოგრაფიები, მაგრამ მკლევარის ამოცანაა არა მხოლოდ ბიოგრაფიების გადმოცემა, არამედ უმთავრესად დეკაბრისტების მსოფლმხედველობის გამორკვევა. ცნობილია, რომ დეკაბრისტებს შორის არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა, თუმცა მთავარ საკითხში — თვითმპყრობელობის დამხობაში ისინი ძირითადად ერთ შეხედულებას იცავდნენ, მაგალითად ა. ბესტუჟევის შესახებ ავტორს მოჰყავს განგებლოვის მოგონებებიდან ერთი ადგილი: „ჩვენ ვხვდებოდით ერთმანეთს საღამოობით, ხან ერთთან, ხან მეორესთან, ხშირად კი ჩემთან — კვირაში ორჯერ და ხანდახან მეტჯერაც. ეს საღამოები ემსგავსებოდა პეტერბურგში ისკრიცკის „სამშაბათობებს“ (გვ. 14). აი ყველაფერი, რაც ა. ბესტუჟევის შესახებ არის წიგნში მოთხრობილი. სინამდვილეში კი ა. ბესტუჟევი ღრმა მოაზროვნე იყო, იგი რილეევთან ერთად აწარმოებდა ბრძოლას ფილოსოფიისა და რელიგიის საკითხებზე ე. პ. ობოლენსკისთან. ამ ფილოსოფიური დავის შესახებ სრულებით არაფერი აქვს ნათქვამი ავტორს. ა. ბესტუჟევი მტკიცედ ილაშქრებდა იდეალიზმის წინააღმდეგ, დასცინოდა ყველა მათ, ვინც გატაცებული იყო შელინგის იდეალისტური ფილოსოფიით. იგი წინააღმდეგი იყო შელინგის ფილოსოფიური იდეების გავრცელებისა რუსეთში. ა. ბესტუჟევი სხვა დეკაბრისტებთან ერთად სასტიკად ილაშქრებდა რელიგიისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. იგი აშკარად მოუწოდებდა მეფის ხელისუფლების დამხობისაკენ. ა. ბესტუჟევი მატერიალისტი-დეისტი იყო.

ჩვენს ავტორს ევალებოდა დეკაბრისტების მსოფლმხედველობის მოკლე დახასიათება. სამწუხაროდ, ზოგიერთი დეკაბრისტის მიმართ ავტორი დაკმაყოფილდა მხოლოდ მათი ბიოგრაფიების გადმოცემით.

რიგ შემთხვევებში ავტორი არ არის მოკლებული ერთგვარ მიხვედრილობას, თუმცა არგუმენტაცია თავისი მოსაზრების დასაბუთებისათვის ყოველთვის არ არის საკმარისი.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: „მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს მოწინავე ჯგუფები ფეხდაფეხ მისდევდნენ რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებას და არ ჩამორჩებოდნენ რუსეთის ინტელიგენციის განვითარებას საერთო დონეს“ (გვ. 37). სავსებით სწორი დებულებაა, მაგრამ მასალები ამ დებულების დასამტკიცებლად წიგნში არ მოიპოვება.

სხვა ადგილას ავტორი წერს: „პესტელის, იაკუბოვიჩისა, კუხელბეკერის, ვოლკონსკისა და სხვათა შესახებ გამოსაძიებელ მასალების გულდასმით შესწავლის შემდეგ ჩვენ მაინც გვაქვს ზოგიერთი საფუძველი ვიფიქროთ, რომ საიდუმლო საზოგადოება კავკასიაში ერმოლოვის კორპუსში მართლაც არსებობდა, მაგრამ გამოძიებამ ვერ შესძლო მისი აღმოჩენა“ (გვ. 85). თავისი დებულების დასამტკიცებლად ავტორს მოჰყავს დაკითხვის დროს დეკაბრისტების, ვოლკონსკისა და პესტელის ჩვენება, მაგრამ თვით ავტორი ხვდება, რომ ეს საკმარისი არგუმენტი არ არის და წერს: „სამწუხაროდ, ჩვენამდე მოღწეული საარქივო მასალებში ვეღარ ვპოულობთ მეტ მონაცემებს, რომლებიც დაამტკიცებენ, რომ კავკასიაში ერმოლოვის კორპუსში არსებობდა ფარული საზოგადოება. მაგრამ ის, რაც ამჟამად ხელთა გვაქვს გვაძლევს ნებას ვიფიქროთ, რომ ფარული საზოგადოება კავკასიაში შეიძლებოდა არსებულიყო“. იმ მასალებიდან, რომლებიც ავტორს მოჰყავს, კავკასიაში ფარული საზოგადოების არსების საკითხი გადაუჭრელია, ავტორი თვითვე სამართლიანად აღნიშნავს, რომ ამ საკითხის გარკვევისათვის საჭიროა მასალების შემდგომი დაზუსტება და შესწავლა.

„აუცილებლად საჭიროა გამოირკვეს ის გავლენა, რასაც ახდენდნენ რუსეთის ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები ქართველ ხალხზე და პირიქით“ (გვ. 139). სწორი აზრია და მკვლევარის ამოცანაც ეს იყო. სამწუხაროდ, წიგნში არ არის მოცემული მასალები დეკაბრისტების იდეური გავლენის შესახებ ქართულ საზოგადოებრივ აზრზე.

ყურადღების ღირსია წიგნის ის ნაწილი, სადაც განხილულია ქართველი დეკაბრისტის ალექსანდრე სიმონის-ძე განგებლოვის (განგებლიძის) მოღვაწეობა. ავტორს არ დარჩენია გამოუყენებელი არც ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი თუ ნაბეჭდი მასალა. აღსანიშნავია, რომ განგებლოვის მხოლოდ ბიოგრაფია კი არ არის მოცემული, მსგავსად სხვა დეკაბრისტებისა, არამედ დახასიათებულია მისი მსოფლმხედველობის ძირითადი მომენტებიც. დეკაბრისტს განგებლოვის შესახებ ავტორმა შემდეგშიც უნდა განაგრძოს მუშაობა.

წიგნში გვხვდება რამდენიმე არასწორი ფორმულირება, შეინიშნება ქართული ენის დამახინჯებაც. მაგალითად: „საქართველოს ეკონომიკაში იჭრებოდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი, რომელიც წარმოების არსებულ საშუალე-

ბებზე გამხრწნელ გავლენას ახდენდა“ (გვ. 24). ავტორს ალბათ უნდოდა ეთქვა „საწარმოო ურთიერთობა“ და არა „წარმოების საშუალებები“. არ არის ქართულად სწორი ასეთი გამოთქმაც: „პესტელი ამ განწყობილებით წერდა “რუსკაია პრავდას“, და ჰქონდა იგი პეტერბურგში და იქაურ წევრებს იყოლებდა თავის აზრზე“ (გვ. 168); აგრეთვე: „დაბალი ხარისხის რამდენიმე სამხედრო პირი“ (გვ. 174) და სხვა.

ლ. ბარამიას ნაშრომი „დეკაბრისტები საქართველოში“, როგორც პირველი ცდა ქართულ ენაზე ამ თემის გაშუქებისა, უურადღების ღირსია. ავტორმა უნდა განაგრძოს ამ თემაზე შემდგომი კვლევა-ძიებითი მუშაობა, რათა შესაძლებელი სრულიად წარმოგვიდგინოს ჩვენი წარსული ცხოვრების ეს მეტად საინტერესო პერიოდი.

დოც. **ვ. ბახტაძე**

წიგნი თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფიაზე

პროფესორ კ. ბაქრაძის წიგნში განხილული და გაკრიტიკებულია თანამედროვე ამერიკულ-ინგლისური ბურჟუაზიული ფილოსოფიის ყველაზე გავრცელებული რეაქციული მიმართულებები — პრაგმატიზმი და ლოგიკური ემპირიზმი.

შრომაში მოცემულია თანამედროვე პოზიტივისტური სკოლების წინამორბედი ფილოსოფიური სისტემების დახასიათება. ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ დღევანდელი სუბიექტური იდეალიზმი არსებითად ახალს არაფერს ამბობს, რომ იგი ან ზუსტად იმეორებს ანდა მოდიფიცირებული სახით წარმოადგენს ბერკლის, იუმისა და კანტის სუბიექტურ იდეალიზმს და აგნოსტიციზმს; ამასთან, ბერკლის სუბიექტური იდეალიზმისა და კანტის აგნოსტიციზმის პირველი ეკლექტური ნარევი მახიზმსა და ემპირიოკრიტიციზმს ეკუთვნით, ხოლო თანამედროვე პოზიტივიზმი უშუალოდ ამ უკანასკნელს ეყრდნობა. ავტორი რამდენიმე გვერდზე (12-22) დამაჯერებლად ასურათებს სუბიექტური იდეალიზმის „ევოლუციას“ ბერკლიდან დღევანდელ პოზიტივიზმამდე.

თანამედროვე პოზიტივისტური მიმდინარეობის კრიტიკას ავტორი იწყებს პრაგმატიზმიდან. ეს მიმართულება დასაბამს იღებს ჯერ კიდევ 1878 წლიდან, როცა გამოქვეყნდა ამერიკელი მათემატიკოსის, კანტიანელი ჩარლზ პირსის სტატია „როგორ გავხადოთ ჩვენი იდეები ნათელი“. დასრულებული სახე ამ მიმართულებამ მიიღო ჯერ ვილიამ ჯემსის, ხოლო შემდეგ დიუისა და ინგლისელ ფილოსოფოს ფერდინანდ შილერის ნაწარმოებებში. ავტორი აღნიშნავს, რომ ეს მიმართულება წარმოადგენს პოზიტივიზმის სპეციფიკურ ამერიკულ გამოვლენას და ცხადად აჩვენებს ამ მიმართულების ყოველგვარი გნოსეოლოგიური ვარჯიშობის ნამდვილ ბუნებას.

ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ ის, რასაც პრაგმატიზმი თავის „ახალ“ მეთოდს უწოდებს, ფაქტიურად მისი მსოფლმხედველობაა; ხოლო ვინაიდან არავითარი თეორია არ არსებობს გარკვეული მეთოდის გარეშე, ამიტომ პრაგმატიზმის კრიტიკის დროს აუცილებელია ნაჩვენები იქნეს, თუ რა მეთოდით ხელმძღვანელობს იგი, როცა თავის ყალბ თეორიას ქმნის. შრომის ეს ნაწილი, ჩვენი აზრით, ვერაა სრულყოფილად წარმოდგენილი, ვინაიდან სადაც პრაგმატიზმის ე. წ. „ახალი მეთოდი“ ირჩევა, იქვე მაგალითებზე უნდა დავრწმუნებულიყავით, რომ ამ ფილოსოფიის პრეტენზიაც — შექმნას „ახალი მეთოდი“ — მოკლებულია საფუძველს. წიგნში შედარებით დიდი ადგილი ეთმობა ჭეშმარიტების პრაგმატისტული თეორიის განხილვასა და მის კრიტიკას. აქ ავტორი მეტად საგულისხმო არგუმენტს აყენებს ჭეშმარიტებისა და მისი შემოწმების პრაგმატისტული თეორიის წინააღმდეგ. როცა პრაგმატიზმი ამბობს, რომ პრაქტიკა ქმნის ჭეშმარიტებას, მოქმედების შედეგი არის ჭეშმარიტება და სხვ., ის ფაქტიურად აიგივებს შესამოწმებელს და შემმოწმებელს, რის შემდეგაც შემოწმებაზე ლაპარაკი ზედმეტია. მარქსისტული გაგებით ჭეშმარიტებისა და მისი პრაქტიკით შემოწმების საკითხი ასე უნდა გვესმოდეს: რამდენადაც ჭეშმარიტება სინამდვილის ადექვატური ასახვაა, ამდენად სწორედ მისი ადექვატურობის ხარისხს სჭირდება შემოწმება; მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ პრაქტიკით შემოწმებამდე აზრი მოკლებული იყოს ჭეშმარიტებას ან მცდარობას. „ჭეშმარიტი აზრი ჭეშმარიტია პრაქტიკით გამართლებამდე“ (გვ. 54). ჩვენ ყოველგვარი პრაქტიკის გარეშე შეგვიძლია ვთქვათ ყოველი შესაძლო აზრის მიმართ, რომ ის ან მცდარია ან ჭეშმარიტი. პრაქტიკას დანიშნულებაა შეამოწმოს, დააზუსტოს, ნამდვილად ჭეშმარიტია თუ არა აზრი და არა ის, რომ შექმნას ჭეშმარიტება. პრაგმატიზმის ჭეშმარიტების თეორია ვოლუნტარისტული თეორიაა, — სამართლიანად ასკვნის ავტორი.

წიგნში განხილულია სინამდვილის პრაგმა-

კ. ბაქრაძე, „თანამედროვე ამერიკულ-ინგლისური ბურჟუაზიული ფილოსოფია იმპერიალიზმის სამსახურში“, სახელგამი, 1955.

ტისტული გაგება და ფაქტიურ მაგალითებზე ნაჩვენებია, რომ პრაგმატიზმი ამ საკითხშიც იმეორებს საკმაოდ ცნობილ აგნოსტიკურ და სუბიექტურ იდეალისტურ შეხედულებებს, რომელთა მიხედვითაც სინამდვილედ იწოდება ცნობიერების მიერ შემუშავებული კონსტრუქცია, რასაც არაფერი აქვს საერთო ე. წ. „პირველ რეალობასთან", ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებულ „ქაოსთან".

თავში „პრაგმატიზმი და რელიგია" მხილებულია პრაგმატიზმის ნამდვილი მიზანი — დაუმკვიდროს რელიგიას არსებობა მეცნიერების გვერდით. მაგრამ რა საშუალებითაც არ უნდა იქნეს „გამართლებული" რელიგიის არსებობა ყოველი დროისათვის, მას აუცილებლად მივყავართ მეცნიერების უარყოფამდე. პრაგმატიზმიც ფაქტიურად ამ შედეგამდე მიდის, როცა თავგამოდებით იცავს ე. წ. „რელიგიური ასპექტის" აუცილებლობას. იმპერიალიზმი სისხლხორცეულად არის დაინტერესებული გზა გადაუღობოს მასებს მეცნიერული ცოდნის დაუფლებისაკენ. ამისათვის უებარ წამალს წარმოადგენს ხალხის შეგნების მოწამლვა მისტიკური ძალებისადმი ბრმა რწმენით. იმპერიალიზმის ამ დაკვეთას ასრულებს სწორედ პრაგმატიზმი თავისი „რელიგიის ფილოსოფიით".

ავტორი მკაფიოდ აღნიშნავს ჯერ პრაგმატიზმის ფილოსოფიის კლასობრივ ხასიათს და შემდეგ მოკლედ გადმოგვცემს პრაგმატიზმის მოძღვრებას ლოგიკაზე. მართალია, ამ საკითხს ავტორი შედარებით შეზღუდულად არჩევს, მაგრამ მაინც იმ დასკვნამდე მიდის რომ, „პრაგმატიზმი მთლიანად უარყოფს ლოგიკას, ლოგიკურ ფორმებს, აზროვნების ლოგიკურ კანონებს" (გვ. 74), რაც აშკარას ხდის ამ მიმდინარეობის რეაქციულობას.

შრომაში საკმაოდ ვრცლადაა განხილული თანამედროვე პოზიტივიზმის მეორე მიმდინარეობა — ლოგიკური ემპირიზმი ანუ საკუთრივ ნეოპოზიტივიზმი. აქ ვეცნობით ამ მიმდინარეობის ისტორიას, ძირითად წარმომადგენლებს და პერიოდულ გამოცემებს; შემდეგ ავტორი მიუთითებს ამ მიმდინარეობის იდეოლოგიურ წყაროებზე და სწორად მიიჩნევს ნეოპოზიტივიზმის პირველ წყაროებად მახიზმსა და ემპირიოკრიტიციზმს, კონვენციონალისტურ მიმართულებას მათემატიკასა და ფიზიკაში და, საბოლოოდ, ფორმალისტურ კონცეფციას, რომელმაც ფართო გავრცელება ჰპოვა უკანასკნელ ხანებში ლოგიკასა და მათემატიკაში.

ვ. ი. ლენინის გენიალურ შრომაზე („მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი") დაყრდნობით ავტორი ჯერ იხილავს ლოგიკური ემპირიზმის წარმოშობის მიზეზებს, ხოლო შემდეგ იწყებს მის არსებით კრიტიკას. ფაქტიურ მაგალითებზე ნათლადაა წარმოდგენილი, რომ ლოგიკური ემპირიზმის უმთავრესი წარმომადგენლები შ. შლიკი, ლ. ვიტგენშტეინი, ბ. რასელი, რ. კარნაპი და სხვები იძლევიან ცდის, ემპირიულის მახისტურ გაგებას. ლოგიკური ემპირიზმი, ისევე როგორც ერთ დროს ბერკლი, ხელოვნურად გვიან მახიზმი, ცდას განმარტავს, როგორც გრძნობად მოცემულობას, რომელშიც არაფერია გარედან შემოსული. მახიზმის ლენინური კრიტიკა ამ მხრივ მთლიანად ძალაშია ლოგიკური ემპირიზმის მიმართაც.

შრომაში საფუძვლიანადაა გარკვეული, რომ თანამედროვე პოზიტივიზმი „მეტაფიზიკის" კრიტიკის ნიშნით ნამდვილად ებრძვის დიალექტიკურ მატერიალიზმს, ხოლო თვით კი ქადაგებს უკიდურეს სუბიექტურ-იდეალისტურ „მეტაფიზიკას".

ავტორი იხილავს ლოგიკურ ემპირიზმს ვ. კრაფტის შრომების მიხედვით და დასძენს, რომ ეს მიმართულება თანდათან უფრო აშკარა სუბიექტურ-იდეალისტური ხდება.

იმპერიალიზმის პირობებში პოზიტიური მეცნიერებანი (ფიზიკა, მათემატიკა და სხვ.) ხშირად ლოგიკური ემპირიზმის მსხვერპლი ხდებიან. ავტორი აკრიტიკებს აინშტაინის, ედინგტონის, ბარნეტის და სხვათა აბსოლუტურ რელატივიზმს, რომელიც ეყრდნობა მეცნიერული ცოდნის ლოგიკურ-ემპირისტულ ინტერპრეტაციას.

ავტორი ეხება სემანტიკურ იდეალიზმს, რომელიც როგორც შრომაშია აღნიშნული, არაა განსაკუთრებული მიმდინარეობა. იგი წარმოადგენს პრაგმატიზმისა და ლოგიკური ემპირიზმის შემარიგებელ სინთეზს. როგორც პრაგმატიზმი, ისე ლოგიკური ემპირიზმიც ერთ სოციალურ დაკვეთას ასრულებენ, დასახული აქვთ ერთნაირი ამოცანა, კერძოდ — „ძველი მეტაფიზიკური" თეორიების წინააღმდეგ ბრძოლა, მატერიალიზმზე და იდეალიზმზე მაღლა დგომა, ობიექტური სინამდვილის არსებობის საკითხის მოხსნა და სხვ. (გვ. 151). ავტორი მორისის, ჩეიზის და სხვათა მაგალითებზე ცხადად აჩვენებს ამ „ფილოსოფიის" სოციალურ გამიზნულობას, მის ვოლუნტარიზმს და აგნოსტიციზმს. სემანტიკური იდეალიზმი ძირითადად ილაშქრებს ზოგადი ცნებების წინააღმდეგ, უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში აქვს სოციალურ სფეროში გავრცელებული ზოგადი ტერმინები. წიგნში მკაფიოდაა ნაჩვენები სემანტიკური იდეალიზმის რეაქციული არსი.

შრომის დასასრულს ავტორი თანამედროვე რეაქციულ ბურჟუაზიულ ფილოსოფიას უპირისპირებს დიალექტიკური მატერიალიზმის ძირითად პრინციპებს და გადმოსცემს მარქსისტულ-ლენინურ შემეცნების თეორიას.

გვაქვს ზოგიერთი შენიშვნა.

ამგვარი ხასიათის ნაშრომში აუცილებელი იყო, თუნდაც ერთი თავი მაინც დასთმობოდა სპეციალურად პოზიტივისტების სოციალურ თეორიებს და მათ კრიტიკას. განსაკუთრებით

საჭირო იყო პრაგმატისტების შეხედულებათა მხილება, ვინაიდან ეს მიმდინარეობა პოზიტივისტურ სკოლებში ერთადერთია, რომელიც თავის ფილოსოფიას „აფუძნებს“ საერთოდ „ცოცხალ გარემოსა“ და, კერძოდ „სოციალურ გარემოზე“.

ავტორი მთელი შრომის მანძილზე აღნიშნავს, რომ მთავარი მიმდინარეობა თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში პოზიტივიზმია, რაც უდავოდ მართალია და ავტორი სწორედ ამას აკრიტიკებს თავის წიგნში. ამიტომ სასურველი იყო წიგნიც ამის მიხედვით დასათაურებულიყო, ვინაიდან „თანამედროვე ამერიკულ-ინგლისური ბურჟუაზიული ფილოსოფოსია“ უფრო ფართო ცნებაა.

25-ე გვერდზე სწერია: „წარმოდგენები, ცნებები და სხვა თავისი ფორმით სუბიექტურია. რაც შეეხება შინაარსს, ის შეიძლება იყოს სუბიექტური, მაგრამ შეიძლება იყოს ობიექტურიც“. აქ ავტორის აზრი მართებულია, მაგრამ გამოთქმის ფორმამ შეიძლება გამოიწვიოს გაუგებრობა. საქმე ისაა რომ ჩვენს ცნობიერებაში, შემეცნებითს პრაქტიკაში ვხვდებით როგორც ჭეშმარიტ, ისე მცდარ აზრებს, მაგრამ არ შეიძლება, რომ მათ არსებობის ერთნაირი „უფლება“ მივცეთ; უფრო ზუსტად, აზროვნებას ევალება იყოს ჭეშმარიტი ცოდნის მომცემი (ამიტომაა, რომ ვლაპარაკობთ ჭეშმარიტების კრიტერიუმზე და არა მცდარობის კრიტერიუმზე), მაგრამ იგი შეიძლება შეცდეს კიდეც: აზროვნების, ცნობიერების შინაარსი — უნდა იყოს ობიექტური, მაგრამ შეიძლება სუბიექტურიც იყოს.

თავში „პრაგმატიზმი“, ჩვენი აზრით, უმჯობესი იყო მეხუთე ქვეთავად ყოფილიყო მოცემული „პრაგმატიზმის მოძღვრება“, ხოლო მის შემდეგ ქვეთავად „პრაგმატიზმი იმპერიალისტური ბურჟუაზიის იდეოლოგიაა“, ვინაიდან ეს უკანასკნელი დასკვნითი ხასიათისაა; მით უმეტეს, რომ პრაგმატიზმის ლოგიკა ამკარად ამჟღავნებს ამერიკულ იმპერიალიზმით განსაზღვრულობას.

პირველ ხანებში პრაგმატიზმის მისტიკურ-რელიგიური ხასიათი ეტვს არ იწვევდა და ამ ფილოსოფიას ხშირად რელიგიის ფილოსოფიას უწოდებდნენ. შემდეგში დიუის სკოლამ თითქოს დაგმო ჯემსის პრაგმატიზმის მისტიკიზმი; მაგრამ ცნობილია ლენინის მითითება, რომ პრაგმატიზმს (ლენინი იცნობდა დიუის ინსტრუმენტალიზმსაც) თავისი ფილოსოფიიდან გამოჰყავს ღმერთი, ისევე როგორც საერთოდ მახიზმს. საჭირო იყო ავტორს გაეკრიტიკებია დიუის სკოლის შეხედულება ამ საკითხზე. დიუის სკოლა, რა თქმა უნდა, ისე გულახდილად აღარ ქადაგებს ღმერთის არსებობას, როგორც ერთ დროს ჯემსი, მაგრამ თვითონ ამ სკოლის ფილოსოფია იძულებულს ხდის ხოლმე ამავე სკოლის წარმომადგენლებს იქადაგონ პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით ღმერთის აუცილებლობა. ამას ადასტურებს დიუის მოწაფის სიდნეი ჰუკის შეხედულებები.

საერთოდ, პროფ. კ. ბაქრაძის აღნიშნული შრომის გამოსვლა მისასალმებელია, მით უფრო, რომ ასეთი სახის ლიტერატურა ქართულ ენაზე ცოტა მოიპოვება.

ვ. გოგოგბერიშვილი
ნ. მახარაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი წიგნები

სახელმწიფო გამომცემლობა

კ. მარქსი — ხელფასი, ფასი და მოგება. გვ. 78, ფასი 80 კაპ.
კ. მარქსი — დაქირავებული შრომა და კაპიტალი. გვ. 54, ფასი 55 კაპ.
ვ. ი. ლენინი — სახელმწიფოს შესახებ. გვ. 28, ფასი 30 კაპ.
ი. სტალინი — ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ. გვ. 20, ფასი 20 კაპ.
ი. სტალინი — თხზულებანი ტ. V. გვ. 486, ფასი 6 მან.
ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვი — ფიქრები რელიგიაზე. გვ. 37, ფასი 30 კაპ.
სიმონ ჩიქოვანი — ლექსები — პოემა. გვ. 522, ფასი 12 მან.
გრიგოლ ჩიქოვანი — ფართო გზაზე. გვ. 358, ფასი 7 მან.
დავით გურამიშვილი — დავითიანი. გვ. 387, ფასი 16 მან.
დ. ცხომარია — ტ. ს. მალცევის მეთოდის შესახებ. გვ. 57, ფასი 65 კაპ.
ს. ლომკაცი — ვაზის ფორმირება და ოპტიმალური დატვირთვა. გვ. 52, ფასი 60 კაპ.
ნ. ი. რუსიეშვილი — ვეტერინარული ბიოლოგიური პრეპარატები და მათი გამოყენება მეცველეობაში. გვ. 78, ფასი 1 მან.
პ. ვ. მიქელაძე — ტრაქტორების — „კდ"—35-ისა და „დტ"—54-ის დიზელების მუშაობის მოცდილება მაღალმთიან რაიონებში. გვ. 12, ფასი 15 კაპ.
ნ. დ. სანიკიძე — სორგო. გვ. 30, ფასი 35 კაპ.
ტ. ჩხაიძე — ჩემი გამოცდილება ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მიღების საქმეში. გვ. ფასი 10 კაპ.
ნადია ბუჯიაშვილი — აღმავლობის გზით. გვ. 74, ფასი 1 მან. 30 კაპ.
გ. ლუარსაბიშვილი — სათიბებისა და საძოვრების გაუმჯობესება. გვ. 48, ფასი 50 კაპ.
ე. მარკოვი — საქართველოს ფრთოსანი სტუმრები. გვ. 54, ფასი 95 კაპ.
ვ. გელაშვილი — სოფლის კომუნისტები. გვ. 89, ფასი 75 კაპ.

საბლიტგამი

ბორის გორბატოვი — ქედუხრელნი. თარგმანი ეთერ რაზიკაშვილისა. გვ. 164, ფასი 5 მან. 50 კაპ.
კ. გოგიაშვილი — ჩვენი ბაღის სტუმრები. პიესები. გვ. 61, ფასი 4 მან. 25 კაპ.
ვახტანგ პარკაძე—ალექსანდრე იოსების ძე დიდებულიძე. გვ. 35, ფასი 1 მან. 45 კაპ.
ი. ლიკსტანოვი — პირველი სახელი. თარგმანი ბ. შელიასი. გვ. 408, ფასი 9 მან. 80 კაპ.
კრიშან ჩანდარი — მოთხრობები. თარგმანი ლილი კალანდაძისა. გვ. 162, ფასი 3 მან. 10 კაპ.
არნო ონელი — გზა, რომელიც ბრწყინავს მარად. გვ. 80, ფასი 2 მან. 15 კაპ.
ძმები გრიმები — ზღაპრები. თარგმანი ნიკო ლორთქიფანიძისა. გვ. 176, ფასი 3 მან. 20 კაპ.

რედაქტორი **ს. ჩიქოვანი**

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი), **კ. ლორთქიფანიძე, პ. რატია, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი.**

რედაქციის მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 6. ტელეფონი 3-23-42.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/XI-55 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12,25 უე 08560
შეკვეთა № 649. ტირაჟი 6000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲗᲡᲚᲘ 8 Დ.
ᲑᲔᲡ/117 Ბ 22/35

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ